ISSN 0132-6023

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

7

1988

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვეტი

372

გამოცემის ოცდამეთერთმეტე წელი

7

ივლისი

1988

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:
გივი ალხაზიშვილი
თეიდო ბექიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გივი გეგეჭკორი
ბურაბ გეგეშიძე
გიორგი გუგლია
თეიმურაზ დოლიაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მედეა კახიძე
შოთა ნიშნიანიძე
გურამ შანჯიკიძე
მორის ფოცხიშვილი
ნუგზარ შატაიძე
ავთანდილ ჩხიკვიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
სოსო ცინცაძე
გოგი ფერეთელი
გიორგი ჭანტურია
ტარიელ ჭანტურია
ბადრი ჭოხონელიძე
შაკა ჯოხაძე

შ ი ნ ა ა რ ს ი

პროზა და პოეზია

3. რევაზ ინანიშვილი — მოთხრობები
13. გათუ დანელია — ლექსები
17. ქეთევან მუმლაძე — ლექსები
18. გურამ ოდიშარია — მოთხრობები
27. მედეა კახიძე — ლექსები
31. ლერი ალიმონაკი — ლექსები
35. ლადო ავალიანი — იუდას ხე. მოთხრობა.
42. დავით მჭედლური — ლექსები
45. ალუდა არაბული — ლექსები
49. მამუკა ცეცხლაძე — სადლეგრძელო. ლექსი.
51. ზაურ კალანდია — ჟამი მესამე. რომანი. დასასრული
91. მანანა ჩიტიშვილი — ლექსები
93. ხოზე ადეიშვილი — ლექსები
95. ზაზა ქინქლაძე — ლექსები
97. დოდო გვიშიანი — ლექსები

დრამატურგია

98. თამაზ გოდერძიშვილი — რკინის კარს უკან. პიესა

დიალოგი

121. აკაკი გაჭრაძე — „ჩვენ ყველანი ჩვენს ქვეყანას ვეკუთვნით...“

პუბლიკაცია

129. არჩილ ჯორჯაძე — დიმიტრი ყიფიანი. გაგრძელება

წერილები

143. თეიმურაზ ნუცუბიძე — პოეზიით შემჭიდროება

ხელოვნება

157. ნინო ქუთათელაძე — ფიქრები ფრთების გაშლისას...

159. ქ რ ო ნ ი კ ა

რევაზ ინანიშვილი

განგაში

ნინომ თავიდანვე იგრძნო, გოგი რომ გუნებაზე ვერ იყო. მოიფუცავდა პირს, შეიყრიდა გაფარჩხულ თითებს თმაში, დალაგების მაგივრად თითქოს საგანგებოდ აიწეწავდა, ახლოს არ იკარებდა სავარცხელგაწვდილ დედას. შინ იყო, გაბუტულივით კითხულობდა, გარეთ გავიდოდა, იქიდანაც ასეთსავე გუნებაზე ბრუნდებოდა. სულ ცოტა რამეზე უღრენდა პატარა თინიკოს. უარესად იღრინებოდა კითხვაზე, — ცუდადა ხარ, ბიჭო? ბოლოს, მეოთხე დღეს გატყდა, — დირექტორი გიბარებს, ხვალ უკვე აღარ დამიშვებენ გაკვეთილებზეო.

ნინომ ჯერ ხმა ვერ ამოიღო, სიფითრე დაეფინა სახეზე, მერე წამოუვიდა ცრემლი, — შენ უნდა მომკლა, შენ უნდა დაანელო საბოლოოდ ჩვენი ოჯახი. შეწუხებული თინიკო ხან დედას შეჰყურებდა, ხან გოგის. გოგიმ კარი გაიჯახუნა, გარეთ გავარდა. თინიკომ დედას შემოხვია ხელები.

დაღამდა, გოგი არ ბრუნდებოდა. ვს უკვე ნერვებს აწყვეტდა ნინოს, — სად იყო, ვისთან იყო. ათასი ჯურის ნაძირალა უსაფრდება ამ ასაკის ბიჭებს, კაცაც და ქალიც. გოგისაც ხომ უყვარდა ყველაფრის იდუმალების ბურუსში გახვევა! ოფლის სუნში არეულმა იაფფასიანი სუნამოს სუნმა დაჰკრა, ცეცხლი წაეკიდა სხეულზე, ხელისგულები მიიჭირა საფეთქლებზე, საბაზანოში შევიდა, წყალი მოუშვა, სველ თითებს ისვამდა ყურისძირებში. გოგი დაბრუნდა. დედისთვის არ შეუხედავს. ნინოს გადაწყვეტილი ჰქონდა, არაფერი ეთქვა, მაინც ვერ შეიკავა თავი, — იჩქარე, იჩქარე, არავინ დაგასწროს ჩვენი მოსპობაო. გოგის პურის ქვაბისთვისაც კი არ აუხდია, ლოგინი გაიშალა, დაწვა, კედლისკენ გადაბრუნდა. შუქი ჩააქრეო. ნინო ცოტა ხანსაც იდგა, ბიჭს დაჰყურებდა, მერე შუქი ჩააქრო.

დილით გოგიმ უცებ დალია ჩაი, მერე ფანჯარასთან მიდგა და იქ უცდიდა, როდის დაამთავრებდა ჭამას თინიკო. თინიკო დიდ ლუკმებს იდებდა, ძლივს ყლაპავდა. ისიც ჩქარა ადგა. გოგიმ თინიკო წინ გაუშვა და სკოლაში წავიდნენ.

ნინომ იმ დღეს ნაშუადღევამდე ვერ ნახა თავისი დირექტორი. ნაშუადღევსაც რაღაც არეული მოეჩვენა. მაინც შევიდა და სთხოვა, — ხვალ დილას ორი საათით გაეთავისუფლებინა სამსახურიდან. დირექტორი უყურადღებოდ უსმენდა. — კარგი, კარგიო. გარეთ გამოსულ ნინოს თავი სძულდა, ეჩვენებოდა, რომ დირექტორთან ცინდალივით კნაოდა.

სამსახურიდან დაბრუნებულს, ბიჭიც შინ დახვდა და გოგოც. ორივენი თავთავისთვის ისხდნენ და წიგნებს კითხულობდნენ, — ნაშუადღევამდე არ მოეთრა ჩემი დირექტორი, დაგიშვეს დღეს გაკვეთილებზეო? გოგიმ თითქოს „ჰო“ წაიბურტყუნა. თინიკომ ჩანთა ჩამოა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთვა. ცდილობდა, რაღაცეებში წახმარებოდა.

დედაც ჩამოსულიყო სოფლიდან. ნინომ დისა და დისწულების ამბავი იკითხა. დედა შეწუხებული მოუყვა, სიძე ახალი სამუშაოდანაც წამოსულიყო, ზის და გაბოღმებული სვამსო. დას რამდენჯერმე ჰქონია ღვიძლის შეტევა, ბავშვებიც წარამარა ავადმყოფობენო. დამძიმებული გული უარესად დაუმძიმდა ნინოს. რაღაც მექანიკურად საქმიანობდა სამზარეულოში. მერე ბავშვების ტანსაცმელი მოჰყავდა წესრიგში. ღამით ცხელი წყალიც მოვიდა. თინიკო დაბანა, დააწვინა. გოგიც ადრე დაწვა. უმძიმდა, მაგრამ თვითონაც იბანავა. თითქოს ბანაობამ უფრო დაუფრთხო ძილი. ბრაზით ფიქრობდა მეუღლეზე. ასეც კი ეჩვენებოდა, რომ ძალით მოიკლა თავი და ყველაფერი ნინოს შეატოვა, შვილებიც, ყველაფერი. თავი არ ჰქონდა, არ მოუწმენდია ცრემლი. გატანჯულს ჩაეძინა.

დილით გოგომ დედასთან ერთად არ მოინდომა სკოლაში წასვლა. დირექტორს ათ საათამდე ვერავინ ნახავს კაბინეტშიო. თინიკო კი წაიყვანა და წავიდა. ნინოსაც დიდხანს აღარ დაუყოვნებია, თვითონაც ჩაიცვა. შეწუხებული იდგა სარკესთან. დღესაც, გუშინდელივით, რაღაც ეჩვენებოდა თავის სახეში საცოდავური. სხეულშიც შემაწუხებელ მოღუნებას გრძნობდა.

თავის თავთან გაჯიბრებული გავიდა გარეთ, — რაც მოსასვლელი იყო, დაე, მოსულიყო! ღონივრად ჰქონდა შემოჭერილი ქამარი საწვიმარზე. ისეთი ძალით მიაბიჯებდა, მუხლებთან ტკივილი იგრძნო. ჯერ ათი არ იყო, მაგრამ დირექტორი კაბინეტში დახვდა, მდივანი გოგო შევიდა და მოახსენა.

— მიბრძანდით! — კარი ღია დატოვა გამობრუნებულმა მდივანმა გოგომ.

ნინო შევიდა. სამი ნაბიჯი გადადგა. გაჩერდა.

წლებისგან მორღვეულმა დირექტორმა მძიმედ წამოიწია.

— მობრძანდით. დაბრძანდით. — გამოწეულ სკამზე ანიშნა.

ნინო დაჯდა. ჩანთა მუხლებზე დაიდო.

ისევ შემოვიდა მდივანი გოგო. — თვაური მოვიდეს ჩემთანო, — დირექტორმა. თვაური გოგის დამრიგებელი იყო. გოგო უნდა გასულიყო. მაგრამ მობრუნდა.

— თვაური ხომ პროფკავშირებში გაუშვით...

დირექტორმა თვალები დახუჭა და ისევ გაახილა.

— კარგი.

დირექტორი მაგიდაზე დაწყობილ ბალნიან ხელებს დაჰყურებდა.

— თქვენ ნინო გქვიათ.

— ნინო, დიახ.

— ალბათ, გეცოდინებათ კიდეც, რაზედ შეგაწუხეთ.

— არაფერი არ ვიცი, ბატონო დავით.

— ნუ ღელავთ, არც არაფერი უნდა იყოს ისეთი, მაგრამ ერთად უნდა ვიზრუნოთ ბავშვზე. სახლში როგორ იქცევა?

ნინო დირექტორს შეაჩერდა.

— რა თვალსაზრისით?

— უცნაური გამოხდომები თუ აქვს.

— როგორ, უცნაური?

— აი, თუ ყვირის მოულოდნელად.

ნინოს უსიამოვნოდ დაუდუნდა ფეხები.

— თუ ყვირის, ან ამოძახებები აქვს, როცა სხვები ჩუმად არიან.

— ყვირილით არა. ისე, როცა გაიზმორება, ანდა მაღლა ასწევს ხელებს, მაშინ იცის ხმების ამოშვება.

— ესე იგი, სახლშიც იქცევა ასე.

— როგორც გითხარით.

— აქ უკვე მესამე მასწავლებელმა იჩივლა ამაზე. ზის ჩუმად, თითქოს ყურადღებადქცეული, და უცებ, — უუ! მოგეხსენებათ, რასაც გამოიწვევს ეს ხმები ბავშვებში. თითქმის იშლება გაკვეთილი.

ნინომ აქ უკვე ვეღარ შეიკავა თავი

და ტირილი დაიწყო. ძლივს ამოიღო ცხვირსახოცი ჩანთიდან.

დირექტორმა ღილაკს დააჭირა თითი. ისევ შემოვიდა მდივანი გოგო.

—გამრეკელი მომიყვანე მეცხრე კლასიდან.

მდივანი წავიდა.

ნინო ისევ ცრემლს იწმენდდა.

— სწავლითაც, უკვე ორებსაც იღებს. ერთად უნდა ვიღონოთ რამე. იქნებ ექიმიც იყოს საჭირო, ნეროპათოლოგი.

ნინოს ქვითინი წასკდა.

— დაწყნარდით, დაწყნარდით...

მდივანი გოგო დაბრუნდა.

— გამრეკელი არ არის. დღეს სულ არ მოსულა.

— აი, — თქვა დირექტორმა, — სულ ბადავიდა ყოველგვარ საზღვრებს. თქვენ დამშვიდდით, ქალბატონო. ერთად ვიმოქმედოთ, ავწონ-დავწონოთ, არაფერი არ არის შემაშფოთებელი, თვით ექიმიც...

— ყველას მივმართავთ, ბატონო.

ნინო წამოდგა.

— დაბრძანდით, დაბრძანდით, დამშვიდდით.

— არა, მე თუ შეიძლება, წავალ.

— დამშვიდდით. ასეთი საგანგაშოც არ უნდა იყოს არაფერი.

— დამშვიდებული ვარ, ბატონო. თუ შეიძლება, წავალ.

— წაბრძანდით, რა თქმა უნდა, ჩვენ კი გვაპატიეთ, ჩვენც სხვა საშუალება რა გვაქვს! ჩვენც, აი...

დირექტორიც ფეხზე იდგა. ხელები უმწეოდ ჰქონდა გაშლილი.

ნინო კაბინეტიდან გამოვიდა, ტუალეტში შევიდა. ხუთიოდე წუთში თვალებშემშრალებული, თავშეკავებული იყო. მდივანი გოგო დერეფანში იდგა და შეწუხებული იყურებოდა. ნინომ მასაც მოუხადა ბოდიში.

სკოლიდან გამოსულს, თითქოს მოულოდნელად გაციებული ჰაერი დახვდა. ნოემბრის შუა რიცხვები კი იყო, ჯერ ისევ თბილოდა. ქუჩაში, ორმოციოდე ნაბიჯზე გოგის მოჰკრა თვალი. ჯერ პირდაპირ მიდიოდა, მერე აუხვია. ჩანთა (რბილი დერმატინის საქალაქოდ) უკან ეჭირა ორივე ხელით. ნინო რომ სკოლის ეზოში შევიდა, მაშინ შეამჩნია, რომ დიდი ვერხვის უკან ვიღაც ბიჭი იდგა. ახლა მიხვდა, რომ ის გოგი უნდა ყოფილიყო. ვერხვს ყვითელი ფოთლები სცვივოდა. არ დაუძახა, აინტერესებდა, სად წავიდოდა, რას მოიმოქმედებდა.

გოგი პროსპექტზე ავიდა. ჩანთა მარცხენა იღლიაში გადაიტანა, თითქოს თითების ერთმანეთზე გაკვრითაც კი მიითვლიდა ნაბიჯებს. პურის მაღაზიასთან გაჩერდა, პლაკატს უყურებდა, რომელზედაც დიდი ხელებით მომყუდროებული თავთავი ეხატა, ქვემოთ კი ეწერა „გავუფრთხილდეთ პურს, პური ჩვენი სიმდიდრეა“. გოგი კარგად ხატავდა, ნინო ვერ მიმხვდარიყო, რამ მიიქცია პლაკატში მისი ყურადღება. გოგი წავიდა. საკონდიტრო მაღაზიაში შებრუნდა, წყლის გამყიდველთან ჯიბიდან ფული ამოიღო, დახლზე დადო, ლიმონის წვენზე დააკაკუნა თითი. თეთრხალათიანი სქელი ქალი რაღაც მტრული თვალებით უყურებდა გოგის, როცა მას გამხდარი თითებით ეჭირა ჭიქა ტუჩებთან. ნინოს ისევ წამოაწვა ცრემლი.

გოგიმ ჭიქა გააცურა დახლზე, გარეთ გამოვიდა და მტკვრისაკენ დაუხვია. ისევ როგორღაც არხეინულად მიდიოდა, ალმაცერად თავაღერილი, თითქოს ნაბიჯების თვლით. მიმოდიოდნენ მშვენიერი გოგოები. გოგის არავისთვის მიუქცევია ყურადღება. სამკერვალოსთან გაჩერდა, იყურებოდა შიგნით, მანქანებზე დახრილი ქალებისკენ. ისევ წავიდა. საყოფაცხოვრებო მოხმარების სახელოსნოსთანაც გაჩერდა. იქაც რაღაცას აკვირდებოდა.

გოგი რომ გაჩერდებოდა, ნინო იძულებული იყო, მაღაზიაში შესულიყო. იქიდან ადევნებდა თვალს. იჭერდა მაღაზიის დახლიდართა დაეჭვებულ მზერასაც. კიდევ კარგი, რომ გოგი დიდხანს არ ჩერდებოდა. ისევ წავიდა მტკვ-

რისაკენ. ხიდის ყურთან სირბილით გადაჭრა მანქანებით გავსებული ქუჩა. ხიდზე გაჩერდა და მოაჯირთან ფეხისწვერებზე აწეული იყურებოდა დაბლა. ნინოს რეჩხი უყო გულმა, კინაღამ არ გაიქცა მისკენ. მაგრამ გოგი დროზე მოსცილდა მოაჯირს და ავტობუსების სადგურისკენ ჩაბრუნდა. სადგურში ისე შეჰყურებდა ავტობუსებს, თითქოს ვიღაც ნაცნობს ეძებდა, არავინ აღმოჩნდა ასეთი. ისევ მტკვართან ჩავიდა, ისევ იყურებოდა მოაჯირიდან დაბლა. იქიდან წასულმა ნაბიჯი ააჩქარა, გმირთა მოედნისკენ გადაჭრა სანაპირო, იქ ფეხი ისევ შეანელა. ნინოც თითქმის გაჩერდა, ამოუდგა ვიღაცა შავი „ვოლგით“ ქალაქგარეთ ეპატიჟებოდა, თან „ფანტასტიკურ“ ალერსს ჰპირდებოდა. ნინოს ცეცხლი მოედო. აეჩქარებინა ფეხი, გოგის დაეწეოდა. მაშინ მიუბრუნდა იმ შავს და თვითონვე გაუკვირდა, ისეთი ძალით უთხრა, — წადი, თორემ ქვეყანას ჩამოგახევ თავზე! შავმა შეაგინა და წავიდა. წუთიც არ გასულა და ახლა მთლად ლაწირაკი ვიღაცა გამოჰყვა გვერდით. რამდენი წლით იქნებოდა უფროსი გოგიზე?! — ქალბატონო! ესოდენ მშვენიერო ქალბატონო!.. აქ საკმარისი აღმოჩნდა ადმინისტრაციული ტონი, — ქალბატონს მოგცემ მე შენ, ლაწირაკო! ლაწირაკი გაქრა.

გოგი მიწისქვეშა გადასასვლელში ჩავიდა. ნინოც ჩაჰყვა. გოგიმ ზოოპარკის შესასვლელთან ბილეთი აიღო და შიგნით შევიდა. ნინომაც აიღო ბილეთი, დიდი სიფრთხილით მიჰყვებოდა უკან. უყურებდა ცხოველებს ბიჭი და ეღიმებოდა, რაღაცაც გადაუგდო დათვებს. თვალებს უშტერებდა ფიტულივით უძრავად დამჯდარ ჭოტს, ეჭყანებოდა. ბევრი არ უვლია ვოლიერებთან, ხევისკენ წავიდა, დაღმართი ჩაირბინა. იქ, პატარა ვერეს პირას, დიდ ხეებს შორის ჯერაც შემორჩენილი იყო ხასხასა სიმწვანე. იმ სიმწვანიდანაც გადავიდა. სილაზე გააგდო ჩანთა, დაჯდა, ჯერ ისე ჩასცქეროდა საშემოდგომოდ დაწმენდილ წყალს, რომელსაც ყვითელი ფოთლები მოჰქონდა, მერე სახელოები აიკაპიწა, დაიჩოქა, ხელები წყალში ჩაყო, მოშავო ლამი ამოიღო ორივე მუჭით, უღიმოდა იმ ლამს, მერე სიამოვნებით ისვამდა მკლავებზე.

ნინოს შეზარა, ვეღარ მოითმინა და მისკენ გაიქცა.

— რას აკეთებ, რას!

გოგის ჯერ გაოცებისგან პირი ღია დარჩა, მერე გაიღიმა, ხელები წყალში ჩაყო და გაალაღლაღა.

— რას აკეთებ, რას! — ნინო ჩაიხარა, თავი ძლივს შეიკავა, კინაღამ წაიქცა.

გოგიც წამოდგა.

— რბილი სილაა, სასიამოვნო.

— აქაურობა ხომ სიბინძურით არის სავსე!

— აქაურობა? — გოგიმ გაკვირვებით მიმოიხედა, — რატომ? ეს ხომ წყალია, მდინარე.

— ჭირი რომ გეცეს და გაგიტანოს, იმიტომ. — ცრემლები წამოსკდა ნინოს. — რა გემართება, რა!

— რა უნდა მემართებოდეს?

—რატომ ყვირი გაკვეთილზე. ვისი რა იმედი გაქვს, რა! მამაშენმა უკვე გაასწრო ამ ქვეყნიდან.

— კარგი ერთი და, რასა ვყვირი!

— აბა, რაზე გამადეგენერატა დღეს დირექტორმა? რატომ გონია მთელ სკოლას, რომ შენ სამკურნალო ხარ?

— არაფერი სამკურნალო არა ვარ, ორჯერ ამოვიღე ხმა, მეტჯერ ხომ არა?!

— ორჯერ, თუ სამჯერ, დეგენერატო?

— ნუ, სამჯერ.

— რა გაყვირებს მერე, კრეტინო?

გოგის გაეღიმა, გამომცდელად გამოხედა დედას. უცებ შეიმართა.

— აი, რა... გითხრა?

— მითხარი, გამახარე.

— კარგი რა, დედა.

ნინო კანკალებდა.

— მითხარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგიმ წინ დაიჭირა ჩანთა, მაგიდასავით, ჰორიზონტალურად.

— აი, მე ვზივარ მაგიდასთან. ჩემთვის ვარ, ჩემთვის ვდარდობ. ავიხედავ უცებ და მასწავლებლის თვალებშიც სწორედ იმ დარდს დავინახავ, მე რომ მაწვალებს — იმ წამს; მასწავლებლის თვალებში უფრო დიდ დარდს, უზარმაზარს, რომელიც ცასაც კი დაფარავს ჩემს წინ... და მევე ვისჯი საკუთარ თავს, ასე რომ ვხედავ რაღაცეებს...

— როგორ ისჯი, რა დარდისთვის.

— კარგი, დედა, რა!.. ფიქრებში... მივაგორებ დიდ, ჩემზე მაღალ, გუნდასავით რაღაცას, ავიხედავ, წინ მიდგას სწორედ ისეთივე მთელი მთა, მთლიანად დაუფარავს ცა, ვდგავარ, აღარ ვიცი, რა ვქნა, როგორც სიზმარში, და... მერე ჩემს თავს მე ვისჯი, რა გინდათ?!

შეუმჩნევლად ამოსულიყვნენ ჭალიდან.

— ჰო, ის გუნდები რუხი ფერისაა, მოშავო...

ნინო გაჩერდა, უმწეოდ ქანაობდა.

— რატომ მიყურებ ეგრე?

— აქვე გინდა, რომ ჩამიქცეო სისხლი, არა?

— კარგი რა, დედა!

— კიდევ, კიდევ!

გოგიმ ნაყინის გამყიდველი დაინახა.

— ნაყინი უნდა გიყიდო, „ესკიმო“ ხომ გიყვარს?

— გაჩერდი!

გოგი უკვე მირბოდა. ნაყინის გამყიდველს დაჭმუჭნული მანეთიანი მისცა, ორი „ესკიმო“ გამოართვა, რაღაცა ხურდები ჯიბეში ჩაიყარა და საზეიმო ნაბიჯებით წამოვიდა დედისკენ.

— დამცინი კიდეც, არა?

გოგიმ წაიწია, დედას საფეთქელთან აკოცა.

— კარგი რა! — უცნაური ალერსით შეჰყურებდა.

ძალით გამოაშლევინა ხელი, ძალით ჩაუდო „ესკიმო“, თითები მოაჭერინა. ნინო ძელსკამზე დაჯდა, ნაყინიც სკამზე დადო. ცხვირსახოცი ამოიღო. კანკალის შეკავებას ცდილობდა.

— ეგ ფული მაინც საიდან გქონდა?

— ბებიამ მომცა გუშინ.

— გუნებაზე მშვენიერზე ხარ. ქვეყანა ჩვენ დაგვცინის, შენ კრეჭვა-ღრეჯვით ეგებები ამას.

— კარგი რა, დედა, კარგი, გოგი დაუცუცქდა, — შენი აქ დანახვა გამიხარდა. არ უნდა გამხარებოდა? დირექტორმა თავის შვილს მიხედოს, ყეყეტს...

გოგი რაღაცას ყვებოდა დირექტორის შვილზე.

ნინო შიშით სავსე თვალებით უყურებდა. გული ცუდად უხდებოდა. თითქოს იგრძნო გოგიმ ეს. ნაყინი გადაუფცქვნა, ძალით მოაკბეჩინა

. . . . . .

. . . . . .

სულ ბოლოს ტროლეიბუსის გაჩერებასთან იდგნენ.

ისევ გოგი ლაპარაკობდა, ჩქარა.

— წადი შენ ახლა სამსახურში. ნურაფერი გაფიქრებს რა, დედა...

ნინო თვალს არ აშორებდა, შვილის ყოველი სიტყვა თითქოს პირველად ესმოდა, ყოველი ფრაზა ძაბავდა, რაღაც შიშისკენ ეწეოდა. გაბრუებული იყო. დაბუჟებულიც, ვერაფრით გარკვეულიყო, მაინც რა ხდებოდა, რა უნდა მომხდარიყო მათ თავს.

— თინიკოს მე წავიყვან და სახლში წავალ. შენ... ისე ვგიჟდები, როგორ გამომყევი უკან, რომ ვერაფერი ვიგრძენი, ვერ დაგინახე ამოდენა გზაზე. შენ, იცი, სკოტლენდ იარდიც კი აგიყვანდა სამსახურში.

— ვინა?

— სკოტლენდ იარდი. სახლში გეტყვი.

ტროლეიბუსი გაჩერდა. გოგიმ დედას ხელი შეაშველა და ასვლა გაუადვილა, ტროლეიბუსი დაიძრა. კარი დაიკეტა. ნინო სკამის საზურგეს წასწვდა, გას-

წორდა, ცდილობდა, მაგრად მდგარიყო, არ ექანავა. — რატომ გავუშვი მარტო! ეჩვენებოდა, რომ ყველაფერი ყანყალებდა, სახლებიც კი გარეთ. კიდევ კარგი, რომ ერთი სკამი თავისუფალი იყო, წავიდა, დაჯდა, მაინც ყველაფერი ყანყალებდა, ძაგძაგებდა, თითქოს წამიც და რაღაც განგაში ატყდებოდა. თვალები დახუჭა. უარესად აირ-დაირია ყველაფერი. ისევ გაახილა. ტროლეიბუსი იდგა. იდგნენ სახლებიც, ხეებიც, ბოძებიც, მაგრამ მაინც ეჩვენებოდა, რომ აი, „ერთი“ და განგაში ატყდებოდა.

სკამის მაგარი საზურგეულის იმედი ჰქონდა, უკანიდან ის დაიცავდა. წინიდან... ამაგრებდა ოდნავ წამოხრილ ყელს, აქვავებდა ერთმანეთში ჩაჭედილ თითებს, თითქმის აღარ ახამხამებდა თვალებს...

კოშკი, კარი რომ აღარ აგია არსაით

მე მოვალ შენთან, როცა დაღამდება. მოვალ (ო, როგორ ვხედავ საკუთარ თავს), ნაპატმრალივით, ქუდჩამოფხატული, საწვიმრის საყელო წამოწეული და ჯიბეებში ხელებჩამალული. ჩემი ნაბიჯები თქვენ ეზოში და სადარბაზოში იქნება არამყარი. ერთ ფეხს რომ მაგრად დავადგამ, მეორეს ოდნავ თუ შევახებ მიწას. ვიცი, რომ სისულელეა ასეთი თავშეკავებულობა, მაგრამ მაინც.

სადარბაზოს კიბესთან, უამრავი ყვითელი ფანჯრის ძირას, ისიც კი მომეჩვენება, რომ თავბრუ დამეხვა, მაგრამ არ შეეჩერდები. მხოლოდ სადღაც ყურის უკან გატოკდება ოფლის ცივი წვეთი. ის ოფლის ცივი წვეთი გამახსენებს რაღაც, რაღაც, რაღაცებს. ტუჩზე კბილს დავაჭერ, გამეღიმება, გაეღვიძებათ ჩემს ხელებს ჯიბეებში და უცებ გადავიქცევი ნაფოტივით უგრძნობლად.

შენი მეზობლების დაკეტილი კარები დამხვდებიან ბავშვების ხმებით და მუსიკით. „ჩემო თომაა... ჩემო თომაა“... აქ კიდევ გატოკდება ოფლის ერთი ცივი წვეთიც ყურის უკან. ხელებს ვუჭერ ამ „ჩემო თომას“... მერე ცერით დავაწვები ლიფტის წითელ ღილაკს. ლიფტი ხმას ამოიღებს, ჩუჩუნს დაიწყებს. და მაშინვე დამიდგება უკან შენი მეზობელი კუდიანი დედაბერი. მე ვერ გავბედავ მიბრუნებას და იმ დედაბრის სახეში შეხედვას. ის კი დაურიდებლად შემომაჩერდება, თანაც ტუჩების ცმაცუნით, კარგად გამოხატული ულვაშების აყოლებით. ჯაჯგურით გაჩერდება ლიფტი, გაიღება კარი, მე წინ გავუშვებ კუდიან დედაბერს (ნეტავ როგორ აქვს მოხვეული ბალნიანი კუდი), უნდა შევიდე მეც, მაგრამ, — ტაპ-ტაპ-ტაპ! — წითელქურთუკიანი ქალიშვილი, მე ოდნავ გავიწევი გვერდზე და ქალიშვილი შეირბენს ლიფტში, მაშინვე მაღლა ასწევს წვეტიან ცხვირს და ისიც დაიწყებს თუ განაგრძობს შესიებულივით დაწოლებული ტუჩების ცმაცურს. მეც შევდივარ და ლიფტის კარი იკეტება.

ქალიშვილი თვითონ დააჭერს თავისი სართულის ღილაკს წვრილ თითს. კუდიანი დედაბერი ბრძანებს, — მეშვიდე! რა თქმა უნდა, მეშვიდე უნდა იყოს. მეც მეშვიდე! ისე ტოკავს, ისეთი გაჩქარებით ატოკებს ტუჩებს ქალიშვილი, ისიც კუდიანია. მე არ უნდა შევიმჩნიო, რომ მათთან ყოფნას განვიცდი. სწორად ვდგავარ, ისევ საწვიმრის ჯიბეებში მაქვს ჩამალული ხელები. მეშვიდეზე გადავდივართ, მე და კუდიანი დედაბერი. კუდიანი ქალიშვილი, ჩემსკენ მოშვერილი წითელი ცხვირით, განაგრძობს გზას. ტუჩებს შორის თანდათან გამობუშტავს თეთრ ბუშტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებერი კუდიანიც მარცხნივ უხვევს. ნეტავ რა საკუდიანო ხელსაწყოები უწყვია ძველი ყაიდის ჩანთაში. კიდევ კარგი, რომ შენი მეზობლის კარს მიადგება, და არა შენს კარს. იქ ზარისკენ ასწევს ნამდვილად კატის გაფარჩხულ კლანჭებს, თან კვლავ განაგრძობს საკუდიანო საქმეს, ალბათ, უკუღმართ ლოცვას. მე გადამეტებული სითამამით დავაჭერ თითს შენს ზარს, დედაბერი უფრო სწრაფად აამუშავებს ტუჩებს. თვალმოუცილებლად მიყურებს მე, მერე — ღია კარში ჩამდგარი დაბალი, მსუქანი ქალიც. აშკარა სინანულით მიიხურავენ კარს.

შენც მიღებ. შენ აი, რა. სულ მინდა გკითხო, რატომ დაგედება ხოლმე სახეზე მუქი ჩრდილისფერი კარის გაღებისას, რატომ გაქვს თვალები ვითომ მშვიდი, სინამდვილეში — ბრაზით სავსე (ასეთი ბრაზიანი თვალები აქვთ გარეულ კატუნიებს), ჩემი დანახვა გაბრაზებს, თუ დიდი ხნის დაუნახავობა? თუმცა, რაღა აზრი აქვს ახლა ყოველივე ამას!

მე ვიხდი ქუდს, მერე საწვიმარს, თვითონვე ვკიდებ საკიდარზე. შენი ფრძელი ხელი თითქოს წკიპურტის დასარტყმელად შეგიჩერდება ჰაერში. თმის ვარცხნას რომ დავიწყებ, ღიმილით ვიყურები სარკეში და ვითომც ხუმრობით ვამბობ, — რას დავემსგავსე, კვებმრეწვის მუშაკს, რა? იქვე სარკეში ვხედავ, როგორ გადაგეყრება სახიდან სიმუქე. შენ მხოლოდ მჭრქალად გეღიმება ჩემს სიტყვებზე, მე მუცელს უარესად ვბერავ, შენ ხელებს ჩაიწყობ თბილი ხალათის ჯიბეებში, ჩაიჭიმავ ქვემოთ და ასე შემიძღვები ოთახში.

ჩემს შეკითხვაზე, — როგორა ხარ, — ისე შემომხედავ, თითქოს რაღაცა გაუგებარს გეკითხებოდე, ტუჩებს წამოიშვერ წინ. ე! რაღაც საერთო ხომ არა გაქვთ ამ სახლში მცხოვრებთ, ყველას! მე გიმეორებ:

— როგორა ხარ?

შენ მარტო ამას იტყვი:

— ცივა.

— რა დროს სიცივეა.

— ძალიან ცივა. — და ისევე, ხალათის ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ჩაჯდები სავარძელში, ჟურნალების მაგიდის იქით. მე აქეთ ვჯდები, დივანზე. არ მინდა მაშინვე წავატანო ხელი ჟურნალ-გაზეთებს. ხელებს მუხლებთან დავიწყობ გლეხკაცივით.

— გშია?

— არა მშია.

— შენ ხომ იცი, რომ ძალიან ადვილად ვიჯერებ ტყუილებსაც?

— ამჯერად მართალს გეუბნები.

— ე. ი. გამოსწორდი.

— ვფიქრობთ, ასე უნდა იყოს.

მაინც წამოდგები, ორ თეფშს მოიტან, ორ დანას.

— ხილს ხომ შეექცევით?

— ხილს კი. შენთან ერთად.

ხილი თიხის ორჯამიანით დგას მაგიდაზე. ორჯამიანიც ლამაზია, თითქოს უნაბებდაყრილი, ხილიც — მუქი წითელი ვაშლები, მოყვითალო ვაშლები, მომწვანონებიც. მე ვიღებ ყველაზე შეუხედავს, მწვანეს, მჭრქალი თეთრი წინწკლებით.

— შენც გიყვარს არა, ეს ვაშლი?

— კი.

— მეც. მერე რა ჭვია, იცი?

— მნახე რა სპეციალისტი.

— სემირანკაო, ბაზარში. სინამდვილეში, სემირენკოა, უკრაინული წარმოშობის. იქ იყო სემირენკო, სელექციონერი.

— რეები აღარ იცი!

— აბა!

— გინდა მე გაგითალო?

— არა.

— მომეცი, მე გაგითლი. შენ ჟურნალები გაინტერესებს და გადაშალე.

მე მეღიმება და მართლა გადავშლი ჟურნალს.

შენ ლამაზად იწყებ ვაშლის გათლასა თუ გაფცქვნას. ხელის ზურგებზე ჭორფლები...

— მე რა მაინტერესებს, იცი? შენს

გვერდით კუდიან დედაბერს უცხოვრია. ღამით არ გაღვიძებს ჭერზე და კედლებზე ფხაჭუნი?

— უიმე, ვარა ძალო! უიმე, შენ რა გითხრა, როგორი კარგი ქალია, რომ იცოდე.

— განა აუცილებელია, ცუდი იყოს კუდიანი. ზოგმა მარტო ღამ-ღამობით იციან კედლებზე და ჭერზე ფხაჭუნი.

— გაჩუმდი, გაჩუმდი. ეგ საცოდავი ქალი არჩენს მთელ ოჯახს, დებილ შვილს, მთხლე რძალს.

— დებილი შვილი კანონიკურია კუდიანისთვის. მაგრამ გოგოც იყო ლიფტში, წითელქურთუკიანი, წითელცხვირიანი. ის ტუჩებსაც აცმაცუნებდა, ცხვირსაც, მე მგონია, ყურებსაც.

— ეგ კი. ეგ კუდიანია ნამდვილად. ხვალვე გააქნ-გამოაქნევს კუდს და დატკბილული მკითხავს, თქვენთანაც უკვე ცივა, არა, ქალბატონო ლილი? ჩვენ დავიყენეთ. ჩვენ — თანაც იმდენნი რომ ვართ... ეგ ინგა კუდიანია ნამდვილი.

— საერთოდ ამ სახლში...

— კარგი, ახლა, დაუშვი.

უკვე რამდენიმე ყავისფერი ხალი აქვს ხელის ზურგზე. კანიც რაღაცნაირად მეტად თხელი, ცივი, გაცრეცილი. ყოველ შემთხვევაში, აღარაფერი აქვს კანს საზეიმო, გასაბრწყინებელი. მე ხომ რა ხანია გადავცდი ორმოცდაათს, არ მინდა გავამხილო, მაგრამ ისიც...

— შენ მართლა იბუზები.

— ცოტათი ჰო.

— აუჰ, გახსოვს, მანქანა რომ გაგვიფუჭდა ისიკ-ყულთან, რაღაც ხეობაში? ათასი გრადუსი რომ იყო სიცხე. შენ კი ნეტარებდი. თავზედაც კი რომ არ იფარებდი არაფერს.

— იი...

— ყირგიზმა მწყემსმა რომ დაგიჩოქა?

— აბა!

— არწივი რომ დაეშვა და დაგვყიალა სწორედ იმ დროს!

— დღესაც საკვირველსა ვარ.

— ყირგიზი რომ თოფისთვის გაიქცა. როგორ იდგა მერე თოფიანი და გვიყურებდა. მეჩვენება, რომ ამ ... თურის ქვეშ შენი თმა ისევე მხურვალეა, როგორც იქა, ყირგიზეთში.

შენ თავზე იდებ ხელს და თავს აქანებ.

— არა.

— აბა, მე მაჩვენე.

აშკარად მაგრძნობინებ, კიდევ ხომ არ ვინებებთ სხვა რამესაც.

— ხელი მაინც მაჩვენე.

— არა.

მე ხელს მაინც გკიდებ მაჯაში, შენ აიწევი, თითქმის ავარდები, ამოიძახებ:

— გაგიჟდი?

ხელს გამომტაცებ, უკან-უკან იხევ, მაჯას ისრეს.

— გაგიჟდი? გადაირიე?

— ბათქაში ჩამოგცვივდა?..

წამი და მეხი დამეცემა თავზე. მაშინვე ძირს დავუშვებ ჩემს ბაირაღებს:

—... მიუკარებელო ციხევ.

გადმოსანთხევად აგროვებ ზიზღს.

მე ფეხებთან გიყრი იმ ბაირაღებს.

— მართლა ბოდიში. უკაცრავად.

ჟურნალს ავიფარებ სახეზე.

ღამურასავით ფათქუნობს ოთახში სიბრაზე, მორჩილება.

ბოლოს მესმის:

— იჯექი მანდ და ხელები გაჩერებული გქონდეს.

სავარძელს ცოტა უკან გასწევ, ჯდები. ფარულად გიმზერ. ზემოდან ქვემოთ დაწოლით ისრეს თითებს. თვალები...

ეს მარტო ბრაზი არ არის, ეს არის პროცესი — რაიმის დამუშავება სიცივის ქვეშ.

ისევ ამაძაღლებს ეშმაკი:

— იცი? არსებობს ტექნიკაში რაღაცების დამუშავება მკვეთრი სიცივის ქვეშ. სხვათა შორის, სულ ადვილად შეიძლება შენი გამოყენება სახალხო მეურნეობაში.

— ტაკიმასხარობაღა გაკლდა.

— რატომ კადრულობთ, ქალბატონო?

— შეაყოლე რა, შეაყოლე აქედან!

მე მართლა ავდგები. ფანჯარასთან მივალ. ხელებს შარვლის ჯიბეებში ჩავმალავ. საფეთქლები მიხურს: რას ვჩადი, რას ვმაიმუნობ?!.. შენ თითქოს... თითქოს აღარც გახსოვს ცოლ-ქმარი რომ ვიყავით, ერთად რომ ვიწექით თითქმის ორ წელიწადს, პირველი შეხვედრების ლამაზი, ლამაზი... ლამაზი წინწკლიანი სარფანი... ოცდარვა წელია მას შემდეგ, შენი ბავშვური გაფართების შემდეგ. შენ ცალკე მოდიხარ. დანასავით მჭრელი, მე ცალკე. მე ხან კბილების კრაჭუნით ვაკეთებდი რაღაცებს, ხან თვალებდახუჭული, ხანაც ყვირილით, მეც რომ არ მესმოდა ჩემი ხმა. შენ მხოლოდ ბინა გამოიცვალე სამი წლის წინათ. მე მყავს... მე ბევრნი მყვანან. ხელებგამოწვდილნიც ჩემსკენ. მე მაინც შენთან მინდა, უფრო და უფრო მძაფრად, სიბერის კარიბჭესთან მდგარს... როგორც მშობლიურ კარმიდამოში დაბრუნება ჯანდაბაში ნახეტიალებს. ხან ვიყეფები, ხან ვყმუი, ხან ვწკმუტუნებ, შენ კი მუდმივად მშვიდი და ცივი, არასოდეს არაფერს ამბობ დაუწერელი ქაღალდივით. შენა ახლა ხარ... კოშკი, რომელსაც კარი აღარ აბია არსაით...

კოშკი, კარი რომ აღარ აბია არსაით...

ისევ დავჯდები, ისევ ავიღებ ჟურნალს. ჟურნალსაც ავიღებ, გათლილ (თუ გაფცქვნილ?) ვაშლსაც. ჩვარივით რბილი ვარ. შევექცევი ვაშლს. ფუი, ჩემი ხნის კაცი და შექცევა! ფუი, ფუი!

შენ ცოტა კიდევ უკან ეწევი სავარძელს, იქ სათითაოდ ილაგებ კიდურებს, ნერვებს, თვალები გაქვს... უკვე სიბრაზით დაღლილი. შენც აიღებ ვაშლის ნაჭერს, ორივე ვჭამთ, ჩვენი ასაკის შესაფერისად — ცოტ-ცოტას. მე ვფურცლავ ჟურნალს და ვიღაც-ვიღაცებს ვუწოდებ კრეტინებს, დებილებს. ზოგს მძარცველსაც. შენ გაგახსენდება, რომ ტელევიზორში ცნობილი კვარტეტი უკრავს. ჩავრთავთ. ვუსმენთ. ოთხი ასაკოვანი კაცი თავს იკლავს ოთხასი წლის წინათ შექმნილი მელოდიის ჩვენამდე მოსატანად.

— ფული როგორა აქვთ ამგვარ თავგადაკლულებს?

შენ მხრებს აიჩეჩავ.

— მე მგონია, ჩეჩქივით მაინც არა, არა?

— ჩეჩქივით ნამდვილად არა.

— მოწაფეებს ხომ მაინც მოამზადებენ?

— მოწაფეებს ნამდვილად.

— აბა, არაფერი ჰქონიათ შესაცოდი.

კონცერტის მერე ქალი დიქტორი ლაპარაკობს რაღაცებს. აშკარად ვხედავ, იმაზე უფრო მეტსა ფიქრობს, როგორ გამოიყურება თვითონ, ვიდრე გაზეპირებულ ტექსტზე. ტექსტი უკან რჩება, სადღაც კეფასთან. მე კრეტინს ვუწოდებ ამ ქალსაც.

— მშვენიერი ქალია. — ბეჭდავ შენ.

— ლოგინისათვის არ გეუბნები. ეკრანზე.

— აუშვი ისევ?

— ბოდიში ჩვენ.

ხელს მაღლა ვწევ.

უკვე საკმაოდ შევაბეზრეთ თავი ერთმანეთს. დროა, ავდგე, წავიდე, წავეთრე, აქ, მართლაც, ძალიან ცივა. მაგრამ გარეთ უფრო ცივა. ამიტომ თუ არ ვდგები. გაზეთს გაჩვენებ.

— ვისაც ფული აქვს, უკვე აქციებივით რაღაცების შეძენაც შეუძლია.

— ვისაც ფული აქვს, ყველაფერი შეუძლია.

— ყველაფერი, ყველაფერი? — გამომცდელად გიყურებ.

— კარგი რა!.. ჩაი ადუღდა, ჩაიდნის სახურავი რეკს.

ჩაიზეც ვრჩები. მე და არ დავრჩები!

— კიდევ ხომ არ ინებებდით?

— ნახევარ ჭიქას.

იმასაც ვსვამ. თან სულ შენ ხელს ვუყურებ.

ჭიქას რომ დადგამ, გაუბედავად გთხოვ:

— მაჩვენე რა ხელი.

— დაეტიე ადგილზე.

— გახსოვს, რაღაცებს რომ ვიგებ-
დით.

მჟავედ შეიჭმუხნი ცხვირს.

— შენი ხელი ახლა რაღაცა დარგობ-
რივ რუკას გავს.

— რა მშვენიერი ქათინაურები იცი!

— აბა! ჩემი ხელი — გომბეშოს, ყე-
ყეჩ გომბეშოს.

შენ აქ კი ნაღდად გეღიმება.

— ხომ მართალია?

ხმას არ ამოიღებ, მაგიდას წმენდავ.

— მართლა, ხომ არ წაიკითხე ტუ-
რემენ კეპოტე რომ წერდა მერილენ
მონროზე: „ნედელიაში“ იყო დაბეჭ-
დილი.

— არა.

— შესანიშნავი მეგობრები ყოფი-
ლან. მისხდებოდნენ სადმე კუნჭულში
და სვამდნენ.

— იცი შენ, რაც უყო მაგ სმამ კე-
პოტეს.

— მე ხომ აღარა ვსვამ! რატომ მეუ-
ბნები ნიშნის მოგებით?

შენ ისე შემომხედავ, ესეც სილაა,
მაგრამ ალერსიანი.

მე გული მინათდება.

უბრალოდ მეუბნები:

— როდის წამაკითხებ მაგ „ნედე-
ლიას?“

— როცა ისევ მოვალ.

შენ ამას აღარ მკითხავ, როდის მო-
ვალ ისევ, ამაოდ ვიცდი, შენ ისე იყუ-
რები, შენთვის სულ ერთია, მოვალ თუ
წავალ.

ახლა კი ნამდვილად დროა. მძიმედ
წავალ კარისკენ. ჩავიცვამ საწვიმარს,
დავიხურავ ქუდს. ხელებს ჩავიყოფ ჯი-
ბეებში. შენ ისევ ისეთი თვალები გაქვს
(მაშინაც, გარეთ რომ გავალ) სულ ერ-
თია, მოვალ თუ წავალ, მოვბრუნდები
და ხელს ისე ამიქნევ, შეაყოლეო, უფ-
რო.

მე მეღიმება. შენ მოხურავ კარს.

ქუჩაშიც მეღიმება და ასე გაღიმე-
ბულს შემომბრდღვიალებენ ფარებს
მანქანები. აშკარად მლანძღავს ყველა.
ამ ხნის გამოკრეტინებული კაცი! ზიზ-
ღი აქვთ ახატული სახეზე. მე ნაბიჯს
ვაჩქარებ, ტროტუარზე ავდივარ, აქ
საფრთხე ნაკლებია...

შენა? შენ ზიხარ. ტარით მაგიდაზე
გაქვს დაყრდნობილი წვეტიანი დანა,
წვეტზე თითი გაქვს დადებული და
ასე აქანებ ნელა.

მე ტროლეიბუსში ავდივარ, ვჯდები.

აქ აღარ მეღიმება. აქ, შეიძლება, ჩა-
მეთვლიმოს.

— თქვენი ბილეთი აღებულია, ბა-
ტონო პროფესორო! — მიღიმის მშვე-
ნიერი ახალგაზრდა ქალი.

... წვიმს. მაინც ვდგები და საწვიმარს
ვიცვამ. ვიფხატებ ქუდს.

ციკლიდან: — „შენთან და უშენოდ“

1. უშენოდ

ხსოვნის კედლებში

ამ კედლებს უნდა შევაკლა თავი, —
ოთხივე ყრუა, ოთხივე — შავი...
და ჰა: მოცურავს ქარონის ნავი, —
ის წამი იყო დაცემა მეხის,
ის მადგას, როგორც სახედარს კეხი.
ამ ოთხ მგელს შუა ხარივით ვბღავი,
ვერ გავანძრიე ხელი და ფეხი.

დრო მიდის, განა ის წამი მიდის...
და რა ვქნა! — რითი გიშველო, რითი!
შემძულდა, ცისქვეშ რაც კია ხიდი....
ამქვეყნად ჩემთვის ყველა გზის ბოლო,
ყველა სხივის და სინათლის ბოლო,
ყველა ზღაპარი და ყველა მითი
შენი საფლავი იქნება მხოლოდ.

სამდურავი

მიყვარდი, მწამდი, მაღალო ღმერთო,
შენ მაინც გული დამწყვიტე ერთობ...
ღმერთი ხარ, მაგრამ იქნება ვერ თმობ
სიყვარულივით სითბოს და ალერსს!..
ორის გზას ერთი როგორღა გალევს?
მე ახლა ვგავარ მთისძირა ფერდობს,
სად ზვავი უნდა დაეცეს მალე...

ის, ვინაც მყავდა იმედის მეკვლედ,
ის, ვინაც მყავდა ოცნების მეკვლედ,
ვინაც გულიდან მიღებდა ეკლებს, —
რად დამაშორე შენს ერთგულ მონას!
რატომ წამართვი, რაც ცისფერ ფონად
ჰქონდა ჩემს დღეებს და რატომ შეჰქმენ
ჩემს გარეშემო საშიში ზონა!!!

ის, ვინაც ძლიერ მიყვარდა, ძლიერ,
ისე ძლიერ, რომ მიცვლიდა იერს
და მამსგავსებდა თანდათან ციერს, —
რატომ წამართვი, ვით ბალახს ცვარი?..
რად ჩამომიგდე სამრეკლოს ზარი? —
ნათელი ქმნილი მოკვდავის მიერ
ნუთუ უკვდავის წილხვედრი არი!!!

წვიმაში

წვიმს და ნათელი ლაშქარი წვიმის
ისე წკრიალებს ურიცხვი სიმით,
თითქოს ამ კლოუნ ცხოვრებას გრიმი
სურს ჩამორეცხოს... მე კიდევ ქუჩებს
ისე მივყვები!.. ეხ, ახლა თუ შენ
დამყურებ ციდან და ბედის ღიმილს
ჩემს მწუხარებას ხელივით უშვერ!

წვიმა კი ანგრევს ჰაერში ხიდებს...
მე თითქოს — ჩიტი ჩამოვრჩი ჩიტებს
და თითქოს გულის ჯიბეში მიდევს
შენი სიცოცხლე და თითქოს ადის
გზაც ცაში, — მივალ სიზმარში ცხადი, —
იქ, შენთან სამნი ავიდნენ კიდევ
და ერთად ფრენენ სულები მათი, —

მათ ერთმანეთი ძალიან უყვართ,
ერთმანეთს ალერსს აღვრიან უხვად,
შენ კი ციმციმებ მარტოსულ შუქად..
ღირსი ხართ, იყოთ ფრესკები გრემის
და შეგყურებდნენ ლოცვით და კდემით,
თუმც გაიყოლეთ ჩრდილივით — უკან,
სიხარული და სიმშვიდე ჩემი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმა იდუმალი

საით მიხვალ? — უკან რაღა გელის?!
გიჯობს ჯვრისთვის წინ წაიღო ძელი...
თან წაიღო ყოველივე ძველი... —
ისევ ლექსი შემოივლე ზღუდედ!
ისევ მადლი იყოს შენი ბუდე!
ქარი გაქცევს? — ქარს ჩაჰკიდე ხელი!
წვიმა გაქცევს? — წვიმას მიეყუდე!

ვინაც გებრძვის დაეყრდენი იმას!
ჩანგს გააბი მთვარის სხივი სიმად,
მზის სხივი კი დაუტოვე იმას,
ვინც გტეხს თითებს ჩანგისათვის
მოვლილს

და „ბატონსაც“ გაძახინებს
თრთოლვით...
წვიმა გაქცევს? — ჩაიხუტე წვიმა!
თოვლი გაქცევს? — ჩაიკონე თოვლი!

არ გაავდე! — მაინც მადლი ჰქენი!
სხვებს სცენა და შენ კულისი
სცენის! —
წყნარად წრუპე¯ეთ მოთმენის წვენი... —
აღარაა, აღარაა სხვა გზა!
ვინ უყურებს შენი ფრთების სავსავს!
ვინაც გებრძვის იმას დაეყრდენი,
სხვანაირად ვერ უშველი თავსა...

გამთიშავი ხიდები

ჩვენი სიცოცხლე ხიდებზე მიდის,
ჩვენი სიკვდილიც ხიდებზე მიდის...
ბედნიერია ამიტომ ჩიტი, —
არ აშენებენ ჩიტები ხიდებს,
არ საჭიროებთ ხიდები ჩიტებს,
ჩვენ კიდევ, თურმე ხიდიც კი, ხიდიც
ყოფნა-არყოფნის სასწორზე გვიდევს.

ბედი დგას ხიდის ორთავე თავში,
ხიდქვეშ ქარონი ზის თავის ნავში...
კი, ყველა ხიდი გულისხმობს კავშირს,
მაგრამ კავშირსაც მეორე მხარე
აქვს, როგორც მედალს და როგორც
მთვარეს...

და როცა ხიდზე გადადის ბავშვი,
ის თითქოს მიდის ცხოვრების გარეთ...

არ აშენებენ ჩიტები ხიდებს,
არ საჭიროებთ ხიდები ჩიტებს
და — ბედნიერნი არიან კიდეც...
ხიდზე სულ ჩვენი სიცოცხლე მიდის,
ჩვენი სიკვდილიც სულ ხიდზე
მიდის, —
სიკვდილიც გვიტევს, სიცოცხლეც
გვიტევს
და გვთიშავს, გვთიშავს ხანდახან
ხიდიც...

იქნებ... რაღაცით...

ეხ, იქნებ მეც კი ვგავარ ღვთაებრივს
ჩემი უჩინარ წვით და ვაებით!.. —
ვარსკვლავთან მქონდა მეც მუსაიფი,
მზისთვის ვარჩევდი ყვავილთა მაქმანს,
მთვარეზე მსურდა სიმების გაბმა,
მიწა მირჩევდა! „თავი დაიბი,
არ გაგიყოლოს ოცნების ქაფმა!“

დღეს ცისკენ დარდებს ცხვრებივით
ვლალავ
და ვუერთდები სიმღერის მჩქმალავ
გზას, როგორც ერთვის ხერხემალს
მალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენც მოდი, მოდი, ჩემს სულს ჩაები,
როგორც რუსთველის ტაეპს ტაეპი...
კარგად დამხედე, ღვთიურო ძალავ, —
რაღაცით მეც კი ვგავარ ღვთაებრივს.

წარსული

ვერ გაექცევი წარსულის მაგნიტს, —
შენ მის ძალასთან ბუშტი ხარ საპნის,
არ გიშვებს იგი, — გერევა, გჯაბნის.
და თუ ეცდები საშველის ძებნას, —
მისი მომრევი რა უნდა შექმნა! —
იქნები, როგორც ტალღაზე ქაფი,
თუკი გაბედე წარსულთან შებმა.

წარსულთან შებმა გაბედე თუკი,
შენს ცხოვრებაში ატყდება ბუქი,
ის შენს სიხარულს დაბეჭდავს ლუქით,
ის შენს ოცნებებს დაკლავს და აქნის.
შენ ნამსხვრევი ხარ იმისი საგნის...
და თუმც გიზიდავს მომავლის
შუქიც, —
ვერ გაექცევი წარსულის მაგნიტს.

II. ზენთან

შემოდგომა. დილის ათი საათი

ასე სანამდე უნდა ვღელავდეთ
ბეტონის სახლში, სადაც ყველაფერს
უნდა სიმშვიდე ჰქონდეს ყელამდე?!
შემოდგომაა... ათია დილის, —
საათსაც უნდა თავისი წილი...
საათი არის სახლში ბელადი,
ჩვენ კი ყველანი ვართ მისი შვილი.

ბოლო რეკვამდე ვიცხოვროთ, ბარემ!—
ყური დავუგდოთ პროგრესის
ქარებს! —
ოხრავს ონკანი, ახველებს
კლოზეტს, —
მოვრჩეთ რეცხვას და დაბანვას დროზე,
თორემ!.. ფოთოლი დაფრინავს
გარეთ, —
ხე კარმენია, ქარი კი — ხოზე...

რეკავს საათი, — ის კიდევ დარეკს, —

მე ავადა ვარ

მე ავადა ვარ. არ ვიცი, ავად
ვარ, თუ ჭაბუკურ ქროლას და ნავარდს
გადავეჩვიე, თუ ფიქრთა ლავამ
გადამიარა მკერდზე და ვიწვი,
თუ გულს ნაღველმა გამოსდო ციცხვი.
მე არ მოვრჩები, — გამიშვი! წავალ!
ისე მოვკვდები, არ გაჭმევ სირცხვილს.

მე ავადა ვარ. ნუ უხმობ ექიმს! —
იგი გულს კურნავს, ძვირფასო, მე კი
სულში მთად მიდგას ცხოვრების
ლექი...
მე არ მოვრჩები, — გამიშვი, დათმე
ჩემი სიცოცხლე! — აპრილის ატმებს
მიუგდე იგი, რომ კვირტთა რეკვით
დატკბეს და მერე აორთქლდეს სადმე!..

ქმარი

ვერ გაიგებენ შენს ავ-კარგობას, —
წარსულს ჩაბარდა ჟანა დარკობა...
შენ მხოლოდ ჩემი გულის სარგო ხარ!
უნდა ვილოცო: ლხენა ნუ მიაქვთ! —

არ შეგვატოვონ ამ „ყარყუმიან“
შპალერით მორთულ ოთახს —
სარკოფაგს
ატომის ხანის ცოლ-ქმრის მუმიად!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა კარგი არი ჩვენი „ურმული“!
მაგრამ რეკავენ, — მომე ყურმილი:
„სახლში არა ვართ! არ გვაქვს
სურვილი!..“ —
ცა რეკავს: ჟამი მოდის ნგრევისო!!! —
მაინც ვუყურებთ ჩვენ ტელევიზორს,
რომ არ დავკარგოთ ყოფნის წყურვილი,
გულში დარდები რომ არ შევისოთ...

ვინაა იგი? — საფრთხეს ვინ აჩენს?
ცა რეკავს და ჩვენ ვზივართ ბინაში
ყოფნა-არყოფნის შიშის წინაშე...
ვეღარ წავუალთ ნუთუ ცის ნებას!
ნუთუ ჩვენი ხმა არ გაისმება!
ჩვენი დღეები ნუთუ მირაჟებს
დარჩებათ ჩავლილ კატაკლიზმებად!!!

უშედეგო წინათგრძნობა

გაკრთობს ჩემი მკერდის დიქტი...
ჩემზე ცრემლი ახლაც კი გდის.
არ მოკვდები, არა, — სიკვდილს
მე მივიღებ, როგორც ნარკოზს
ზომაზე მეტს, ჩემო კარგო!..
მანამ თავი ჩემს ფერმიხდილ
ოცნებებში უნდა ჩარგო...

კი, უჩემოდ ცოდვა ხარ კი.
მაგრამ სიკვდილს უნდა ხარკი...
ნუღარ ტირი! კარგი! კარგი!
რა ვქნა! — ვიდრე მოვა ის დღე,
წარმოვიდგენ: ჩემს ლანდს მისდევ...
ჩემს საფლავთან ხე რომ დარგე
მას შეჰყურებ, როგორც ქრისტეს...

შეხვედრა

რასაც გიამბობ, ჩვენ შორის დარჩეს:
არავის არგებს (არც მე და არც შენ)
თებერვლის ავდრის ძაგება მარტში! —
რაც იყო, — იყო! რაც მოხდა, —
მოხდა!
გლეხმა კავშირი გაწყვიტა თოხთან,
ქურდი განათლდა, განათლდა ჩარჩიც,
კარგს მიირომევენ, აცვიათ კოხტად.

შენც კარგადა ხარ, არ გინდა კითხვა...
მეც არა მიშავს... ოღონდაც დიდხანს
არ მინდა ყოფნის ტალახით თითხვნა,—
მე დავიღალე ტალახის ზელვით, —
აქ ვთამაშობდი „ლახტსა“ და „გრძელ
ვირს“ —
ამაზე მეტი რა უნდა გითხრა! —
გზად მეჩვენება ნათება ელვის...

სალამო მდინარის პირას

შეხე მდინარეს — ხმელეთის სინდისს!
მზე ჩადის. შეხე! არ დასძრა კრინტიც!
ცის გაფატრული ფერდიდან ბინდი
მოიპარება მინდვრებზე, — შეხე!
მზე წავა, მაგრამ წასვლამდე ფეხებს
უბანს სუყველას.. შენც მზესთან გინდა
წახვიდე, მაგრამ ვინ გიშვებს — ეჰე!!!

ხალხის ქება და გინება არ ღირს, —
რაც მდინარეა, ისაა ხალხიც!..
აი, ვენერა, ვით ცელქი ბალღი
ჰყუმპლაობს წყალში. წავიდა მზე და —
ყველა მდინარე ლეთაა, ლეთა!.. —
დგანან ხეები მოსილნი თალხით, —
გლოვობენ: ქარონს გაჰყვაო დედა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებ, მართლაც...

მომაკითხავ ფეხაკრეფით,
ვით მიჯნური იდუმალი,
ამიყოლებ ჩემივ ნებით,
გავიწყდება ყველა ვალი.
სიტყვას ვერ დაგაცდენინებ,
თუ არ დამავიწყე თავი.

ხან წვიმებით შემომივლი,
ხან — დარებით, ხანაც — ქარით,
ხან მოჰყვები ცაში ლივლივს,
ცისარტყელასფერი ქნარით,
იქნებ, მართლაც, უფალი ხარ,
გენაცვალოს ჩემი თავი.

მოწამეთა

ტაძარი ძმათა, ხარ მოწამეთა,
სავანე გმირთა, თავდადებულთა,
მუხლებმოყრილი ვჩურჩულებ შენთან.
ამაოდ დაშვრა ურდო მომხვდური,
ვინც ვერ წარგვტაცა ერი და სჯული.
გუმბათი ცასთან რამ შეაერთა?!
თითქოს გალობენ ძმათა სულები,
ცადასულები,
უზენაესთან...
ტაძარი ძმათა, ხარ მოწამეთა —
ლურჯი სამოთხე,
რათა ავმაღლდე, შენს ბილიკებს
ლოცვით გამოვყევ,
დავით და კონსტანტინევ!
დავით და კონსტანტინევ!
თქვენეულ მსხვერპლშეწირვის
ნიჭი მომავლინეთ,
ძალა მომავლინეთ,
რწმენა მომავლინეთ,
დავით და კონსტანტინევ!
დავით და კონსტანტინევ!

●

სიცოცხლე ისე მშვენიერია,
მინდვრად გაშლილი ყაყაჩო როგორც,
ო, მაგრამ იგი თუ შეერია
უგუნურსა და უზნეო ხორხოცს,
ნაზი ყვავილიც ეკლად იქცევა,
ეკალი ეკალს მოისხამს მხოლოდ.

ეროვ. ბიბ. ბ. მარქსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წისნი

გაზაფხული სწორედ მაშინ იწყება, როცა ერთ მშვენიერ დღეს, მოულოდნელად იგრძნობთ, რომ ზეცაში მონარნარე ფრინველები თქვენს სულში განაგრძობენ ფრენას.

ის ოცდიდე წლის ჭაბუკი იყო, როდესაც ნამდვილი გაზაფხული ეწვია — ერთხელ, დილით, სამსახურისაკენ მიმავალს, გზად მაღალი და აღერებული ქერათმიანი ქალიშვილი შემოხვდა.

ქალიშვილი ახლად გამოღვიძებული ხეების მწვანე კვამლს გამოეყო, ქუჩა გადაჭრა და გვერდით ჩავლისას მშვიდად ამოხედა მას.

ჭაბუკს სუნთქვა შეეკრა — სახენათელ ქალს ისეთი თვალები ჰქონდა, თითქოს ეს-ესაა ანგელოზებს უყურებდაო...

შეჩერდა ქალაქი და ზღვამაც იცვალა ფერი ანაზდად, მიყუჩდნენ და სადღაც გაქრნენ მოშრიალე ხეები, ახლად ამოწვერილი მზეც მიეყინა დაფიონს.

ქალიშვილი მალე ქუჩის ბოლოში მდგარ დიდ, თეთრ შენობას მოეფარა.

გახევებულმა ჭაბუკმა უკაცრიელ, უცაბედად დაყრუებულსა და დამუნჯებულ ქუჩას გახედა. მოეჩვენა, თითქოს იმწუთას სულ სხვა ქალაქსა და ქვეყანაში, სულ სხვა, გონმიუწვდომ პლანეტაზე იმყოფებოდა, უცხო და ეული. ელვისუმალ ბავშვობაში გაგონილი რომელიღაც ზღაპარი გაახსენდა — მშობლიური და იდუმალი, უშორესი და საესავი, გაახსენდა და მთელი სხეულით იგრძნო, რომ ეს-ესაა სწორედ იმ ზღაპარს წამი- თავდაღწეული ჯადოსნური არსება, რომლის არსს ვერა და ვერ ჩასწვდება ძირისძირამდე კაციშვილი, იხილა, და უმალვე დაკარგა კიდეც, რადგანაც იგი კვლავ თავის სამკვიდრებელს დაუბრუნდა.

...ქალაქის შუაგულიდან დიდი საათის რეკვა გაისმა და მალე ზღვას ისევ მიეძალა სილურჯე. მზემაც გადმოაფრქვია მიწას სხივები, პალმებმა და მაგნოლიებმა ძველებურად ააშარიშურეს ქუჩა. მოკლედ, კვლავ ხმებითა და სინათლით, ჟამის ტიკტიკითა და მოლოდინით დაიმუხტა საპნის ბუშტივით მშვენიერი სამყარო.

ჭაბუკმა ცაში აშლილ თოლიებს ახედა და ღრმად ჩაისუნთქა მთის წყაროსავით წმინდა, გამჭვირვალე ჰაერი...

ის იყო და ის, მას მერე თითქმის ყოველ დილით, ერთსა და იმავე დროს ხვდებოდნენ ისინი იმ ქუჩაზე ერთმანეთს. თავდახრილი, თავის ფიქრებში ჩაძირული ქალიშვილი დიდრონ, მოკრიალებულ თვალებს მიანათებდა ჭაბუკს და რამდენიმე წამში ბოტანიკური ბაღის მხარეს, მაღალი, თეთრი შენობის მიღმა უჩინარდებოდა.

დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, მოიკრიბა ჭაბუკმა ძალა, გაბედა და მიესალმა ქალიშვილს, თან უღიმღამოდ გაუღიმა.

მანაც ღიმილით უპასუხა.

...და მთელი ერთი წელიწადის განმავლობაში მათი ყოველი დილა ასე იწყებოდა — ესალმებოდნენ და უღიმოდნენ ისინი ერთმანეთს შეხვედრისას. იმ დროს ჭაბუკს გამალებით უცემდა გული და ხმის ამოღებას ვეღარ ახერხებდა.

ვერა და ვერ ბედავდა ქალიშვილთან გამოლაპარაკებას, უცხო ძალა ბოჭავდა და აჩერებდა, თანაც სულ იმისი შიში ჰქონდა, რომ წარმოსთქვამდა სიტყვას და... რაღაც ძვირფასსა და სათუთს და-

კარგავდა სამუდამოდ. მართალია, ძალზე უცნაური კი იყო ყოველივე ეს, მაგრამ მაშინ ასე სჯიდა ჭაბუკი.

სამსახურის შემდეგ, შინ დაბრუნებისას, ქალიშვილი ედგა თვალწინ, მეგობრებთან იყო და, ახსენდებოდა, ის კი არადა, სიზმარშიაც ეწვეოდა ხოლმე მისი სახება.

ყმაწვილკაცი იყო და ჯერ კიდევ სჯეროდა მარადისობისა და უკვდავების. სწამდა, რომ ყველაფერი, რაც კარგად დაიწყო, აუცილებლად კარგად დამთავრდებოდა და უსასრულოდ გაგრძელდებოდა ასე — შეხვდებოდა დილაობით მას, გაუღიმებდა და ესეც საკმარისი იყო მისთვის... მაგრამ აი, ერთ მშვენიერ დღეს გაქრა ქალიშვილი.

განვლო ერთმა კვირამ, ორმა... თვეც მიიღია... სად არ დაეძებდა ჭაბუკი მას. სამსახურში რაღაც საქმეებს მოიმიზეზებდა ხოლმე და საათობით დაეხეტებოდა ქალაქში. ხან სანაპიროს გაუყვებოდა, ხანაც ბოტანიკური ბაღისაკენ მიმავალ გზას აეღვნებოდა, ყავახანებსაც მოინახულებდა, მაგრამ, ნურას უკაცრავად, ვერსად პოულობდა ქალიშვილს.

დასევდიანდა სამსახურისაკენ მიმავალი გზა. ერთფეროვანი გახდა ჭაბუკისათვის ყოველი დილა, შემოეძარცვა ძველი სიხარული და სინანული ჩაუსახლდა გულში, მოერღვა ძილისა და ღვიძილის სამანი... სწორედ მაშინ, მისდა მოულოდნელად, არაბუნებრივი მონატრებით შეპყრობილმა, გადაწყვიტა წიგნი დაეწერა. ბლომად მოიმარაგა ქაღალდი, მოიმარჯვა ავტოკალამი და შეუდგა საქმეს...

წერდა, და წერდა, წერდა ჭაბუკი მგზნებარებით, სწრაფობდა — ამოეხსნა ბედნიერებისა და უბედურების არსი, წაეშალა ზღვარი ცასა და მიწას შორის, შეეკუმშა ღმერთსა და კაცს შუა არსებული მანძილი და მიეახლოვებინა ისინი ერთმანეთისათვის, რათა, ბოლოს და ბოლოს, გაეცა პასუხი საიდუმლოებებით აღსავსე სამყაროს კითხვებზე. წვალობდა და ჯახირობდა, კითხულობდა სხვათა წიგნებს, თეთრად ათენებდა ღამეებს, ეძებდა საჭირო სიტყვებს...

ეძებდა და ეძებდა ჭაბუკი — ხანდახან სიქაგაცლილი, თვალნათლივ ხედავდა ხოლმე თუ როგორ მიედინებოდნენ სიტყვები მაღლა, სადღაც ღრუბლებს მიღმა, უცხო მნათობებისაკენ, მაგრამ როგორც კი მათ ქაღალდზე გადმოტანას შეეცდებოდა, გრძნობდა, რომ თანდათანობით მძიმდებოდნენ ისინი და ფრთებდამსხვრეული ფრინველებივით უმწეოდ, ფრიალით ეშვებოდნენ მიწაზე. მიატოვებდა თუ არა წერას, კვლავ მსუბუქდებოდნენ სიტყვები და ზეცას უბრუნდებოდნენ, თითქოს გაურბოდნენ ჭაბუკს. ნაცნობი ქუჩის ბოლოში მდგარი თეთრი შენობა ახსენდებოდა მაშინ, ბოტანიკური ბაღის მაღალი, თეთრსვეტებჩაყოლებული ღობე, ქალიშვილის თვალები და ქერა თმა... და გული შეეკუმშებოდა.

ასე გრძელდებოდა მთელი წლის განმავლობაში...

ბოლოს, როცა თითქმის სრულიად დაიმონა უნაპირო სევდამ, ხელი აიღო წიგნის წერაზე, იისფერი მელნით გადაპრელებული ქაღალდების დასტა გაზეთში შეახვია და საწერი მაგიდის ქვედა უჯრაში ჩაკეტა.

განვლეს წლებმა... ოჯახს მოეკიდა იგი, ცხოვრებამ ლხინიც უწილადა და მწუხარეებაც, მეგობრებიც მოუმრავლა და მტრებიც, სამსახურსა და სახლს შორის გაბმულ გზაზე ხან უზრუნველი ღიმილით სახეგასათნოებული ატარა და ხანაც გულდაშუშხული, რაღაცაზე მწარედ ჩაფიქრებული.

ქალაქის მთაზე ცხოვრობდა, ძველ, ამბისეულ სახლში, საიდანაც ხელისგულივით მოჩანდა ზღვა. ზღვა დღის განმავლობაში რამდენჯერმე იცვლიდა ფერს. მაგრამ იგი მას მხოლოდ დილაუთენია, ან საღამოჟამს თუ გადახედავდა, ისიც რაღაცნაირად, უნდილად. დანარჩენი დრო სამსახურში იმყოფებოდა. ათასში ერთხელ, მოცალეობის ჟამს, შვილებთან ერთად სხვენზე მოწყობილ სამტრედეს მოინახულებდა და იქ მტრე-

დების თვალთვალითა და მათზე ზრუნვით ირთობდა თავს.

ქალაქს ხან წვიმა ესტუმრებოდა ხოლმე და ხანაც ზღვიდან მობერილი ძალუმი ქარი, უფრო იშვიათად — თოვლი, ხოლო მზე კი, მზე მასპინძელივით იყო, აფრქვევდა და აფრქვევდა, აწრიალებდა და აწრიალებდა ოქროსფერსა და ცისფერ სხივებს, მცირეოდენი ხნით თუ მიატოვებდა თავის საბრძანებელს. ღუღუნებდნენ მტრედები, იბადებოდნენ და კვდებოდნენ დღეები და ღამეები, ხან ხმაგახაფებული, გავეშებული კაცივით ბობოქრობდა და ხანაც მძინარე ბალღივით მშვიდდებოდა და ყუჩდებოდა ზღვა. მოკლედ, ყველაფერი რიგზე იყო, და, როგორც ყოველთვის, კვლავ აუჩქარებლად და ბრძნულად, აუღელვებლად იცავდა ცხოვრება თავის წესს.

თუმცა კი, მიედინებოდა ჟამი და შეუმჩნევლად ცვლიდა ყოველივეს, მაგრამ მის ხსოვნაში ერთხელ და სამუდამოდ ჩაბეჭდილი ქერათმიანი ქალიშვილის მარადმოღიმარი, სათნო სახე მოსვენებას არ აძლევდა. უცნაური იყო მისი სიყვარული — ყველაფერი, რაც ქალიშვილს აგონებდა, ისევე საოცრად უყვარდა. შემოდგომის ფოთლებში მის თმას ჭვრეტდა ხოლმე, ცის სიმშვიდეში — თვალებს ხედავდა, დილისა და ზღვის ნათელში — სახეს, მთელი ქალაქი უცნაურ, იდუმალების თანაზიარ, მარადიულ სიყვარულად იქცა მისთვის.

ჟამიჟამ გაუელვებდა, რომ ვეღარასოდეს იხილავდა ქალიშვილს და მაშინვე კაეშანი უმძიმებდა გულს.

დიდი იყო მისი სევდა, ვეება, ქალაქზე და სახელმწიფოზე მეტი, ქვეყნიერების ტოლი.

ერთ დღეს შიშმა შეიპყრო — ნუთუ ეს ყველაფერი მე გადამხდა თავს, სინამდვილეში ვხვდებოდი მას, თუ ყოველივე ყმაწვილური წარმოსახვის შედეგი იყოო. გაბედა მაშინ, საწერ მაგიდას მიუჯდა და წერილი მისწერა სამყაროს.

პირველი ბარათი ორმოცდაათისამ დაწერა:

„შენ, ეი, სამყაროვ, შე ბებერო მატყუარავ, გაქნილო საქმოსანო, ერთხელ მაინც მიჩვენე, სად მალავ მაგ შენს ბედნიერებას?“

წერილებს იგი თავის რომელიმე მტრედს ატანდა ხოლმე და მერე მანამდე უყურებდა ზღვისაკენ გაფრენილ ფრთოსანს, სანამ ის ლურჯ ჰაერში არ ჩაიკარგებოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ მტრედი უბრუნდებოდა პატრონს და მის კითხვაზე — ხომ რიგზეა ყველაფერიო, ღუღუნით პასუხობდა თითქოს — დარდი ნუ გექნება, ბატონო, ყველაფერი ისე მოვიმოქმედე, როგორც შენ დამბარეო.

ასე უგზავნიდა კაცი სამყაროს ერთსა და იმავე შინაარსის ბარათებს ყოველი წლის დამლევს, ზუსტად, ყოველ ოცდათერთმეტ დეკემბერს, მთელი ოცი წლის განმავლობაში.

გააგზავნიდა წერილს და მერე დიდხანს და ამაოდ ელოდა პასუხს. თანდათანობით, წლების განმავლობაში, იმ ზღაპრის გმირს ემსგავსებოდა, რომელიც მზადაა, საკუთარი ხორცით გამოკვებოს თვალმიუწვდენელი, უცნობი ცისკენ აფრენილი ფასკუნჯი.

...გამოხდა ხანი, გადაღალა კაცი მოლოდინმა, თავი მიანება ბარათების წერასაც და, ბოლოს, გადაავიწყდა კიდეც, თუ რას უცდიდა. მთელი დღეების განმავლობაში თავის ოთახის სარკმელთან იჯდა მობუზღული ბერიკაცი და თვალებგამოციებული უაზროდ გადასცქეროდა ზღვას.

ნაადრევი გაზაფხული იდგა, როცა ყველას გასაოცრად, დათოვა. ზღვისპირა ქალაქში, საერთოდ იშვიათად თოვდა, მით უმეტეს, მარტის თვეში. ისე კი, დიდი-დიდი ერთ ღამეს თუ გასტანდა თოვა და ქუჩებსა და სახურავებზე ახლად დაფენილი თოვლი მეორე დღესვე იწყებდა დნობას.

ამჯერად კი, მთელი დღე და ღამე ბარაქიანად ბარდნიდა და მხოლოდ მეორე დღის დამლევს შეწყდა ფიფქთა ცვენა.

დილით ჩვეულებრივზე ადრე ადგა

იგი, ტანთ ჩაიცვა და სახლიდან გასვლის წინ დაიბარა, პურის მოსატანად მივდივარო. კვირაძალი იყო და ჯერ კიდევ ლოგინში მონებივრე სახლეულებმა კარგად ვერ გაიგეს მისი ნათქვამი, მოგვიანებით დაადევნეს ნამძინარევი ხმა — ნუ წახვალ, ჩვენ ვიყიდით პურსო, მაგრამ ის უკვე ეზოდან გადიოდა.

დაფიონი გაფერმკრთალებულიყო. დილა ფაფუკი თოვლით, სუსხითა და დავერცხლილი ჰაერით შეეგება მას. შორიდან, აქა-იქ, ძაღლების ჩახლეჩილი ყეფა მოისმოდა. საკვამურებიდან ამომდინარე ლურჯი ბოლი მშვიდად მისდევდა კაცის თვალთაგან უხილავ გზებს ცისკენ.

დინჯად გაუყვა ვიღაცის მიერ გაკვალულ ქუჩას თავდაღმართზე. პატარა ბიჭივით უფანცქალებდა გული, ფეხსაცმლებქვეშ მოჭრიალე თოვლი როგორც ყოველთვის, ახლაც ბავშვობას აგონებდა.

ფიქრები მოეძალა...

მოულოდნელად, სწორედ იმ ქუჩაზე აღმოჩნდა, სადაც პირველად შეხვდა ქალიშვილს.

შეკრთა, ირგვლივ მიმოიხედა.

იმავე წამს უკაცრიელი ქუჩის გასწვრივ მდგარ მაღალ, თოვლით ტოტებ-ჩამონაბდულ ხეებს შავოსანი ქალი გამოეყო და მისკენ გამოემართა.

კაცს სული შეეგუბა, იცნო იგი — ქერათმიანი ქალიშვილი...

ქალს ისეთი თვალები ჰქონდა, თითქოს ეს-ესაა ანგელოზებს უყურებდაო.

— დილა მშვიდობისა, ხმადაბლა უთხრა ქალმა და გაუღიმა.

ვეღარ შეესტყვა, იდგა და ხმას არ იღებდა, ძრწოლვით შესცქეროდა ქალს.

ქალმა ხელჩანთა გახსნა, იქიდან ქაღალდების შეკვრა ამოიღო და კაცს გადასცა. მისი დანაოჭებული სახიდან ერთხელ კიდევ ამოანათა იმ ჯადოსნურმა ღიმილმა, რომელმაც წამისუმალ კვლავ წარსულში გადახვეწა კაცი.

მერე თავი დახარა შავოსანმა და გზა განაგრძო. მალე ქუჩის ბოლოს, დიდ, თეთრ შენობასთან მდგარ პალმასთან შეჩერდა და ზურგსუკან მოიხედა.

წამის კიდევ ერთი გაელვება და გაქრა ქალი...

თითქოს ხე აკვნესდა... სულის სიღრმემდე შეძრწუნებულ, თვალებად ქცეულ კაცს მოეჩვენა, რომ აკვნესდა ხე. მისმა მზერამ საცნაური სურათი — პალმა და მის გვერდით შავით მოსილი ქალი სამუდამოდ დააჭდო აღგზნებულ გონებას.

მხოლოდ კარგა ხნის მერე გამოერკვა, ათრთოლებული თითებით გახსნა ქაღალდების შეკვრა.

კოხტად დაეცილი, არც მეტი და არც ნაკლები, ზუსტად ოცი წერილი ერთსა და იგივეს იმეორებდა: „შენ, ეი, სამყაროვ, შე ბებერო მატყუარავ, გაქნილო საქმოსანო, ერთხელ მაინც მიჩვენე, სად მალავ მაგ შენს ბედნიერებას?“

შინ დაბრუნებული თავის ოთახში ჩაიკეტა, უმალ საწერ მაგიდას მიუჯდა და ქვედა უჯრის გამოღება სცადა. გაუძალიანდა ოდესღაც ჩარაზული უჯრა. გასაღების მოძებნა არც უცდია, ბებრული ნაბიჯებით ბუხრისაკენ წაფუცხუნდა, რკინის კაუჭი კეტი აიღო, უჯრის ღრიჭოს მოხერხებულად გამოსდო და ფიცარი გამოამტვრია. შემდეგ იქიდან ძველი, ჟამისა და ნესტისაგან ფერშეცვლილი, უფლისა და კაცის, სამყაროსა და ბედნიერების შესახებ ჭაბუკობაში დაწყებული და ბოლომდე დაუწერელი წიგნი ამოიღო, ფურცლებს გაზეთი შემოაცალა და კითხვას შეუდგა.

მთელი დღის განმავლობაში ჩასცქეროდა იისფერი მელნით გადასერილ ფურცლებს, აუჩქარებლად კითხულობდა, ცდილობდა, გარდასულ დღეთა ყოველი წვრილმანი გიეხსენებინა. მოსაღამოვდა, როცა სახლეულებმა მოისაკლისეს. ივახშმეო, სთხოვეს, მან — შუქი ამინთეთ და თავი დამანებეთო, უხეშად მოიგერია. აუნთეს შუქი, ოთახიდან გაილალნენ და კარები მოუხურეს.

მხოლოდ გამთენიისას დაამთავრა კითხვა. რის ვაი-ვაგლახით წამოიმართა

სკამიდან, დაბუჟებული ფეხები გამართა და ოთახში გაიარ-გამოიარა, ცოტა ხანს სარკმელთან იდგა, შემდეგ, სავარძელში ჩაეშვა. შეჭირვებით სუნთქავდა, იჯდა და ფიქრობდა, თეთრად გასხივოსნებულ ფანჯარას გასცქეროდა ნიკაპაძაგძაგებული. როდის-როდის წამოდგა, ბუხარში შეშა შეაწყო, ასანთი მოიძია და მალე ცეცხლი ააგუზგუზა.

ისევ მაგიდას მიუბრუნდა, წიგნის უკანასკნელ, სუფთა ფურცელზე შვეული ხაზი გაავლო და ის-ის იყო ხაზქვეშ წერტილის დასმა დააპირა, სუნთქვა შეეკრა... ძალაუნებურად ფანჯრისაკენ გაიხედა და იხილა, თუ როგორ სწრაფად დაეშვა ზამთრის მზე ღრუბლებზე, ხეებზე და სახლზე დაბლა, როგორ გამოსცდა ფანჯარას და ოთახში შემოსრიალდა სხივების რიალით. მიუახლოვდა მზე მაგიდას, შეჩერდა კაცთან და ისიც რამდენიმე წამში მიხვდა, რომ ჩაუსახლდა მთთელილ სხეულში და სწორედ მის გულში გაიყინა მზე.

მალე მზე კაცის მარჯვენა ხელს ჩამოჰყვა, ქაღალდზე გავლებულ ხაზს ქვემოთ შეჩერდა და წიგნის უკანასკნელ წერტილად იქცა. ხაზი უკვე ძახილის ნიშანს დაემსგავსა, ძახილის ნიშანი კი — შავოსან ქალს, უშორესსა და გაძარცულს.

კაცმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, მაგიდაზე გაბნეული ქაღალდები ხელით მოხვეტა, ბუხართან მიბარბაცდა და ხელნაწერი ცეცხლში შეჰყარა... თვითონ კი იქვე ჩაიკეცა.

აბრიალდა ფურცლები და კაცმა იგრძნო, რომ ქაღალდსა და მელანს თავდაღწეული, გათავისუფლებული სიტყვები უკვე მასში იწყებდნენ ფრენას, მსუბუქად და ლაღად დაფრიალებდნენ, ლბილი, მოლამუნე სითბოთი ავსებდნენ და თანდათანობით მაღლა ეწეოდნენ.

მალე იგი — ბუმბულივით მსუბუქი, ჰაერში აფრიალდა კიდეც, ასცდა სახლის სახურავს, ხეთა კენწეროებს და სადღაც მაღლა, ღრუბლებთან, სწორედ მიწასა და ცას შუა გაიხირა.

კაცი ახლა იმ იდუმალ სიმაღლეზე იმყოფებოდა, როცა ვერც მიწიდან მიუწვდენდა თვალს კაცისშვილი და ვერც უმაღლესი ზეციდან იხილავდა მისი ღმერთი, სიშორის გამო.

ნითელი ხარი

სტანისლავ ლაკობას

ალბათ, ცაში დიდხანს ფრენის გამოა, ასეთი თეთრები რომ არიან, — ფიქრობდა ზღვის პირას, წვრილ კენჭებზე წამოწოლილი იასე და თოლიებს არ აშორებდა თვალს.

თოლიები მოუსვენრად დაწრიალებდნენ ჰაერში, თან გულჯავრიანი ადამიანებივით ხმიანებდნენ. თითქოს სიტყვის თქმას არ აცლიან ერთმანეთსო. ფრთების დგაფუნით ხან მაღლა აიჭრებოდნენ, ხანაც მოწყვეტით ეშვებოდნენ ძირს, ელვისებრად დააცხრებოდნენ ზღვის მოლივლივე, თვალისმომჭრელად მოკაშკაშე ზედაპირს და თუ რომელიმე მათგანს ბედი გაუღიმებდა, იმწამსვე, აშხეფებული წყლის მოციაგე წინწკლების ბადეში ვერცხლისფრად გაიელვებდა ქაფშიაც.

ზღვა ირეკლავდა ფრთოსნებს და იქ, სადაც ისინი ირეოდნენ, წყლის ზედაპირიც ერთიანად ბრუნავდა და ტრიალებდა, ამრავლებდა და ამრავლებდა მათ თეთრ სხეულებს, ხმებსაც ირეკლავდა და თვითონაც გნიასებდა თავდავიწყებით. წყნარი იყო ზღვა და გამჭვირვალე, მდუმარებას მიახლოვებული შრიალით ელამუნებოდა ნაპირს. მშვიდად ირწეოდა დიდრონი, ჭრელი ქვებით მოფენილი, ღილის მოზეიმე მზით განათებული ფსკერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იასემ სანაპიროს გააყოლა თვალი. სიზმართა საუფლოდან უცაბედად შემოფარფატებული ფრინველის სადარი, ვეება, თეთრაფრიანი ხომალდი გაგუმის ყურეში შემოცურებულიყო და ახლა ნელი სვლით უახლოვდებოდა ქალაქის მთავარ ნავსაყუდარს.

მეზღვაურის ცოლივით მუდამ ზღვას მიეცებული გაგუმი მზეზე ნებივრობდა.

ქალაქის დასაწყისში, ჟოენათის ბაღთან, სწორედ სასახლის თავზე, ღრუბლის ორიოდე, აბრეშუმივით ნაზი, მსუბუქი ფთილა მიცურავდა.

იასე უკვე თვლემდა, როცა ვიღაცის ხმამ მოიხმო სასაკლაოდან.

თავს ძალა დაატანა, ძილღვიძილიდან გამოერკვა, მერე ისე გაიზმორა, თითქოს სამყარო ეპატარავაო, ხელები გაფარჩხა, ცა და მიწა გასწი-გამოსწია, წელი აითრია და ფეხქვეშ ზარმაცად აჩხრიალებული კენჭების ხმა თან გაიყოლა.

მთიდან ნახირი ჩამოერეკათ მწყემსებს, სასაკლაოს ეზოში შემოედინათ და თვითონ იქვე, ჭიშკართან დაგორებულ მორებზე ჩამომსხდარიყვნენ სუელის მოსათქმელად.

შორი გზითა და ხვატით მოქანცული, მტვერში ამოგანგლული ძროხები ზანტი, დაბინდული მზერით ათვალიერებდნენ უცნობ გარემოს.

ეზოში ნელი ნაბიჯით შემოსულმა იასემ ხელი მოიჩრდილა და ნახირის შუაგულში მდგარ, უზარმაზარრქებიან, წითელ, ვეება ხარს დააკვირდა. გახევებული ხარი მიწას ჩაჰყურებდა, თითქოს იქ რაღაცას დაეძებსო, სხვა არაფერს აყურადებდა, არც აბეზარ ბუზებს იგერიებდა, შორიახლო აღავლავებულ ძაღლებსაც არ აქცევდა ყურადღებას, იდგა ისე, თითქოს არც რაიმე აქვს საერთო ამ ქვეყანასთან და არც ვინმესთან გასაყოფი. მხოლოდ ეს იყო, რომ ოდნავ შესამჩნევად თრთოდა მისი ძალოვანი, გვიანი შემოდგომის ნეკერჩხალივით ხანძარმოდებული სხეული.

— სად იკარგები, კაცო?! — აუკარა წყენით გადმოსძახეს ყასბებმა.

წაუყრუა იასემ.

ყასბები ჯოხის ქნევითა და მოკლე, ბრაზიანი შეძახილებით მიერეკებოდნენ ძროხებს რეხილისა და ფიჭვის ტოტებით შემორაგული საქონლის სადგომის შუაგულში მდგარი, ჩაყამებული, გრძელი ფარდულისაკენ და სათითაოდ შეჰყავდათ შიგ.

იქიდან კი ჯერ არონის — გოლიათი მეყასბის შემართული შეძახილი მოისმოდა:

— ა — ა — ა — ჰ!

შემდეგ პირუტყვის ბღავილი, ნაჯახის ყრუ დარტყმისა და მიწაზე მძიმე სხეულის დანარცხების ხმა.

ტალახში ალუფხული, ახლად დაღვრილი და ახლად დალეკერტებული სისხლის მლაშე და მქისე სუნი ჯერ უმწეოდ გაწვა მიწაზე, მერე ნელ-ნელა, მალვით გამოეონა ფარდულიდან, ზღვის ნიავს ჩაეკრა, შეუზავდა, მის ფრთებს შეენივთა, აფარფატდა მაღლა და სადგომის მოფლეშილი კარის წირთხლს მიყრდნობილ იასემდე მიაღწია.

სახე მოექუფრა იასეს, ტანში გააჟრჟოლა, თექის ქუდი თავიდან წაიძრო და ცხვირ-პირზე აიფარა...

ხარის ჯერმაც მოაწია.

იგი მორჩილად დაიძრა ადგილიდან და, ფარდულში შესვლისას, უნებურად იასესაკენ გაიხედა.

გახევდა მეზორცე — ღვარღვარით ჩამოსდიოდა ცრემლები ადამიანისთვალება ცხოველს.

ხმა უკანასკნელად რომ გაიგონა ხარმა, არონის შეძახილი იყო:

— ა — ა — ა — ჰ!..

საღამომდე შეუსვენებლივ იშრომა იასემ, კვეთა და ჩეხა, ანაკუწა თავქვეჩამოკიდებული საქონლის ხორცი. ოფლი ხვითქად გადასდიოდა ტანზე, კუნთები დაებერა, დაეძაგრა, მერქანივით გაუმკვრივდა მკლავები. ცქაფად ფატრავდნენ ფარდულის ერთადერთი სარკმლიდან შემოპარულ შუქზე ალაპლაპებული, ფართო და გრძელი, ახლად

მოპირული დანები ძროხების ფაშვს, ჯერ ცერად ჩამოუყვებოდნენ, სისინით ჩამოსერავდნენ ქე'შელა მუცელს, შემდეგ კი სანახევროდ ჯიგარში ჩაძირულები სულსწრაფი სიხარბით ასრიალდებოდნენ სხეულზე.

ნაწილდებოდა ორთქლამომდინარი შიგნეული, ფილტვ-გულ-ღვიძლი და თირკმლები უზარმაზარ, სქელი ფიცრებისაგან დაჭედილ ყუთში იყრებოდა, ეზოში ნაწლავების ყოველ გატანაზე ერთბაშად ყუჩდებოდა სასალახოს ძაღლთა მოუთმენელი წკავწკავი. ფხრეწით შორდებოდა ტყავი ხორცს, ყრუ ტკაცანით იხსნებოდა სახსრები შუაში, ჭახანით იმსხვრეოდა ძვლები, იმტვრეოდა ხერხემალი, ისხიპებოდა კიდურები, ტკრციალით სკდებოდა სისხლძარღვები. შეწყობილად, ხმიანებდა ნაჯახები.

რუხ ლაფად ქცეული, მიწაში აზელილი სისხლი და ფუნა, სახე და ფეხებდაფიქვნებული მეხორცეების სქელლანჩიან ჩექმებქვეშ ჭყაპუნობდა.

საქონლის თავები რკინის უზარმაზარ, ჟანგისაგან სანახევროდ დახურულ ყუთში იყრებოდა. სიმშვიდედაუფლებული, თვალდაწკურული, ტვინდანთხეული და დასისხლიანებული თავები, რომელთა სხეულებად უკვე სიცარიელეა ქცეულიყო, უსამანო და აღუვსებელი, ჩამოსისხლიანებული რქებითა და დასისხლიანებული შუბლებით. დასისხლიანებული კისრებით ეკვრნდნენ ერთმანეთს და ცოტა ხანში სხვა, ახლად ჩაყრილი თავების გროვაში იმარხებოდნენ.

დანაწილდა კიდურები და მკერდი, ზურგი და ნეკნები, დაიყო, დანაწევრდა, დალაგდა და ბოლოს, ყველაფერმა ერთად მოიყარა თავი კედლების გაყოლებით ჩამწკრივებულ მაგიდებზე. ხორცის უკანასკნელი ნაჭერიც მოშორდა ჭერზე ჩამოკონწიალებულ კაუჭს და ისიც თავისუფლად შეირხა, ღრეჭიალით. სისხლის უკანასკნელი წვეთიც გამოსრიალდა ქონით გაპოხილ ფიცარზე, გაიკლაკნა, მოსწყდა მაგიდას და გაქრა წუნწუხში.

ხორცით დამძიმდა მაგიდები, ხორცის ზვინებმა ლამის ჩამოშავებულ ჭერს უწია, გაიჭედა იქაურობა ხორცით, და, როცა გაუსაძლისმა სუნმა მთლიანად დაიპყრო შენობა, გასრულდა კიდეც ყასაბთა საქმე.

გარეთ გამოიალნენ სიქაგაცლილი სალახები, დინჯად მოიჯახუნეს კარები, ხარბად ჩაყლაპეს ჰაერი და ზღვას გახედეს. ღრუბლებმოჭარბებული ცის კიდურიდან ჟოლოსფერი, ბაბაფწვერას ბუმბულივით მსუბუქი მზის შუქი ანათებდა ქვეყნიერებას...

შემდეგ კარგა ხანს ჭუუმპალაობდნენ, დაცურავდნენ მეხორცეები ზღვაში, გულდაგულ იშორებდნენ სისხლის ლაქებს. ზიზზლსა და მწვირეს, იცინოდნენ, და ხუმრობდნენ, ერთმანეთს აშხეფებდნენ წყალს.

მოალერსე ზღვა კვლავ ძალითა და მხნეობით აღავსებდა მათ, ავიწყებდა დაღლას და ისინიც თანდათანობით მსუბუქდებოდნენ, სხეული მარილიანი წყალივით ლბილი უხდებოდათ.

ზღვა კვლავ წყნარი იყო და თბილი, სწორედ ისეთი, როგორც დილით...

მალე ჟინჟღლვა დაიწყო.

იასემ ქალაქს გახედა. აფრებჩამოშვებული ხომალდი ნავსადგურში ირწეოდა. ის უფრო მოწითალო აგურით ნაგებ, დიდსა და მოგრძო, ლამაზ შენობას ჩამოჰგავდა, ვიდრე უცხო ფრინველს.

ის დრო იყო, როცა ცრიატი დღის მწუხრი იერს უცვლის მიდამოს და ჩამოქუფრული, ღრუბლებდაგრაგნილი ზეცის ფერი ეძალება ხმელეთსაც და ზღვასაც.

დედიშობილა ყასბები ხორხოცით შეცვივდნენ ფარდულის მახლობლად გამართულ საჩრდილობელში, ტანისამოსი გადაიცვეს, მერე ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილები სასაკლაოს ჭიშკრისაკენ გაიკრიფნენ, თან გზადაგზა ხელის აწევითა და ხმამაღალი გადაძახილებით ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს.

იასემ ფეხი აითრია, ჯერ შარვალ-ხალათის ფერთხვა გააჯანჯლა, მერე —

ჩაცმა. შეუმჩნევლად ჩამორჩა ამხანაგებს და ოცა ისინი კარგა მანძილით დაშორდნენ, ფარდულისაკენ გაემართა. ბოქლომდადებულ კარს გვერდი აუარა და ზღვის მხრიდან გაუყვა კედელს. ერთ ადგილას შეჩერდა, ირგვლივ გიფაციცებით მიმოიხედა. შემდეგ ნაჩქარევად ჩაიჩოქა, ხელის ცეცებით მოძებნა ღრიჭო, რომელიღაც ფიცარი განზე გასწია და ხელი ღრმად შეჰყო ფარდულში, ელვისუმალ საქონლის ნეკნების მოზრდილი ნაჭერი გამოათრია იქიდან, წამოიწია, წაკუზულმა ხორცი ზურგზე მოხერხებულად დაიფინა, შემდეგ წვრილი თოკი შემოავლო, მაგრად მოუჭირა, კიდევ რამდენიმეჯერ გადაატარა თოკი ხორცზე, ბოლო მოუკვანძა, წელში გასწორდა, ღრმად ჩაისუნთქა და შემდეგ უკვე აუჩქარებლად გადაიფარა ჯვალოს ტომარა თავზე. ტომარა ფართო იყო და გრძელი, ზურგსაც უფარავდა და გულმკერდსაც. იასემ ისევ მიმოაცეცა მზერა და გასასვლელისაკენ გასწია.

წვიმა ძლიერდებოდა.

როგორც კი საქონლის სადგომს გამოსცდა, უცხო ხალხი შეამჩნია ჭიშკართან: ათისთავი, სამი ჯარისკაცი და კიდევ ორი ქვეშისფერტანსაცმლიანი კაცი.

„საპყრობილეს ხალხი!“ — გაუელვა მას.

ისინი მეხორცეებს ჩხრეკდნენ, ვინმე ხორცს ხომ არ იპარავსო.

შეჩერდა იასე.

უკან დაბრუნება დაგვიანებული იყო, მიუხვდებოდნენ, თანაც ეჩვენებოდა, რომ ათისთავი თვალს არ აშორებდა.

ფეხათრევით გაუყვა გზას.

ჯარისკაცებმა მენაგვე ქალი შეაჩერეს, კალათა გაუსინჯეს, რაღაც გაიხუმრეს და რამდენიმე წამით მათმა ხორხოცმა დაიპყრო სასაკლაო.

ქვეშისფერტანსაცმლიანებმა კი, ამასობაში, სამი ყასაბი გაჩხრიკეს, ლაბადები გაახდევინეს და დაკვირვებით აათვალიერ-ჩაათვალიერეს.

იასემ იგრძნო, როგორ ათრთოლდა მის ბეჭებზე საქონლის ხორცი, როგორ აძაგძაგდა უცხო სხეულის ნაფლეთი. გათბა და თანდათანობით გავარვარდა. სიმხურვალე ჩაეღვენთა მთელს ტანში, უხილავი, აზავთებული ცეცხლი უხმოდ, ტალღასავით ჩამოუყვა ზურგიდან ფეხებს, მერე თითქოს იქ მიწას შეემსხვრაო, დაყოვნდა, ელვის სისწრაფით მისხალ-მისხალ შეაკოწიწა, შეკონა თავისივე მიმობნეული ნაპერწკლები, ძალა მოიკრიბა, უკან გამოგიზგიზდა და აუხაშხაშდა სახე.

რომელიღაც ზღაპრული არსება მშვიდად, ჯოჯოხეთური გულგრილობით უჭერდა ზურგზე მარწუხებს.

სუნთქვა შეეკრა, ოფლმა დაასხა, წამით თვალთ დაუბნელდა, გახევდა ადგილზე.

ხელებზე დაიხედა, კანი წითლად აფორაჯებოდა და ერთიანად უხურდა. უცებ... ხარი გაახსენდა, წითელი ხარი, მისი მზერა ამოუტივტივდა თვალწინ, საიდანღაც, სასაკლაოს მომიჯნავე ტყიდან თუ ჩამოდაბლებული ლეგა ღრუბლებიდან ამოშუქდა ხარის თვალები. ნელ-ნელა მიცურავდნენ ცაზე თვალები, მაღლა და მაღლა მიიწევდნენ. იასემ თავი ასწია, მზერა ააყოლა საოცარ ჩვენებას, თითქოს მთელი საათი უყურებდა, ისე ეტკინა მოღრეცილი კისერი.

მიხვდა ანაზდად, რომ ხარის, სწორედ, იმ წითელი ხარის ნეკნები ეკვროდა ასე და ცახცახებდა მის ბეჭებზე. ისიც კი იგრძნო, როგორ ჩამოუყვა და ჩაეზარდა ხარის სისხლძარღვები მისას, ძვლებიც როგორ ჩაეკირა მის ძვლებს, ხორციც როგორ შეეძერწა მის ხორცს და ხარის სისხლიც, ძალუმი და ველური, როგორ აღზევდა და ამხუილდა მის ძარღვებში.

ყოველი კუნთი დაეძაგრა და ყოველი ნერვი დაეჭიმა სიმივით.

მეტის მოთმენა ვეღარ შეიძლო, ადგილს მოსწყდა და გასასვლელისაკენ გაქანდა.

ლაღად გარბოდა, მსუბუქად, წამიერ ბავშვობის ის დღე მოაგონდა, როცა გაბედა და ნავსადგურის მოაჯირიდან პირველად ისკუპა ლაჟვარდოვან წყალში.

უცებ ჩლიქები ერთმანეთს მიჯრილ,

ფართო და წვეტიან ქვებზე დაუსხლტა, მაგრამ მოახერხა თავის შეკავება, დაიცვა წონასწორობა და ცქაფად გაიჭრა ხის უზარმაზარი ჭიშკრისაკენ.

მიქროდა იგი თავდახრილი, სულში სიშმაგეჩამდგარი და სწრაფად უახლოვდებოდა გასასვლელთან შეკუჭულ ხალხს.

ქვეშისფერტანსაცმლიანებმა ვერც გაკვირვება მოასწრეს და ვერც დაყვირება, ანგარიშმიუცემლად ისკუპეს განზე. მათ უკან მდგარი ათისთავი, ჯარისკაცები და რამდენიმე მეხორცე სასოწარკვეთილი კივილით მიმოიფანტნენ. ზოგი ფარდულისაკენ გაიძურწა, ზოგი იქვე მდგარ ხეებს მიეკუჭკა...

მთელი ძალით შეასკდა ჭიშკარს აზავთებული სხეული, დარტყმის ხმა ელვასავით აიჭრა მაღლა, თავი გააღწია წვიმას, გამოარღვია ღრუბლები, ცის მიღმა გადაიკარგა და მერე უმალ დაუბრუნდა მიწას, დაუბრუნდა და გაქრა მაშინვე, თითქოს არც არასდროს არსებულიყო. ჩამოვარდნილ სიჩუმეში მოტეხილმა რქამ გაადინა ქვაზე რაკუნი.

უკან გამოშლიგინდა თვალებაპრიალებული, ერთადერთი რქით მიწა გაჩხვერა, მერე თავი ასწია და ზეცას შებღავლა, საზარლად შებღავლა, გააფთრებით, შეატორტმანა სასაკლაო და ისევ ჩაიყენა მუხლებში ქარიშხალი...

ეზოში მყოფთა თვალწინ კვლავ ჭიშკრისაკენ გაბრიალდა ძროწოლის მომგვრელი, მძვინვარებადქცეული წითელი ფერი, ააციმციმა მწუხრი და ჩამოჩუმებული წვიმა უცნაური, ძოწისფერი სხივებით.

თითქმის ხეების სიმაღლეზე ტყორცნიდა ტალახს მისი ჩლიქები, კუდი დაუზოგავად როზგავდა ჰაერს, ნაპერწკლებს ყრიდა თვალები, დგანდგარებდა მის ქვეშ მიწა.

მეორე დარტყმისას თავბრუ დაესხა და წინა ფეხებით ჩაიჩოქა. შეირყა ჭიშკარი, მძიმედ გაჟღრიალდა ანჯამებიანი კინაღამ ჩამოექცა ჭიშკარს ცალი ფრთა, მაგრამ გაუძლეს ერთმანეთს ჩადუღაბებულმა ძელებმა და ფიცრებმა, ლურსმნებმა და ჯაჭვმა ხარს გაუძლეს და კვლავ შეიმართნენ საბრძოლველად, შემტკიცდნენ უფრო.

მას კი სისხლი წამოსკდა გადაყვლეფილი მუხლის თავებიდან, თუმცა ტკივილი არ უგრძვნია. სისხლი უმალ შეერია გაძლიერებულ წვიმას და იქვე, მომცარო გუბე ჩაწოთლა. ცოტა ხანს კიდევ იყო ასე, ტალახში დრუნჩჩარგული, სუნთქვაგახშირებული, შემდეგ წამოიწია, ჯერ ერთ, მერე მეორე ფეხზე წამოდგა და კვლავ დაიბუბუნა, გულმოსულად დაიბუბუნა, გოდებასავით.

თავსხმა წვიმა პატარ-პატარა ღვარებად ჩამოსდიოდა სხეულზე.

იდგა და ძაგძაგებდა, მერე თავი აიღერა, გვერდით გაიწია და ღობეს დაუწყო თვალთვალი...

— ვის გაექცა?!. ვის?!. დედას გიტირებთ, ბრიყვებო!.. — ღრიალებდა ათისთავი.

— არონ!.. — უხმობდა ვიღაც არონს.

— არონ!.. — კიჟინებდნენ ფარდულს თავშეფარებული მეხორცეები.

ის-ის იყო, ღობისაკენ დაეპირა გაქცევა, რომ კვლავ ათისთავის ყვირილი მოესმა:

— გაიქცევა!.. ჩქარა!.. გზა მოუჭერით!..

იმავე წამს მარჯვედ ნასროლმა, რქაზე ჩამოცმულმა ქამანდმა მიწას დაანარცხა. ამოუყირავდა სამყარო. დედამიწა ზურგზე მოექცა, ღრუბლები — ფეხქვეშ...

...რაც უკანასკნელად იხილა, სველი ციდან ელვასავით ჩამოფრენილი ნაჯახი იყო.

.:. რაც უკანასკნელად გაიგონა, იყო არონის მეხისებური:

— ა ა — ა — ჰ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი სიტყვა

ზოგჯერ ძარღვებს ამიჩქროლებს
უცნაური განცდა,
სიტყვა თავზე დამაცხრება,
ვით მშიერი ძერა,
და, ვით მუჭში მომწყვდეული
ჩიტის გულის ფანცქალს,
ისე ვიგრძნობ უცაბედად
ლექსის გულის ძგერას.
ის კი წავა ფრინველივით
მაღლა ფრენა-ფრენით,
გადაუვლის ხრიოკ მინდვრებს,
ღედე-ღუდეს, ხევნარს,
და თუ ვინმეს დაატყვევებს,
მადლით, ხმით და ფერით,
სათითაოდ დაუწყებენ
ნიავივით ხვევნას.
ის კი იფრენს,
ისე, როგორც ნისლი ცვალებადი,
თან წაიღებს უკითხავად
ჩემი გულის ნაწილს,
ამევსება თვალდაღრუბლულს
გული მწარე დარდით,
ის კი წავა, არ იკითხავს
ვცხონდი ან თუ წავწყმდი!
ის კი იფრენს,
სიყვარულის თესლს გზადაგზა
ჩაფლავს,
კესანეს და ვარდკაჭკაჭას
ჩაეღვრება თაფლად,
ერთს კი ვდარდობ,
მისი წასვლა თუმც ბუდიდან არ
მწყინს,
ვის აირჩევს თანამგზავრად,
ჩიორას თუ არწივს!
თუ ჩემს სიტყვას
ჩემი ხალხი არ გაატანს ძერას,
თუ გულები დაუწყვილეს
ჩემი გულის ძგერას,
უფალს ვმადლი:
იგრძნობთ თუ კი ჩემს ფიქრებს და
განცდას,
როგორც მუჭში გამომწყვდეულ
ჩიტის გულის ფანცქალს!

ვ ი ც ი...

ვიცი, რა ძალამ შეინახა
ცა და ხმელეთი,
რად გაიცოცხლა მეათასედ
თავი თავთავმა,
რად მოსდიოდა
მძინარე ვაზს
ელეთ-მელეთი.
ყორანმა ფრთები
თბილისთან რად დაიკალთავა!
რატომ მღეროდა
უზღვავ დარდში
შილდა, ართანა!
ვიცი, ეს მიწა
რაც კი ხნის არი,
რომ იყო სხვისი ნაოხარი
და ნასხვისარი.
მაგრამ ჩემს მთვარეს
სამარცხვინო
არ აზის ლაქა,
მთანი მაღალნი
ვერა ხელმა
ვერ გასილაქა.
სიმაღლეც გვქონდა
მკლავიც გვქონდა
ჩვენ უტყუარი
და არც აროდის
არ ვყოფილვართ
მტერთან მტყუანი!
ვიცი, ყორანმა
თბილისთან რად დაიკალთავა,
რად გაიცოცხლა
მეათასედ თავი თავთავმა,
რატომ მღეროდა
უზღვავ დარდში
შილდა, ართანა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვობაში

ცისარტყელა
სამოთხეში გადებული ხიდია,
ბავშვობაში
გავდიოდი ზედ,
ახლა ყველა
ხიდი ბეწვზე ჰკიდია.
უწინდელი შეუცვლია ზნე.

გზა ვიცოდი
უკვდავების წყაროსი,
ფეხზე ვცნობდი
უკვდავების წყალს,
გზა ჩახრამა
ახლა ავმა ტაროსმა,
იმ წყაროსი
აღარავის სწამს.

ბავშვობაში
დავდიოდი ზღვის პირას
და სიცოცხლეს
ზღვას ვანდობდი ბედს,
და, როდესაც
უსაშველოდ მიჭირდა,
ოქროს თევზი
მწევდა ხოლმე ბედს.

მე ბუნებას
ვკითხულობდი დედაში,
შევხაროდი
ველს დაწინწკლულ ჩითს,
ვაღმებდი ჩიტუნების
დევნაში,
წავწყდომოდი
რომ სამოთხის ჩიტს.

ვერ ვიპოვე
ვერსად ჩემი ედემი,
არც იმედი
აღარ არის ხსნის,
უმფარველო,
ღობე-ყორეს ვედები
და ყველაფერს
ბედისწერით ვხსნი!

რადგან ბედი
მე არ მეფოლორცება,
ვერ ვიპოვი
ვერც სამოთხის ხიდს,
არასოდეს ამიხდება ოცნება,
ასეთია რადგან ნება ღვთის.

თიანეთში მეგულება ქმა

ალაზა ხაიაურს

თქვენს სიყვარულს
მხრებით ვეღარ ვძრავ!
დგანან მთები
მტრისთვის ხანჯლად წამახული,
თიანეთში მეგულება ქმა
საქართველოს სიყვარულში
დამარხული.
მე, როდესაც
დარდებს ვეღარ ვძრავ,
მომანატრებს სიკვდილს
ვინმე, მატაოცი,
სულის მოთქმა მჭირდება და ხსნა,
მოვალ შენთან,
რომ სიწმინდით გამაოცო.
გადმოვივლი საბადურის ტყით
და ყველა ხეს სათითაოდ ვესალმები,
მზემ ფოთლები გადაღება მზით
და ხეებზე გამოფინა მზემ ალმები.
გამოიტან ხის სამფეხა სკამს,
გულს გადავშლი,
ვერ ვიკადრებ შენს არ ნდობას,
ყველას ვისი ნახვის ნატვრაც გვკლავს,
წერილივით გავუგზავნით შესანდობარს.
მოიგონებთ მოსაგონარს ბევრს,
მეც გიამბობ, გავიხსენებ
რასაც უცებ,
და იმ დღეებს,
როგორც ჩამქრალ ბრებს,
სადღაც გულის კუნჭულებში
ავაბჟუტებთ,
ვადღეგრძელებთ
ხმელ წიფელს და თრიმლს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ხმამაღლა
ვამბობთ სათქმელს უნებართვოს
და თავს ძალზე ბედნიერად ვთვლით,
რადგან ვამბობთ
იმას, რასაც გუნება გვთხოვს.
შინ ვბრუნდები,
სიყვარულს ვერ ვძრავ,
აღარა ვარ
არც მშიერი, არც მარხული,
რადგან მთაში მეგულება ძმა
საქართველოს სიყვარულში
დამარხული!

თუ ჩემს ხსოვნაში

თუ ჩემს ოჯახში
სტუმრის ფეხის ხმა მიწყდა,
მიჯობს საფლავში
ვიწვე, ვეყარო მიწად,
ჩემთვის, დის ცრემლი
თუა უბრალო წყალი,
მაშინ უფალი
ჩემზე ყოფილა მწყრალი.
თუ დიდ გვალვაში
წვიმას არ ჩავთვლი
მხსნელად,
წყალობად არ ვთვლი
ხის და ნიავის ხვევნას
ნამში, ფოთოლში
თუ მე შენს ჩურჩულს
არ ვცნობ,
ხსოვნას გულისას
თუ გავაყოლებ ღვარცოფს!
ჯობს სამარეში
ვიწვე, მეყაროს მიწა,
თუ ჩემს ხსოვნაში
შენი ფეხის ხმა მიწყდა!

ფევხარ სიბნელით შემოციხული

დაბილიკებულ გზებით მოდის
ჩემსკენ აპრილი,
მიწიდან ამოღოღდნენ
ჭიანჭველები,
გამოიღვიძა, ძილმღვიძარე
ღიღილომ, მღილმა,
და სხივჩამდგარი
დედამიწა მოაპატარძლა.

შენ რაღა გინდა
ცივ მიწაში უსიყვარულოდ,
შენს სიყვარულში
წილს ვერ დავიდებ,
ჩემი ამბორი, შემცივნებულს
ვეღარ გაგათბობს,
უწინდებურად
შენზე ვეღარ ვიეჭვიანებ!
რადგან ჩემს ნაცვლად დაგეკონა
სიკვდილი გულზე.

ვაჲ, რა ცუდად გაგიდილავდა!
კვლავ სიხარულის ჩასხივება
მინავლულ თვალებს
არ ეღირსებათ,
რადგან დარდმა
თავზესაყრელმა,
გაგიპირბნელა
ცა — ლაჟვარდი, ფერადოვანი,
ყომრალი ჭერის შემაცქერალი
წევხარ სიბნელით შემოციხული.
გადაჩრდილულა
დვიწყების — ნაპირ-ყურეში,
ყოველი შენი ნატვრათაგანი.
აღარ ვარსებობთ საერთმანეთოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ გიპოვია უკაცური,
მყუდრო კუნძული,
სულ მანდ იქნები,
მოთმინებით დამიცდი, როგორც
დიდიხნის წინად
პაემანზე მიცდიდი ხოლმე,
მე დავადგები
იმ გზა-ბილიკს გულდანდობილად,
რადგანაც, სხვა გზა
არ არსებობს
ერთი გზის მეტი,
მაგრამ, არ ვიცი,
იცი თუ არა?
რომ მე სიცოცხლეს
მიადვილებს
ეს მოლოდინი!

მე ვიცნობ ამ თვალებს

მოფრინდა უკლებლივ
მერცხალი, ტოროლა,
წავიდნენ ღრუბლები
სულ თითო-ოროლად.
დღე დღეებს მიება,
თვე დადგა ხანმოკლე,
მიწიდან იები
ერთბაშად ამოსკდნენ.
მოვიდნენ, ჩუმჩუმად
მოედვნენ ფერდობებს,
თუმც თვალებუუუნა
იები ვერ მცნობენ.
ვემხობი მიწაზე
და ვკოცნი იმ თვალებს,
ერთ დროს რომ ვიწამე,
ერთ დროს რომ მიყვარდნენ.
მე ვიცნობ ამ ცრემლებს
დაკიდულს წამწამთან,
ვიცი, ვით გაწამდა
მოშხამა წამთა სვლამ.
საწუთროს ვერმცოდნე
არაფრის შემცოდე,
ვტირი, რომ იები
ჩემს თვალებს ვერ ცნობენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა

კეტი კვერთხივით გიპყრია ხელში,
მრისხანედ უმზერ დანისლულ სივრცეს.
დგახარ კერპივით ქვეყნიურ ხვედრში,
სატანა ბნელში საფეთქლებს ისრეს.

უკაცრიელი დახვალ ჯალაბში,
შორეთში უსმენ ზვავების ქუხილს,
საწუთროების ტანჯვა-ხანძარში
გფარავდა ძალა სიტყვის და უფლის.

ჩამოგახიეს თვალი დევებმა,
სული კი მაინც მიარღვევს ლოდებს.
ცად გადიქროლეს ამორძალებმა,
მზე იფატრება იახსრის გორზე.

ნისლში ლანდივით მოდგა ალუდა,
სანთლად უნთია მუცალის მკლავი.
თოვლიან ველზე მგელი აყმუვლდა,
შურთხმა დარეკა ლაშარის ჯვარში.

ხოლო შენ უხმობ ზეციერ სოფელს,
დაშრეტილია მინდიას ცრემლი.
იდუმლად უჭვრეტ ბიბლიურ
მპყრობელს,
სატანას გესლავს გრძნეული გველი.

უეცრად ზარმა დარეკა გუდანს,
კეტი გიბრწყინავს ხელში
კვერთხივით
უტყვად განაგებ სამყაროს ბრუნვას
და შერისხული დგახარ კერპივით.

ხილვა

ისევ ირწევა სიზმრად წარსული
და სულიც ისევ მტეხავს ქნარივით.
ცრემლში უქმდება დღე დათარსული,
ზღვადგადაკარგულ უძღებ ქმარივით.

წამით მირაჟი ინთება ბნელი:
ზღვაზე ნისლია, ცრის ნავსადგურში.
ცივ ხმელეთს სტოვებს დაღლილი გემი
და მიჰყავს მგზავრი თბილ
გაზაფხულში.

უხმობს თოლია უხსოვარ ზღაპარს,
ზმანებას მოჰგავს სველი ქუჩები.

ყამიდან ყამზე ვკითხულობ ბალზაკს,
ყამიდან ყამზე ღვინით ვბრუვდები.

ათოვს დუმილი სფინქსს და ბრინჯაოს,
ნისლი იდუმალ ღამეს მიმზადებს.
ნაცნობ ბოშასთან ბავშვი მკითხაობს
და ბედისწერა ამსხვრევს ცის თაღებს.

მე ვიცინოდი, ვიღაც სტიროდა
და სიჭაბუკეც ხტოდა კვიცივით.
ახლა დავდივარ როგორც იოტა,
ახლა სატანა კვდება სიცილით.

მიდიხარ...

მიდიხარ, გხედავ: თავჩახრილი და
ნაღვლიანი,
მიდიხარ უბრად, ხელში ფუთით,
თვალზე ცრემლებით.
მინდვრებში ქარი გატრიალებს და
ლანდიანი
ირიბი მთები მოგყვებიან ჩუმი
ვედრებით:

„ნუთუ აპრილშიც მოვიდა თოვლი,
ნუთუ დასცვივდა ყვავილი რტოებს.
ნუთუ მოფრინდა ფრინველი გლოვის
და მიგვატოვე?!

შენ არ გვიმზერდი ცისფერი მზერით?
ცისფერი ფრთებით საით გაფრინდი.
საით მიდიხარ იდუმალ გზნებით,
მოდი, დაბრუნდი!..“

შენ კი მიდიხარ თვალზე ცრემლით და
დარდიანი,
მიდიხარ მარტო, ტანზე გმოსავს
თეთრი სუდარა.

სიცისფერეში თავშალს გიქნევს შორს
მარადი,
მიდიხარ ჩუმად და არ გესმის მთების
მუდარა.

კერპთთაყვანისმცემლები

თენდება. ველზე კერპმა იქუხა,
აჰა, მოზიდეს სამსხვერპლო შეშა.
აზიდა ხელი ცისკენ ქურუმმა
და საიდუმლო ღაღადი შეწყდა.

ავარდა ალი, მიწყდა ყრანტალიც,
სუფევს სიჩუმე სამაროვანი.
მოჰყავთ ზვარაკი ბარბაც-ბარბაცით,
გიზგიზებს ცეცხლი სამენოვანი.

მზემ ნაპრალებში დაიწყო სუნთქვა,
ქადაგიც იწყებს სამსხვერპლო როკვას.
მსხვერპლშემწირველნი უჭვრეტენ
ქუშად
ზვარაკს. ზვარაკი აღავლენს ლოცვას.

მთვარე ილევა, ელვარებს ცეცხლი,
ზვარაკმა ჩუმად შეწყვიტა გლოვა.
თვალდაპყრობილი ბოლავს და კერპი
იდუმლად უხმობს სამსხვერპლო მონას.

მძიმედ აზიდა ხელი ქურუმმა,
ზვარაკი მშვიდად ეშვება ცეცხლში.
სადღაც დაიმსხვრა ტაძრის ჩუქურთმა
და უმალ გაჰქრა ცრემლი ეთერში.

კერპმა იქუხა, ზეცა განმეხა,
იწყეს ღაღადი ყვავთა ყრანტალში.
ქურუმი ძრწოლით მიწას განერთხა,
ზვარაკის სული აფრინდა ცაში.

ეჭსოტრია

აჰა, შორდები ცილს და ავ ენებს,
ფეხშეუმოსი, ჯვარით, სანთლებით.
ძეგლებზე ყვითელ საბნებს აფენენ,
ათასი ჯურის ნაიარევით.

სულს ელანდება ალაგი ბერის
და შეცოდება მიგაქვს ფლასებით.
მოგდევდა ლანდი ალიგიერის
და უფსკრულებზე მილასლასებდი.

შეუცნობელი ქრება სიზმარი,
ღვიძილიც ქრება შეუცნობელი.
წყვდიადში უქმად დადის მისანი
და დაჰქრის ქარი ცრემლით, გოდებით.

მთვარე გაამხელს ჯვარცმის სინანულს
და ჩუმ ვედრებას ქარი აბრუებს.
ცრემლი შერჩებათ ფრესკებს
მინამქრულს,
შენ კი — უძველეს მტკვარიანელებს.

პოეტი

ოთარ მამფორიას

ცივ სარკოფაგში უტყვად ეძინა,
სარკმელში კრთოდა ფერმკრთალი
ლანდი,
გარდაცვალებულს კვლავ მიეფინა
გამოუცნობი ჭმუნვა და დარდი.

ალბათ ის ხედავს უხსოვარ ჩრდილებს,
მზის მოლანდებებს
პირველდროინდელს.

ის უსმენს რიჟრაჟს და მწუხრის
წირვებს
და ეურჩება გველს და მორიელს.

ეგებ იხსენებს, რომ იყო ვიღაც,
რომ იყო რაღაც, რომ იყო სადღაც.
ახლა წამებით მიიკვლევს წყვდიადს,
მიითრევს ბილიკს დამრეცს და
ბარბაცს.

ხრიოკი ხევი, დახრული ქვები,
სიცხე და სისხლი, მხრჩოლავი ცეცხლი.
ჟანგი და მტვერი, დაშლილი ძვლები
და თავისჭალის ხორხოცი ნელი.

გარბის ცახცახით, ეს რა ბნელია
ჟამი და მისი გრძნეული ბოლი.
იქნება აქაც ცოდვის მსხვერპლია,
იქნება აქაც გზა უძევს შორი.

●

შენ ამა სოფლის იყავი მგზავრი,
შენც მოწყენილი გზა გაიარე.
შენ სასწაული იყავი ბავშვი
და უცხო სოფლად გარდაიცვალე.

იქნებ იქ გესმის შრიალი ვერხვის
და გამყივანი ხმა წეროების.
იქნებ მედეას გიფარავს კვერთხი
და ზეთისხილის გშვენის რტოები.

იქნებ დაბრუნდი შენს ჰელადაში,
ზღვის პირას დგახარ და კენჭებს ისვრი.
აქ ქუთაისში, ძველ ხელადაში
დრო შენი ხსოვნის ნაპერწკლებს
ითვლის.

ᲣᲠᲛᲐᲜᲘ ᲙᲝᲚᲐᲔᲚᲜᲘ

ოდეს სიბნელე ჩაწვება ხევში,
მიეძინებათ ფერშეცვლილ ჩრდილებს.
ცოდვის დედანი სანთლებით ხელში
ჩოქვით ეძებენ ჩაქოლილ შვილებს.

ხოლო მამანი ველად დაძრწიან,
მგლებს არისხებენ მძვინვარე თვალებს.
ხედავენ: ყრმანი მარცვლეულს მკიან
და პურის თავთავს უწვდიან მამებს.

გვირილებისგან გვირგვინებს წნავენ,
თავზე ადკამენ მონანულ დედებს.

სისხლში სტოვებენ უმანკო გვამებს
და მიჰყვებიან ღვთაებრივ გედებს.

ლოდებქვეშ სისხლი გალობს
ღვთიერთა,
პერგამენტებიც სწუხან ღამეში.
არ წყდება გლოვა სალმობიერთა
და სინანული ღრმა კოლაᲔში.

ჩამოივლიან მწუხრის ჟამისას,
დაარისხებენ მდუმარე ზარებს.
მოელანდებათ ძენი ღამისა
და მუხლს უყრიან ყრმა ქრისტიანებს.

●

ჟამი გაქვავდა ლოდინში უქმად,
სიკვდილი მზვერავს გულგრილი
თვალით.
ცხოვრება მიდის ეფემერულად,
ქრება სიცოცხლე, ქუში და თალხი.

და ოდეს მოვალ ჟამით გახრული,
ძვალგაღუნული სამარის ლოდით.
შემინდე, შვილო, შენით ჯვარცმული
და ერთად ვიყოთ სამარადისოდ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიტოვებული ბინა

გრიგოლ რობაქიძეს

დუმილი და სიცხე ამძიმებს მზის
ქალაქს,
ჩრდილების სინოტივე ყორეზე
დაცოცავს.
დაღლილი იმზირება სარკმელში თავის
ქალა
და ითვლის ქუჩებში ქვაფენილს
ასწლოვანს.

სდუმს ფორტეპიანო. თეთრი
სპილოებიც
თვლემენ თავჩახრილნი დუმილში და
მტვერში.
ალმჯდარან აქლემებზე ძველი
ჰინდოელნი,
სინანული არ ცხრება გახვეწილ
ქართველში.

ანათებს მზის სხივი ოქროსფერ
კარნიზებს,
უჯრებში ილრჩობა სურნელი და სული.
მორჩილებს გიტარა ეპოქის კაპრიზებს,
სარკეში იგრიხება რიცხვი დათარსული.

უცხოელი დადის დანისლულ
მონპარნასზე,
ხილვებს და ნაღველს ანათემა აბრუებს.
ხსოვნა კი ათენებს დაჟანგულ
მოსართავზე,
მადონა შიშით ჭვრეტს თაგვებს და
ღამურებს.

ყრუ კედლების მიღმა ყურებს
იყრუებენ,
მოლოდინი ფხიზლობს გადამწვარ
ლამპასთან.
სიჩუმე იმსხვრევა კიბის რიკულებზე,
ახლო დგას მოხუცი ღვთაებრივ
პარნასთან.

ლადო ავალიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲝᲣᲓᲐᲡ ᲮᲔ

ᲜᲝᲕᲔᲚᲐ

— პატარძალი გაიქცა. ძმამ თავისი მანქანით წაიყვანა. წინ ვერავინ გადაუდგა. რა დასამალავია, ვერც მე გავბედე. რა თვალები ჰქონდა მანანას... ვეღარც ვიცანი. სიძე... მარაწშია ჩაკეტილი მოხდილ ჭურისთავთან ზის... სვამს ღვინოს ორშიმოთი და...

კარის ჭუჭრუტანიდან ყველაფერი ჩანს... ნათესავები იმ ჭუჭრუტანასთან ისე არიან მისეულნი... ერთმანეთს არ აცლიან...

ჩვენს მავედრებელ, თუ მუქარაგარეულ ძახილზე — დუდა, გაგვიღე კარიო, ის უკვე შემთვრალის, თუ... ჭკუაზე გადაცდენილის ჯავრიანი ხრიალით პასუხობს: — მე აქედან მანამდე გამომსვლელი არა ვარ, სანამ მანანა არ დაბრუნდებაო!

წარმოგიდგენიათ?! მანანას დამბრუნებელი ნამდვილად არავინ მეგულება, ყოველ შემთხვევაში, ჩემს ნაცნობ-მეგობრებს შორის!

რა ხდება, ბატონო ბექა?

— აბა, რა გითხრათ... ეგ რომ ვიცოდე...

— გავიგე თუ არა, მარტო ღობე რომ ყოფს თურმე დუდას ნათესავებისა და თქვენს სამოსახლოებს, გამეხარდა! მაგრამ, ვერ წარმოიდგენთ, როგორ მეწყინა... ქორწილში დაპატიჟებულთა შორის რომ ვერ გიხილეთ და... მიზეზიც მითხრეს... მაგათ ეზოებს, მარტო ის სარის ღობე კი არა, რომ იცოდე, რა ხნის მტრობა ყოფსო.

— რაო, აქეთ ხომ არაფერს გვაბრალებენ?!

— არა... დაბრალებით არაფერი დაუბრალებიათ, მხოლოდ ყრუდ და მინიშნებით იყო ლაპარაკი... ბატონო ბექა, თუ დუდას ვმეგობრობ, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს მისი ყმა ვიყო და თვალებიც დახუჭული მქონდეს,!.. თქვენ ასე ადვილად ვინ რას დაგაბრალებთ, ან ვინ დაჯერებს!.. მე პირადად, ძალიან კარგად გიცნობთ და დიდს კი არა, უდიდეს პატივსაც გცემთ. არავის და არაფერს არ მოვრიდებივარ, ასეთ ვითარებაშიაც კი... ისე შემოვაბიჯე თქვენს კარ-მიდამოში. იმათ რაც უნდათ, თქვან... კიდევ ვიმეორებ, თქვენ ვინ არ გიცნობთ, როგორც გამორჩეულ მოღვაწეს, დახვეწილ ინტელიგენტს!.. ახლა ბევრზე წერენ და გაჰყვირიან — მამულიშვილიო, მაგრამ... აი, თქვენი მამულიშვილად მოხსენიების დროს ეს „მაგრამ“ გამორიცხულია!

— მაგას თავი დავანებოთ... დროა, მითხრათ, ვინ ბრძანდებით, რა გქვიათ?

— მქვია — რამაზი. სახელის გამხელა არ მიჭირს, გვარს კი... მართალია, გაგონების უმალ, პირში ნერწყვის მომგვრელი, დიდებული საწებლის ასოციაციას იწვევს... თუ არ ჩამაცივდებიან, მაინცადამაინც თავმომწონედ ვერ წარმოვთქვამ ხოლმე!

— გაცინებას ჯერ არ ვაპირებდი... სიცილი ადამიანებს უცნაურად აახლოვებსო... როგორც ვატყობ, ოსტატურად აღწევთ მიზანს! ისე, საწებლის ასოციაციას, ჩემო რამაზ, რა უშავს... იმას ნურავის აფიქრებინებთ... ტყემალზე ზისო.

— მიხვედრა როგორ გაგიჭირდებოდათ... გვარად სწორედ ტყემალაძე ვარ... ტყემალზე კი ჯერჯერობით, მგონია, არ უნდა ვიჯდე...

— რა ბედნიერი ვიქნებოდი, ხმამაღლა გაცინების საშუალება რომ მქონდეს!.. თუ გაიგონა, რას იფიქრებს ის ჩემი „მეზობელი“... ასე გაუხარდაო?.. გაოცება კიდევ ჰო!.. რაც მომხდარა... ასეთი რამ ამის მეტად, მგონია, არცა მსმენია!.. წეღან რა მითხარით? პატარძალი გაიქცაო..

— თუ შევძელი, ვეცდები თანამიმდევრულად გიამბოთ, რისი მოწმეც ვარ, რაც მოვისმინე, რაც დავინახე. თქვენს სოფელში პირველად ვარ. მართალია, მე და დუდა ერთად ვსწავლობდით, მერეც, აგერ, აქამდე მეგობრული ურთიერთობა არ შეგვიწყვეტია, მაგრამ არ მახსოვს, ერთხელ მაინც აქ ამოვეყვანე, დავეპატიჟე, ერთხელ მაინც ეთქვას, — ბიჭო, რამაზ, წავიდეთ, მოულოდნელად დავეცეთ თავზე მამიდაჩემს, შეძლებული ოჯახია, იქ ცხოვრობდნენ ჯერ ბაბუაჩემი, შემდეგ მამაჩემი, თბილისში გადმოსახლებამდე, მერე მამიდაჩემს დარჩა იქაურობაო. ეს ყველაფერი სხვებისაგან გავიგე... არ ვიცი, ვერ მივმხვდარვარ, რაზე მიმალავდა დუდა, თუ მისი გვარეულობა ამ სოფლიდან იყო... და უცებ, რატომღაც ქორწილის გადახდა სწორედ მამაპაპეულ კერაზე, მამიდის ოჯახში მოისურვა. ალბათ, იფიქრა, ახლა ჩვენ რომ ზოგ რამეს ვხვდებით, დრო გავიდა, ბევრი რამ დავიწყებას მიეცა, ძველებიდან სოფელში თითქმის აღარავინ დარჩაო. მეც დამპატიჟა. სიხარულით წამოვყევი. თუ კიდევ დაჰკრავს მამაპაპური იერი ქორწილს, ლხინს საერთოდ და ჭირის სუფრასაც, მხოლოდ სოფელში!.. მარტო იმათი ნახვა რად ღირს, ოთხმოცს, ოთხმოცდაათს და ზოგჯერ ასს გადაცილებული მოხუცებიც რომ მოვლენ... იმათ ამაყ მზერაში, წელში გამართულად დგომაში, თავის სიმაღლე ჯოხი რომ მოუმარჯვებიათ საბიჯგად, რაღაც ფარული სიამაყის გრძნობით გევსებათ გული — აი, რანი ვყოფილვართო!.. ვერ ვიტყვი, ქორწილმა ჩემთვის და კიდევ რამდენიმე კაცისათვის მშვიდობიანად ჩაიარაო, ამის შესახებ მერე გესაუბრებით... ისე, დანარჩენებისათვის, რა თქმა უნდა, მშვიდობიანად ჩაიარა ყველაფერმა; არათუ კაცი არ მოუკლავთ, ჩხუბიც არ ატეხილა, არავისთვის თამადას ღვინოც კი არ დაუძალებია, ამიტომ არც არავის ახირებიან გაჯიუტებისათვის, სუფრის „წესის“ დარღვევისათვის თამადის ბრძანებით, კისერში ღვინო ყანწით რომ ჩაესხათ... ხშირად ხომ აქედან იწყება ვაი-უშველებელი!.. თამადის ოხუნჯობას, ზოგჯერ ცოტა გაცვეთილ, მაგრამ მაინც მჭევრმეტყველურ წიაღსვლებსაც, წარმატება ჰქონდა. სიძეც, პატარძალიც ბოლომდე დარჩნენ სუფრაზე, ფეხი არ მოუცვლიათ... ამ სასიამოვნო მხიარულებაში თავზე ლამაზად დაათენდათ მექორწინეებს. სხვათა შორის, თადარიგი დავიჭირე და სახლიდან მაგნიტოფონი წამოვიღე, ვიფიქრე — ქორწილია, საინტერესო საუბარსა და სადღეგრძელოებს ჩავიწერ, საჩუქრებთან ერთად, მაგნიტოფონიანად ამ ჩანაწერებსაც ნეფე-დედოფალს ვუსახსოვრებ-მეთქი, მაგრამ.. ახლა... მტრისას ასეთი ჩანაწერების ჩუქება! თქვენ კი, თუ სურვილი გექნებათ, იმ ჩანაწერებიდან ერთს ახლავე მოგასმენინებთ, სხვა დროს კი, როდისმე, ყველაფერს! მაინც რამდენი რამ ყოფილა ტრაგიკულში ლოგიკური!.. თავზე ლამაზად დაგვათენდა-მეთქი, რომ გითხარით, ცოტაც კიდევ და, ლხინი დასრულდა, წამოვიშალეთ... ასე, ალბათ, ერთ საათში ყველა, ვინც წასასვლელი იყო, წავიდ-წამოვიდა. დავრჩით ახლო მეგობრები და ახლო ნათესავები. ფართოდ მოღიაღებული დიდი ჭიშკრის კარები სიძემ მიხურა. რატომღაც ეს არავის დაანება, თითქოს ყველაფერს წერტილი დაუსვაო!.. უკან რომ გამოვბრუნდით, მანანამ დუდას მკლავში ხელი გამოსდო, არ მოგვრიდებია — მკერდითაც მჭიდროდ მიეტმასნა და ისე შეხედა, ვინ იცის, იმ ერთ შემოხედვაში რა სურვილი არ იყო ჩაქსოვილი... საქორწინო სარეცელი რა ხანია ელოდებოდათ..

შორიახლოს ვიდექი, უკან რომ დავაპირეთ წამოსვლა, ერთმა თქვა, — იმ ნათესავ ჭაბუკს მე არ ვიცნობდი, — დუდა, მანანა, გუშინ საღამოს, სანამ სუფრას მოვუსხდებოდით, ორ ჭაღარაშერეულ სტუმარს თქვენს სახელობაზე ხე დაურგავს... მამიდაშენმა გვითხრა. არ გაინტერესებთ, რომ ვნახოთ? ეგერ, ეზოს იმ კუთხეში უნდა იყოს!.. ასეთი საჩუქარი ჯერ, ალბათ, არც ერთ დაქორწინებულ წყვილს არ მიუღიაო!

ვიღაცამ კი ჩაილაპარაკა, — რა დროს ხეა, შინ რომაა საჩუქრებად დახვავებული, იმ ოქრო-ვერცხლის ნაკეთობებსა და ძვირფასი ფაიფურის, თუ ბროლის ჭურჭელს რა ხე შეედრებაო, მაგრამ დუდას თითქოს ხის უპატივცემლოდ მოხსენიება არც კი გაეგონოს, ნაბიჯი არ შეუნელებია. ჩვენც, ერთი ათიოდე ქალი და ჭაბუკი ნეფე-დედოფლის წინამძღოლობით გავეშურეთ, ასე, ასიოდე ნაბიჯით დაშორებული ეზოს იმ კუთხისაკენ. მივუახლოვდით ეზოს მარჯვენა კუთხეს და... იმ, გუშინ საღამოს დარგული ხის დანახვაზე სიძეს რომ ელდა ეცა, ეს ძალიან აშკარად შევამჩნიეთ მისი სხეულის მოძრაობასა და განსაკუთრებით გამომეტყველებაზე. დუდა ბოტანიკოსი არ არის, მაგრამ იმ ხის ცნობა მაინც არ გასჭირვებია... სოფელში გაზრდილ, ტყეებში ნახეტიალებ ბიჭს ამ საქმეში გზამკვლელი არ სჭირდება, და არც დასჭირდა. მეც, უმალ ვიცანი და, რაღა დასამალავია... ავად მენიშნა.. ეს რა უქნიათ, იუდას ხე ამ დღის სამახსოვროდ რამ დაარგვევინათ-მეთქი, 'გავიფიქრე კიდ, მაგრამ ამას რა მთქმევინებდა.

— სამახსოვროდო?! თუ... „შესახსენებლად“, ჩემო რამაზ! შენ თუ არ მიხვალ, ადრე თუ გვიან, ის მოვა შენთანო!..

— რა ვიცი, ბატონო ბექა... თქვენი ასაკისა და გამოცდილების კაცს ჩემგან ეს არ გესწავლებათ!.. და ჩემს თვალწინ მოხდა საოცრება... თვალის დახამხამებაში მთელ ეზოს მოედო ეს ამბავი. ის კი არა, ხეს რომ მზერა ძალიან მოვწყვიტე და თავი ავწიე, რას ვხედავ!.. იმ შემოჯარული ცნობისმოყვარეთაგან დუდას გვერდით მხოლოდ მე და მანანას ძმა აღმოვჩნდით, სხვები ყველანი, რომ იტყვიან, სასწაულებრივად გაუჩინარებულიყვნენ!.. ძმამ მანანას ჯერ რაღაც უჩურჩულა, მერე ზურგზე ხელებშემოწყობილმა ბრაზიანი გამომეტყველებით, შესამჩნევი ნერვიულობით იწყო წინ და უკან სიარული. უცებ მანანას წინ შეჩერდა და ხმამაღლა, მოურიდებლად მიახალა — ხომ გეუბნებოდი!

მანანამ ერთი სასოწარკვეთილებით შეაფეთა თვალები ძმას, მერე საქორწინო ლეჩაქზე ხელები იტაცა და სახლისაკენ გაიქცა. დუდა კი, თითქო ახლა გამოერკვაო, ერთი ნაბიჯი უმალ წადგა წინ, მაგრამ რატომღაც თავი შეიკავა, მანანას აღარ გასდევნებია. გულხელდაკრეფილმა იმ ავად სახსენებელი ხის ძირს მიაშტერა მზერა.

დუდას ფრთხილად შევახე მკლავზე ხელი. მერე მაგრად მოვჭიდე, მძიმე მდგომარეობიდან რომ გამომეყვანა. სხვა ვერაფერი მოვიფიქრე. არ შემოუხედავს, ხელი გამაშვებინა, კბილებში გამოსცრა: — შენ არ მითხარი ქორწილმა მშვიდობიანად ჩაიარა, კაცი არ მოუკლავთო! მოკვლაზე მეტი არ არის კაცის ასე გამეტება?!..— პასუხს აღარ დალოდება, ან კი რა უნდა მეპასუხნა; ზურგი ნელა შემაქცია და ცოტა არეული ნაბიჯით ისიც სახლისაკენ გაეშურა.

დავრჩით მე და მანანას ძმა განმარტოებით იუდას ხესთან, თითქოს მისი ყარაულობა ჩაებარებინოთ. ერთხანს დამდურებულებივით ვიდექით, ხმას ვეღარ ვიღებდით.

— ერთი შეხედვით, რამაზ, დაუჯერებელს ხომ ჰგავს ეს ამბავი... იმდენ ხალხში ნუთუ არავინ დაინტერესდა, ამ დროს მაინც ვის მოსურვებია, ეზოში ხის დარგვაო! თანაც გაბედვა არ

გინდა, რას რგავ თუ იცი!.. ვითომ იმის იმედად, შეღამებულში ვერ იცნობენ, ვერაფერს გაარჩევენო?

— ნაწილობრივ მაინც ამას ყველაფერს ნათელს ჰფენს მაგნიტოფონის ჩანაწერი... ჰო, ჯერ ის დამამთავრებინეთ... ათი წუთიც არ იქნებოდა გასული, მოულოდნელად კიბის ზედა ბაქანზე მანანა გამოჩნდა. თმაწეწილს აღარც საქორწინო ლეჩაქი ეხურა, აღარც საქორწინო კაბა ეცვა... მერე, ქალიშვილებმა თქვეს — ის მშვენიერი საქორწინო კაბა დიდი ოთახის შუაგულში დაუდევრად ეფინა დაჩუტული პარაშუტივითო... შეუძლებელი იყო მის დანახვაზე გული არ გტკენოდათო...

მანანა სულ სხვა ტანსაცმელში გამოწყობილიყო, ვეღარ იცნობდით, მგონია ლაბადა ეცვა. კიბე ჩამოირბინა, ჩვენთან მოიჭრა თუ არა, ძმას უთხრა — წავიდეთო, და მანქანას მიაშურა. ძმამ ერთი კი მიაძახა, სად? ხომ არ გაგიჟებულხარო!

რაკი პასუხი ვერ მიიღო, ერთი ალმაცერად გადმომხედა, ალბათ, იმის შესატყობად — ეს რაღა აზრისაააო, სხვა რა უნდა იფიქრო, მე ხომ ვერაფერში დამადანაშაულებდა... თუმცა ამ დროს დანაშაულად ის არ კმაროდა, რომ დუდას მეგობარი ვარ? რაკი პასუხი ვერც დისაგან მიიღო, ვერც ჩემგან, გაბრაზებული კაცის იერით, ჯერ წონასწორობა რომ არ დაუკარგავს, თვითონაც მანქანას მიაშურა. შუა ეზოდან უკან მობრუნდა, ჭიშკარი ფართოდ გააღო. მე ადგილიდან არ დავძრულვარ, არ მოვრიდებივარ, მანქანამ ისე ჩამომიქროლა და კვამლიც ბლომად შემომაფრქვია, რაც უნდა გულადი ყოფილიყავი... მე კი, ალბათ, ამ სანახაობას ისე გამოვეთიშე რეალობიდან, არც კი შევტოკებულვარ. ახლა მიკვირს, მანქანამ ფრთა ოდნავ მაინც რომ არ გამკრა... გადავრჩი ხიფათს. მე კი არა, იმ დროს ეზოში თუ აივანზე ვინც იყო, ხომ დაუჯერებელია, ყველა გაოგნებული შესცქეროდა ამ „სანახაობას". ხმა არავის გაუღია, ადგილიდან არავის დაძრულა... რა იყო ეს, თვალებს არ უჯერებდნენ, თუ.. ალბათ, მეც მონუსხული ვიყავი... მეტი რაღა გინდათ, დუდასთვისაც კი თვალი არ მომიკრავს, როდის ჩამოვიდა მეორე სართულიდან ქვევით, ეზოში... როდის ჩაიკეტა მარანში...

— ხდება ხოლმე...

— ბატონო ბექა, ახლა კი მამიდამისს მოვუსმინოთ. იმ ღია სამზარეულოში შევხვდი. მაგნიტოფონი გრძელი თასმით კისერზე მქონდა ჩამოკიდებული იდაყვის სიმღლეზე. დუდას მამიდამ შეიძლება კიდევაც შენიშნა, აბა რა იქნებოდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, იფიქრა, ფოტოაპარატიაო... მაშ, მოვუსმინოთ ბატონო ბექა, იმ ქალს.

— მზად ვარ. ძალიან მაინტერესებს.

„ — სალომე დეიდა, ბოდიში, რომ გაწუხებთ. თუ იცით, რა მაინტერესებს?.."

„გისმენ, შვილო!"

„ის... ხე რომ დაურგავთ, ნეტავი ვინ იყვნენ, ხომ ვერაფერს მეტყოდით?"

„ჭირი იმათ და სიკვდილი, შვილო! გეტყოდი კი არა... მაგაზე არ ვიკლავ თავს! დავკვირვებოდი, დამემახსოვრებია... კაცი რას იფიქრებს, თორემ.. ის შეჩვენებულები პირველად ჩემთან არ გამოცხადდნენ! სწორედ აქ, სამზარეულოში, ერთი გაწამაწია რომ გვქონდა ქალებს! მოვიდნენ, მოჩვენებასავით, მომესალმნენ. მეც თავდახრილი, როგორც წესია, მორიდებით, მორცხვად მივესალმე... ახლაც არ ვიცი, ის ორი ჭაღარაშერეული კაცი პატარძლის მხრიდან იყო დაპატიჟებული, თუ სიძის... ქორწილში, ლხინში სტუმრად მოსულ, შენთვის უცხოსაც კი როგორ ჰკითხავ — ვინ ბრძანდებიო, ვინ დაგპატიჟათო! თქვეს — დაქორწინებულების სახელობაზე, ეგერ, თქვენის ნებართვით, ეზოში ხეს დავრგავთ და ახლავე გეახლებით... თქვენ მხოლოდ, თუ ძალიან არ შეწუხდებით, ბარი გვათხო-

ვეთო. უმალ მივიხედ-მოვიხედე, აქ სადღაც მეგულვებოდა... მართლაც, სამზარეულოს ეგერ, იმ კუთხეში ბარიც იყო მიყუდებული და თოხიც. ბარს უმალ დავტაცე ხელი და გადავეცი. მართალი გითხრა, ჩემო რამაზ, უკვე შებინდებულიც იყო, მაგრამ ეზო და საქორწინო სუფრა ელნათურებით გაჩირაღდნებული კიდევ არ გვქონდა. იქნებ ამიტომაც, ალბათ, არავის იმ ორი მოხუცის გარეგნობა მაინცდამაინც თვალში არ სცემია. ის კი მახსოვს, ერთსაც, მეორესაც სათნოების იერით მოსავდა მოკლედ, ასე, ერთი ხელისდადებაზე გაშვებული ჭაღარა წვერი... მერე ისინი თვალში აღარ მომხვედრია, სუფრაზედაც არ დამილანდავს, თუმცა... იმდენ ხალხში რაღა მაინცადამაინც ისინი უნდა დამენახა და გამომერჩია. ვიცნობ ნეტავი იმ წყეულებს როდისმე, კიდევ რომ შეეხვდე? ქორწილი კი არა, სიცოცხლე წაგვამწარეს, სიცოცხლე...“

„დეიდა სალომე, აღარც ის გახსოვთ, ბარი დაგიბრუნეს თუ არა? არც იმათი სადღეგრძელო შეუსვამთ? დღეგრძელობის დროს რომ ფეხზე წამოდგებიან, და მთელი სუფრა იმათკენ იყურება...“

„ბარი რომ დაებრუნებინოთ, არ მახსოვს. ქორწილს ესწრებოდნენ თუ არა, არც მაგის თქმა შემიძლია, რომ ედღეგრძელებიათ, თვალში მაშინვე მომხვდებოდნენ და ვიცნობდი. ისე, ეტყობა, ხე დარგეს თუ არა, მაშინვე წავიდნენ. შვილო, იმ დროს იმდენი მანქანა ირეოდა ეზოში, თუ ეზოს გადაღმა, გზის პირას, ეგერ იმ ფერდობზე... რას გაიგებდი — ვინ მოდიოდა, ვინ მიდიოდა...“

„ეს მინდოდა მეკითხა. დიდი მადლობა“.

„რაზე მიხდი, შვილო, მადლობას, ღმერთო მომკალი... ვიცი, შენც წაგამწარა ამ ამბავმა ჩვენთან სამხიარულოდ მობრძანება.. მშვიდობა იყოს ღა...“

— ბატონო ბექა, რაც ახლა მოისმინეთ, ამის მეტი ვერაფერი მითხრა დუდას მამიდამ... მხოლოდ იმ. „შეჩვენებულების“, როგორც თვითონ მონათლა, ჭაღარა, მოკლედ შეკრეჭილი წვერი დამახსოვრებია!

— ჭაღარა წვერი სათნოების იერით მოსავდაო!!! ამას არ მიაქციე, რამაზ ყურადღება?! ეს ძალიან ბევრს ნიშნავს!.. კაცი რა რისკსა სწვევს, რას ბედავს და... რასაც სჩადის, იმისი შეგნება, მოვალეობის გრძნობა სათნოების იერით ბადრავს მის სახეს!... ბოროტგანმზრახველების სახეზე ასეთ რამეს ვერ ამოიკითხავდი. ყველაფერი თავის დაღს ასვამს.. ადამიანის საქმესაც, იერსაც!

— ბატონო ბექა.. თქვენც ასე ფიქრობთ, თქვენც ასე გჯერათ? მართლა რაიმე ცოდვის ჩადენაში უნდა ამხილონ დუდა და მისი გვარეულობა?!

— მაგას არ უნდა მტკიცება! ვინ იყო გამკითხავი, თორემ კი... მერე ვინ ვისი ნიღბით დადიოდა, ვინ აგო პასუხი, ან ვინ მოახერხა ცოდვები დამსახურების ხარისხში აღევლინებინა... ერისა და ქვეყნის წინაშე!

— კარგით, რა...

— უდიდესი მსახიობებიო, ვიცით ხოლმე თქმა, და ამ შემთხვევაში მარტო თეატრალურ სამყაროს, სცენას ვგულისხმობთ! ის კი გვავიწყდება, ცხოვრებას ზოგჯერ უფრო მაღალი „რანგის“ მსახიობები ჰყავს, დროის, ვითარების, საჭიროების მიხედვით, გარდასახვის ფენომენალური ოსტატები, რომელთა მსგავსი, არცერთი ქვეყნის სცენას რომ არც კი მოლანდებია!.. ჩვეულებრივი სცენის კოლოფი როგორ შეედრება უვრცელეს და უკიდეგანო ცხოვრების სცენას!.. რუსთაველის ბრძნული ნათქვამი — „ყოველი საქმე უმსგავსი, მოკლეა, მით ოხერია“-ო, ვითომ მართლა მოკლეა?! მოკლე შეიძლება ჟამთასვლისთვისაა, თორემ ადამიანის ერთი სიცოცხლე, რა ხანგრძლივიც უნდა იყოს — იგი, იქნებ ვერც ეყოს... ალბათ, ესეცაა მიზეზი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაც ჩვენი წინაპრები ვერ მოესწრნენ, ჩვენ მოვესწარით... რასაც ჩვენ ვერ მოვესწრებით, ჩვენი შთამომავლობა მოესწრება! და ვაი იმათ მაშინ, ნიღბოსნებს... იმათ გვარს, ჯილაგს, მემკვიდრეობას! ვინც თავის დროზე მარჯვედ ითამაშა, მერე ცოდვების მოუნანიებლად წავიდა და... გადასახდელად ყველაზე საზარელი ვალი დაუტოვა თავის ნაშიერთ! სხვათა შორის, იუდას... ვალი არ გაჰყოლია. დუდას კი... როგორც ეტყობა, ბაბუისა და მამის ვალი სურს თავის მომავალს გადაულოცოს..

— დუდას, ბატონო ბექა?

— დიახ, დუ-დას, თქვენ რომ მეგობრად თვლით...

— დარწმუნებული ბრძანდებით?

— მაგალითები, საბუთი ბრალდებისა?

— დიახ...

— რა საჭიროა! მე ხომ არ მიჩივლია, ბიძაჩემი რომ... ერთი სიტყვით, ვისაც მართლმსაჯულება ხელთ უპყრია, მაგალითები, საბუთები ბრალდების დასადასტურებლად იმათ მეტი აქვთ, ვიდრე ჩვენ... მაგრამ...

— ბოლომდე არ ვთქვათ... ბატონო ბექა, არ გინდათ თქვათ... იქნებ მართლმსაჯულების თუ არა, გავლენიანთა წრეში მაინც ურევია იმ რანგის დამნაშავეები, და... ეს ამუხრუჭებს... რუსთაველის წინასწარმეტყველების ახდომას!

— ყოველი საქმე უმსგავსი, ა! ნეტავი მართლა, ბატონო შოთა!

რა უიმედობის, რა სასოწარკვეთილების გამომხატველი კილოთი ღაღადჰყო რუსთაველის ეს სიტყვები ბატონმა ბექამ. თანაც როგორ უხმო თავის დიდ, ბრძენ წინაპარს — ბატონო შოთაო! დაიწყო და აღარ კი დაბოლოვა... ნუთუ ამასაც აღარ სჯერა, ყოველი საქმე უმსგავსი მართლაც რომ მოკლე და ოხერია... რომ ერთი, თუნდაც ხანგრძლივი ადამიანური სიცოცხლე ზოგჯერ არც ჰყოფნის მის ამოძირკვას!.. რა ამბავია, ნუთუ ბოროტების მთესველი უფრო მეტი და ღონიერია მის ამომძირკველზე?!!

— ბატონო ბექა, ეს უფრო შეკითხვას ჰგავს, ვიდრე პასუხს! თქვენ ვერ გაგიგიათ და, როგორ გგონიათ, მე შევძლებ პასუხის გაცემას მაგ შეკითხვაზე?

— სხვათა შორის, რამაზ, რა უნდა მეკითხა... დუდას რომ მშობლები ცოტა ნაადრევად გარდაეცვალა, ეს ჩემზე უკეთესად შენ არ გეცოდინება... ბოლოს და ბოლოს, ერთ დროს მეზობლები იყვნენ აქა... მაგრამ აი, მანანა...

— მანანაც ობოლია, ბატონო ბექა. ერთადერთი ძმა ჰყავს და ესაა.. თუ,, რასაკვირველია, იმ ორ ბიძას არ ჩავთვლით დედის მხრიდან... სხვათა შორის, ბიძებს ცივი უარი შემოუთვლიათ! რაკი ასეთი ნაბიჯი გადაგიდგამს, იმ გადაგვარებულ ოჯახთან დამოყვრება გადაგიწყვეტია, მაგ თქვენს „გაბედნიერებას“ როგორ დავესწრებითო და, საერთოდ... მერეც ერთმანეთისაგან შორს ვიყოთო! ეტყობა, მაგათაც ყველაფერი სცოდნიათ, მანანასთვისაც რამდენჯერ გადაუკრავთ თურმე სიტყვა... ჯერ კიდევ ადრე, მაგრამ... ვინა თქვა ლექსად! „სიყვარულო ძალსა შენსაო“... თუმცა ესაა ძალსა შენსა?! ამ დილას მანანამ რა გააკეთა!!!

— უნდა გამოგიტყდეთ, განცვიფრებული ვარ! ჩემო რამაზ, მაგისთანა რამე ყველას არ შეუძლია.. რას ამბობ, თვითმკვლელობას უტოლდება! იცი, რას გეტყვი? მანანას ამ ნაბიჯის შემდეგ, ისეთივე შეცდომას, ალბათ, ჩემს შვილსაც ვაპატიებდი!..

— გაიძულებდათ გეპატიებინათ! ასეთ სიძნელესთან შეჭიდება, ბატონო ბექა ერთი შეხედვით ქალის ძალ-ღონეს უნდა აღემატებოდეს!

— აქამდე მეც აგრე მეგონა. მაგრამ თურმე ქალებშიაც კი გამოერევა... რამდენიც გნებავთ მაგალითი, თუნდაც მარტო ჩვენი ისტორიიდან...

— ბატონო ბექა... მაშ თქვენ ღრმად ხართ დარწმუნებული, რომ დუღა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თუ კაცი ხარ, ამის მეტად ნუღარ ახსენებ... ეგ სახელი გაგონებისთანავე იუდას ასოციაციას იწვევს ჩემში...

— ბატონო ბექა... —

— რას ამბობთ, თავი მოსწონდა ბაბუითაც, მამითაც. მაშასადამე, იმათი საქციელითაც. ჩანს, ასე მიაჩნდა საჭიროდ. ასე აუხსნეს და დააჯერეს. და, ალბათ, არც თვითონ ითაკილებდა, თუკი იმდენი გაბედულება ეყოფოდა... ერთი წუთით თვალი გადავლე წარსულს და წარმოიდგინე — შენი კარიერისათვის, შენი აღზევებისათვის რომ იმეტებ თანამემამულეს და... მსხვერპლს ქვეყნის მოღალატის საბურველში ხვევ, ამ იარლიყით „ასაღებ“... აი ეს არის ყველაზე შემზარავი, თორემ ნამდვილი მტერი ვის შებრალებია! რატომ მჯობია კაცური კაცობით, მამულიშვილობით, ნიჭით, უნარით... როგორ? ეგ ჩემზე მაღლა უნდა იდგესო?! აი თურმე რას ფიქრობს მედროვე! წამქეზებლებიც რომ ფხიზლად არიან! მოგვიანებით, ზოგ რამეს მაინც, დრო და ჟამის „მტვერი“ რომ დაჰფარავს და გაუჩინარებულივითაა, შვილმა, ან შვილიშვილმა იქნებ მოგონებებიც კი დაწეროს... და რაკი თავისიანია, ეშმაკი ანგელოზადაც დაგვიხატოს! აი, სწორედ აქ სჩადიან ასეთები გამოუსწორებელ შეცდომას! ავიწყდებათ, რომ ხსოვნას დრო ვერ შლის, რკინასავით ჟანგი ვერ ჭამს გათამამებულს, იქნებ სულ მალეც, ან ცოტა მოგვიანებით რუსთაველის აფორიზმში გაცხადებული გარდუვალობაც წამოგეწიოს, მაგრამ... მანამდე ხომ ასწრებ შენი „წვლილის“ შეტანას თანამემამულეების გადაგვარების საქმეში! რამაზ, გეფიცებით... დამიჯერეთ... ისე არაფრის წინააღმდეგი არა ვარ, როგორც... სისხლის დაღვრის, სისხლის ზღვევინების, შურისძიების, მაგრამ... რა გზას დავადგეთო, იკითხავ შენ, რამაზ, და კიდევ ვინ არა...

— პასუხის დაბოლოებას რაღაც აყოვნებთ, ბატონო ბექა!..

— რა დასამალავია, დაბოლოება მართლაც მიჭირს!..

— ალბათ, რაღაცას არ იზიარებთ...

— ამიტომაც უნდა ვკითხოთ ჩვენზე უფრო ჭკვიანებს კი არა... ბრძენებს, გენიოსებს... აი, თუნდაც შექსპირს! გახსოვს რას ეუბნება მამის აჩრდილი თავის ერთადერთ პირმშოს, ვიღაც უბრალო მოკვდავს კი არა, დანიის პრინცს, ჰამლეტს!

— არ მახსოვს...

— აბა რა გახსოვს?!

— უსათუოდ წავიკითხავ... ერთხელ კიდევ!

— შექსპირი, ა!.. ალბათ, აქ შევჩერდებოდი, ჩვენც რომ არა გვყოლოდა, სულ აგერ, ახლო წარსულში ერთი ისეთი ბრძენკაცი, როგორიც ილია ჭავჭავაძეა!

— ჩვენი ილია რაღას ამბობს, ბატონო ბექა?

— ილიამ ბრძანა — „სიკეთით სძლიე შენს მტერსა, ერიდე სისხლით ზღვევასაო-ო!“

— ბატონო ბექა, რამხელა სულგრძელობა და კაცთმოყვარეობაა, მაგრამ... მოპირდაპირე მხარე რომ არ იზიარებს და... ტყვიას გახლის შუბლში?! ახლა ისეთ გუნებაზე ვარ, კიდევაც რომ დამიშალოთ, მე მაინც წავალ და... იმ თქვენნ ულირსი მეზობლის ეზოში დარგულ იუდას ხეს... წყალს დავასხამ!

— მერე... გაბედულება რომც გეყოს... რას ამბობ, შენი დარგული ეგონებათ!

— თქვენ მეუბნებით ამას?! ბატონო ბექა, ის ხომ მართლა იმ ორი უცნობი კაცის დარგულად არ ითვლება... იმათ ზურგს უკან — ხალხია! მე და თქვენ რა, ხალხს არ ვეკუთვნით?!

— რამაზ! ეს რა მითხარით?! შენა ხარ ჩემი მოწაფე, თუ დღეიდან მე უნდა გამოვაცხადო თავი შენს მოწაფედ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი რვეულიდან

მიხეილ ქვლივიძეს

აირევა როსმე მწყობრი,
დაწყობილი მკაცრი ნებით,
წამებული სიტყვის დევნით
და აზრების კასტრირებით.

ზოგი შიშით განგებ დაბრმა,
არ დაყრუვდა ზოგი ტაშით,
ვერ აუწყო ვინაც ფეხი,
შემოაკვდათ ამდენ წვრთნაში.

აირევა როსმე მწყობრი,
დაიწყება დათვლა ლექსის,
მაშინ თქვით და მაშინ ნახეთ,
ვის რა ჰქონდეს უკეთესი.

დრო მოვა და დაგვავიწყებს
მონურ ტაშს და მონურ ბუქნას,
დიდსულოვნად ნებას დაგვრთავს:
— პოეტებო, თავისუფლად!

დრო მოვა და განათდება
ცა, გვახურავს რაც რომ ხუფად,
თითქოს თავად ღმერთი იტყვის:
— პოეტებო, თავისუფლად!

სპექტაკლი „ჯაყოს ხიზნები"

თემურ ჩხეიძეს

დალოცვილი ეს ქვეყანა,
დამხობილა ჯაყოს წინ,
მოდის ჯაყო ავაზაკი,
ავთვალი და ავხორცი.

სიმწრით ვყვირი — ჯაყო მოდის,
მარგო კარი დაკეტე!
მაგრამ მარგო კარს არ კეტავს,
იცის, რასაც აკეთებს.

უკვე ვეღარ დაივიწყებს,
რაკი ერთხელ დაყნოსა,
ჯაყოს პურს და ჯაყოს მათრახს,
და სარეცელს ჯაყოსას.

ვა, ქართულო კეკლუცობავ,
ვაი, კუდაბზიკობავ!
ოთხივე მხრის ოთხივე გზას
ჯაყოს ხელი გვიღობავს.

თავს დამამხეს სახლი ჩემი,
სიმხნე ჩემი დალეწეს,
ჩემი სატრფოც შეეზილა
ჯაყოს ბინძურ სარეცელს.

ვერც იარაღს ხელი მივყავ,
ვერც ყვირილი გავბედე,
მოდის ჯაყო ავაზაკი,
იცის, რასაც აკეთებს.

მე მათხოვრად დამიხრია
თავი საამაყო:
— ოღონდ პური,
ლუკმა პური,
ლუკმა პური,
ჯ ა ყ ო!

აბრიკოლა და ქალაქელი

რით არის მტერზე ნაკლები,
ვინც დღენიადაგ მოთქვამს:
— ვერ ვიტანთ ქალაქელები
აბრიკოლების მოდგმას!

ეჭვით და ზიზღით გიყურებს,
ენას სამსალით ლესავს:
— თბილისი თბილისს აღარ ჰგავს,
შეწყდა საარის კვნესა!

ჰყოფს საქართველოს ქალაქად,
ჰყოფს საქართველოს სოფლად,
— ჯაან! ჩემო თბილის ქალაქო —
დუდუკის ხმაზე ოხრავს.

დადის გონებაცვედანი,
ბრძენკაცის პოზებს იჭერს,
არ მოსწონთ მიწის სურნელი
ქალაქელ დუქნის ბიჭებს.

ისევ. ძველებურს ჰყვებიან
თახსირი კინტოს ხმაზე,
რაც აგრიკოლა ატყავეს,
რაც ქართველები პარსეს.

... რით არის მტერზე ნაკლები,
ვინც გესლიანად მოთქვამს:
— აავსო ჩვენი ქალაქი
აგრიკოლების მოდგმამ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასუხგაუცემელი კითხვები

თქვენ შეგიძლიათ ისევ შემასვათ,
რაც დამიღვრია ცრემლები დღემდე,
მაგრამ რა ვუყოთ ფარულად დაღვრილ
ღვთის მაძებარი თაობის ცრემლებს.

ან შეიძლება, უბირთა ხელმა
ტკივილი ჩემი შეღობოს რკინით,
მაგრამ რა ვუყოთ დოგმების ჭურვით
გულდაფლეთილი თაობის ტკივილს.

თქვენ შეგიძლიათ, აღკვეთოთ უმალ
წყურვილი მკაცრი სჯისა და მდურვის,
მაგრამ რა ვუყოთ ათას სიცრუით
გადაქანცული თაობის წყურვილს.

ვთქვათ და ჩავრაზო ყველა კარები,
კარდაკეტილში უშიშრად ვიჯდე,
მაგრამ რას იტყვით ასე გულგრილი
და უიმედო თაობის შიშზე.

რომელიც შვებას ღვინოში ეძებს
და ნარკოტიკის ათასგვარ შხამში,
მას ვერ განკურნავთ ვერცა გაკილვით,
ვერც ბრალეულთა სკამებზე დასმით.

არის კითხვები, ითხოვენ პასუხს
და გაბედვასაც, სიმართლის გარდა,
არის კითხვები, რომელთაც ვდევნით
და შიშით დგანან ცხოვრების კართან.

და ჩვენც შევდივართ დროის გვირაბში
ხმაწართმეულნი შიშის მარწუხით,
და კივის გზაზე ათასი კითხვა:
— პასუხი!
— პასუხი!
— პასუხი!

●

დიდი ხნის წინათ
ყოველივე შეჩერდა, შედგა,
ვიღაცა მკაცრმა მოქალაქემ
ცხოვრებას წყალი გადაუგდო,
შეაჩერა მისი ბორბალი.

●

უნდა აისხა იარაღი,
ლამანჩელის კვალზე წახვიდე,
ოღონდ ხშირად უკუიხედო,
რა იცი, შენი ძვირფასი სანჩო
თანამედროვე კაცია და, ვაი თუ, ზურგში
ან იარაღს გიმიზნებდეს,
ან მრუშობდეს დულსინეასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აყვავებული წყვდიადის ფსკერზე

ვარ დალექილი სიბნელის ფსკერზე,
ათასი სახე ვიცვალე დღემდე,
ხან ვიყავ თევზი,
ხანაც — მცენარე
და ყურს ვუგდებდი ქვესკნელის
ღელვებს.

ერთხელ გავცოცხლდი ქვეწარმავალში,
რომელიც ახლა ფეხებთან გიწევს,
მეც გავერიე მსოფლიო წყლებში,
დღეიდან ახალ ცხოვრებას ვიწყებ.

დავემშვიდობე მშობლიურ მხარეს,
თვალით ხილულს და ხელით შესახებს,
ახლა იწყება დიდი სპექტაკლი,
მალე დარეკავს ზარი მესამე.

და წყალთა ზედა ისმის ძახილი:
— იცვალეთ სახე, დაბრუნდით
ბნელში!
და გზად სისხლიან ნაკვალევს ვტოვებ,
მომდევს წყალი და ნაკვალევს ვერ
შლის.

წუხელ მოიკლა თავი მცენარემ
აყვავებულმა წყვდიადის ფსკერზე,
მეც თვითმკვლელობის გასწავლით
სიბრძნეს,
თუ იარაღის შემართვა შევძელ.

ცხოვრება იყო როგორც სამარე,
და ბნელში მართლაც სახე ვიცვალე,
ხან ვიყავ თევზი, ხანაც მცენარე,
ხან თოვლთან ერთად მოვედ მიწაზე.

ვცოცხლობდი მწერის უცოდველ სახით,
ან ქვეწარმავლის პერანგს ვირგებდი,
ვერ განვიწმინდე მაინც ტალახი,
ვერ მოვიცილე ეკლის ბირკები.

და ვისმენ, როგორც იდუმალ სიბრძნეს,
ჩურჩულს სამყაროს უეცარ
შემძვრელს:
— წუხელ მოიკლა თავი მცენარემ,
აყვავებულმა წყვდიადის ფსკერზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციკლიდან: — „ელეგიები“

●

ცოტაა ლალი, ცოტაა ოქრო,
უფრო მეტია ჩალა და თივა.
გამოვა ქალი — სახლიდან სხივად
და კარზე ჰკიდებს დაჟანგულ ბოქლომს.

გაშლილა ძოწი ტყეებზე ნაზად,
სახლიკაცები მკიან ქერსვილას.

გამოვა ქალი, — აჯობებს დილას
და კარზე შავი კიდია რაზა.

ისმის გრიგალის მძაფრი გოდება,
დაბინდდა მთები, დაბნელდა ჭალა.
აღარ შრიალებს თივა და ჩალა...
ვიცი, ამ დღეებს რაც აგონდება.

●

უპირველესი აზრით:
მზით, აკვნებით და სხვითა,
იყო ქართველი ვაზით,
იყო — ფარით და ხმლითა.

იყო, — ფაზისით, მურით,
გრემით, ხერთვისით, თმოგვით.

იყო — ღვინით და პურით,
კიდევ სხვა რამე ზოგით.

ჰოი, ქართულო ცაო,
თქმულო არცარის ფასად,
სხვარიგ სხვაგვარო, სხვაო,
ჯერ არნახულო არსად.

●

მე თქვენ მიყვარდით, მიყვარდით
მაშინ...
ლურჯი ფოთლები, ბალახის თმები,
ალმაცერ წვიმებს იცრიდნენ ქარში
და იდგნენ ნისლში ზვიადი მთები.
მე თქვენ მიყვარდით, მიყვარდით
მაშინ.

მაღალ სიშორეს, სინათლის ზოლებს,
მზე ჩამავალი ნელა იცლიდა.
თქვენ გატაცებით აქებდით ზოლას
გული დღეების ნაბიჯს ითვლიდა.

მე თქვენ მიყვარდით, მიყვარდით
მაშინ,
რაღაც გულწრფელად და მეტად კიდევ.
ელავდნენ ცვრები ბალახის ტბაში
და ალმასებით ნაქსოვი რიდე...

ცა იყო შორი და უფერული
მზე ჩამავალი ნისლში, ავდარში.
გაივლის დრო და სიმშვიდე სრული
იმ დღეთა ყველა ნაკვალევს წაშლის.

დამავიწყდება მე თქვენი თმები,
თქვენი ღიმილიც დამავიწყდება...
მძიმედ დახრილა ბალახი ცვრებით
და წვიმის ცივი წვეთები წყდება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ღრუბელი, წვიმა და შემოდგომა,
ტყე გაძარცული და დაფლეთილი...
სულს დამფარველად უნდა დადგომა,—
რომ უსათუოდ იყოს კეთილი.
დღე მიდის ჩუმი ნისლით და ბინდით,
სასაფლაოზე რგავენ ნარგიზებს.
და ქალი შავი სამოსით, რიდით,
გრძნობებს უღრმესად გაფაქიზებს.
ესაა ბოლო, ესაა ზღვარი,
რაღაც სხვა ხაზით გადაკვეთილი.
ნისლი, ნარგიზი, წვიმა და ქარი.
ტყე გაძარცული და დაფლეთილი.

●

შენი თვალები იყო განგების
და საოცრების უხვი ბნელეთი,
ისე უბრალო და გასაგები
როგორც ლაჟვარდი ცა იმერეთის.
და ამგვარ გრძნობებს გადაჩვეული
თვალი დაღლილი უცხო ნათებით, —
შენ ერთადერთი იყავ რჩეული,
ყველა მხარეთა მისამართების.
ყველა დროების და დღეთა სრბოლის
გული მიზანი იყო განგებით,
როგორც მთები და ფიფქები თოვლის
ისე უბრალო და გასაგები.
ხომ შეიძლება, გაწვიმდეს ახლა,
გაცივდეს გული და შემოდგომა.
მაგრამ მარადჟამს დარჩება ნაღვლად,—
შენი თვალების ფარული კრთომა.
წავლენ დღეები და ფარჩეული
ახალგაზრდობის უხვი საგნები...
და ვიტყვი, ქვეყნად გრძნობა-რჩეული
ის ერთადერთი იყო განგებით.

●

ახლა სხვა გზებზე გაწვიმს ავდარი,
სხვას ხედავს თვალი მერიდიანებს
და გული ტრფობით ნაავადარი
დაღლილ გრძნობებში დაიგვიანებს.
მომენატრება დღეები ძველი,
ჩემი სოფელი და ჩემი სახლი,
რა ძვირფასი ხარ და მოურთველი, —
მაგრამ სადაა ის ძველი ხალხი?!
არ ჩანს რამდენი ვაჟკაცი გმირი,
ძველი მთიბელი და ბინადარი.
და მარტოდმარტო უსიტყვოდ ტირის
გული ტკივილით ნაავადარი.

●

ახლა სხვა არის შენი ღიმილი,
გადაბურული სხვა მზით, სხვა ნისლით.
ისევ ანათებს ძველი ტკივილი, —
ჩემი კალა და ჩემი კრწანისი.

ორთაჭალისკენ მოდის აზია,
ცხელი ვნება და ჩალა მზიური.
შენი თვალები დღეს ლამაზია,
ბნელი, ცბიერი და აზიური.

თითქოს იღვიძებს ხავსით ბურული
ძველი გრძნობა და ძველი დარები: —
ეტლები სტავრით გადახურული,
მზე, არღანი და საზანდარები.

და შავი ღამე თბილისის კართან
შენი თვალების ფერი მგონია.
სადღაც, ოდესღაც ტანკენარ ქალთან
მე სიყვარული მწველი მქონია.

მხრიდან კუმისის და შავნაბადის
ისევ ანათებს მთვარის ჩალები, —
და ღამეული ნისლის ხაბარდა, —
ქაფი ვერცხლის და უცხო ლალების...

და მელანდება ის ძველი სტავრა,
აბრეშუმი და დიბა მზიური, —
შენი თვალები ღამეთა დარად
ბნელი, ცბიერი და აზიური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადლობა უფალს; — ანთია კერა,
ტაბლაზე ყრია პური და ყველი.
დიაცი შენი საკერავს კერავს ,
შენ მდუმრად ზიხარ, — ნიგუზისფერი.
ხარ ჩაჩაური, ეს ნიშნავს იმას,
გასაგებია ვინც ხარ და რაც ხარ, —
ხან ლაღად თიბავ მთიბელი თივას,
ხან დედმამისულს ქვეყნისას ფარცხავ.

კაცი არაა, — და ვისთან შარობ?
კაცი არაა, — და ვისთან ომობ?
შენთვის გრიგალობ და შენთვის ქარობ,
სხვა რა ჩარაა, — ბრდღვინავ და
ლომობ.
შენი გუავს ცხვარი, ხარი და ძროხა,
ჯორი საბარგედ, საფერხედ ცხენი.
ჩემო ჩაჩაურ, ვაქკაცი რომ ხარ,
ესაა თუა, ამბავი მთელი.

●

ხვალ ეს ფოთლებიც დასცვივა ხეებს,
შენც მალე მიწას შეუერთდები
და დაამძიმებს გაძარცულ ტყეებს
სველი ნისლი თუ წვიმის წვეთები.

ხვალ ეს ბალახიც მოითიბება,
შენც მალე ღრუბლებს გაეკიდები,
მზე დაიხრება, დაცხრება ვნება,
დაიბურება თვალი ბინდებით.

ხვალ შეერევა ეს წყაროც არაგვს,
შენც მალე მზერას დაეკარგები.
ნუთუ სხვა ბედი განგებას არ აქვს,
ნუთუ ესაა ბედი განგების?..

ხვალ არ იქნება აქ არც ეს ნისლი,
შენც მიწის ბელტებს შეუერთდები.
აშრიალდება ჩალა და ისლი,
ხმელი ნეშო და წვიმის წვეთები.

●

ქარის ხმაური თუკი დადუმდა,
დადგა მდინარე, დამშვიდდნენ ზღვები,
არ ვიცი, რაფერ იტყვიან სხვები,
ან საუბარი თუმცა რად უნდა,

ისეც ნათელი და უცხადესი
არის ყოველი, — ამ დღეთა მერე...
არ ვიცი ვისი ჩანგები ეღერენ, —
ვიცი რომ ერთი არის ჰადესი.

●

ეს გადარევა მე მიყვარს სრული,
წყნარი მთვარე და ქარის თარეში,
შენი თვალები და სიყვარული
და მოწყენილი სული თარაშის.
მე მიყვარს ქართლის მტირალი ვაზი,
გზა, სიმინდები და პურის ყანა,
შენი ღიმილი და ფარნავაზი,
ცა, ბესიკი და პატარა ანა.

ვაჟა-ფშაველა და სხვა მგოსანი,
ჰოი, აკაკის მეფური ლანდი,
გუდიაშვილი და ფიროსმანი,
შენი საყურე და მელევანდი.
ეს გადარევა მე მიყვარს სრული,
ქარის თარეში, ცის კაბადონი,
შენი თვალები და სიყვარული,
თეთრი თოვლი და თეთრი მადონა.

●

საღამოვდება ქედებთან ლურჯად,
შინ დაბრუნდება მთიბელი თივის.
სახლთან დგას ქალი და ყელზე უჩანს
ღარადულები წითელი მძივის.

ცეცხლი ანათებს შორიდან შორი,
მსუბუქად ღამის ეშვება ფარჩა.
დგას საოცრება პირისპირ ორი...
მაგრამ მნახველი არავინ არ ჩანს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა სხვაგვარი გახდა თვისება
და გამოხედვა — მკაცრი და ცივი,
ამ დღეებს შუქი არ ეღირსებათ
და მიდამოებს იმედის სხივი.
შეძრწუნებული ხედავს ბუნება
გადაგვარებულ საკუთარ სახეს,
დროის და სივრცის უდაბურებას.
გამქრალ დიდებას, დაკარგულ სახელს.

სული ძაძებით გადაფარული
და მწუხარება გადარევს გრძნობებს;
როცა უღმერთოდ კლავენ ფაუნას,
როცა მარხავენ ძვირფას მეგობრებს.
ახლა ჭალები, ტყე და მინდორი
გახდა ახალი უდაბნოეთი, —
და გაგონდება დღეები შორი,
სხვა მიწა, სხვა ცა და სხვა პოეტი.

●

გამახსენდება არაგვთან უცებ
დამარცხებული პატარა კახი.
გადაბუგული ქართული ფუძე
და მშობლიური არე პარტახი...
გამახსენდება და გული მტკივა,
ღალატით ულვთოდ მოკლული გული...
ვაი, რა ცუდად, — მეფეო, ცვივა,
ბაირაღები ცვივა ქართული.

აღარც ლაშქარი და სიჭაბუკე,
აღარსად სხვა გზა და მისამართი.
ყველა იმედი გათავდა უკვე
და წვიმასავით ილვრება ქართლი.
არე ნისლებით არის მოცული
და დაბურული მიდამო თალხით, —
გამახსენდება არაგვთან უცებ
დამარცხებული პატარა კახი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღლეგრძელო

ხალხო პატიოსანო,
მოდი, გაუმარჯოს ჩვენს ნეფე-დედოფალს!
გაუმარჯოს ამ ორი მშვენიერი, მაგრამ დღემდე უქმად მავალი ნახევრის
გამთლიანებას!
გაუმარჯოს ამ მთელს,
ამ ოჯახს,
რომელიც დღეს იქმნება საქართველოში და საქართველოსთვის!
გაუმარჯოს სიყვარულს — ფუძეს და იმედს
ამა ქვეყნისა!
უბერებელი და მართალი გამომდგარიყოს
ჩვენი ნეფე-დედოფლის დამაკავშირებელი და ერთარსებად ამამაღლებელი
ეს სიყვარული!
არასოდეს მოეძებნოთ და
არსად, არაფერში ენახოთ
შება და სიხარული უერთმანეთოდ!
არასოდეს დაესვენოთ
ერთიმეორისა და სამშობლოს სიყვარულისაგან!
ერთად,
ერთ მხარეს,
ერთი სიშორის ყურებაში
გაელიოთ ეს წუთისოფელი!
ნუ მოჰკლებოდეთ სიხარული
სიყვარულისა,
ერთგულებისა,
შრომა-გარჯისა,
წვის და დაგვისა,
მოყვასის კარგად ყოფნისა,
მტრების ძლევისა,
ლხინისა და მყუდროებისა,
აღტაცებისა და ფიქრისა,
გარინდებისა,
მზის ამოსვლისა და მზის ჩასვლის
ერთად ყურებისა,
სილაღისა და გაქანებისა...
ნუ მოჰკლებოდეთ სიხარული
ერთიმეორის ცნობისა და აღმოჩენისა!
ბევრი შვილი მისცემოდეთ და სუფველა გაეზარდოთ
ჯანით მრთელი, სულით მხნე და ამაღლებული!
მშობლები უცოცხლოთ დიდხანს,
დიდხანს,
რათა ბებიებისა და პაპების ხელში ნაფერებ მათს შვილებს
მეტი სითბო და გულისხმიერება ესაგზლოთ ცხოვრებაში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

არასოდეს მოეშალოთ თვისობა და-ძმებთან,
რათა უფრო ლაღნი, გაბედულნი და თავისუფალნი დაიზარდონ
მათი შვილები!
აქ ბრძანებულთა —
მოყვასთა, ნათესავთა და მეგობართა
სუნთქვა არ განელებულიყოს მათს ოჯახში!
თქვენ დაგეფაროთ და დაგეცვათ ეს ოჯახი ყველა სიავისაგან:
ღალატისაგან,
გულგრილობისაგან,
სიხარბისა და სიძუნწისაგან,
შურისაგან,
უიმედობისაგან,
უმწეობისა და ურწმენობისაგან;
თქვენ დაგეფაროთ ეს ოჯახი უქმობისაგან,
რათა უფრო უკეთ შეისისხლხორცონ სიკეთის რწმენა
ამ ოჯახში გასაზრდელმა ბავშვებმა!
სტუმარი ნუ მოუშალოს ღმერთმა ჩვენს ნეფე-დედოფალს
ნურასოდეს
და ნურც ხალისი სტუმრის დახვედრისა!
შუქურასავით ენთოს მუდამ ამათ ფანჯრებში
ერთი სანთელი
გულგატეხილი, ოჯახურ სითბოს დანატრებული მოყვასისთვისაც,
რომელსაც ბედმა არ გაუღიმა...
მისთვის ბედივით გაეღიმოს მუდამ ამ ოჯახს!..
ხალხო პატიოსანო,
გაუმარჯოს ჩვენს ნეფე-დედოფალს!
აღარ დასჭირვებოდეთ დღეის ამას იქით სარკეები —
ერთიმეორის თვალებში ჩაიხედონ და ისე გაისწორონ თმა,
ისე გაისწორონ აზრი და ფიქრი,
ერთიმეორის თვალებში ჩაიხედონ და
დაინახონ თავიანთი თავი,
დაინახონ თუ რანი არიან
და რა ფასი აქვს ამათ ყოფნას ჩვენთვის,
ყველასთვის!
არასოდეს,
არაფერს გაემრუდებინოს ეს სარკეები —
მეტი არასოდეს მოეთხოვოთ ცხოვრებაში და
ნურც ნაკლებს დასჯერდებიან!
ყველა ჩვენთაგანზე უკეთესი ცხოვრება მისცემოდეთ,
მაგრამ არასოდეს ეცხოვროთ ჩვენს სამშობლოზე უკეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭამე მესამე

რომანი

კი, ანაფორა ახლაც ეცვა (გარეთ რომ გადიოდა, მაშინღა იხდიდა), ვერცხლის მოზრდილი ჯვარიც უმშვენებდა მკერდს, მაგრამ ეკლესიის მსახური რომ იყო მართლა და ისიც მოქვის, მგონი, გონებაჩლუნგ ჭიჭაღუასაც არ სჯეროდა. ისედაც, რომ შეხედავდი, დაგზაფრავდა. დიდი და ოთხკუთხა თავი ფართო და კუზიან მხრებშუა ჩასჭედვოდა. რომ იდგა, ხელები მუხლამდე დასთრევდა და ამიტომაც იყო, მოკრძალებაზე მეტი (როგორც მოძღვრის მიმართ) მისი შიში (ჯოლორიას გარდა, ალბათ) რომ ჰქონდათ.

— მამაო საშა, მართლა ვინ მოათრია ეს კაცი აქ?

— მაგის მომთრევის... — წაუღრინა საშამ, მერე ზანტად წამოჯდა, ანაფორას კალთები მუხლებზე შემოიკრა და შიგ ჩაიხვეტა.

წუხელ ჭყონიას და ბიჭის (ვითომ მძინავსო და, თვალებმოწკურული რომ იწვა ტურასავით სულგაკმენდილი ლაწირაკი) გამოჩენა არ ესიამოვნა და ამაზე უფრო იყო აღრენილი და დაბოღმილი.

— თუ გინდა, ახლავე გადავუძახებ წყალში! — ორი ეშვივით ღოჯი ზედა ტუჩზე აუხტა ანაფორიანს, მერე ჭიჭაღუას — ჩია, უტიფარი სახის კაცს, ვის მუხლზეც თავი ედო წეღან და ეძინა, ბლიკვი უთავაზა: ნახე, თუთუნი ვისა აქვსო!

— ახლავე, პატენი...

ჭიჭაღუა წამოფუცხუნდა და, თუთუნი ვის ექნებაო, შუა გამოქვაბულში დონჯშემოყრილი დადგა.

გუძას უმალ ეცნო ეს კაფანდარა კაცი. ის სურათიც დაუდგა თვალწინ, ბაზრის კართან ხეიბარმა (ვიზეც ღოჯებიანი და ოთხკუთხათავიანი მღვდელი დაიბოღმა) სამი შაური რომ ასესხა და, ნეტავ თუ დაუბრუნაო, ეს აზრი აეკვიატა.

— ეგეთები არ იყოს!

საშა-მღვდლის უხეშობა არ მოეწონა ჭოლას. ხეიბარი დაიცვა.

— რა ბრძანეთ? — გაიკვირვა საშამ, თან წეღანმოსულებისკენ გაიხედა.

ჭყონიას ისევ ეძინა, ბიჭის ფარულ, ქვეშქვეშა მზერას კი მერამდენედ შეეჩეხა...

— ჩვენ ყველანი ერთ ბედქვეშა ვართ! — უფრო გააძლიერა ჭოლამ პროტესტი, — სხვა თუ არაფერი, ერთი საწყალი ხეიბარი კაცია.

— მართალს ამბობს, ბატონი ჭოლა, — მხარი დაუჭირა ჩამუგიამ, — ისიც ჩვენსავით ადამიანია.

რატომ არაფერს ამბობს, ნუთუ ასე ღრმად სძინავსო, გუძამ გაიკვირვა და, როგორც დაჩაგრულთა მფარველს და დამცველს — გამოიღვიძეო, მკლავზე ხელი მოჰკიდა ბონდოს, მორიდებით მოუჭირა.

ბონდომ თვალები აახილა, რა იყოო, გულგრილად გადმოხედა გუძას. აქამდეც ეღვიძა, მაგრამ მათთვის არ სცხელოდა. საშინელ გუნებაზე იყო. წეღანოცი წლის წინათ გარდაცვლილი დედა პირველად ნახა სიზმარში. უფროსი ძმისთვის, სოფელში რომ ცხოვრობდა,

---

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი" № 4, 5, 6.

ზეწარი მოეხვია და ავადმყოფი, ძვალ-ტყავად ქცეული ვაჟიშვილი მღვრიე მდინარეზე ხელში ატატებული გადაჰ-ყავდა...

რაღაც უბედურებაა მის თავსო, გაა-ჟრჟოლა, თვალები ცრემლით ამოევსო. ახლა იმაზე წყდებოდა გული, ამდენ ხანს არ უნახულებია ძმა, არც კი მო-უკითხავს... ეხ, რა ბედნიერი იყო მა-შინ, როცა ერთად იყვნენ ძმები, უფრო სწორად, უჭირდათ თუ ულხინდათ, ბო-ნდო მაინც ბედნიერი იყო... თვალწინ ჰაპისეული ფაცხა დაუდგა, მათი ჩა-ლის ფასად გაყიდული ეზო-კარი... ეხ!.. როცა დიდი წვიმები დგებოდა, ობო-ლი ძმები ეზოში გამოეფინებოდნენ, ცეცხლს დაანთებდნენ, მერე ვეება კო-ცონს გარს უვლიდნენ და მღეროდნენ: მიქამ-გარიო,* ოჰოჰო, შენ გლოცუ-ლობ, შენს წყალობას ნუ მოგვაკლებო...

— რა მოგვიდათ? — საშამ საქმის გამწვავება არ ისურვა, წამოდგა, ხელე-ბი ფართოდ გაშალა, — ვისი რიგია დღეს? — საშოვარზე ვინ უნდა წავი-დესო, ეს იკითხა, ალბათ, — მაინტე-რესებს...

— კინჭული მე შევცვალე.

თავი დაიზღვია ჩამუგიამ.

— მე შეუძლოდ ვარ...

მუცელზე ხელმოჭერილი გლებო აკვნესდა და გამშრალი ტუჩები მოი-ლოკა.

ორი კვირა იწურებოდა, მოსეს რომ მოელოდნენ ის და ჩამუგია. ასეც უთ-ხრა: ორ კვირაშიო, ბედ მხოლოდ ათი ოქრო დაიტოვა და დაამედებულე-ბი გამოისტუმრა. ჰოდა, დღეს გარეთ ცხვირს ვერ გაყოფდა ვერც ერთი. ვინ იცოდა, როდის მოვარდებოდა მოსე ფარულა! ესენი კი ყოველწამს მზად უნდა ყოფილიყვნენ. ჰმ, მოსე სასწა-ულმოქმედი ვინმე იყო! ოღონდ ფული მიგეცა და, თუ გაუჭირდებოდა, შენ მხრებზე შეგისვამდა, თავად ზღვაში შიშველი ფეხით გავიდოდა... ასე სჯე-როდა გლებოს, ჩამუგიასაც. თუმცა, ეგ მანამდე. ახლა?.. კაცმა რომ თქვას, იმე-ლიონ ღადუას წუხანდელ სტუმრობას აშკარად დაებნია. ტივის მოლოდინი ტობაწყურზე მაინც რა უბედურება იყო! რომ გაიხსენებდა ღადუას ნაუ-ბარს, ტანში ჭიანჭველები დაურბენდ-ნენ და ჩამუგიამ ხომ არ გამყიდა, ან, იქნებ მათაც შეპირდა მოსეო, იმელიონს მალულად გახედავდა.

— კაცი თუ ავადაა... — შეწუხდა საშა, — რა გაეწყობა. დღეს გლებოს მე შევცვლი... ვახშმის თადარიგი ჩემ-ზე იყოს, — ანაფორა თაავზე ცოცხ-ლად გადაიძრო, — იმელიონ!

— აგერ ვარ.

გვერდით ამოუდგა ღადუა.

— დროა, ერთი კაცი მდინარეზეც დავსვათ...

ვიღაცების გასაგონად თქვა, თან თვალი ჩაუკრა.

— დია, რამდენიც გინდა! — ცალ ქუსლზე დაბზრიალდა, — აგერ, ჭიჭა-ღუა და... — მზერა ხეიბარს მიაცივა.

— მეე? — ხეიბარი მიუხვდა და იმ-დენად გაუხარდა, რაღაცით რომ ასაქ-მებდნენ, უცნაურად აწკმუტუნდა. წა-მოიწია, ყავარჯენი შეიშველა. ჭიჭაღუა-ც მიეხმარა, იღლიაში თამამად შეუჯ-და. მაწანწალამ იუკადრისა, ქიმუნჯი ჭკრა და გუძა მიხვდა, ის გავალებული აბაზები ჩიას ჯერ კიდევ ემართა.

ჭიჭაღუა უცებ მოტყდა, მერე დარც-ხვენილი და გაბუტული განზე გადგა.

— რა უნდა გავაკეთო? — იკითხა მა-წანწალამ.

— დაგვაცადეთ და გეტყვით, რასა-კვირველია! — თავი დაიფასა ღადუამ, — შენ მარტო რას გახდები და, საერ-თოდ, ზედმეტი სიტყვა არ გამაგონოთ აქ! — ორივეს დაუცაცხანა.

— რამე ხომ არ გჭირდება? — საშა გლებოსთან მივიდა და მზრუნველად ჰკითხა.

— არა... — გლებო გაინაზა, — მუ-ცელი ამტკივდა რაღაც... მგონი, შეცი-ებულიც ვარ...

— დია! რას ჰქვია შეციებული?! — აქამდე მწევარივით გატრუნული კინ-

* მიქელ-გაბრიელი.

ჭული კუდას ხმა იყო და, საიდან გამოტყვრა ახლა ეგ მამაძაღლიო, საშა და იმელიონი შეცბნენ, ერთობ უნდოდ გამოუხედეს. — უჰ, ნიორჩანაყილი არაყი ახლა! — ინატრა კინჭულიმ და შეტრიალდა, ნაბადი მოურბენინა გლეგოს, დაახურა, მერე გვერდებში მზრუნველად შემოუკეცა, — ნუ გეშინია, ჯიმაგე! ოფლი უნდა მოიდინო და გაგივლის...

ეგ ხომ ნახარებაოელი მებუხრეა... ნეტა თუ მიცნობსო, გუძას გაეხარდა და წამოდგომა დააპირა, მაგრამ უმალ გადაიფიქრა და ბონდოს გადახედა.

თვალღია იყო ბონდო... უცნაურად ჩაფიქრებული, გასუსული იწვა და მიხვდა, მისი თავი რომ არ ჰქონდა.

საშა ძლივს გამოეტია გამოქვაბულიდან.

დღის სინათლემ თვალი მოსჭრა და შედგა, მარჯვენა ხელი აიფარა, გაირინდა, მერე საფეხურებად ჩაჭრილ კლდეს ფრთხილად ჩაჰყვა და თაღქვეშ, ორ ლოდშუა მოხერხებულად ჩაჯდა.

იმელიონ ღადუა ჰყავდა აქ დაბარებული.

ის ღვთის მსახური არასოდეს ყოფილა და არც საშა ერქვა, როგორც ხიდქვეშელებს გაეცნო, გვარი კი ჰქონდა კუპრა, სახელს — ძაგალატყარს* ეძახდნენ. იმელიონ ღადუამ იცოდა ეს აქ, სხვამ არავინ. ორივე კაი ნაძირალა იყო, კატორღაში წლობით ბორკილნათრევი ჯიბგირები, თუმცა ძაგალა მაინც სხვა იყო და ამ უპირატესობას თავად ღადუაც გრძნობდა, თვალებში მორჩილად შესცინოდა თავის დოსტს. იმელიონი უკვე აქ იყო, როცა ძაგალა მღვდლის ანაფორით შემოიზლაზნა მღვიმეში. მისი მასპინძლად დახვედრა გაუხარდა, იქნებ რაიმეში გამოვიყენოო, თვალი ძმაბიჭურად ჩაუპაჭუნა, თან, აგრძნობინა, არ მომეკაროო და ერთმანეთსაც უცნობებივით შეხვდნენ.

ეხ... მთავრობის დევნილი კაცი გარო, წუხდა ხოლმე ძაგალა, ნათქვამს მოძღვარ-წამებულის სამოსით და წვივზე მუშტისტოლა ძვალგამოჩრილი ფეხით იმაგრებდა, ზოგიერთი ხიდქვეშელის ნდობა რომ მოეპოვებინა, მაგრამ იმელიონიც ვეღარ მიმხვდარიყო, რა განზრახვაც ედო გულში. მთავარია, თავად იცოდა და, ცხადია, ეშმაკმაც, ვინ იყო, რა უნდოდა, რისთვის შემოსახლებულიყო ამ ღვიმეში....

ტყარს ორი დიდი და წინგამოშვერილი ღოჯის გამო ეძახდნენ. უცნაური ის იყო, ღოჯები დაბადებითვე რომ გამოჰყოლოდა და გაოცებულმა ბებიაქალმა რომ მიაკვლა, მშობიარეს გული შეუღონდა — ბავშვი მკვდარი დაბადებულაო! გრძნობაზე რომ მოვიდა, გული ისევ მოეწურა, ოღონდ, უკვე სიხარულით...

მეზობლის ქალებს ჩვილი ლაგანში ჩაესვათ და თბილ წყალში აჭყუმპალავებდნენ... პირველად ვხედავ ახალშობილს, კბილები რომ გამოჰყვა ღორის შვილივითო, რომელიღაც ჩაიქირქილა და გულშეღონებული ქალისკენ გაიხედა. რომ დაინახა, რა გაბადრული სახით შემოსცქეროდა მათ ქალი, უხერხულად გაუღიმა და: დიდი კაცი იქნება შენი შვილი, ოდიშის დროშაზეც ხომ ღოჯებიანი ტახი ახატიაო, უმალ გამოასწორა.

მიზეზი, რასაც ძაგალა-ტყარი მღვიმეში მოეყვანა, ერთობ უცნაური იყო.

დიდი ხნის წინათ, ციხიდან ახალგამოსულ ძაგალას, თანასოფელი გლეხი შეხვდა ბაზარში, ორივეს გაეხარდა, მერე გლეხმა ჭიქა ღვინოზე დაპატიჟა და ღვინის სარდაფში ჩავიდნენ, რომ შეთვრნენ, ის კაცი გათამამდა და: თუ ცოცხალი ხარ და ადამიანის შვილი, დედას როგორ არ ნახულობ, ამ ქალაქელების ვერაფერი გამიგიაო, ხელისგულები გადმოიბრუნა, გაიკვირვა. ძაგალას ეწყინა, მაგრამ თავი შეიკავა: სამი დღეა იქიდან გამოვედიო. ჩაიდუდღუნა და ცერი ჩრდილოეთით უჩვენა...

* ტყეური.

ბოლო ორი წელი დედა ლოგინად იყო თურმე ჩავარდნილი, მეზობლები უვლიან სამადლოდო. გლეხს არც ეს დაუმალავს.

გეყოფაო, გაბრაზდა, თვალები გადაუბრიალა გლეხს ძაგალამ, მშობლების სადღეგრძელო ხელში შეატოვა და სარდაფიდან ცალად ამოვიდა.

მეორე დღეს, გათენდა თუ არა, ძაგალა გზას დაადგა.

დღის სავალზე იყო მათი სოფელი და საღამო ხანს, უკვე შინა ვარო რომ იფიქრა, მოულოდნელად ტრიალ მინდორზე გავიდა.

მინდვრის ბოლოს მომცრო საყდარი იდგა.

შედგა. აქამდე თუ იყოო, გონებაში მოიქექა. გვიან მოაგონდა, რამდენჯერ ყოფილან აქ დედა-შვილი სალოცავად, ამ მიდამოებში თხებიც უძოვებია მარტოს, საყდრის ქონგურზეც ამძვრალა და იქიდან თვალი უდევნებია არვესათვის, გული ტკბილად მოეწურა და: ერთ სანთელს მეც ავუნთებ ღმერთს დედა-ჩემის სახელზეო, საყდარში თამამად შევიდა.

არავინ ჩანდა.

საღამოს წირვა დამთავრებულიყო, აქა-იქ სანთლები ბუუტავდნენ...

უცებ, ამბიონზე დასვენებულ ხატს თვალი ჰკიდა და შეჩქვიფდა.

ხატზე ღვთისმშობელი ყრმით იყო გამოსახული. ჩარჩო ოქროსი ჩანდა, კუთხეებში — ძვირფასი თვალ-მარგალიტით მოოჭვილი და, თავზე ღვთის რისხვაც რომ დატყდომოდა, ტყუილია, ვერ გაუშვებდა ხელიდან, უმალ უბეში იდურთა და გასასვლელისკენ ფეხაკრეფით წავიდა.

ნაბიჯების ხმა მოესმა... მერე ვიღაცის ჩრდილი გაწვა შემოსასვლელში, იქაურობა ჩამოაბნელა და ცხვირ-პირში რომ არ შეჩეხებოდა, უკუიქცა, სვეტს ამოეფარა. ჯერ ერთი, ბავშვობის მერე არ ყოფილა ამ საყდარში და უცხო კაცზე, ცხადია, დაეჭვდებოდნენ. მეორე, ხატი ძლივს ჩაეტია უბეში, ხალათი უსაშველოდ გამობერვოდა და სუფთად ვერ გავძვრებიო, იყნოსა. ეგეც რომ არა, საყდარში შემოსული მღვდელიც ჯერ აღმოჩნდა — ახალგაზრდა და გოროზი გამომეტყველების და როცა პირველი ნაბიჯი საზრიანია, მერე რა გიჭირსო, — ტყარს გულზე მოეშვა.

მღვდელმა, თითქოს ვიღაცის ყოფნა იგუმანა საყდარში, თვალები აქეთ-იქით გააფაციცა, მერე შედგა, ძველი, ყდაშემოძარცვული წიგნი გულზე ფაქიზად მიიხუტა და რომელი ხარ, შვილო, მანდო, იკითხა.

— მე ვარ, მამაო...

ძაგალა-ტყარი უკვე მუხლმოყრილი იდგა. ბედად, სვეტზე ხატიც აღმოჩნდა; წმინდა გიორგი უწმინდურს რომ გმირავს და მზერა მას მიაპყრო, მერე გულზე ჯვარედინად ხელებდაწყობილმა ამოიგმინა!

მოხუცი დედა მიკვდება და მის სულს უფალს ვავედრებო...

— ეევდრე, შვილო, ნათელში სულის გზა ხსნილია... — თქვა მოძღვარმა, დაჩოქილს ჯვარი გადასახა და გაშორდა.

ამბიონს რომ გასცდა მოძღვარი, გადავრჩიო, თავადაც პირჯვარი მოიშველა, მერე უბეში ჩაგდებულ „უფლის ძღვენს“ ხელი მოუფათურა და სწრაფად წამოდგა.

ოცდაათი, ორმოცი ნაბიჯით რომ გაშორდა საყდარს, უკან მოიხედა.

მღვდელი გარეთ გამოსულიყო და მას უყურებდა.

არ ესიამოვნა და ფეხს აუჩქარა, მერე, როგორც კი ტყე დაიწყო, გაიქცა.

უკვე სახლთან ახლოს იყო და შედგა, ნამორხე ჩამოჯდა, შეისვენა.

რაღაც ფაჩუნი მოისმა...

მიხვდა, მღვდელი რომ იქნებოდა და, ეს ვინ ყოფილაო, გაბრაზდა, მაგრამ, ვითარმცა აქ არაფერიო, ისე მიიხედა...

კუნელის ბუჩქებშუა შავი თმა-წვერი დალანდა...

სიცოცხლე ხომ არ მობეზრებია ამ საწყალსო, ჩექმის ყელში ჩაცურებული მოკლე ყამა მოსინჯა და წამოიზლაზნა.

ეტყობა, საშიშროება იგრძნო მღვდე-

ლმა, ისე უცებ გაჭრა თვალსაწიერიდან, ეკალ-ბარდებში თავაწყვეტილი გაშლილი და: თფუი, ეშმაკსო, ისევ პირჯვარი გადისახა ძაგალამ. ჰმ, ეკლესიაში შესვლამ მიყო ეგ, რომ შევშინდი, თორე მღვდელი რას გამიბედავდაო, გაეღიმა და შარაზე გავიდა.

საკუთარი ჯარგვალი კინაღამ ვერ იცნო. უპატრონო, საქონლისაგან გადაჯიჯგნილი, გავერანებული ეზო-კარის დანახვა გულზე მოხვდა და, ეგ არის მოვლილი იქ რომ მედიდგულებოდაო, წაუღრინა, ფურთხს გინება მიაყოლა და ჯარგვალში შევიდა.

როგორც იმ გლეხმა უთხრა ღვინის სარდაფში, დედა მართლაც ცუდ დღეში დაუხვდა, ლოგინიდან ვერ დგებოდა. მეზობლების მადლით ედგა სული. კვახის ფურცლებში გახვეულ თბილ ღომს და ყველს დღეგამოშვებით ხან ერთი შემოუტანდა, ხან — მეორე...

შვილი რომ დაინახა, სიხარულისაგან ენა საერთოდ წაერთვა დედაბერს, რაღაც უაზროდ ახიხინდა და თვალებზე ცრემლი, პირზე — თხელი, ყვითელი ლიზვა მოადგა, ბალიშზეც გადმოუვიდა...

გული დაეთუთქა ძაგალას, ყველას, სიკვდილსაც კი დავიწყებოდა დედამისი და ამის დანახვამ შეაწუხა, მუხლი მოუყარა, მოეფერა... ქალაქში წავალ... დოხტურს ამოგიყვან, ნუ გეშინიაო, ალუღლუღდა და იმავწამს თავადაც სჯეროდა, ასე რომ იზამდა. დედაბერი კი ჯერაც გაოგნებული იყო, არც ესმოდა, რას ეჩურჩულებოდა შვილი. არც არაფერი სჭირდებოდა! ყველაზე კარგი მკურნალი ხომ თავად შვილი იყო, თხუთმეტი წლის უნახავი ძაგალა. ჰო, ბედნიერი იყო, შვილი რომ ნახა, უიმისოდ არ მოუწია სიკვდილმა და სიხარულის ცრემლები ღაპაღუპით ცვიოდა...

გარეთ გავიდა.

ეზოში ფიჩხი მოიძია და კერიაზე ცეცხლი დაანთო. მერე, ნეტა რას ჭამს, ეს უბედურიო, კუთხე-სათავსო გულდაგულ გადაქექა. ნახევარი ინჯრა ღომის ფქვილი და ყველი იპოვა და ღომს გავუკეთებო, გადაწყვიტა. ხატმა შეაწუხა და ლოგინქვეშ შემალა. წყალი მოიტანა, ქვაბი აიღო, ფქვილი გარეცხა და კარდალზე შემოჰკიდა, მერე კელაზე ჩამოჯდა და დაელოდა. დედა მალიმალ ისრესდა თვალებს, ცრემლებს იმშრალებდა, შვილის საქმიანობას უყურებდა, ტკბებოდა. ძაგალას უქმად ჯდომა მოსწყინდა და, სანამ ღომი ჩასაზელი იქნება ეზო-კარს მიმოვათვალიერებო, წამოდგა.

საიდანღაც ჩოჩქოლის ხმა მოესმა და ცუდად ენიშნა.

კარის გაღება ვერ გაბედა.

სარკმელთან მივიდა, გასანთლულ ქაღალდს საჩვენებელი თითი ატაკა, ნახვრეტი გაუკეთა და შიგ გაიხედა.

ის ახალგაზრდა, შავთმაწვერიანი მღვდელი და ოცამდე დაგლახავებული, რაღაც ყარტაყურტა ხალხი მოხვდა თვალში და გაშეშდა. ბრბო გაცხარებული კამათობდა შუკაში და ხელს კუპრების ჯარგვლისკენ იშვერდა. ერთ-ერთს, ყველაზე წინმდგომ ფეხშიშველა მამაკაცს უზარმაზარი ხატი მკერდ-მუცელზე მიესვენებინა, მკლავები ქვემოდან ამოეხვია და ფეხებგაჩაჩხული ძლივს იჭერდა.

ახლა კი გავები მახეშიო, ძაგალას მიწისფერი დაედო.

ისინი მის ჭიშკარს მოსდგომოდნენ, ჯარგვალს კი უკანა კარი არ ჰქონდა, უხმაუროდ რომ გაპარულიყო. არა, გაქცევით, იქნებ ისედაც გაქცეოდა მათ, ბოლოს და ბოლოს, ყამით გაიკვლევდა გზას, მაგრამ მწოლიარე დედას რომ გადახედა, ამან უფრო შებოჭა, ჩამიქოლავენ, სხვა რამე უნდა ვიღონოო, დაასკვნა.

კვლავ სარკმელს აეკრა და ნახვრეტში გაიხედა...

გარეთ კი, უკვე კუპრავების ეზოში, ხმაური წამისწამ იზრდებოდა...

ხატი გაახსენდა. ლოგინიდან გამოიღო, მლოცველივით დაიჩერდა და, იქნებ მივეგებო და პატიება ვთხოვოო,

გაუელვა... ამ ყურუებს* რას შეასმენ, სიგიჟეაო, უმალ უარყო ეს აზრი, არც ასე ძვირფასი განძი ეთმობოდა, ცხადია, და, სად დავმალოო, აქეთ-იქეთ ეცა, აწრიალდა. ვერაფერი რომ ვერ მოიფიქრა, უცებ ათუხთუხებულ ღომის ქვაბში ჩაუშვა... წამით დუღილი შეწყვიტა და ხატი მძიმედ, მაგრამ საბოლოოდ რომ ჩაიძირა ქვაბში, თუხთუხი ხელახლა მოიკიდა და ღომი კვლავ აბურტყუნდა, ძაგალა მაშინღა მიხვდა, მისი დღევანდელი „ნაღვაწი“ საიმედოდ იყო შენახული. აწი საკუთარ ტყავზე უნდა ეზრუნა, რამენაირად უნდა დასხლტომოდა ხელიდან მათ.

გარეთ, ეზოში უფრო ფიცხობდნენ. წამიწუთში შემოიხედავდნენ, ალბათ, ჯარგვალში, პასუხს ქვა-კეტებით მოსთხოვდნენ და თავის დღეში ასე არ შეშინებია ძაგალას, ხაფანგში მომწყვდეული ნადირივით აზმუვლდა, სასოწარკვეთილმა მიმოიხედა და... ერთხელ ხომ მაინც მიშველოს მშობელმა დედამ, ქალის ლოგინს ეცა... წაუჩოქა, შენი შვილი ვარო და მიხსენო, შეეევედრა. დედაბერი ვერაფერს მიმხვდარიყო, მაგრამ შვილის აფორიაქებული სახე რომ ნახა, უმალ გამოცოცხლდა, კისერზე მოხვია ულონო მკლავები, გულში ჩაიკრა: რამ შეგაშინა, დედიკოო, ენაც უცაბედად ამოიდგა. ჩქარა, დედი, რამე უნდა მოიფიქრო, შენს ცოდვილ შვილს უნდა უშველოო, სიცხიანივით ბუტბუტებდა და, ეზოში აყაყანებული ბრბო კვლავ რომ წარმოუდგა, რაღაც აზრმა ელვასავით დაჰკრა თავში, გონება უცაბედად გაუნათა, თვალები სიხარულისაგან გაუფართოვა... ჰო, დედი... აბა, ადე, ადეო და ლოგინიდან ხელად აიტაცა სულაწანხალებული მოხუცი.

სოხანეზე დასვა, ფეხები გან-გან გაბაჯიჯგებინა, არ წაიქცესო, ცალი ხელი კარის საგდულზე მოაკიდებინა, თვითონ კი — დედის გაჩაჩხულ ფეხებშუა დაოთხილი გაჩოჩდა, სასწაულად გაძვრა-გამოძვრა. ამხელა ოქლაქი, მერე ფრთხილად აიყვანა ხელში და ისევ ლოგინში ჩააწვინა გაოგნებული დედაბერი. კარში თამამად გავიდა.

რა ამბავიაო, დოინჯი შემოიყარა, წელში გასწორდა.

მღვდელი წინ გამოვიდა, ეგ არისო, აყაყანებულ მრევლს ხელით ანიშნა და, სანამ სიჩუმე ჩამოვარდებოდა, პირგამეხებული და გოროზი მიაჩერდა ძაგალას.

— მაცხოვარი ჯვარს ეცვა შენთვის... შენ კი რა ჩაიდინე, უგუნურო?!

— რას მემართლები, მამაო?

ძაგალამ გაიოცა, თვალი უტიფრად გაუსწორა.

— ვიცი, ხატი შენა გაქვს, ცოდვის შვილო, და სანამ გვიან არ არის, გამოიტანე! — მოძღვარმა დასჭექა.

— რა ხატი, მამაო?

— მზაკვარო, ახლახან ეკლესიაში რომ მოიპარე!

— ცილს რატომ მწამებ, მამაო, ეგ რომელი სამართალია?! — შეიცხადა, ერთი ნაბიჯი წინ წადგა და, თითქოს ფეხები გამოეშალაო, მუხლი ერთბაშად მოიყარა.

ბრბო ისევ აყაყანდა, აზვირთდა და მოძღვრის ზურგს უკან ერთ მუშტად შეიკრა.

მღვდელი ერთხანს გახევდა, ფერიც კი ეცვალა, მერე ისევ სიჩუმე ითხოვა და მის წინ წმინდანივით მუხლმოყრილ კაცს თვალი თვალში გაუყარა.

— შეგიძლია ხატზე დაიფიცო?

ძაგალამ ჯერ რაღაც უაზროდ, განაწყენებულივით დაიზმუვლა. მერე, თანახმა ვარო, თავი მოუდრიკა.

ფეხშიშველა კაცი, უზარმაზარი ხატი ძლივს რომ ეჭირა, მოძღვარმა აქეთ გამოიხმო, სალოცავი გამოართვა და თავად მიისვენა მკერდზე მოწიწებით.

ძაგალამ ხატს შეხედა...

ყულიშის* ხატი იყო, მისი შიშით ტყუილის თქმა და ფიცი ვინმეს იშვიათად გაებედა ამ მხარეში.

— ვიცი, ჩემზე აქვს ეჭვი... — ამოიკ-

* ყრუ, უსმენარი.

* წმინდა გიორგის ეკლესია სამეგ.

ნავლა, მრევლს საწყალობლად მიაჩერდა, — ერთი საათის წინათ მართლაც გახლდით ეკლესიაში, მაგრამ, დამიჯერეთ, ხალხნო! — სწრაფად გაჩოჩდა და წმინდა გიორგის ხატს ორივე ხელით შეეხო, — რაც დედაჩემის ლაჯებიდან გამოვძვერი, ყულიშის ხატი გამწყრომოდეს, ქურდობა თუ ჩამედინოს და, თუ არ გჯერათ, აგერ ვარ და ჩამქოლეთ!

იმდაგვარი სიჩუმე ჩამოწვა, თითქოს მრევლს ანგელოზმა სათითაოდ ჩამოუარა, მხარზე ფრთა გაჰკრა და ამაღლდაო... და, ისინი მუხლმოყრილ, ხატზე ხელდაკრულ კაცს რაღაც მოწიწებით მიაჩერდნენ...

ძაგალა მიხვდა, რომ გაიმარჯვა და: ვინც ჯვარს ეცვა, იმან იკითხოს, ახლაც ღომში რომ პანტყალობსო, კმაყოფილმა გაიფიქრა, მერე მღვდელს უტიფრად შეხედა.

მოძღვარს სახე გახევებოდა...

ფიცხლად შებრუნდა. წყეულიმც იყავიო, კბილებში გამოსცრა, ხატი იქვე მდგომ კაცს უხეშად შეაჩეჩა და ჭიშკრისაკენ კისრის ტეხით გავარდა.

...ის ძვირფასი თვლებით კიდეებმოოქვილი და ოქროს ჩარჩოში ჩასმული ხატი ერთ ცნობილ ებრაელ ხელოსანს მიუტანა ძაგალამ ტობაში. მოშე-ხელოსანი ისე აღელდა, ფერ-ფურიც წაუვიდა, ოღონდ ხატს ზედ გადაეფოფრა და კაი ხანს ფასიც ვერ თქვა, თავი გაიყიდა. მოგვიანებით, როცა გაფარჩხულ თითებშუა — ხატის ძვირფასი თვლებივით — თავადაც აუციმციმდა თვალები, გონება მოიკრიბა და რას ითხოვო, ჰკითხა. ძაგალა ხელად მიხვდა, რა განძის მფლობელი იყო და რაც შეეძლო ბევრი თქვა, თითქმის სამჯერ მეტი, აქამდე რომ ფიქრობდა. ახლავეო, აწრიალებულმა მოშემ ფული წამში ჩაუთვალა და ძაგალა სახელოსნოდან რომ გამოვიდა, ნაღდად წვავგეო, გული დაწყდა. ნახევარ საათში უკან მობრუნდა. აქაო და, გაყიდვა გადავიფიქრეო, რომ ეთქვა. მოშე ადგილზე არ დაუხვდა და უფრო გამწარდა, სირბილით მიჰყვა ქუჩას... გუმანმა არ უღალატა. იმავე უბანში, ნავთის ცნობილი მეწარმის სახლთან მისწრო ხელოსანს, უფრო სწორად, თვალი მოჰკრა, რა უცებ გაუჩინარდა მოშე რკინის ფართო ალაყაფში.

მიხვდა, იქ შესვლა უკვე არ ღირდა და შედგა, ჩემი ბრალიაო, გულზე შემოეყარა.

იმ დღიდან იცოდა, სად იყო განძი დაბუდებული და ხშირად ღამეც მოდიოდა აქ, თითქოს ხატი ახლაც მისი საკუთრება ყოფილიყო, მიწაში მალულად ჩაფლული ნაქურდალი რამ და ამოწშებდა, უვნებლად არის თუ არაო. მეწარმის სახლში შეპარვა და ხატის ხელახლა დაუფლება წარმოუდგენელი იყო. რკინის ალაყაფთან ღამით გავლაც ჰირდა; ეზოში გაავებით ყეფდნენ და ყმუოდნენ მგლისტოლა ნაგაზები...

მალე რევოლუციაც მოხდა და თავად ძაგალა გაეცალა ტობა-ქალაქს დროებით.

დღეს ისევ აქ იყო ძაგალა, ის ძვირფასი ხატიც სადღაც აქ, უფრო სწორად, მღვიმეში ეგულებოდა და ვერ დათმობდა. შესაფერ დროს სულისულად მოელოდა...

— აგერ ვარ მე...

ვიღაცის ხმამ ძაგალა ბურანიდან გამოიყვანა.

ახედა.

იმელიონ ღადუამ ქუსლი ქუსლს მხედრულად შემოჰკრა, გაიჯგიმა და ნაფოტა, ჩაშავებული კბილები გადმოყარა...

გუძა მდინარის პირას იჯდა. მტკივანი, კოჭშესივებული ფეხი ცივ წყალში ჩაეყო და გაღმა — თავმორღვეულ კოშკს მისჩერებოდა.

კოშკი მაღალი და მკვრივი იყო, კლდის ციცაბოზე იდგა და დიდხანს, თვალგაშტერებით რომ უყურა, თითქოს ყელი ხან მარჯვნივ გადაუქანდა, ხან — მარცხნივ... ხანაც ცის ღია ფერზე თუ ნისლივით ნოტიო ჰაერში ისე ალაპლაპდებოდა, კოშკი კი არა, გეგო-

ნებოდა, რაიმე სიზმარცხადისეული მოჩვენებაო...

კოშს ზემოთ, კლდეზე, ტოტებგაბარჯღული და ხევში გადმოზნექილი ბერმუხა იდგა...

ამ უთენია გუძასაც მოესმა სროლის ხმა...

როგორც წეღან, გამოქვაბულში გაიგო, ხიდზე თუ ხიდისათვის დღესაც გრძელდებოდა ბრძოლა. ეხ, გაქცეულები არ თვლიდნენ თავს თურმე დამარცხებულად! ხან სად და ხან სად გავარდებოდა ტყვია, გადაბუგებოდა ვიწმეს სახლ-კარი, სასიმინდე, სოფლის კანტორა, საერთო ბეღელი, მაღაზია... განსაკუთრებით აქ, ხიდზე იყო ყოველ წამს შეტაკება მოსალოდნელი და მისი მცველებიც ჩახმახივით წკიპზე იყვნენ... თუმცა, რა წკიპზე! ახლა არავინ ჩანდა ხიდზე, არც გაღმა-გამოღმა კოშკებში... უფრო მეტიც: იმდაგვარი სიმშვიდე იწვა ირგვლივ, თითქოს ტობაწყურშიც გადადიოდა იგი; არ ერხეოდა წყალს ზედაპირი და, შენდა უნებურად გაფიქრებინებდა. ამდენი უბედურებისა და სისხლისღვრის მერე, ისიც მოთენთილა და ჩაუთვლემიაო...

ბონდო ჭყონია აქ არ იყო.

ხვალ მოვბრუნდები და ფეხი არსად გაადგაო. გუძას დაუბარა და წავიდა. ეხ, თავისი საქმეები ჭქონდა მოსაგვარებელი და რა ექნა. წეღანდელი სიზმარი რაღაც ბუნდოვნად უხსენა გუძას, მერე, მოგვიანებით დასძინა, ვიცი, ძმას უჭირს, სულ-ხორცი ისე მეწვისო... ნეტა რა უნდა გასჭირვებოდა ბონდოს ძმას? გამოქვაბულიდან გასვლის წინ ხიდქვეშელებს დაუბარა: ეს ჩემი პატარა ძმაა და ხვალამდე შემინახეთო. კი, ბატონოო, თითქმის ერთხმად მიუგო ყველამ. ღმერთმა უწყის, რა უფრო გაუხარდა იმელიონს, მათი ძმობა თუ ჭყონიას წასვლა. წამოდგა, ეს რა სათქმელიაო, ხელები გაუშალა ბონდოს, მერე ბიჭთან მივიდა: ნუ გეშინია, ბიძიკოო — ქოჩორი აუჩეჩა, მუჭში მჭადის ნატეხიც ჩაუდო...

საიდან იცნობდა მათ ბონდო ან რა საერთო ჰქონდა ამ ხალხთან, ახლაც უკვირდა გუძას, მაგრამ შეკითხვა ვერ გაებედა. სად იყო ამისი დროც! ისე, რაც გამოქვაბულში ფეხი შემოდგა, საფრთხის გრძნობა უფრო გაუმძაფრდა. ეხ, ნესტსა და სიცივეზე, სიმყარალისა და შმორის სუნზე — შემოსვლისთანავე ცხვირ-პირში რომ გეცემოდა და გგუდავდა — გულშემკუმშველი იყო ეს შეგრძნება! ეხ... ვერ გაუბედა ბონდოს, მეც წამიყვანეო. ნეტავი ეთქვა, რა უჭირდა... შესივებული კოჭით სიარული კი არა, მთელი დღე ცალ ფეხზე რომ ეხტუნა, ერთს არ დაიწუწუნებდა, ოღონდაც ბონდოს გვერდით ყოფილიყო. მარტო რომ დარჩა, ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს კლდის ნაჟური, უსიამო წკაპუნი რომ გაჰქონდა ქვაბში აქაიქ, მას ჩასდიოდა კისერში, ხერხემალს უბლიგვებდა და უშეშებდა.

მაშურიასთან ხომ არ წავსულიყავიო, უცებ გაახსენდა, ტანში სითბომ დაუარა.

ეხ... მაშურია მარტო ხომ არ იყო! თუმცა, ისედაც ვერ წავიდოდა, ხვალ უსათუოდ დაბრუნდებოდა ბონდო და რომ არ დაუხვდებოდა, რას იფიქრებდა.

რა ნელა გადის დროო, ტობაწყურს თვალი გააყოლა.

მისგან მოშორებით, ორმოც-ორმოცდახუთ ნაბიჯზე, ხეიბარი და ჭიჭაღუა ისხდნენ, მათი საუბარი არ ესმოდა, მაგრამ მიხვდა, რომ ჩხუბობდნენ. ხეიბარი მეტს ფიცხობდა, საღი ხელის ნერვიული ქნევით რაღაცას უმტკიცებდა ჩიას.

ჭიჭაღუა წამოხტა და გამოქვაბულისაკენ გაბრაზებული წაკვანჭილდა.

მაწანწალამ ბილწად შეაგინა და ხმამაღლა გადაიხარხარა, გასცინა...

ჭიჭაღუა ადგილზე გაქვავდა, მერე სუსტი, პუწურა მუშტი მოუღირა. არც ხეიბარი შეეპუა, პირიქით — თუ ბიჭი ხარ, მომიახლოვდიო, თითებწასხეპილი ხელის ცერით ანიშნა. ჩია ყოყმანობდა, მერე, უკვე გულმოსულმა, თამამად გადმოდგა რამდენიმე ნაბიჯი... მოხუცი კი უფრო მოახლოებას თხოვდა და მალე ისიც წინ გამოეჯგიმა.

ხეიბარმა რაღაც არაადამიანურად მიაყვირა და ბოლოდნელად ატაკა მკერდში ყავარჯენი...

ჭიჭაღუა შებარბაცდა და უკანალით ჩაჯდა ხრეშში...

ის კი არ ცხრებოდა, საღ ხელში თოფივით შემართული ყავარჯენი ეჭირა და გაოგნებულ ჩიას გამწარებული უკიყინებდა რაღაცას.

ჭიჭაღუა მშვიდად წამოდგა, თავიც კი მოისაწყლა, მერე უცებ მივარდა და ყავარჯნის ბოლო დაუჭირა, მაგრამ ძვრა ვერ უყო ხეიბარს და თავიც მოულოდნელად მიანება. განზე გადგა, შარვალი გულმოდგინედ ჩაიფერთხა.

კარგა ხანს შორიდან ესიტყვებოდნენ ერთმანეთს.

ხეიბარი მთლად გაცოფდა და თითებწასხეპილი ხელისგული წელქვემოთ უსირცხვილოდ იბარტყუნა და იბარტყუნა... არც ჭიჭაღუა დარჩა ვალში; გამოაჯავრა, თითები პირში ჩაიტენა და ძაღლივით შეუყეფა, მერე — თუ ბიჭი ხარ, გაბედე, კიდევ ერთხელ დამარტყიო, კისერი უშიშრად წაიგრძელა... და მანაც არ დაახანა, ისე მწარედ დრუზა ყბა-ყურში ყავარჯენი, ჩია ორ-სამ ნაბიჯს იქით დაებერტყა...

ერთმანეთს დახოცავენ საწყლებიო, გუძა წამოხტა და ხრეშში კელაობით გაიქცა.

მოჩხუბრები კი ქვიშა-ხრეშში გორაობდნენ... ყვიროდნენ, ბღოჭნიდნენ, სახეში აფურთხებდნენ ერთმანეთს...

გუძას მოეჩვენა, ჭიჭაღუა აშკარად ინდობდა მეტოქეს, ოღონდაც ეგ იყო — ხელს არაფრით უშვებდა ყავარჯენს და, ხეიბარმაც დრო იხელთა, თითებწასხეპილი ხელის ცერი თვალში მწარედ ატაკა და, საშინლად აღრიალებული ჩია, გადაღრნას თუ უპირებსო, ყავარჯნის ბოლოს კბილებით ჩააფრინდა...

გუძა ცალი ხელით ჭიჭაღუას წვრილ, ნაოჭებმოფხუნწულ ხვლიკის კისერში სწვდა, მეორე — შარვალზე ჩაავლო, ღონივრად მოქაჩა, გაათრია... ხეიბარი წამოსვა, ნუ გეშინიაო, დაუყვავა, მერე წელში გასწორდა და თავისდა უნებურად, ხელები დაიფერთხა...

ჩია გაცეცხლებული წამოვარდა, ბიჭს წინ გამოეჯგიმა, ხელიც აუქნია.

— შენ ვისი ტიკტომარა ხარ?! რას მითვალთვალებ, ა?! გგონია, შენი მეშინია?! ტფუი!..

და, როგორც კი სახეში მოხვდა ფურთხი, ისეთი სილა გაუშალა, ჭიჭაღუა ერთი დაბზრიალდა, ჩაიკეცა, მერე ცხვირიდან ორ ტოტად და თქრიალით წასკდა სისხლი...

გაოგნებულმა გუძამ ჭიჭაღუას შემონაპურჭყი სახელოთი ჩამოიწმინდა, კინაღამ გულიც აერია, მერე, ვინმეს ხომ არ დავუნახივარო, დარცხვენილმა მიმოიხედა და იქაურობას სირბილით გაეცალა.

გვიან მიბრუნდა გამოქვაბულში.

გარემოს ბინდი შეჰპარვოდა და შიგ შესულს, იქაურობის აღქმა და მათი სახეების გარჩევა გაუჭირდა. თითქოს ხალხიც მომატებულიყო, მისთვის ჩასამუხლი ადგილიც აღარ იყო... ასე იფიქრა უცებ, ამრიგადაც მოეჩვენა... არადა, სად წასულიყო? უფრო სწორად, აქ უნდა დალოდებოდა ბონდოს, თორემ ისედაც საგრძნობი იყო, მისი გამოჩენა მაინცდამაინც რომ არ ეჭაშნიკათ. კი, უმალ შეწყდა გაცხარებული კამათი და, ხომ არ გავბრუნდეო, შემოსასვლელში წელგაღუნული დადგა. ამ ყოყმანმა მანამდე გასტანა, სანამ იმელიონ ღადუამ: დიდი ბოდიში, მარა იქნებ შემობრძანდეთ, ნამეტანი ჩამოგვიბნელდაო. გაღიზიანებული ხმით არ შეახსენა.

გულზე მოხვდა ღადუას ნათქვამი, ეგეც რომ არა, ისედაც ჩაბნელებული იყო იქაურობა, ის დათვის ზურგისტოლა ღია სივრცე კი, სადაც გუძა ჩამდგარიყო, ნაბიჯს იქით ლევდა სულს... არადა, კვარიც ხომ ენთო სიღრმეში — მომწარო სუნით და შავი კვამლით დანერწყვილი ფეთქავდა და, ფეხი არ მოინაცვლა, მაშინ უფრო ინანა—რას მოვდიოდიო! მართლაცდა, რა დარჩენოდა აქ? ხვალამდე მაინც არ გამოჩნდებოდა

ბონდო და იქნებ... ჰმ, უტიფარ ჭიჭაღუას ლირფ მზერასაც რომ შეეფეთა, წელანდელზე უფრო გაბრაზდა და, თითქოს მტკივან, კოჭშესივებულ ფეხის გულში ეკალი შესობოდა, შებარბაცდა. ყველაზე ახლოს (ახლობლადაც!) ჭოლა იგულა და (ისიც გასაჭირს თუ მიუხვდაო, უმალ ჩაიჩოჩა და ადგილი გაუთავისუფლა) მის გვერდით მოწყვეტით ჩაჯდა.

არავინ იღებდა ხმას.

მღვიმეში ერთიორად გამძაფრებულიყო აქამდეც ჩამოწოლილი მწუხრი და ქუში...

უცნაური ის იყო; ან ასე დუმდნენ, იბღმებოდნენ, სიძულვილით თვალს ვერ უსწორებდნენ ერთმანეთს ხიდქვეშელები, ან, თუ აყაყანდებოდნენ, პირველივე სიტყვების მერე, ვინ რას ამბობდა და რა უნდოდა, ყურს არავინ უგდებდა.

გუძას ჩუმი, საიდუმლო ჩუჩუნი მოესმა...

კინჭული კუდა იყო. გლებოსთან ჩაემუხლა და დილიდან ფერფურ დაკარგულ, შეციებულ ავადმყოფს რაღაცას ეტუტუნებოდა.

ღადუა მათთან მივიდა, სიცხე ხომ არა აქვსო, შუბლზე ხელისგული დაადო გლებოს, თავი გაუგებრად გადააქნია, კაი ძალი შეყოვნდა, წუხანდელი ჩვენი საუბარი არ მოუსმენია ამ გველაძუასო, კინჭულიზე გაიფიქრა და ძაგალასკენ წამოვიდა.

არც კინჭულის მოეწონა იმელიონის საქციელი, თვალი ბრაზით გამოაყოლა, ნამეტანი თავაზიანი გაგვიხდა ეს კაციო, გლებოს ხმადაბლა უჩურჩულა და გაიცინა.

ძაგალა მხართეძოზე იწვა ნიშივით ამოღრეულ, სქელ ფიცარზე. ჭიჭაღუა მის ფერხთით, ნახერხში ჩამჯდარიყო და შიშველ ფეხისგულს დინჯად ფხანდა მოძღვარს. თავადაც სიამოვნებდა ეს საქმე. მამამისი, პაპა და, ალბათ, იმისი პაპაც ხეცია გვარის კაცს ფხანდა ფეხისგულს ნოყიერი სადილის თუ ვახშმის შემდეგ.

იმელიონი რომ მოვიდა, მომცილდაო, ფეხი მსუბუქად უბიძგა ძაგალამ, ღადუას, ხელად მოიშორა. უგუნებოდ იყო, რაც ქალაქიდან მობრუნდა, ხმა არ ამოუღია და, რა მოხდაო, მის წინ ჩაცუცქულ ღადუას ცივად ჰკითხა, წამოჯდა. არაფერიო, თქვა ვითომ უგუნოდ იმელიონმა და მუხლი გაიმართა, ფიცარზე მორიდებით ჩამოჯდა.

კინჭული და გლებო კვლავ საიდუმლოდ აჩუჩუნდნენ მღვიმის ჩაყრუებულ სიჩუმეში და გუძა მიხვდა, მათი ასეთი განაპირება არა მარტო ღადუაზე, არამედ ყველა მათგანზე გამაღიზიანებლად მოქმედებდა, ცხადია, შეთქმულთა შეხმატკბილებული კურკური არც ერთს კარგს არაფერს უქადდა.

— განწმენდა! განწმენდაა საჭირო! ღადუამ იფეთქა და ფეხზე წამოიჭრა.

არაფერიც! არავინ გასცა ხმა.

ეტყობა, თავად ღადუამ იჩქარა. უბრალოდ, რაღაც ეჭვით (გულგრილადაც!) შეათვალიერეს შუა გამოქვაბულში გამოჯგიმული მეამბოხე.

— რას ამბობს ეს კაცი?

მოგვიანებით დაინტერესდა კინჭული.

— განწმენდა უნდა მოხდეს-მეთქი! სამი კაცი ისედაც ზედმეტი გვყავს!

— რატო სამი, პატენი? — ჭიჭაღუამ თვალები შიშით ატყვირცა და ძაგალასაკენ მიიჩოჩა.

— ცხრანი ვართ, ცხრანი! — ისევ ჭექდა ღადუა, — ჩვენ ექვს კაცზე ვართ შეთანხმებულები! — და, დროა, ძაგალაც ამყვესო, გამოხედა, — ხომ სწორს ვამბობ, მამაო?

— კი... ასე იქნება, რა თქმა უნდა. — საეჭვოდ დაუდასტურა, დაამთქნარა და მუცელზე ხელები გადაიჯვარედინა. იმელიონს გულზე შემოეყარა და, შენი ვერაფერი გავიგეო, ხელები გაუშალა.

— რა უნდა ამ კაცს, გლებო პატენი? — ნამეტანი გაკვირვებული ხმა ჰქონდა კინჭულის.

გლებო ერთი აკრუსუნდა და კვლავ გაჩუმდა.

— უმჯობესია, ხმა ჩაიწყვიტე, კინ-

ჭულია ხარ თუ ვიღაცა! — შემოუღრინა ღადუამ.

— დია! ჩემზე ამბობთ თქვენ მაგას? თქვენ თვითონ ვინა ხართ?! — არ დაუთმო კინჭულიმ.

— მეე? იმელიონი ვარ მე, ღადუა! ვთქვი და გავათავე, სამი კაცი ზედმეტი მყავს-მეთქი!

ჭიჭაღუა მერამდენედ ითვლიდა გამოქვაბულში მყოფთ. რომ დარწმუნდა ათნი იყვნენ (გუძაც არ გამორჩენოდა), ჩემი საქმე ცუდადაა, იმ ზედმეტ „სამშიც“ აღარ მთვლიანო, აღშფოთდა და, იქნებ დამიცვასო, ძაგალას წინ წამოუსკუპდა.

ამის პანჭუალის თავი მაქვსო, ძაგალამ სახე მოარიდა და ზიზღით გადააპურჭყა.

— შაშა პატენი...

— შაშას მოგცემ მე შენ!..

შეუღრინა ძაგალამ და ფეხი ისე უხეშად მოუქნია, უკან გახტომა რომ არ მოესწრო ჩიას, სულს გააფრთხობინებდა.

— ჰმ... მაინც ვინ სამია ზედმეტი? — ვითომ დაინტერესდა კინჭული და გლებოს ნაბადი მზრუნველად შემოუკეცა.

— მაგი კი ვიცი მე! — მკვახედ უთხრა და, თითქოს გემბანზეაო, რწევარწევით გაიარა. ძაგალას წინ გაუჩერდა, ხომ ასეაო, შეჰღიმა, მერე ისევ კინჭულის მიუბრუნდა, — ბაბუაშენის „პარახოდი“ კი არ მყავს ტობაწყურში ჩაბმული...

— ბაბუაჩემს თავი დაანებე! — ახლა კინჭულიმ იფეთქა, სიმწრით ენაც კი დაება, — ბაბუაჩემი მიწაშია! მამაჩემიც!

— ხოხ! არ ამაცრემლო ახლა! — ცხვირაბზუებულმა დოინჯი შემოიყარა, — ჰმ, ქეციანი ბაბუაშენი კი არა... მამაჩემს — ეთმე ღადუას ვერ მოვუსწარი დასაფლავების დღეს... დრანდიდანაც კი ყოფილან ნემსივით ტანწვრილი აფხაზი ბერიკაცები, მე კი ვერ მოვუსწარი... რა ვიცოდი! შორეულში ვცურავდით იხვივით მე და მოსე ფარული და იმიტომ.

— სად ცურავდით? — ძაგალაც დაინტერესდა.

— სადაური ღადუა ხარ შენ?

ჯოლორია ფაყას ხმამ ყველანი ერთბაშად გააჩუმა, მერე ერთობ შიშით შებრუნდნენ მისკენ.

საკვირველი მართლაც იყო. თითქმის პირველად გაიგონეს მისი ხმა და ხშირად არც ახსოვდათ, საერთოდ იყო თუ არა ეს კაცი გამოქვაბულში. ერთხელ ჭოლამ ჰკითხა, რატომ არაფერს ამბობ, თან სულ თვალდახუჭული რატომ ხარო? ბნელს ვეჩვევიო, ამოიოხრა, წამით თვალები აახილა ჯოლორიამ და ისევ დახუჭა.

— რატო?...

ეს სიკვდილის მოციქული რამ აალაპარაკა ახლაო, იმელიონი წახდა, ბანდიბუსტობის თავი ხელად გაუქრა.

— წაჩხურშიც არიან ღადუები და იმიტომ, — ყრუდ თქვა ჯოლორიამ, — ვიცნობ მე მაგათ...

— ღადუები სად არ არიან, ჯიმაგე! — ჯოლორიამ ენა ამოიდგაო, კინჭულის ზურგი მოეცა.

— ხა, ხა, ხა!... — ძაგალა მოულოდნელად ახარხარდა და სანამ არ ჩაბეჭირდა, არ გაჩერდა, — ღადუა ხარ, ბიჭო, შენ, ღადუა?!

— მერე რა, რო ვარ? — ეს მაინც რას უნდა ნიშნავდესო, ფერი წაუვიდა. ეგეც უკვირდა, მართლა პირველად ხომ არ გაუგონია ჩემი გვარი ამ ტყარსო, — რა არის აქ სასაცილო?..

— ღადუების ამბავი არ გამაგონოთ — ძაგალამ პირზე სიტყვა შეატეხა და უფრო გადაფიჩინდა, — მაგათი ამბავი მე მკითხეთ, მე!..

— აბა, აბა! ვინ არ იცის, რანი არიან ღადუები! — ფრთები შეესხა კინჭულის.

— რაო, რაო?! — აქ უკვე ვერ მოითმინა ღადუამ და კინაღამ ყრონტში ეცა უშნოდ აცუნდრუკებულ კინჭულის. ჰმ, ყველა-ყველა, მაგრამ ძაგალას რაღა მოუვიდაო, კაცი გადარევას იყო. ეს ორი კვირა ერთი პირი ჰქონდათ. ამ დილითაც ხომ შეთანხმდნენ და ახლა რაში დასჭირვებოდა იმელიონის ქილიკი თუ რაღაც წაღმა-უკუღმა ლაპარაკი. ან კინჭულია კუდა ვინღა იყო? წამში

მოგუდავდა მამაძაღლს, ეგ ჯოლორია თუ ვიღაც ოხერი რომ არა და სიმწრისაგან სახე დაეტეტკა. ისინი ხომ ერთად მოვიდნენ გამოქვაბულში და იმ დღიდან რატომღაც სიკვდილივით ეშინოდა ამ ხმელი, სულხორცგაყრილივით კაცის. არადა, ისიც რას ერჩოდა? პირიქით, რამდენჯერ სცა პატივი. წყლან კიდევ პური და წყალი მიუტანა, თვალდახუჭულს თავთით საკურთხივით დაუდგა და ფეხაკრეფით გამობრუნდა.

ღადუების ამოწყვეტა თუ გინდა, — არ ცხრებოდა აღტკინებული ძაგალა, — შაურიანი გადაუგდე აგერ, ტობაწყურში და ყველა თავით გადაეშვება... ცურვა კი არც ერთმა არ იცის!

— დიდუ! ეს რა თქვა! ეს რა თქვა! — სიხარულისგან კინაღამ გაგიჟდა კინჭული, მერე რაღაც სასაცილოდ შეკუნტრუშდა, თითქოს ჩაბუქნაო და: ჰმ, ვხედავ, რა ღადუაცა ხარო, მის ადრინდელ ზნაქაზნუქით სიარულს გასცინა.

— შენ?.. შენ ვინა ხარ?! — ცერის სიმსხო წურბელები ყელზე აუტტუნდნენ ღადუას. ის კლავდა, რომ ვერ გაეგო ძაგალასი. არა, ალბათ, რაიმესთვის სჭირდება ჩემი პამპული, თორემ ამ მათხოვარში როგორ გამცვლიდაო, მაინც არ გატყდა, — ეს ვინ მიგდია, მაგალითად? რომელი ჯინოსკუა* ეგა მყავს? — კინჭულისკენ გაიწია.

— ჯინოსკუალებს მოეშვით! — ხმა გაიმკაცრა აქამდე უხმოდ მჯდარმა ჭოლამ.

— არა, ჯინოსკუალებთან ჩვენ რა საქმე გვაქვს, მარა არც ისა ვართ, რასაკვირველია, გვარის გამხელის რომ გვრცხვენოდეს, — ახლა ჭოლაც არ გადავიკიდოო, უკან დაიხია.

— დიდუ! — შეიცხადა კინჭულიმ, — ვიზე ამბობს მაგას, თუ იცით? — იქით შეუტია, — არაფერი შეგეშალოს!.. ჰმ, გოდორში კი არ ვარ გაზრდილი...

— სუუ... მგონი ისევ ისვრიან...

ჩამუგიამ ყურები ცქვიტა და წამოდგა.

სამარისებური დუმილი ჩამოწვა...

სამაგიეროდ მდინარემ უმატა ხმაურს, თითქოს ხიდქვეშელებისათვის ფაფვისი არსებობა უნდა შეეხსენებინა.

—ნეტამაც...

აკრუსუნებულ გლებოს უნდოდ გახედა ჭოლამ, მაგრამ არაფერი თქვა, სმენა კი გაიფაციცა.

— ხომ არ გვამაიმუნებ შენ, ჩამუგია? — რაღაცაში დაეჭვდა ძაგალა.

— არა, მეც მომესმა, — პასუხი ჭოლამ გასცა, მერე, ესენი მართლაც ჩვენები უნდა იყვნენო, გაიფიქრა და წამოდგა, შესასვლელთან ფეხაკრეფით მივიდა.

— მაინც... მაინც? — კინჭული ჩურჩულზე გადავიდა, — რითი ჯობიხართ კუდავებს ღადუები, ამიხსენი?

— ჰმ! — ჩაიქირქილა ძაგალამ, — მე, მაგალითად, დიდ განსხვავებას ვეღარ ვხედავ. ორივე ერთი ნაგავი ხართ და იმიტომ! — უცცა მოჭრა და მხართეძოზე გაწვა.

— რა თქვი?! — ყბა მოექცა იმელიონს, კინჭულისაც.

— რა ვთქვი და... ფლავი! თქვენ... ორივე რა ხართ, იცით?! წამოვარდა, თვალები უშნოდ გადაუბრიალა, — კამეჩის ფუნა ხომ გინახავთ შარაზე, ურმის თვალდადვლილი?.. ასე ა, ჭყინტი ყველივით შუაგაჭრილი... — მარცხენა ხელისგული მარჯვენათი გადაისერა, — აი, ისა ხართ, თქვენი დედაც ვატირე! განსხვავება სულ ისაა, ხან ერთი კიდე როა ცოტა მეტი, ხან მეორე...

—დია! ხომ არ გაგიჟდა ეს კაცი?! — კინჭულიმ აღშფოთება ვერ დამალა, თან ცალი თვალი ჯოლორიასკენ გააპარა, — სინდის-ნამუსი მთლად აღარ არის?!

—მე, ხომ? მე! ღადუა! — ხმაანკალებულმა კაცმა მკერდზე მუშტი ორჯერ დაიბაგუნა და, ახლა ვიტყვი, ვინც არის, რა მამაძაღლიც ბრძანდება ეს თქვენი ძაგალა-ტყარიო, უფრო წამოენთო... მზერა რომ გაუსწორა, ვეღარ გაბედა, ტანშიც ციებიანივით გასცრა, გააჟრჟოლა... — ჩემს გვარზე... მამაჩემზე

* აზნაური

ამბობ ამას? — და, ყველასდა გასაკვირად, ცრემლი ერთბაშად წასკდა.

— რაებს კადრულობთ, მამაო? — ჭოლაც გაბრაზდა, — ანაფორა მაინც არ გეცვათ! ასე როგორ შეიძლება!

— ნათქვამია ენას ბაკი არა აქვსო, ჭოლა პატენი! — გაცეცხლებული იყო კინჭულიც.

უცებ ჯოღორია ფაჟა წამოდგა...

ძაგალა შეცბა, მაგრამ არ შეიმჩნია, პირიქით, უფრო მყარად დადგა, დაელოდა.

როგორც იმელიონს (შეიძლება, სხვებსაც!), არც მას მოსწონდა ეს კაცი, თუმცა, მის გამოწვევას, უბრალოდ სიახლოვესაც კი, თავიდანვე გაურბოდა, ზედმეტად არ ეჩხირებოდა თვალში. არადა, უმიზეზოდ! ვის რას უშავებდა ჯოღორია! თავისთვის იყო, მუნჯივით, ბნელს და უძრაობას შეჩვეული, გაუხარელი და გულმოკლული... კი, იქნებ არც ერთს არ ეხატა გულზე ეს კაცი, მაგრამ ესეც ცხადი იყო, ქვეცნობიერი შიში თუ მოკრძალება თითქმის ერთნაირად ჰქონდათ მისდამი, რის წყალობით იმ დუხჭირ დროში, ყოფაში ლუკმა არ ემალებოდა, ჭამდა თუ არ ჭამდა, მჭადის ნატეხი და მეშის მათარით წყალი ყოველთვის თავთით ედგა. ვინ აძალებდა ან ერთს ან მეორეს? რა თქმა უნდა, არავინ. უბრალოდ, ამ ნაგვემ-ნატანჯსა და სულხორცგაყრილივით ადამიანში რაღაც ფარულ ძალას თუ უპირატესობას გრძნობდნენ და, ალბათ, ამის გამოც ალალად უყოფდნენ ლუკმასაც.

უკვე გვიანღა იყო. ჯოღორია ფაჟა ადგა, ძაგალასკენ წამოვიდა და, ანაფორის ქვეშ დამალული მოკლე ყამა მოსინჯა. თუმცა, არ ივარგებსო, უმალ უარყო და, მომიახლოვდება თუ არა, ყბაში ვლეწავო, „მოძღვარმა“ მარჯვენა მუშტი მტკიცედ შეკრა...

ჯოღორია კი მოდიოდა; უშნოდ აწოწალი, თეთრად გამოციებული, უმეტყველო თვალებით...

ძაგალა უფრო დაიძაბა და... უცებ, სანამ ხელს გაატოკებდა, თითქოს ძარღვები დააწყდაო, თითები მარწუხებივით შემოჭდომოდა მაჯაზე... მერე, უღონობამ თუ ტკივილმა ერთბაშად მეხვედრა, საქმე ცუდად იყო, ხელიც რომ შეეშვა ჯოღორიას, ჩამომწყდარივით მკლავს მაღლა ვეღარ ასწევდა... ვერც ჯოღორიას მრისხანე, უკვე სისხლმოწოლილ მზერას გაუძლო, ღონივრად დაქაჩულმა მკლავმაც კინაღამ ჩაამუხლა და, მეყოფაო, ხმაკანკალებულმა თხოვა.

ჯოღორიამ ხელი უშვა, შეტრიალდა და თავისი ადგილისკენ წაიზლაზნა.

არავინ იღებდა ხმას.

მართლა ვინ ყოფილა ეს ჯოღორიაო, კინჭულიც კი გაოგნებულიყო, განძრევას ვეღარ ბედავდა, მხრებჩამოყრილ, დაჩუტულივით ძაგალას ქვემოდან, დარცხვენილივით, შესაცქერად.

— კარგი, გავჩუმდები, — ისევ ძაგალა მოვიდა გონს, დუმილი მოგვიანებით დაარღვია, — მაინც ვინ იყავით ეს ღადუები, აღარ იტყვი? —ვითომც არაფერი მომხდარიყო, იმელიონს მშვიდად შეხედა.

—ვიტყვი, — ძაგალას ნებართვას თუ ელოდაო, ენა ამოიდგა ღადუამ. თუმცა სად იყო ის ცოცხალი და მოძრავთვალება, ხმადაბოხებული იმელიონი, ყურებჩამოყრილი, მობღუნძული იდგა და ცრემლს ახლაც ძლივს იკავებდა, — დიდი კაცი იყო მამაჩემი, ეთმე ღადუა... მთელ სოფელს მისი იმედი და რიდი ჰქონდა...

— ხოხ! გადამრევს ეს კაცი! — ვერ მოითმინა კინჭულიმ. — ასეთი რა ჩაიდინა, მაგალითად? ტობაწყურზე ხიდიგასდო თუ ომარ ფაშას მკლავები შეუკრა ნალიმაში და ეკატერინა დედოფლის წინ მუხლებზე დააჩოქა?!

— შენთვის არც ვამბობ.

— რატომ ვითომ? გოდორში კი არ ვარ...

— კაი ახლა, კინჭული. აცალე კაცს!

— თავაზიანად „დატუქსა“ ძაგალამ.

— კი, ბატონო...

— ომში არც ყოფილა, არც ხიდი გაუდვია სადმე, მარა ჩვენს სოფელში მწყემსს თუ მონადირეს დათვი რომ და-

ტორავდა ან კაცი კაცს სასიკვდილოდ დაჭრიდა, ამასთან მოდიოდნენ, ავადმყოფს წინ რომ დაჯდომოდა და მისთვის ეყურებინა...

— რაზე მაინც? — ისევ ყბა მოექცა კინჭულის.

— რაზე და... დაჭრილი რომ მამას უყურებდა, ხშირად მალამოზე მეტად მისი თვალი რგებდა.

იმდაგვარი სიჩუმე ჩამოწვა, თან ისე განცვიფრებით მისჩერებოდნენ (ჯოლორიას გარდა, რა თქმა უნდა!) ერთმანეთს, თითქოს მეხი გავარდნილიყო უცაბედად, ჰაერი ამოხაპულიყო და მღვიმე სულის ამომრთმევ უძრაობად ქცეულიყო... ჭიჭაღუაც კი კაიხანს გაკვირვებული და პირდაღებული დარჩა.

— მაგი, ბაბაია... რაღაც გაუბედავად წამოიწყო კინჭულიმ.

— ხა, ხა, ხა!.. — არ დაამთავრებინა ძაგალამ, გიჟივით ახარხარდა, — ეგ საკენკი ისევ ღადუებს დაუყარე, ჯიმა, ღადუებს! — სული ძლივს მოითქვა. — რა, დოხტური იყო?

— არა... — ხმა კი გაებზარა იმელიონს, — სოფელს სჯეროდა ასე... ახლაც ახსოვთ, მამის სული ნუ წამიწყდება... ავადმყოფს იმისი იმედი ჰქონდა, რომ უშველიდა. წამალზე უფრო რწმენა შველის თურმე ადამიანს...

— ჰმ, რწმენა ჰქონდა! — კვლავ წინასწორობას კარგავდა ძაგალა, — უსაქმური იყო, ალბათ... არაფრის მაქნისი! ჰმ, ავადმყოფს დაუსვამდნენ წინ და ერთმანეთს შესციცინებდნენ თვალებში, ხომ? ჯანმრთელდებოდა ავადმყოფი, ხომ? პაპკორიას წამალზე უარს ამბობდა, არა?

— თვალი ჰქონია, ჯიმაგე, თვალი... რავა ვერ გაიგე ამდენ ხანს? — ახითხითდა კინჭული.

— ასე რომ იყო! — თავისაზე მტკიცედ იდგა ღადუა.

— არა, მამაშენის არ მიკვირს, სოფელი რომ ყოფილა სულელი, ისა თქვი შენ! მამაშენი რას უშველიდა ავადმყოფს, მაგი ქე ვიცი, ღომს ვინ გიმარგლავდათ, ის მითხარი? ჭირისუფალი თუ მამათქვენის ბუზიყლაპიობით კუჭი გქონდათ, თქვე საწყლებო, გამოსარჩენი?!

კუჭი მართლაც გამომხმარი ჰქონდა ეთმეს და მის ოჯახს, მაგრამ ის, რაც მამამისზე თქვა იმელიონმა, თითქმის არაფერი მოუგონია. ეთმე ღადუა (საოცრად კეთილი ფეხის წყალობით იყო თუ რაღაც თილისმას აშკარად ფლობდა მისი მზერა) თავისებურ მადლს ასხივებდა სათნო, დიდრონი, თაფლისფერი თვალებიდან და, თავად უტყვი და თაფლიკაცი გაჭირვებულ ადამიანს რაღაც შველას თუ მხნეობას რომ მატებდა, ცამდე სწორი იყო! პაპის პაპის პაპიდან მოდიოდა ეს რწმენა მათ გვარში და, რახან ასეთი ფეხისანი იყვნენ ღადუები, ეთმე კარდაკარ დაჰყავდათ ხოლმე სოფელში. თუ გამოიხედავდა ავადმყოფი, იმის გვარი და ჯილაგი მთელი ცხოვრება მათი მადლიერი იყო, თუ არადა, ეთმე მაინც რჩებოდა ეთმედ, არ იკარგებოდა მისი უშურველობა და თვალის რწმენა. ასეც ყოფილა: მის მზერას ვეღარ გაუძლო ავადმყოფმაო, მიცვალებულსაც კი აბრალიდნენ, ან რამდენიმე გვარის კაცზე, ხან ხვარაიების, ხან — ურდაიების ნავს ფეხზე შეჰქონდათ ეჭვი... მონადირე კაცი წინა ღამეს ეთმეს შეიპირებდა, პირველად შენ შემომხვდიო და ისიც მზად იყო, მის ჭიშკართან უთენია დალოდებოდა მთხოვნელს თხრილში მხრებამდე ჩაყუნცული თუ ხეს ამოფარებული... რაც მთავარია, თავად ერწმუნა მისივე სიკეთისა და ყოველივე ამას ალალად და უშურველად აკეთებდა. უცნაური კაცი იყო ეთმე თუ მადლიერი რომ ჰყავდა სოფელი, ის ჰგვრიდა უზომო შვებას და სიხარულს, როს შეუძახებდა ვინმე მის ჭიშკარს, მიშველეო. მზად იყო, ცხრა მთას იქითაც გაჰყოლოდა. ისე, როგორც ძაგალამ თქვა წელან, ყანა ხშირად გაუმარგლავი რჩებოდა ამ გარე-გარე სიარულში... ოჯახი ვერ გამოეკვება, ცოლს კი, ეტყობა, არც ისე უსაფუძვლოდ, მობეზრებოდა ცარიელ მადლობებზე ქმრის დაუსრულებელი ბოდიალი და

ეოთხელ ავადმყოფიდან გვიან მობრუნებულს კარი არ გაუღო...

ზამთრის პირი იყო; წვიმას თოვლს ურევდა, ქარი წანწალებდა ლაფაროში, მაგრამ მეზობლები გამიგებენ, თავი საქვეყნოდ მომეჩრებაო, კაცი ხმაურს მოერიდა და ჯარგვალს მოსცილდა.

გათენდა. რომ არ გამოჩნდა ეთმე, ქალი შეფიქრიანდა, სად წავიდაო, მეზობლებში გადავიდა, სოფელში მოიძია. ნაშუადღევს კი საჩეხში იპოვა. შეშის გროვაზე საცოდავად მობღუნკული კაცი ერთიანად ძაგძაგებდა...

ეთმეო, მაშინ კი იკივლა ქალმა, ლოყაზე იტკიცა ხელი, დაფაცურდა... წამოაყენა, ძლივს შეიყვანა ჯარგვალში, სველი ტანსაცმელი გახადა, საცვლები გამოუცვალა, ფეხები თბილ წყალში ჩააყოფინა, მერე ტიბუ* გაუკეთა და ლოგინში მიართვა.

ვინ არ მოდიოდა ეთმეს სანახავად, დღედაღამ ცეცხლი გიზგიზებდა ჯარგვალში, ღამესაც კი უთევდნენ ახლო მეზობლები, მაგრამ სხვის იმედსა და მშველელს თავად არაფერმა უშველა, ერთ კვირაში გათავდა ორმოცი წლის კაცი.

მამაჩემის დასაფლავებას ვერ მოვუსწარიო, რომ თქვა, აქ კი მოიტყუილა იმელიონმა, ვინაიდან მამა რომ გარდაეცვალა, თერთმეტი-თორმეტი წლისა თუ იყო და შავი ნაჭრით შუბლწაკრული, დამწუხრებული ბალღი უფროსი კაცებისაგან სამძიმარს დიდივით რომ იღებდა, ის ეამაყებოდა.

გაუბედურებულ დაიას მხარს ცოტათი შევუმსუბუქებო და ეთმეს დასაფლავების მეორე დღეს პატარა იმელიონი დედის ძმამ ჩამოიყვანა ტობაში.

ჯიუტი და მაკვარანცხი ბავშვი იყო იმელიონი, სულ გარე-გარე და დაბღვერილი დადიოდა. რამდენიც არ უნდა გეთხოვა, ჭიდან წყალს არ მოგიტანდა უსარგოდ, მჭადს თუ არ მოუტეხავდი... ბიცოლამისსაც რა უნდოდა! სანამ ეროდა, კანჭებს ჭინჭარით უხურებდა, წყევლა-კრულვას არ აკლებდა. ცოტაც რომ წამოიზარდა, იმანაც კარგად გადაუხადა. როცა არავინ იყო შინ, ბიძამისის შარვალ-ხალათი და ჩექმები ჩაიცვა, ფართო ქამარი წელზე შემოირტყა, ფულიც იპოვა, ხელს გააყოლა და გაუჩინარდა. თუმცა, რა გაუჩინარება ეთქმოდა, ისევ ტობაში იყო; ბაზრის, სადგურის, ქუჩებისა და თუ ბნელი ღამეების ტურასავით ფრთხილი, ფხიზელი, ფეხაკრეფილი ბინადარი... მაგრამ, როგორც ბიძა-ბიცოლა არ იკლავდა თავს მისი ძებნით, არც თავად ენატრებოდა, ცხადია, ჭინჭრის სუსხი, დაყვედრებული მჭადი, ჭერი თუ ლოგინი...

ძაგალ-ტყარს ქუთაისის ციხიდან იცნობდა. აქაც შეხვედრილან, ტობაში. გუშინღამ თავად შესთავაზა ძაგალამ, ხელს მოგათბობინებო და ეგლა აკვირვებდა, მისი ვეღარაფერი გაეგო.

ჭიჭაღუამ წამიერი სიჩუმით ისარგებლა და მღვიმის ყრუ წკვარამში გაუჩინარდა. იქიდან წყლის ჩხრიალის ხმა მოესმა...

კინჭულიმ ცხვირი ააქსუტუნა, თვალყურიც გაიფაციცა...

— აქ შარდავს, ეგ მამაძაღლი?! — იფეთქა და ეცა, აქეთ კისრით გამოათრია, კაი ჭიტლაყიც ამოჭკრა...

— აბა, ის... — ჩია აკრუსუნდა, ხვანჯარი უწაუწა შეიკრა... თვალი გლეგოსკენ ჰქონდა, ის უნდა ეთქვა, აკი იმანაც წეღან მოშარდაო... ისინიც კი მიუხვდნენ, რისი თქმაც სურდა, მაგრამ წაუყრუეს.

— ძმებ-ბო!

ვიღაც ალულლულდა გამოქვაბულში.

ყველამ, როგორც ერთმა, თავი შემოსასვლელისკენ მიაბრუნა. ხეიბარი მოსულიყო. ყავარჯენს დაყრდნობილი შემოსასვლელთან იდგა და თავს ძლივს იკავებდა. ამათი შემხედვარე ცოტა კი დაიბნა, ყურებამდე პირჩახეული და სულელივით გაღიმებული დარჩა.

რა აცინებს, ამ უბედურსო, კინჭულიმ

ზაურ კალანდია
ქამი მესამე

---

* წიწაკიანი ღომის ნახარში.

შუბლი შეიკრა, მაგრამ ზურგზე რაღაც ტომარა რომ დაუნახა, უკან დაიხია, მოხვედით, ხელები გაუშალა, შეჰღიმა.

— ადრე დატოვებდა საგუშაგოს...

ჩაიდუდღუნა ღადუამ.

ნახე... თევზი არ დაუჭერია ამ მათხოვარსო, თვალებაციმციმებული იყო კინჭული.

— შენ დაიჭირე?

— რა-ა?

— მე რას დავეძებ, მარა... — ისევ ამოიდგა ენა იმელიონმა, — ცეცხლის დანთება არ შეიძლება. ტყუილად კი არ დგანან კოშკებზე, შეგვნიშნავენ...

— წუხელ ისედაც შეგვნიშნეს, — ჰიჭაღუამ თავი გამოიდო და, მართლა თევზი მოიტანაო, ყნოსვა გაიფაქიზა, თან კინჭულის თვალი მოარიდა. ახლა იმაზე იყო დაბოღმილი, თორემ ხეიბარზე (გუძაზეც კი) წყენა უკვე გასვლოდა.

— ჩვენები იდგნენ წუხელ, მარა თვალში მაინც არ უნდა შევეჩეხოთ, — მტკიცედ თქვა ძაგალამ, მერე იქვე მდგარ იმელიონის ჯუბას ხელი წაუპოტინა, ჩამოჯექიო. დაქაჩა. ისიც უმალ დაეშვა ფიცარზე. კარგად ენიშნა ღადუას ეს საქციელი, გულიც ხელად მოულბა.

ხეიბარი შუა გამოქვაბულისკენ წამოპაკუნდა.

შედგა. ტომრის ჩამოღება გაუჭირდა.

კინჭული მიეშველა, ფრთხილად დაადებინა ქვევით, მერე თავადაც ჩაიმუხლა.

მე თვითონ... — ხეიბარი აზმუვლდა, ტომარა არ დაანება, თან თვალი ელემელე გაექცა და გუძა მოიძია, — ბიჭს მოვუყვანე საჩუქრად... სუ პატარაა და ბრმა...

— რაიო? წელში ფეთიანივით გასწორდა კინჭული, — თევზი? — იმედს მაინც არ ჰკარგავდა.

— თევზი? — ხეიბარმა აშკარად გაიკვირვა, მერე, როგორ ვერ გამოიცნოო, უცნაურად გაიბადრა, — თევზი არა...

დაიხარა და ტომარას თავი მოუბოშა.

ტომარა შეირხა, რაღაც უცნაურად ახვარხვალდა და ყველამ კისერი, თავისდა უნებურად, წაიწვდინა... ... პირდაბჩენილები და გაოცებულები დაჩერდნენ იმ ადგილს...

ნაპრალიდან კვარი ამოეძრო ჰიჭაღუას, მოცახცახე შუქი თავზემოთ აეცდინა და მათ ფეხაკრეფით უახლოვდებოდა. კინჭულიმ ჯერ ძაგალას შეხედა, მერე ჰიჭაღუას კვარი გამოსტაცა და ტომარას თავდაყირა დააღირა, საიდანაც თეთრი (დრუნჩი და ყურები ნახშირივით შავი ჰქონდა), ხშირბეწვიანი, მტკავლისტოლა ლეკვი წკმუტუნით გამობობღდა და იქაურობა თუ ეუცხოვო, უფრო მოიმუჭა, გაიტრუნა...

— ლეკვი?.. — რაღაც შიშით აღმოხდა კინჭულის. — დაგვცინის, ეს შობელძაღლი?! — მერე კი იფეთქა.

ხეიბარი შეკრთა, ყავარჯენი გაუვარდა და წაბორძიკდა, ცალ ფეხზე თავი როგორღაც და სასწაულად შეიკავა, წელშიც კი გასწორდა... ისევ ჰიჭაღუამ შეიცოდა, დაიხარა, და ყავარჯენი ხელში უხეშად შეაჩეჩა.

— ვიღაც კაცი მდინარეში ახრჩობდა.... — ფერდაკარგული ხეიბარი ალუღლუღდა, — აბაზი მივეცი და მომცა... მეორეც კარგი ლეკვი იყო; ნაცრის ფერი, ბუნჩულა... მაგრამ მეტი ფული არ მქონდა.. იმ კაცმა კი უფულოდ არაო და დაახრჩო...

არავინ იღებდა ხმას.

— ბიჭს მოვუყვანე საჩუქრად... — ხეიბარმა კვლავ ბიჭი მოძებნა და მორცხვად გაუღიმა.

გუძამ ვერ მოითმინა და წამოხტა, ლეკვთან ჩაიმუხლა, ფუმფული ბეწვზე ხელი გადაუსვა... ლეკვმა დაიწკმუტუნა, ახვარხვალდა... ახლა საჩვენებელი თითი დრუნჩზე აუსვ-დაუსვა... ესიამოვნა ძაღლის პაწია, გრილი დრუნჩის შეხება და, ისიც ამას თუ უცდიდაო, უმალ გაიტრუნა, თითს პირი წაუპოტინა და გაულოკა...

— ხელი არ ახლო! — კინჭულიმ ბიჭს უყვირა. — რა უნდა უყო ახლა ამას? — ადამიანზე იკითხა თუ ცხოველზე, ვეღარ გაიგებდი, — ლეკვი გვაკლდა ახლა ჩვენ?!

— რა უჭირს... ძაღლს კარგი ფეხი აქვს, ლეკვს — უფრო, მაგალითად. ხომ მართალს ვამბობ, ბატონო ჭოლა? — ისე თქვა ძაგალამ, ხუმრობდა თუ გულწრფელად ამბობდა, მხოლოდ მან და, ალბათ, ეშმაკმა უწყოდა.

— ეხ...

ჭოლამ უნდოდ შეხედა, მოგცლია ერთიო, ხელი გულგრილად ჩაიქნია და თავი ჩაღუნა, კვლავ თავის საფიქრალს მიეცა.

— პატივცემულო იმელიონ ეთმეს ძევ! ლეკვისთვის ცალკე კაიუტა დაგვჭირდება, ალბათ. ა, რას იტყვი? — ძაგალას რაღაცას მიუხვდა და აჰყვა, თან ღადუასაც წაექილიკა.

— ცალკე კაიუტა... — ისე წაიდუდღუნა, ეტყობოდა, ჯერ არ გასვლოდა ბრაზი კინჭულიზე, — სამი კაცი ისედაც ზედმეტი გვყავს... მე, მგონი, ოთხიც.

— შენ რა, ეს მათხოვარიც სათვალავში გყავს? — გულწრფელად გაიოცა კინჭულიმ, — ვის რაში სჭირდება, მაგალითად? ჰმ, ხომ გადირია მოსე ისედაც!.. — მოსეს სახელს ხაზი ზედმეტად გაუსვა, წაიჯგიმა, — ჭიჭაღუა ახლავე გააგდე აქედან ეს მამაძაღლი თავის ლეკვიანად, თორე არ ვიცი, რას ვიზამ!

ჭიჭაღუა გაშრა, გუძას გამოხედა, მერე ისევ ხეიბარს და რაღაც უცნაურად დაიღლარჭნა, გაჯიუტდასავით, თან ფეხი ფეხს ააცოცა და შიშველი წვივი ჩაიფხანა.

— იყოს, შე კაცო! რძესაც მოუტანს, ალბათ, რახან ლეკვს აბაზი მისცა და მოიყვანა, — გამოესარჩლა ძაგალა.

— რძეს?.. რძე საიდან? — ალეულლუღდა ხეიბარი.

— ძიკის აქვს, კვარაცხელიას. რძეს როგორ დაგიკავებს ლეკვისთვის, ოღონდ შენ დროულად მიდი, არ დაგიგვიანდეს, — დინჯად თქვა და მეტი სერიოზულობისთვის, ჩაახველა. ჯვარიც გასწორა.

— ძიკის? სად ცხოვრობს? — ნამდვილად გადავრჩიო, გაიხარა და ძაგალას მიეახლა. წაბორძიკდა, კინაღამ თავზე გადაემხო, უფრო სწორად, ხეიბარი დროულად დაუხვედრა ანაფორიანმა და შეაკავა.

— იქით გაიწი, შე... — თან თავი უკან გადაიგდო, — თფუ! შარდის სუნი ამოსდის პირიდან, ამ მამაძაღლს! — შეაგინა, ხეიბარი რომ გასწორდა, ზიზღით გადააპურჭყა.

გუძას ლეკვი აეყვანა და მკლავზე დაეწვინა. ლეკვიც გასუსულიყო.

ყველაზე მეტად ბიჭი კინჭულიზე იყო გაბრაზებული. ბოლმა ბურთივით აწვებოდა ყელში, თითქოს გუდავდა, ზევით და ზევით მოიწევდა, მაგრამ უკანასკნელ წამს თავს როგორღაც იკავებდა, ხმის ამოღებას ვეღარ ბედავდა და, ახლა ბონდო მომცა აქაო, გულით ინატრა.

კინჭულიმ გუძას კუშტი მზერა იგრძნო. არც ის შედრკა, პირიქით — ამ ლაწირაკს რაღა უნდაო, დაიბოღმა და ლურსმნის წვეტივით წვრილი, უტეხი წერტილებით მიაცივდა...

—ჯანდაბას, ლეკვი იყოს... ისედაც პატარას გაერთობა ე ბაღანა. — ვითომ მოლბა და კვლავ ხეიბარს მიუბრუნდა, — ოღონდ შენ იჩქარე, არ დაგაგვიანდეს.

— კი-ი... ენა გააწკლაპუნა ხეიბარმა.

გუძა შებრუნდა და ჭოლას გვერდით დაჯდა, ლეკვი კალთაში ჩაისვა.

ყავარჯნის პაკიპუკი მიწყდა...

ხეიბარი წავიდა.

და, მღვიმეში უფრო პირქუში სიცივე-სუსხი თუ ჩამოიშალაო, გუძას უცნაურად გაძაგძაგა, ლეკვი ჩაიხუტა.

— რამდენი კაცი თქვი შენ ზედმეტი?

უცებ მჭახე ხმით იკითხა ვიღაცამ.

— სამი, — ხმას ცოცხლად მიუბრუნდა იმელიონ ღადუა, თუმცა, მანამდე მიხვდა, ვინც იყო და დაზაფრა.

— მაშინ ორი კაცი ყოფილა ზედმეტი!

თქვა უკვე დინჯად ჯოღორია ფაჟამ და წამოეყუდა, მუხლებზე ხელებდაყრდნობილი დაჯდა.

იმ დღის მერე, ყოლანდარიების დე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბრის გაფიჩხული გვამი რომ დაუხვდა საკუთარი ოდა-სახლის დირეზე შვილის ყაბალახით ჩამოკონწიალებული, ჯოლორია ფაქა სოფელში არავის უნახავს. ეს, ალბათ, ასეც უნდა მომხდარიყო! ამ ტრაგედიის სიმძიმე თუ სოფლის ძველისძველი კანონი მოითხოვდა, მარტო მკვლელს კი არა, მთელ მის ჯალაბს დაეტოვებინა იქაურობა. კაცმა რომ თქვას, უფრო დიდი სასჯელი რა გინდოდა ქრისტიანი კაცისათვის, როცა გვარში არავინ ჰყავდათ მამაკაცი, სისხლი სისხლის წილ რომ აეღო, შენი მსხვერპლის დედა საკუთარი თვითმკვლელობით გსჯიდა, შენი ოდა-სახლის დირეზე იხრჩობდა თავს...

ფაქების ეზოში მილეთი ხალხი შეყრილიყო.

სამზადში ჭარმაგი კაცები ისხდნენ და ცოცხალ-მკვდარ ჯოლორიას წინაპრის ძირძველ ადათ-წესს მორიდებიი უხსენებდნენ, ფრთხილობდნენ. ჯოლორია ჩუმად იყო, ზოგჯერ თავს უაზროდ აიღებდა და: ის უხსენებელი სადღა წავიდაო, მეუღლეს თვალით მოიძიებდა. აღარსად ჩანდა და უკვირდა. მართლაც, ქალი უკვე შორს იყო. სანამ კაცები სამზადში დასხდებოდნენ, რაღაც ეგუმანა, ანუ — დროულად ეშველა თავისთვის... ბავშვებიც უმალ მოეხიკა და მშობლების სახლისაკენ ცხენს მოკლე გზით დაფეთებული მიაჩაქჩაქებდა..

ჯოლორია არ იძვროდა და უკვე მერამდენედ შეახსენეს — ნუ დააგვიანეო! ძმებ ლაგვილებს წამისწამ მოელოდნენ მეზობლები და აჩქარებდნენ, უბედურებას კვლავ უბედურება რომ არ დამატებოდა.

სად უნდა წავიდე, ასეთი მიცვალებულის პატრონიო, ჯოლორიამ მხრები აიჩეჩა და წამოდგა. სამზადიდან გავიდა.

მეზობლის ქალებს დედაბრის ცხედარი გაეპატიოსნებინათ და ფაქების „ზალაში“ დაესვენებინათ.

„ზალაში“ ჯოლორია შემოვიდა.

ქალები დაიბნენ, მერე აქა-იქ ბუნ ქვითინი ატყდა.

მარტო დამტოვეთო, ითხოვა და ოთახიც წამში დაცარიელდა, მარტო დატოვეს.

მიცვალებულს ზეწარი ჰქონდა გადაფარებული და, კიდევ კარგიო, რატომღაც გაუელვა, ტახტთან მიახლოება მაინც ვერ გაბედა და სადაც იდგა, იქვე, სუნთქვაშეგუბებულმა და აცახცახებულმა, ჩამუხლა.

აივანზე რაღაც ჩოჩქოლი ატყდა და ზანტად მოიხედა.

კარში მისი უფროსი ძმა ჩამდგარიყო და. ასე მალე აქ საიდან გაჩნდაო, გაუკვირდა.

ჯოლორია, ან უკანა კარით წახვალ, ან მე შევაკვდები ლაგვილებსო, ძმამ დაუყვირა, მერე ხმალი გააშიშვლა და კარის საგდულს ისე ღონივრად მოუქნია, კაეს თუ დაჰკრაო, ნაპერწკლები გააყრევინა....

კი მაგრამ, ლაგვილებს რაღა უნდათო, ისევ მხრები აიჩეჩა, მერე ძმას თვალი თვალში გაუყარა...

მე ვიცი, რაც უნდათ, უკვე აქ არიანო, უფრო უღრიალა ძმამ, კარს საგდული სწრაფად გაუყარა, მერე ჯოლორიას მივარდა და წამოაყენა.

ჰოო... თითქოს მისი შეშფოთება ეამა, რაღაც შვებითაც ამოისუნთქა და მხარზე მკლავით ჩამოეყრდნო, მუხლმოკვეთილი გალასლასდა...

იმ დღიდან ცხრაჯერ დამდგარიყო მკაცრი, ულმობელი ზამთარი, ბუნებაც ამდენჯერვე აყვავებულიყო; ფერი ფერს შეეცვალა, ზაფხული — შემოდგომას.. რა არ მომხდარიყო ამ ცხრა წელიწადში! ბედისწერის ჩარხი ვისთვის წალმა, ვისთვის-უკუღმა დატრიალებულიყო!... დრო ულმობლად, ქარის სიჯიუტით დაქროდა და ხშირად განურჩევლად მიიხვეტდა, გზადაგზა ფანტავდა, მიწასთან ასწორებდა მტყუანს და მართალს...

და, რახან მდინარის სათავე ერთხელ აიმღვრა, შური და უნდობლობა აზვირთდა, ბევრს, ჩამომავლობის განურჩევ-

ლად, წონასწორობა, სათნოება, რაინდული სული დაეკარგვინა... გლეხი მებატონეს აუმხედრდა; დღე ხალთაში ცეცხლს მალავდა, ღამე — უკიდებდა მის ნალიას, ბოსელს, სამზადს... მუშა ცოლ-შვილის გამოკვებაზე, პურზე უფრო ტყვია-წამალზე ფიქრობდა, სიკვდილს უმზადებდა მალულად თავის მეპატრონეს... არც ესენი იყვნენ გულზე ხელდაკრეფილები. თავს ვიცავთო და, ცეცხლზე ნავთს ასხამდნენ, ბოროტებაზე ბოროტებას თესავდნენ და თავადაც იმას იმკიდნენ... ეკლესია შორს იდგა, დაქვრივებულივით, უფრო სწორად — ცაში გამოკიდებულიყო, მდუმარე, ჟანგმოკიდებული ზარებით... არავინ ინდობდა და, თუ სახსრებში ტეხდა მობერებულ, ძლივს წელათრეულ ქვეყანას, მაღლა ღმერთს, დაბლა — ადამიანს თითქოს ნერვს არ უტოკებდა. ყველაფერი უკიდურესობამდე იყო შელახული, არეული, დაძაბული... იყო და... ბევრი ამით დიდგულობდა, მოსწონდა, ამაყობდა, ის კი თითქმის არავის ახსოვდა, რომ ერს წარსული, მათი სულიერი ძალა და ენერგია — მყარი საყრდენი დღე-დღეზე ეცლებოდა...

ჯოლორია ფაჟასთვის კი, დიდი ხანია, ყველაფერი სულ ერთი გამხდარიყო. მშობლიურ სოფელს სამუდამოდ მოწყვეტილი, ნადირივით მარტო და მშიერ მწყურვალი ცვეთდა მიწის პირს... ეს ცხრა წელიწადი, ხან ერთი უმოკლესი დღე იყო მისთვის, რაღაც უცაბედი გაელვება, ხანაც — მთელი არსებობა, ანუ სიცოცხლის დასაწყისიდან აქობამდე წელმოწყვეტილი და ტანჯვა-წამებით სიარული...

რამდენ ხანს უნდა ეწამო, ერთხელ რომ მოკვდე და ყველაფერი დამთავრდესო, გაუელვებდა ხოლმე, გაუფიზლდებოდა კარგა ხნის გადაბინდული გონება და მაშინ არაფერს დაგიდევდა; ხიფათს ეძებდა, აღსასრულს გახელებული მიელტვოდა, მაგრამ უკანასკნელ წამს (თავად ფრთხებოდა თუ სიკვდილი?) რაღაც სასწაულად ცოცხალი რჩებოდა, არ მოდიოდა რატომღაც იგი, თითქოს ერთხელ და სამუდამოდ დავიწყნოდა მისი თავი და ტანი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ამბავი ხდებოდა დღეს ქვეყანაზე, ვინ ვის ებრძოდა... რატომ მოჰქონდა ხიდიდან ნიავს ტყვია-წამლის სუნი გამოქვაბულში ან ესენი — ხიდქვეშელები ასე რას შეეშფოთებინა, არ იცოდა და, ცხადია, არც აინტერესებდა. სხვა რამე აფორიაქებდა ხოლმე მის ქანცგაცლილ სხეულს, სულს... ტვინს უბურღავდა, თვალებში სისხლს უქცევდა, მზერა ედღაბნებოდა... იცოდა, ამ ყველაფრის მიზეზი მისი მსხვერპლის უცნაურად დიდი, დედაშვილობის ერთგული, მკაცრი, რაღაც მარადიული დედა იყო... ჩათვლემდა თუ არა, თვალწინ უმალ მოხუცი ქალის გაფიჩხული და ჰაერში მოკონწიალე სხეული გაუელვებდა, ნიავი ოდნავ, სულ ოდნავ რომ არხევდა.

თვითგვემით გულგვამგამოღრღნილი ფაჟა კინჭული კუდას მოჰყვა გამოქვაბულში. იმ დღეს, რიყეზე რომ შეხვდნენ ერთმანეთს, სულ სხვა ფიქრს ჰყავდა ჯოლორია შეპყობილი. იმდენად ვყარვარ, უნდა განვიწმინდოო, დილიდანვე აეკვიატებინა და ტობაწყურს ნაპირ-ნაპირ, ღრმა ადგილის მოსაძიებლად, განსაწმენდად მისდევდა...

ასე უვლიდა სიკვდილი გვერდს ყოველთვის. რაღაც გამოეჩხირებოდა წინ და უკან (თვითონ თუ სიკვდილი)? დაიხევდა. არადა, არც ისე ცოტა დრო იყო საჭირო, კვლავ შესამზადებლად... სიკვდილსაც ბედი თუ ხელშეწყობა ან რაღაც ამდაგვარი უნდოდა თურმე! ეხ... ვის რა აწუხებდა და ვის — რა! ერთხელ არ ჩარეულა ამათ საუბარში, კამათში... რა უნდოდათ, რატომ ესხმოდნენ თავს ერთმანეთს ან საით აპირებდნენ დღე-დღეზე გაქცევას, მისთვის სულ ერთი და უინტერესო იყო. თავიდან რომ მიწვა ერთ თავისუფალ კუთხეში, ქვის სკამლოგინზე, ტანი რამდენჯერ თუ წამოსწია. წელან რომ წამოდგა, ძაგალას გაფიცხებამ, უფრო სწორად, რაღაც უაზრო ყვირილმა შეა-

წუხა და ამიტომ სტაცა მაჯაზე ხელი, კინაღამ რომ წაიწყვიტა...

— ორი კაცი კი არა...

საკუთარი ხმის თუ რაღაც ავის მომასწავებელი სიჩუმის შეეშინდა იმელიონს და აღარ დაამთავრა.

ჩემი საშველი აღარ არი, ისევ მე უნდა გამწირონო, აქამდე გასუსულ ჭიჭაღუას ქსუტუნი აუვარდა. აბოლქვებული კვარი ახლაც ორივე ხელში ეჭირა და მის ბარჩხალა შუქზე სახე ჯადოგამოცლილი ეშმაკივით უცახცახებდა, კაცმა რომ თქვას, საით აპირებდა ჭიჭაღუა წასვლას, თავად ყველაზე ნაკლებ იცოდა, ალბათ. რას ამბობ, იქ არი, თუ არი, ცხოვრებაო, მას მერე, აქ ყური რომ მოეკრა, მასაც ზღვისკენ ეჭირა თვალი, ამიტომაც ფხანდა ძაგალას ფეხის გულს, ნაბულზე დამჯდარი მწევარივით უტრუნდებოდა. წელანაც: აქ ყოფნას ყველგან ყოფნა სჯობიაო, ჭოლამ რომ ჩაიდუდღუნა, მოეწონა და არ დამავიწყდესო, გულში სამჯერ, პირჯვარივით, გაიმეორა. კი, ასე ფიქრობდა და იმედსაც არ ჰკარგავდა, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, როგორც ჭიჭაღუასათვის, ისე შემოქმედისათვის (მით უფრო — სამყაროსათვის!), საით წაიყვანდა მას განგება... კიდევ ერთ ცოდვილ და ფშუტ ნაყოფს ქვაზე დასვამდა თუ უსასრულობის რაგინდარა განედზე მოისროდა, ცხადია, დიდი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

გლებოსთვის სიცხეს აეწია... მოსეს გამოჩენას არა და არ დაადგა საშველი. რაღაც საეჭვოდ იგვიანებდა მოსე ფარულა და სხეული ხურვებაჩაჭრილივით უძაგძაგებდა. მართლაც, იმდენად იყო დაფეთებული, უმჯობესია ქვაზე სიცხიანი იწვე, ოღონდაც არაფრის გეშინოდესო, დღეს მერამდენედ დაასკვნა და წოლისგან დაბეგვილი მხარი ძლივს შეიცვალა. მართალია, ქვაზე მეორე კვირა იყო იწვა, შიშითაც არანაკლებ ეშინოდა, თუნდაც ამათი — ხიდქვეშელების (იქნება ამიტომ იწვა ასე შორს, გამოქვაბულის წკვარამში მიკარგულ ი), მაგრამ ეს ყოფა მაინც ერჩივნა ზემოურს, ბოლოს და ბოლოს, ხომ მაინც მოჩნდება მოსე და მეშველებაო, ითმენდა. როგორც ძველ ნაცნობს და ახლობელს ჩამუგიას, ნაწილობრივ — ჭოლას ენდობოდა. ორი ათეული წლის წინათ ტობაში რომ ჩამოვიდა, სომეხი ბაღჩო იყო. მალე შუა ქალაქში ქვის უზარმაზარი სასახლე წამოჭიმა, ირგვლივ გალავანი შემოავლო და რკინის ალაყაფის აბრაზე სიმონ გურჯი გამოაკრა. რევოლუცია რომ მოხდა, გვარ-სახელის შეცვლამ კიდევ ერთხელ მოუწია: გლებო ვარ, ბერძენი და ვინ რას მერჩის, თუ ჩემს სამშობლოში მინდა დაბრუნებაო!

მდიდარი კაცი იყო გლებო ბერძენი, ანუ სიმონ გურჯი, თავიდან სომეხ ბაღჩოდ წოდებული. ნავთობის ცხობილ მეწარმე ნობელის გვარის კაცს საქმის მწარმოებლად ედგა სამი ათეული წელი ტობაში და დიდძალი კაპიტალიც დაეგროვებინა. ის ავბედითი დრო რომ დადგა, თვალს მუდმესავით პირველი რავა დავითხრიო, თავიდან სხვებს გასცინა, ფეხი არსად მოიცვალა. იმედი ჰქონდა, დიდხანს არ გაგრძელდებოდა „ღატაკ-გაღლეტილთა“ თავაშვებულობა და პარპაში...

ეხ... არ გაუმართლა! კაი ძალი დრო იყო გასული, რაც მათი საწარმო მუშებს ჩაეგდოთ ხელში. არა მარტო მათი; მენთეშოვის, როტშილდის და, საერთოდ, ვისი არა! ადრინდელი მეპატრონეები კი ან გაქცეულიყვნენ, ან... იქნებ არც არაფერს მერჩიან და, სჯობია, ახალ მთავრობას ჩემივე ფეხით გამოვეცხადოო, გაუელვებდა ხოლმე, მაგრამ რაც ოცი წლის მანძილზე აქაურობა ეღლტა, იცოდა, იმას არავინ შეარჩენდა. უფრო მეტიც! როგორც სხვებს, არც მას დატოვებდნენ უპასუხოდ, ყელზე გასანთლული თოკი ელანდებოდა ხოლმე და სიზმარშიც ჩქარობდა, ყულფს დასხლტომოდა, იქნებ ერთ დღეს სხვაგან თუ მართლაც თავის სამშობლოში გამოღვიძებოდა. მაშინ, რევოლუციამდეც ვერ ბედავდა თავისუფლად სიარულს ქუჩაში, დახურულ

ეტლს უკან ორი დაქირავებული პოლიციელი ჰყავდა ყოველთვის შემოსკუპებული და ისე გამობრძანდებოდა რკინის ალაყაფიდან... ეხ.. ესენი კი... მარტო ჩამუგიამ იცოდა აქ, ვინც იყო, სხვა — არავინ და, კიდევ ეს უმაგრებდა გულს.

გუძამ შენიშნა, გლებოს წამოჯდომა რომ უნდოდა და ლეკვი იატაკზე დასვა. მივიდა, ხელი შეაშველა.

გლებომ მადლობის ნიშნად გაუღიმა, თან ნაბადი მჯიდროდ შემოიკრა.

— ვთქვი მე, ორი კაცია ზედმეტი! — ხმა გაიმკაცრა ჯოღორიამ.

— რატომ, ბატონო ჯოღორია? — მორიდებით შეეპასუხა იმელიონი.

— არსად არ ვაპირებ წასვლას და იმიტომ!

უცებ მოჭრა და გაჩუმდა.

— შეუძლოდ ხომ არა ხართ, ჯოღორია ჩემო? — მოგვიანებით შემოაპარა კინჭულიმ.

ჯოღორიამ მკაცრად შეხედა, თუმცა, ხმა არ გასცა, მერე წამოიწია და უფრო თავისუფლად დაჯდა.

— თქვენზე არაა აქ ლაპარაკი, ჩემო ბატონო, — იმელიონმა პირმოთნედ გაუღიმა, თან, ხომ ასეაო, ჯერ ძაგალას, მერე ჭოლას თამამად გადახედა. — შენისთანა ვაჟკაცები გვჭირდება სწორედ, და არა... — აღარ დაამთავრა, ისე, სასხვათაშორისოდ, ირგვლივ მიმოიხედა. მის გვერდით ატუზული ჭიჭაღუა რომ დაინახა, ზურგი შეაქცია. — რა იცი, გაშლილ ზღვაში გავდივართ... — გაჩუმდა და, ასეთ დროს ღალატი როგორ შეიძლებაო, ხელები განცვიფრებით გაშალა.

გავდივართ, კიო... ჭოლას ნერვიულად გაეღიმა და იმელიონს ცივად შეხედა, მერე: უმჯობესია ტობაწყურს ენდოს კაცი, ვიდრე შენ ან საშაა თუ ვიღაც ოხერიო, ბრაზი წამოეჩხირა ყელში, მაგრამ არაფერი უთქვამს. ყველა ყველას და, სიძულვილის საბაბი სხვაზე მეტი, ალბათ, ჭოლას ჰქონდა. არც შიში იყო სიძულვილზე ნაკლები! უფრო მეტიც: იცოდა, კარგა ხანია, ეძებდნენ... ვინ გაპატიებდა დანაშაულს მისხალს, მაგრამ ახლა, თავისდა უნებურად, ჯოღორია ფაქას მხარეს იყო, რაღაცნაირად მას უთანაგრძნობდა.

— არა... კაცმა რომ თქვას, ძალით ვერავის წაიყვან. — სიჩუმე ძაგალას დაეჭვებულმა ხმამ დაარღვია. გუძას გახედა, — აგერ, ამ ღლაპს ვერ

ააძალებ, თუ, რასაკვირველია, აღარ უნდა. ხომ მართალს ვამბობ, გლებო ბატონო?

ნუთუ გვეშველა და გავდივართო, გლებოს სიხარულისაგან ხმა წაერთვა, რაღაც დაიზმუვლა, აცმუკდა, რაზეც ძაგალამ, სწორი ხარო, თავი დაუქნია და ჯვარი აჩქარებით, გვერდულად გადაიწერა.

ვერც დამაძალებო! გუძა ფიქრში უკმეხად გაეპასუხა ძაგალას.

სად გარბიან, რომ გარბიანო, თითქოს ახლა ჩაუკვირდა ამ ამბავს, თავადაც დაინტერესდა. საერთოდ ვინ იყო ეს მოსე ფარული, ასე სულისულად რომ მოელოდნენ, მაინც სად და რომელ ქვეყანაში უნდა წაეყვანა ესენი, წელანაც არაერთხელ გაუკვირდა.

— შენგან არ მიკვირს, ჯოღორია! — კინჭულიმ ვეღარ მოითმინა, უცებ გაცხარდა, — ძმობა შევფიცეთ მგონია ერთმანეთს! —წინ ჩაუცუცქდა და მუხლი შეუქანჩალა, შეანჯღრია, — რა დროს მღალატობ, ჯოღორია, ა?! კარგი, ჩემი თავი ჯანდაბას! ვისთან და სად რჩები აქ, ეს მაინც მითხარი?

წამით გახედა ჯოღორია.

— ავად ვარ მე... — თქვა მოგვიანებით, თითქოს ხმაც მოულბა, დაიჩივლა-სავით და ცხვირ-პირში მოჩერებულ კაცს სახე მოარიდა.

— მერე?! — უფრო გათამამდა კინჭული, — აქ რომ ხარ, იმიტომა ხარ ავად, ჯიმაგე! რომ მოსცილდები აქაურობას, გულზეც მოგეშვება. ვიცი, პატარა ამბავი კი არ გჭირს... ხელში კვარივით ჩამდნობიხარ ამხელა ყაზახი!

სად მეპატიჟები მაინც? — მწარე ღიმილმა სახე უღრძო, მერე უფრო უარესად გაშტერდა.

— რას მიქვია, სად?! — სუნთქვა შეუგუბდა კინჭულის.

— ჰო, სად უნდა წავიდე მე, მითხარი? — და, დღემუდამ ჩასისხლიანებული თვალები წამით ცრემლმა თუ გადაუბზინა... ხმაც აუკანკალდა. — ვის რაში სჭირდება ჩემი აყროლებული გვამი? აკ, ამ მიწაზე რომ დავდივარ, ისიც ზედმეტი მგონია, ღმერთმანი! ასეა ეს, კინჭულია კუდა და ტყუილად ნუ იღლი ენას.

გაჩუმდა, მზერა რატომღაც ჭოლას მიაცივა.

ჭოლა უხერხულად შეიშმუშნა, თავი ჩაჰკიდა.

კარგა ხანს არავინ ილებდა ხმას.

— ადექი ახლა შენ და დამშვიდდი. ერთხელ უკვე ვთქვი, თუ განვიწმინდები, ისევ აქ და საკუთარი ნებით განვიწმინდო-მეთქი. ასეც მოხდება ეს.

— არ მომწონს მე შენი ლაპარაკი!

— რა მოხდა მერე? ორი-სამი კაცი ერთნაირი ჭკუის რომ შეიყრება, არაა მაინცდამაინც დიდი სანუგეშო ამბავი. მეტი უბედურება მოაქვთ, თუ გინდა, ერთმანეთისათვის, ჩემი თუ არ გჯერა, აგერ, შენი თვალითაც ხედავ, ერთად ვართო და, მგონია, დაღუპეს ქვეყანა. — თავი ზევით, ხიდისკენ აიქნია.

— მაინც რას აპირებ, ჯოლორიან? — არ ეშვებოდა სასოწარკვეთილი კინჭული.

— ჯერჯერობით ვარ აგერ, — ამოიოხრა, მერე კეფაზე ხელისგულები შემოიჭდო და კლდეს მიეყუდა, გაირინდა, — ავად ვარ მე... ავადმყოფ კაცს რატომ თხოვ იმას, რაც საღ-სალამათს მოეთხოვება... ჩემი გაჭირვებაც მეყოფა.

ჭოლა ხეცია გაოგნებულიყო. რაც ღრო გადიოდა, უფრო მოსწონდა და თანაუგრძნობდა ჯოლორიას. მისვლაც დაეაბრა, მაგრამ რა ვუთხრა, რით ვანუგეშოო, თავი შეიკავა. ეს სადა ვარო. უკვე ზიზღი ერეოდა აქაურობაზე, თითქოს მთელი სიგრძე-სიგანით გრძნობდა, რა უფსკრულშიც იყო გადაჩეხილი. ფსკერი საერთოდ რომ არ უჩანდა, ის კი ქვასავით ელვისებურად უაზროდ მიგორავდა ამ თვალჩაუღწევ წკვარამში. ძირს ვერა და ვერ უწევდა და, ნეტამაც მალე ჩავქვესკნელდეო, ინატრა. ეხ, არსებობის არსი კეთილიაო, თურმე ტყუილად ასწავლიდა სოფლის კეთილი მოდელი. მე თუ სადმე შევცდი, ჩემმა სახელოვანმა წინაპარმა რა დააშავა, როცა სამას სამოცი გირვანქა სანთელი (თევდორე მოღვაო უამბობდა) დაუნთია ღმერთისთვის და, ნუთუ არც ერთი არ მისვლია, ამ დღეში ჩამაგდო მათი ნაგრამიო, გული გაგლეჯაზე ჭქონდა.

დიდი გვარისა იყო ჭოლა. მისი პაპის პაპის პაპა ლევან დადიანის ამბდაბარი და ყველაზე ერთგული ყმა ყოფილა. მას უბოძებია გვარისთვის აზნაურობა. მარტვილის სიახლოვეს სამოცკომლიანი სოფელიც უჩუქნია. მალე იმდენად მომძლავრებულან ხეციები, თავადებს ტოლს არ უდებდნენ თურმე, საერო საქმეშიც თამამად ერეოდნენ.

მკვდარი ის არის, ვინც სამარცხვინოდ ცხოვრობსო, მამის სიტყვები გაახსენდა და გულმა ისევ რეჩხი უყო, უფრო სწორად, რომ წამოიზარდა, დეედა უჩიჩინებდა, ასე ამბობდა მამაშენო, შვილს მშობლის სიტყვებით აფხიზლებდა, რომ არ დავიწყნოდა, ვინ იყო, რა ფესვისა და სისხლის პატრონი... მამა კი?.. ეხ... მამის სახება ყოველთვის გაბუნდოვანებული და შორი იყო. კი, აზნაურები იყვნენ, მიწა ბევრი ჭქონდათ, მაგრამ ცხოვრება მაინც ჭირდა. იცემოდა და იცემოდა გირაოდ მათი მამულები... და, თითქოს ეს იყო მიზეზი, უკიდურესად გაღარიბებული, ზედმეტად ფიცხი, ამაყი კოჩია ხეცია ავად რომ გახდა, ლოგინს საბუდამოდ მიეჯაჭვა... საშინელი ტკივილები დასჩემდა მუცლის არეში. უცებ აფთარი თუ დაჰტაკებიაო, აზმუვლდებოდა და საბანს გადაიგდებდა, მერე დიდი, სიყვითლეშეპარული ხელებით მუცელს ფეთიანივით იჭერდა და იკრუნჩხებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და... ტკივილები მოუვლიდა კოჩია ხეციას ბიბლიოთეკა ციგ ბურჯღლებს ჭერიდა ჩამქრალი, გადანისლული თვალებიდან. არც ქალაქელი ექიმი, არც შელოცვები შველოდა და იტანჯებოდა კაცი. ზმოდა მამა და, ისეთი სიჩუმე ჩამოვარდებოდა სახლში, ხუთი წლის ჭოლას შიშისგან აძაგძაგებდა, ტიროდა.

ერთ ღამეს, როცა ძალიან ცუდად გახდა კოჩია, მღვდელი თევდორე მომიყვანეო, მეუღლეს თხოვა, თან ბიჭიც გაიყოლეო, ჭოლას უფროს ძმაზე ანიშნა. ჭოლა უკვე იწვა, გვერდით ოთახში, მაგრამ არ ეძინა. მჭადის ნატეხს ლოწნიდა საბანში შეყუჟული. მამის გმინვა-ზმუილი რომ ჩაესმა, თავი საბნიდან გამოყო, დედა სად არისო, მიაყურადა. მიხვდა, მამა მარტო იყო. წამოდგა, მჭადი ბალიშქვეშ შემალა და კართან ფეხშიშველი მიტანტალდა. ღრიჭოდან შეიხედა.

მამას, ჩვეულებრივ, საბანი გადაეგდო, ტკივილა ვერ ითმენდა, საცოდავად იკუნჩხებოდა...

უცებ არაადამიანური ხმით იბღავლა კოჩიამ და ლოგინზე მხრებმოყრილი, მუცელზე ხელებფარებული წამოიმართა. იქაურობას თვალი მიმოავლო, რაღაც წამითაც გაშეშდა და კედელს ეცა... ხანჯალი, მწოლიარეს თავზემოთ რომ ეკიდა, ჩამოგლიჯა, გაიშვლა, მტკიცედ ჩაბღუჯა და იატაკზე ჩახტა, მერე გაშმაგებული გაიქცა და მუცელზე მობჯენილი ხანჯლის წვერით მოპირდაპირე კედელს შეაკდა...

კარი კი, პატარა ჭოლა რომ იყო ზედ ატყეპილი, იატაკის ჭრაჭუნზე თავისით მოღიავდა და ტიტლიკანა ბავშვიც გამოჩნდა.

კოჩია ზურგით იდგა. მუცლიდან ხანჯალი გამოიძრო და იატაკზე ხელუკუღმა მოისროლა, მერე ცალი ხელით კედელს მიეყრდნო, მეორეთი — გამოშიგნული ნაწლავები მუჭში მოიქცია და, ახლა თუ ჩაესმა კარის ჭრიალის ხმა ან ბავშვის გაოგნებულმა, შეშფოთებულმა მზერამ ზურგი აუწვაო, სანახევროდ მობრუნდა...

მამაო, მიაწივლა ჭოლამაც და მამისკენ გაიქცა.

კოჩია ბავშვის ხმამ შეაკრთო, გამოაფხიზლა და კაცს, სული ყელში რომ უცახცახებდა, კბილებით (როგორც ნაწლავები ცალ ხელში) რომ ეჭირა, შვილის ძახილზე უმალ წელში გასწორდა, შეეგება და: ფრთხილად, შვილო, ხანჯალზე ფეხი არ გაიჭრაო, შეშფოთებული სახით გაუღიმა.

და ბავშვიც, თითქოს მამის ღიმილმა ადგილზე გაყინაო, შუა ოთახში შედგა, მერე იქვე ღრიალით ჩაჯდა.

ეხ... ათასი საშუალება იყო, სხვა დროს, თუნდაც სხვა ქვეყანაში დავბუდებულიყავ... ეს რა ბედი მარგუნე, უფალო, წუხდა ჭოლა ხეციაზ, ვერ შეეგუებოდა თავის ხვედრს და, როგორც ბევრი მისნაირი, როგორმე შუური რომ ეძია დღევანდელობაზე, იმაზე ოცნებობდა.

ასეც მოხდა!

დგებიები, ფაღავები, ჯაიანები, შელიები, ჭილაიები, ხეციები (ვისაც რევოლუცია ვერადა ვერ ეგუა) ადგნენ და ერთ ქარიან ღამეს ცხენებზე ამხედრებული, თოფ-იარაღში ჩასხმული ახალგაზრდები იქაურობას მოედვნენ.

სამი დღე-ღამე ქარფეხად დაჰქროდნენ ახლომახლო სოფლებში...

წვიმა და ჭექა-ქუხილი ხელს უწყობდათ.

გვიან, თითქმის შუაღამისას დაესხმებოდნენ რომელიმე სოფლის ცენტრს, კანტორის შენობას ცეცხლს მისცემდნენ, არც ტყვიას იშურებდნენ ვინმესთვის, ცხადია, და... ისე უმალ ქრებოდნენ, იმასაც ვერ გებულობდნენ, საით წავიდნენ, რომელ მხარეს გაუჩინარდნენ.

იმ ჭექა-ქუხილის ღამეს, ხიდზე რომ მოვარდა თეთრნაბდიანთა მხედრიონი, გაქცევის ჟამს ვიღაცის როყიო ტყვიამ ჭოლა ხეციას ცხენი გამოუკლა და თავად მდინარეში ისკუპა... რაღაც სასწაულად გადარჩა. ნაბადი წყალს გაატანა, კვალი რომ დაეფარა და გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქვაბულში შეძვრა. ადრეც იცოდა ეს ადგილი. უშიშრად ვიქნები, მეგობრების ამბავსაც იოლად გავიგებ აქედანო, ეიმედებოდა, მაგრამ მეორე კვირა ილეოდა, მათი არაფერი ისმოდა და შეწუხებულიყო. ვინ იცის, იქნებ მკვდარიც ეგონათ! არადა, ასეც ჰქონდათ დათქმული. წითლებზე შურს რომ ინიებდნენ, ტობაში მიმოიფანტებოდნენ და მერე თითო-თითოდ, ორ-ორად გაიპარებოდნენ ზღვით უცხოეთში.

გვიან, კარგად რომ შეღამდა, თითქოს დაცხრნენ, განცალკევდნენ... თავთავიანთ საწუხარ-სადარდებელს რომ მიეცა ყოველი ხიდქვეშელი, ჯოღორია ფაჟა წამოდგა და გუძის და ჭოლას შუა მჭიდროდ ჩაჯდა. ჭოლას თავიდან გაუკვირდა, მერე გაუხარდა და ჩაიწია — სტუმარი უფრო თავისუფლად დასვა. მიხვდა, რაღაც აწუხებდა ჯოღორიას, ისე, სასხვათაშორისოდ ის არ მოვიდოდა და, რას იტყვისო, სულგაკმენდილი დაელოდა.

ჯოღორია კი დუმდა, ზედმეტად მშვიდიც იჯდა, რამდენად შეიძლებოდა ამის აღქმა სიბნელეში, მაგრამ დროდადრო თავს რომ აიღებდა, თითქოს კვესიაო, თვალები ავადმყოფურად უელავდნენ...

დიდი ხნის მერე, როცა უფრო მიჩუმდა ყველაფერი, მხოლოდ გამწვარი ფიჭვის კვარი ჩუმი შიშინით აფახულებდა მუჭისტოლა თვალს და ისიც ჰა და ჰა, ილეოდა, ხოლო თითოეული ხიდქვეშელი თავის თავში იმდენად ჩაძირულიყო, რომ საკუთარი გულის ფეთქვა, ნერვის მცირედი შეთრთოლება ტანში რაღაცნაირად მძაფრად უელიდათ... ჭოლა ხეციან ჯოღორიას ხელი იგრძნო — ზურგს უკან რომ გამოცურდა და მის ფუთაში აფათურდა... უმალ მიხვდა, რასაც ეძებდა და შეცბა, საიდან იცისო, მკვეთრად მოუტრიალდა.

ჯოღორიამ სახე მოარიდა, თუმცა, უამისოდაც, ენა მუცელში ჩაუვარდა ჭოლას და, თითქოს არც შეუმჩნევიაო მისი ფუსფუსი, თავადაც განზე გაიხედა.

ჯოღორიამ, როგორც ჩანს, იპოვა, რაც უნდოდა და წამოიზლაზნა. წელშიც გასწორდა.

— არ დაგეკარგება ეგ შენ!

თქვა მტკიცედ და ხმამ, მღვიმის უძრაობა რომ გაჰკვეთა, ყველა ერთბაშად შეაჯანჯღარა და მისკენ, ხმის მიმართულებით მოახედა. არა მარტო ჭოლა, სხვებიც რაღაცას მიუხვდნენ ჯოღორიას, თითქოს მეხის გავარდნას ჰგავდა მისი სიტყვები, იცოდნენ ხელში რაც ეჭირა და უფრო დაიძაბნენ.

იქნებ მე მაინც მითხრას რამეო, კინჭულიმ მორიდებით ჩაახველა, აგერა ვარო, თავისი ჭკუით შეახსენა, მაგრამ შეხმიანება მაინც ვერ გაბედა.

ჯოღორიამ გასასვლელისკენ გააბოტა...

დამზაფვრელი იყო ყინულის ექვნებგამოსხმული ნაბიჯების ყრუ, სისხლგამყინავი რიწკინი... კი არ მიაბოტებდა, ცარიელი ძვლებიღა მიჩხრიალობდნენ ბნელში, ქვის იატაკზე და ელდამ (სიკკვდილივით საზარელმა თუ სიკვდილივით საზარლად...) თითოეულ ხიდქვეშელს მხარზე მხარი რომ წაჰკრა უხეშად, ათკეცად შეაშფოთა.

სად მიდის ეს კაცი, ხომ არ გაგიჟდაო, სული ყელთან შეუგუბდა კინჭულის, კინაღამ დაახრჩო და წამოწევა დააპირა, მაგრამ წელი ვერ აითრია. ეგეც იცოდა თითქოს, ახლა არ უნდა ეხმაურა, ხმის ამოღების უფლება თავად ჯოღორიაგან ჰქონდა წართმეული, მერე ნაბიჯების ხმა თუ ის უსიამო ჩხარაჩხური მოულოდნელად რომ მიწყდა და წეღანდელზე უფრო შემზარავი სიჩუმე კვლავ გამეფდა მღვიმეში, კინჭულის ყურები სასწაულად აუგუგუნდა და მკლავები თავზე შემოიწყო, მოიბუზა.

ჭოლა ხეცია კინჭულიზე უარეს ღღეში იყო. განა რა დიდი მიხვედრა უნდოდა, რომ ეგრძნო, თუ რას ნიშნავდა ჯოღორიას ხელის ფათური მის

ფუთაში, მერე გამოქვაბულის დატოვება... მაგრამ იმ პირველი ელდის შემდეგ, ბოლო წუთი თუ წუთნახევარი უფრო გადასატანი გაუხდა, ერთბაშად გაღიზიანდა კიდეც. რას აგვიანებსო, თითქოს ხიდიდან იმის გამო ისკუპა და მღვიმისთვის თავიც შემოეფარებინა, რომ როგორმე ეს შემთხვევა თვალიდან არ გამორჩენოდა... სხეული დაეძაბა. ისეთი გრძნობაც ჰქონდა, ჯოლორიას გაუჩინარებაზე, მის ამჟამინდელ საქციელზე იყო ხვალინდელი დღე, მთელი მისი სიცოცხლე დამოკიდებული, ის კიდევ განგებ ითრევდა ფეხს და...

უცებ სულ ახლოს, თითქმის ყურის ძირში იჭექა ტყვიამ...

ხმის ტალღა შემოსასვლელს შემოასკდა, შეაზანზარა გამოქვაბული და წამიერი სიჩუმის მერე, იმ ყრუ ბაყვანს, რიყეზე დაბერტყებული გვამისა, ალბათ, რომ გაისმა, ჭოლა სხვებივით კი არ შეუშფოთებია, პირიქით, დაძაბულობა მოეხსნა და — ასეც ვიცოდი, რა ვაქაციც იყოო, გაიფიქრა, კმაყოფილი დარჩა (საკუთარი სიმშვიდითაც!) მისი საქციელით.

თავზე მკლავებშემოწყობილი კინჭული ცახცახებდა...

ჭიჭაღუამ ახალ კვარს მოუკიდა.

ცეცხლის მოთეთრო-მოვარდისფრო ენა შავად აბოლქვდა.

— ეს რა ჭენი, ჯოლორია ჯიმა!

ვერ მოითმინა კინჭულიმ და შემოსასვლელს ეცა...

ბნელიდან ისევ ბნელი რომ შემოეფეთა, შედრკა, ფეხი ვერ მოიცვალა.

ამჯერად ხიდზე იქუხა თოფმა...

ეტყობა, ტყვიას ტყვიითვე უპასუხეს.

კინჭული კლდეს აცახცახებული აეკრა, მერე ქვევით შიშით ჩაიხედა.

არაფერი ჩანდა.

გულმა უგრძნო, სადღაც აქ უნდა მდგარიყო ჯოლორია, სადაც თვითონ იდგა... ტყვია რომ იკრა გამოფიტულ მკერდში, არეულ ტვინში თუ პირდაპირ ხახაში ჩაიდუღა და ჩაგორდა... იმდენად შეზარა ამის გაფიქრებამ, უკვე აქ დგომა არ შეეძლო, მუხლებ ეკვეთებოდა და უკან, კედელ-კედელ გაბობღდა.

კვარის დადღაბნილ შუქზე პირველად ძაგალა დაინახა.

კვარი ჭიჭაღუას ეჭირა და გვერდიდან უნათებდა ქვებით შემაღლებულ ფიცარზე მხრებწამოზვინულ კუპრას. ყურებდაწკურული ლეკვი მუხლებში ჩაესვა და თავჩაღუნული, თითქოს იცოხნებაო, ღეჭავდა რაღაცას...

ვავა, ჯოლორია ჯიმაო, დაიკვნესა კინჭულიმ და წელში ოდნავ გასწორდა, კედელს მიეყუდა.

ძაგალამ ნერწყვით დამბალი, დაღეჭილი ლუკმა ხელისგულზე გადმოიფურთხა და ლეკვს დრუნჩთან მიუტანა...

ხომ არ მეჩვენებაო, კინჭულიმ თვალებზე ხელები აიფარა, მერე ღონივრად, თითქმის ტკივილამდე იყლიმა... რომ გაახილა, კვლავ ბეჯითად სთავაზობდა ლეკვს ლუკმას ძაგალა და — ეგ უჭირს ამ მამაძაღლსო, კანკალმა აიტანა, მუხლებშიც ძალა წაერთვა და მოწყვეტით ჩაჯდა. ატირდა.

რა ექნა ან რისი გამკეთებელი იყო კინჭული კუდა? რომც გაებედა და ჩასულიყო ქვევით ამ წკვარამში, რას უშველიდა, საკუთარი ხელით განგმირულ ჯოლორიას?

ხვალ, ალიონზე ავდგები და მივხედავო, თავი ვალდებულად იგრძნო მიცვალებული დაემარხა. ჭიჭაღუას და ბიჭს დავიხმარიებო, მტკიცედ გადაწყვიტა და ოდნავ დამშვიდდა.

— რა პატარაა და უკვე იღრინება...

ძაგალას ხმა იყო.

შეხედა.

ძაგალა წამომდგარიყო. ბიჭთან მივიდა და ლეკვი კალთაში ჩაუგორა, ისევ უკან წამოიზლაზნა, დადორბლილი ხელისგული ანაფორაზე შეიწმინდა და დაჯდა. ჭიჭაღუა, მანამდეც კვარით ხელში რომ ჰყავდა ადევნებული, ზურგს უკან ამოუდგა.

გუძა ჯოლორიას თვითმკვლელობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმდენად იყო შეძრწუნებული, სუნთქვა უჭირდა.

ლეკვი იატაკზე დასვა და საყელო უხეშად გაიღიღა, ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა. ახლა უფრო ბრაზობდა ბონდოზე. აქ სად დამტოვაო, თვალებზე ცრემლი მოაწვა. არც ის სჯეროდა, ხვალ მოვბრუნდებიო, რომ დაუბარა. მომიცილაო, დაასკვნა და შეაჟრჟოლა.

რა გადაითენებდა ამ ფინთ, გულღვარძლიან ღამეს გამოქვაბულში?

და, სიმარტოვის ცრემლაწრიალებულმა, გულდაფეთებულმა ბიჭმა, თავი მუხლებში ჩარგო...

ვერა და ვერ იშორებდა ბონდოზე ფიქრს. რატომღაც ის სიტყვები უფუთფუთებდა ტვინში, ხაბოს თავზე რომ უთხრა ჭყონიამ — მაინც არ მეზიზღებიან ისინო! მაინც რატომ თქვა? ან რა „საყვარლები“ ესენი იყვნენ? იყვნენ კი საერთოდ?!

თავი წამოსწია და თვალი აქეთ-იქით მიმოაცეცა, თითქოს, ვინ სად და როგორ იწვა, ის უნდა გაერკვია, ან... თავად რა აზრისა იყო ამ ხალხზე.

არაფერიც! მისი გაოგნებული, დამფრთხალი გონება ვერ არკვევდა, რა და როგორ იყო! იმსაც კი: ამათი ეშინოდა, ეცოდებოდა, თანაუგრძნობდა თუ... შენც მათებრ ცოდვილი და მისხის მისხი ხარო, თითქოს უხილავის ხმა იყო — ყამიყამ ყურებში რომ უწუოდა, სისხლს რომ უყინავდა ძარღვებში, ის უკრავდა კრიჭას და, უნდოდა თუ არ უნდოდა, როგორც ამ ამქრის სრულუფლებიან წევრს, მღვიმეში აკავებდა...

●

კვარი აბირბილდა, ახრჩოლდა, თვალი ელამად აისხლიტა, ბოლომდე გაიწვა და ჭიჭაღუას მუეში ჩადნა... ჩაიფშუტა და იმდენად ჩამობნელდა, თითქოს გამოქვაბულმა კიდევ ერთი საჟენით დაბლა, წკვარამში ჩაყვინთაო, ეს ჩაქვესკნელება ყველაზე მეტად ბრმა, თვალებაუხელელმა ლეკვმა თუ იგრძნოო; გაბმით აწკმუტუნდა, არ ბაბ-ჩერდა და, ხიდქვეშელები არ შეუშინდა ნენო, გუძამ ხელში აიყვანა, მკერდზე მიიკრა და შემოსასვლელისკენ წაფლაშუნდა.

ჩამუგიამ თავი უმალ წამოყო. ბიჭი გარეთ გასვლას აპირებსო, გაუხარდა და მის ფეხაკრეფილ, რაღაც წელაღვერა სხეულს თუ ლეკვის გამაღიზიანებელ წკმუტუნს თვალ-ყური დაძაბულმა მიადევნა.

გუშინდელს აქეთ მზერა ბიჭისკენ ჰქონდა ჩამუგიას მიპყრობილი.

— ნეტავ რა გასაჭირმა მოიყვანაო, გულწრფელად წუხდა გუძას მამისტოლა კაცი.

ეხ... რა ბედნიერი მამა იყო!

ტყუპი ბიჭი ჰყავდა ჩამუგიას, გუძას ტოლები... ამ რამდენიმე წლის წინათ ტიფმა რომ იმსხვერპლა და ორივე ერთბაშად, ერთ კვირაში გამოეცალა, სამუდამოდ გაუბედურდა.

სოფლის სასაფლაოზე უარი თქვა ცოლ-ქმარმა. ჩვენი შვილები გვერდით უნდა გვყავდესო და თავიანთ ეზოში, ჭიშკრის ხელმარჯვნივ აკლდამა (კაცი თავისუფლად იმართებოდა წელში) ამოაშენეს და იქ დაასაფლავეს. მას მერე დღემუდამ სამარხში ისხდნენ, თითქოს თავიანთი თავი მათთან ერთად და ცოცხლად დაემარხათ.

მზის ამოსვლას დასწრებული დედის მოთქმა-გოდება ადამიანის გულს კი არა, ქვიშას წაუკიდებდა ცეცხლს, უდაბნოს გადახრუკავდა... სამაგიეროდ, მზის ჩაბრძანებისას, ქალი ჩონგურს დაიჭერდა ხელში და სახელდახელოდ შეთხზულ — ამაღლებულ თუ უცნაურად დიდებულ სიმღერა-გვრინს დაჰკვნესოდა... მარტო ანგელოზებისგან წაგვრილ შვილებზე კი არა; ბნელზე, ნათელზე, დღე-ღამის გაყრაზე... ჭაობზე, ციებაზე, ტიფზე კვნესოდა გაუბედურებული ქალის ჩონგური... იმაზეც: უკვე გავერანებულ, გადახრუკულ, მაგრამ ერთ დროს მშვენიერსა და ძლიერ ქვეყანაზე, მის ჭალა-მინდვრებსა და ყვავილებზე... რაც დრო გადიოდა, მით

უფრო უახლდებოდა დედას დარდი, შვილების უიმისოდ ვერ ძლებდა და ღამითაც სამარხში რჩებოდა, ქმარსაც ეურჩებოდა და მეზობლებსაც. წლისთავიც ვერ გადაუხადეს ერთად. მანამდე დადნა, დაილია ქალი... ძლივს ამოიყვანეს სამარხიდან, ისიც იმიტომ, ალბათ, ლოგინში ქრისტიანულად მომკვდარიყო და, მართლაც, ორ კვირაში ტყუპების გვერდით გაითხარა მესამე სამარეც.

კაცი არანაკლებ დღეში იყო, ღამღამობით ოდას გარე-გარე ყმუილით უვლიდა, შვილებს, ცოლს უხმობდა, თუმცა იმდენი ძალა მაინც ვერ აღმოაჩნდა, სამ უფვირფასეს საფლავს მეოთხეც მიმატებოდა. რამდენიმე კვირა რომ გავიდა, თითქოს პირიქითაც მოხდა. გულმა არ მიმტყუნოსო, აკლდამიდან თავი შორს ეჭირა. სამაგიეროდ, ზემოთ შემოუღობა საფლავს მიწა, დაბარა, სამი კედარი დარგო, ვარდ-ყვავილების საუცხოო ბაღი გააშენა...

ეხ... თითქოს საწუხარი და უბედურება აკლდა ცოცხალმკვდარ ჩამუგიას!

შარშან, გაღმასოფელი ჩიჩუას გვარის კაცი საიდანღაც გამოუტყვრა და სიკვდილით დაემუქრა...

თავიდან სასაცილოდ არ ეყო ჩამუგიას. ხომ არ მამასხარავებოს, თავი მწარედ გადაიქნია, მაგრამ... ურჩევნია საკუთარი ნებით ჩაძვრეს აკლდამაში, კარიც თავისი ხელით ამოიქოლოს, სანამ ძაღლივით არ დამიკლავს ცოლ-შვილის საფლავზეო! მერამდენედ რომ შემოუთვალა ჩიჩუამ, შეცბა და, მაინც რას მემართლებაო, გაიკითხა.

ჩამუგიების სისხლი მართებდა თურმე იმ კაცს, უფრო სწორად — ვადაჭკორების (დედით ვადაჭკორი იყო ჩამუგია); ოთხი ათეული წლის წინათ დაღვრილი სისხლი სამაგიერო სისხლს ითხოვდა, მას კი მემკვიდრეობით გადმოსცემოდა.

მაშინაც გულგრილად შეხვდა ამ ამბავს.

რა თავში ვიხლი ამ გაძაღლებულ სიცოცხლეს! თუ მოვა, მოვიდეს, გულხელდაკრეფილი დავხვდებიო, თავმჭეხარ ბეზრებულმა შეუთვალა, თავადაც დაიჯერა ნათქვამი, მაგრამ სასწაულად რომ გაიწელა დრო (თითქოს მარტო მუქარით კმაყოფილდებოდა ჩიჩუა!), თუ რამეს მიპირებს, ქე მაინც დროულადო, მოუსვენრობა შეეპარა. მართლაც, სახუმარო როდი იყო. როდემდე უნდა მჯდარიყო ასე, ბნელში ბუსავით თვალებგადმოკარკლული და... ჩემი გაჭირვება არ მეყოფაო, გაბრაზდა და ფინდიხით დატენილი თოფი ლაჯებშუა ჩაიყუდა (სიკვდილის არც ეშინოდა თითქოს, არ უხუთავდა ის სულს, რამდენადაც ამ წარამარა მუქარამ დაადფეთა. ბოლოს და ბოლოს, ვიღაცა იყო მასზე ჩასაფრებული, სისხლმოწყურებული მისთვის დანას ლესავდა და ამის წარმოდგენა იყო რაღაც საშინელება, უაზრობა! ასე რომ სიკვდილის წინაშე კი არ ძრწოდა ჩამუგია, არამედ — მკვლელის! რომელიც, მართალია, ჯერ არ ჩანდა, ჯერ ისევ შორიდან უთვლიდა — ჩემი წერა ხარო! მაგრამ, ხომ უთვლიდა და, ალბათ, ესეც სიკვდილზე უარესი .რამ იყო!)..

ჩიჩუა კი... ჩიჩუა არ ჩქარობდა და... ვეღარ გაუძლო, ერდოზე ნიავის გაფაჩუნებაც გულზე ეკლად ესობოდა. გაწამდა ჩამუგია და ერთ ქარიან ღამეს, როცა აშკარად მოეჩვენა სიკვდილი ზურგს უკან ჩამსაფრებიაო, სახლიდან გაიქცა...

...ჩამუგია მღვიმედან გამოძვრა.

შედგა, ზურგით კლდეს მიეყრდნო, ქვევით ხომ არ ჩავიდოდაო, ბიჭზე გაიფიქრა.

ლეკვმა დაიწკმუტუნა... თითქოს მიახვედრა, სადაც იყვნენ და კაცმაც იქით გაამიჯა, ხელის ცეცებით მიჰყვა კლდეს, რომლის სამ-ოთხ ნაბიჯს გაყოლებით, საფეხურებად ფართოდ შეტეხილ კედელში ბიჭი მოხერხებულად დამჯდარიყო.

— აქა ხარ?

ჩამუგია ბიჭის გვერდით მოთავსდა.

ბიჭმა ხმა არ გასცა.

დუმდნენ, თითქოს ერიდებოდათ ერთმანეთის ან თავთავიანთი საფიქრალი მეტი ჰქონდათ. არადა, ჩამუგიას ამდენი არ შეეძლო, უთქმელობა, დუნილი უფრო ახრჩობდა. უთქმელობა კი არა, საკუთარი ხვედრი; გუშინდელი დღე. დღევანდელიც! ვინმესთვის რაღაც უნდა ეთქვა, უფრო სწორად — მოეყოლა, ეხსნა, რომ... ამიტომ გამოედევნა ბიჭს გარეთ. იქნებ სატკივარიც გაეგო, მისი აღსარება ბოლომდე მოესმინა, რომლის აუცილებლობას საშინლად გრძნობდა, აწრიალებული სული თხოვდა, მაგრამ დაწყება უჭირდა და კაცმა ბიჭის მკლავებში გატრუნულ ლეკვს ხელი შეახო, მერე სიფრთხილით გამოართვა და მუხლზე დაისვა.

— რა საყვარელია, კაცო? — გაიკვირვა და ლეკვი გაბურძგნილ წვერზე მიიხუტა, მიიკრა... კიდევ რაღაცის თქმა მოუნდა, უფრო სწორად, გუძას ალაპარაკება, მისი გული მოგება თუ ნდობა და ცოტაც მიიჩოჩა, — რამდენი წლის ხარ?

— ჩვიდმეტის.

— საიდანა ხარ?

— ნახარებაოდან.

— ვიცი.

თქვა გვიან, ხმაათრთოლებით და თვალი ბნელს გაუშტერა.

კარგა ხანს ისევ ჩუმად იყვნენ.

— შენი ხნის ბიჭები მყავდა მეც, — უცებ ალაპარაკდა ჩამუგია და ლეკვი კვლავ მუხლზე დაისვა, — ტყუპები...

— რა მოუვიდათ?

— ეხ... — გული ამოაყოლა ჩამუგიამ, — ბაბუას ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოსჭრა კბილიო, გაგიგია, ალბათ, — თქვა და გაჩუმდა, ბიჭი რას იტყვისო, დაელოდა. გუძამ ვერაფერი გაიგო და ისევ ჩამუგიამ გააგრძელა, — კაცი ორი ანგელოზივით შვილს, მეუღლეს შენი ხელით, შენს ეზოში რომ დამარხავ ერთ წელიწადში... მას მერე სული ისე გაგიტკბილდება, იმისი შიშით, არიქა, არ ჩამძაღლონო, ამ ჯოჯოხეთში შემოძვრები... ეხ... ძაღლი ხარ და ძაღლის გაგდებულიც! რაც არ უნდა კაი ყაზახი ყოფილიყო, გაჭირვება ისე მოგბღუკავს წელში, თავს ლაჯებშუა გაგაყოფინებს და საკუთარი გვამის თავს გასუნინებსო, ჩვენში უთქვამთ და ეგ დამემართა სწორედ! კი, სიღარიბეზეა ნათქვამი, მარა სიღარიბე რა სახსენებელია, შვილო, რაც მე მჭირს. აგერ ა, ვაგდივარ მძორივით... ხელ-ფეხი ჩემი აღარა მაქვს. კი, შიშმა მიქნა ეს, მე უბედურს!

სოფელში გამიგია, ერთ უშაფთელ მღვდელს მიადგა მიქელ-გაბრიელი... მრევლი მიაწყდა მღვდლის ჭიშკარს — რას გვიბარებო! ჩემს შემდეგ ქვას უთოვიაო, ამოუხროტინია და სულიც გასძვრომია მამაძაღლს! ა, ამდაგვარი ძაღლის გაგდებული იყო ბაბუაჩემიც! მამის მშობლები არც მახსოვს, დედის მხრიდან კი ორივეს მოვესწარი, ბებია აგერ, ათიოდე წლის წინ გარდამეცვალა. სულწაწყმედილმა ნოკომაც ხომ კაი სამოცდათხუთმეტი წელი იცხოვრა... კი, უზნეო და დაუნდობელი კაცი იყო, ამდენ ხანს კი გაძლო... მე და ჩემი საწყალი დები ვშიმშილობდით. ჩასაცმელ-დასახური არ გვქონდა, მას კი ფარჩა-ფართლეულით სკივრები ჰქონდა დაზეპილი, ოქრო-ვერცხლი მიწაში ემარხა... ამაყი კაცი იყო მამაჩემი, სიმამრის სიძუნწე რომ იცოდა, იქით არ გვახედებდა, არც ჩვენსას ადგმევინებდა ფეხს! არადა, თავად უდარდელი კაცი იყო, ოჯახში თითს არ გაანძრევდა, არც გარედან შემოჰქონდა, ცწვალობდით. ქეიფი კი უყვარდა სხვის ხარჯზე, ცხრა სოფელს ფეხით გადაივლიდა და ხშირად სამი-ოთხი დღით იკარგებოდა სახლიდან. დედა დროს მაშინ იხელთებდა. იქნებ შვილიშვილები მაინც შეიცოდოსო, სამივეს ბაბუასთან წაგვასხამდა..... როგორ არა! მახსოვს, საგანგებოდ ჰქონდა ჩვენთვის კაპიკიანები გადანახული, ჩამოგვირიგებდა და — მოუსვით ახლა შინ, ბაბუებოო, ხელად გამოგვისტუმრებდა. ზორბა, ბუხარივით მოსული კაცი იყო ბაბუა. ჩვენებურ ხაინდრა ცხენზე რომ იჯდა, პი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუტყვი საცოდავად იყო წელში გაღუნული, თავად ფეხები მიწაზე მიეთრეოდა... სოფელში ცნობილი მეკახეში და ვაჭარი კაცი, რა საქმეზეც არ უნდა გასულიყო, ხელს ყველაფერზე მოითბობდა.

რვა-ცხრა წლის ვიყავი, თავადი ჩიჩუას მკვლელობას რომ აბრალიდნენ. ფული ჰქონდა თურმე სესხად ჩიჩუას, არ აძლევდა და რას აპატიებდა! ჭკვიანიც იყო! თვითონ არ გაისვრიდა ხელს, კაცს დაიქირავებდა და სადმე ჩააძალებინებდა. დანამდვილებით ვერ ვიტყვი; მან მოკლა თუ სხვას მოაკვლევინა, მაგრამ იმისი ხელი რომ ერია, ქვეყანამ იცოდა. აკი სიკვდილის წინ თავად აღიარა, თუმცა ეს მერე, ჩიჩუას მკვლელობიდან კი ოცდახუთი წელიც რომ იცხოვრა.

ჩიჩუა არც იყო დასაფლავებული, ზუგდიდის მაზრიდან სამი სალდათრუსი ბაბუას ჭიშკარს რომ მოადგა. მაშინ კი ეცვალა ფერი თურმე. თუმცა, ცოლისთვის არაფერი უთქვამს, პირიქით, ამდენ ხანს სადა ხართო. გაიკვირვა, სტუმრებს როხროხით გაეგება. იმ სიშორიდან რომ შეწუხდნენ მთავრობის კაცები, ეტყობა, სარფიან საქმეზე მიჰყავთ ჩემი ქმარიო, დატრიალებულა ბებიაც. არ გაუჩერდნენ სალდათები. ცოტას მოისულელებდა ბებიაჩემი. ნოკო ბაბუა ამბობდა ასე, თავად არაფრად აგდებდა. მეოჯახე კი იყო. მახსოვს, სამი თუ ოთხი მეწველი ძროხა, ამდენივე ხარ-კამეჩი ჰყავდა და მარტო უელიდა. თხა-ღორს თუ შინაურ ფრინველს ვინ დაითვლიდა, მაგრამ ქათამს ბუმბული რომ გავარდნოდა მეზობლის ეზოში, იმას მოისაკლისებდა, რომ გაიგეს რა ამბავზეც იყვნენ სალდათები ამოსული, მეორე დღეს მამამ მისდია მაზრაში. ერთადერთი სიძე იყო და რა ექნა, დედაჩემის ხათრიც ჰქონდა. უშედეგოდ. არც უჩვენებიათ პატიმარი.

კვირა არ გასულა, ნიკო დიდაკეებში ქეიფობს სოფლის თავშიო, ვიღაც მეზობელმა მოგვახარა. მალე თავად შემოაგელვა ყაბარდოული ცხენი ეზოში და ის ნაცნობი სალდათ-რუსებიც მოყოლა.

სამი დღე-ღამე ქეიფობდნენ. იმას რა დამავიწყებს, რომ ერთი სალდათი სიკვდილს ჩვენ, და-ძმამ გადავარჩინეთ. მარანში შესულიყო და ქვევრში თავჩაჭედილი ფეხებს თავწაცლილი ქათამივით აფართხალებდა, საშინელი წივილ-კივილი ავტეხეთ და ბაბუამაც შემოგვისწრო...

რატომ და რისთვის დაიჭირეს, თავიდან იმასაც არ ამბობდა. მართალი რომ არ ვყოფილიყავი, ციმბირი უკან დამრჩებოდაო, ქედმაღლურად იტყოდა და გაჩუმდებოდა. მერე, წლებმა რომ გაიარეს, თავისით ალაპარაკდა, როგორ გადაურჩა თორმეტწლიან კატორღას. იმ ერთადერთ სიკეთეზეც, მისი ცხოვრების მანძილზე რომ ჩაედინა, თავად ქირქილებდა ხოლმე და, მეტი არც უნდა ქნა კაცმაო, შვილიშვილებს გვმოძღვრავდა.

ასე მოგვითხრო სასამართლოს ამბავი.

თორმეტი წლით გადასახლება გამოუტანია ბრალმდებელს. მკვლელობის უარზე იდგა ნოკო, მაგრამ არ შველოდა, ჩიჩუების საგვარეულო ქამარ-ხანჯალი იყო ნაპოვნი, რომელიც მისი ხელიდან გაყიდულა ბანძაში. ის არ მითქვამს, საოცარი ხუმარა კაცი რომ იყო, სოფელში თუ იტანდნენ, ისევ მოსწრებული ენისათვის, რომ იტყვიან, მკვდარს ფეხს გააქნევინებდა. რას ითხოვო, როგორც წესი, საბოლოო სიტყვა მიუციათ. მე რა უნდა გითხრათ... მე ისედაც უბედური დღეზე გაჩენილი კაცი ვარ... ჩემთან ყველაფერი უკუღმა ხდებაო, მოუსაწყლებია თავი. მაინც რატომო, დაინტერესებულა მოსამართლე. არ მომიკლავს ის კაცი და, რა ვქნა, როცა არ გჯერათ. ისე, ერთს კი გეტყვით და ნუ მიწყენთო (რატომღაც ხუმრობის ხასიათზე დამდგარა, ხმამაღლა და უდარდელად გადაუხარხარებია). რა აცინებს, ამ უბედურსო, პირდაბჩენილი დარჩენილან სამართლის

კაცები. რაო და... ჩემი ბედის ვერაფერი გავიგე, მაგრამ ერთს მაინც მივხვდი ამ სიბერეში, რომ ჩემს ქალს და ჩემს საოხრეს, დიდი ბოდიში და, ერთი ჭკუა ჭქონიათო... ბილწსიტყვაობისთვის სამოცი ჯოხი, წამომხტარა ბრალმდებელი. მოსამართლეს დაუმშვიდებია იგი, ნოკოსთვის — განაგრძეო, უთქვამს. რატომ და... იმ დღეს, მაზრისკენ რომ მომაჩაჩაქებდნენ ყაზახები, ჩემი სულელი დედაკაცი აივანზე გადმოდგა და ხმა შარაზე მომაწია — აბრეშუმის ჭრელი თავშალი ჩამომიტანე ქალაქიდანო. ახლა თორმეტი წლით მაციმბირებთ, ამ ოხერმა კი, დიდი ბოდიში და, თავი წამოყოო, განუცხადებია უტიფრად, თან, რა ჩემი ბრალიაო, ვითომ შეწუხებულს ხელები გაუშლია. ისევ წამომხტარა ბრალმდებელი, მაგრამ — პროცესი ხვალისთვის გადაიდოო, დაუშოშმინებია მოსამართლეს.

ნიკიფორე მღვდელი გვყავდა სოფელში. საოცრად კეთილი ბერიკაცი იყო. არ ვიცი, ღმერთს რამდენად ემსახურებოდა, მაგრამ სოფელი რომ ჰყავდა მადლიერი, ხატზე დავიფიცებ. წიგნს მასწავლიდა ცოტა ხანს. ეხ, წიგნი დამავიწყდა, მისი მონათხრობი კი ვუშინდელ დღესავით მახსოვს. ვინმე ძუნწი კაცი ღმერთის სამსჯავროს წინაშე რომ წარსდგა — სამოთხეში მიეჩინათ ბინა თუ ჯოჯოხეთში, ანგელოზებს — სამოთხეშიო უთქვამთ. ერთხელ, ამ წუწურაქ კაცს მწვანე ხახვის კონა ჭქონია თურმე ამოღლიავებული და სახლისკენ მიმავალა. გზად მათხოვარი გადადგომია და ერთი თავი მომეცი, შევევდრებია. ძუნწი რისი ძუნწი იყო, უარს თუ არ ეტყოდა და, წასულა. მაშინ მათხოვარი მიჰპარვია და იღლიიდან გამოჩრილი ხახვისთვის ღერო წაუსხეპია, გაქცეულა. სწორედ ეს ჩაეთვალა ძუნწს სიკეთედ და სამოთხეში მოხვდაო, ასკვნიდა ნიკიფორე მღვდელი.

ბაბუაჩემთანაც მსგავსი რამ განმეორდა.

ბატონყმობა ახალი გადავარდნილი ყოფილა. ნოკო დილაადრიან, ზამთრის თოვლ-ჭყაპში მაზრისკენ ცხენით მიმავალა. ცხრა-ათი წლის ფეხშიშველა ბავშვი შეხვედრია გზაზე. ვისი ხარ, შე უბედურო, უკითხავს. ბიჭს უპასუხნია. სად მიდიხარო, შესცოდებია. სკოლაშიო, მიუღია პასუხი. პატრონი არა გყავსო, დაინტერესებულა ნოკო. სკოლაში მივდივარო, დაუჭინია ყმაწვილს. მისი სითამამე მოსწონებია და ცხენზე შემოუსვამს. მაზრაში რომ ჩავიდნენ, თქვენი გვარი მითხარით, ბიძიაო, უთხოვია ბიჭს დიდივით. რაში გჭირდება ჩემი გვარი, შე მამაძაღლოო? — გაჰკვირვებია ნოკოს. უნდა დავიმახსოვროო! — ასდევნებია ცხენს იგი. დაიმახსოვრო, თორე არ გადამიხადო ხვალო, გასცინებია ბაბუას, მაგრამ რომ არ მოსცილდა, მაშინ ვერცხლის აბაზიანი გადაუგდია და — ისა სჯობია, ბაჩები აყიდვინო დედაშენს, ფეხშიშველა რომ დადიხარო! არ ავიღებ, სანამ შენს სახელს და გვარს არ მეტყვიო! — გაჯიუტებულა ბიჭი. არ გადამიხადო ახლა ხვალო! — ამჯერად გადაუხარხარია ნოკოს. მაინც რომ ვერ მოიშორა გაქირებული ღლაპი: ნოკო ვარ, ვადაჭკორი, ფუხუს ძე და, აბა, შენ იციო! — და, ჰაიტო, მათრახი უკრავს ცხენისთვის, გახალისებული გავარდნილა...

მეორე დღეს შინ გამოუშვეს ბაბუა. ხომ არ დამცინიანო, ისევ ახარხარებულა, არაფრით არ სჯეროდა თურმე. მაშინ მოსამართლე მოსულა და უთქვამს: ნოკო ფუხუს ძეე, თოვლ-ჭყაპში წაღმა გადაგდებული ვერცხლის აბაზიანი თუ გახსოვსო?..

ეს ერთადერთი სიკეთე იყო, რაც ბაბუაჩემს ჩაედინა ცხოვრებაში. ერთადერთი და, რაც თავად არაერთხელ უთქვამს, უკანასკნელიც! მას მერე კაი ოცდახუთი წელი იცხოვრა, სასამართლოდან, რასაკვირველია. აი, რამხელა სიკეთედ დაუბრუნდა ის ვერცხლის აბაზიანი, მისმა ცოდვებმა კი დღეს მე მიწია, შვილიშვილს... აბა, სხვა რა უნდა ვიფიქრო, რაც თავი მახსოვს, ავი

ფიქრადაც არ გამივლია გონებაში. მის მაგივრად ვზღავ დანაშაულს და ეს არის. ახლა რა ძუძგი და ბოროტი იყო! რომ კვდებოდა, ცოლშვილიანი ვიყავი. დედაჩემი, ჩემი დები (ისინიც დროულად გათხოვდნენ), ცოლი თავზე ადგნენ და იმის ხვეწნაში იყვნენ, როგორმე ეთქვა, სად ჰქონდა ოქრო დამარხული. ეტყობა, არ ეგონა, ასე უცებ რომ მოკვდებოდა. ფარა გოკონა თქვა ირო, ფარაო.* განაწყენებული დუღღუნებდა და ერთ მშვენიერ დღეს ენა საერთოდ ჩაუვარდა. ორი კვირა იწვალა, იხრიალა ყელგამოღადრულივით. არადა, სასწაული ის იყო, სიკვდილის წინ კვლავ ალაპარაკდა, მეუღლეს დამიძახეთო, ბრძანა. ბებიას მაინც გაუმხელსო, ვიფიქრეთ, თუმცა, მე არც მაშინ გავკარებივარ, თავი შორს მეჭირა.

მეტი არაა ჩემი მტერი! ორმოცზე გამოგვიტყდა ბებია, რაც უთქვამს: შენზე ვეჭვიანობდი და ჩიჩუა იმიტომ მოვკალი, მაგრამ ახლა უფრო მეშინიაო. ასე როგორ დაგაფრთხო მითაჟამინდელმა მიცვალებულმაო, გაუმხნევებია ქალს. სულელო დედაკაცო, შენ რა იცი, ცოცხალი რამდენი მაწამა... სულ ცხვირწინ მყავდა წამოსკუპებული და... აწი მკვდარს რაღას მიზამსო, სინანულით უთქვამს, პირი მოურიდებია, გადაბრუნებულა და მომკვდარა. ჰმ, ჩვენ კი გვეგონა, ოქრო სად ჰქონდა დამარხული, იმას უბარებდა.

იქნებ ბებიამ მოიტყუოს? ღმერთმა უწყის! ისე, მერე და მერე ვატყობდი, რომ მოსწონდა, მართლაც სულელ დედაკაცს — მისი გულისათვის სიცოცხლე მოუსწრაფეს ამხელა გვარის ადამიანს! არადა, ახლაც არ მჯერა. ნოკო ქალის გამო კაცს არ მოკლავდა. ერთადერთი ოქროს გულისათვის შეეძლო, რომელიც ახლა მიწაშია და.... ეხ!

დღეს, იმ ჩიჩუას ერთ-ერთი ვაჟი დიდი კაცია ახალ მთავრობაში, ძერჟინსკისაც იცნობს თურმე, მისი ნაჩუქარი საათი მაჯაზე უკეთიაო, მითხრეს, არ ვიცი, მართლა შურისძიება აწუხებს თუ დამცინის, თავს ჩემი ხელით მაკვლევინებს. ეხ... ახლა კი ვხვდები, რა სისულელეც ჩავიდინე. ნეტა, რით ვჯობივარ მკვდარს?!

ჩამუგიას ხმამ ეღალატა, ატირდა.

ყველაზე მეტად ის ღამე ეზიზღებოდა (საკუთარი უმწეობაც!) ახლა, ჩიჩუას მუქარის რომ შეეშინდა და სახლკარი მიატოვებინა. ამ ყოფას არ ერჩია, შინ დალოდებოდა სიკვდილს! ბოლოს და ბოლოს, რა ხელი ჰქონდა ჩიჩუას მასთან? თავად ვისთვის დაეშავებინა რამე? მას რატომ უნდა ეგო პასუხი ბაბუამისის გამო?

ეხ... არადა, რა ჩაიდინა იმ საღამოს! მტერი გაქცეულს რომ ნახავს, საფლავებს შემიბილწავსო და მიცვალებულები რიგრიგობით ამთთხარა... მარტომ, უჩუმრად, საიდუმლოდ — სამივე ერთ საფლავში ჩაფლა, მერე სახლს კარ-ფანჯრები ჯვარედინად აუჭედა და გზას ტობა-ქალაქისკენ დაადგა. გლებოს იმედი ჰქონდა, ანუ სიმონ გურჯის. ახლოს იყო, სანამ იქორწინებდა და ცალკე, სოფელში დასახლდებოდა, მასთან მსახურობდა, შინაკაცად ედგა კაი ათი წელი და, თუ ვინმე შემიფარებს, ისევ სიმონია, მისი იმედი ჰქონდა. სიმონს კი... ანუ გლებოს არანაკლებ უჭირდა თურმე და საბოლოოდ ორივენი აქ, მღვიმეში აღმოჩნდნენ. ახლა ეთანაღრებოდა გული თავის საქციელზე, მაგრამ გვიანღა იყო. თვალი შემავლებინა იმ უჩინარი ბორცვისთვის (ცოლ-შვილი საიდუმლოდ რომ დამარხა) და მერე სულიც გამაცხობინაო, ინატრა.

— დისშვილი მყავს, ამ მთავრობის კაცი... — თავი წამოსწია ჩამუგიამ, — ნახარებაოელი ყალმათი... ის უნდა ვნახო... მუხლებში ჩავუვარდები, ჩიჩუა რომ მომეშვას... საფლავების მომვლელად დამტოვოს ჩემს ეზოში... შვილები ყოველღამ მესიზმრებიან...

ზაურ კალანდია

ქამი მესამე

---

* ფული გინდათ თქვენ ყოველთვის, ფული...

— ყურუა? — გუძამ გაიოცა.

— ჰო. გეცოდინება შენც. შენც ხო ნახარებაოდანა ხარ. ალალი დისშვილია ჩემი ყალმათი. ნიკო პაპად ეკუთვნის და, თუ ასეა, მისი სისხლიც მართებს ჩიჩუას. მაგრამ... რა ვიცი, ძაღლი ძაღლის ტყავს ხო არ დახევს! — გაჩუმდა. ბიჭმა რომ არ უპასუხა, ისევ მან განაგრძო: — გათენდება და წავალ ნახარებაოში. ვნახოთ, იქნებ მომიხერხოს რაღაცა... ეხ... ტყუილად არ იტყოდა ცხონებული მამაჩემი. ჩვენი გვარის კაცს სამოც წლამდე ჭკუა არა აქვს, სამოცის მერე ისედაც სიკვდილი გვისწრებსო... თავად ამდენიც ვერ იცხოვრა, მე კიდევ ქე ვხდები სამოცის. შენც ხო არ წამოხვალ? — მაჯაზე ჩაავლო ხელი და მოუჭირა.

— არა. — გუძამ ხელი გაითავისუფლა.

— კარგი. შენი საქმისა შენ იცი. ისე, აქ მაინც არ გირჩევ... ჭყონია, მგონი, კაი კაცი უნდა იყოს და არ მოსცილდე. გავლენიანი ძმაც ჰყავს თურმე, დაგეხმარება რაღაცას.

მოულოდნელად აცივდა.

სადღაც, შორს ძაღლი აყმუვლდა და ორივენი სმენად იქცნენ.

ძაღლი გამწარებული ყმუოდა... აიყოლია მეორე, მესამეც შეეზიარა იმ ხმას... მალე კატების კნავილი, ხარძროხის ზმუილი, კამეჩების საშინელი როყინიც გამოება, აზვირთდა და ერთ, რაღაც გაბმულ, უნუგეშო ზრინვა-ბღავილად გადაიქცა...

ჩამუგიას მუხლებშუა გალურსული ლეკვიც ჭირვეულად აწკმუტუნდა...

— რა ხდება? — ბიჭს ისევ მაჯა დაუჭირა ჩამუგიამ, — კამეჩების როყინი ცუდის ნიშანია! ღმერთო, შენ გვიშველე...

ცივმა ბორიომ ჩრდილოეთიდან დაჰბერა და წვიმის სუნი მოიყოლა...

მალე წვიმის წვეთები ატყაპუნდნენ აქა-იქ და წამოდგნენ.

შუაღამე გადასულიყო.

მაღლა, მთა ხევებისკენ გადაინათა, გაცისკროვნდა, გაშიშვლებულ კლდეზე ეულად მდგარ ბერმუხას მეხი დაეცა, საშინელი ჭახანი გაადინა და შუაგაჩეხილი, გადამსხვრეული ხე ხრამისპირს აბოლქვებული გადაეკიდა...

ისევ იქუხა მეხმა, თუმცა ამჯერად უფრო შორს და ელვაც ზევით, მთის მწვერვალებისკენ გრუხუნით გასხლტა, გაიკლაკნა...

წვიმაც უცაბედად წამოვიდა.

ქარფეხად მოვარდა ქმურტყლნისლიანი თავსხმა ხიდზე...

ჭექა-ქუხილის ხმამ პირველად ძაგალა-ტყარი ააბუზღუნა.

წამოჯდა, ნამძინარევი თვალები დიდხანს იყღლიმა, მერე რომელიღაცას (მის გვერდით მოთავსებულიყო, მძინარს მოტყეპებოდა თავფეხმობღუნკული) ქიმუნჯი უთავაზა და წამოახტუნა.

— ე... იქცევა ქვეყანა!

— რა? — დაფეთებულმა იმელიონმა მიაყვირა, — მოვიდნენ?!

— მოვიდნენ არა... თფუ! — წაუღრინა, განზე გადააფურთხა, — არ გესმის, იქცევა ქვეყანა!

— რატო?

— ვითომ?..

ვიღაცამ წაიზმუვლა.

გუძა სმენად იქცა. ვერ მიხვდა, ვისი ხმა იყო — კინჭულის, გლებოსი თუ ჩამუგიასი.

— იქცევა და მაინც არ იქცევა ეგ ოხერი!

ეს უკვე ჭოლა იყო, მისმა გაღიზიანებულმა ხმამ სათქმელი ჩაამთავრა.

ბნელი ვერცხლისფრად გაიპო, გადაწითლდა და გუძამ დაინახა, გამოქვაბულის ყელში დილგმა ქარბორბალასავით დაბზრიალდა, წელშიც გაიდრიკა — წყალი უხვად რომ შემოესხა, კვალი და სუნი დაეტოვებინა და გამქრალიყო...

ვაიმეო, ჭიჭაღუამ იყვირა და გამოქვაბულის სიღრმისკენ ბუზღუნით გამოჩოჩდა.

გუძას ლეკვი უბეში ჰყავდა ჩათფუნებული. რომ წამოიწია, აუხვარხვალ-

და, ყელისკენ წამოუბობღდა და ბიჭი კვლავ გაწვა, გაისუსა. ჯერ თვალი არც მოეხუჭა. ჭოლას გვერდით გასუსული იწვა და რაზე არ ფიქრობდა. ჩამუგიას მონათხრობი მაინც რა უბედურება იყო! ეს უკრავდა კრიჭას, თან, ეცოდებოდა ასე გაუბედურებული კაცი.

მაინც როგორ გაჭიანურდა, გაიწელა დღევანდელი დღე, თითქოს გამოქვაბულის საუკუნო მკვიდრი ყოფილიყო და ხვალ დილით თუ არ გამოჩნდებოდა ბონდო, ნაშუადღევზე გაქცევა ჰქონდა გადაწყვეტილი. ჰმ, ჩამუგიას აღსარებამ ხომ მთლად მოუთავა ხელი. სიხსლი — სამართლიანად თუ უსამართლოდ დაღვრილი — თურმე ერთი იყო, თითქმის ერთი და იმავე სიმძიმის... ცოდვილის კვალზე დაგეშილი და განურჩევლად გამოდევნებული, შენდა უნებურად, ხელ-ფეხს რომ გიბორკავდა, სულს ქვასავით გიმძიმებდა, თრგუნავდა... სისხლის ყოველი წვეთი საუკუნეების მერეც ფეთქავდა თურმე მიწაში და თავის გზას, სანთელ-საკმეველივით, იქიდანაც ეძებდა და ინათებდა... რაღას გიგებდი. არადა, გრძნობდა, არც ბუნების უცაბედი გადარევა და ხიდ-ქვეშელების შეშფოთება იყო ახლა, ალბათ, შემთხვევითი და: ბონდო, ბონდო, ბონდოო... — აჩურჩულდა, თითქოს სამჯერ თუ გაიმეორებდა მის სახელს, როგორც მაშინ, ზღაპრის კეთილი გმირივით ტობაწყურზე რომ გამოეცხადა, აქაც მოევლინებოდა იგი და იხსნიდა.

— ჭოლა ბიძია...

ხელი მხარზე შიშით შეახო.

— რა იყო, გუძა?

იმდენად გულგრილი ხმა ჰქონდა ჭოლას, გაუკვირდა, მერე ოდნავაც დამშვიდდა.

ის ადრინდელი ჭოლა უკვე მართლაც აღარ იყო. წეღანდელ ამბავს, ჯოღორია ფაჟამ ტყვია რომ იკრა შუბლში და ამ უაზრო ყოფას კაცურად განერიდა, უცნაურად აეღელვებინა და — ამოდენა ვაჟკაცობა მეც მომცაო, მერამდენედ ინატრა. კი, ისევ ისე სძულდა ყველა და ყველაფერი: მისთვის უკუღმართი დრო-ჟამი, საკუთარი ბედი, ეს გარემო... ჯანდაბა და დოზანა, მაგრამ არც სხვაგან მიუწევდა გული უკვე. ის ერთი მუჭა მიწა, ტოფრაკში რომ ჰქონდა გამოკრული — ვითომ სამშობლო ჩემთან ერთად იქნებაო — სისულელე იყო, ქალის კეკლუცობას ჰგავდა მიცვალებული ქმრის ცხედრის წინ. მისხალსაც ვერ წაიღებდა მშობლიური მიწისას, დარდსა და კაეშანს — რამდენიც უნდოდა! მიწა, ბოლოს და ბოლოს, სულიერივითაა, თავის თავს რომ მოწყდება, უმალ შრება, იფიტება, მტვრად იქცევა... თუმცა, ამდენი ფიქრის თავი სად ჰქონდა ჭოლას. აქაც და იქაც (ადრე საითაც აპირებდა), ზედმეტად გრძნობდა თავს... უფრო სწორად, ამდაგვარი ყოფა, არსებობა ყოველგვარ შიშზე, საფრთხეზე (სიკვდილზეც კი!) გულისამრევი და საშინელი გამხდარიყო.

— ღმერთო...

დაიჩურჩულა ჭოლამ და ბიჭს გახედა, თან რაღაც ინატრა, თუმცა იმდენად ბუნდოვნად, თითქოს ნატვრაშიც გაორებულიყო, რას შესთხოვდა უფალს, კარგად არ იცოდა. ეტყობა, ღმერთი, როგორც ბევრ მათგანს, მხოლოდ გაჭირვების ჟამს ახსენდებოდა და, ვთქვათ, უფალიც თუ შეისმენდა მის თხოვნას, იქვე ავიწყდებოდა.

ეხ... რა უბედაოდ გამივიდა წუთისოფელიო, ამოოიხრა და მკერდში ვეებერთელა სიცარიელე იგრძნო.

— რა ხდება, ჯიმალეფი?* — ნაბდიდან ენერგიულად გამოძვრა კინჭული, — რომელია მანდ შემოსასვლელთან? — ხმა არავინ გასცა. — გუძა, ბიჭო, გაიხედე, რა ხდება გარეთ?

გუძამ ლეკვი იატაკზე დასვა. წამოდგა, ბრმად, ხელის ცეცებით გაიარა და შემოსასვლელში ორადმოკაკული გაძვრა, მერე ერთი საფეხურით დაბლა ჩაიწია...

ქარიშხალი ლეწდა ქვეყანას...

---

* ძმებო.

ხეობიდან ხიდისკენ ნგრევა-ზრიალით მოძქონდა ღვარცოფს ყველაფერი...

ქარმა მოაზმუვლა... ერთბაშად მოაწყდა წვიმის შხეფი და ბიჭი გააყრუა; კლდეს ააკრა, მიალურსმნა და ახლა იგრძნო, წამში რომ დასველდა, ცერის სიმსხო წვეთებს უმოწყალოდ, ალმაცერად სცემდა წვიმა სახეში... ძვალრბილში ატანდა, თვალს არ ახელინედა...

ღონე მოიკრიბა და კიდევ ერთი საფეხურით ჩავიდა, მერე კიდევ და...

ფეხი ჰაერში გაუშეშდა... წყლის მღვრიე, მომრუხული მორევი ფეხის მიწვდენაზე აულაპლაპდა და შეშფოთებული უკუიქცა.

— რა მოხდა?

ახალანთებული კვარი თავზემოთ აიცდინა კინჭულიმ და მკვირცხლად მიეგება.

— წყალი-ი...

ყელი თითქოს სილით ამოგლესოდა, ძლივს, წვალებით ამოიხავლა გუძამ, ხველაც აუტყდა.

— რა, წყალი?

— წყალი კიბეზეა მომდგარი...

და, უცაბედად ჩამოვარდნილი შიშის ზარი კვლავ ჰეეა-ქუხილის ხმამ გაფატრა, გამოქვაბული შეაზანზარა...

— მერე?! — კინჭულიმ მიაყვირა და, საკუთარ კუდს გამოდევნებული ძაღლივით, ადგილზე დაბზრიალდა, — რა უნდა წყალს კიბეზე? — ისევ გუძას უღრიალა. — წვიმამ შეგაშინა, ხომ?! საშა! — ძაგალას მიეჭრა, მერე ისევ უკან მობრუნდა, — დამიჭირე ერთი! — კვარი ჭიჭაღუას შეაჩეჩა და შემოსასვლელისკენ გიყივით გავარდა.

სიცხეაწეული, სხეულში ხურვებაშეპარული გლებოც წამოფუცხუნდა და მათ შემოუერთდა.

ყველანი ერთად, ერთ სუნთქვად ქცეულებივით, ჭიჭაღუას კვარის გარშემო დადგნენ, უფრო და უფრო შემჭიდროვდნენ... ისედაც ერთ მუჭად ქცეულმა ჭიჭაღუამ რაღაცის თქმა დააპირა, თვალები აქეთ-იქით გააცეცა, ხაფანგში კუდმოქცეული თაგვივით დაიწიწინა, დაილია...

გუძა ჭოლასკენ მიიწია, გვერდით ამოუდგა, მხარი მხარს შეახო, აგრძნობინა, შენთანა ვარო და მანაც მაჯაზე ჩასჭიდა ხელი, მოუჭირა... გუძა მიხვდა, არც ისე მშვიდი და გულგრილი იყო ჭოლა, ადრე რომ ეჩვენა. არც მათი გვერდიგვერდ დგომა იყო, ალბათ, შემთხვევითი, ორი სასოწარკვეთილი ადამიანის ურთიერთთანაგრძნობას უფრო ჰგავდა იგი და ერთმანეთსაც ამიტომ ჩაბღაუჭებოდნენ.

— ქარბორიოს, რაც ხდება!

შეშფოთებული ხმა ჰქონდა კინჭულის.

ძაგალამ რაღაცა იაზრა, უკან-უკან წავიდა და, დრო თუ იხელთაო, მღვიმის ბნელ, ჩაწკვარამებულ ნაწილში უმალ გაქრა, კაიხნითაც გაუჩინარდა.

— ბოლოს და ბოლოს, რა ხდება, აღარ იტყვით? — ხმა ამოიღო ჩამუგიამ.

— ტობაწყური იმოდენაზეა ადიდებული, მტრისას! წყალი კიბის შუა საფეხურს ურტყამს, ჯიმაგე!

კინჭულიმ შეშფოთება ვერ დამალა და, მღვდელი სადღაც წავიდაო, მიმოიხედა, პირჯვარი აჩქარებით, მრუდედ გადაიწერა.

ძაგალაც იმავწამს გამოჩნდა. ბნელს ენერგიულად გამოეყო მხრებზე ნაბადმოსხმული, წინ შემოფეთებულ კინჭულის იდაყვი ჰკრა, გზიდან ჩამოიცილა, გასვლისას ერთიც მოიხედა და — აქ დამელოდეთო, შეცბუნებულთ მკაცრად შემოუბღვირა.

— სად დაგელოდოთ, ჯიმა?!

კინჭულიმ შეიცხადა, უფრო სწორად, იმის გამო, ჩემი ნაბადი სად მიაქვსო... კვლავ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ამასობაში ძაგალა გაქრა, აზუზუნებულმა წყვდიადმა წამში შთანთქა ნაბდიანი მღვდლის ზონზოროხა ტანი.

ისევ შემოეზხეფა წყალი შემოსასვლელს, ღვარი კუდიკივით მოიქნია ქარმა და ხიდქვეშელებიც ცქაფად უკან გახტნენ.

— რა ვქნათ?

შეშფოთებული ჩამუგია ცახცახებდა.

ხმა არავინ გასცა. არადა, საქმე მართლაც ცუდად იყო. თითოეული მათგანი გრძნობდა, რა საშიშროების წინაშე იდგა და დროულად თუ არ იღონებდნენ რაღაცას, ვინ იცის, რარიგად დამთავრდებოდა მათი ამბავი, თუ სამუდამოდ არა, კაი ხნით მაინც ჩარჩებოდნენ ამ ჯურღმულში.

— რა ვქნათ და, უნდა ვიჩქაროთ, — სხვებზე საღი გონება ისევ კინჭულის შერჩენოდა, — კიდევ ცოტა და, შეიძლება გვიანი აღმოჩნდეს, — ყველას სათითაოდ შეხედა, შეათვალიერა, — დროს ნუ კარგავთ! — უკვე ბრძანებებზე გადავიდა. დფაცურდა, გამოქვაბულიდან თავი გაყო, — საშა, საშაო, ზედიზედ დაიძახა, თან ხმას მიაყურადა... პასუხად წყალი რომ შემოესხა და დაასველა, უკან ენერგიულად გახტა.

— უხ, კუდამი მამაძაღილი!* — გაცოფდა, — ხედავთ, თავს უშველა, დაგვტოვა!

— როგორ?! — იკივლა იმელიორმა.

— რა, გაგიკვირდა?! — იფეთქა, — ჰმ, გაგყიდა თხასავით?! მაცალე, მოვიცლი შენთვისაც, თუ ვყოფილვარ კინჭული კუდა! — ჭოლას მიუბრუნდა, — სხვა გზა აღარაა! ნაპირზე ცურვით უნდა გავაღწიოთ!

— რა-ა? ! —ხმა ხორხში ჩაეხა ღადუას, — ცურვა რომ არ... უხ, შენი დედა, ძაგალა აფერისტო!

— ვინო?! ვინო?! — მთლად გაცოფდა კინჭული, — რა მქვიაო?! — ბრაზისგან სახე მოეღრიცა.

— რა დროს ეგ არის, კინჭულ! — მკაცრად თქვა ჭოლამ.

— კი, ბატონო! არა, ხომ ვთქვი, ცურვა არც ერთმა არ იცის-მეთქი ღადუებმა! — ძაგალას ნათქვამი თავისად გაასაღა, მერე ჭიჭაღუას კვარი აართვა და რატომღაც მღვიმის ბნელ ნაწილში შევარდა. გლებოს ნაბადი გამოიყოლა, შუქზე გახედა, უხ, შენიო, შეიგინა, ისევ უკან მიაგდო ნაბადი და სხვებს შემოუერთდა.

— ყველაფერი ზედმეტი გადაყარეთ!

ერთ მუშტად შეკრულ ჯგუფს კინჭული თავში მოექცა, უმალ გადაიფიქრა, ისევ ჭიჭაღუას მიაჩჩა კვარი, წინ გაგვიძეხიო, ღონივრად უბიძგა და მერე მიჰყვა.

გარეთ, ზედა საფეხურზე, კლდეს მიწწეხილები და მუხლქვეშ შიშისქარგამოფსკვნილები, სათითაოდ განლაგდნენ.

მხოლოდ ჩამუგია არ იყო. მღვიმეში მუხლმოყრილი და თმაში ხელებწავლებული იატაკზე დაცემულიყო და — შვილებო, სასოწარკვეთილი მოთქვამდა, პატიებას თუ შველას მათ შესთხოვდა.

— ეჰეჰეეი!..

გამწარებული ყვირილი მოისმა გალმა ნაპირიდან და საშა ხომ არ არისო, გაირინდნენ, გულათრთოლებულები სმენად იქცნენ.

მართლაცდა, არც ისე შორს, ბნელსა და დელგმაში რაღაც სასწაულად აბირებილებულ კვარს ვიღაცა გამწარებული იქნევდა... აშკარა იყო, მათ უხმობდა, ნიშანს აძლევდა, ალბათ, იჩქარეთო.

—ვინ უნდა იყოს? — იკითხა კინჭულმ და ერთი საფეხურით დაბლა ჩაიწია. ჭიჭაღუამ კვარი შეაშველა და მანაც თავზემოთ გააქან-გამოაქანა, ეჰეჰეიო, გაღმელს მტკიცედ შეუძახა.

— მოსე იქნება, ალბათ... — საეჭვოდ თქვა გლებომ. — ჩვენს საშველად მოვიდოდა...

— მოსე არა...

ჩაიბუზღუნა ჭოლამ და ყველამ მას შეხედა.

მისი გულგრილობა უცნაური და საკვირველიც იყო. თითქოს მას არ ეხებოდა ეს უბედურება, არც რაიმე სახიფათო ყოფილიყო... და, ასე უცხო და გაორებული, უნებურად გაფიქრებინებდა, თუ სიკვდილი არ უნდოდა, არც სიცოხლე უღირდა იმისი ფასად, რაღაცა მოემოქმედა, როგორც იმ ღამეს, წკვარამში ცხენგამოკლული კაცი არ დაიბნა,

* კუდიანო მამაძაღლო.

უმალ ხიდიდან ისკუპა და ხიფათი აიცდინა, ახლაც ღონე მოეკრიბა და გაცოფებულ მდინარეს შესჭიდებოდა... ის, რასაც გრძნობდა, ყელში წამოჩხერილი ზიზღი იყო, ზიზღი ყველაფრისადმი, უპირველესად — საკუთარი თავისა, ასე რომ დაეთრგუნა და რაღაც უმოქმედო ბოღმად, სიძულვილად ექცია ჭოლას სხეული...

გუძას გულმა უგრძნო, ბონდო ეძახდა.

მართლაც, სახელმა „გუძამ“ მდინარის გააფთრებული ხმაური, ქარ-წვიმის ზუზუნი გადაფარა, ექოდ გახმიანდა კაცის ხმა ხიდქვეშ, ხრამ-ხევი ერთბაშად ამოლოკა, გადაყრუებული მიწა, ცა-წკვარამი შეაზანზარა და ასე ერთბაშადაც ჩაიშალა სადღაც წამის წინ გადავლილი ქუხილივით ძახილი... ბიჭი რაღაც აუხსნელმა შიშმა და მღელვარებამ მოიცვა...

კი, გუძაო, მას ეძახდნენ! კიდევ იყო ვიღაცა ამქვეყნად, მასზე რომ წუხდა, აბირბილებული კვარით მოუხმობდა გაღმა ნაპირზე ის კაცი და ახლა უფრო დარწმუნდა, საქმე მართლაც ცუდად რომ იყო.

ტალღა ძალუმად მოეხეთქა...

ჩამუქებულმა წყალმა ქვედა საფეხური გადარეცხა, გადალოკა და სასოწარკვეთილი კაცები კლდეს უფრო მიეწმაწნენ, აეკვრნენ...

კინჭული, გლებო, ჭიჭაღუა კვლავ გამოქვაბულში შეძვრნენ, კვარი თან შეიყოლიეს და, ამ კუნაპეტში ხმაური თუ გაორკეცდაო, ბიჭმა ყურებზე ხელები აიფარა.

— გუძაეეე!..

ძახილი ერთ ძლიერ ხმად მოება და ხრამ-ხევი-ხიდი კვლავ შეაბარბაცა...

— ბონ-დო!..

ილრიალა და, თითქოს ბნელს უნდა ჩაეხუტოს ან წყალში ისკუპოსო, წინ მკლავებგაშლილი წაიწია, ერთი საფეხურითაც ჩასხლტა ქვევით... ამ დროს ტალღა კლდეს ისევ მოასკდა და შექანდა, წყვდიადს გამოკიდებულივით დარჩა, ქარიშხალმა კინაღამ გაიტაცა... უფრო სწორად, ჭოლამ იმარჯვა, ხელ-დროულად სტაცა საყელოში, ...ამოჭაჩა და ფლატეს ზურგით მიანარცხა.

— აქეთ გამოდი!

უყვირა, კაიხანს ხელში ჰყავდა ჩაბღუჯული, არ უშვებდა.

ტალღები უფრო მომძლავრდნენ, გაიზარდნენ...

ჭოლამ ბიჭი წინ გაიგდო და გამოქვაბულში შეძვრნენ.

— რა ვქნათ? — კინჭული ჭოლას მივარდა, — არ ვიცი, რას ველოდებით! ვერა ხედავ, წყალი წამისწამ მატულობს...

— კი... აქ ყოფნა სახიფათოა..

ხმა ამოიღო ჭოლამ.

— მერე? — წამოიძახა კინჭულიმ.

მღვიმის სიღრმიდან, თითქოს ქვას თლიანო, ერთგან ცემის ფიცხი ხმა გამოისმა და კინჭულიმ — სუო, ყურები ცქვიტა, მერე ხმაურის მიმართულებით ფეხაკრეფით წავიდა.

გუძა და ჭოლა მიჰყვნენ.

გლებო იყო. დაბეკილი თივა, სადაც აქამდე იწვა, (ეტყობა, შეგნებულად, თითქმის მღვიმის ბოლოში) გადაეხვეტა და რკინის მოზრდილ კეტს იატაკს ღონივრად, მუხლებზე დაჩოქილი უზაპუნებდა...

ჩამუგია და ჭიჭაღუა თავზე დადგომოდნენ.

— რას აკეთებ? — ხმა აუკანკალდა კინჭულის.

— რას?! — გლებომ თვალები გაოცებით ატყვირცა, მერე ოფლგადახვითქული შუბლზე მკლავი მოისვა და ალუღლუღდა, — გვირაბი უნდა იყოს აქ, გვირაბი... კი, ასეა ეს!.. — გაიჩოჩა, ადგილი მოინაცვლა და უფრო ენერგიულად ამოძრავდა.

—დია?! — აღტაცება ვერ დამალა კინჭულიმ და თავადაც ჩაიმუხლა, — რა იცი?

— ვიცი... ამ დღისთვის ვიცოდი...

თავაუღებლივ ბუზღუნს განაგრძობდა გლებო და წამს არ ჰკარგავდა, გა-

მწარებით უზაპუნებდა რკინის კეტს ქვის იატაკს...

— აბა, ჩქარა!

იყვირა კინჭულიმ, მერე გონს უმალ მოეგო და — მე, მე მიმიშვიო, ხელი უბიძგა, კეტი გამოსტაცა, მომანათეო, კვარი ბიჭს კინაღამ ცხვირ-პირში ხელუკეტმა „მიაჭმუჭნა“ და იმავე ალაგას რკინა საცეხვივით დასცხო და დასცხო... მალე ქვის ბრტყელი, მრგვალი ფილა ამოაგდო და საკმაოდ მოზრდილი ხვრელის ყელი რომ გამოიკვეთა, თავი შიგ დურთა...

— მე... მე პირველი ვარ!..

იწივლა გლებომ და აქამდე ირგვლივ ცმუკიად რომ ურბენდა, ახლა წელქვემოთ ეცა, დაოთხილი კინჭული უკან დაქაჩა... კინჭულის თავი ხვრელში გაეჭედა და ახვარხვალდა, აზმუვლდა... ტლინკების ცემით მოიცილა, როგორღაც, გადააყირავა აჭყივლებული გლებო.

თავიც უმალ ამოყო.

გუძა ჩაცუცქდა და შუქი სახეში მიანათა.

კინჭულის ფერი აღარ ედო...

— დაიცათ...

თვალებგადმოკარკლულმა, ყბააცახცახებულმა კინჭულიმ ხვრელი რაღაც საეჭვოდ ჩასუნა, მერე კვარი ბიჭს შიშით გამოართვა, ჩაყო შიგ და თავადაც მიჰყვა...

— წადი, შენი... — ზეზე წამოვარდა და წიხლი ღონივრად უთავაზა ისედაც აკრუსუნებულ გლებოს. — ქვევრი არ ყოფილა, მაგისი დედაც ვატირე! — კბილებში გამოსცრა და ჭოლას შეხედა.

ჭოლა მოულოდნელად შეტრიალდა და გასასვლელისკენ მტკიცედ წავიდა.

სხვებიც უმალ მიჰყვნენ.

იელვა და, ცა ჭახანით თუ ჩამოიფხრიწაო, მეხის გვრინვა-ზრიალმა მთელი ცისქვეშეთი კვლავ შეაზანზარა და ხიდქვეშელები საბოლოოდ მიხვდნენ, განწირულები რომ იყვნენ. სიკვდილის სუნი — სველი, ცუდად ახრჩოლებული კვარის ჭვარტლის სუნივით — სახეში ბოროტად სცემდათ და, სასოწარკვეთილების შიშით დათრგუნულები. ვინ ვის მხარს აეკრა, ვინ ვის ხელს მიენდო და ჩაებღაუჭა...

— ვაიმე, ჩემი ფუთა!

იღრიალა გლებომ და მღვიმის წკვარამიდან ხელ-ფეხის ქნევით გამოსხლტა, მერე მისკენ ცქაფად მოტრიალებულ კინჭულის მუცელში თავით დაეძგერა, ჩამუგიას მიაწყვიტა და ორივენი გადააყირავა...

— ვინ არის ეს ძაღლის გაგდებული?! — წამოხტა გაცოფებული კინჭული და კვარი ისე მწარედ ბეთქა თავში, იქვე გადააფშვნა, ჩაკეცა..

— მიდით, დახოცეთ ერთმანეთი, თქვენი დედაც... — გადაირია ჭოლა, ერთიც საზიზღრად შეეგინა და, ნეტა ჩემი მაუზერი მომცა ახლაო, ამჯერად უფრო ამათთვის ინატრა.

წყალი გამოქვაბულს შემოესხა და იქაურობა კვლავ დატბორა.

კინჭულიმ სიჩუმით ისარგებლა და ისევ წინ გაძვრა. სხვებიც ფეხაკრეფით მიჰყვნენ და კლდეს რიგ-რიგად, მხარი მხარს მიტყეპილები აეკვრნენ...

მდინარე მომატებულიყო.

ეტყობოდა, წყალი ხიდქვეშ წამისწამ იწევდა, დიდდებოდა, იმუქრებოდა... არადა, ცხადი იყო, ისევ მის ტალღებს თუ არ მიენდობოდნენ, თან, რაც შეიძლება, დროულად თუ არ მისცემდნენ თავს, მერე გვიანიც იქნებოდა, მინდვრის თაგვებივით მღვიმეში ერთიანად ამოიხრჩობოდნენ...

ხევიდან წყლის მღვრიე, მოშავფერო სხეული — თითქოს ციდან ეშვებაო — იღვრებოდა უკუნში...

ისევ შეზანზარდა ხიდი...

სადღაც თოფი გავარდა...

საშინელი ყვირილი და ჩექმების ბრახაბრუხი ატყდა ზემოთ...

— ეჰეჰეი!..

იფეთქა, განწირული ხმით შეეხმიანა ზემოურთ ღადუა.

უმალ იჭექა, ზვავივით ჩამოიგრია-

ლა მეხმა პასუხად, მერე თითქო ხრამ-ხევში ჩაიშალა...

— ანი იძრა, ბანი იძრა... მიწა იძრა, წყალი იძრა... — კლდეს აკრული, ჯვარივით მილურსმული ჰოლას არეულმა ხმამ კინჭული გააცოფა, შენ მაინც რა დაგემართა, კაცო! — უყვირა, სახელოზე დაჭაჩა, მაგრამ ის მაინც განაგრძობდა ხრიალს: — ნოეს კიდობანი იძრა, იძრა...

— გუძა-ა!..

ბონდოს ძლიერმა ხმამ უკუნი კვლავ გაფხრიწა და ბიჭს გული შეეკუმშა, გაეყინა.

— ჩემი მტერი გენდოთ თქვენ! — უცებ იღრიალა ჭიჭაღუამ. — მამაძაღლები ხართ თქვენ!.. კაციჭამია თახსირები!!

და, შეტრიალდა, კლდეს დამფრთხალი ცხოველივით ცქვიტად ეცა, მაღლა, ქარაფზე ორი-სამი წყრთა ახტა და ავარდა...

ყველასათვის მოულოდნელი იყო მისი საქციელი, ხმაც, ჩვეულებრივ, წრიპინა, მორთოლავი არ ჰქონდა და ეს გაუკვირდათ თუ ამ ციცაბოზე რანაირად უნდა აეღწია ზევით ჭიჭაღუას, ერთბაშად გაშეშდნენ... არადა, რამხელა ამბავი იყო! რაღაც იმედს აშკარად ქმნიდა, მხნეობას უნერგავდა მათ და, როგორც ერთნი — სულგაკმენდილები მიაცივდნენ... თუმცა, უკვე კბოდეს ხვლიკივით შერჩენილი ადამიანის უმწეო, ჩაშავებულ სილუეტს...

იჭექა...

ელვა ცა-მიწას გაეხიდა, გაიკლაკნა და ჭიჭაღუაც ქარაფს მოსწყდა, წყალში ღრიალით გადაეშვა...

— ვავა, ბაბაია!

ამით რეტდასხმული, აცახცახებული ჩამუგია შექანდა, თავი ვერ შეიკავა, კლდეს მიეხეთქა და... ფეხაცურებული ისიც წკვარამში ჩაქვესკნელდა. სამ-ოთხ ნაბიჯზე ამოსხლტა მორივით, აქაფებულ ტალღას წამით ქეჩოზე მოექცა — მიშველეთო, საწყალობლად მიაწივლა და კვლავ გაუჩინარდა.

— არა! არ მინდა სიკვდილი!..

რაღაც არაადამიანურად იღრიალა. გლეგბომ, უკუიქცა, ისევ მღვიმეში შევარდა.

ჰოლა სადღააო, გუძას გაუელვა.

არაფერი ჩანდა. უფრო სწორად, ძლივს გაარჩია, კლდეს ატყეპილი ადამიანი და ის არისო, რაღაც იმედი მოეცა, მისკენ გაიწია... ლეკვის საშინელი წკმუტუნი მოესმა და გაშეშდა. იმასაც ვერ მიხვდა, ფეხი დაბიჯა თუ ცხოველის უტყუარ ალღოს ბიჭისთვის მოეგნო... მართლაც, უმალ ფეხებშუა შემოუხვარხვალდა ლეკვი, გაეჭედა და, თავისდა უნებურად, ასაყვანად დაიხარა...

უცებ: გუძაო, კვლავ მოესმა გამწარებული ძახილი, თითქოს გაღმა, ნაპირზე გარჩენილი ბონდო შველას მისგან ითხოვდა და არა პირიქით.

და, გული ძალუმად აუფართხალდა, ძალაც ჩაუდგა სხეულში... აქა ვარო, მთელი ხმით იღრიალა და, ხელი თუ უბიძგესო, ლეკვიანად ისკუპა ყალყზე შემდგარ მორევში...

უმალ, თითქმის წელამდე ამოყვინთა... პერანგი უშლიდა ხელს, მხარი იდაყვზე ჩამოცურებოდა და მკლავი შიგ ჩასჭედოდა... როგორმე უნდა მოვიცილოო, იაზრა. მართლაც, იოლად მოიცილა ხალათი და ახლა, ორივე ხელი თავისუფალი რომ აღმოაჩნდა, ამოძრავდა, ღონივრად მოუსვა მკლავები...

ლეკვი რა იქნაო, ერთი კი გაუელვა, მერე და მერე უფრო გათამამდა, აბობოქრებულ მდინარის დინებას ლაღად მიჰყვა... მთავარი იყო, არ იძირებოდა წყალში, მიცურავდა და, ნეტავ აქამდე მომეფიქრა, ცურვა ხომ ვიცოდიო, თავისთავს შეუწყრა, გახალისდა კიდეც — მარტო რომ არ იყო, ნაპირზე ბონდო მოელოდა.

ზურგს უკან საშინელი გრუხუნი მოისმა და... შეშლილი მდინარე, მისი ფსკერი, მიწის წიაღი თუ შეტორტმანდაო, ცქაფად მოიხედა, მთელი ტანით მობრუნდა ხიდისკენ...

— ხი-დი-ი...

დაყვირებაც ვერ მოასწრო, მანამდე მიასკდა რაღაც ქვასავით მყარს კეფით, ერთბაშად დააბზრიალა და... მაშინვე გადაუარა უშველებელმა ტალღამ...

სიზმრისეული იყო ბურანი...

გუძაო, თითქოს ვიღაცა კვლავ ეძახოდა, მის საშველად მოიწევდა, თითქოს ფეხზეც წაეპოტინა და დათრევა მოუნდომა, მერე თმაში ღონივრად სწვდა იმ უხილავის ხელი, შეაქანჩალა და თავადაც წაეპოტინა, სამკვდრო-სასიცოცხლოდ ჩაებღაუჭა... მაგრამ არ დასცალდა, ამჯერად პირისახით ლოდს ეუ მიასკდაო, გონი საბოლოოდ რომ დაეკარგა...

ნელა, შორიდან დაუბრუნდა ცნობიერება...

ისევ წყალში იყო, მის ზედაპირზე ტივტივებდა სასწაულად და, სიზმარში ხომ არა ვარო, გაუელვა, მერე განძრევაც სცადა.

ხელის მტევნები წინ, წყალში, უკან — წელამდე ჩაკიდული, ნიჩაბივით ამოღრუღ ფიცარზე — გამოქვაბულში ძაგალა რომ იწვა... — იყო ლოყადაკრული, გულბოყვით გადასვენებული და... მიირწეოდა... ცოცხალი რომ იყო, იმდენად არ გაჰკვირვებია, რამდენადაც ის — წყალი საოცრად მშვიდი და თბილი რომ იყო... მართლაცდა, ოდნავ თრთოდა. მსუბუქად ერხეოდა შავად მოლივლივე ზედაპირი. ფიცარი დროდადრო ცოტად წაყვინთავდა ტალღაზე, თითქოს უნდა შეეხსენებინა, ჯერ კიდევ წყალში ხარო, უნაპირო, ნაფოტივით ჩემს მკლავებში გარჩენილი... წაყვინთავდა ფიცარი და გული მაშინლა შეუქანდებოდა, მოაწვებოდა ყელში ერთბაშად... მალე იმასაც მიხვდა, მის გვერდით ვიღაც მოცურავდა, მაგრამ ვინ და რატომ, ვერ ეცნო. ბოლოს ამოისაზრა. არც კი აინტერესებდა ისე, ბუნდოვნად გაიკვირვა, ვინ უნდა იყოსო.

— ეჰეჰეი!..

ჩაესმა. თუმცა, შორს იყო ხმა, მის ზურგს უკან და წამიერად წყვდიადს გამომსხლტარი...

—ეჰეჰეი!..

ეს ხმა კი აგერ, თითქმის ყურის ძირში გაიგონა. ჩანდა, წეღანდელ ძახილს რომ შეეხმიანა, გვერდით ახლდა, კენტად, მაგრამ ნიჩაბივით ძალუმად რომ ადგაფუნებდა მკლავს...

თავის წამოწევა სცადა...

ყვრიმალზე ხელის შეხება იგრძნო... მერე მის სახესა და ფიცარშუა თითები უხეშად შემოცურდნენ და ემლაშა, ტკივილმაც თითქოს მარილივით ცხვირპირში მოიყარა თავი, მოეწვა... ის უხილავი ხელი მაინც არ ეშვებოდა. სახეს ღონივრად უსრესდა და მალე გონსაც მოეგო... თითქოსდა სუნით იგრძნო, თითების შეხებით, ვინც მოცურავდა მის გვერდით და გული, ნავში მოფართხალე თევზივით, ფიცარზე აუდგაფუნდა...

ფიცრის იმ ერთ ბოლოს, ბიჭი რომ იყო გადასვენებული, ბონდო ჭყონია ჩაბღაუჭებოდა, თავისუფალი ხელით კი წყალს მკვეთრად მოაპობდა...

— ეჰეჰეი!

ისევ გაისმა ბნელში, თუმცა, ამჯერად უფრო ახლოს და ნაცნობივით ხმაც.

— აქა ვართ! — მშვიდად შეეხმიანა ბონდო.

— საად?!

იკითხა იმავე ხმამ მოგვიანებით და, ჭოლა უნდა იყოსო, ისევ შეუტოკდა გული გუძას, თან სული გაინაბა და ბონდოს პასუხს დაძაბული დაელოდა.

— გაშლილ ზღვაში...

ბონდო ჭყონიას ხმა შეეცვალა, თითქოს თავისთვის, გაბრაზებულივით ჩაიდუდღუნა.

უცებ ვერც გაიგო ნათქვამი, გაშრა კი... უფრო სწორად, ის უჩვეულო სითბო და მიმნდობლობა რომ არ ჰქონდა ბონდოს ხმას, ამან უფრო შეაშფოთა, ვიდრე „გაშლილი ზღვის“ გაგონებამ... არც ის სიკეთით სავსე მუდმივი ღიმილი ადგა, ალბათ სახეზე ნათელივით, ბონდოს...

— ეჰეჰეი!..

ეს უკვე სხვა მხრიდან იყო... არც ჭოლას ხმას ჰგავდა და, ვინღა არისო, გაიფიქრა.

ფიცარმა წაუყვინთა, წყლის შხეფი მოაწყდა სახეში, სიმლაშე ყელში გადასცდა და გულისრევა მოაწვა, მცირე თანდათან გაბრუვდა...

...ზღვაში იყვნენ, უდაბნოსავით გაშლილ და ჩაწკვარამებულ სივრცეში: გუძა, ბონდო, ჭოლა (ნეტავ ვინ იყო ის მეოთხე?)... ვარსკვლავები, რომლის საშუალებით ბონდო გზას ნაპირისკენ იკვლევდა, უკვე აქა-იქ ჩანდნენ, მაგრამ, მათდა განსაცვიფრებლად, თითქოს განგებ, უკუღმა სხდებოდნენ ზოგჯერ ცაზე მნათობნი, ან ქრებოდნენ ხოლმე სულაც... თუმცა, არც გამთენიის ჟამი იყო შორს და ეს უზარმაზარი, ცოდვილი, კეთილი, ბებერი დედამიწა დღის სინათლეს, ალბათ, არ დაეკარგებოდა...

ციკლიდან: — „შემოდგომის საღამოები“

დარდის ბილიკს მივიკაფავ

ვიდრე ცაში ისვრის ფაფარს
ჩემი მოჭიხვინე კვიცი,
დარდის ბილიკს მივიკაფავ,
ასჯერ გადაკეტილს ფიცით.
თიბავს ლურჯ ბილილებს ცელი,
ჩაქრა გაზაფხულის ლეშხი,
ღარც სიგიჟმაჟე ძველი,
არც ის ძველებური ეშხი.
ცრემლის კრიალოსანს ვმარცვლი,
უნდა გავერიდო ასე
დღეებს,
უშენობით დაცლილს,
დღეებს,
უშენობით სავსეს.
გული — მოცახცახე მუჭი,
ხსოვნა —
ალესილი ხმალი,
ღმერთო, რამდენ ვინმეს უჭირს
გზისკენ ამომწვარი თვალით.
ვიდრე ცაში ისვრის ფაფარს
ჩემი მოჭიხვინე კვიცი,
დარდის ბილიკს მივიკაფავ,
ასჯერ გადაკეტილს ფიცით...

ვიცი, ის ცრემლი ვისია

ქსნისპირას ორბი აფრინდა,
მწვერვალს გადასცდა ნისლიანს,
უბეს რომ ცრემლი გისველებს,
ვიცი,
ის ცრემლი ვისია.
ესეც შორიდან შეგნიშნე,
თვალებს მარიდებ ახლოდან,
ვის დააყარე ის ცრემლი
მე რომ გულს უნდა დამყოდა.
იცის კი შენმა ლამაზმა,
ვისთვის ხარ ფერნამკრთალები,
რომ ჩემი დასაკოცნელი,
სხვამ დაგიკოცნა თვალები.
წამწამებს დარდი წალეკავს,
ამდენ წელს შენაკავები,
სულ სხვის ალერსში ჩამოდნა
ჩემთვის სახვევნი მკლავები.
ქსნისპირას ორბი აფრინდა,
მწვერვალს გადასცდა ნისლიანს,
უბეს რომ ცრემლი გისველებს,
ვიცი,
ის ცრემლი ვისია.

ვიდრე გიყვარვარ

შემოდგომის ტყის
ოქრო და ქარვა
აკვნავ მინდვრებს,
ჭარით განაძოვს...
ნეტა შენ,
ვიდრე ასე გიყვარვარ,
ნეტა შენ,
ვიდრე არ გითანაგრძნობ.
და შემოდგომის
არეულ ამინდს
გინათებს ხსოვნა
უნაზეს წამთა...
ასე გაუძლებ
ავდრიან ღამეს,
ასე გადიტან
სუსხიან ზამთარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე კი...
მე—შორი საგალი მიძევს,
ვტირი, თუ..
ღაწვზე მეყრება ნამი?
მე შენს გვალვიან
და ხრიოკ მინდვრებს
გადავუფრინე
სულ ერთის წამით.
ქარი ხან ღრუბლის
ფარჩეულს კეცავს,
ხანაც ფოთოლი
შემოაქვს მკრთალი,
და ვიცი, დღემდე
შენს მრუმე ზეცას,
როგორ ატყვია
ჩემი ფრთის კვალი.
კვლავ შემოდგომის
ოქრო და ქარვა
აცვია მინდვრებს,
ქარით განაძოვს...
ნეტა შენ,
ვიდრე ასე გიყვარვარ,
ნეტა შენ,
ვიდრე არ გითანაგრძნობ.

ჩემი პაწია

თქვენ მეფიცებით,
რომ იმ დღეებს
ისევ მისტირით,
რომ ამ ქალაქში
ბევრი რამე
გახსენებთ წარსულს,
მე კი...
პაწია ჩამოვისვი
მკლავზე კვირტივით
და აღარაფრის მოგონება
ნამდვილად არ მსურს.
ტიტინებს ჩვილი —
გული ჩემი
და ჩემი ერთა,
ამოიზარდა სიხარული
მაღალ ღრეებად,
როგორ გამკრთალდა
ყოველივე
იმ თოთო ხელთან,
გაუბედავად
ახლა თმებზე
რომ მეფერება.
ვუზივარ აკვანს,
ან ოდნავი
წათვლემით მძინავს,
მაკრთობს ყოველი,
დღემდე რაც კი
მეგონა წყნარი,
სულ მეჩვენება,
რომ ხმამაღლა
თხლაშუნებს წვიმა,
სულ მეშინია,
რომ ხმამაღლა
გასწივის ქარი.
არ გამიღვიძონ
ნაადრევად
პაწია ჩემი,
სულ მცირე ჩქამზეც
ძუ მგელივით
მივიტან გუმანს...
„მშვენიერია?“—
ვეკითხები
ყვავილებს წყენით,
რომ გამიჩუმდნენ
და დასტური
არ მომცეს უმალ,
თქვენ ისევ ჰყვებით,
თუ იმ დღეებს
როგორ მისტირით
და ამ ქალაქშიც
ბევრი რამე
გახსენებთ წარსულს,
მე კი...
პაწია ჩამოვისვი
მკლავზე კვირტივით
და აღარაფრის მოგონება
ნამდვილად არ მსურს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიდის ჩემი დრო...

ზოგიერთი კაცის ბედი, რა თქმა უნდა მძულს,
ზოგი ცხოვრობს, ზოგი ცოცხლობს, ზოგი ყიდის სულს.

ყველა მისთვის ჩირთიფირთობს, რას მიშველის ბრბო,
გული მტკივა ცხოვრებაზე, მიდის ჩემი დრო...

ის რაც ადრე მახარებდა, არ მახარებს დღეს,
სიყვარულით ვერ შევხვდები, ჩემს მოსისხლე მტერს.

დაკარგულ წლებს ნაღვლიანად გავაყოლებ თვალს,
ადრე უფრო რაც არ მწამდა, ეხლა უფრო მწამს.

ბრძოლის ველზე ჩემი დროშა არ დახრილა ძირს,
ეხლა მეტი იმედი მაქვს, ხვალინდელი დღის.

არ მასვენებს შენზე ფიქრი, შენი დარდი მკლავს,
ეხლა უფრო, ეხლა მეტი, სატკივარი მაქვს.

ყველა მისთვის ჩირთიფირთობს, რას მიშველის ბრბო,
გული მწყდება ცხოვრებაზე, მიდის ჩემი დრო.

ისევ N-ს

ეხლა უფრო შიშის ზარს მცემს, სიყვარული ძველისძველი,
ულმობელად რაც დრო გადის უფრო მეტად მჯერა შენი.

სიხარული და ალერსი, რაც დავკარგე შენში ვპოვე,
დიდ სიყვარულს ქვეყანაზე აპირობებს სიახლოვე.

როცა უპატრონოდ რჩება ძლიერებას კარგავს სული,
ყური მიგდე, არ დამტოვო მარტოდმარტო გულმოკლული.

ერთი თხოვნა შემისრულე, ფეხი არ დამადგა გულზე,
გილათი და წყალწითელა მომატარე გაზაფხულზე.

ნუ დამტოვებ უთვისტომოდ, შემიბრალე, შემიცოდე,
რას უშველის საქართველოს, პაატა და ერთი ცოტნე.

სიცოცხლეში მომასწარი, რაც დამპირდი ყველაფერი, —
ციდან მოდის ღვთის წყალობა, არ მომაკლო მზის ნათელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ ერთი თხოვნა მინდა, თუ ღმერთი გწამს დამიჯერე,
ერთხელ გატეხილი გული, სამუდამოდ გამიმრთელე.

მეტს არ ვითხოვ, გევედრები, ჭიქა ღვინო მამყოფინე,
დამარწმუნე, დამაჯერე, სიყვარული მაგრძნობინე,

მაღლა ცაში გამაფრინე, როგორც უხილავი ღმერთი,
არც სიმდიდრე, არც წყალობა, მე არ მინდა სხვაზე მეტი.

ღმერთო ჩემო, დამიფარე, შენი სიყვარული მინდა,
ნუ წამიყვან იმ ქვეყანას, გულდაწყვეტილს ამ ქვეყნიდან.

●

ხშირად ვფიქრობ, უდარდელად გამიფრინდა წლები,
ვიღაც, ვიღაც, ვიღაცებში მეტნაკლებად ვცდები.

ბედს, რომელსაც არ ვემდური, მივუსწარი სულზე,
ვიღაც, ვიღაც, ვიღაცები სკდება ალბათ გულზე.

რაც დრო გადის და რაც ხანი უფრო შემიყვარდი,
ვიღაც, ვიღაც, ვიღაცების არ მაწუხებს დარდი.

ერთადერთზე, ჩემს წარსულზე, მწყდება ეხლა გული,
ვიღაც, ვიღაც, ვიღაცებით მიდგას დღემდე სული.

ვგრძნობ ჩემთვისაც გაზაფხულზე აყვავდება ნუში,
როგორც ჩიტი გალიაში, ისე მყავხარ გულში.

●

ამიძგერდა გული ისევ, სიყვარულის გრძნობით სავსე,
საკუთარ თავს ვეომები, ცირკის კლოუნს დავემსგავსე.

მტრობაზე და კაცის შურზე, რა ვქნა, ვერ ვიყარე ჯავრი,
ზოგი რამე ცხოვრებაში დამრჩა მაინც დასანანი.

ბევრი რამე სასიკეთო, შევიტყვე და განვიცადე,
ზოგჯერ ჩემთვის თავს ვიტყუებ, სხვებთან მართალი ვარ ცამდე.

გვერდით დავუდექი ყველას, მოკეთეს და თანამოძმეს,
სხვისთვის არ მიღალატია, სიცოცხლეში არასოდეს.

სათითაოდ მიმატოვა, ბოლოს ყველამ, ვისაც ვენდე,
მოწყალე და გვერდში მდგომი, კაცი ვერ ვიპოვე დღემდე.

მარტოობის კუნძულზე ვარ, უთვისტომოდ შეხიზნული,
ორპირზე და, მლიქვნელზე და, გამყიდველზე მწყდება გული.

ალავერდთან

კუნელს წვეთავს სისხლი,
ღუის მარცვალ-მარცვალ,
შემოდგომა ფიცხი
ხეებს გახდის ჩოხებს
მზვარეებში ნაცვამს.

მწყრისფერია ნამჯა,
მწყერი — ნამჯისფერი,
მონადირე არ ჩანს,
სიმშვიდეა ველზე
და ქვითქვითებს მწყერი.

მზე რომ გარინდდება,
კორდი და ალერდი,
და ბიბლიისფერი
აფრინდება მტრედი,
მაშინ, მაშინ ჩუმად
ფიქრი მომდის ერთი:
როდის გაფრინდება
ციხკენ ალავერდი?

ვვ წლის გავხდი

ვიცი, მოკლდები ჩემო ცხოვრებავ,
მაცილს მაინც ვერ ვგუობ,
არ მემეტები დასამშვიდებლად,
ნაღვერდლიანო გულო.

სულ დაიწეწეთ, ჩემო ძარღვებო,
რამდენს ვჩხუბობ და ვდაობ,
არ მემეტები ჩამოსაგდებად,
ჩემო ამაყო თავო.

არც შენ ამოგშლი, რწმენის ნიშანო —
სულში მტკივარო დაღო,
არ დაუდგები შენს თავს იუდად,
ქრისტეს ასაკის ბალღო.

მაინც ლექსისფერია

გრძნობის უკეთ ვერა ძალა
გრძნობას ვერ აგრძნეულებს,
ლექსის უკეთ სილამაზით
ვერვინ დაგასნეულებს.

ლექსი მაინც კალმახია,
ლექსი მაინც ჩქერია,
ლექსი მაინც სიმღერაა,
ჩქაფუნია, ჭევლია.

დუდუნ-დუდუნ, ტალღა-ტალღა,
დაე, პროზამ იდინოს,
პროზა ზღვაა. ლექსი რუა,
წყაროა და მიმინო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცებ უნდა ჩაიქროლოს,
ჩაიწკარუნ-წკრიალოს,
უცებ უნდა გაგდოს პწკალი,
გული წააწიალოს.

მარტო გულით არც ვმღეროდი,
გულიც ჩემით მღეროდა,
მარტო ბედის არც მჯეროდა,
ბედსაც ჩემი სჯეროდა.

ჩემს ოცნებას ფერი თუ აქვს,
იგი კვრინჩხისფერია,
ჩემს სიმღერას ფერი თუ აქვს,
ტაძრის სარკმლისფერია,

ჩემს სამშობლოს ფერი თუ აქვს,
ციხის ხავსისფერია,
ჩემს ცხოვრებას ფერი თუ აქვს,
მაინც ლექსისფერია.

შემოდგომის აკვარელი

ოქტომბერში ფერები
მთაში აკივლდებიან,
ხეკერჩხლის კენწეროებს
ცეცხლი წაჰკიდებიათ,
წყაროები უფსკრულებს
ბაწრით ჩაჰკიდებიან,

არწივები მზეს სვამენ,
ფშანებს აკვირდებიან,
ეს რა ძოწებია და
რა იაკინთებია,
ოქტომბერში ფერები
მთაში აკივლდებიან.

მინდა, მწამდე, მინდა, გწამდე

ოასაც გხედავ, რასაც გატყობ,
სულ ცრუი ხარ, მოყვარეო,
მაინც ველი შენგან მართალს,
იმედი არ მოვღალეო,
შენ ჩემს გზებზე სულ ღალატი,
სულ ცოდვები მოყარეო,

მაინც ველი შენგან წმინდას,
რა ვქნა, ველი, მოყვარეო.
ფრინველი ვართ? ცხოველი ვართ?
თევზი თუ ქვემძრომარეო?
მინდა, მწამდე, მინდა, გწამდე, —
სულ ესა ვართ, მოყვარეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

მკითხველო,
ჩემო შორეულო მეგობარო,
გაასეირნ-გამოასეირნე შენი თვალები
ამ სტრიქონებზე:
დე, მათ ასო-ასო აკენკონ
ჩემი ლექსი,
მე, ხომ იგი
ზუსტად ისეთი თვალებისათვის
დავწერე,
როგორიც შენ გაქვს.

●

ხმაურისაგან ულვთოდ დაღლილი,
მე ვახურდავებ დღის თეთრ ვერცხლს
ღამის შავ ფულზე,
მინდა, რომ ღამეს გამოვტყუო
ტკბილი სიზმრებით სავსე ბალიში;
მაგრამ მოდიან სულ სხვა სიზმრები,
უხმოდ,
უჩქამოდ ეშვებიან
ღამის ბნელი ბუდეებიდან
და დაღლილ ტვინის მღვიმეებში
ღამურებივით თავდაყირა ეკიდებიან.

ნათხოვარი გაზაფხული

გავცვითე ჩემი გაზაფხული დიდი
ხანია,
და ახლა
შემოდგომისა და ზამთრის
ცივი ფერებით თავმობეზრებული
კვლავ გამოვეწყვე ნათხოვარ
გაზაფხულში;
გულმოდგინედ და მონდომებით
ვისწორებ,
ვირგებ სამოსელს
და დარცხვენილი ვეკითხები სარკეს:
სასაცილოდ ხომ არ გამოვიყურები
ნათხოვარ ტანსაცმელში?

თამაზ გოდერძიშვილი

რკინის კარს უკან

ორ მოქმედებად

მოქმედი პირნი

ზაზა — 30 — 33 წლისა
მაგდო — ზაზას დედა, 53-55 წლისა
ცუცა — ზაზას მამიდა, 60 წლისა
ზურაბი — ზაზას მეზობელი, 27-28 წლისა
მანანა — ამისი ცოლი, 23-24 წლისა
სასწრაფოს ექიმი — 60 წლისა
ექთანი — 23-24 წლისა

პირველ და მეორე მოქმედებათა შორის
გადის ხუთი წელი.

პირველი მოქმედება

არეული ოთახი. დედა უხერხულად, სტუმარივით ჩამომჯდარა სკამის კიდეზე და ტირის. ერთადერთი მეზობელი — ზურაბი — დედას თავს დასდგომია და არ იცის, რით ანუგეშოს. შემორბის ზაზა.

ზაზა — რა მოხდა? რა ამბავია? გაგვკურდეს? (დედას) რა გატირებს? რა მოგვპარეს? რა გკონდა, რა უნდა მოეპარათ?

დედა — არაფერი...

ზაზა — ეკითხათ ჩემთვის და მივასწავლიდი, რომელი ბინებიც გაექურდათ! დედა, რა დაგემართა?

დედა — არა, შვილო, ქურდები არ ყოფილან...

ზაზა — აბა?

დედა — მამა დაიჭირეს!

ზაზა — (ძალიან გაკვირვებული) რა?

დედა — მამა დაეპატიმრეს... გაგვჩხრიკეს... ყველაფერი აღწერეს...

ზაზა — (უფრო გაკვირვებული) რატომ?

დედა — არ ვიცი...

ზაზა — კი, მაგრამ... (აკდა, დაფიქრდა, სულ დაიბნა, ენა ჩაუვარდა) გადაცმული ქურდები ხომ არ იყვნენ?

დედა — არა, საბუთებიც გვიჩვენეს და გაჩხრეკის ორდერიც... მეზობლებიც შემოიყვანეს მოწმეებად... (ზურაბი თავს უხერხულად გრძნობს)

ზაზა — მერე?

დედა — ვერაფერი ვერ იპოვეს... რას ეძებდნენ, არც კი ვიცი...

ზაზა — მერე, ვერ ჰკითხე?

დედა — არ მიპასუხეს...

ზაზა — მამა?

დედა — სამსახურიდან წაუყვანიათ.

ზურაბი — იქაც უჩხრეკიათ!

ზაზა — იქ რაღა უპოვიათ?

დედა — არაფერი!

ზაზა — დირექტორი?

ზურაბი — ისიც დაუპატიმრებიათ: დიდი ქრთამია... გაფლანგვაო.

ზაზა — (ამოისუნთქა, მაგრამ) მაინც მამაჩემს შეაწერენ.

დედა — როგორ თუ შეაწერენ?!

ზაზა — ის ხომ რწყილს ატყავებდა! მამა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მოადგილედ დაინსვა, მაშინვე გავიფიქრე, როცა ჩავარდება, ამას ჩაუგდებს-მეთქი ხახაში... ეტყობა ვერ მოახწრო.

დედა — რა?

ზაზა — მამაჩემის საქმეში გაუვანა.

დედა — რას ამბობ?! (არ ესმის ტერმინი) საქმეში რომ არ გაეუვანა, არც დაიკერდნენ.

ზაზა — რა გვიგავს წილში გაუვანილს? არც ეხლა გჯერათ ჩემი? არც ეხლა გჯერათ? ხომ ვეუბნებოდი. აიღე, თორემ გაგაფუჭებენ-მეთქი!

დედა — რას ამბობს ეს ბიჭი?!

ზაზა — დირექტორს რა უჭირს? იმას იმდენი აქვს, ხვალვე გამოძვრება. მამა კი იმიტომ გასვარეს, ხელი რომ შეახოცონ. ვინმე ხომ უნდა დარჩეს ციხეში.

დედა — (უცებ შეშინდა) რა გვეშველება?

ზაზა — რა და უნდა ვუშველოთ! ჩვენ, მე და შენ უნდა ვუშველოთ, თორემ ეგენი არც გამომძიებლები არიან ამ საქმისა და არც მოსამართლენი. მაგათთვის მართალი ის იქნება, ვინც მეტს მიუტანს. მამაჩემის დახეულ ნიფხავს კი მათხოვარიც არ გამოგართმევს, თუ ლამაზად არ დაუკემსე... რა უნდა ვქნათ? რა და მინისტრთან უნდა შევიდეთ! ერთი იპარავდეს, ქრთამით ივსებოდეს და ციხეში მოადგილე მიყავდეს, მძევლად დამჭირდებაო, პირველად მესმის! ასე თუ უნდოდა, გაეუვანა ეს კაციც საქმეში და ამ ოთხ წელიწადში იმდენი დაუგროვდებოდა ამ შარავალგამოხეულ მამაჩემს, ალბათ, ელირებოდა, ერთი-ორი წელი დაჯდომა!

დედა — კარგი, გეყოფა.

ზაზა — ჭკვიანი ხალხი ასე აკეთებს: ჯერ დაგროვებას გამოსასყიდ თანხას, ერთ-ორ ლიმონს, მერე თავისთვის იზოგავს. ჩავარდება თუ არა, ეს ლიმონი — ლაწ! ხახაში და მინიმალური ვადით ციხეს ლესავს. გამოვა და ცხოვრობს ბედნიერად. ერთი ლიმონი თუ იმათთვის იზოგა, თავისთვისაც ხომ ექნება სამი იმდენი! აღარც იმუშავებს და კუბოს კარამდეც ეყოფა!

დედა — გისმენდეს ეხლა მამაშენი...

ზაზა — მამაჩემისთვის რამდენჯერ მითქვამს: გაიხედ-გამოიხედე, რა ხდება და გონს მოდი მეთქი, მაგრამ ბაბუაჩემის გაზრდილს რამეს შეაგნებინებ. ვეტერანი რომ გეყოლება გამზრდელი, თანაც პროფესიონალი! ჯანი მაინც როგორ შეინარჩუნა, მიკვირს... თუმცა რაც მოადგილედ დანიშნეს, იმდენს მუშაობდა, კინაღამ ინფარქტი დაირტყა....

დედა — კინაღამ კი არა, მიკროინფარქტი იყო და არ ვეუბნებოდით.

ზაზა — რატომ?

დედა — მშიშარა კაცია, იმოქმედებდა.

ზაზა — რა იმოქმედებდა? ღვინოს ეგ არა სვამს, ფულზე არ თამაშობს, პაპიროსს ეგ არ ეწევა, ქალებში ეგ არ დადის... უზნის ამ ტელევიზორს და... გეთქვათ, იმ ოხერ სამსახურში მაინც აღარ დარჩებოდა შუაღამემდე... მე შენ გეტყვი. დაუფახეს!

დედა — დაუფახეს კი არა... ღმერთო, ღმერთო, რა უნდა ვქნა, არც კი ვიცი.

ზაზა — ვენაცვალე იმათ მარჯვენაში... ახია, ახი!

დედა — კარგი, ნუ გაგიჟდები!

ზაზა — ახია, ახი! აბა, რას ფიქრობდა? (მეზობელს) ყველას გეგონათ, იღებსო, არა? ხომ მართალია? — ეგეთ ადგილზე მუშაობდეს და არ იღებდეს — ფანტაზიაა! ერთი, აქ შემოდი. შემოდი ამ ოთახში, ნუ გრცხვენია... ესეთი საწოლები თუ გინახავს დიდი სამამულო ომის შემდეგ? გამოაღე ეგ კარადა, ნუ გერიდება... (თავად გამოაღებს) შეიხედე, ხედავ? ერთი კოსტუმი აქვს... იქ გამოადგება, ზედ აცვია. ეს ჩემი პალტოა, ათი წლის წინ მიყიდეს, ინსტიტუტი რომ დავამთავრე. რაც თავი მახსოვს, დედაჩემი ამ კაბას იცვამს.. შენ როდის გადმოხვედი ჩვენს მეზობლად? ხუთი წელია, არა? გინახავს დედაჩემზე ამ პალტოს მეტი რამე?

ზურაბი — არა.

ზაზა — ესეც მამაჩემის ფეხსაცმელი, ეხლა თხელძირიანი აცვია. ამას ზამთარში იცვამს. რეზინის სქელი ლანჩები აქვს და თბილია. „ისანია", ჩვიდმეტი მანეთი მისცა. ესეც პერანგები. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი და ესეც ექვსი. მამაჩემისა არ გეგონოს, ოთხი — ჩემია.

ზურაბი — ვიცი.

ზაზა — აგაშენა ღმერთმა! მაგრამ ხომ ხედავ, არა გკითხეს არაფერი და ისე აიყვანეს.

ზურაბი — ვუთხარი, რას აკეთებთ, ამაზე პატიოსანი და ამათზე ღარიბი ოჯახი ჩვენ ცხრასართულიანში არ არის-მეთქი...

ზაზა — მერე?

ზურაბი — ყველაფერს გამოარკვევენო... ნუ ღელავთო... თუ რაიმე გაუგებრობაა, ესეც იოლად გამოშკარავდებაო...

ზაზა — თავს მოვჭრითო, მორალურად გავანადგურებთო და მერე ბოდიშს მოვუხდითო?

ზურაბი — ეხლა ამდენი ლაპარაკის დრო არ არის. ვინმე საქმეში ჩახედული იურისტი უნდა ვიპოვოთ და კონსულტაცია ვთხოვოთ...

დედა — მართალია.

ზაზა — ვინ უნდა ვიპოვოთ? ამათი შიშით ვინ დაგვიჭერს მხარს?

ზურაბი — კონსულტაცია ნებისმიერ იურისტს შეუძლია, ამაში ისინი გასამჯელოს იღებენ და ყველაფერი კანონით არის დამტკიცებული.

ზაზა — მაგრამ ჩვენ ჩვენი კაცი გვინდა.

ზურაბი — ნაღდი! ყველაფერს რომ გვეტყვის, და თუ საჭიროა, მიდგება-მოდგება კიდეც.

ზაზა — მართალია.

ზურაბი — მამიდაშენს დაურეკე, მოვიდეს, დაალაგოს აქაურობა. ასე ხომ არ იქნებით!

ზაზა — ახლავე, ახლავე... (ტელეფონს მიუჯდება) არ შემიძლია! ეხლა კი ატეხავს პანაშვიდს!

ზურაბი — არ ატეხავს, იცის.

ზაზა — საიდან?

ზურაბი — უკვე დარეკა.

ზაზა — მართლა, მე ვინ დამირეკა?

ზურაბი — არ ვიცი.

ზაზა — დედა, მე ვინ დამირეკა?

დედა — არ ვიცი, შვილო, მაგის თავი მჭონდა?!

ზაზა — მამიდამ, რაო?

დედა — გულის შეტევა მაქვსო.

ზაზა — ვერ მოვალო?

დედა — სასწრაფო გამოიძახა.

ზურაბი — მაშინ, თუ გნებავთ, ჩემს ცოლს დავუძახებ და მე და მანანა მოგეხმარებით.

ზაზა — დედა, დავალაგოთ?

დედა — (ისტერიკა) თავი დამანებეთ! დამანებეთ თავი! არ მინდა! არაფერი არ მინდა! მაშტო დამტოვეთ! გადით აქედან!! (ზურაბი გადის).

ზაზა — ჰო, კარგი, რა მოგიციდა? აქ რაღაც სხვა ამბავია!.. შენ ხომ იცი, რომ მამაჩემი მაგ საქმეში გარეული არ იქნება... (პაუზა) დედა! ხომ არ არის გარეული? (პაუზა) დედა! ხომ არ არის გარეული? (პაუზა) დედა, ვის ეეკითხები! (დედას გული მისდის) **დედა!** (სამზარეულოდან სირბილით წყალი გამოაქვს), ცოტას შეასმევს, ტელეფონს მივარდება, სასწრაფოს ვერ ურეკავს, კარადიდან ნიშადურს გამოიღებს, აყნოსებს) **დედა!** (ვერ მოაბრუნებს) **დედა!** (ისევ ტელეფონს ეცა) **დედა!** სასწრაფოა! ვერის შვილი, პირველი სადარბაზო, პირველი სართული! გული წაუვიდა. ვერ მოვაბრუნე! დიახ... ბინა? რა ბინა? პირველი, პირველი! (დაკიდა ყურმილი, დედას მაჯას უსინჯავს) **უცემს!** (ისევ დარეკა) **მამიდა ხარ?** ვინ ბრძანდებით? მამიდა როგორ არის? წევს? ორასორმოცი ასოცზე? შალვა სადაა? ვინ შალვა და მამიდაჩემის ქმარი! წამალზე? სასწრაფო თქვენა ხართ და წამალი თუ არ გქონდათ, რას მიდიოდით ავადმყოფთან?! (დაკიდა) **დედა,** დედიკო! (დედა გონს მოდის) რა გული გამიხეთქე!

დედა — რა მოხდა?

ზაზა — არაფერი. გული წაგვიდა და ისე შევშინდი, კინაღამ გაგასწარი.

დედა — ეგღა გვაკლია... ღმერთმა დაგიფაროს.

ზაზა — ეხლა ჯანზე უნდა მოხვიდე, დედაჩემო. ბევრი სირბილი და ბევრის აკანა დაგვგირდება. ავადმყოფობა არ გამაგონო! ჯობ ხედავ, მე არც გული წამივიდა და არც ავტირდი. ისე ვარ დარწმუნებული მამაჩემის პატიოსნებაში, როგორც იმაში, რომ შენ დედაჩემი ხარ. არ მოგვსვლოდა ასეთი რამ, კარგი იყო... მაგრამ უბედურ კაცს ქვა ეწევა, თანაც ალმართში. ადრე თუ გვიან, რაღაც ასეთი უნდა დამართნოდა. სულ ვშიშობდი, სულ მეგონა: აი, დღეს, აი, ხვალ, მოხსნიან-მეთქი... მაგრამ ციხე? მამაჩემი მეკრთამე? გამფლანგველი? ნუ გეშინია, დედა!

დედა — ვიცი, შვილო, ვიცი, მაგ უბედურს რა გაფლანგვა და რა მეკრთამეობაც შეეძლო, მაგრამ... ვის გინდა დაუმტკიცო?

ზაზა — ამდენ სპეციალისტში ერთი პატიოსანი კაცი არ იქნება?!

დედა — რაღა იმას მისცემენ ამ საქმეს?

ზაზა — მართალი იყო ეს... მეზობელი. ერთი ჩვენიანი კაცი გვინდა, იურისტი.

დედა — იურისტი? ვინ გვყავს ასეთი?

ზაზა — (პაუზა) არავინ არ გამოდგება. (პაუზა) მე შენ გეტყვი, ვინმე მოგაკითხავს! ქეიფი იყოს, იცოცხლე!

დედა — კარგი, გეყოფა.

ზაზა — გაიჩითებოდნენ ცალკე შენიანები, ცალკე — მამიდაანი! ცოტანი მაინც იყვნენ! გგონია, არ იციან? მამიდამ თუ იცის მთელ თბილისს ეცოდინება. წნევა არ უშლის ენის ტარტარს და ჭაჭანს...

დედა — მამიდაშენი არ დამანახო აქ, თორემ... ისედაც გიეს ვგავარ... იმის არტისტობალა მაკლია!

ზაზა — წევს. ორასორმოცი — ასოცზე!

დედა — გულისას არა უშავს რა.

ზაზა — ნუ გეშინია, ძალლი კოჭლობით არ მოკვდება.

დედა — ნუ ამბობ ასე, მამიდაა მაინც...

ზაზა — ეს ანდაზა ჩემი გამოგონილი არ არის. მოდი ეხლა შენ წამოწექი, მანანას და ზურაბს დავუძახებ, ჯერ წნევას გაგიზომავთ და მერე აქაურობას მივალაგებთ.

დედა — (ოთახს მოათვალიერებს) ვაიმე, ღმერთო, ეს რა დაგვემართა! (ტირის. ზაზა ეფერება და გაკოცავს საძილე ოთახში, მაგრამ ისევ არეული იქმაურობაც, დედა ტირილს უმატებს. მაშინ ზაზა ღრმა სავარძელში ჩასვამს დედას, პლედს დადაადაფარებს და მეზობლების დასაძახებლად გადის)

(შემოდიან სასწრაფოს ექიმი და ექთანი ექთანს წამლების მოზრდილი ყუთი უჭირავს)

ექიმი — შეიძლება? (არეულობა დააფიქრებს)

ექთანი — არავინ არის?

ექიმი — ეტყობა, სახლს ალაგებდა და... (საწოლ ოთახში შეიხედავს, დაინახავს დედას) შეიძლება?

დედა — (შეშინდება) ოი! (თეთრ ხალათზე მიხვდება, ვინც არიან) **მობრძანდით, მობრძანდით...** ახლა უკეთ ვარ...

ექიმი — (ჩამოუჯდება) **რას უჩივით?**

დედა — **გული წამსვლია და ჩემ შვილს შეეშინდა...**

ექიმი — **ახა, მაჯა ვნახოთ.** (უსინჯავს) **მშვენიერია... ახლა წნევას გაგისინჯავთ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა — არ არის საჭირო, წნევა კარგი მაქვს.

ექიმი — მომეცით ხელი (წნევას უზომავს) მშვენიერია.

დედა — ხომ გითხარით...

ექიმი — სხვა არაფერი გაწუხებთ?

დედა — არა, გმადლობთ (შემოდიან ზაზა, ზურაბი და მანანა).

მანანა — (დედას ეახლება) როგორ ბრძანდებით, დეიდა მაგდო?

დედა — ეჰ, რა ვიცი...

ზაზა — (ექიმს, ექთანს) გამარჯობათ.

ექიმი — გამარჯობათ.

ექთანი — გამარჯობათ.

ზურაბი — (ექიმს, ექთანს) გამარჯობათ.

მანანა — (ექიმს, ექთანს) გამარჯობათ.

ექიმი — თქვენ დარეკეთ, ახალგაზრდებო?

ზაზა — დიახ.

ექიმი — მერე, ერთი წუთი ვერ მოიცადეთ... შესანიშნავი ბაჭა და წნევა აქვს.

ზაზა — თქვენთვის სულ ერთი არ არის, სად აიღებთ თუმანს?!

ექიმი — როგორ გეკადრებათ...

დედა — ზაზა!

ექიმი — ნუ ღელავთ, ქალბატონო, თქვენთვის ახლა ნერვების აშლა არ შეიძლება.

ზაზა — რაკმა?

ექიმი — იმიტომ, რომ ორასორმოცი აქვს ასოცდა.

ზაზა — აკი შესანიშნავი წნევა აქვსო?

ექიმი — აბა, პირში ხომ არ მიგახლიდი?! ჩააწვინეთ ლოგინში და... გაქვთ რაიმე წამალები?

ზაზა — არა, აქამდე წამალი ჩვენს ოჯახში არავის დასჭირებია.

ექიმი — (რეცეპტის ქაღალდს ამოიღებს, წერს) გვარი?

ზაზა — შუბაშიკელი.

დედა — კლიმიაშვილი!

ზაზა — უკაცრავად, უკაცრავად, თავადის ქალია და გლეხის გვარზე არ გადავიდა.

ექიმი — (რეცეპტს აძლევს ზაზას) ახლავე მოუტანეთ და დაალევინეთ.

ზაზა — იშოვება?

ექიმი — ჩვენს აფთიაქებში ყველა წამალი იშოვება! (ზაზა რეცეპტს გამოართმევს და გარბის)

მანანა — (ექიმს, ხმადაბლა) უნდა ეპატიოთ... იცით აქ...

დედა — (ყასიდად) ვაიმე... მიშველეთ, ცუდად ვარ...

ექიმი — აი, ხომ გითხარით! დამშვიდდით, ქალბატონო, ახლავე ნემსს გაგიკეთებთ და დავაგდებთ. (ექთანს) დიბაზოლიანი კოქტეილი გაუკეთე, დიმედროლითი... ხუთგრამიანში (ექთანი ამპულას ამსხვრევს, ნემსს გაამზადებს) დაწექით, ქალბატონო, ახლავე... ვერც კი გიგებთ, ჩხვლეტასაც ვერ იგრძნობთ... (ზურაბი და ექიმი გამოდიან სასტუმრო ოთახში, ექთანი და მანანა დედას ლოგინში ჩააწვენენ ნემსს უკეთებენ).

ზურაბი — მართლა ამხელა წნევა აქვს?

ექიმი — რა გემართებათ, ახალგაზრდებო, ჩვენი არც ერთი სიტყვა არა გჯერათ?

ზურაბი — რა ვიცი... (ფულს აძლევს)

ექიმი — (იღებს) გმადლობთ... ის რამ გადარია? (კარზე უოთებს, საიდანაც ახლახანს ზაზა გავარდა).

ზურაბი — მამა დაუპატიმრეს!

ექიმი — მიზა დაიჭირეს?!

ზურაბი — იცნობდით?

ექიმი — კარგად.... (პაუზა) დასაჭერი რა ჰქონდა?! ბინა რომ გადაცვალა, ფული აიღოო... — ჭორაობდნენ. მეტი არაა ჩემი მტერი! მეოთხე სართულიდან პირველზე გადმოვიდა. ამაში შეიძლება ეოგებოდა ცოტა, მაგრამ გლდანიდან ვაკეში?! იქით უნდა დაემატებინა!! სად გლდანი, სად — ვაკე?! დასამატებელი რა ჰქონდა: სულ გაფუჭეული იყო. სადაც შემხვდებოდა, ფული მასესხეო. ისე, დროზე კი იცოდა ვალის დაბრუნება, პუნქტუალური იყო ამ საქმეში. საათს არ გადააცდენდა. მერე და მერე სამსახურში გაიწია... ბოლოს, ისეთ ადგილზე იყო... რა ვიცი... ყველა იმას ამბობდა, ადგილს აფუძებსო... არა, არა! პატიოსანი იყო! შეცდომაა რაღაც!!

ზურაბი — ამ საქმეში შეცდომა იშვიათია.

ექიმი — შენც მართალი ხარ, მაგრამ... აბა, რა ეტყობათ ამათ? რა აქვთ დასაჭერი? ჩემი პროფესიის გამო, ბინებში ვარ ნამყოფი!! არაფერი არ უნდა ჰკითხო და პირდაპირ უნდა მიუსაჯო (გამოდის ექთანი)

ექთანი — (ექიმს) გაუსინჯავთ?

ექიმი — ახლავე (შედის საძილე ოთახში, დედას წნევას უსინჯავს) მშვენიერია.

დედა — მაშინ იყო მშვენიერი თუ ახლა?

ექიმი — ეს სამოცი ოთხმოცზე... საცაა თქვენი შვილი წამალს მოიტანს და დილით ის დალიეთ. ხშირად იზომეთ წნევა. აპარატი გაქვთ?

დედა — არა.

ზურაბი — ჩვენა გვაქვს, გავუზომავთ.

ექიმი — წამალი ისე არ მიიღოთ, წნევა თუ არ გაიზომეთ.

დედა — გმადლობთ.

ექიმი — პირიქით, ჩვენ გმადლობთ.

დედა — შვილო, ზურაბ, აქ მოდი ერთ წუთას...

ზურაბი — ყველაფერი წესრიგშია, დეიდა მაგდო.

ექიმი — (ყველას) ნახვამდის.

დედა — ნახვამდის.

ექთანი — ნახვამდის.

მანანა — ნახვამდის.

ზურაბი — ნახვამდის (ექიმი და ექთანი გა-

დიან. კარში ზაზა შეეჩეხება)

ზაზა — როგორ არის საქმე?

ეძიმი — ასსამოცი ოთმოცზე.

ზაზა — გმადლობთ (ფულს აძლევს)

ეძიმი — (ლებს) გმადლობთ. ნახვამდის.

ეძთანი — ნახვამდის.

ზაზა — ნახვამდის (ეძიმი და ეძთანი გავლენ) დედა, როგორა ხარ?

დედა — მე რა მიჭირს...

მანანა — (ზაზას) წამალი იშოვნე?

ზაზა — იყო.

ზურაბი — მანანა, წადი, წნევის აპარატი გამოიტანე (მანანა გადის).

ზაზა — დედა, ეგებ დაიძინო.

დედა — რა დამაძინებს?!

ზაზა — (ამპულების ნამსხვრევებზე) მაგათ ისეთი კომპოტი შეუშხაპუნებიათ, უნდა ჩაგეძინოს.

დედა — რა ვიცი... ჩემი ძილი და მოსვენება ადარ იქნება... სანამ ის კაცი არ გამოვა, რა დამაძინებს?! რისი ძილი, რას მეუბნები?!

ზურაბი — ალბათ, მალე გამოუშვებენ.

დედა — ალბათ... დასაჭერი ჩვენ რა გვაქვს... გესმოდა, სად წაიღეთ, რა უყავითო?

ზურაბი — ბესმოდა.

ზაზა — რა სად წაიღეთ, რა უყავითო?

ზურაბი — ვითომ, ფული ან...

ზაზა — ბრილიანტები?

ზურაბი — ჰო.

ზაზა — დეგენერატები!

ზურაბი — როგორ გაჩხრიკეს, რომ გეცქირა, გაგიუდებოდი.

ზაზა — კრეტინები!

ზურაბი — ვინ გაგაფრთხილათ, გადამლვა როდის მოასწარით, გითვალთვალებდითო.

ზაზა — იდიოტები!! (შემოდის მანანა) გმადლობთ, მანანა. მიდი, რა, ერთხელაც გაუზომე. ვნახოთ, იმ რეგვენს თუ სცოდნია ციფრების ცნობა.

მანანა — (მიდის საწოლთან. დედას სძინავს) ჩასძინებია (ჩურჩულით) აქეთ გამოდით. (გამოდიან მეორე ოთახში) ზაზა, რას აპირებ?

ზაზა — არ ვიცი, არაფერი არ ვიცი.

ზარაბი — მაყუთი უნდა ვიშოვნოთ. პირველ ხანებში, ალბათ, ოცი-ოცდაათი ათასი მაინც დაგვჭირდება.

მანანა — მე და ზურაბი მანქანის ფულს რომ ვაგროვებთ ხომ იცი. ხუთი ათასი გვაქვს. ხვალვე გამოვიტან და მოგცემ.

ზაზა — მამიდაჩემსაც ექნება რამე.

ზურაბი — მამიდაშენს რა ექნება?

ზაზა — ექნება. ეგ ისეთი არტისტია. გარეგნულად ვერაფერს შეატყობ.

მანანა — თუ აქვს, მოგიტანს.

ზაზა — მოგიტანს, აბა! უნდა წავგლიჯო. თანაც ხელწერილს მომთხოვს.

ზურაბი — კარგი, ერთი!

ზაზა — ხუთი წელია იცნობ და აზარტული მოხვედი. რა მასტია?

ზურაბი — დეიდაშენი?

ზაზა — მაგათ არაფერი არა აქვთ. არა, არც დამჭირდება. მამიდა მომცემს! ახლა თუ არ მომცა, მერე როგორღა შემომხედავს თვალებში? ერთხელ შემსალაროს წიგნაკი ჩავავლე და დასამარხი ფულიაო.

ზურაბი — ჩვენ ხვალვე მოგიტანთ. ხვალ ხომ მუშაობს შემნახველი სალარო?

ზაზა — გმადლობთ. წადით, ახლა, დაისვენეთ.

მანანა — არ დავალაგოთ?

ზაზა — დავალაგოთ, მანანა, შენი ჭირიმე... სულ დამავიწყდა... როგორ გაწუხებთ... (სამივე მუშაობს, მერე ბიჭები შეჩერდებიან).

ზურაბი — სასწრაფოს ეკითმმა, მიშას ვიცნობდიო

ზაზა — მერე?

ზურაბი — დასაჭერი რა ჰქონდაო.

ზაზა — ყველა ასე იტყვის, ამათ გარდა.

ზურაბი — ოღონდ, უცნაური კაცი კი იყოო. ვიდრე თავისი მეოთხე სართული პირველში არ გადაცვალა, ვერ მოისვენაო.

ზაზა — ასეთი ვარიანტი გამოუჩნდა და რა ექნა?!

ზურაბი — არა, სხვა ვარიანტებიც იყო, მაგრამ პირველს თხოულობდაო.

ზაზა — ხომ არ გაგიყდი, პირველი ვის ევასება?

ზურაბი — ჩვენი მეზობლებიც ამას ამბობენ: ვიდრე პირველი არ ჩაიგდო ხელში, არ გადმოვიდაო. ადრე, თურმე, ბროკიაშვილები რომ ცხოვრობენ მეხუთეზე, ისინი იდგნენ აქ. მამაშენი ზევით აუყვანია და თვითონ აქ შემოსულა. ამბობენ, სადაც მივიდოდა, ჯერ პირველ სართულს და მერე სარდაფს თვალიერებდაო.

ზაზა — უსარდაფო ბინა რა ბინაა! სარდაფში ათასი რამე გვილაგია.

ზურაბი — იქაურობაც აურიეს.

ზაზა — ოხ. მე მაგათ! როგორ დაწკრიალებული ჰქონდა დედას იქაურობა!

ზურაბი — დედას თუ მამას?

ზაზა — ჰო, მიშასაც უყვარდა იქ ჩასვლა, წნელის მოვლა, კომპოტების გადარჩევა... ეხ, მიშა, მიშა... რა გვეშველება, ნეტა ვიცოდე. (ვიდრე ზურაბი და ზაზა ლაპარაკობენ, მანანა ალაგებს, თან სხვადასხვა ნივთებზე ეკითხება ზაზას, ეს სად შევინახო, ეს სად იყო, ეს სად დაუდგამ?).

მანანა — საძილე ოთახს მერე დავალაგებ, დეიდა მაგდო რომ გამოიღვიძებს.

ზაზა — გმადლობთ, მანანა, შენი ჭირიმე... თუ კარგად იქნება, ადარ შეგაწუხებთ.

მანანა — არა გრცხვენია, რას მეუბნები?

ზურაბი — რას ბოდიშობ, რა დაგემართა?!

ზაზა — ამაზე მეტი რაღა უნდა დამემარ-თოს: შიმშილით ვკვდებით, გამოხეულები დავ-დივართ და გაფლანგვა და ქრთამია.

ზურაბი — აბა, კაცო, აბა, კაცო!

მანანა — ზურაბ, გავიდეთ, ზაზამაც მოისვენოს.

ზურაბი — რა მოგასვენებს, ჩემო ზაზა, მაგრამ იმდენი გაქვს სარბენი და სანერვიულო, თავს უნდა მოუარო.

ზაზა — არ ვიცი, პირდაპირ... თუ კაცი ვარ, გადაგიხდით სამაგიეროს... ღმერთმა ყველას მისცეს თქვენისთანა მეზობლები. კარგი ცოლ-ქმარი რომ იყავით, ვიცოდი, მაგრამ ასეთი ახალგაზრდები ამ ჭირში ასე თუ ამომიდგებოდით მხარში, არ მეგონა.

ზურაბი — ესე იგი, მაყუთზე: ხვალ დილით ხუთი ათასი აქ გექნება... აი, დანარჩენზე კი უნდა ვიფიქროთ.

ზაზა — უკაცრავად, დიდი ბოდიში, დაგღალეთ... მანანა, შენი ჭირიმე, მაპატიე. ფულზე კი თქვენ ნუ დარდობთ. იმდენი უნდა ვიშოვნო, რომ გამოვთრიოო, არა? გამიძღვლდება იმ დირექტორთან გაკაჩვა, მაგრამ უნდა ვცადო... ცდა ბედის მონახევრეა.

ზურაბი — დაისვენე ახლა და ხვალ დილით შეუდექი მაგ საქმეს.

ზაზა — რა დამასვენებს... გმადლობთ, გმადლობთ... ბოდიში, რა...

მანანა — ეგეც, წამოწვე?

ზურაბი — წამოწექი, და...

ზაზა — რაღაცას მოვახერხებ... წადით, რა, უკვე ორი დაიწყო!

მანანა — მართლა?

ზურაბი — ჰო, ორი დაიწყო, რა მოხდა, ასე რომ შეიცხადე?! ჯერ არ დაწოლილხარ ორზე? (მაუზა) წავედით, ზაზა (მანანა და ზურაბი გაელენ).

ზაზა — კარგად...

ზურაბი — (შემობრუნდება) დირექტორმა არ უნდა მოგასწროს მაყუთის მიტანა, თორემ იმას გამოუშვებენ და მიშას ჩატოვებენ. ხომ იცი, ვინც პირველი მიიტანს, იმას მიემხრობიან.

ზაზა — გასაგებია.

ზურაბი — დარეკე, სადაც დასარეკი გაქვს და ფული გეგულება... თუ გასესხებენ... ვიდრე მიშას ამბავს გიგებენ, მანამ უნდა გამოარ-თვა, თორემ მერე... აღარ მოგცემენ...

ზაზა — მოვახერხებ რაღაცას. გმადლობთ, ზურაბ... წადი, ცოდო, გოგო გელოდება.

ზურაბი — აბა, შენ იცი! ვისაც ესესხები, მიშას ამბავს ნუ ეტყვი... (გადის)

ზაზა — გმადლობთ... (ტელეფონის ყურმილს დასწვდა და რეკავს).

ჩაბნელება

ზაზა და მამიდა

ზაზა — ეს რა არის, მამიდა? ხუთი ათასი ვის ეყოფა?

მამიდა — დასამარხი ფულია.

ზაზა — ხომ არ გეკითხები, რისთვის გინდა-მეთქი. რა მნიშვნელობა აქვს რატომ აგროვებდი. ახლა მკვდარზე მეტად შენ ძმას სჭირდება ფული. არ გესმის, რა მოხდა? ჩვენ უკვე გავეყოთ, რაც გასაყიდი გვქონდა. ხუთი ათასი ამ ჩვენმა მეზობლებმა გვასესხეს. მანქანას ელოდებიან, იციან, რომ, შესაძლოა, ვერ ჩავასესხოთ დროზე, შეიძლება მანქანა დაკარგონ, მაგრამ არც დაფიქრებულან და მომიტანეს. შენ კი რას შვრები, მამიდა?!

მამიდა — მამიდა, რამდენი ხანია გატყობ, რაღაც დიდ ფულს მაგულებ... საიდან უნდა მქონდეს, ზაზული? ჭირიან შალვას ცოლს ესეც რომ მაქვს, არ გიკვირს?

ზაზა — მამაჩემმა მოასწრო საქმეში გასვლა?

მამიდა — ბიჭო, ვიღაც უცხო რომ გვიგდებდეს ყურს, რამე ეგონება!

ზაზა — მოასწრო მამაჩემმა საქმეში გასვლა?

მამიდა — გაჩუმდი, ბიჭო!

ზაზა — მოასწრო თუ არა?

მამიდა — ეხლა გვჭირდება ყველას ჭკუა და ორივეს, შენც და დედაშენსაც, ეხლა მოგინდათ ადგრენა? გადამრევს ეს ხალხი!

ზაზა — აბა, რაზე ჩურჩულებდით? მე ან დედაჩემი რომ შემოვიდოდით, რატომ გაჩუმდებოდით ხოლმე? რა გქონდათ ამდენი საიდუმლო?

მამიდა — არ არის მაგის დრო ახლა!

ზაზა — იმიტომ, რომ რაღაცას მიმალავ.

მამიდა — არა, მამიდა, არაფერს არ გიმალავ. რაღა აზრი აქვს? დედაშენზე მეუბნებოდა....

ზაზა — კვირაში ორჯერ ან სამჯერ დედაჩემზე გეჭორავებოდა?

მამიდა — გულის მოსაოხებელს რა გამოუ-ლევდა იმ საწყალს... შემჭამო, (შემოდის დედა, კართან შეჩერდება, ყურს უგდებს) სულ მოიტა, მოიტა, მოიტაო... ახალგაზრდა იყო და კისლოვოდსკს და მერე გაგრას არ იკლებდა...

ზაზა — (აწყვეტინებს) კისლოვოდსკში შენც კარგად იცი, რატომ დადიოდა და გაგრაში კი მე დავყოვდი!

მამიდა — მერე ფული არ უნდოდა ორ-ორ კურორტს? თანაც ასე ძვირს! მერე ჩაცმაზე გადაიხარა. ისევ მოიტა, მოიტა, მოიტაო...

ზაზა — მამიდა, რა მოგივიდა, გაგიჟდი? რა ტანსაცმელს აგულებ დედაჩემს?

მამიდა — ახლა ყველაფერი გაუცვდა! შენ პატარა იყავი, არ გემახსოვრება. შენზედაც მეუბნებოდა: სულ ფულს მთხოვსო...

ზაზა — სამ მანეთსო? მეტი არასდროს მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხოვია... იმასაც სკოლაში ან ინსტიტუტში გვთხოვდნენ ხოლმე...

მამიდა — დედაშენს რომ ბრილიანტის საყურე ჰკიდია...

ზაზა — (აწყვეტინებს) კიდევ კარგი ეგ ერთი საქორწინო საჩუქარი უყიდეთ მოელმა ნათესაობამ... ეგ რომ არ გვქონოდა, აბა, ამ შენი ხუთი ათასის იმედით უნდა ვუოფილიყავით? მანანას ათხოვა დედაჩემმა და შეგვრჩა...

მამიდა — როგორ, გაყიდეთ უკვე? რატომ არ მითხარით, მილიონერი მეზობელი მყავს ერთი, იმას უნდოდა, რამდენად გაყიდეთ?

ზაზა — როგორც საკმისიოში შეაფასეს.

მამიდა — იქვე დატოვეთ?

ზაზა, — აბა, რა უნდა გვექნა?

მამიდა — აი, ასეთი სულელი იყო დედაშენი ყოველთვის... მთელი ქონება და მთელი დანაზოგი ასე გაუფლანგა მამაშენს. ახლა ამ გაძვალტყავებულ ოთახებს რომ ვუყურებ, კი არ მიკვირს, ეს ადრე უნდა დამართნოდა მამაშენს, ასეთი მეოჯახის ხელში...

დედა — კარგი, ცუცა, გეყოფა, ცოდოა ეგ ბიჭი, ისედაც ლამის გაგიჟდეს!

მამიდა — ახლა გამოხვედი კარგი დედა? ჩემი ძმა დაღუპეთ და ახლა დაადექით პატიოსან გზას?

ზაზა — მამიდა!

მამიდა — რა მამიდა! რა მამიდა! რომ მომიგდებდა, შენს თავს და დაშტრიკინობდა კვიროობით და თვეობით — მოსკოვიო, ლენინგრადიო, საზღვაგარეთიო... ახლა ამოგიჯდათ ყველას გული? ახლა გამიპატიოსნდით?

დედა — შენ ვინ რას მოგიგდებდა, შინ ვერასოდეს ვერ დაგიჭერს კაცი! შენ სახლში შალვა არის ცოლიც და ქმარიც, დიასახლისიც და მოსამსახურეც, ქალიც და კაციც.

მამიდა — შენ ყოველთვის გშურდა, შალვას ასე რომ ვუყვარდი და ხელის გულზე მატარებდა. გშურდა, გშურდა! მიშოც გინდოდა გამოიმასგეკნა, მაგრამ არ გამოგივიდა და მთელ ჯავრს ამ ბავშვზე იყრიდი. იმიტომაც არის, გიფს რომ გავს!

ზაზა — გაჩუმდით!

მამიდა — დაგავიწყდა, კაი ნაჭრებს შენთვის რომ გადაიღებდი და ამ ბალღს ჭვლებს მიუგდებდი, გამოხრის, კბილები გაუმაგრდებაო. ხიჩილალა რომ გქონდა შავ ქალში შენახული და ეს რომ სკოლაში წავიდოდა, მერე ჭამდი...

დედა — ცუცა, რაებს ამბობ, ცუცა, რას იგონებ?! მიშომ ხიჩილალა ერთხელ მოგვიტანა, ზაზამ პასპორტი რომ აიღო.... და პირველად და უკანასკნელადაც მაშინ დათვრა.

მამიდა — და შენც დრო იხელთე და გრიშას გაუარშეყდი!

ზაზა — (ხმამაღლა) მამიდა!

დედა — ზაზა, უთხარი, წავიდეს, თორემ ისედაც ნერვები მაქვს მოშლილი და ჩემი ბაბა ქცეული არავის გაგიკვირდეთ...

მამიდა — შენი ბიოგრაფიის პატრონმა, რიღათი უნდა გაგაჯავრვრო?

დედა — გაეთრია ჰაედან?!

ზაზა — (ხმამაღლა) გაჩუმდით! დედა! მამიდა! გაჩუმდით! დაგავიწყდათ, რაზე ვლაპარაკობდით? შენი ძმა და შენი ქმარი ციხეშია! ყველაზე ძალიან ახლა მამას უჭირს... ამ რძალმულის საქმეს მერეც დავუბრუნდებით, ჯერ იმ კაცს ვუშველოთ! (მამიდას) შენ რომ შემსალაროს წიგნაკი ჩაგავლე, ხომ გახსოვს? თხუთმეტი ათასი იყო, მოვასწორო. შიგ ჩახედავ... მიპასუხე, ხუთი რად მოგვიტანე? მეტი არ გემეტება? ან ის თხუთმეტი როგორ შეაგროვე? მამიდა, უკანასკნელად გეკითხები: მამაჩემი გაძლევდა რამეს?

მამიდა — კაპიკი რა არის, კაპიკი არ ვიცი მამაშენისაგან! შენს მეტი ვინა მყავს, მამიდა, შენს თავს ვფიცავ...

დედა — ამას ნუ იფიცავ! არტისტი!

ზაზა — დედა, გაჩუმდი!

მამიდა — არტისტები თქვენს გვარში მოიკითხე!

ზაზა — მამიდა, გაჩუმდი!

დედა — ჩვენს გვარს რომ ახსენებ, პირში ვარდის წყალი გამოიღვლე!

ზაზა — (ყვირის) გაჩუმდით, თქვენი... (სკამს წამოაგდებს ხელს. გაისუსტებიან) გაჩუმდით, და ყური დამიგდეთ: ვინც საქმის გარდა სხვა რამეზე ხმას ამოიღებს...

მამიდა — კარგი, მამიდა, გენაცვალე... დამშვიდდი... ასე არ შეიძლება.

დედა — (ატირდება) ისედაც აღარ მინდა სიცოცხლე და მომკალით, ბარემ...

მამიდა — კარგი, მაგდო, ხომ იცი, შენ ტირილს რომ ვერ იტანს ბავშვი?!

ზაზა — (მამიდას) ნანა თუ არ გაძლევდა, საიდან მოაგროვე ის თხუთმეტი?

მამიდა — სამოცი წლის ქალი ვარ და ჩემი თხუთმეტი გიკვირს?

დედა — სამოცდაორის...

მამიდა — ა, უყურე ამას?!

ზაზა — დედა, გაჩუმდი! (მამიდას) არაფერს არ იკლებდით, შენ და იმ შენმა ცვედანმა ქმარმა თავისათვის პატივი როგორ გეცათ, სულ ამის ფიქრში გაატარეთ ცხოვრება და თანაც ამდენი დაგროვეთ? (პაუზა) შალვას ასოცდათვრამეტი მანეთით და შენი პენსიით? (პაუზა) მოკიდე ეხლა ამ ხუთსაც ხელი და აღარ დამენახო!

მამიდა — ორი ათასი მაქვს კიდევ... კუბოს ფული...

დედა — ფუ!!

ზაზა — არ მინდა! შენი კაპიკი არ მინდა! რამეს მოვაბერეხებ!

დედა — რაღას მოვაბერეხებთ, ყველამ გაიგო მამაშენის ამბავი და თუმანსაც არავინ გვაძლევს!

მამიდა — (ჩანთიდან ფულის შეკვრას ამოიღებს) დიდი დღე ალარ მიწერია, ამ ჩემი მიშოს ამბის შემდეგ და დაუმარხავს ნუ დამტოვებ... შალვას იმედით ჩემი მტერი იყოს.

დედა — გამოართვი. ხომ გაგიგონია: ყვავს კაკალი გააგდებინეო...

მამიდა — ყვავიცა ხარ და...

ზაზა — გადით აქედან! გადით აქედან ორივე! გადით თქვენონ!! (შეშინებული ქალები ოთახიდან გაცვივდებიან. ზარი. დედა კარს აღებს. შემოდის ზურაბი) მოდი, ზურაბ, მოდი, თორემ გამგიფუჭეს ამ ქალებმა. (დედას) დაგვტოვე... თუ შეიძლება... (დედა გადის) ხომ გეუბნებოდი, შვიდის მეტი არ მოიტანა...

ზურაბი — ვიცი, შემხვდა აქ რომ მოდიოდა.

ზაზა. — არ მინდა, არ ავიღებ. პროცენტით ვესესხები ისაა... რა ჭკვიან?

ზურაბი — შოშია.

ზაზა — შოშიას ვესესხები და მაგას არ გამოვართმევ.

ზურაბი — შოშიასგან მოვდივარ: არ გვაძლევს.

ზაზა — რატომ?

ზურაბი — გაუგია.

ზაზა — აბა, რა ვქნათ?

ზურაბი — დაიტოვე ეგ ფული.

ზაზა — სხვა რა გზა მაქვს. ესე იგი, თქვენი ხუთი, დედაჩემის შვიდი და მამიდაჩემის შვიდი... სულ ეს არის.

ზურაბი — კიდევ ექვსი გვინდა!

ზაზა — რამდენი?

ზურაბი — ექვსი! ოცდახუთს კაპიკი არ დააკლდებაო. თბუთმეტსაც მერე მოიტანთ, როცა გამოვაო.

ზაზა — (სიხარულით) ესე იგი, აიღო?

ზურაბი — (გაღიმებული), აიღო! არა, ჯერ დამიწყო: თქვენ თუ შუამავალი გნებავთ, მე არ გამოგადგებითო. მე იურისტი ვარ და ჩემს ცოდნასა და გამოცდილებას არ დავიშურებო. მერე კი...

ზაზა — (გადაეხვევა) შენ გაგახარა ღმერთმა! აი, კაცი! ნამდვილი ვაჟკაცი ყოფილა!

ზურაბი — ზაზა, ძალიან მეუხერხულება, მაგრამ მაინც უნდა გკითხო, ეხლა ცერემონიების დრო ალარა გვაქვს: სარდაფი კარგად დაჩითე?

ზაზა — ორი ღამეა არ მიძინია, სულ იქა ვარ.

ზურაბი — აბა, რატომ აწვებოდა მამაშენი ამ სარდაფს? რა უნდოდა, ხალხი რომ აალაპარაკა, სარდაფს საერთო შესასვლელიდან კარი ამოუშენა და ბინიდან დაუტანა ჩასასვლელი კიბეო. ეტყობა, რამე აქვსო. ეგეც, ამ ექვის ნიადაგზეც გაგჩხრიკეს...

ზაზა — არ იყო მამაჩემი მაგის კაცი... ეგეც არ იყოს, ისე გახშირდა პირველი სართულიდან სარდაფში ჩასვლა, მამაჩემისა რატომ გაუკვირდებოდათ, მაინცდამაინც?

ზურაბი — მაშ, ვერაფერი იპოვნე?

ზაზა — ვერა.

ზურაბი — სულ ვერაფერი? არც წერილი? არც გეგმა?

ზაზა — ზურაბ, არა გრცხვენია, ძმასავით გენდობი და ამას დაგიმალავდი?!

ზურაბი — შეიძლება, მე ჩავიდე? მაინც უცხო თვალი ვარ, რაც არ უნდა იყოს!

ზაზა — ჩადი, ჩადი. ყველაფერი ძირს ალაგია. კედლები გავაკაკვინებულია. კედლებს რომ მორჩები, აალაგე ისევ თაროებზე, რაც ძირს აწყვია და იატაკი დაჩიჩმე. მე გავალ, მამიდას მივაწვები, ეგეც ექვსიც მოვატანინო და ჩამოვალ.

ზურაბი — კარგი.

ზაზა — აი, ამ ღილაკს დააჭირე და აინთება. გუშინწინა ორასსანთლიანები დავაყენე. გაბრდღვიალებულია იკაურობა (ზარი).

ზურაბი — სანამ არ ჩავალ, ნუ გააღებ (ღილაკს დააჭერს, ჩარბის, რომ არავინ შემოუსწროს)

ზაზა — (კარს აღებს) შემოდი, შემოდი, მანანა! (შემოდის მანანა).

მანანა — ზურა აქ არის?

ზაზა — ჰო, სარდაფშია.

მანანა — მაინც არა სჯერა?

ზაზა — არავის არა სჯერა.

მანანა — აი, გამომართვი (ჩანთას გახსნის).

ზაზა — რა არის?

მანანა — (შეკვრას აძლევს) ექვსია!

ზაზა — მანანა, შენი ჭირიმე! (ართმევს) საიდან? როგორ იშოვნე?

მანანა — პროცენტით... შოშიამ მომცა.

ზაზა — ზურაბმა, უარი მითხრაო და...

მანანა — მე ვერ მითხრა უარი.

ზაზა — რა განსხვავებაა?

მანანა — არის ცოტა განსხვავება... მაგალითად, სქესში.

ზაზა — შოშიას ქალები უყვარს? არ გადამრიო! ეგ პროცენტებისთვის სულს გაყიდის. ეტყობა, ზურაბს უარი რომ უთხრა, მერე დაფიქრდა.

მანანა — შოშიას მოვწონვარ. სულ მეხუმრება. ქუჩაში მანქანა არ გამიჩეროს არ არსებობს. ეტყობა, გრძელცხვირიანი ქალები ეყვარება, მე რომ ერთი ხუთასი მანეთი მომცა და ამ ცხვირის ოპერაცია გამაკეთებინა, მერე ნახე შენ შოშიას გადარევა. მაგრამ... ვითომ შვიდი მმართებს.

ზაზა — რატომ შვიდი?

მანანა — ერთი წლის თავზე პროცენტის ჯამი თოძმის ათასი მანეთია. ვალის ვადაც ერთი წელია.

ზაზა — დროზე რომ ვერ დავუბრუნოთ?

მანანა — მიჩივლებს და წაიღებს.

ზაზა — ადრე რომ მივუტანოთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანანა — ზუსტად გვიანგარიშებს: თვეში ათი პროცენტი! მე დამითმო ასე, თორემ თხუთმეტი უნდა.

ზაზა — გმადლობთ, მანან, შენი ჭირიმე... აი, მართლა როგორ გადადგიხდით სამაგიროს. აზარზე არა ვარ.

მანანა — შეიძლება, მეც ჩავიდე სარდაფში?

ზაზა — ჩადი, რას მეკითხები. (მანანა სარდაფში ჩადის) დედა! დედა! (გამოდის დედა) ყველაფერი რიგზეა: იმანაც თქვა, ავიღებო და ფულიც ვიშოვნეთ. ოცდახუთი!

დედა — რამდენი?

ზაზა — ოცდახუთი ითხოვა. ეს ახლა. მერე კიდევ თხუთმეტი უნდა.

დედა — რას მეუბნები?!

ზაზა — მუხლები არ მოგეკვეთოს, დაჯექი. ახლა ასეთი ქრთამებია! შენი დამპალი მული სადღაა? რატომ არ გამოგაყვა კუდში?

დედა — შალვამ დარეკა: მიშო ყოფილა ცუდად და იზოლატორში გადაუყვანიათ. ცუცა გაიქცა, ეგებ რამე მივაწოდოო. (ტირის) რა ეშველება იმ კაცს... ეს რომ გიიგოს, მისმა შვილმა ვიღაცას ოცდახუთი მისცა, თანაც ქრთამად, გული გაუსკდება.

ზაზა — გული ადრე უნდა გასკდომოდა. ეხლა არაფერი დაემართება, კაუივით იქნება, აი, ნახავ.

დედა — ღმერთმა გისმინოს, შვილო. ფული სად იშოვნე?

ზაზა — ზურაბი და მანჯა გვიცოცხლოს ღმერთმა.

დედა — ხედავ, რა ყოფილან ეს დალოცვილები?! მე კი საყურისა და სამაჯურის თხოვება არ მინდოდა. ამ გრძელცხვირას რა სამკაული უნდა მეთქი!

ზაზა — არ ითხოვებდი და მოხვდებოდა საკონფისკაციო ნივთების სიაში და მერე გენახა ჩვენი საცოდაობა.

დედა — აბა, აბა, ბედია ყველაფერი (სარდაფიდან ზურაბისა და მანანას ამოსვლას არ ელოდა და შეჭიელა) ოი!

ზაზა — რა მოგივიდა? რა დაგემართა? რატომ იცი ასე გულის გახეთქვა?

დედა — რა ვიცი ყველაფრისა მეშინია!

მანანა — უკაცრავად, დედა მაგდო, შეგაშინეთ.

ზურაბი — (ზაზას) ვარიანტი არ არის, სარდაფში რამე იყოს! სხვაგან უნდა ვეძებოთ.

ზაზა — კარგი, რა, ზურაბ, რა დაგემართა ასეთი ურწმუნო?!

ზურაბი — სხვაგან უნდა ვეძებოთ! (საათზე დაიხედავს) ბიჭო, ბიჭო, უკვე დროა! მანან, გადი ერთი, ჩემი დიპლომატი გამომიტანე! ჩაეტევა? (მანანა გაიქცა)

ზაზა — ჩაეტევა, ჩაეტევა... ნახე, შოშიას სულ ასმანეთიანები მიუცია.

ზურაბი — მითხრა მანანამ.

ზაზა — დავთვალოთ?

ზურაბი — მხოლოდ მამიდაშენის ბრაბანდელი. (სამიე ფულს ითვლის. მანანას შემოაქვს დიპლომატი. ზურაბი ფულის ნაწილს გაუწვდის) აჰა, მოგვეხმარე (ოთხიე ფულს ითვლის დიდი პაუზა).

დედა — აქ ათასსამასი მანეთია.

ზაზა — ორიათას სამოცდათხუთმეტი.

ზურაბი — ორიათას ას ორმოცდაათი. (მანანას) მანდ ათასოთხას სამოცდათხუთმეტი უნდა იყოს.

მანანა — ეგრეა.

ზურაბი — გაახვიეთ (გაახვევენ, დიპლომატში აწყობენ) აბა, წავედი.

ზაზა — ღმერთმა ხელი მოგიმართოს. (მანანა და ზურაბი გავლენ. დედას მოუბრუნდება. მაგდო სავარძელში ჩამჯდარა და ტირის. ზაზა დედას შესცქერის, ნელა მიგა, მიეფერება. დედას გული ამოუჯდება და უფრო საცოდავად ატირდება) კარგი, კარგი, გეყოფა... რას იზამ! არ დაგვმართნოდა, კარგი იყო... ახლა აღარაფერი ეშველება... ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, სანანებელი არ უნდა დაგვრჩეს. ხედავ, რას იზამ... ახლა მაინც ისწავლის ბკუას. რა ეღირსა?! ჩვენი გამოსათრევი გახდა... უმაღლესი შენ და შენმა მშობლებმა დაამთავრებინეთ, სამსახურშიც თქვენ მოაწყვეთ... ციხიდან მე გამომყავს... მამაც ასეთი უნდა! ვენაცვალე მაგათ მარჯვენაში! კარგი, რა დედა, ხომ იცი, ვერ ვიტან შენ ცრემლებს...

დედა — ამ ცარიელ ბინას რომ დაინახავს... (ისევ ატირდა).

ზაზა — ნუ გეშინია, დედა, აქ არა ვარ! ვიყიდი ნელ-ნელა ავეჯს.

დედა — ამ ვალებს რა გაისტუმრებს!

ზაზა — რომ გამოვა, მოგვეხმარება.

დედა — როდის გამოვა?

ზაზა — საქმის გამოძიება როგორც კი დამთავრდებაო.

დედა — მერე, როდის დამთავრდება?

ზაზა — ერთი წელი ან წელიწადნახევარი დასჭირდება... ალბათ.

დედა — ამდენი?

ზაზა — ჰო, ასეთ საქმეებს ამდენი სჭირდება.

დედა — საწყალი მიშო!

ზაზა — საწყალი კი არა...

დედა — არ არის, შვილო, მაგის კაცი, ხომ იცი.

ზაზა — არ ვიცი, დედა, აღარაფერი აღარ ვიცი, ძალიან დავიბენი. ქვეყანა ლაბარაკობს... მეც რამდენჯერმე სხვადასხვანაირად გამაგებინეს... მაგარ საქმეებში გადიოდაო. აი, ხომ ხედავ, ჩვენ ზურაბსაც არ სჯერა. მთელი სარდაფი გადააქოთა, სამჯერ!

დედა — რაც ამ ახალ სამსახურში ჩადგა, ხელფასისა და პრემიის მეტი არ მინახავს. რა

მოგვიდა, არც შენ გჯერა? ხალხი რას არ იტყვის!

ზაზა — მე კი მჯერა, დედაჩემო, მაგრამ... ესენი ასე პირდაპირ კი არ იტერენ: ჯერ შეაჯანჯღარებენ, თუ გადმოცვივდა რაღაც, ბოლომდე მოაცარინებენ, უკანასკნელი ლუკმის საყიდელ ფულსაც დაადებინებენ და საქმეს შეაჩერებენ. თუ არა და ეი, ასე უყრავენ თავს ციხეში. მაგალ საკუთარი ჯიბის გასქელებაა ურჩევნიათ, კაცის ციხეში ამოლპობას. ტატუობა, ვერც იმ დირექტორს დაადებინებს კაკალი. ის მაგარი კაცია, ზურგიც მაგარი აქვს. მაგისგან ზევით მიდისო... და იმდენი, რომ ახლა, ალბათ, უცდის, ისინი რომ დაეხმარონ. ისინი, როგორც ჩანს, ყურსაც არ იბერტყავენ. არც გაიბერტყავენ. აი, აქ დავასწარი და სწორედ ამ დროს ჩავუშვი მაუთი. სწორედაც მოვქცეულვარ: რადგან ჩემსას იღებენ, ესე იგი, იქიდან არ ჩანს. ამან უნდა გაგვიმართლოს... სხვაგვარად ვერ დავიხსნით. შენ გგონია, ეს ყველაფერი მე მოვიფიქრე? არა, ჩემო ბატონო... ჩვენმა ზურაბმა მასწავლა! ამდენი რა იცის ან საიდან ამ პატარა ბიჭმა?! რა საქმეებში ეგ ყოფილა გაბეული?!

დედა — ზურიკომ?

ზაზა — დიახ, ზურაბმა და მანანამ გამომიანგარიშეს ყველაფერი.

დედა — კარგი, ერთი!

ზაზა — ჰო, დედა, ასეა ყველაფერი... (ზარი)

დედა — მამიდაშენი იქნება, გაუღე (ზაზა კარს აღებს, შემოდის მანანა)

მანანა — ზურიმ დარეკა, დიპლომატი შეიტანეს, ნოზაძეს კიდევ სამი კაცი მყავს და როცა მოილაპარაკეს, მაშინვე წამოვალ, ვუცდი, ნუ შეგეშინდებათო:

ზაზა — დიპლომატი შეიტანეს? ყოჩაღ, ზურაბ!

დედა — მე ახლა ცუცა რომ აგვიანებს, ის უფრო მაფიქრებს. სად არის ამდენ ხანს? დაერეკა მაინც, ეთქვა, როგორ არის ის უბედური იმ იზოლატორში...

მანანა — როგორ იქნება... ეგებ, სულაც მოიმიზეზა რამე. მაგალ იზოლატორში შედარებით ნორმალური პირობებია და...

დედა — ამდენი ეშმაკობა სადა აქვს...

ზაზა — ასწავლიდა ვინმე

დედა — რა ვიცი, მე კი გავთავდი ქალი.

მანანა — ნუ სწუხართო, დეიდა მაგდო, ყველაფერი კარგად დამთავრდება. რაც მთავარია, ნოზაძემ ფული აიღო. ნოზაძე ის კაცი არ არის, კლიენტურა დაიფრთხოს ნოზაძე გაიკეთებს ან არ დაგპირდება (ზარი).

დედა — ზაზა, გაადე კარი, მამიდაშენი იქნება (მანანა კარს აღებს, შემოდის გაფიფრებული ცუცა) **ცუცა, რა ამბავია? რა ამბავია, ცუცა, ჩემს თავს? ცუცა!** (ცუცა ჩუმად არის, გახევებული, კრინტის დაძვრაც არ შეუძლია) **ვაიმე, მიშველეთ! მიშო, მიშო როგორ არის? ცუცა!!**

ცუცა — (ძლივსგასაგონად) **აღარა გვაქვს მიშო... ინ-ფარქ-ტი...**

დედა — **მიშო!!**

ზაზა — **მამა!**

ცუცა — (უცებ) ვაი! ვაი! ვაი! **იმას ამოუწყდეს ოჯახი, ვინც ასე ტუუილბრალოდ ამამაგდო და დამაქცია! იმან არ გაიხაროს, ვინც ერთადერთი ძმა დამისაბარა! ის ამოწყდეს დედაბუდანად და მისი ოჯახი ამოიბუგოს! ის გამწარდეს ისე, როგორც მე გამამწარა! იმას გაუსკდეს გული, როგორც ჩემს უბედურ ძმას გაუხეთქა გული!**

დედა — **მიშველეთ...** (გული მისდის)

ზაზა — **დედა!** (მანანა მივარდება მაგდოს, ასულიერებს, წყალს ასმევს. ზაზა ტელეფონს ეცა) **ალო, ხასწრაფოა?** (თავიდან კრებს ნომერს) **ალო, ალო, ხასწრაფოა?** (ისევ თავიდან კრებს ნომერს), **ალო, ალო, ალო!**

მანანა — **არ გინდა, ზაზა, მოსულიერდა... როგორა ხართ, დეიდა მაგდო?** (დედა ტირის, ზაზა გაოგნებული დგას, ხელები ჩამოუყრია) **ზაზა! ზაზა, გესმის? დედას მიხედე, მე ნოზაძესთან გავიქცევი, ეგებ მივუსწრო ზურას და დიპლომატი უკან წამოვიღოო. ვიცი, ნოზაძე სადაც იღებს კლიენტურას** (ზაზა უაზროდ უყურებს) **გესმის? ზაზა, გონს მოდი, რა დაგემართა? მე აუცილებლად უნდა მივუსწრო ნოზაძეს იმ ბინაში, თორემ თუ დაინაწილეს, მერე გავვიძნელდება უკან დაბრუნება.., ან სულაც დავკარგავთ, გესმის, ზაზა, გონს მოდი... დედას მიხედე... წადი!**

ზაზა — (ერთხანს კიდევ ჩუმად არის, ისმენს დედისა და მამიდის ხმამაღალ მოთქმას. მერე უცებ გადაირევა: წამოავლებს სკამს ხელს და ურტყამს, რაც კი რამ არის ოთახში — ავეჯი იქნება, ფანჯარა, კარი თუ სხვა რამ) **ოხ, მე თქვენი! ეს საქმეა! ინფარქტი!! სად არის სამართალი? ეს არის თქვენი სამართალი? ეს არის თქვენი ბრძოლა? გული გაუხეთქეს!! ეს არის თქვენი სინდისი? ეს არის თქვენი კაცობა? ჯალათები ხართ, ჯალათები! თქვენი...**

მანანა — (ცუცას და მაგდოს) **გავიდეთ, ცოტა ხანს ჩემთან იყავით. მე უნდა გავიქცე, ესეც დაწუნარდება** (ზაზას საქციელით შეშინებული ქალები მორჩილად მიყვებიან. ზაზას) **ზაზა, დაწყნარდი, რა დაგემართა, ცოდოა დედაშენი... ამით მამას რაღას უშველი?! ზაზა, დამშვიდდი... კარგი, კარგი...**

ზაზა — **რა რწმენა, რის რწმენა! გაეთრიეთ! დაგბოცავთ! თავსაც არ ვიცოცხლებ! მე ხომ მჯეროდა... ხომ მჯეროდა! აღარ მინდა... აღარაფერი არ მინდა!** (მანანას ქალები გაპყავს) **წადით, თქვენი...** (ლეწავს) **მართალი სამართალი, არა! ყველაზე სამართლიანი პრინციპები, არა?!** (ლეწავს) **ყველაფერი ადამიანისთვის, არა!** (ლეწავს. სკამის ნატეხი ჭიღლ წამოეღება,

ზაზა მოქაჩავს, ჭაღი ირყევა. ისევ მოქაჩავს გააფთრებული. სინათლე ქრება და იმ ადგილიდან, სადაც ჭაღი იყო მიმაგრებული, მოდის ოქროს ფეღების, ძვირფასი თვლებისა და დასტებად შეკრული ასიგნაციების წვიმა! ზაზა შეშდება. პირდაღებული შეჰყურებს ზღაპრულ წვიმას, თავზე რომ აწვიმს. მერე რატომღაც ფეხაკრეფით მიდის სადარბაზო კარისაკენ, ჩაკეტავს, უკან დაბრუნდება და იატაკზე ჩამოყრილ სიმდიდრეს დასცქერის.

ფარდა

მეორე მოქმედება

იგივე ოთახი მორთულია მდიდრულად და გემოვნებით. ფანჯრებზე რკინის გისოსები და რკინის კარი უამრავი საკეტებით.

დედა — როგორ მწყინს, მამაშენს გარდაცვალების ხუთი წლისთავს რომ ვერ გადავუხდი!

ზაზა — (ვასუქებული, ღიპი დადებია) თორემ აქამდე სულ შენს კისერზე გადადიოდა, არა, ყველფერი? ნეტა, ხელი როდის გაგინძრევია?

დედა — რაღა ახლა გამოტყვრა ის ოხერი საგზური?!

ზაზა — ეხლა არ გადამრიო! შემჭამე, სანამ გიშოვნე, ყველფერი გავფფორმე და... მართლა, იმ განყოფილებაში რაღაც ჭოჭმანი დაიწყეს. იქ როცა ხარ, რამეს ხომ არ ჩალიჩობ?

დედა — ნუ იცი ხოლმე სისულელეების წამორაშვა! რა უნდა ვიჩალიჩო? ალბათ, ყოველ წელს რომ დავდივარ, იმაზე არიან აღრენილები.

ზაზა — შენი ბრალი ხომ არ არის: რასაც ექიმები გირჩევენ, იმას აკეთებ. მაინც, ყველაზე კარგად კარლოვი-ვარიდან ჩამოხვედი.

დედა — ეგ პირველი წელი იყო და იმიტომ. არ მომიხდა, დავისვენე — კი... ბადენ-ბადენში უფრო მიშველეს.

ზაზა — აკოპულკოში ალერგია დაგემართა, არა?

დედა — აჰ, აკოპულკოს ნუ გამახსენებ!

ზაზა — ა, ბატონო, საფრანგეთის ალპებშია ეს კურორტი და მთელი მსოფლიოს „სვეტი" მანდ ჩამოდის სამკურნალოდ, ისეთი წყლებია.

დედა — ვნახოთ, ვნახოთ.

ზაზა — საწყალი ბებიაჩემიც მაგ კურორტზე გარდაიცვალა: ამბარნეზმა აწყინესო.

დედა — რომელი ბებია?

ზაზა — დედაშენი.

დედა — დედაჩემისთვის რომ გეკითხა, საირაღეს კურორტი არა სჯობიაო. ღმერთმა აცხონოს.

ზაზა — მერე რატომ არ უჯერებ? აკი მწობელს უნდა დაუჯერო? თუმცა, არა, წადი, წადი, თორემ მერე საირმიდან ამიკლებ, ყოველ შაბათ-კვირას შენთან უნდა ვიგრიალო და ვიარო.

დედა — რომელი საათია?

ზაზა — ეხლა არ გამიწყალო გული! მოვა მანქანა და გაგიშვებ აეროდრომზე.

დედა — ხომ არ დაგვიანებს?

ზაზა — როდის დაუგვიანია? გინდაც დაიგვიანოს, შალვა აქ არ არის?! ხომ დგას ჩვენ სადარბაზოსთან შალიკიას მწვანე „ფიგული?"

დედა — (ფანჯრიდან გადიხედავს) დგას, მაგრამ ხომ იცი, რომ მომკლა, მაგას არ ჩავუჯდები.

ზაზა — ასე როგორ უნდა იყო დაბოღმილი, რომ კაცს წლების განმავლობაში ერთი ბეწო რამე ვერ ანატკინ?!

დედა — არ იყო ის საქმე ერთი ბეწო! იმიტომ ვეღარ შემოდის აქ, მაგის დანახვა მამაშენსაც არ უყვარდა. ეხ, მიშო, მიშო! შენ შავ სამარეში უნდა იწვე და მე, თვალებდასაბრმავებელი, კურორტებს უნდა ვიცვლიდე?!

ზაზა — რას იზამ! რას იზამ!

დედა — (სარკეში) სულ წვეული ხელიდან. ჩემი მიშოს მერე, სულ წვეული ხელიდან!

ზაზა — ვახ! ნუ იცი, რა. ახლ! ხომ მარტონი ვართ? ხომ არავინ გიყურებს? მამიდა როცა არის შინ, მაშინ არაფერს გეუბნები: ტანსაცმოთა ხარ! მიშოს მერე ერთი ნაოჭიც არ მოგმატებია. რას წუწუნებ? გაჩუმდი მაინც... შეიფერე. ჩვენ შორის მაინც თქვი სიმართლე. შენ მამაჩემსაც ასე ატყუებდი — როგორც მული გვეუბნება, იმასაც ის კურდღლის გული უსკედობდა, მეუღლე არ გამომეცვალოს, არ დავიღუპოო და რაც შეეძლო, და სხეათა შორის, რაც არ შეეძლო, იმასაც გიკეთებდა.

დედა — აყეეი. ხომ, იმ არტისტი მამიდაშენის ხმას?

ზაზა — მამიდა ვინც ბრძანდება, ჩემზე კარგად არავინ იცის, მაგრამ ხანდახან კი წამოსცდება ხოლმე სიმართლე.

დედა — მო და, მაგ სიმართლით იარეთ შენც და მამიდაშენმაც!

ზაზა — (ხმამაღლა) გაჩუმდი! ნუ გწყინს, სიმართლეს როცა გეუბნებიან!

დედა — მამიდაშენს რომ დავუჯერო, მიშოს ფულებს ფლანგავს შენი შვილიო!

ზაზა — (პაუზა) მოდი აქ. მოდი! დაჯექი! (სკამს დაუხეთქებს) დაჯექი! (დედა დაჯდება) რას ჩააცივდით იმ საწყალ მიშოს? მოკვდა ის კაცი, მოკვდა! გული გაუსკდა! სანამ ციხიდან გამოვათრევდი, გული გაუსკდა და მოკვდა! მოკვდა შიშისგან. შიშით, შეშინებული! რაც დგვიტოვა, კარგად გახსოვს. ხომ გიჩვენე ის ობლიგაცია, ათი ათასი მანეთი რომ მოიგო? მერე შენ გგონია, წვეული შემსალაროში და ფული გამოვიტანე!

დედა — აბა?

ზაზა — გავყიდე! საქმოსნებმა ოთხიათას

ხუთასი მომცეს ზედმეტი. მაგალთ ფული რომ გამოაჩინონ, ობლიგაციებს და ლატარიის ბილეთებს ყიდულობენ. ლატარიაზე გამახსენდა: ის ბილეთი შენ თვითონ არ იპოვნე ჩემ ჯიბეში, დაკარგული რომ მეგონა და შემოწმება რომ მოვინდომე?

დედა — (სიამაყით) მე გიპოვნე, შვილო, მე გიპოვნე! „ვოლგა“ მოიგო! რა მარკისა? ჰო, მგონი გაზ-ოცდაოთხი?

ზაზა — რას ეძებდი ჩემს ჯიბეში, ამაზე ნუ ვილაპარაკეთ, თორემ, შეიძლება, ეგ საფრანგეთის კურორტი მართლაც აუთვისებელი დაგრჩეს. შენ, რა, მართლა იდიოტი ხომ არ გგონივარ? ფულს რომ მპარავ ჯიბიდან, განა თვალი არ ვიცი! ამაზე, რომ ჩამოხვალ, მერე მოგელაპარაკები. ის ლატარიის ბილეთი კი გაყიდე. „ვოლგაც“ ვიყიდე და ერთი იმდენიც დამრჩა. ყველაფერს შენ ხომ არ ჩაგიკაკლავ?! თუმცა ფულზე როცა მიდგება საქმე, შეიძლება კაცმა რჩევა გკითხოს: პროფესორი ხარ! პროფესორი კი არა — აკადემიკოსი, თანაც ფინანსებში. კარგად დამიგდე ყური: იმ შენ ფულს უთხარი, ენა დაიმოკლოს, თორემ... სად არის? სად გდია ამდენ ხანს? სად გაიგზავნე? შალიკო თუ მოვიდა, ის სადღაა? ალბათ, მანანას ეჭორავება. ნახა რა, ტოლი და მეგობარი?! დარეკე, ერთი, და თუ იქ არის, უთხარი, აქ მობრძანდეს. მეუბნებოდნენ, მამიდაშენი ისე ამბობს, ისე ამბობსო, მაგრამ მეგონა, ჩემი გაშაყირება უნდოდათ და არა მჯერდა.

დედა — კარგი, ზაზა, აპატიე, მეტს არ იტყვის!

ზაზა — ვაპატიებ კი არა, ენას ამოვგლეჯ! რა მოხდა ასეთი, რომ ვეღარ დაივიწყეთ ის შარვალგამოხეული მამაჩემი?! მაგალ ალბათ არც ისა სჯერა, ეს „ოიგული“, ახალი, სტადიონზე „ერთგულების ლატარეაში“ რომ მოვიგე?!

დედა — აი, მანამ ჩუმად იყო და სწორედ მაგ „ოიგულიზე“ გადაირია! ალბათ, მიშოს ფულებია, თორემ რატომ ეგ იგებს ყველაფერს და სხვები არაო.

ზაზა — მამიდაც ასეთი უნდა! ბიჭო, ეგ ჩემი მამიდაა თუ რა? გამაგიჟებენ ესენი! დაურეკე! დარეკე, რომ გეუბნები!

დედა — (რეკავს) ალო... (განაზებული, წყნარი ხმით) მანანა... ჰო, შვილო, ცუცა მანდ არის? არა? კიდევ კარგი! არა, შენ არ გეუბნები, ჩემთვის ვთქვი... არა, ეს არის ისე გადარეული, ახლა რომ შემოვიდეს, შუაზე გახლეჩს. (ზარი. ზაზა კარს აღებს. შემოდის მამიდა) ვიიმე! (ყურმილს დაკიდებს და შეშინებული შესცქერის ზაზას)

ზაზა — მობრძანდით, ქალბატონო, მობრძანდით!

ცუცა — რა მოხდა? (უკან აპირებს გაბრუნებას)

ზაზა — რა უნდა მომხდარიყო? (დაიჭერს, შემოაგდებს) მოდი, რომ გეუბნები!

ცუცა — შემოსული არა ვარ, მეტი რა ვქნა?

ზაზა — დედა, გადი, ჩემოდანი ჩაალაგე.

ცუცა — ჩავალაგე უკვე ყველაფერი. მაგალ ზე ოუ ჩხუბობ, ჩემოდანი მზად არის.

დედა — ჩემოდანი რომ ჩაალაგა, მერე წავიდა.

ზაზა — გადი, დედა, ამასთან საქმე მაქვს და დამაცალე.

ცუცა — მაგის დასამალი რა მჭირს, იყოს აქ, რას გვიშლის.

ზაზა — (მამიდას) არ არის შენი საქმე. (დედას) შენ კიდევ აქა ხარ? (დედა გადის) ცუცა, (ნელა მივა, უცებ ხელს ჩაიგლებს ტანსაცმელში და ანჯღრევს) შენ სიკვდილი ხომ არ მოგდომია? ვერ დაიკენებ მაგ აყროლებულ ენას? არ დაიღალე ამდენი ქაქანით?

ცუცა — რა მოხდა? რა ვთქვი, რა ვიქაქანე?

ზაზა — რა და მიშოს დატოვებულ ფულს ხარჯავთო.

ცუცა — ტყუილია! მტკნარი სიცრუეა! ეგ მე არ მითქვამს!

ზაზა — ადრე ძმაკაცები მანიშნებდნენ, მამიდას მოუარეო... დღეს კი, დედამაც რომ მითხრა...

ცუცა — (აწყვეტინებს) მაგდოს ამყევი? მაგდოს ამყევი? ეგ რას არ იტყვის! კარგია, როცა ბკუა არა გაქვს და რაც ენაზე მოგადგება — წამოაყრანტალებ!

ზაზა — ბკუა შენ გაგთავებია, შე უბედურო! დღეიდან შინიდან ფეხს აღარ გაადგამ და ტელეფონსაც აღარ გაეკარები! სულაც გამოგიროთავ მაგ ტელეფონს!

ცუცა — წავალ, თუ არ გინდა ჩემი აქ ყოფნა და ჩემს სახლს მოვუვლი, შალვასაც მივხედავ. იმასაც მიხედავ უნდა, მარტო შენ და დედაშენი ხომ არა ხართ ამ ქვეყანაზე!

ზაზა — სწორედ იმ შალვას დაგიყენებს უარაულად. თვეში ასსაზმოცდაათს დავუმატებ და სამასად დაუმრგვალდება, როგორც ნამდვილ პენსიონერს შეფერის.

ცუცა — ზაზული, გამიშვი, გთხოვ, მართლა გთხოვ, გამიშვი! წავალ, სახლი ხუთი წლის დასალაგებელია, სარეცხი — გასარეცხი, კაცი სულ გაველურდა. აქ იმას არ უშვებენ და შინ — მე. ცოდოა, ისიც ღვთის შვილია...

ზაზა — შალვაა ღვთის შვილი? ვაი, შენს პატრონს! ეგდები აქ და მემსახურები... იქითაც მთხოვ, ოღონდ დამტოვე და ყურმოჭრილი მონა ვიქნებიო.

ცუცა — მონა არა ვარ, აბა, რა ვარ?! (ტირის) მეტი რა ვქნა?

ზაზა — მორჩი. ეხლა მაგ სიაბანდ ტირილს. ხმა! კრინტი! გამომივიდა გულჩვილი... თუ ტირი, ცრემლი რად არ გდის? რატომ მაშინ არ ტიროდი, შენი ცვედანი ქმარი მამაჩემზე მარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რცხენა ხელით „ანონიმკას“ რომ წერდა! (მამიდა მოულოდნელად კივის) გაჩუმდი, შე არტისტო! (მამიდა მოულოდნელადვე გაჩუმდება)

დედა — (შემოიხედავს) ზაზა, ზაზა! (მამიდას) რა ხდება, ცუცა?

ზაზა — (დედას) გადი ახლავე! (დედა გადის) რატომ მაშინ არ ტიროდა, ჰა? თუ გეგონათ, ვერ გავიგებდი, ვინ დაწერა! ძვირი დამიჯდა, მაგრამ გავიგე, ახლა მივხვდი, რატომ ვერ ბედავს ჩვენთან შემოსვლას?

ცუცა — (მცირე პაუზის შემდეგ, გაშმაგებით) წავალ ახლავე და მოვკლავ!

ზაზა — წადი!

ცუცა — წავალ! (კარისკენ მიდის) მართლა მაგან დაწერა?

ზაზა — (სიცილით) არა, გატყუებ, გატყუებ! ეხლა რაღა მნიშვნელობა აქვს... ვინ დაწერა...

ცუცა — თუ მაგან დაწერა, მოვწამლავ, იცოდე; ტყუილად არ ჩამადგმევინო ცოდვაში ფეხი.

ზაზა — არა-მეთქი, არ გესმის? გეხუმრე, მაგრამ იცოდე, თუ ერთხელ კიდევ თქვი რაიმე ჩემზე, თუ ერთი სიტყვა მაინც დაგცდება იმაზე, რაც დედას უთხარი და წამოსძახე, შენს თავს დააბრალე...

ცუცა — დამიბრუნე ჩემი ვალი და ხომ ისედაც მონა ვარ, ფეხსაცმელს აგილოკავ!

ზაზა — ქალო, შენ არ დაგავიწყდა ის რაღაც შვიდიათასი მანეთი?

ცუცა — შენთვის, ღმერთმა მოგცეს, რაღაცაა და ჩემთვის...

ზაზა — არც ჩემთვის არის რაღაცა. ეს ისე, სიტყვამ მოიტანა, ასე ვამბობთ ხოლმე ქართველები. რატომ არის ჩემთვის რაღაცა? ხომ იცი, იმ ფულით რაც ვჭენით: (განგებ ხმამაღლა, დედამ რომ გაიგონოს) ჯერ მამაჩემის გვამი გამოვისყიდეთ და მერე საფლავი გავუკეთეთ.

ცუცა — არაფერი გვამი არ გამოგვისყიდია...

ზაზა — (ანიშნებს, ჩუმად, დედამ არ გაიგონოსო. განგებ ხმამაღლა) ხომ გახსოვს, რამდენი გვაწვალეს? (გამოხედავს დედა).

დედა — რა სთქვით მიშოზე?

ზაზა — (ყვირის) დამაცდი თუ არა ამ ქალთან ლაპარაკს? (დედა შებრუნდება, განგებ ხმამაღლა) რა დაჯდა ის საფლავი, თუ გახსოვს? (ჩურჩულით) რა დაჯდა ის შენი გამოგონებული საფლავი, დაგავიწყდა? არც ის გახსოვს, რომ მეუბნებოდი... მეუბნებოდი კი არა — მეხვეწებოდი, ოღონდ საბურთალოს პანთეონში მიშოს საფლავი გამაკეთე და არ მინდა ის შვიდი ათასიო (პაუზა) კაცო, შენ მართლა მილიონერი ხომ არ გგონივარ? რა დაჯდა ის საფლავი, რატომ ერთხელ მაინც არ იკითხავ? ათი მარტო უიტმორიდან დაბრადორის ჩამოტანას მოუნდა. ერთი მაგდენიც ხელოსნებმა წაიღეს. მე რა? ფულს კი არ ვჭრი?!

ცუცა — მამიდა, დამიბრუნე ვალი, ძალიან გთხოვ...

ზაზა — არ გეუურება, რასაც გეუბნები?

ცუცა — გემუდარები... თუ გინდა... დაგიჩოქებ (იჩოქებს) მომეცი, რა ფული....

ზაზა— საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ალა პუგაჩოვა!

ცუცა — ზაზული, ნუ მიზამ მაგას... ნუ დამტოვებ მშრალზე.... დამიბრუნე...

ზაზა — დაგიბრუნებ, ოღონდ.!.

ცუცა —ყველა პირობაზე თანახმა ვარ. საერთოდ არ ამოვიღებ ხმას. ტელეფონს თვითონ გამოვრთავ. თქვენც ალარ დაგელაპარაკებით... შენ, თორემ, დედაშენთან ისედაც არ მინდა ლაპარაკი. მხოლოდ მანანას გავესაუბრები ხოლმე... (ზაზას შემოხედავს) ცოტას. .

ზაზა — რა საერთო გაქვს მანანასთან? ვერ გამიგია, რას ეკორავები, რას ესაუბრები, რა გინდა? შენი ტოლია, შენი ამხანაგია, ერთად დაამთავრეთ ინგლისური ენის ფაკულტეტი თუ რაშია საქმე?

ცუცა — იქაც ალარ მივალ. იქაც არ მივალ!! არც დავურეკავ! (პაუზა) დამიბრუნებ?

ზაზა — ასე ყველაფერს თუ შემისრულებ, დაგიბრუნებ, აბა, რას ვიზამ!

ცუცა — ახლავე? (პაუზა) ახლავე მომეცი... (პაუზა) მომეცემ?

ზაზა — (ჯიბიდან მანეთიანს ამოიღებს და გაუწვდის) აბა, გამომართვი!

ცუცა — ზაზული, ზაზა, მამიდა, ძალიან გთხოვ, ნუ მაწვალებ...

ზაზა — გამომართვი, თორემ ესეც სანატრელი გაგიხდება.

ცუცა — მამიდა, ზაზა, ზაზული, დავბერდი, ალარ შემიძლია მეტი...

ზაზა — თუ არ გნებავს, ნუ გნებავს, ბატონო! (მანეთიანს ჯიბეში ჩაიდებს)

ცუცა — ზაზა, მომეცი ფული, თორემ...

ზაზა — (გამხეცდება) რა თორემ, რა თორემ? (მაგიდიდან ბროლის ლარნაკს აიღებს) რა თორემ? თორემ რას მიზამ? (ლარნაკს ესვრის, აიცდენს) რას მიზამ? ფეხები არ მომჭამოთ შენ და შენმა ცვედანმა ქმარმა! (დასდევს) ფეხები არ მომჭამოთ შენ და შენმა „ანონიმშჩიკმა“ შალვამ! (დასდევს) ამას უყურე... (მამიდა მაგიდას შემოერბენს და მაგდოსთან შეეარდება) უს, შენი... (გაფითრებული სავარძელში ჩაგდება) თუ მომკლავს, ეს მომკლავს... (სამიღე ოთახიდან გამოდიან დედა და სრულიად მშვიდი მამიდა. ზაზა წამოხტება)

ცუცა — თვითმფრინავი ცხრამეტ საათსა და ოცდაათ წუთზე მიფრინავს. ეს კი არ ვიცი, ჩვენი დროით თუ მოსკოვისა?

დედა — ცუცა, რას მეკითხები?! როდის იყო ან გაფრენის დრო ვიცოდი ან მოფრენისა.

ცუცა — რასაც ეკითხი დაგინიშნავს, ზუსტად შეასრულე, იცოდე, არ დაიზარო.

დედა — აბა, რისთვის მივფრინავ ამ ხიშოარეს! ნეტა რამე მეშველებოდეს... ან პირიქით, ნეტა რამე დამემართებოდეს, რომ მეც ჩემს მიშოს...

ზაზა — (ყვირის) მორჩით! მორჩით არტისტობას! მომასვენეთ ცოტა! გაბრძანდით თქვენ ოთახებში. სამი ოთახი როცა გვქონდა, ერთმანეთს ვეძებდით და ახლა მეზობლის ოროთახიანი რომ შემოვიერთეთ და ხუთი ოთახი, ორი ლოჯია, ორი აბაზანა და ორი ტუალეტი გვაქვს, მაინცდამაინც ჩემს ოთახში შეგიყვარდათ ჯდომა? (ქალები გავლენ) მოვა მანქანა და დაგიძახებთ, ბატონო დედა! ნუ ღელავთ. არ გაწყენალს გული! (ზარი. დედა უმალ გამოიხედავს. ზაზა კარს აღებს. შემოდის ზურაბი) მოდი, მოდი. რა ჭქენი? (დედას) მიხურე კარი! (ზურაბს) რაო, რა გითხრა?

ზურაბი — ყველაფერი რიგზეა, ბატონო ზაზა!

ზაზა — რამდენჯერ უნდა გითხრა, როცა მარტონი ვართ, ეგ ბაზარი არ გინდა. ხალხში შენი ნებაა, როგორც გინდა, ისე მომმართე, მაგრამ მარტონი რომ ვართ, არ გინდა.

ზურაბი — არ შემიძლია, ბატონო ზაზა.

ზაზა — კარგი, კაცო, მორჩი! ეს რა დღეა, ყველა მარზეა!

ზურაბი. — ვინ ყველა?

ზაზა — ჩემიანები.

ზურაბი — დეიდა მაგდო და ცუცაც?

ზაზა — ჰო, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს. მომიყევი, ერთი, რაო?

ზურაბი — ცუცაც?

ზაზა — ჰო, კარგი, კაცო, რა დაგემართა? (იცინის) ცუცაც, ცუცაც! (საქმიანად) მითხარი, რაო?

ზურაბი — იღბლიან ვარსკვლავზე ხართ გაჩენილი...

ზაზა — ამოშაქრე, ამოშაქრე.

ზურაბი — გადაირია, ისე მოეწონა თქვენი წინადადება. მაგის მეტი ვერავინ მოიფიქრებდაო.

ზაზა — მერე?

ზურაბი — ერთი-ორ ადგილას დარეკა, მაგრამ ისე ისაუბრა, ვერაფერს მივხვდი. ისიც მაგარია, თქვენნაირი არა, მაგრამ...

ზაზა — მერე!!

ზურაბი — თუმცა დანაოჭებულ სიფათზე მაინც შეეტყო, რომ ისინიც დაიოლია.

ზაზა — მერე!

ზურაბი — ვაჭრობა დამიწყო. პირდაპირ ფასზე მომაჭირა, რა ეღირებაო? მე, როგორც მოვილაპარაკეთ, ვიცინოდი, ხომ გითხარი, კაპიკი არ დაკლდება-მეთქი. კაცო, შენი რა საქმეა, ზაზას დაურეკე და ჩემი ფოსტა გააგებინე! ერთში თხუთმეტი ათასს ვიძლევი, სულ კი ოცდაათი მჭირდებაო. ჰო და ეკუთხანი დადეთ და საქმეს შევუდგეთ-მეთქი! ახლა თავი არ გამალახვინო, ზაზას დაურეკეო. მეც ვითომ დაფიქრებულ გირეკეთ და ორი დავუკელი...

ზაზა — (აწყვეტინებს) რაო? ორი დაუკელი? შენ ხომ არ გაგიჟდი? რას ბრუტუნებ, გესმის? კი, ბატონო, თუ დაუკელი, შენ წილს დაკალდება. მაგ საქმეში ისედაც თითოზე ორი უნდა მომეცა და ეხლა იმან მოგცეს ეს მაყუთი. როგორც გითხარი, მე თვრამეტი უნდა დამრჩეს.

ზურაბი — არა, ასე არ გითქვამთ. თვრამეტზე ნაკლებად არ მისცეო, ასე მითხარით. თუ გულში სხვა რაიმე გაქვთ და მე სხვას მეუბნებით, არ ვიცი.

ზაზა — მე გითხარი, თვრამეტი მე უნდა დამრჩეს და შენ რამდენადაც გინდა მოელაპარაკე მეთქი. მოლაპარაკებოდი თვრამეტი ათას ერთ მანეთად და ოცდაათში ოცდაათი მანეთი დაგრჩებოდა. ეხლა რაც დაკარგე, შენს თავს დაბრალეე.

ზურაბი — ზაზა, შენ ამას უკვე მეორედ მიკეთებ. უკვე მეორედ მაგდებ ასეთ სარისკო საქმეზე, მეორედ მაგზავნი იმ კაცისმკვლელებთან და კაპიკს არ მაძლევ! გამაგებინე რა დაგიშავე? კარგად იცი, მეორედ იქ მისვლა, ფასის შეცვლა და ჩემი დაბრიდვა ერთი იქნებაა! თუ ახალი პარტნიორი იშოვე, მითხარი, მეც მოვისვენებ. ხომ იცი, ყელამდე ვარ შენი პატივისცემით.

ზაზა — ბებიაშენისამ! მაგ ჭკუაზე ვარ, კიდევ ერთი რეგვენი გავიყვანო საქმეში!

ზურაბი — აბა, რა ვქნა?

ზაზა — როგორც გითხარი: ხომ იცი, ჩემ სიტყვას წყალი არ გაუვა. უფასოდ მოგიხდება მაგ საქმის გაკეთება. უარის თქმა უკვე გვიან არის. ჩემი ფირმა სიტყვას არ გატეხს. ასე რომ მოვიქცე, ვინღა მენდობა?! ბიჭო, მოლაპარაკებოდი ოცდახუთად და თითოში შეიდი დაგრჩებოდა! რასაც ზედმეტს ჩალიჩობ, იქიდან კაპიკს ხომ არ გართმევ!

ზურაბი — მე... ზედმეტს და ისე, შენ რომ არ იცოდე, არაფერს ვჩალიჩობ. ჯერ, რაც შენ გაეთანხმებიანი გადმოვედი სამუშაოდ, კაპიკი არ გამიკეთებია. რომ არ მომეხსენებინა.

ზაზა — არც ჩემს ზურგს უკან შეკრულხარ კლიენტებთან?

ზურაბი — არა!

ზაზა — არც გიგორავია?

ზურაბი — სინდისს გეფიცები!

ზაზა — შენი სინდისი ვის უნახია, ბიჭო (ზურაბი იენთება, მაგრამ თავს იკავებს) ასე თავიდან ბოლომდე რომ არ იცოდე საქმე და შენი მოსვლით გაერთიანებაში ცოტა დისკომფორტი რომ არ გამკცრებულიყო, მე ვიცი, რასაც გიზამდი... მაგრამ მჭირდები. შენც გამოაგარიშებული გაქვს ეს ყველაფერი და უკვე თავხედობ! მაგრამ გახსოვდეს, თავს ნუ გაზვედი! იცოდე შენი ადგილი და წილი... შე-

ნისთანები შეუცვლიათ, ბიჭი?! ნუ მთქმევინებ ეგ ყველაფერს, კარგად იცი, არაფერი გამომეპარება. ხუთი წელი საკმაო დროა იმისათვის რომ რქები მოიტეხო და ცხოვრებას გაუგო. არა ყოფილა ძნელი რაღაც-რაღაცეებზე ხელის აღება. ხომ ხედავ, რა წარმატებები მაქვს საქმეში და საერთოდ, ხომ ხედავ, რა გრიალ-გრიალით მიდის წინ ჩემი გაერთიანება! ასე რომ... ჭკუა, ბიძია, ჭკუა! რაღაც ერთი-ორი კაპიკი იშოვე და ნუ გადაირეკი. საქმეს მიხედე, ბიჭო!

ზურაბი — ბატონო ზაზა, ჩემზე გითხრეს ჭორაობს და თქვენს ზურგს უკან საქმეებს ჩარხავსო?

ზაზა — გირჩევ, ნუღარ ქექავ იმ საქმეს, სადაც ძალიან ჩასვრილი გაქვს!

ზურაბი — მაინც, რას ჭორაობსო?

ზაზა — არ გინდა... მე ვითმენ და შენ გინდა ამაყროლო?!

ზურაბი — მაინც, მაინც?

ზაზა — ბიჭო, მამიდაჩემი არ მეყოფა, შენც რომ მიშოს ფულებზე ჯირითობ?

ზურაბი — არ მითქვამს! ეგ მე არ მითქვამს. ჩემი თვალით ვნახე ყველაფერი და ტყუილს რატომ ვიტყოდი? (ჯიბისკენ წაიღებს ხელს) ძმობას გეფიცები...

ზაზა — ნუ გიუვარს ტყუილად დაფიცება! (ზურაბი ჯიბიდან ხელს ამოიღებს).

ზურაბი — ახლა ის მითხარით, ზურგს უკან იკვრება კლიენტებთანო... მაგალითი? მაგალითი!

ზაზა — გამაგიუებს ეს კაცი! შენი ცეროდენა საქმეები ხელს არ მიშლის გაერთიანების გეგმა შეგასრულო და რაიონის მოწინავეებშიც ვიდგე... ასე, რომ მიდი, მიდი...

ზურაბი — ესე იგი, ტყუილს მეუბნებით? გინდათ ამიყვანოთ? მაგრამ რატომ? რა დაგიშავეთ?

ზაზა — ბიჭო, ამ ორი საათის წინ, იცი, ვინ დამირეკა?

ზურაბი — (პაუზა) ვინ?

ზაზა — ნოჩამ!

ზურაბი — (დიდი პაუზა) მერე?

ზაზა — (ნოჩას ინტონაციით) მომკლა ზურაბას სიბანდიტებმა, ვითომ აჭედან დაგირეკა და ვითომ ფასზე მოგელაპარაკაო. მეორე ოთახში ბიჭები სხედან და ტელეფონის ყველა ლაპარაკს ისმენენ, თუ საჭიროა, ვიწერთ კიდეცო... ეგ ბიჭი სანდო არ არის, გავასაღოთო! ოცი ათასი მთხოვა, ზაზას თვრამეტამდე ჩამოვაყვანინებო. შემეკრაო.... ჯერ დამთანხმდა, მაგრამ მერე ვიფიქრე, სჯობს ზაზას დავეთომარო, ეგეთ თავადვე დამიკლოს, თორემ მერე შეიძლება ზურაბას ჩასვრილ საქმეს ბათქა-ბუთში მოჰყვესო და თავს ვიმცირებ და გირეკავო...

ზურაბი — (აწყვეტინებს) ტყუილია, ბატონო ზაზა!

ზაზა — ყველა-ყველა, მაგრამ ნოჩას ტყუილი ჯერ კაცს არ გაუგონია!

ზურაბი — ნოჩას ექომაგებით?

ზაზა — საქმეში უნაღდესი კაცია, რატომ უნდა დავუკარგო?

ზურაბი — ნოჩას უჯერებ და მე — არა?!

ზაზა — ეგრე გამოდის... შენ მაიძულე.

ზურაბი — არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ სხვა გზა არ არის: ნოჩამ, პირიქით, ეგებ წამოვიკიდოთ და ჩავუშვაო, მოგკლა, გვაღვავებს, თანაც დაგვცინისო. სამართლის მსაჯულები გამზადებული მყავს და სიგნალს მომცემ თუ არა, გაერთიანებას შეესვენაონ....

ზაზა — (აწყვეტინებს) ეგეც მითხრა, ეგეც მითხრა: ზურაბამ, ალარც მე შემიძლია მეტის მოთმენა, ამას გარდა, სხვა მიზეზებიცა მაქვსო... დაგეხმარებით, ეგ საქმე ჩვენ ჩავიგდოთ ხელში, კომპანიონები გავხდეთ, ოღონდ...

ზურაბი — ერთი ლიმონი ეღირებაო, არა?

ზაზა — დიახ (მშვიდად), ერ-თი ლი-მო-ნი ე-ღი-რე-ბა-ო!

ზურაბი — ეგ წინადადება თვითონ მომცა, დაურეკეთ, უთხარით მოვიდეს! პირზე დამადგეს! (ჯიბისკენ მიაქვს ხელი) ლიმონსაც დაგიადებთ და მერე საქმეშიაც გაგიყვანთო.

ზაზა — პირზე რომ დაგადგეს, მერე სად მიდიხარ? (ზურაბს ჯიბიდან ხელი ამოაქვს) ტელეფონის ჩასაწერი თუ აქვთ, შენი ჩასაწერი ალარ ეკნებათ?! ეს ყველაფერი რომ წარმოგვიდგინონ, მერე? მერე სად მიდიხარ? (ზურაბი ჯიბიდან რეოლვერს ამოიღებს. ზაზა თავისი სიმსუქნისთვის შეუფერებელი სიმარდით ეცემა, იარაღს აარიდებენ, გაარტყამს და დედამისის ოთახის კარს მიანარცხებს) შე დამპალო! მე უნდა გესროლო, მე უნდა მოგკლა და აქეთ მიღერებ იარაღს?!

დედა — (კარს აღებს. მშვიდად, თითქოს არც დაუნახავს ზაზას ხელში იარაღი) თქვენ დავვიკაკუნეთ? გამარჯობა, ზურაბ. როგორა ხარ? მანანამ რატომ დაგვიგიწყა? ხომ იცის, დღეს მივფრინავ, უთხარი, გამომეშვიდობოს, თუ არ მაცილებს... (ზაზას) მანქანა ხომ არ მოვიდა, ზაზულო?

ზაზა — დაბურე კარი და სანამ არ დაგიძახებ, არ გამოხვიდე, თორემ... (იარაღს მიუშვერს. დედა შეკავებულს და კარს მიიხურავს).

ზურაბი — მთქმევინე...

ზაზა — (აწყვეტინებს) კაცად გაქციე და ჩემი დაბრედვა გინდა?!

ზურაბი — მთქმევინე...

ზაზა — (აწყვეტინებს) რა უნდა გთქმევინო, ღორივით გაგაგორავ, შენი...

ზურაბი — (ყვირის) ბატონო ზაზა, მთქმევინეთ! ეგ რევოლვერი სარდაფს რომ ვჩითავდი, მაშინ ვიპოვნე; კომბოსტოს წნილში იდო,

ცელოფანში გახვეული. გატენილია! ერთი კოლოფი ვაზნებიც აქა მაქვს. (მეორე ჯიბიდან ამოიღებს, გაიწვდის) აი, ინებეთ... (მაგიდაზე დადებს) აქამდე არ გაძლევდით, არ იეჭვიანოს, ეგონება, ამასთან ერთად სხვა რამეც ვიპოვნე მეთქი... მაგრამ, თურმე, ათ ნახიჯში არ მენდობით და რაღა აზრი აქვს, ჩემზე რას იფიქრებთ...

ზაზა — (მიახტება, ხელს გადაუბერენებს, უტეხავს) აკი არაფერი მიპოვნიაო?! აკი არაფერი მიპოვნიაო! ეგ არის შენი ერთგულება? ეგ არის შენი პატიოსნება? ესე მიფასებ ყველაფერს? პურის ფული არა გქონდა, დაგავიწყდა?! კიდევ რა იდო? რა იდო კიდევ წნელში?

ზურაბი — აკი გითხარით, აღარ დამიჯერებთ მეთქი... ეგ რევოლვერი მაშინ ვიპოვნე, მე და მანანა რომ ვჩხრიკავდით ხარდფს. მანანას ჰკითხეთ, ჩემი თუ არა გჯერათ. დედას გეფიცებით, მეტი არაფერი ყოფილა?

ზაზა — რა იყო კიდევ? რა იყო?

ზურაბი — ეი, ეი, მეტკინა! მტკივა, გამიშვი! მეტი არაფერი ყოფილა, მანანას გეფიცები! დედას გეფიცები!

ზაზა — წადი შენი დედაც... (ზურაბი გაგიდდება, თავს იოლად გაითავისუფლებს, უნდა გაარტყას, მაგრამ თავს იკავებს).

დედა — (კარს შემოაღებს) დედაო, დამიძახეთ? რომელი საათია? მივდივართ?

ზაზა — (ღრიალებს) მივდივართ, მივდივართ! ზურაბ, გაიყვანე ესენი აეროდრომზე, მეტი აღარ შემიძლია! გაეტიეთ დროზე!

დედა — (ყვირის) ცუცა, ცუცა, მივდივართ, გვაგვიანდება!

ზურაბი — (ტანსაცმელს ისწორებს) ჩემოდნები სად არის?

დედა — ცუცას მოაქვს (შემოდის ცუცა, ორი დიდი ჩემოდნის სიმძიმით წელში მოხრილი და კარისკენ მიდის. ყვირილით) სად მიდიხარ, ცუცა? (შშვიდად) გამგზავრების წინ არ ჩამოვჯდეთ? (ყველანი სხდებიან. პაუზა.).

ცუცა — (წამოხტება,) აბა, ღმერთმა კარგად გამგზავროს, კარგად დგაგასვენოს, და კარგად, მხიარულად და ჯანმრთელად დაგაბრუნოს.

ზაზა — (ცუცას) შენ არ მიჭყვები აეროდრომზე?

ცუცა — მიეყვები, აბა, რას ვშვრები?!

ზაზა — ზურაბ, ვიდრე თვითმფრინავი არ აფრინდება, იქ იყავი...

ზურაბი — აბა, რას ვიზამ...

დედა — წავედით, წავედით, გვაგვიანდება, ნახვამდის... (ზაზას ეფერება, ტირის)

ზაზა — ნუ ტირი (კოცნის, კოცნით ახრჩობს) კარგი, ხომ იცი, მეჯავრება (ეფერება, გუდას სიყვარულით) რა გატირებს? ოცდაოთხ დღეში აქ არ იქნები?

დედა — (ზაზას მოფერებით გაგუდული) კარგი, გამიშვი, ბიჭო, კარგი, ნუ დამბახავ. გამიშვი, სულ გამხეცდა ეს ბავშვი!

ცუცა — გამხეცდა კი არა, ეს არის, რაც არის, ენაცვალოს მამიდა!

ზაზა — შეაყოლეთ, ხო, აქედან!

ზურაბი — (ჩემოდნებს ხელს არ ახლებს) აბა, წავედით.

ზაზა — ნახვამდის, ნახვამდის (დედას) აბა, შენ იცი, არაფერი ისულელო იქ.

ცუცა — (ჩემოდნებს აიღებს, დედა და ზურაბი გავლენ) ჩემო ზაზა, გამიყვანოს იქიდან ზურიკომ ჩემს სახლში. მიგხედავ ცოტა იქაურობას, შენი ჭირიმე (ჩემოდნების სიმძიმე წელს სწყვეტს) თითქმის ზუთი წელია, გემრიელად არ დამილაგებია. ვინ იცის, რას ბგავს იქაურობა... შენი ჭირიმე.

ზაზა — კარგი. უთხარი ზურაბს და მიგიყვანს. ხვალ დილით აქ იყავი, იცოდე (გაცარებული მამიდა თავს უქნევს) რომელ საათზე მოხვალ?

ცუცა — რვაზე აქ ვიქნები.

ზაზა — ცხრის ნახევარი იყოს.

ცუცა — გმადლობთ, მამიდა (ჩემოდნებს დაალაგებს, ხელზე კოცნის) ჩემო ზაზოლა, ხომ მომცემ იმ ფულს? ხომ მომცემ? აი, ამ მარჯვენით (მარჯვენაზე კოცნის) ხომ ჩამითვლი?

ზაზა — (ხელს გამოსწევს) გადი, ახლა და ცხრის ნახევარზე აქ დაიჭეკ!

ცუცა — ზაზა...

ზაზა — (აწყვეტინებს. რევოლვერს დაუჭირობს) წადი, რომ გეუბნები, თორემ... (მამიდა გავარდება. ზაზა კარს მიხურავს თუ არა, მამიდა ისევ შემოვარდება, დატაცებს ჩემოდნებს ხელს და გავარდება. გალიმბული ზაზა ისევ მიხურავს კარს, მობრუნდება. სავარძელში ჩაესვენება. ტელეფონის ზარი. ყურმილს აიღებს) ბო... წავიდნენ... მოდი, აბა, რა! (დაკიდებს. წამოდგება, რევოლვერსა და ვაზნებს ტახტზე, ბალიშის ქვეშ შეინახავს. მერე ბარს გამოაღებს ნარინჯის წვენს გამოიღებს, მაცივრიდან ყინულს დაუმატებს, ისევ სავარძელში ჩაჯდება და ნელ-ნელა წრუპავს. შემოდის მანანა. ყველა ჩასარაზონ კეტავს კარს, ზაზასთან მივა და სავარძლის სახელურზე ჩამოუჯდება), როგორა ხარ? (პაუზა) რატომ არ გამოხვედი? დედაჩემი გაითხულობდა. მეც არ მინახიხარ მთელი დღეა.

მანანა — რა ვიცი. თანაც არ მეგონა ასე ადრე თუ გავიდოდნენ. გაფრენამდე ორი საათია დარჩენილი.

ზაზა — ხომ იცი დედას ამბავი, შემჭამა.

მანანა — ზურამ წაიყვანა თუ მანქანა მოვიდა?

თამაზ გუდერძიშვილი
რკინის კარს უკან

ზაზა — ზურაბამ წაიყვანა. თვითმფრინავი რომ გაფრინდება, ცუცას გაიყვანს და მოვა.

მანანა — ცუცა გაუშვი?

ზაზა — ხვალ დილამდე.

მანანა — ესე იგი, სამი საათი გვაქვს...

ზაზა — ნეტა, საათზე როდის იყურებოდი?

მანანა — აქ როცა ვართ, ყოველთვის ვჩქარობ.

ზაზა — არ მითხრა, მეშინიაო... ზურაბისაო...

მანანა — ზურაბის არა, ცუცასი.

ზაზა — ცუცამ მგონი იცის.

მანანა — (წამოხტება) არ გამგაიეთ!

ზაზა — ერთი მითხარი: რაზე გელაპარაკება, საათობით რომ გიზის? რა გაქვთ საერთო?

მანანა — შენ რომ ჯემპრები მოგწონს და გიხდებაო რომ მეუბნები, ცუცას მოქსოვილია. ოღონდ, ნურაფერს ეტყვი. ზაზას არ გააგებინოო, მთხოვა და დამაფიცა.

ზაზა — ეგრე კარგად ქსოვს?

მანანა — კარგადაც იღებს!

ზაზა — ფულს გართმევს?

მანანა — თითოში ას მანეთს.

ზაზა — სულ დაკარგა ნამუსი! შენც რა გენაღვლება ჩემი მაყუთი?!

მანანა — ხომ შეევთანხმდით, ფულზე არ გველაპარაკა?!

ზაზა — მართალი ხარ, შევთანხმდით, ბოდიში. თანაც ჩამოხრჩობილის სახლში თოკზე არ ლაპარაკობენ.

მანანა — რაო? რაო?

ზაზა — რაც გაიგონე.

მანანა — მაგით რა გინდა თქვა?

ზაზა — არაფერი... მოდი ჩემთან... (მანანა არ მიდის) მოდი, რა... გებეკეწები.... გთხოვ... თუ შეიძლება...

მანანა — (უახლოვდება) რა გინდა?

ზაზა — რა მენდომება, ცოტას მოგეფერები.

მანანა — შენ სულ ეგრე იცი, ჯერ ცოტას მოგეფერებიო და... მერე...

ზაზა — რა ვქნა! რა ჩემი ბრალია, ნუ გაიკეთებდი ცხვირის ოპერაციას და არ მომეწონებოდი. რა გენიალურად გააკეთა, არა? სულ არ გეტყობა!

მანანა — ძალიან მაგარი ოპერატორია!

ზაზა — ძალიან. (უცებ ხელს სტაცებს, მუხლებზე დაისვამს, ეფერება ნაზად, საოცარი სიფაქიზით, ენებით, სიყვარულით) რა მეშველებოდა, შენ რომ არ შემხვედროდი!

მანანა — მეც...

ზაზა — შენ... ხხვას ვისმეს იშოვნიდი. მოდას ხომ არ ჩამორჩებოდი? ერთი ქმარი, ერთიც — საყვარელი!

მანანა — ეგ კაცების მოდაა, ჩვენ რა შუაში ვართ?

ზაზა — იცი, მგონი, მართლა ცუდად ხარ. ჩემი საქმე!

მანანა — (შეშფოთდება) გაერთიანებაში?

ზაზა — არა (გულზე იკაკუნებს) აი, აქ! (მანანა შეეცბით ამოისუნთქავს) მგონი, მართლა შემიყვარდი.

მანანა — მერე, გენანება? სურვილი ვერ გამომითქვამს, მისრულებ, არაფერს არ იშურებ და უფასოდ რომ გიყვარვარ, ამას ნანობ.

ზაზა — რა კარგი სიტყვაა, არა? დაკვირებიხარ? არაფერს არ გამოხატავს, ისეა, თავისთვის. ვიღაცა ბედნიერმა მოიგონა და დაგვიტოვა. მოგეფეროო — რაღაც ფიზიკურ მოქმედებას ნიშნავს, გაკოცოო — ესეც, გალმერთებო — ესეც ღმერთის შორიახლო გაუნებს და მიყვარხარო — არაფერს არ ნიშნავს, სულ არაფერს. არა, ყველაფერს ნიშნავს და თან სუფთაა. რაც კი ვითომ ცუდი სიტყვაა, ყველას გულისხმობს და მაინც როგორი სუფთაა... ხომ გახსოვს, თუმცა ადვილი შესაძლებელია, არც გახსოვდეს, როდის მეუბნები ხოლმე ამას... (მანანა თავს დაუქნევს) მაინც რა მაგარი სიტყვაა, არა?

მანანა — მაგან დამდუპა! მაგ კარგმა სიტყვამ და... შენ.

ზაზა — ვითომ, გიყვარვარ, არა? ვითომ, ძალიან გიყვარვარ და იტანჯები!

მანანა — რა გეშველება, ეგეთი ურწმუნო რომ ხარ. თუმცა სხვა რა გზა გაქვს, მაინც გჯერა. (ეკონის) მიყვარხარ... ისე მიყვარხარ, თუ მიღალატებ. მოგკლავ!

ზაზა — (სიცილით) რას ჩამაცივდით დღეს შენ და შენი ქმარი? რას მერჩით?

მანანა — რა გინდა ეხლა ზურაბისაგან? იმას თავისიც ეყოფა...

ზაზა — ერთი, იმ ბალიშის ქვეშ შეეყავი ხელი! (მანანა დაუკლის ბალიშებს. ერთის ქვეშ ხელი გაუშვშდება) გამოიღე, გამოიღე, ოღონდ, ფრთხილად, გატენილია.

მანანა — (გამოიღებს) რა უნდა აქ ზურაბის რევოლვერს?

ზაზა — მიშოსი ყოფილა ეგ აგრეგატი, მიშოსი! და კინაღამ არ მესროლა შენმა რეგვენმა ქმარმა!

მანანა — მიშოსი კი არა, ზურაბმა იყიდა სამას მანეთად.

ზაზა — გადამრეგს ეს ბიჭი; ყველაფერზე ფულის გაკეთება შეიძლება?

მანანა — შენს თავს ვფიცავ, სამასი მანეთი ჩემს თვალწინ ჩაუთვალა ვიღაც სიმონას.

ზაზა — მოიცა, მოიცა! აკი მე და მანანამ ერთად ვიპოვეთ წნილის ქილაშიო? ცელოფანში იყო გახვეულიო. მართალია?

მანანა — (შეცება) პირველად მესმის!

ზაზა — მაკუშ, ხომ იცი, შენთვის სულს არ დავიშურებ. იმ იდიოტსაც უკვე ვაპატიე, რომ დამიძრო...

მანანა — მაგას ვერ დავიჯერებ.

ზაზა — ალბათ, შეშინება უნდოდა და წავართვი.

მანანა — ალბათ, მოცემა უნდოდა, ისე ვერ წაართმევდი.

ზაზა — თუ ვერ წავართმევდი, რა გიჟრავს, აბა, ხელში?

მანანა — ვერ წაართმევდი, უბრალოდ, ვერ მოასწრებდი. ეს ხუთი წელია, თუ ქალაქგარეთ ვართ, სულ სროლაში ვარჯიშობს და მეც მავარჯიშებს. ჯერ ჯიბეში ჩაიდებს, მემრე, უცებ ამოიღებს და ისვრის. შაურიანში აჯენს!

ზაზა — თქვენ, ალბათ, დენიკინის შაურიანები გეკნებათ, დიდი.

მანანა — არა, ჩვენ შაურიანში ან ასანთის კოლოფში აჯენს. მეც კარგად ვისვრი. ოცდაათ ნაბიჯში შამპანურის ბოთლს ვარტყამ, გინდა დაგენიძლაო?

ზაზა — სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ. როდის იყიდა ეგ რევოლვერი?

მანანა — მიშო რომ გარდაიცვალა, იმ დღეს.

ზაზა — მერე, ფული საიდან? რაც გქონდათ მე არ მომეცით?

მანანა — (დაიბნა) **სწორედ** იმ დღეს მოიტანა კიდევ ათასი მანეთი... სამსახურში ლატარიას ვთამაშობთ.... (ხელი ჩაიქნია) გამანებე თავი! ხომ იცი, ტუუილი არ შემიძლია...

ზაზა — რა იდო კიდევ ცელოფანში?

მანანა — არაფერი.

ზაზა — მანანა, ძალიან გთხოვ, მითხარი. ხომ წასული საქმეა. უკან ხომ არ მოგატანინებ?! რაცა მაქვს, ისიც შენი არის?!

მანანა — ზუსტად ისეთი საყურე და სამაჯური, დეიდა მაგდოს რომ აქვს.

ზაზა — კიდევ?

მანანა — მეტი არაფერი.

ზაზა — მანანა!

მანანა — შენს თავს ვფიცავარ...

ზაზა — რა იდიოტია, არა, ის შენი რეგვენი ქმარი? შენც კარგი გვრიტი ხარ! რატომ არ მითხარი? აქამდე რატომ არ მითხარი, რასა შეგეშინდა? ხარბი ხარ, ხარბი! მიყვარხარო! ეს არის შენი სიყვარული?! აბა, გამომართვი და იცოდე: ამ ბრილიანტის ყელსაბამის გარეშე დაგინახავ თუ არა, ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდება. (უკრიდან ძვირფას კოლოფს ამოიღებს, კოლოფიდან — ყელსაბამს) გაიკეთე! (მანანას ენა დაება ყელსაბამის სილამაზისა და სიმდიდრისაგან) **გაიკეთე, რომ** გეუბნები! (მანანა გაშეშებულია) **არ გესმის?** (ჩამოცვამს თავზე) პლატინის ძეწკვია, შესაკვერელი არა აქვს. რეგვენს უთხარი, დაბადების დღე მომილოცა-თქო.

მანანა — (გაუბედავად) **გახსოვს?**

ზაზა — მე ყველაფერი მახსოვს. თქვენ გავიწყდებათ სიკეთეცა და დაბადების დღეებიც.

მანანა — არა, არ მინდა! ვერსად ვერ გავიკეთებ და რად მინდა?! (უნდა წამოიძრახოს)

ზაზა — ვერ გაიგე, რაც გითხარი? უშაგი-სოდ დაგინახავ და მორჩა!

მანანა — ზაზა!

ზაზა — ეხლა, თუ გინდა, წადი ან სხვა რამეზე ვილაპარაკოთ.

მანანა — ზაზული...

ზაზა — გინდა, გითხრა, რასაც იზამ? მადლობის ნიშნად, გაიხდი და ლოგინში ჩამიგორდები, არა? ვაბ, ეს რა ხალხთან მაქვს საქმე?! ის არის და სულ თავის მოვლაშია: მამიდაა და ძუნწი, ძუნწი, ძუნწი, ძმის საფლავში მანეთიც ვერ გავავდებინე; ზურაბა რეგვენია და რწყილის გატეხვებას არ ერიდებას! შენ მეგობე ერთი! ეს ნაღდად არ მომატყუებს-მეთქი და ეს რა ყოფილხარ?! ყველაფერს გაპატიებდა კაცი, მაგრამ ფულის სიყვარულს?! შენ მე კი არა, ჩემი მაყუთი გიყვარს!

მანანა — (ძვირი უჯდება თავშეკავება) კარგი, ტყუილად ნუ აიშლი ნერვებს.

ზაზა — (ყურს არ უგდებს) **რატომ** ვიპაჭები, რისთვის ვიპულტტ ტვინს, ვის ვუნდივარ, ვის დავკარგვივარ?! კაცისმკვლელებში რატომ გავერიე? ვისთვის ვრისკავ? ვისთვის ვშოულობ?

მანანა — დაწყნარდი, კარგი რა დაგემართა? (ეფერება, ზაზა ხელს აფერებს) ნუ გადაირევი. ისე მთხოვა... ყველაფერი დამაფიცა... ბავშვიც დამაფიცა... არ უთხრაო და მაინც გითხარი... შენი შემწეობით ამდენი იშოვნა და ის "საყურე-სამაჯური შვიდიათასი ღირს, ხომ იცი; შვიდიათასზე გადაირიე?

ზაზა — (ყვირის) ხომ ხედავ, რას მეუბნები? ხომ ხედავ, აზრზე არა ხარ, რას ამბობ! ფულშია საქმე? საქმე ფულში რომ იყოს, ის ოროთახიანი ბინა გიყიდეი და ჩვენ ბიჭზე გავაფორმე, მხოლოდ იქ შეგხვდებოდი, იმ ხავერეში და წამოსვლისას ხუთთუმნიანს დაგიტოვებდი.

მანანა — (ცდილობს იხუმროს) ამ მანეთზე ნაკლებ არ გამოგივიდოდა ეს საქმე!

ზაზა — ვიცი, ფულის მონა ხარ! ფულის მონა ხარ... ცხვირმოჭრილი... მაყუთის ცხვირმოჭრილი მონა ხარ!

მანანა — (ძალიან სწყინს, მაგრამ ცდილობს დაამშვიდოს) **კარგი, გეუოფა! არა გვაქვს** იმ**დენი დრო, ვარკვიოთ, ვინ ვინ არის!** (ზაზას პერანგზე ღილებს უხსნის).

ზაზა — (ხელს კრავს) **რაო? ვინ ვინ არიხო? ჩემგან არ გინდა? ჩემზე ყველაფერი იცი. რა არ იცი? შენ უფრო მეტი იცი, ვიდრე მე! მახსოვს, ამასწინანდ მითხარი, ჩაგებარებინა ის ოხერი ფული და გვეცხოვრა მშვიდადო. ვერა, ვერ ვიცხოვრებდით... რა გგონია, პირველად ამხელა სიმდიდრე რომ ვნახე, მაშინვე ის არ გავიფიქრე მილიციას ჩავაბარებ-მეთქი. მაგრამ შემდეგ დავფიქრდი: ნოზაძემ ოცდახუთი არ**

დაგვიბრუნა. ვალს კი გადახდა უნდოდა. ოჯახში ხერხანი არადური დაგვრჩა; ამასაც ვიუიდიმეთქი. ერთი რამ დავუთმე ჩემს თავს, მეორე, მესამე და... ცხოვრებაც ხომ გვინდოდა? იმწამსვე გადავწყვიტე: ეს მეზობლები ამდენს გვეხმარებიან და ვალთან ერთად ხუთას მანეთს მივცემ, ეგებ მანანამ ცხვირის ოპერაცია გაიკეთოს და თვითონაც მოისვენოს და ზურაბიც მოასვენოს-მეთქი. რა ვიცი, რა არ გავიფიქრე: რა გეგმები არ დავაწყე! მერე ბინის გადაცვლა მინდოდა. მაგდო ვეღარ ჩერდებოდა აქ. შენ და ზურაბმა დაიჩემეთ, ნუ წახვალთ, ამ ბინიდან გადასვლა როგორ შეიძლებაო. დაგიჯერეთ, თუმცა ვიცოდი, რაც ვიპოვნე, იმაზე მეტი არ იქნებოდა. მაკლერებთანაც დამყვებიდით: ხან შენ, ხან შენი ქმარი. სწორედ მაშინ დაიწყო ჩვენ შორის ყველაფერი... მეგონა, ჩემთვის კარგი გინდოდათ; გინდოდათ ეს მშვენიერი უბანი არ მიმეტოვებინა... შენც არ მოგიკვდე! თურმე ხეირს ეძებდით! იმ დღის შემდეგ ძროხასავით მწველავთ, თანაც ელექტრომაწოვარათი, რომ სისხლამდე ჩამცალოთ!

მანანა — (რაც შეუძლია, წყნარად) არა ხარ მართალი. ჩვენ ყოველთვის, მაშინაც და ეხლაც მხოლოდ კარგი გვინდოდა შენთვის. ვიდრე მამაშენი მოკვდებოდა, არ გახსოვს, რა მეზობლობა გვქონდა? როგორ უყვარდა ძია მიშოს ჩვენთან შემოსვლა და საუბარი?

ზაზა — გულს ვეღარ ამიჩუყებ. მეყოფა, ისედაც ბევრ რამეზე ვხუჭავდი თვალს!

მანანა — მაინც, მაინც?

ზაზა — შვილიანი ქალი ხარ, ქმარიც უღელში გიდგას, როგორც გნებავს, ისე იცხოვრებ.

მანანა — ეტყობა, რაღაც ახალი ჭორი შემოგიგდეს!

ზაზა — ახალი ჩემთვის არის, თორემ შენთვის... არ გვინდა ეს ლაპარაკი! ერთი სიტყვით, სანამ არ მომბეზრდები, ისევე მომემსახურები, როგორც დღემდე. გაიხადე! მართალია, ძვირი მიჯდება, მაგრამ ღირს! (მანანა შეაფურთხებს. გაშმაგებით) რას იფურთხები?! შე კაბპავ! (მანანა გაარტყამს) ამას უყურე, ეხლავე ღორივით გაგგაგორებ, შენი... (რეგოლვერს დააძრობს) **ზოშიასაც ეგრე ულაწუნებ?** (მანანა კარისკენ მიდის. დაეწევა, მანანა უძალიანდება, მაგრამ შემოაბრუნებს) ზოშიასაც ეგრე ულაწუნებ? როგორ არ შეგეცოდე იმ გაჭირვების დღეებში: ფული უპროცენტოდ გასესხა და ჯთი პროცენტი შემაწერე! რა სინდისმა გაგიშვა, ბა? მიპასუხე, რას გაჩუმებულხარ?

მანანა — ზოშიამ პროცენტიანი ვალი მომცა.

ზაზა — მეც ეგრე მეგონა, მაგრამ კეთილისმყოფელმა რომ დამირეკა, ჩემს ბიჭებს შეავიოწმებინე. მიუვარდნენ, შეაყენეს და გამოტყდა.

მანანა — რა სულელი ხარ! ვალს რომ მაძლევდა, როცა ყველა საბოლო გავაფორმეთ და ჩამითვალა, მითხრა: თუ ერთ დამეს მაჩუქებ, უპროცენტოდ გაგიტან ამ ფულსო. დაგელოდეთ. დები, პასუხი ახლა არ მინდა, როცა მოხვალ, თამასუქს მაშინვე დავხევ შენს თვალწინო. უარი რომ მიიღო, დამემუქრა: გადაგიხდი სამაგიეროს!. რა მაღლა იწევ მაგ გრძელ ცხვირს, შენისთანები ჩამიგორებია ლოგინშიო?! მაგრამ მაშინ ისე გეკერდებოდა ფული, რომ მოვითმინე... შენი გულისთვის მოვითმინე... როგორც ხედავ, ამისრულა მუქარა.

ზაზა — მორჩი ბაზარს! ხომ გითხარი, გულს ვეღარ ამიჩუყებ! თქვენ ისეთი მასტები ხართ, ყველაფერზე მოილაპარაკეთ, ალბათ, წინასწარ. ოღონდ არ ვიცი, შენ უფრო მაგარი ხარ, თუ შენი რეგვენი ქმარი?

მანანა — აქ ისეთი საუბარი გვაქვს, შენზე რეგვენი მსოფლიოში აღარ მეგულება!

ზაზა — აღარც ამ საუბრით შეგაწყენ თავს. შეგიძლიათ, მიბრძანდეთ. სულ ერთია ზოშიას მერე ქალს ხელს ვერ მოგკიდებ! (მანანა ჩუმად იხსნის ყველა სამკაულს, მაგიდაზე დადებს და კარისკენ მიდის. იწყებს საკეტების გახსნას) უკაცრავად, ბოლო შეკითხვაცა მაქვს: თუ შეიძლება, სიმართლე მიპასუხეთ; მაინც ყველაფერი გათავდა! ხომ გახსოვს, ნოზაძისთვის მიცემული ფული შვიდის გარდა ვალი იყო. ის რომ არ მქონოდა მისაცემი, სულ სხვაგვარად წავიდოდა, ალბათ, ჩემი ცხოვრება. მაშინ ხომ კარგი ზაზა ვიყავი? წმინდა ბიჭი... რად მომატყუეთ, ნოზაძემ ფული აღარ დააბრუნაო? რად ჩამაგდეთ ამ დღეში? ასეთი გეგონა? შეიძლება იყოს ადამიანი? მამა მომიკვდა და ესენიც თვრამეტი ათას ვალს მაწერენ, გაფხეკილსა და უომედოს! აკი სხვის უბედურებაზე არ შეიძლება ხელის მოთბობაო? გამგონ ეს მაშინვე, ვიცი, რასაც ვიზამდი, მაგრამ ზოშიასი არ იყოს, ესეც ოთხი თვეა, რაც მითხრეს (მანანას შემოხედვაზე), თვითონ ნოზაძემ მითხრა, ზურაბს უკან დავუბრუნე კაპიკ-კაპიკო! მადლობა ღმერთს, ნოზაძე ცოცხალია! დავურეკავ და აქ გაჩნდება. გუშინ მივიღე გაერთიანებაში შეთავსებით იურისკონსულტად და სავიზიტო ბარათი მაჩუქა. ტელეფონის ნომრის მოსაძებნად დრო არ დაგვეკარგება.

მანანა — გატყუებენ, შე უბედურო, როგორ ვერ ხვდები?

ზაზა — ვინ მატყუებენ: ისინი თუ შენ, ჩემი „ერთგული" ქალი?

მანანა — ნოზაძეს ფული მაშინ არ დაუბრუნებია. განაწილებული ჰქონდათ უკვე. ტაქსი ვერ ვიშოვნე და როცა მივირბინე, აღარავინ დამხვდა. ზურაბსაც გზაში ავცდი.

ზაზა — ძალიან რომ გთხოვო, მეტყუე? ჩემი უკანასკნელი თხოვნაა-მეთქი, რომ წავუტირო?

მანანა — რაც ვიცი, გეუბნები.

ზაზა — (ყვირის) რაც იცი, ყველაფერი რომ

მითხრა, სიმურალე დამაყოფებს! რაც იცი, არც მინდა გავიგონო, ღმერთმა დამიფაროს! ჩემიც მეყოფა. ნოზაძის ამბავი მითხარი მხოლოდ და მოვრჩეთ.

მანანა — არ ვიცი, რომ გეუბნები!

ზაზა — ამ პლატინის ყელსაბამს მოგცემ და მითხარი...

მანანა — ვიცოდი, რაც იყავი, მაგრამ დღეს ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბე.

ზაზა — დედაჩემისნაირი საყურე-სამაჯური რომ გაქვს, აღარ დაგაბრუნებინებ.

მანანა — ზაზა, არ ვიცი, ზაზა!

ზაზა — ჩემს სახელს ნუ ამსვენებ!! (ყვირის) დედას გიტირებთ! მოგისვეთ იმ ჩემ შავ ბიჭებს და ლუკმა პურის ფული სანატრელი გაგიხდებაო! (მანანა მიდის კარისკენ) მოდი აქ, პასუხი გამეცი და მერე სადაც გნებავს მიბრძანდი, გინდა შოშიასთან და გინდა ნოზაძესთან. ნოზაძესთანაც ალბათ, ასეთივე „საქმიანი კავშირი" გექნება არა, სქესობრივს რომ ეძახდნენ ძველად? (მანანა კარის დანარჩენ საკეტებსაც აღებს) მოდი, რომ გეუბნები! მნახა იდიოტი, სუფთად გავუშვა! ჯერ ვალი გაქვს ჩემი, ვალი!! (მანანამ კარი გამოაღო. ეცემა, გამოაგდებს, ყველა საკეტს ჩარაზავს) **თავი ხომ არ მოგძულებია?** (რეგოლვერს მიუშვერს) **გაიხადე! თვითონ გაიხდი თუ მოგეხმარო, როგორც ყოველთვის?** (ცალი ხელით ცდილობს გახადოს, მეორეთი რეგოლვერს მუცელში ატაკებს).

მანანა — **ხელი გამიშვი, შე დამპალო! ნუ მეკარები, მეზიზღები! ხელი არ მახლო, თორემ გული ამერევა!** (ზაზა ძალადობს. რეგოლვერი რომ უჭერავს, უშლის და მარდად ვერ იქცევა. მანანა ყვირის და დაუსხლტება. გარბის. ზაზა მისდევს. ჯერ ერთ ოთახში შეცვივდებიან, მერე — მეორეში, იქიდან — მეხაზეში. დიდი პაუზა. ყვირილი. **გამაყრუებელი სროლა!** სადარბაზოდანაც ისმის საშინელი ღრიალი. სიჩუმე. უფრო დიდი პაუზა... ბარბაცით გამოდის მანანა. ტახტზე პირველ დაეგდება. გამოდის ზაზა, გაოგნებული, გაფითრებული. მანანას უთანლოგდება. ხელს ვერ ჰკიდებს, ეშინია. მერე ძლივს გადმოაბრუნებს. მანანა იცინის)

ზაზა — (სიხარულის ყვირილი) **ეეეეე!!** (ჩურჩულით) **უხ, შენი... გული გამისკდა... ეს რა ხუმრობაა?! მანანა! მანანა!** (პაუზა) **როგორ მყვარებიხარ! თორემ როგორ მყვარებიხარ!** (გიქოვით კოცნის, მერე ფაქიზად ეფერება. მანანა იცინის, ვერ გაარჩევთ, ისტერიკაა თუ ნამდვილი სიცილი) **ვახ, შენი... ეს როგორ გამივარდა? იცი, ჩახმახისთვის ხელი არ მიხლია... დედას გეფიცები... თვითონ გავარდა!** (ნაზად, ოსტატურად ეფერება. მანანა ხარხარებს. ზაზა დროს იხელთებს და ულაზღვროთ გახდის პერანგს. ისმის ზარის ხმა. ორივენი წამოიჭრებიან. ერთმანეთს შეჰყურებენ. ზარი. ზაზა თითს ტუჩებზე მიიფარებს. ზარი. ზაზას ეცინება. ზარი. ზარი! ზარი!! ზაზა ხარხარებს. სადარბაზოდან ისმის).

ზურაბის ხმა — **ზაზა! ზაზა! გაალე!** (პაუზა) **ვიცი, რომ მანდა ხარ, გააღე!** (პაუზა) **ზაზა, გთხოვ, გააღე კარი! საქმე მაქვს!** (პაუზა) **გესმის?** (ზარი).

ზაზა — (ჩურჩულით, მანანას) **რა უნდა ამ რეგვენს? ნახა, რა, საქმიანი საუბრის დრო და ადგილი!**

მანანა — (ჩურჩულით) **გააღე!**

ზაზა — **ხომ არ გაგიფდი?! ეკვიანობის სცენას გაგიმართავს, გაგლანძღავს, შეიძლება, გაგარტყას კიდეც და მერე** (ირაღლ უჩვენებს) **პასუხს არ ვაგიბ ჩემ საქციელზე.**

მანანა — **გააღე, თორემ მე გავაღებ!**

ხმა — **არ გესმის? ზაზა, ვიცი რომ მანდა ხარ! გააღე, გთხოვ!** (ზარი. ბრახუნი. რკინის კარი საზარლად ხმაურობს)

ზაზა — (ჩურჩულით) **აგვიკლებს, ეს ოხერი!**

მანანა — (მიდის კარის გასაღებად) **სანამ მთელი სადარბაზო არ შეიყრება, არ გააღებ!** (ზაზა გადაუდგება), **გამიშვი!** (ზაზა არ უშვებს) **მაშ, შენ გააღე!**

ხმა — **ზაზა, ვიცი, მარტო არა ხარ... მაინც გთხოვ, გააღე...**

ზაზა — (მანანას, ჩურჩულით) **სარდაფში ჩადი!**

მანანა — **ვერ გაიგე, რა გითხრა: ვიცი, რომ მარტო არა ხარო!**

ზაზა — (ჩურჩულით) **ჰო და, ჩადი სარდაფში, თორემ არ გავაღებ. აყალ-მაყალის თავი აღარა მაქვს, ისედაც გასკდა გული! მაინც რა დღე გამითენდა, რა ამბავია, რა ხდება?!**

მანანა — **რა დროს ოხვრაა! გააღე!**

ზაზა — **ჩადი!**

მანანა — **არსადაც არ ჩავალ!**

ზაზა — **არ ჩახვალ და არ გავაღებ.** (მანანა კარისკენ მიდის) **გამოდი აქეთ!** (დაეწევა, მოისვრის)

ხმა — **ზაზა, დამიგდე ყური, ნუ მაყვირებ! ვიცი, რომ მანანა შენთან არის...** (პაუზა) **გამოდი კარი. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა მოვილაპარაკოთ...**

ზაზა — (წამოსცდება) **რაზე?**

ხმა — **ჩვენზე... ნოზაძეზე, შოშიაზე; თანაც აეროდრომიდან რომ მოვდიოდი, ნოემბა შემხვდა: გიოს ბგავს!**

ზაზა — **ფეხებზე მკიდიხართ ყველა! განსაკუთრებით კი — ნოემბა! ასევე გადაეცი, ოღონდ, ამბის მიტანის დროს დაიცავი მშობლიური ენის სიწმინდე, შენებურად არაფერი დაუმატო!**

ხმა — **ზაზა, გააღე, გემუდარები...**

ზაზა — **არ გაგიღებ, რომ მოკვდე! წადი, ისადილე და დაისვენე.**

ხმა — **რა დამასვენებს, ხომ არ გაგიფდი! გააღე, თორემ ჩამოვიღებ ამ კარს!!** (ბრახუნი. ზარი. ბრახუნი) **მანანა, უთხარი მაგ... კარგ**

კაცს, რომ... მე მიგაგზავნე! (პაუზა) გააღებინე ეს ოხერი კარი!

ზაზა — (პაუზის შემდეგ, ხელჩაქნეული) რა იდიოტი ვარ! როგორ ვერ მივხვდი... (ოფიციანტ ხელით ტაში უკრავს) ბარავო, მანანა, ბარავო! მაგრად მოუშაობ!

მანანა — ნუ არტისტობ და შეინახე იარაღი (მიდის კარის გასაღებად)

ზაზა — მოიცა... (ირაღს ჯიბეში ინახავს, კარს აღებს. კარგა ხნის შემდეგ შემოდის გაფითრებული ზურაბი).

ზურაბი — (პირდაპირ მანანასთან მიდის, თითქოს ზაზა იქ არ იყოს) მანანა! შენი ჭირიმე, ჩემო მანანა! ცოცხალი რა დამემართა, სროლის ხმა რომ გავიგონე? არ იფიქრო, ამდენ ხანს იქ ვიდეკი და თქვენ საუბარს ვუსმენდი... ამ რეკინის კარს უკან არაფერი ისმის. სროლაც ძლივს გავიგონე. უფრო სწორად, მივხედი, რომ ისროლეს. მაგრამ ვინ ისროლა, ვის ესროლა, რატომ, რა მოხდა? ხანამ კარი გააღეთ, ჩემი დამემართა! არა, ეტყუი: არც ამაზე მიფიქრია, ვერ მოვასწარი... აი, ასე, უცებ გავშეშდი და... თუმცა შენ რა შუაში ხარ... დამნაშავე მხოლოდ მე ვარ... უნდა მაპატიო... ხომ მაპატიებ? მანანა... რატომ ხმას არ იღებ? უელაფერი გათავდა?? არ ვიცი, რა დამემართა... უცებ დავყრუვდი, დავბრმავდი, გავგიჟდი, თორემ რა მათქმევინებდა, მანანა მე მოგიგზავნე-მეთქი... შენმა სიყვარულმა გამამწყარა, თორემ როგორ გაგიბედავდი... როგორ გაგიმეტებდი... როგორ გაკადრებდი...

მანანა — გაჩუმდი...

ზურაბი — ტკენი გადამიბრუნდა... მე თვითონ! შენ გგონია, ამათ ძალა დამატანეს? ეგრე მაწუობდა... პატარ-პატარა რისკი და მოდიოდა და მოდიოდა მაყუთი. ამათ თავისი კანონები აქვთ, თავისი ათი მცნება. არ გეგონოს, ძალით მომახვიეს თავზე რაიმე... არა! რომ დავუკვირდი, მომეწონა. მეუბნებოდნენ. ხალხი ცხვარია და ღმერთმა მოსაწველად და გასაკრეკად გაჩინაო; ვინც ოდნავ რაიმე დაგიშავოს, გაატეტვლე და ვინც არაფერი დაგიშავოს — გაატყავეო; თუ კრეტინი არა ხარ, მდინარის აღმა რას მიცურავ: გაიხედ-გამოიხედე რა ხდება, დინებას გაჰყევი და სამშვიდობოს გაგიყვანსო; ვისაც ერთი ტყავი აქვს, ორი გააძერი; ვისაც — ორი აქვს, ხუთი აიგლიჯე და ვისაც არაფერი — ათი წაადრეო.

მანანა — გაჩუმდი...

ზურაბი — მაღლს ნუ იზამ, თორემ დამადლებული არ გაპატიებს და ღალატით გადაგიხდისო; მგელთანაც მგელი იყავი და ცხვართანაც! მეც ვატყავებდი, ვკრეკდი, ვწველავდი! მომწონდა ფულით მოპოვებული ძალა. ვიდრე პირს დავაღებდი, უელაფერი გაკეთებული იყო. უელგან ჭრიდა, უელა დაწესებულებაში, ამხანაგებში, მეგობრებში, ნათესავებში. უცებ შეგვამჩნევ, პირფერობა დამიწყო უელამ ერთ-ერმა თუ მოუყვარემ. პირველად მეხამუშა, თორემ მერე მივეჩვიე. ვეღარც ვამჩნევდი. ვერ ვამჩნევდი იმიტომ, რომ თავად მიხდებოდა ქლესობა და წაკუზვა ამ ჩემ პატრონებთან. მერე ამასაც ისე მივეჩვიე. ჩვეულებრივ ამბად მიმაჩნდა. მერე კი ალარც ვფიქრობდი ამაზე, რადგან უკვე ნორმად ვაქციე. ეს ჩემგან შენც გადმოგედო. შენც ხომ ამიტომ ექცეოდი ასეთი პატივისცემითა და ყურადღებით, რომ იცოდი, საქმე არ უნდა გამფუჭებოდა. მე... მე არ უნდა გამფუჭებოდა საქმე და ამასაც და ამის მეგობრებსაც თავს უყადრებდი...

მანანა — გაჩუმდი!

ზურაბი — ვიცი, ვიცი, რაც უნდა მითხრა... მართალიცა ხარ! ვერ ვხედებოდი, ვერც მივხვდებოდი. თუმცა მირეკავდნენ, მეუბნებოდნენ, „ბირჩევდნენ" ცოლს მიხედეო. მგონი, შოშია უნდა ყოფილიყო... მაგრამ ცუდს აქ ვერაფერს ვხედავდი, რადგან ასეთი ცხოვრება ავირჩიე... თანაც, შერიან ხალხს რა გამოლეკს?! შერთ, კარგი ცოლი თუ გყავს, გემოვნებით თუ იცვამს, მანქანა თუ გყავს, კარგი რემონტი თუ გაიკეთე, ფინური მაცივარი თუ დაიდგი... ტელეფონიც შერთ! უელაფერი შერთ!! რეკონდა იუნენ! რეკონ და იუნენ! სანამ შენ მეყოლები, ფეხებზე მკიდია უელაფერი!

მანანა — კარგი, რა, ზურაბ! ხომ იცი, რომ მართალს გირეკავენ! ხომ იცი, რომ მართალს გირეკავენ, მართალს!! და არ გინდა ეხლა ეს ამბავი. გეკითხა, საიდან ჩნდებოდა ჩვენს ოჯახში ნივთები, შენ რომ არ ყიდულობდი და გეტყოდი. მაგრამ შენც გაიტრუნე და მეც!! გგონია, ძალიან ადვილია ჩემი ასაკის ქალისთვის შეელიო უელანაირი სურვილისა და ათასი კაპრიზის ასრულებასს... და კიდევ ბევრს რამეს, რაც არ იცი... ან იცი და ისე იქცევი, ვითომ არ იცოდე, ხომ მართალი ვარ? ფუფუნებაზე უარის თქმა შენც გიჭირს... (ხმადაბლა) მართალია, რასაც გირეკავენ, მართალი! და თავს ნუ იკატუნებ... აქ ვუთხრათ ერთმანეთს სიმართლე, აჯობებს. აჯობებს აქ დაეხვა წერტილი უელაფერს, თორემ მერე... ამ ზარის ხმა რომ გავიგონე, მივხედი, შენ რომ იყავი. ვიფიქრე, აი, ახლა შემოვა, მუხლებში ჩავუვარდები და პატიებას ვთხოვ-მეთქი... რაც მოხდა, მოხდა, ამას რაღა ეშველება-მეთქი... შენ კი... მე... მე არც გამოცდილება მეყო და არც ჭკუა, თავიდან ამეცილებინა უელაფერი. ახლო-მახლო უელანორპირი და უნდო აღმოჩნდა... საკუთარი თავის მოტყუება მეგონა უელაფერზე ძნელი და რა ადვილი ყოფილა! როგორ უელაფერს აღმოაჩნდება ხოლმე გასასამართლებელი საბუთი... როგორ ვამბობთ, არა, „გასასამართლებელი საბუთი"! თითქოს სასამართლოზე ვიყოთ. თუმცა

ვარო. ვართ... რომელი სასამართლო შეედრება ხინდოსს? ის „გვიბოვეს „საბუთებს". მე გასასამართლებელი არაფერი მაქვს... საბუთი კი არა, ცნობაც არა მაქვს... თუმცა რაღა მნიშვნელობა აქვს.

ზურაბი — გასასამართლებელი რა გვირს? ცამდე მართალი ხარ. დამნაშავე მე ვარ. მე ჩაგაგდე ამ დღეში.. პასუხსაც ჩემს თავს მოვთხოვ. ოღონდ მაცალეთ... ოღონდ დამაცალეთ. გონს მოვიდე... ყველაფერს მოვიფიქრებ. ყველაფერს ისე გაგიკეთებ, როგორც დაგპირდი... მაშინ, მთაწმინდის ძირში, სიყვარული რომ აგიხსენი და ცოლობა გთხოვე... გახსოვს? ხომ გახსოვს?

მანანა — მახსოვს... ოღონდ, აღარაფერი გამოგა...

ზურაბი — თუ მოვინდომებთ, ყველაფერი გამოვა.

მანანა — იმდენი ჯუჯი და ნაგავი ჩადგა ჩვენს შორის...

ზურაბი — ოღონდ ნუ მიმატოვებ, ოღონდ შენ იყავი ჩემს გვერდით...

მანანა — პირველივე წაჩხუბებამდე, არა?

ზურაბი — როდის რა წამოგაყენებრე? უბატონოდ ხმა როდის გაგეცი?

მანანა — ვეღარ მოიშალა ამ... ბატონაყაცობას. ჩემზე კარგად არავინ იცის, შინ როგორი ხარ და გარეთ — როგორი. უფულო როგორი იყავი და ახლა ვინა ხარ!

ზურაბი — შენ მასწავლი, მოვიშალი თუ არ მოვიშალი?! ესეც არ იყოს, ბავშვს უმამოდ როგორ გაზრდი?

მანანა — (ყვირის) ბავშვზე კრინტს ნუ დაძრავ! ბავშვს ნუ ახსენებ! რა შუაშია ბავშვი?! (წყნარად) იმას ჩვენ სიბინძურესთან არაფერი აკავშირებს. როგორ მიყვარდი... როგორ მიყვარხარ! მიკვირდა, რომ მეუბნებოდნენ, შეიღი გაგიჩნდება და ქმარს დაგავიწყებსო. ფიქრობდი. რამ გაახულელა-მეთქი ეს ხალხი?! შენ მიყვარდი და მეტი არავინ! ეს ხუთი წელია თანდათან შემჭაობდი შენც და საკუთარი თავიც... ეგ ერთი სიხარული მაქვს... ეგ ერთი სიყვარული... ნუ ახსენებ ჩემს შვილს ამ აკოთებულ ბინაში! ამ ხულელმაც რომ აიჩემა, ჩემიაო.

ზურაბი — რა არის ჩემიო?

მანანა — ბავშვი.

ზურაბი — ი!

მანანა — რა გიკვირს? რას გაიოცე? ვითომ არ იცი, ოროთახიანი რომ გაუფორმა!

ზურაბი — რა ოროთახიანი, არ გამაგიგია!

მანანა — მხოლოდ იმას სწუხდა: ზაზას ძე რუსულად კარგად არ გამოთქმისო...

ზურაბი — ჩემს ბიჭზე ამბობდა, ჩემიაო?

მანანა — რაღა მნიშვნელობა აქვს, ვინ რას ამბობდა... ყველაფერი გათავდა...

ზურაბი — რა გათავდა, რას ამბობ?

მანანა — გათავდა, ზურიკო, გათავდა. რა უნდა მოხდეს ახლა ისეთი, ჩვენი დამსხვრეული ოჯახი გაამრთელოს... თუ მოხდება და... ამაზე უარესი...

ზურაბი — პირიქით, უარესი უკვე მოხდა! რაზან ეს უნდა დაგვმართნოდა, უკეთესია ყველაფერი პირში რომ ვუთხრათ ერთმანეთს. გულზე მაინც აღარ დაგვაწვება! ჯაუს ხომ აღარ შეგვიჭამს! უნდა ვაპატიოთ ერთმანეთს... უკაცრავად, ვაპატიოთ კი არა, მე უნდა მაპატიო, ჩემო მანანა, ჩემო კარგო, ჩემო სიცოცხლე! უნდა მაპატიო... წამო, წავიდეთ. ჩვენთან გავიდეთ. საცაა ქალი მოვა და ბავშვს მოიყვანს. ვაკის პარკში წაიყვანა. ვაშლივით ეჭნება დბრაწული ლოყები!

მანანა — აღარაფერი აღარ გამოვა, ზურა, ამ საქმიდან... დამიჯერე, წამოსვლით, წამოვალ. მაგრამ ბავშვს მოიყვანს თუ არა, წავალთ.

ზურაბი — სად წახვალთ?

მანანა — სად და დედაჩემთან, სად უნდა წავიდეთ?!

ზურაბი — კარგი ერთი, სისულელეს თავი დაანებე!

მანანა — არ არის სისულელე, დამიჯერე. ასე აჯობებს.

ზურაბი — მანანა, რატომ მამწარებ? ხომ იცი, თქვენს მეტი არავინა მყავს. დედა მე არა მყავს, მამა, და და ძმა. შენა ხარ ჩემი დედაც, დაც და მეგობარიც... შენი იმედიღა მაქვს და შენც მაფურთხებ?

მანანა — მოსაფურთხებელი რა გვირს? მე ვარ ნაგავში გადასაგდები! მე ვერ ვივარგე. ასე რომ, წავალთ...

ზურაბი — ვინ წახვალთ? სად წახვალთ?

მანანა — ხომ გითხარი: მე და ჩემი ბიჭი — დედაჩემთან.

ზურაბი — გულს ნუ მიხეთქავ, მანან! ამდენი ტყუილად ვილაპარაკეთ?

მანანა — ვერ გაპატიებ, ზურა, ვერაფერს! იმასაც ვერ გაპატიებ, ასე რომ გამაუბედურე! ჩემს თავსაც ვერ ვაპატიებ ვერაფერს: ვერც ერთ ნაბიჯს, ვერც ერთ ბეჭედს. ვერც ერთ ხაკაულს, ვერც სურვილების ასრულებას. ვერც შენ გაპატიებ, ყველაფერი რომ იცოდი, და თვალთმაქცობდი... ახლაც ეშმაკობ. ამასაც ვერ გაპატიებ! გგონია, შენ მაპატიებ! ვერც შენ მაპატიებ! და ასე იწვება ჩვენს შორის ზიზღი, ბოღმა, სიმერალე, სიბინძური, ფული და ნაგავი!! ვიხაკ როდის მოგვინდება, წამოვძახებთ ერთმანეთს, რაც ენაზე მოგვადგება. მე შენ გეტყვი, ცოტაა გადმოსარწყევი?

ზურაბი — ხმას არ ამოვიღებ! ხმას არ გაგცემ! გაპატიებ! უკვე გაპატიე. შენც მაპატიე, ჩემო მანანა, ჩემო კარგო, ჩემო სიცოცხლე...

მანანა — კარგი გეყოფა... მოვა ბიჭი და წავალთ...

ზურაბი — (შეუგნებლად) სად წახვალთ?

მანანა — რამდენჯერ უნდა გითხრა: დედა-ჩემთან!

ზურაბი — (უცებ აყვირდება) დედაშენთან თუ ოროთახიან ხავერაში, კუროო რომ მოგაკითხოს, უცნობ რაიონში, სადაც არავინ გიცნობს! კერსადაც ვერ წახვალთ! არა, შენ თუ გინდა, წადი! ოლონდ იცოდე, ბიჭზე კრინტს დაძრავ თუ არა, დაგახრჩობ.

მანანა — ისე წავალთ, მზე მაღლა იქნება! (იცინის) რა კაცი ხარ?! ბავშვს დედა არ უნდა? შენ მაგის გამზრდელი ხარ? ძუძუს მოაწოვებ თუ ჩვრებს გაურეცხავ?

ზურაბი — (წამიერი დაბნეულობის შემდეგ) წაიყვან და სასამართლოთი დაგაბრუნებინებ.

მანანა — (იცინის) ზურაბ, შენ და კანონი?! როდის აქეთ დამიწყე კოდექსებით ლაპარაკი?!

ზურაბი — იმის დამტკიცებას რა უნდა, ჩათლახი და ბოზი რომ ხარ! ისედაც მე მომაკუთვნებენ ბავშვს! მადლობა ღმერთს, მოწმეები ბლომად გვყავს!

მანანა — იმ სასამართლოზე შენ მოგარჭობენ თხუთმეტ წელს, შეიძლება, დახვრეტაც მოგისჯონ. პირი თუ დავაღე, ხომ იცი, რაც მოგელის? მთელ გაერთიანებას გამოგაყოლებენ, თავის უფროსიანად. რაც შეეხება შენს მეორ-ლურ მხარეს... კეთილისმყოფელები მეცა ბენ და ვიცი, როგორ ყიდულობ პატარა შტერ გოგოებს.

ზურაბი — არა და შენსავით ბოშიას დავუწვები ათ პროცენტად...

მანანა — ყველაფერში ფულს იხდი, ყველაფერს ყიდულობ, ვაკაცურად არცერთი საქმის გაკეთება არ შეგიძლია...

ზურაბი — წადი, შენი... (უნდა გაარტყას. გაისმის სროლის ხმა. ზურაბი და მანანა შებრუნდებიან კედლისაკენ, რომელსაც ზაზა მიყრდნობია. სროლისთანავე ზაზას იარაღი ხელიდან გაუვარდება, თვალები ღია აქვს, მაგრამ უკვე ვერაფერს ხედავს. მანანა არაადამიანური ხმით ყვირის, ისტერიკაშია. გოგნებული ზურაბი გონს მოეგება, სტაცებს ხელს მანანას და სირბილით გაჰყავს ოთახიდან. რკინის კარი საზარელი ხმაურით იკეტება, თითქოს საკანში ჩაკეტეს ვიღაც. ამ ზრიალთან ერთად დარბაზში ჯერ ერთი მხრიდან, მერე — მეორე, მერე ოთხივე მხრიდან ისმის მილიციის ოპერატიული მანქანის გაბმული სირენა. ფარდა რომ დიიხურება, ზაზა ისევ ფეხზე დგას.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი ბაქრაძე

„ჩვენ ყველანი ჩვენს ქვეყანას ვეკუთვნით...“

ინტერვიუს უძღვებიან ვაია ფერეთელი და ზინა მჟელელური

კორესპ. — ბატონო აკაკი, ამბობენ, ლიტერატურა ცხოვრების მხატვრული ასახვაო. რას იტყოდით თანამედროვე ქართული მწერლობის შესახებ ამ თვალსაზრისით?

ა. ბაქრაძე — თავდაპირველად უნდა მოგახსენოთ, რომ მე არ ვიზიარებ დებულებას — ლიტერატურა და ხელოვნება ცხოვრების მხატვრული ასახვაო. მე მიმაჩნია და ვთვლი, რომ ლიტერატურა და ხელოვნება ახალი სინამდვილის შექმნაა, მართალია, გამოგონილი, ილუზიური, მაგრამ სრულიად ახალი სინამდვილის შექმნა. თუ ლიტერატურა და ხელოვნება ცხოვრების ასახვაა, მაშინ ის ფოტოგრაფიის დონეს ვერ გასცილდება, ვერ შექმნის იმ მრავალფეროვან სამყაროს, რომელიც ახასიათებს ლიტერატურასა და ხელოვნებას. ჩემი აზრით, ამ დებულებამ ძალიან დიდი ზიანი მიაყენა, საერთოდ, საბჭოურ ლიტერატურასა და ხელოვნებას და, კერძოდ, ქართულს. ამიტომ, დადგა დრო, რომ ჩვენ იგი უარვყოთ და სხვა თვალსაზრისით შეეხედოთ ლიტერატურასა და ხელოვნებას. ჩვენ არ უნდა შეგვაცდინოს, ვთქვათ, ისეთი რომანის არსებობამ, როგორიც არის ფლობერის „მადამ ბოვარი“. ამ რომანში მართლაც ვერ გაარჩევთ, სად თავდება რეალურობა და სად იწყება გამონგონი. ამ თხზულებაში ზედმიწევნით ზუსტად არის დახატული სინამდვილე, მაგრამ ეს განზოგადებისათვის არ გამოდგება. არ გამოდგება იმიტომ, რომ „მადამ ბოვარისა“ და მისი მსგავსი თხზულებების გვერდით არსებობს ჰოფმანის, კაფკას და სხვათა ქმნილებანი, სადაც სრულიად ფანტასტიკური სამყაროა დახატული. თუ ამ ნაწარმოებებს მივუდგებით იმ აზრით, რომ ხელოვნება სინამდვილის ასახვაა, მაშინ ყველაფერ იმას, რასაც კაფკა ან ჰოფმანი ხატავს, ვერ ვერწმუნებით. ხდებოდა კიდეც ასე. კრიტიკა თავის დროზე ებრძოდა ისეთ ნაწარმოებებს, რომლებშიც ის ვერ ხედავდა სინამდვილის უშუალო ანარეკლს. ამიტომ იყო უარყოფილი, მაგალითად, ისეთი დიდი მხატვარი, როგორიც სალვადორ დალია, რაკი მისი სამყაროო არ ჰგავს სინამდვილეს. მაგრამ, როგორც იქნა, ჩვენ ამ ცრუ წარმოდგენისაგან გავთავისუფლდით, დავინახეთ, რომ ხელოვნების სამყაროო უსაზღვროა, ამ უსაზღვროებაში შეიძლება ყოველგვარი მოვლენა არსებობდეს. სწორედ ამ კუთხით უნდა მივუდგეთ ხელოვნების ნაწარმოებებს.

ყველა ხელოვანი, ნიჭიერი იქნება ის თუ უნიჭო, ახალ სინამდვილეს ჰქმნის, განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ნიჭიერის მიერ შექმნილი სამყაროო საინტერესოა, ხოლო უნიჭოსი — უინტერესო. ნიჭიერების დოზა განსაზღვრავს მხატვრული ნაწარმოების მასშტაბსა და სიღიადეს.

რა თქმა უნდა, დღესაც იქმნება საინტერესო ნაწარმოებები, მაგრამ შედარებით მცირე რაოდენობით. ჩემი აზრით, ჩვენთვის, ქართველებისათვის, ლიტერატურასა და ხელოვნებას სხვა დანიშნულება აქვს. ეს ჩვენი კულტურის დამახასიათებელი ნიშანია. არა თუ ისეთი მრავალრიცხოვანი ხალხების, როგორიც ფრანგები ან ინგლისელები არიან, არამედ უფრო მცირერიცხოვანი ერების ისტორიაშიც (ვთქვათ, დანიელების, ნორვეგიელების) მწერლობას არ ეკისრება ერის მეთაურის ფუნქცია. ეს ფუნქცია მწერლობას საქართველოში მიენიჭა. ეს ბევრი ფაქტორით არის გაპირობებული. ჯერ ერთი, ჩვენში მეფეებიც მწერლობდნენ — არა მარტო დაქირავებული და დამცირებული საქართველოს მეფეები, არამედ ძლევამოსილი და გალაღებული საქართველოს ხელმწიფენიც — დავით აღმაშენებელი, თამარი. მეორეც, ჩვენ ხშირად ვიყავით დაპყრობილი, სხვათა ქვეშევრდომნი, როცა ეროვნული ხელისუფლება არ გვაქვს. ეროვნული ხელისუფლების მოვალეობას მწერლობა ასრულებდა. მესამეც, ჩვენს

ისტორიაში ისეთი მწერლების არსებობამ, როგორიც იყვნენ, გრიგოლ ხანძთელი, სულხან-საბა ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე და სხვანი, სიტყვაკაზმული ლიტერატურა ერის მეთაურის ფუნქციითაც აღჭურვა. როცა ამ ტრადიციას ვითვალისწინებთ, ბუნებრივია, რომ დღესაც ამ მოთხოვნებს ვუყენებთ მწერლობას. ამიტომ, როდესაც ფილოსოფიურ მწერლობაზე ვსაუბრობთ, შეიძლება გულისტკივილი გამოთქვათ, რომ ის ამ ტრადიციულ ფუნქციას დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისად ვერ ასრულებს. ცხადია, ცალკეულ გამონაკლისებს არ ვგულისხმობ. ვგულისხმობ საერთო ხასიათს ჩვენი დღევანდელი ხელოვნებისა და მწერლობისა. ის სამყაროა, რომელსაც ჩვენი დღევანდელი სიტყვაკაზმული მწერლობა ქმნის, უფიქრული, ულიმღამო, სუსტია. მიმზიდველი, მძლავრი სულის ადამიანები ჩვენს მწერლობაში დღეს არ არსებობენ. ვთქვათ ისეთი, როგორიც არის ვაჟას მინდია, ანდა აკაკის ჰაჯი-უსუფი. აგრეთვე, უარყოფითი, მაგრამ დიდი ფილოსოფიური სიღრმის შემცველი ლუარსაბ თათქარიძე... არაფერს ვამბობ ავთანდილზე და ა. შ.

დღევანდელ ლიტერატურაში მძლავრი პიროვნების გამოხატულებაა დათა თუთაშხია, მაგრამ როგორც გითხარით, გამონაკლისებს არ ვგულისხმობ, მხედველობაში მაქვს საერთო სურათი. გარკვეული თვალსაზრისით, ასახვა გულისხმობს ფოტოგრაფირებას მაშინ, როდესაც მწერალს შეუძლია, სრულიად არარეალური პიროვნება დახატოს, მაგრამ მასში (ეკრსონაუში) ჩადებული ფილოსოფია ჩვენთვის ძალიან ღირებული და მნიშვნელოვანი იყოს. შეუძლებელია ალბათ, წარმოვიდგინოთ ისეთი კაცის არსებობა, როგორიც არის მინდია, მაგრამ, სამაგიეროდ, მასში არსებული დიდი სიკეთე, ჰუმანიზმი, ყველა ადამიანისათვის მიმზიდველია. ამაშია მწერლის ძალა. თორემ სინამდვილეშ შეიძლება ჩვეულებრივი ფილოსტერი შემოგვთავაზოს და მან ვერაფერი ვერ შეგვძინოს. ზუჩინაც გამიგონია, რომ რეალური სინამდვილე არ იძლევა ძლიერი პიროვნების დახატვის საშუალებას. ცხოვრებაში ადარ არსებობენ სულით უდრეკი ადამიანები და ამიტომ ლიტერატურაშიც გაკრნენ ისინი. ეს აზრი მართალი იქნება, თუ ჩვენ გავიზიარებთ შეხედულებას — მწერლობა და ხელოვნება სინამდვილის ასახვაა. მაგრამ, თუ ჩვენ ვაღიარებთ შეხედულებას, რომ ხელოვნება-ლიტერატურა ახალი, ილუზიური სინამდვილის შექმნაა, მაშინ მწერალს, ხელოვანს სრული უფლება აქვს მის მიერ შექმნილი სინამდვილე იმგვარი ადამიანებით დაასახლოს, როგორიც მას მიაჩნია მიზანშეწონილად. რა ბევრი მტკიცება უნდა იმას, რომ ესპანეთის რეალური სინამდვილეში არ არსებობდა დონ-კიხოტი. მაგრამ სერვანტესის ნიჭმა ინება მისი შექმნა და შექმნა. ახლა დონ-კიხოტი მოგზაურობს მსოფლიოში და ასე იმოგზაურებს მარად, ნაბიჯ-კაცობრობა იარსებებს. ვინ ჩამოთვლის რამდენმა მწერალმა აღწერა ზუსტად სერვანტესის დროინდელი ესპანეთის სინამდვილე, მაგრამ ვის ახსოვს ისინი დღეს? ერთი სიტყვით, მთავარი ის არის, რა გვამდიდრებს, რა გვაწიგნებს სულიერ სიღიადეს, რა იწვევს ჩვენში ემოციურ აღტკინებას, ამალებას, ფოტოგრაფირების, ასახვის დროს ეს არ ხდება. დღეს კი, აუცილებელია იმ ფილოსოფიური სიღრმის შექმნა ჩვენს ლიტერატურაში, რაც დამახასიათებელი იყო ჩვენი მწერლობისათვის უძველესი დროიდან დღემდე. თუ ჩვენ თვალს მივადევნებთ ამ მიმართულებით ჩვენს მწერლობას, შეიძლება დაგვენახა კიდეც გათიშვა ძველ და ახალ ლიტერატურულ სამყაროს შორის. რა თქმა უნდა, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, ვინ ქმნის და რა ქმნის ლიტერატურას. რენუარისათვის უკითხავთ ერთხელ: რა არის ხელოვნებაში მთავარი — რა თუ როგორ? რენუარის პასუხი ასეთი გახლავთ: მთავარია ვინ?

როცა რაიმე მხატვრულ მოვლენას კრიტიკულად ვუყურებთ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ არსებობს როგორც გარეგანი, ისე შინაგანი ცენზორი. მწერლის შიგნით რომ ცენზორი ზის, თვითონ უწევს მწერალს კონტროლს შემოქმედების პროცესში. კონტროლირებული შემოქმედება კი წარმოუდგენელია. შემოქმედება უნდა იყოს სრულიად თავისუფალი, მაშინ შეიძლება მან გამოიღოს ნაყოფი.

კორესპ. — და მაინც, თუ გამოყოფთ, რა ძირითადი ტენდენციები შეიმჩნევა, თქვენი აზრით 70-80-იანი წლების ქართულ პოეზიასა და პროზაში?

ა. ბაძრაძე — მართალი რომ გითხრათ, რაიმე განსაკუთრებული ტენდენციის გამოყოფა მიჭირს. შესაძლებელია, ეს ჩემი ბრალიც არის. ალბათ, ამას უფრო ღრმა დაკვირვება და ანალიზი სჭირდება. თუმცა, სწორედ ის არის ყველაზე უფრო დამაფიქრებელი, რომ არ ჩანს ისეთი აშკარა სიახლე. როგორიც მე-19 საუკუნეში თერგდალეულთა თაობამ მოიტანა. ეს ვითარება უთუოდ უნდა შეიცვალოს, სხვანაირად მოეწყოს ყველაფერი. აუცილებელია უფრო მეტი დაფიქრება, მეტი ანალიზი იმ სინამდვილისა, რომელშიც ვცხოვრობთ.

ცხოვრება ერთ ადგილას არ დგას, მას ვერავინ გააჩერებს. ის თავისთავად ვითარდება. ლოგიკურად მიდის წინ. თუ ამას ადამიანმა თვალსაჩინო არ ადევნა, შეიძლება ჩამორჩეს. არა მგონია, რომ ჩვენ ყველა იმ საჭირბოროტო საკითხს ვცემდეთ პასუხს, რასაც ცხოვრება სვამს. არა მგონია, რომ ჩვენ ყველაფერს ვაანალიზებთ — რა ხდება, რატომ და რისთვის, რო-

დესაც ამის ანალიზი გაკეთდება, რა თქმა უნდა, ახალი ტენდენციები, ახალი მიმართულებები, ახალი აზრიც გაჩნდება, თვალსაჩინოც იქნება ეს და თვალშისაცემიც. ჯერჯერობით კი ამ მხრივ, როგორც წელან მოგახსენეთ, ერთფეროვან, ულიმდამო სურათს ვხედავ. ცხადია, ეს ბევრი რამით უნდა იყოს გაპირობებული, რაც აუცილებლად მოითხოვს ჩვენგან ახსნას, ამოცნობას.

დღევანდელი ქართული მწერლობა არ გვაძლევს იმ იდეალს, რომლისკენაც ჩვენი საზოგადოება უნდა მიისწრაფვოდეს. ჩვენი მწერლობა იმითაც იყო გამორჩეული, თავის დროზე, XIX საუკუნეში თუ უფრო ადრე, რომ ის გარკვეულ იდეალს ყოველთვის იძლეოდა. მწერლობის მიერ შექმნილი ილუზიური სინამდვილე არა მარტო კონკრეტული ფილოსოფიითი იყო სავსე, არამედ კონკრეტული პერსონაჟითაც, მათ დიდი მიმზიდველობა ჰქონდათ. ეს მიმზიდველობა იწვევდა საზოგადოების ემოციურ აგზნებას. ემოციური შემოქმედება კი საზოგადოებას ზრდიდა. ამ მხრივ ჩვენი მწერლობის გაჩქიტურება აუცილებელია. დღეს უფრო ის დამოკიდებულება იგრძნობა სინამდვილისადმი ან ადამიანის მიმართ, რომელიც ინდიფერენტიზმს უფრო ახასიათებს, ვიდრე აქტიურობას.

არის ერთი პრობლემა, რომელიც არ შეიძლება არ იყოს მწერლობის ღრმა დაკვირვების საგანი. საზოგადოება ყოველთვის წინ მიჰყავს ადამიანს, ვისაც დიდი იდეალი ამოძრავებს, რომელსაც შეუძლია რაღაცისათვის თავის დადება, რომელიც იმეტებს ყველაფერს პირადულს სახალხოსათვის. ამას ლიტერატურაც ადასტურებს, რელიგიის ისტორიაც და საზოგადოებრივი ცხოვრებაც. ხოლო იმ ადამიანებს, რომლებიც ცხოვრებას, საზოგადოებას ცინიკურად, დაცინვით უყურებენ, არაფერი შეუქმნიათ. ვერავინ დაასახელებს ამ ქვეყნად ცინიკოსის მიერ შექმნილ რაიმე ღირებულებას. ყველა ღირებულება შექმნეს ის ადამიანებმა, რომელთაც დიდი რწმენა ჰქონდათ. უიდეალოდ ცხოვრება წარმოუდგენელია როგორც კონკრეტული პიროვნებისა, ისე მთელი საზოგადოების. ყველა ახალ თაობას მოაქვს ახალი იდეალი. ყველა ახალი თაობა ახალ ნამიჯს დგამს წინ, იდეალის გარეშე კი წინსვლა შეუძლებელია. არც უიდეალო თაობის მოსვლას ეკნება რაიმე სერიოზული ღირებულება. ამ ნიმუშების მიხედვით, რომლებიც დღეს ჩვენში იბეჭდება, მიჭირს დავასახელო რა არის ეს იდეალი. ბრალს არავის ვდებ, შეიძლება მე ვერ ვხედავ, მაგრამ მეკითხეთს კიდევ უფრო მეტად გაუჭირდება მისი დანახვა. ეს უკვე დამფიქრებელი ნაკლია.

• კორესპ. — ბატონო აკაკი, ახალგაზრდულ კრებულ „სათავეზე" გვინდოდა თქვენი აზრის გაგება.

მასში დაბეჭდილ თითქმის ყველა ნაწარმოებს აერთიანებს ერთი ძირითადი ხაზი, ეს ყველაფერის მარტოობის გრძნობა. ამას გარდა, მასში ნაკლებად არის ადამიანების სიყვარული, მათდამი ლტოლვა. რამდენად ორგანულად გეჩვენებათ ეს ქართული მწერლობისათვის? სიდან იღებს სათავეს?

ა. ბაძრაძე — ამ კრებულში მართლაც შეინიშნება ერთგვარი სეედანი განწყობილება. პერსონაჟებსაც და იმ ახალგაზრდა ავტორებსაც, რომელთა ნაწარმოებებიც — „სათავეშია" დაბეჭდილი, თითქოს მარტოობის განწყობილება დაუფლებიათ, თითქოს განდეგილად გრძნობენ თავს. რა თქმა უნდა, ამას აქვს თავის საფუძველი. ეს საფუძველი ორგვარი შეიძლება იყოს. პირველი შედარებით უბრალოა და მალე წარმავალი. ეს გახლავთ ის, რომ ახალგაზრდა კაცს უუვარს მარტოობით პრაქტიკა, ფიქრობს, რომ ეს აზროვნების სიღრმეს ნიშნავს. მისი ცხოვრების სიმწიფეს მოასწავებს. თუ ასეა, მაშინ ეს მალე გაიკვლის და ამაში საგანგაშო არაფერია. ეს პერიოდი ყველა ჩვენთაგანს გაუვლია. ახალგაზრდა ამას მალე ხვდება და მერე ჩვეულებრივ აგრძელებს საქმიანობას. მაგრამ არის მეორე საფუძველი, რომელიც საშიშია და ძნელად დასაძლეი. თუ „სათავეს" ავტორების მარტოობის განწყობილება გამოწვეულია გენეტიკური შიშით, რომელიც თიეული წლების მანძილზე ინერგებოდა, მაშინ ჩვენ ურთულეს პრობლემასთან გვაქვს საქმე. გენეტიკური შიშით დაბადებული უიმედობა ძნელი აღმოსაფხვრელია. ამას თაობები სჭირდება, თაობები — გაზრდილი თავისუფლად, რწმენით, იდეალით.

კორესპ. — თქვენი საუბრიდან გამომდინარე, ალბათ, უფრო უარყოფით პასუხს უნდა მოველოდეთ, მაგრამ მაინც გვინდა გაოთხოთ, ბოლოს გამოკვეყნებულმა რომელიმე ნაწარმოებმა თუ მიიქცია ამ თვალსაზრისით თქვენი ყურადღება?

ა. ბაძრაძე — სამწუხაროდ, არა.

კორესპ. — ბატონო აკაკი, ჩვენი ყურადღება მიიპყრო თქვენს მიერ ზნეობრივი გმირის ახლებურმა დანახვამ. მხედველობაში გვაქვს თქვენი წერილი „ულრისებო კაცი". ამ მიმართულებით, თქვენი აზრით ბევრი რამ ხომ არ არის კიდევ გადასაფასებელი?

ა. ბაძრაძე — მე მიმაჩნია, რომ ყველაფერი, რაც შექმნილია არა მარტო 1921 წლიდან დღემდე, არამედ უფრო ადრეც, თუ გნებავთ მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში — ყველაფერი არსებითად თავიდანაა შესასწავლი. არა, იმიტომ, რომ ამ მიმართულებით არაფერი გაკეთებულა; ბევრია გაკეთებული, სერიოზული და საინტერესო, მაგრამ მაინც თავიდან არის შესასწავლი იმის გამო, რომ ჩვენ ჯერ ერთი, როგორც წელან აღვნიშნეთ, გამოვდიოდით

მცდარი თვალსაზრისიდან — ლიტერატურა და ხელოვნება ცხოვრების ასახვაა. მეორეც — გვქონდა ტენდენციური დამოკიდებულება ლიტერატურის მიმართ. კერძოდ, ლიტერატურაში აღწერილ მოვლენებს განვიხილავდით სოციოლოგიური თვალსაზრისით. ამან მოგვისპო საშუალება, ლიტერატურული მოვლენები შეგვეფასებინა ესთეტიკურად, მხატვრულად და ა. შ.

სწორედ ამის გამო გადახედვა და ახლებურად გაშუქება სჭირდება ყველა იმ მხატვრულ მოვლენას, რასაც ჩვენი მწერლობა ხელოვნება ქმნიდა. ხშირად საბჭოთა პერიოდში იწერებოდა ნაწარმოებები საგანგებო შეკვეთით, რასაც ეროვნებაგანდიდებული დანშნულება ჰქონდა. მართალია, მათ არავითარი კავშირი არა აქვს მხატვრულ ქმნილებებთან, მაგრამ მკითხველის დაჩლუნგების ფუნქციას ისინი ასრულებდნენ. თუმცა, ამან არ უნდა შეგვაშინოს. არსებობს უდიდესი, უცდომელი და მოუქრთამავი მსაჯული — დრო. იგი მოხვეტავს ყველა უნიჭოს და სანაგვეში გადაუძახებს. დარჩება ის, რაც ღირებულია, მშვენიერია, ამაღლებულია. ასე ხდებოდა ყოველთვის და ასე მოხდება მომავალშიც. საბუთად ჩამოგითვლით იმ რომანებს, რომელნიც მე და ჩემს თაობას ახალგაზრდობაში წაუკითხავს, და წაგიკითხავთ თუ არა რომელიმე მათგანი და შეგიძლიათ თუ არა მათი ავტორების დასახელება — „გადასასვლელი", „ქვა და რკინა", „დაფანტული ფურცლები", „სართულები", „ვარდნილი", „ჩაი", „აბესალომ მუხიგული", „მამამ გამომგზავნა" და სხვანი. როცა თქვენ ჩემი ხნის იქნებთან, ასევე დაუსახელებთ მაშინდელ ახალგაზრდებს ბევრ თხზულებას, რომელსაც დღეს გატაცებით კითხულობთ და აღმოჩნდება, რომ იმათ არაფერი არ იციან. ასეთი „ულმობელია" დრო. იგი ადამიანების გონებას ასუფთავებს.

რატომ გავიხსენე მე ზემოთ ჩამოთვლილი ნაწარმოებები? ყველაფერი, რაც იწერება, ეპოქის სურათია, დროის სულს გამოხატავს, ამდენად მათ, როგორც დოკუმენტებს, დიდი მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ — რასა აქვს დოკუმენტის ღირებულება და რას მხატვრული. ამიტომ მათ სხვადასხვაგვარი შეფასება სჭირდება. ჩვენ არა გვაკვს შეფასებული ისეთი მწერალი, როგორიც არის მიხეილ ჯავახიშვილი. იგი შეუსწავლელია თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ მას აღმოაჩნდა წინასწარმეტყველის ნიჭი. მ. ჯავახიშვილმა თავის რომანებში არსებითად იწინასწარმეტყველა ის, რაც შემდეგ მოხდა, კერძოდ, უნიათო ინტელიგენციის გაჩენა თეიმურაზ ხევსოთაგის სახით, რომელსაც თავის დაცვაც კი არ შეუძლია, არა თუ სხვისთვის ხელის გამოღება; მან იწინასწარმეტყველა ხელისუფლებაში ისეთი ტიპების ბატონობა, რაც გორიც არის ჯაფო და ბევრი სხვა რამ.

ახლებურად უნდა შევისწავლოთ ნიკო ლომოური, თქმანიძე, კონსტანტინე გამსახურდია და ბევრი სხვა.

ბევრია დაწერილი, მაგრამ მთელი სიღრმით არ არის დანახული ისეთი დიდი პოეტი, როგორიც არის გალაკტიონ ტაბიძე. ასე, რომ ამ მხრივ უამრავი სამუშაოა. ამასთანავე, ზოგიერთი მხატვრული ნაწარმოები სრულიად სხვაგვარ ახსნა-განმარტებას მოითხოვს. სრულიად სხვა კუთხით მიწოდებაა საჭირო მკითხველისათვის; ეს მომავლის პრობლემებია, მაგრამ ხანდაზმულმაც და ყმაწვილმაც ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ის სიმდიდრე, რომელიც ჩვენ გვაქვს, არ დარჩეს მიჩქმალული, ყველასათვის მისაწვდომი და გასაგები იყოს, ამდენად, მე მგონია, რომ ჩვენი მწერლობის დიდი სიმდიდრე ჯერ-ჯერობით დამალული გვაქვს ჩვენდაუნებლიეთ.

შესასწავლია ისიც, თუ როგორ აისახა მე-20 საუკუნის ქართულ მწერლობაში მარადიული პრობლემები: სიყვარული და სიძულვილი, პატიება და შურისგება, სიკეთე და ბოროტება, მადლი და ცოდვა და ა. შ. ამის შესახებ ჯერ-ჯერობით თითქმის არაფერი დაწერილა.

კორესპ. — ბატონო აკაკი, ამ თვალსაზრისით, ალბათ, ყველაზე ძნელი იქნება დადგენილი ნორმების, აი, როგორც ვთქვათ, მექი ვაშაკიძის შემთხვევაში იყო, ამის შეცვლა.

ა. ბაბრანაძე, რა თქმა უნდა, ძნელი იქნება. თუნდაც იმიტომ, რომ ყოველგვარი სტანდარტული ფორმულა ადამიანის თავში დიდხანს რჩება და მათგან გათავისუფლება უჭირს ყველას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ იმისთვის, რომ ეს ყველაფერი დაიშალოს და სრულიად ახლებურად წარმოდგეს ის, რაც გვაქვს.

„კოლხეთის ცისკართან" დაკავშირებით მე უკვე გამოვთქვი ჩემი აზრი. თქვენც დასახელეთ ამ საუბარში ეს წერილი — „უღირსებო კაცი". ამ მხრივ ლაპარაკის გაგრძელება აღარ ღირს. დავამატებ მხოლოდ იმას, რომ თუ „კოლხეთის ცისკარს" ისე წაიკითხავთ, მაშინ იგი უაღრესად მნიშვნელოვანი მხატვრული დოკუმენტია ეპოქისა. ამგვარი თავიდან წასაკითხი თხზულების ბევრი ნიმუშის დასახელება შეიძლება. ქართული საბჭოური ლიტერატურიდან. მაგრამ მთა რკალში არ შეიძლება შევიტანოთ „გვადი ბიგვა". განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ფინალს. როდესაც გვადი ბიგვა არჩილ ფორიას მოკლავს, მთელი სოფელი მორბის შემთხვევის ადგილას და მათ შორის — გვადი ბიგვას ბავშვებიც. აქ გვადი მარიამს ეუბნება: სისხლი არ დაანახოთ ბავშვებს, სისხლი. ეს ფინალი სრულიად სხვაგვარად წარმოაჩენს იმას, რაც „გვადი ბიგვაში"

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიბადა. აქ არის სწორედ გვადი ბიგვა ამაღლებული. ამ უქნარა და არაფრისგამკეთებელი კაცის სულში უკეთილშობილესი პიროვნება აღმოჩნდა, მას არ უნდა სისხლი დაინახონ მისმა შვილებმა, არ უნდა დაინახონ ის ტრაგედია, რომელიც მას ნებით თუ უნებლიედ შეემთხვა. აი, ეს არის ამ ნაწარმოებში მთავარი. არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ ქალს, რომელსაც გვადი ბიგვა მიმართავს, მარიამი ჰქვია სახელად. ეს არ არის შემთხვევითი. ლეო ქიაჩელი უდიდესი ოსტატი იყო პერსონაჟებისათვის, სახელების დარქმევისა. გვადი ბიგვას სხვა სახელს ვერაფრით ვერ შეურჩევ. ვერც უჯუშ ემხას. ემხა ამ გვარის აფხაზური ფორმაა. მისი ქართული ფორმა ემხვარია, მაგრამ ვერაფრით ვერ იტყვით უჯუშ ემხვარი. იგი აუცილებლად ემხა უნდა იყოს. მაგრამ ასევე არაფრით არ შეიძლება თქვათ თარაშ ემხა (კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცება"). თარაში უთუოდ და უთუმცაოდ ემხვარია. ჰაკი ამბავ ამგვარადვე მონოლითურად შეკრული სახელი და გვარია. როგორც უნდა მოინდომოთ, მას ვერ დაშლით. პერსონაჟის სახელისა და გვარის ასეთი ზუსტი შერჩევა, ნიჭიერებასთან ერთად, დიდი მხატვრული კულტურის გამოვლენაა. დიდად სამწუხაროა, რომ დღევანდელ პროზაში ეს კულტურა იკარგება.

კორნესპ. — ახლებურად გაშუქების პრობლემა, ალბათ, განსაკუთრებული სიმწვავით სკოლებში დადგება?

ა. ბაძრაძე — რა თქმა უნდა...

კორნესპ. — შესწავლას თუ ამდენი ხანი მოუნდა, წარმოვიდგენოთ რამდენი დრო დასჭირდება სახელმძღვანელოს შედგენას და მერე იმის დაწერგვას სკოლაში?

ა. ბაძრაძე — სახელმძღვანელოების პრობლემა, საერთოდ, ურთულესი პრობლემაა. სახელმძღვანელოს დაწერა ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე გამოკვლევისა, თუნდაც იმიტომ, რომ როცა სახელმძღვანელო იწერება, ყველა საკითხი, მონოგრაფიულად უკვე უნდა იყოს შესწავლილი. სახელმძღვანელოში ყველა აზრი ძალიან მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული. ის ახალგაზრდას გასაგებად და მკაფიოდ უნდა მივაწოდოთ. ამ მხრივ ჩვენ ძალიან დიდი სიძნელის წინაშე ვდგავართ. სახელმძღვანელოები არ იცვლება. ეს სწორედ იმის ბრალია, რომ ურთულესი საქმეა სახელმძღვანელოს დაწერა. შესაძლებელია ძალიან ნიჭიერი ლიტერატორი იყოს ადამიანი, მაგრამ სახელმძღვანელო მან ვერ დაწეროს. სახელმძღვანელოს ავტორს ერთნაირად უნდა ჰქონდეს პედაგოგის, მეცნიერის და მწერლის ნიჭი. სახელმძღვანელოს უნდა ჰქონდეს ესთეტიკური ღირებულებაც, შემეცნებითიც და პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურიც.

კორნესპ. — ძალიან შორეულ მომავალში ხომ არ გადაიწევს ამ საქმის მოგვარება?

ა. ბაძრაძე — სიძნელემ არ უნდა შეგაშინოს. ჩვენ შეძლებისდაგვარად უნდა ვეცადოთ ყველაფრის გაკეთებას. მერე უფრო ნიჭიერი ადამიანები მოვლენ და ისინი უკეთ გააკეთებენ. ჩვენ ჩვენი ვალი უნდა მოვიხადოთ, თუნდაც იმიტომ, რომ წინა კაცი უკანას ხიდია.

კორნესპ. — ხომ შეიძლება სკოლაში ამა თუ იმ მხატვრულ ნაწარმოებზე მოსწავლეებს სხვადასხვაგვარი აზრი მივაწოდოთ?

ა. ბაძრაძე — შეიძლება, რატომ არ შეიძლება. მაგრამ აქ უკვე დიდ ოსტატობასა და მასწავლებელს. მან უნდა მიაწოდოს ეს განსხვავებული აზრები ისე, რომ მოწაფეს შესაძლებლობა ჰქონდეს, თვითონ აირჩიოს რომელიც მოსწონს. ეს უკვე მასწავლებლის ოსტატობაზეა დამოკიდებული.

საერთოდ, ლიტერატურის, ფილოსოფიის, ისტორიის სწავლებისას ერთი აზრის აკვიატება მიუღებელია. ეს ადამიანის გონებრივ სამყაროს აღარიბებს. ადამიანი მრავალ აზრს უნდა იცნობდეს, რომ მერე მან თავად აირჩიოს ის, რაც მისთვის უფრო მისაღებია. მე რომ მკითხოს კაცმა, სკოლა ვერ მისცემს ახალგაზრდას ცოდნას. ცოდნაში იმდენი რამ იგულისხმება, რომ ის არ შეიძლება მოთავსდეს რომელიმე ერთ სახელმძღვანელოში ან იმ პერიოდში, რომელიც სკოლაში უნდა გაატაროს ახალგაზრდა კაცმა. სკოლამ უნდა განუვითაროს მოსწავლეს აზროვნების უნარი, ასწავლოს მეცნიერების საყვარული. მერე მოწაფე თვითონ შეიძენს ცოდნას, თუ რაიმე არსებითი ნაკლი აქვს ჩვენს სკოლას, სწორედ ის არის, რასაც ცოდნის საყვარულის ვერჩაენერგვა ჰქვია. აი, ამ უმძიმეს მანკიერებას უნდა დაალწიონ სკოლამ როგორმე თავი.

კორნესპ. — ბატონო აკაკი, სიტყვა მასწავლებლეზე ჩამოვარდა და ბარემ აქვე ვთქვათ პედაგოგიკაში ნოვატორობაზე. როგორია თქვენი აზრი?

ა. ბაძრაძე — მართალი გითხრათ, მე დიდი მცოდნე არ გახლავართ პედაგოგიკისა და უხერხულიც კია ჩვენგან ამ საკითხზე მსჯელობა, მაგრამ შემიძლია შემდეგი მოგახსენოთ: მე ვფიქრობ რომ დღევანდელი სკოლა თავისი სტრუქტურით, თავისი შინაარსით, თავისი აღნაგობით აღარ შეეხაბამება ჩვენ დროს. იგი მოძველებულად გამოიყურება. უკვე მიუღებელია კოლექტიური სწავლების ის მეთოდი, რომელიც დღეს სკოლაში ბატონობს, როცა ერთ კლასში 30-40 მოწაფე ზის, ურთიერთობა მოწაფესა და მასწავლებელს შორის უფრო ინტიმური უნდა გახდეს, უფრო ვიწრო წრეში უნდა მიმდინარეობდეს სწავლება. ეს ერთი, მეორეც: სკოლა აუცილებლად უნდა გათვი-

სუფლდეს ინ ტკირთისაგან, რომელიც დღეს აწევს. დღეს მოსწავლეები იძულებული არიან უამრავი საგანი უზარმაზარი სახელმძღვანელოებით ისწავლონ. რა საჭიროა, მაგალითად, რომ ყმაწვილმა, რომელიც ფიზიკას კარგად სწავლობს, აუცილებლად ისტორიაც კარგად ისწავლოს და პირიქით. რა საჭიროა, თუ მოწაფე ქიმიაში წარჩინებულია, გეოგრაფიაშიც წარჩინებული იყოს? რატომ ვიძულებთ ბავშვებს ყველა საგანი ფრიადზე ისწავლონ? სინამდვილეში ბომ ეს შეუძლებელია? მაშასადამე, ვიძულებთ მასწავლებელსაც და მოწაფესაც ეყალთაბანდონ. განა არსებობს რომელიმე გამოჩენილი მეცნიერი, რომელმაც მეცნიერების ყველა დარგი იცის? ასეთები არ არსებობენ. სკოლაში მოწაფეები რატომ უნდა იყვნენ ამგვარ ულელეკვეშ? სრულიად გაუგებარია. ჩვენ 10-11 წლის მანძილზე მოწაფეს ვასწავლით თითქმის ყველაფერს და სინამდვილეში კი არაფერს. ყველა საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ფაქტიურად არის წერა-კითხვის მცოდნე. ამიტომ ჩვენ აუცილებლად უნდა გავათავისუფლოთ ჩვენი ბავშვების გონება იმ მძიმე ტვირთისაგან, რომელსაც დღეს ატარებენ. მაშინ სწავლაც უფრო ლაღი გახდება. ისიც უნდა გითხრათ, რომ ჩემთვის სრულიად გაუგებარია რატომ ვებრძვით რეპეტიტორობას. თუ რეპეტიტორი წესიერი კაცია, მას დიდი პატივისცემით უნდა მოვეკცეთ, რადგან ის აძლევს ახალგაზრდას ჭეშმარიტ ცოდნას. თუ ის თაღლითია, მაშინ სხვა საქმეა. თაღლითი უნდა გამოვარჩიოთ წესიერი ადამიანისაგან, დავსაჯოთ კიდეც, მაგრამ რეპეტიტორობა, როგორც მოვლენა, არ უნდა უარვყოთ.

 კორესპ. — ალბათ, სკოლის ფუნქციის დაკნინების ფონზე გამოჩნდა მაინც რეპეტიტორობა საშიშ მოვლენად...

ა. ბაძრაძე — თუკი სკოლამ ფუნქცია დაკარგა, ეს რეპეტიტორის ბრალი არ არის. ამაზე ვიფიქროთ — რატომ დაკარგა სკოლამ ფუნქცია. ბავშვს აქვს ინსტინქტი და ის ყველაფერს ხვდება. როდესაც ბავშვი რაღაცაზე უარს ამბობს, ამას ძალიან სერიოზული დაფიქრება სჭირდება. როდესაც მას რაღაც არ აინტერესებს, უნდა მივხვდეთ, რომ ის აშკარად უინტერესოა.

უფროს თაობას ხელმძღვანელობის პრეტენზია აქვს. მაგრამ ერთი რამ ავიწყდება: რომ უხელმძღვანელო, ძალიან კარგად უნდა გესმოდეს იმისი, ვისაც ხელმძღვანელობ. სამწუხაროდ, ჩვენ ჩვენი ბავშვების არ გვესმის. ვერ გავიგეთ, რომ დრო და გარემო შეიცვალა. ახლა ჩვენს ბავშვებზე ჩვენ კი არ ვახდენთ გავლენას, არამედ უცხოეთი. ტელევიზიამ, ვიდეომ, ინფორმაციის სხვა წყაროებმა (თუნდაც უცხოეთიდან შემოტანილმა წიგნებმა, ჟურნალებმა) დაიწყეს ჩვენი ახალგაზრდობის ცნობიერების ჩამოყალიბება. ჩვენ ალარ შეგვიძლია უცხოური გავლენის წინააღმდეგობა. ვალიარებთ ეს. ალარ შეგვიძლია იმიტომ, რომ უცხოური გავლენის წინააღმდეგ ბრძოლას ჩვენ დამალვით, ტყუილით, მიჩქმალვით ვეწეოდით. ახლა, თანამედროვე ინფორმაციის წყაროებმა შეუძლებელი გახადა დამალვა, ტყუილი, მიჩქმალვა. ჩვენ ხელცარიელი დავრჩით. ნამდვილი ბრძოლა სხვაგვარად უნდა ხდებოდეს: მოვიდა უცხოეთიდან ტანსაცმელი, უკეთესი უნდა დაახვედრო. მოვიდა მუსიკალური ნაწარმოები, უკეთესი უნდა დაახვედრო, მოვიდა ფილმი, უკეთესი უნდა დაახვედრო და ა. შ. ჩვენ ეს არ შეგვიძლია. ყველაფერი იმათი ჩვენსას სჯობს. ბავშვები ამას თვალნათლივ ხედავენ. ჩვენ კი ჩავჩიჩინებთ — გინდა თუ არა, დაიჯერეთ, ჩვენ უკეთესები ვართო. ამას რომ ხედავენ და ისმენენ ჩვენი ბავშვები — მათ ვეცოდებიო კიდეც ჩვენ და ჩვენს უმწეობასაც ნათლად ხედავენ. ამის გამო უფროსი და უმცროსი თაობა გაითიშა. შვილებმა მამების რწმენა დაკარგეს. სანამ ამას ღრმად არ გავაცნობიერებთ, ვერ ამოვავსებთ იმ ხვეს, რომელიც ჩვენსა და ჩვენს შვილებს შორის გაჩნდა. სკოლამაც ამის გამო დაკარგა ავტორიტეტი.

კორესპ. — ბატონო აკაკი, თქვენ მრავალ მტკივნეულ საკითხზე ისაუბრეთ, მაგრამ რა მიგაჩნიათ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის ყველაზე უფრო საჭიროთოროვნად, პირველ რიგში მოსაგვარებელ პრობლემად?

ა. ბაძრაძე — ბევრი რამ არის, რაც ჩვენი საზოგადოების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. რა მძიმეც უნდა იყოს ამის თქმა, მაინც უნდა გითხრათ; დღევანდელი საქართველო, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩამორჩენილი ქვეყანაა. ისეთი პატარა ქვეყნების ფონზე, როგორიცაა ფინეთი, ნორვეგია, დანია და სხვები, ჩვენ ძალიან ჩამორჩენილად გამოვიყურებით. ამ სამწუხარო ფაქტზე არავინ წერს, არავინ ეძებს გზებსა და საშუალებებს, რომ ჩვენ ამ მდგომარეობიდან გამოვიდეთ. ეს ერთი მთავარი პრობლემათაგანია, რომელიც უნდა აწუხებდეს ყველას — მთავრობასაც და საზოგადოებასაც. თუ ეს მდგომარეობა გაგრძელდება, არ არის გამორიცხული რომ ამ ჩამორჩენილობიდან თავი ვეღარც დავაღწიოთ. დაგროვდება იმდენი პრობლემა, რომ ვეღარ მოვახერხებთ მათ მოგვარებას. უკვე განგაშის ატეხვაა საჭირო. ერთ კონკრეტულ საკითხს შევეხები. ეს გაბლავთ ის, რასაც უწოდებენ კომპიუტერიზაციას (დიახ, კომპიუტერი და არა კომპიუტერი, როგორც პრესაში წერენ). ეს არის მოვლენა, ურომლისოდაც დღევანდელი საზოგადოების არსებობა უკვე შეუძლებელია. დღეს კომპიუტერი ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენაა ადამიანის ცხოვრებაში, როგორც ტელეფონი.

ჩვენთვის კი ეს ჯერ შორეული ოცნებაა, კომპუტერიზაციის მიმართულებით სასწრაფოდ უნდა გადაიდგას ნაბიჯი წინ. ამაზე ბევრიც იწერება და, ალბათ, კეთდება კიდეც. მაგრამ უნდა დავსვათ კითხვა: როცა მართლა დაიწყება კომპუტერიზაცია, რა ენაზე იმუშავებენ კომპუტერები? ამ კითხვას ტყუილად არ ვსვამ. ჩვენ არ გვაქვს უბრალო, ხელით საბეჭდი მანქანების მრეწველობაც კი. კუსტარული მეთოდით ვცვლით რუსულ ასოებს ქართულით და ასე ვიყენებთ მათ. კომპუტერი რთული მანქანაა. მას ამგვარი კუსტარული ხერხით ვერ გადაკეთებ. მაშასადამე, აუცილებელია საკომპუტერო მრეწველობის შექმნა ჩვენში. თუ ეს არ მოხდა, თუ ქართულად მეტყველი კომპუტერები არ შეიქმნა, არსებითად ქართული სკოლა, ქართული უმაღლესი სასწავლებელი ფუნქციას კარგავს. ფიქრობენ, ზრუნავენ ამაზე ჩვენი მეცნიერები? არ ვიცი. ამის თაობაზე ჯერჯერობით არსად არაფერი წამიკითხავს, არადა, ეს გადაუდებელი საქმეა თუ ეს პრობლემა არ მოვაგვარეთ, თანამედროვე ტექნიკამ შეიძლება გააკეთოს ის, რაც ვერცერთმა დამპყრობელმა ვერ გააკეთა: ქართული ენა გადაიქცეოს პატუა-ენად (შინსახმარ ენად).

კორესპ. — ბატონო აკაკი, როდესაც თანამედროვე პრობლემებზე ვსაუბრობთ, იქნებ იმაზედაც მოგვახსენოთ, როგორია თქვენი აზრი დღეანდელ ვითარებაში წარმოჩენილი სიახლეების შესახებ, თქვენი დამოკიდებულება თუნდაც უთუოდ გამოცოცხლებული, განსაკუთრებით საკავშირო პრესის მიმართ. რას ხედავთ სინტეზურესა და რა მიგაჩნიათ მიუღებლად?

ა. ბაკრაძე — რა ოქმა უნდა, აუცილებელია გულადღილი საუბარი და სსრკ-ის უახლესი წარსულის ყოველმხრივი შესწავლა. მისი კარგიცა და ავიც ჩვენება. მაგრამ ეს იმ შემთხვევაში მობერდება, თუ შურისძიების გრძნობისაგან იქნებიან ადამიანები თავისუფალნი. სიტყვა „შურისძიებაზ" შემთხვევით არ მიხსენებია. რაც თავის დროზე ხრუშჩოვმა გააკეთა, ეს იყო წმინდა წყლის შურისძიება და არა რაიმეს გამოსწორებისათვის ჩადენილი საქციელი. ჯერ ერთი, ხრუშჩოვს არ ჰქონდა სტალინის კრიტიკის უფლება იმიტომ, რომ იგი მონაწილე იყო ყველა იმ საქმეს, რასაც სტალინი აკეთებდა. თუ ის, რასაც სტალინი აკეთებდა, ბოროტმოქმედება იყო, ხრუშჩოვი ამ ბოროტების უაქტიურესი მონაწილე იყო. მაგრამ ხრუშჩოვს, როგორც თავად აღიარა, სტალინი ამხსნარავებდა, ამამპულებდა. სიცოცხლეში ვერაფერი გაუბედა, რაკი ხრუშჩოვი სტალინის ყურმოჭრილი ყმა იყო. როცა სტალინი გარდაიცვალა, მაშინ იშოვა დრო და დაგროვილი ბოღმა ამოანთხია. ბოღმით გონდაკარგული ადამიანი კეთილს ვერ გააკეთებს მეორეც, ხრუშჩოვი, როცა ძალაუფლება ჩაიგდო ხელში, ძველებურად აგრძელებდა მის მიერ „უარყოფილ" გზას. ეს ... წლის მარტში თბილისში გაუუფა უდანაშაულო ბავშვები, იმავე წლის სისხლში ჩაახრჩო უნგრეთის ამბოხება, მოაწყო პასტერნაკის რბევა და დევნა, მოკაწდაკე ნეიზვესტნის წვერები წვდა და გაცოფებულმა ლამის მოგლიჯა. ასეთი ქართველნი სიმართლისა და სამართლიანობის მქადაგებლად არ გამოდგება. ძველის უარყოფას და ახლის შექმნას წმინდა ხელები უნდა და არა სისხლში ამოსვრილი. ძველის უარყოფა და ახლის შექმნა მაშინ შეიძლება, როცა იმას გავაკეთებთ, რასაც ვამბობთ, თორემ თუ ერთი ვთქვით და მეორე ვაკეთეთ, ამით არაფერი შეიცვლება. ძველ საფუძველზე ახლის აშენება შეუძლებელია.

კორესპონ. — ჩვენი საუბრიდან გასაგებია, მაგრამ მაინც ვის უწოდებთ მამულიშვილს, როგორ ადამიანს?

ა. ბაკრაძე — რამდენიმე პიროვნებას დავასახელებ და გასაგები გახდება, როგორია ჩემი წარმოდგენა ერისკაცზე. ერისკაცები იყვნენ — გრიგოლ ხანთელი, ცოტნე დადიანი, სულხან-საბა ორბელიანი, თერგდალეულები, ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი... რა თქმა უნდა, არაფერს ვამბობ ისეთ გიგანტებზე, როგორიც იყვნენ დავით აღმაშენებელი და თამარი. თუ საქართველომ ყველაფერს გაუძლო და დღესაც ცოცხლობს, შრომობს, ქმნის, იბრძვის, ეს იმის შედეგია, რომ ჩვენი ქვეყნის არსებობა ეყრდნობა სამ ბურჯს — დავით აღმაშენებელს, თამარს და რუსთველს. ეს ზოგადად. ახლა მინდა, ერისკაცობის კუთხით შევეხოთ ერთ პრობლემას, რომელიც, ჭეშმარიტი ფიქრით, დაუყოვნებლივ მოითხოვს მოგვარებას. ეს პრობლემაა სამხრეთ საქართველოს ნასოფლარების, ნასახლარების, ნადაბარების აღდგენა-აღორძინება. ამჟამად არ არსებობს უფრო დიდი ეროვნული საქმე, ვიდრე სამხრეთი საქართველოს პრობლემის მოგვარებაა.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ სამხრეთ საქართველო იყო ქართული კულტურის გული. მარტო ის რად ღირს, რომ ამ მხრიდან იყვნენ დიდი მთაწმინდელები — იოანე, ეფვთიმე, გიორგი, შოთა რუსთველი და მრავალი სხვანი. ამ კუთხეში მოხდა კოხტასთავის შეიარქმელება. ამ კუთხეში შეიქმნა ქართული სამართლის დიდებული ნიმუშები, ხუროთმოძღვრების ძეგლები... ერთი სიტყვით, ბევრი მტკიცება არ უნდა იმას, რა მნიშვნელობა და დანიშნულება აქვს სამხრეთ საქართველოს მთელი ჩვენი სამშობლოსათვის. ამიტომ უპირველესი საქმეა ამ კუთხის აღორძინება.

ერი ყოველთვის არ უნდა უცდიდეს მთავრობის დადგენილებას, მის გადაწყვეტილებას. ხალხს თავად შეუძლია ბევრი რამის მოგვარება. შეიძლება გაგეკვირვოთ, მაგრამ სრულიად

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერიოზულად გეუბნებით: რამდენი კაცი იქნება დღეს საქართველოში, ვისაც უთვალავი ფული აქვს? დამერწმუნეთ, რომ ძალიან დიდია მათი რიცხვი. თუ გამოიყენებთ, ამ ფულიან ადამიანებს ,ბევრი დიდი საქმის გაკეთება შეუძლიათ. მაგრამ დუმან, ფულები გადამალული აქვთ, ეშინიათ, ყველას სატუსაღოში ჩაგვყრიანო. მართლაც ვიჭერთ, მაგრამ რა გამოდის ამ დაპატიმრებიდან? არაფერი. ისევ ძველებურად გრძელდება სახელმწიფო ქონების პარვა, ფლანგვა, ნაირნაირი კომბინაციები. ციხის შიშით არავის შეუწყვეტია საქმოსნობა. იქნებ სჯობდეს, ისინი რაიმე ეროვნულ საქმეში ჩავაბათ და უწესოდ ნაშოვნი ფული აუცილებელი და გადაუდებელი საკითხის მოსაგვარებლად დავხარჯოთ? მე რომ ამის უფლება მქონდეს, შეეკმნიდი სამხრეთ საქართველოს ახალორძინებლად მებრძოლ ქართველ საქმოსანთა ასოციაციას. რა გაცინებთ, თქვენ გგონიათ მათ პატრიოტული გული არ უძგერთ? უძგერთ, ოღონდ შიშის გამო ხმას ვერ იღებენ. გაათავისუფლეთ ისინი ამ შიშისაგან და ნახავთ — რას მოიმოქმედებენ. საქმეში ის კაცი უნდა ჩაება, ვისაც ფული აქვს, თორემ უფულო მარტო ლაპარაკით წაგვეჭამს თავს. ხომ ვიყენებთ ამ საქმოსნებს, მაშინ, როცა თბილისის ,,დინამოსათვის" რომელიმე ცნობილი ფეხბურთელის შოვნა დაგვჭირდებაა.. გამოვიყენოთ უფრო დიდი ეროვნული საქმისათვის.

ასე, რომ ის კაცი, ვინც სამხრეთ საქართველოს აღორძინების საქმეს ჩაუდგება სათავეში, და განახორციელებს კიდეც, უდიდესი ერისკაცი იქნება.

ისიც უნდა დავამატო, რომ, რაკი ახლა რუსთაველის საზოგადოება შეიქმნა, მისი უმთავრესი საზრუნავი სამხრეთ საქართველოს მოვლა-პატრონობა უნდა იყოს.

კორესპ. — დიდი ხანი არ არის, რაც კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ბრძანდებით. თუ გამოიკვეთა უკვე მომავალში რა მიმართულებით წარიმართება თქვენი მუშაობა?

ა. ბაძრაძე — მე ვთვლი, რომ ამაზე საუბრის უფლება მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მეკნება. ჯერ საქმე უნდა გაკეთოს კაცმა და მერე ილაპარაკოს.

კორესპ. — რა იქნება თქვენი მთავარი საქმელი ქართველი მკითხველის, განსაკუთრებით, ახალგაზრდობის მიმართ?

ა. ბაძრაძე — ჩვენ ყველანი ჩვენს ქვეყანას ვეკუთვნით. თითოეულმა თავისი ნიჭი და უნარი მთლიანად მას უნდა მოვახმაროთ. თუ თავის მოვალეობას ყველა პირნათლად მოიხდის, ეს ერის-სამსახური იქნება. მაშინ არსებული სინამდვილეც უკეთესი გახდება და საეროო საქმეც წინ წავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ ჯორჯაძე

დიმიტრი ყიფიანი

ქარი X.

ა.

აქ არის საზღვარი დიმიტრი ყიფიანის, ასე ვსთქვათ, თავად-აზნაურული ხასიათის მოღვაწეობისა. ამ მოღვაწეობის საფუძველი, როგორც ვიცით, ტახტისადმი უსაზღვრო ერთგულებაა. ყოველი სიკეთე აქედან გამომდინარეობს. და ეს სიკეთე, უწინარეს ყოვლისა, თავად-აზნაურობის საჭიროება-მოთხოვნილებათ სწვდებოდა. თავად-აზნაურობა სასოებით შეჰყურებდა მთავრობას, მისგან მოელოდა შველას და დახმარებას. მთავრობაც, შეძლებისდაგვარად, ამ შველას და დახმარებას აწვდიდა. და ეს იყო არა მარტო ვორონცოვის დროს, როდესაც არისტოკრატიული პოლიტიკა პრინციპი იყო მთავრობისა, არამედ შემდეგშიაც, ბატონ-ყმობის განთავისუფლების დროსაც, როდესაც თავად-აზნაურობას მიეცა ორი მილიონი ფული დასახმარებლად და უმწეო მდგომარეობის შესამსუბუქებლად. მთავრობა და ქართველი თავად-აზნაურობა ერთი-მეორისათვის საჭირო ელემენტებია, მთავრობა თავის ბატონობის გაძლიერებლად კავკასიაში და მის გარედაც თავად-აზნაურობის სამსახურით და ერთგულობით ჰსარგებლობს. თავად-აზნაურობა კი თავისი წოდებრივი პრივილეგიების დასაცავად მთავრობისაგან მოელის შველას. ასე მყარდება მტკიცე კავშირი. მაგრამ თანდათან გარემოება იცვლება. ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ, თავად-აზნაურობის კარჩაკეტილობა უნებლიედ ირღვევა, ცხოვრებაში ნელ-ნელა ახალი ძალა ისახება, ჩნდება ინტელიგენცია და ინტელიგენციის გაჩენასთან ერთად ეროვნული შეგნება იღვიძებს საზოგადოებაში. საზრუნავი ხდება ახლად გაღვიძებული ეროვნული ინტერესი. ინტელიგენცია თავისი შეგნებისა და ძალის მიხედვით ჰპატრონობს ამ საქმეს, რომლის შინაარსი გამოისახება სამშობლო ენის დაცვაში. სამშობლო ენის დაცვის ირგვლივ ჩნდება და მუშავდება ეროვნული პროგრამა. სხვაგვარ მოთხოვნაზე ლაპარაკი არ არის. წინად, თავადაზნაურულ პერიოდში, მთავრობა არ სდევნიდა ქართულ ენას. ახლა გარემოება იცვლება. მმართველობის სისტემა თანდათან იცვლება და მტრობას უჩენს ქართულ ეროვნულ იდეას.

რა პოზიციას იჭერს ამ შემთხვევაში დ. ყიფიანი? იგი გაბედულად დგება ეროვნულ ინტერესების ნიადაგზე და ღრმად არის დარწმუნებული, რომ აქაც, ამ საქმეშიაც ეროვნების მფარველი და მცველი თვითმპყრობელობითი რეჟიმია. ეროვნების წინააღმდეგ მხოლოდ ბიუროკრატიაა. და იგი განაგრძობს თავის წინანდელ ბრძოლას ბიუროკრატიის წინააღმდეგ. ხოლო თუ წინად მის დროშაზე ეწერა **თავად-აზნაურობა და თვითმპყრობელობა, ახლა აწერია: ქართული ეროვნება და თვითმპყრობელობა.** ქართული ეროვნება, თვითმპყრობელობასთან ვიწროდ დაკავშირებული, ერთი ბანაკია. მოხელენი, ბიუროკრატია — მეორე ბანაკია. თუ ბრძოლაა, ასეთი დანაწილება უნდა იყოს. და დიმიტრიც ამ გეგმის მიხედვით მოკმედებდა. მართალია, ჩვენ დავინახავთ დიმიტრი ყიფიანის მოღვაწეობის შემდეგის განხილვიდან, რომ თუ ბიუროკრატია იყო ჩვენთვის დიდი ბოროტება, ეს ბიუროკრატია პირმშო შვილი იყო განსაზღვრულ პოლიტიკურ სისტემისა, მაგრამ ეს აზრი, დღესაც ბევრისთვის გაუგებარი, იმ ხანაში სრულიად შეუგნებელი იყო. ამ შეუგნებლობას ხელს უწყობდა არსებობა ორი სხვა და სხვა მმართველობის სისტემისა, ვორონცოვის დროს ორმოცდაათიანებში და დონდუკოვ-კორსაკოვის დროს, ოთხმოცდაათიანებში. ერთი სისტემა ლმობიერების თვალით უცქერიოდა ქართულ ეროვნებას, მეორე სისტემა ებრძოდა მას. აქედან გამოჰყავდათ ის დასკვნა, რომ პოლიტიკური მმართველობის ფორმა აქ არაფერ შუაშია, საქმე

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი" № 4, 5, 6.

მოხელენი და ბიუროკრატიაა, თვითმპყრობელობას სიკეთე უნდა, ბოროტი მოხელე კი ამ სიკეთეს ორმოს უთხრის, მაგ. თვითმპყრობელობის სახელით მოხელეობის წინააღმდეგ ბრძოლაა საჭირო. ეს არის პოლიტიკური პროგრამის შინაარსი. და სწორედ ეს იყო დიმიტრის პროგრამაც მის მოღვაწეობის მეორე პერიოდში. ხოლო, რათა ნათელი იყოს ის ღრმა განსხვავება, რომელიც აღმოჩნდა ორ ეპოქათა შორის, ვორონცოვისა და დონდუკოვ-კორსაკოვის დროთა შორის, ორმოცდაათიან და ოთხმოცდაათიან წლათა შორის, საჭიროა გარკვეული აზრი გვქონდეს მთავრობის პოლიტიკის მიმართულებაზე და ქართულ-საზოგადოებრივ-ეროვნულ აზრების განვითარებაზე, როგორც ერთს ეპოქაში, ისე მეორეში. ამ საკითხის ერთ მხარეს ჩვენ რამდენიმედ უკვე შევეხეთ, როდესაც ლაპარაკი გვქონდა ქართული ენის პროგრამის თაობაზე ვორონცოვის დროინდელ სასწავლებელში. ხოლო აქ გადავავლოთ თვალი როგორც მთავრობის იმ დროინდელ პოლიტიკას, ისე განსაკუთრებით ქართველთა ეროვნულ-პოლიტიკურ აზროვნების განვითარების ხასიათს.

ვორონცოვის დროს ჯერ ჩვენში არ იყო ინტელიგენცია. ის იყო დაარსდა „ცისკარი" და ეს ჟურნალი იყო გონებრივი აკვლადიდება მაშინდელ ქართველობისა. ინტელიგენციის როლს თავად-აზნაურობის მოწინავე ნაწილი ასრულებდა. „საზოგადოებრივ" საკითხებს ის აღძრავდა ხოლმე, ის იყო გადამწყვეტი ავისა და კარგისა. თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ კერძო პირთა გარეშე, საზოგადოებრივ წრეში ეროვნული თვითშეგნება თითქმის რომ არ არსებობდა. იგი იმაოყფებოდა გაწვთიერების პრიმიტიულ ფაზაში. ერთგულების ჰანგი ლეიტმოტივი იყო იმ დროის პოლიტიკური აზროვნებისა, ყოველ შემთხვევით სარგებლობენ, რომ გამოამეღავნონ ლოიალური გრძნობები. კმაყოფილება არსებულის რეჟიმით უსაზღვრო იყო თავად-აზნაურთა წრეებში და ერთგულების გრძნობა თითქმის რომ უანგარო იყო: არავითარ კომპენსაციას არ ითხოვდნენ. აი, ფაქტებიც:

1848 წელს თავად-აზნაურთა კრებაზე დიმიტრი ყიფიანი, სხვათა შორის, ამბობს შემდეგ სიტყვებს: „თუ მძიმე და ხანგრძლივი გასაცდელი ავიტანეთ და შევინარჩუნეთ სიმტკიცე სარწმუნოებისა, რომელიც გვიანდერძეს წინაპრებმა საქართველოს სამეფოს უკეთეს ხანის დროიდგანვე, თუ არ ვუღალატეთ ჩვენს მართლმადიდებლობას, თუ შევინარჩუნეთ ჩვენი კეთილშობილება და კარგი სახელი, ყველამ ვიცით, რომ ეს მოხდა რუსეთის თვითმპყრობელობის და ერთ მთავრობის წყალობით... ეხლა ჩვენ უშფოთველად ვცხოვრობთ ჩვენს ქვეყანაში. მშვიდობიანად ვასრულებთ ჩვენს შინაურ საქმეებს. მტერს ჩვენს სახლში კი არ ვეომებით, არამედ მის სახლის საზღვრებში. შვილებს ვზრდით და შევზრახთ მამა-შვილასა. ჩვენი მართლმადიდებლობა, ჩვენი საზოგადო ცხოვრება არავითარ საფრთხეს არ განიცდის". დაკვირდით ამ სიტყვებს განვითარებულ ეროვნულ შემეცნების თვალით. შევინარჩუნეთ კარგი სახელი, კეთილშობილება, მართლმადიდებლობას და მუუდროებას არავინ ეშუქრება — აი, ასე ვთქვათ, ეროვნული პროგრამა, რომელზედაც იდგნენ იმ ხანაში. სხვას არას იხსენიებენ. ან რა უნდა გაიხსენონ, როდესაც ზემოთ ჩამოთვლილ საკეთესთან ერთად ქართულ ენასაც საპატიო ადგილს უთმობდნენ სასწავლებლებში. ასე რომ პოლიტიკურ-ეროვნულ განუვითარებლობის წყალობით კმაყოფილება მართლაც და სრული იყო და რაკი ასეა საქმე, მართლაც და საჭიროა ყოველ შემთხვევაში თავგანწირული ერთგულებაზე ლაპარაკი. თავის სიტყვას დიმიტრი ყიფიანი განაგრძობს: „ყოველსავე ამასა ვგრძნობთ, მაგრამ განა საკმარისია ამგვარ გრძნობების გამომეღავნება. განა არ უნდა დავამტკიცოთ კიდეცა ამ ჩვენი გრძნობათა კეთილშობილება? ჩვენც გვინდა, რომ მოხსენდეს ხელმწიფე იმპერატორს, თუ რა გრძნობებს განვიცდით იმ შინაურ მუუდროების გამო, რომლითაც ვსტკბებით მის. ზეცით ნაყურთხს, თვითმპყრობელ მონარქის ფრთეთა ქვეშ... გვინდა, რომ მოხსენდეს მის იმპერატორობით დიდებულებას ჩვენი საერთო ერთსულოვანი სურვილი, რომ აღნიშნულ გრძნობათა მიხედვით, მოგვეთხოვოს სამსახური უცხოეთშიაც. თუნდ სახელმწიფოს საზღვრების გარეც, როგორც ძველ დროში, საერთო განსაცდელის დროს მეფეები რომ გვიწვევდნენ ყველას, დიდსა და პატარას — მოგვეთხოვოს სამსახური, თუ რომ დასავლეთ ევროპაში ამ ჟამად არსებული შფოთი მუქარა გახდება იმ სახელმწიფოსი, რომლის საზღვრებში ყოფნის პატივი აქვს საქართველოს, თანახმად ჩვენი ღვთით ნაკურთხ მეფეების გადაწყვეტილებისა და თანახმად მის კეთილშობილ თითოეულ წევრის გრძნობა-სურვილისა..." ამ გვარად მადლობის ნიშნად ქართველი თავად-აზნაურობა მზად არის თავიდან ფეხებამდე შეიარაღდეს და მხარი მისცეს ნიკოლოზ I-ის მხედრობას 1848 წლ. ევროპაში აფეთქებულ რეოლუციის ჩასაქრობად. ამ სიტყვის გამო თ. ვორონცოვი ტემირ-ხანშურიდან სწერდა თ. ვას. ბებუთოვს: „იმედი მაქვს, ყიფიანის ეტყვიო, რა სიამოვნებით წავიკითხე მისი მშვენიერი სიტყვა და როგორ მადლობელი ვარ მისი".

ხალისი სამხედრო სამსახურისა მართლაც დიდი იყო იმ დროინდელ ქართველობაში. მთავრობაც, რასაკვირველია, სარგებლობდა ამ გარემოებით, და შამილთან ბრძოლა იყო თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყირიმის ომი, ყველგან ქართველთა მილიციონერებს პირველი ადგილი ეჭირათ. აი, როგორის ამბით დაუხვდნენ მილიციონერებს, როდესაც ისინი გამარჯვებულნი დაღესტნიდან ბრუნდებოდნენ. „ორი ბატალიონი, — ვკითხულობთ დიმიტრის ცოლისადმი წერილში, — გრუზინსკის პოლკისა გოლოვინის პროსპექტის ორივე მხარეზედ იყვნენ გამწკრივებულნი ტერგრიქუროვის და დობროვნების სახლიან შუა. მილიცია ამ გამწკრივებულ რაზმის შუა მიდიოდა. წინ გენერლები მიეგებენნენ. ქაშვეთის ეკლესიასთან ძველის ქართველთნი გალობით დაუხვდა სამდვდელოება. აშვიათად ნახავდით მილიციონერს, რომ ჯვრით არ ყოფილიყო მორთული მისი გულ-მკერდი. სამღვდელოებამ პარაკლისი გადაიხადა და შემდეგ ამისა, სადილად მიიწვიეს მილიციონერები კუნძულზე, ლადინსკის სახლის პირდაპირ. მშვენიერი სანადახობა იყო". ქართულ თავად-აზნაურულ დრუჟინების შესახებ, რომელთაც ყირიმის ომის დროს უსახელეთიათ თავი, თ. ვას. ბებოთოვი სწერს დიმიტრი ყიფიანს: „ორივე თავადაზნაურული დრუჟინა შეტაკების დროს ჩემს რაზმს შეადგენდენენ. მარჯნივ მხრიდამ რომ განვიზრახე ოსმალეთზე იერიშის მიტანა, ორივე დრუჟინის უფროსებს ვუბრძანე ერთ რიგზე გამწკრივებება და დრაგუნებთან და ცხენოსან-მუსულმანთა ბრიგადასთან ერთად მტერზე იერიშის მიტანა. ჩვენი თანამემამულენი, როგორც შეეფერებოდა მათ გულადობას და თავგანწირულებას, ეკვეთნენ მტერს. გული სიხარულით ივსებოდა, როდესაც ვხედავდი, როგორის თავდადებით სწირავდნენ სიცოცხლეს მეფის, სამშობლოსა და მართლმადიდებლობის გულისათვის. სწორედ რომ მამაცურად იბრძოდნენ. „ჰკარ, მოჰკალ, შეიპყარ" — ერთმანეთს აქეზებდნენ. ყოველივე ეს მახარებს და მანუგეშებს, მაგრამ გული კვნესის და სისხლით ირწყვება, როდესაც გავიგეთ, რომ ამ ბრძოლაში ბევრი გულადი ამხანაგი დავკარგეთ..." თ. ბარიატინსკის ტფილისში მოსვლის დღეს თავად-აზნაურობამ დიდი ნადიმი გაუკეთა და ამ დღეს თავის ხარჯით ტფილისის სამხედრო გარნიზონსაც გაუმასპინძლდა.

უნდა ვსთქვათ, რომ რუსეთის მთავრობისათვის ფრიად სასიამოვნო და სასარგებლო იყო ამ ხასიათის განწყობილება ქართველ თავად-აზნაურობისა. კავკასია ჯერ კიდევ უზრუნველი არ იყო მტერთა შემოსევადამ. დაღესტანი, ოსმალეთი ყირიმის ომის დროს ორივე მხრიდამ ემუქრებოდნენ რუსეთის ბატონობას ამიერკავკასიაში. საქართველოს ერთგულება ზედმიწევრება იყო რუსეთის საკმისათვის. და უნდა ვსთქვათ, რომ იმ ხანაში დიდი სამსახური გაუწიეს ქართველებმა რუსეთის თავგრობას. ყირიმის ომის დროს დიდი საფრთხე მოელოდა რუსეთის ბატონობას დასავლეთ საქართველოში. გარემოება ისეთი იყო, რომ ეს მხარე თავიდამ თავის საკუთარ ძალათა ანაბარას იყო მიგდებული. მთავრობაც დიდად ეფერებოდა დასავლეთ საქართველოს მცხოვრებლებს, ამხნევებდნენ და ხშირად აგონებდა მათ ერთგულების მოვალეობას. აი, რას ვკითხულობთ ერთ მოწოდებაში იმერეთის ბრწყინვალე თავადთა და კეთილშობილ აზნაურთა მიმართ: „განსაკუთრებულ მოეკლინნა აწ მხარესა თქვენსა, სადაც სარწმუნოება ქრისტესი დამკვიდრებულ არს მოციქულთა დროთაგან და სადაც ერთგულებასა თქვენსა ზედა მეფეთა მიმართ მარადის შემუსვრიდან ძალნი მტრისანანი... ნაკურთხი მიწა თქვენი შეგანებულ-ქმენა აწ თავთარმა ფეხის შემოდგმითა თვისთა და გიკადოსთ, რომელ დარდვეულ მსჯულსა, რომელსა შეურაყეველად იმარხავთ განმავლობასა შინა ათას რვა ასის წლისასა; გიკადოსთ რომელ შემმუსრავს ყოველსავე, რაიცაოდენ საძირკვლად უძს საზოგადოსა ჩვენსა კეთილდღეობასა, — ეკლესიათაცა, საცა განისვენენენ გვამნი ქველთა წინაპართა თქვენთანა; სახლთაცა, სადა იფარვინ ცოცხ-შვილნი და საკუთრებანი თქვენი და ღირსებათაცა, რომელთა მიერ უმაღლესნი უმდაბლესთაგან განირჩევით და რომელნი ძველთაგანვე უპირატესობასა თქვენსა შეესაბამებიან... მთავრობა ჩვენი დარწმუნებული არს, რომელ იპოვების თქვენს შორის არცერთი, რომელმანაცა არ უწყოდეს განრჩევა ცბიერებისა ჭეშმარიტებისაგან და არა განერიდებოდეს საფრთხესა მტრისაგან დაგებულსა... ალიკუურვენთ ყოველნი, ალიკურვეთ ყმანი და მსახურნი თქვენნი, შეუერთდით ძლევა მოსილსა მხედრობასა რუსეთისასა, რომელი თქვენდა სთხეკვ წმინდასა სისხლსა თვისსა და აჩვენეთ მტერსა, რომელ შვილნი ხართ ქველთა მათ იმერთა, გურულთა და მეგრელთანნი, რომელთა ვერ შეუსვრიდა იგი უწინარესთაცა დროთა შინა..." მეორე მოწოდებაში, იმერეთის, გურიის და სამეგრელოს ყველა წოდებათა მიმართ, სხვათა შორის, ვკითხულობთ: „სრულიად დარწმუნებული ვარ, რომელ სიტყვასა კნიაზისა ბებუთოვისა შეუდგებიან ყველანი, ლოცვა კურთხევთა ყოვლად, სამღვდელოთა, მწყემს მთავართათა და მღვდელ მსახურთათა; დარწმუნებული ვარ ქველმოქმედის კეთილშობილი კრების მაგალითსა შეუდგებიან ყოველნივე იმერელნი, გურულნი და მეგრელნი — მოკალაქენიცა, თავისუფალნიცა მოსახლენი და საბატონონიცა კაცნი, საქმე თქვენი ცხად არს წინაშე ღვთისა, ხოლო ქვეყანაცა მთელი გიმზერთ ყოველთა კერძოთ. აღლაშქრდით, ძმანო, ყოველნი და სახელითა ღვთისათა შემმუსრეთ ბოროტებითნი განზრახვანი ძველ უძინებელ თქვენის მტრისა".

ერთის სიტყვით, როგორც ქართველ თავად-

აზნაურობასაც, ისე რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებსაც თავიანთ ლექსიკონში ჰქონდათ იმგვარი სიტყვები, რომელნიც, ჰსახავდნენ რა მათ ზრახვათა, ამავე დროს ურთიერთის კავშირსაც ამაგრებდნენ. და მართლაც, განა შესაფერი არ არის სიტყვა, წარმოთქმული საჯაროდ, აი, თუნდ თ. ვორონცოვის და სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მიერ. ვორონცოვმა, კავკასიის სამოსწავლო ოლქის დაარსების დღეს (უკეთ, ამიერ-კავკასიის და კავკასიის ოლქის შეერთების დღეს) სთქვა, სხვათა შორის: „ვიცი რა ხელმწიფის სურვილი, მე, თანახმად ამ სურვილისა და ჩემის რწმენისა, ვთხოვ ოლქის უფროსს — და მინდა კიდევაც რომ ასარულონ ჩემი თხოვნა — რომ უმთავრესი საგნები სწავლისა იყოს როგორც რუსული, ისე ადგილობრივი ენები, რათა ყოველი „ტუზემეცი“ კარგად იყოს გაკარჯიშებული რუსულში და ყოველ რუსს ჰქონდეს ცოდნა არა ნაკლებ ორის ადგილობრივი ენისა. მხოლოდ ამ შემთხვევაში გვეყოლებიან აფიცრები და მოხელენი, რომელნიც მართლაც სასარგებლოდ და თავიანთვის სასარგებლოდ გასწევენ სამსახურს სამხედრო და სამოქალაქო უწყებებში“. ოლქის მზრუნველი ვ. ნ. სემენოვი, წაქეზებული თ. ვორონცოვის ავტორიტეტით, ამავე დღესასწაულზე ადასტურებდა ამ აზრს: „ადგილობრივ ენათა ცოდნაო აუცილებელი პირობა უნდა იყოს ყველასთვის, ვინც სწავლობს აქაურ სასწავლებლებში. ხოლო რუსული ენა და კანონები მთავარი საგანია სწავლისა, როგორც იარაღი მკვიდრ შეკავშირებისა ამ ქვეყნისა თავავ სამშობლოსთან... ამ მიმართულებას რომ დავადგენთ, სახალხო განათლება უსარგებლო სამკაული ალარ იქნება აქაურ მცხოვრებთათვის და გახდება აუცილებელ პირობად მათის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და ოჯახებრივ ყოფა-ცხოვრებისაო...“

იმ ხანაში, როდესაც ეროვნული შემეცნება ჯერ კიდევ თავის განვითარების პირველ საფეხურზეადაც ვერ დამდგარა მკვიდრად, ამ ხასიათის კეთილ-მოყვრული პოლიტიკა უკვე საკმარისი კომპენსაცია იყო ქართველთა ერთგულების დასაჯილდოებლად. და რომ ეს სწორედ ასე იყო, აშკარად სჩანს დიმ. ყიფიანის მიერ წარმოთქმულ ერთ საყურადღებო სიტყვაში. ამ სიტყვაში რუს-ქართველთა სოლიდარობა უკანასკნელ ტერმინამდეა მიყვანილი, მასში თითქმის რომ მიღწეულია იდეალია გაერთიანებისა. მაგრამ ნამდვილად კი ეს იყო უტოპია, ოცნება და რომანტიკა საზოგადო მოღვაწისა. და ოპტიმიზმი ამგვარის აზროვნებისა თანდათან აშკარავდებოდა. ჯერ იყო და ქართველებს უნდობლობის თვალით დაუწყეს ყურება, პოლონეთის აჯანყების შემდეგ 1864 წელ., კატკოვის მეთაურობით შეხს იდგამს რუსეთში მეგრძოლი ნაციონალიზმი. ამ [illegible] ონალიზმის შოლტები საქართველოსაც მოხვდა. ეს იყო დასაწყისი, ხოლო დაგვიგვანება ამ ნაციონალიზტურ კაცი-ჭამიობისა უკვე ოთხმოციან წლებში დამკვიდრდა. დიმიტრი ყიფიანის სოლიდარობა ოცნების სამეფოში იბადებოდა, ცხოვრების ზედაპირზე კი ანტაგონიზმი და უნდობლობა მყარდებოდა. საჭირო იყო ანგარიშის გაწევა, პასუხის გაცემა და დიმიტრი ყიფიანი რიგ-რიგზე, თავ-თავის დროს კისრულობს ამ მოვალეობის ასრულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲙᲐᲠᲘ XI

Ბ

ცნობილმა კატკოვმა საქართველოსაც მიაპყრა თავისი ყურადღება და საქართველოსაც სეპარატისტული მიდრეკილება დასწამა. ტფილისში 1864 წელს ზაფხულის თვეებში დიდი არეულობა მოხდა. მოქალაქენი შეწუხებულნი იყვნენ უზომო გადასახადებით, სამართალს ითხოვდნენ და სამჭოს პოლიციმეისტრს რიგ რიგზე სთხოვდნენ დახმარებას. ყურადღება არავინ მიაქცია და ხალხში უკმაყოფილება იზრდებოდა. ხარჯის ამკრეფი, ბაბუბუკოვი, მსხვერპლადაც შეეწირა ამ უკმაყოფილებას: შეუცვივდნენ სახლში და გადმოაგდეს ძირს ქუჩაზე. აღელვება დიდი იყო. მთავრობამაც ზომები მიიღო. სამედნიერად, საკმე მშვიდობიანად დაბოლოვდა და მალე ყოველივე დაწყნარდა, მაგრამ „მოსკოვსკი ვედომოსტისთვის“, რომელმაც უკვე უღალატა თავის ლიბერალურ დროშას, საკმარისი იყო ამ ამბის გაგონება, რომ გალაშქრებულიყო ქართველთა წინააღმდეგ. ხელში გვაქვს დიმიტრი ყიფიანის პასუხი კატკოვის გაზეთში დაბეჭდილ წერილის წინააღმდეგ. დიმიტრი ყიფიანი არღვევს ბრალდებას, ვითომც აღნიშნულ არეულობაში ტფილისის მოქალაქენი შეიარაღებულნი იყვნენ; აგონებს კატკოვს, რომ ამ ხასიათის არეულობა წინადაც ყოფილა ტფილისში 1829, 1830 და 1853 წლებში. „ხოლო არც ერთ ამ არეულობაში არა იყო რა პოლიტიკური“, „ვინც აქაურ ხალხში ახალ აზრებს დაეძებს, ეროვნულ დამოუკიდებლობის აზრს, ან სხვა რაიმე პოლიტიკურ მისწრაფებას გარეშე იმ მისწრაფებისა, რომლისაკენ მიგვიდგეს ოვით მთავრობა, ეს იმას ნიშნავს — ნება ვაძლევ ჩემ თავს სასტიკი ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘᲗᲐ ვსთქვა — ნიშნავს ზოგიერთების სურვილს, რომ ამგვარი აზრის მიმართულება, თუ ჯერ კიდევ არ არის, დაიბადოს ჩვენში და იმას ალარ დაეძებენ, რამდენად კეთილ სინდისიერია ამისთანა სურვილი“. კატკოვს ისიც ალუნიშნავს, რომ ᲭᲣᲗᲘᲡᲘᲡ ᲒᲘᲜᲨᲐᲠᲘᲡᲐᲨᲘ ᲔᲠᲗ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲨᲔᲣ-

ტანია. საპედაგოგო საბჭოში წინადადება, რომ დაბალ კლასებში სწავლა ქართულად სწარმოებდეს, რათა ბავშვებმა უკეთესად შეითვისონ სწავლის საგნები. „შეიძლოთ არ მიეღოთ ეს წინადადება, — ამბობს დიმიტრი, — მაგრამ იმ აზრის მტკიცება, ვითომ ბავშვებს და შეგირდებს რაღაც ფარული პოლიტიკური განზრახვა ამოძრავებთ, განა იმ ბოროტების მხილება არ არის ეს, რომლის არსებობა არც კი ჭკვნიათ გულში მოსწავლეებს, დამეთანხმეთ, რომ უსინდისობა თუ არ არის ასეთი ბრალდება, უტაქტობა ხომ არის და არის". კატკოვს პოლონელების ხელმძღვანელობა და წაქეზება ელანდება საქართველოშიც. დიმიტრი პროტესტს აცხადებს: „რა არის საერთო იმათსა და ჩვენს შორის, ამ ორ ხალხთა ინტერესებს შორის საერთო რა უნდა იყოს?" რა თქმა უნდა, არაფერი. და თუ საერთო არაფერია, რატომ უკვირს კატკოვს, რომ დიმიტრი ეიფიანი თავის თავს უწოდებს არა ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლს, არამედ ქართველ თავადაზნაურთა წინამძღოლს? დიმიტრი უპასუხებს: „ქართველი თავად-აზნაურობა ის წოდებაა, რომლის წევრთა შორის არ არის ერთი ადამიანიც, რომ მზად არ იყოს თავი შესწიროს ხელმწიფე იმპერატორს, მაგრამ ნუ გგონიათ, რომ გაჭირვების ჟამს მოვერიდებით და არასა ვთხოვთ მთავრობას. ვთხოვთ, თვით ხელმწიფე იმპერატორს ვთხოვთ... მაგრამ ეს კი უსდა იცოდეთ, რომ ჩვენი თხოვნის ასრულება გააორკეცებს ჩვენს ღრმა გრძნობას ქვეშევრდომით მადლობისას, ხოლო თხოვნის არ შეწყნარება ერთ მტკაველადაც არ შეამცირებს ამ ჩვენს გრძნობას. ქართველი თავადაზნაურობა ჰქვიან ამ თავად-აზნაურობას, რომელიც ძველის დროიდგანვე სარწმუნოებას და კანონიერებას სწრაფად თავს. და იქნებ მართლა გგონიათ, რომ ამგვარ თავად-აზნაურობის არსებობაზე ლაპარაკი არ ღირდესო?.."

როგორც ჰხედავთ, დიმიტრი ეიფიანს ჰგონია, რომ იგი კვლავინდებურად შეურყეველ ნიადაგზედ დგას. მას ეგონა, რომ ჰანგი, რომელსაც სიამოვნებით უსმენდა ვორონცოვი, სიამოვნებითვე უნდა მოისმინოს კატკოვმა. თავი და თავი, ბოლო და დასაწყისი ყოველგვარ საკითხისა ხომ შეურყეველი ერთგულობაა თვითმპყრობელ რეჟიმისადმი. მაშ, რა ეჭვები უნდა გებადებოდეთ, რა უნდა გაწუხებდეთო? მაგრამ ეჭვები იბადებოდა და უნდოდლობა იზრდებოდა. როდესაც რუსეთში საბოლოოდ ჩამოყალიბდა აგრესიული ნაციონალიზმის ფიზიონომია, სამუდამოდ ჰკრება და იკარგება ვორონცოვის დროინდელი იდილიაც. დიმ. ეიფიანი ნაღვლობს ამ სანეტარო დროის ისტორიულ წარსულში ჩაბარების გამო, ხოლო ბრძოლაზედ ხელს არ იღებს. პირიქით, მამულისშვილური გრძნობა, დაბუდებული მის ბუნებაში, ძლიერდება, იზრდება და აძლიერებს და ანვითარებს მის საზოგადო აზროვნებასაც. ეხლა იგი მებრძოლია ეროვნული დროშით ხელში. მართალია, ამ დროშაზე ისევ ის საბჭოა ბლო ენა და ენის პატივისცემის საჭირობა აწერია და სხვა არაფერი. მაგრამ რადგან ამ საკითხთან ბევრი სხვა საკითხია დაკავშირებული, ამიტომ მოქმედების ფარგალიც ჰფართოვდება, ეროვნული თავმოყვარეობის გრძნობა ერება უმწეურვალესად ვითარდება. და ყოველივე ეს ჰქმნის ახალ ფსიხიურ ატმოსფეროს, ახალ აზრს და ახალ გრძნობას. ფრიად საყურადღებოა ამ მხრით დიმ. ეიფიანის გალაშქრება სამასწავლებლო ოლქის მზრუნველის იანოვსკის წინააღმდეგ.

გაზეთ „დროებაში" დაიბეჭდა ღია წერილი ვინმე ს.მ-ის ბ. იანოვსკის პედაგოგიურ სისტემის შესახებ. ამ წერილმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დიმ. ეიფიანზე და მასაც აალებინა ხელში კალამი და, აი, 1880 წ. იგი სწერს „დროებაში": „საშინელია ს. მ.-ის წერილი, საშინელია, როგორც მგზნებარე წარმოთქმა უსამართლოდ განგმირულ გრძნობისა, როგორც გვემა აღბორგებულის გულისა... „როგორ თუ..." კი არა, საქმეს თვალი თვალში უნდა გავუყაროთ და როგორც ჩვენს მრავალს მთმენლობას შეჰფეროდეს, როგორც ჩვენს სულის შეუგანებლობას შეეფერებოდეს, ისე უშფოთველად გავსინჯოთ საქმე, რომელიც ისეთის თვისებისა არის, რომ უსაცილოდ უნდა სირცხვილეულ ჰყოს ან ერთი მხარე, ან მეორე. რა რომ სიტყვა ითქვა, ითქვა: სხვა სარჩევი აღარა არის რა. ქუთაისში რომ მასწავლებელთა კრება იყო, ამბობს ღია წერილში, იმ კრების მოთავისათვის ბ. იანოვსკის დარიგება მიეცა, რომ სასოფლო სკოლებში რუსული ენის სწავლა პირველივე წლიდან დაიწყებოდესო. და ეს იყო თურმე მიზეზი, რომ იმ კრებაზე იყო, ახირებულად გაგრიზავდა პატივცემული გორის სემინარიის დირექტორი სემენოვი. ამის გარდა სენაკში სასოფლო სკოლის მასწავლებლისათვის უბრძანებია ბ. იანოვსკის: ბავშვებისათვის რუსული რატომ არ გისწავლებიათ? თქვენ რაღაც სხვა მიზანს მისდევთ და არა პედაგოგიისაო... მაშ, სრული ნება გვექნება ვიკითხოთ, ქართული ენის ცოდნამ რა დაუშავა იმ მგრეხს, რომელთაც ისახელეს თავი და ასახელეს რუსეთის მხედრობაც, და, რუსეთის მმართველობაცა, როგორც ძველს დროებში, ისე ჩვენს მახსოვრობაში? რა დაუშავა ქართველობამ და ქართულის ცოდნამ პავლე ციციანოს, პეტრე ბაგრატიონს, დიმიტრი ორბელიანს, აფხაზს, სავარსამიძეს, გორგრი ერისთავს? ჯერ რომ ქართული იცოდნენ და მერე რუსული, ამით რუსეთს მტერს ვერ უმარცხებდნენ თუ, და ქვეყნებს ვერ უმორჩილებდნენ თუ? — მოსე ალღუთაშვილი და ვასილ ბებუთოვი მტერსაც რომ საოცრად უმარცხებდნენ და ქვეყნებსაც ახელოვნად უმართვიდნენ, — ან გრ. ორბელიანი, ალ.

ჭავჭავაძე, ლევან მელიქიშვილი ვთქმ რა შემცოდველნი არიან რუსეთის წინაშე, რომ თვისი ქართველობა არა ჰგმეს და ჯერ ქართული ისწავლეს, მერე რუსული... რა შეგცოდეს თქვენ, ან მომავლინებელთა თქვენთა, იმ ქართველებმა, რომელნიც რუსებთან ძმურად, ხელი-ხელს გადაბმულნი, რუსეთის დიდებისათვის წმინდა სისხლს ერთად ანთხევდნენ და რუსეთის მხედრობას მიუხდავად მიუძღოდნენ, საითაც სამსახურის ვალი იწვევდა? სამოქალაქო სამსახურის მოხელეებისა რაღა ვთქვათ: ვინ არ იცის, რომ ათასში ერთს თუ დაგვისახელებენ ვისმე ქართული ენის მცოდნეთაგანსა, რომ შთამომავლობითი პატიოსნება შეგინებულ ექმნას სადმე. თუ ამას არ დაჰფიქრებიხართ, რა მნიშვნელობა აქვს თქვენს ქადაგებასა — ქართველობა ჰგმეთ და ქართული ენა დაივიწყეთო? მე გეტყვით: როგორც სამთავრმტიკო ჭეშმარიტება, ისეთი არის ჭეშმარიტებაცა, რომ საქართველოს ხალხზედ უფრო ერთგული ტახტისა მთელს რუსეთს სხვა ხალხი არ ასხია. თქვენ თუ არ იცით ესა, ჩვენმა სათაყვანებელმა ერთმთავარმა კარგად უწყის და მისმა უზენაესმა მმართველობამაც კარგად იცის. ასე ვართ ქართველები და ასე ვიქნებით, მინამდისინ ჩვენი ხალხოსნობა დაცული იქნება. და ხალხოსნობა ხომ გამქრალია, სადაც იმისი ენა ალარ არის. მერე რა ენისას ამბობენ კაცობრიობის მგმობელნი, უნდა გაკრესო? იმ ენისას, რომელსაც ლაპარაკობდნენ ვახტანგ გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, თამარ მნათობი, რომელზედაც ქრისტიანობას ქადაგებდნენ ნინო, მოციქულთა სწორი და ათ ცამტენ სირიელნი მამანი; რომელზედაც მწერლობდნენ პოეტნი, როგორც შოთა რუსთაველი, ფილოსოფოსნი, როგორც პეტრიწი; სჯულის მდებელნი, როგორც ვახტანგ მეფე; — რომელსაც აქვს ანბანი უმარტივესი და უბუნებოესი ყოველთა ანბანთაგან... ახლა მიჰხვდით თუ არა, რასაც თქვენი ქადაგება მოასწავებს? ჩინგის ხანმა, ლანგ-თემურმა, შაჰ-აბაზმა, ნადირშამმა ვერ შემუსრეს ჩვენი ხალხოსნობა და ახლა თქვენ გინდათ შემუსროთო, როდესაც ჩვენ ჩვენის კეთილისნებით, სიყვარულით და სასოებით მივენდეთ რუსეთს, რომლისაც გარეშეუწერელი ერთგულება შეურაყეველად გვაქვს გულში ჩანერგილი? არა, ბატონებო! თუ ღია წერილის აზრი არ დაირღვა... იანოვსკის ათას წლად უჯობს ისევ ამ აზრის შემუსვრა მოახერხოს... თუ ეს აზრი არ შეიმუსრა, იანოვსკი შემცდარი კი არა, შემცოდავი იქნება ორგვარად: რუსეთის წინაშე, რომ ერთი უერთგულესთაგანის ხალხის გაორგულება განუზრახავს, — და მერე მეცნიერების წინაშე, რომ პედაგოგიას ურღვევს დიდი მეცადინეობით შემუშავებულს კანონსა, რომელიც ბრძანებს: წულისა ურმასა ჯერ საშინაო ენას ასწავებდეს და მერე საქვეყნოსასაო".

ამ ვრცელ ამონაწერში ძველ მოტივებთან ერთად ახალ მოტივებსაც იპოვით. ჩვეულებრივი „გმირული დროის" საბუთების გვერდთა ... ლი საბუთი, უკეთ, ახალი სულიერი განწყობილება არის; მოვალეები ხართო, — რადგან ერთგულები ვართ და სხვა ამგვარი მოსაზრებათა მოწმობა ერთი მხარეა დიმიტრი ყიფიანის მსჯელობისა, ხოლო მეორე, ახალი მხარე ამ მსჯელობისა ძველ ისტორიის მოგონებაა, წინაპართა გახსენება. ამ გახსენებაში თავის მოწონებაც არის, გულის გამაგრებაც და... თითქმის მუქარაც. ნადირშაჰმა არა დაგვაკლეს რა და ამა თქვენ რას გვიზამთო. ეს მუქარა შეუგნებელია, ინსტინქტურია, ხოლო მაჩვენებელია იმ ფაქტისა, რომ დიმიტრი ყიფიანის ნიბის-ყოფა უკვე ამოძრავებულია არა ვიწრო, წოდებრივ ინტერესების დასაცავად, არამედ ფართო და დიდი საქმისათვის, რომელსაც მოსარჩლე და პატრონი სჭირდებოდა.

სასკოლო და ენის საკითხის გამო გაცხარებული ბრძოლა გაჩაღდა. ნიკ. ცხვედაძე სწერს დიმიტრი ყიფიანს, რომელიც 1881 წ. პეტერბურგში იმყოფებოდა: „აი ეხლა უფ. სტრელეცკი, ქართული ენის უცოდინარი დანიშნა (იანოვსკის) ხონის სამასწავლებლო სემინარიაში დირექტორად; ამის მაგივრად კიდევ აქ, საქართველოს გულში, სახალხო სკოლების დირექტორად გაამწესა უხეირო, გამოუცდელი, ქართული ენის უცოდინარი უ. დარსეა... როდესაც სახალხო სკოლებისათვის დირექტორებს ეძებენ, იმას კი არ უცქერიან, აღმოჩინონ მართლად გამოსადეგი პირნი, არამედ იმას, რომ ისინი იყვნენ უეჭველად რუსნი... ჩვენ დიდად ვიმედოვნებთ, — დასძენს ცხვედაძე, — რომ თქვენ ამგვარ საქციელებს მანდ ყველას შეატყობინებთ, მის ბრწყინვალებას, გრაფ ლორის-მელიქოვს, როგორც წარჩინებულ სახელმწიფო მოქმედ პირს, არაფრად იამება აქაური სწავლა-განათლების მთავრობის მოქმედება. დარწმუნებული ვართ, რომ არც ბარონ ნიკოლაის — სწავლა-განათლების ახალი მინისტრი — მოიწონებს, თუ კი დაწერილებით შეიტყონ ყველა ეს, ღრმად პატივცემული დიმიტრი ივანის! როგორც თქვენ გტკივათ გული ჩვენი მამულისათვის, როგორც თქვენ გესმით ჩვენი ხალხის მდგომარეობა, ამ ხალხის აწინდელი და მომავალი ბედი, ისე არავის. ამისათვის ისევ თქვენ უნდა იზმაროთ ყოველგვარი ღონისძიება და მანდ სიტყვიერის მოქმედებით ჩვენი სამშობლო საქმე გაასწოროთ".

საგულისხმო სიტყვაა — „სიტყვიერის მოქმედებით ჩვენი სამშობლო საქმე გაასწოროთ"-ო. ღრმად სჯეროდა ჩვენს თავადაზნაურულ ინტელიგენციას, რომ „სფერებში" სიტყვიერის მოქმედებით სამშობლოს საქმეებს გამოაბრუნებდა და ეს რწმენა ხომ მთავარი რწმენა იყო დიმ. ყიფიანის აზროვნებისაც. და ეს ასედაც უნდა ყოფილიყო, რადგან როდესაც ხალხის ბედი სხვის კეთილსინდისიერობაზეა მიგ-

დებული, იქ სხვა პოლიტიკა შეუძლებელია. და ჩვენი საქმე სწორედ ასეთი იყო, და ბევრისათვის დღესაც ასე არის. ჩვენს მოთხოვნას ვაპაბუთებთ არა უფლებრივ ტერმინებით, არამედ ისევ ძველებურ გმირულ ტერმინოლოგიით — ასეთები ვიუავით, ისეთები ვიუავით; თქვენს კეთილშობილებას როგორ ეკადრება, არ შეიხმინოს ჩვენი ვედრებაო. მათი კეთილშობილება კი ყურს გვიგდებდა, თუ ჭკუაში მოუვიდოდა, გაგვიღიმებდა, თუ არა და უეხებსაც დაგვბრახუნებდა. სწორედ რომ ჯალისნურ წრეში ვიმყოფებოდით. გვინდოდა როგორმე გაგვერღვია ეს წრე, ვერ ვახერხებდით, და ეს ხანა დიმ. ყიფიანის მოღვაწეობისა ნათლად გვიმტკიცებს, რა სულელურ ტანჯვას განვიცდიდით იმის გამო, რომ ჩვენს წინ ურდულ გაყრილი რკინის კარი აღმართა და ვიდექით უღონონი მის წინაშე იმ იმედით, რომ ვიღაც მოვა ჩვენს საშველად და ვიღაც გვიხსნის უბედურებისაგან. მაგრამ დიმ. ყიფიანის ნების პატრონისათვის კი ძნელი იყო დგომა ამ ურდულგაყრილ რკინის კარების წინა, და აკი არც მოინდომა იქ დგომა. მისი ნება შეეჯახა რკინის კარის ძალას. მაგრამ ნუ ავჩარდებით... თავი და თავი კარგად გავიგოთ, რა მოხდა და რად მოხდა, რაც მოხდა. ამიტომ განვაგრძოთ ისევ შეწყვეტილი ამბავი.

მზრუნველი ინოვსკი არა სცხრებოდა. ჰხედავდა, რომ მისი მოქმედება პროტესტს იწვევდა, მაგრამ უკან არ იწევდა. „კავკაზი"-ს ფურცლებზე ხშირად გამოდიოდა თავის პოზიციის დასაცავად. ერთ წერილის გამო დიმიტრი ყიფიანი კიდევ გამოეკამათა ინოვსკის, მოაგონა ვორონცოვის დროს პედაგოგიური სისტემა და, სხვათა შორის, აღნიშნა შემდეგი ფაქტი, ბარონ ვრანგელის ქალი სწავლობდ საქალაქო ინსტიტუტში. ქართული ენა ინსტიტუტში სავალდებულო იყო ყველასთვის, განურჩევლად ეროვნებისა. ვრანგელმა სთხოვა ვორონცოვს, გაათავისუფლეთ ჩემი ქალი ქართული ენის გაკვეთილებისაგან. „შემთხვევით, — ამბობს ყიფიანი, — დავესწარი მათ ლაპარაკს. „ძვირფასო ბარონ! — უპასუხა ვორონცოვმა, თუ მფიქრობთ, რომ თქვენ ქალს აქ არ მოუხდება ცხოვრება, არამედ შიდა რუსეთში, რატომ არ მიიბარეთ პოლტავის, კიევის ან სხვა ინსტიტუტში, სადაც მოისურვებთო?" ასე იყო წინათ. ეხლა კი არამც თუ არა ქართველებს, ჩვენც ალარ გვასწავლიან სამშობლო ენას და ათას დაბრკოლებას გვიჩენენ ამ საქმეშია. „ხალხის ენის შეგდალვა ნოა ამ ხალხის წმიდათა წმიდის შებღალვა. ქართველებს არ უნდა აკადრონ ეს. ნუ დაივიწყებთ, რომ საქართველო დაპყრობილი ქვეყანა არ არის. ქართველები რუსეთის მონარქია ქვეშევრდომობაში შეიდნენ ნებაყოფლობით და შეგნებულად..."

„საქართველო დაპყრობილი ქვეყანა არ არისო". თუ არა დაპყრობილი, რა პირობით შეუერთდა რუსეთს? ამ საკითხს ჯერ არ აუეწერენ, მაგრამ აზრი კი უკვე მის გარშემო ტრიალებს, და კიდევ დიდხანს იტრიალებს, რადგან ჯერ კიდევ ცოცხალია ძველი დროის „კერპი" და ჯერ კიდევ დიდი გროვა ხალხისა ამ „კერპის" სადიდებლად მოსული.

1882 წ. „კავკაზ"-ის № 328-ში სწერდნენ, რომ თურმე „იურიდიულ მიმობილვას, რომელიც გამოდიოდა ტფილისში ფრენკელის რედაქტორობით, არ მოსწონებია ის გარემოება, რომ გაზეთ „კავკაზში" ცნობა იყო მოთავსებული, დიმ. ყიფიანის გრამატიკა იბეჭდება და მალე გამოვაო. არ მოსწონებიაო? მაშ, იცოდეს ბ-ნმა ფრენკელმა, რომ „საქართველო ისტორიულად არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი ერი, გარემოცული მტრულად განწყობილი ხალხების და სამეფოების მიერ, საქართველო დამსახურებული ისტორიის წინაშე. მას სამსახური მიუძღვის აგრეთვე მართლმადიდებელ ეკლესიის წინაშე". ფრენკელებს ნუ ავიწყდებათ ეს გარემოება და გაფრთხილებით ილაპარაკონ ქართველთა საუბრის, სამშობლო ენის შესახებ! ფრენკელების აზროვნებას ამგვარი სახეთი არა სცვლიდა, მთავრობამ კი მიაქცია უურადღება იმ გარემოებას, რომ კამათი ფიცხდება და რომ ამიტომ გაზეთებში არ უნდა იბეჭდებოდეს ამ ხასიათის წერილები. დავთ ერისთავი, „კავკაზის" რედაქტორი, სწერს დიმიტრი ყიფიანს: „მივიღე თქვენი მშვენიერი წერილი ქართული ენის შესახებ. თუმცა დიდის კმაყოფილებით ვბეჭდავ ხოლმე ყოველივეს, რაც თქვენს კალამს ეკუთვნის, მაგრამ ამ ჟამად ჩემს გაზეთს ვერ დავამშვენებ თქვენის წერილით. მთავარ გამგეობიდამ შენიშვნა მომივიდა „იურიდიულ მიმოხილვის" შესახებ, რად დაიბეჭდა ასეთი ცნობაო. მწერენ, ნუღარ შეეხებით ამ სახიფათო საგანს. მაგრამ თქვენი მშვენიერი წერილის გამოუქვეყნებლობა არ ივარგებს. გაუგზავნეთ „Голосъ"-ს, რომელიც, იმედია, სიამოვნებთ დაბეჭდავს თავის ფურცლებზე". ამაზე დიმიტრი ორი დღის შემდეგ უპასუხებს: „ბალლობელი ვარ, ძვირფასო კნიაზო, წერილის დაბრუნებისათვის. მაშ, კატკოვის კომპანია (катковская клика) იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ მთავარი მმართველობაც კი ბანს აძლევს. წინასწარმეტყველი არ უნდა იყოს კაცი, რომ სთქვას, ეს ყოველივე სიკეთემდე არ მიგიყვანს. მე კი მეგონა, რომ მთავარ მმართველობას (глав. управ.) სიკეთისაკენ მივყეევართ. როგორ უნდა თანაუგრძნოთ ამ საქმეს, რომელიც ასე საზარლად უზნეოა?" დიმიტრიმ ვერ მოინელა ეს გარემოება, მისწერა წერილი მთავარ მმართველობის გამგე, ბ. სტაროსელსკის: „ბ. ბ. დიმ სიმონის ძე! ბევრი საქმე გაქვთ, ხოლო უმორჩილესად გთხოვთ მაჩუქოთ ხუთი მინუტი და ეს წერილი გადაიკითხოთ. თუ თქვენ, მმართველობის გამგე, სინდისის ქვეშ გამომესარჩლებით და მეტყვით, რომ ამ წერილის დაბეჭ-

და საჭირო და შესაძლებელია, გთხოვთ აცნობოთ „Кавказ"-ის რედაქტორს თქვენი აზრი, ვინაიდან უთქვენოდ წერილის ბეჭდვას ვერა ბრძანდავენო". ჩვენ კი ვიცით, რა უპასუხა სტაროსლესკიმ. ვიცით კი, რომ მდგომარეობა არ შეიცვალა, პირიქით, უფრო გამწვავდა. ასე რომ, „დროებაც" ველარ ბრძანდა ამ საგნის შესახებ ხმის ამოღებას. აი, რას სწერს ვ. მაჩაბელი დიმ. ყიფიანს: „გაახლებთ ამასთანვე თქვენს წერილს „ბუნების კარის" შესახებ და მოგახსენებთ მიზეზს აქამდე დაუბეჭდველობისას. მე ვერიდებოდი, რომ თქვენს წერილს რაიმე უსიამოვნება არ გამოეწვია. რაკი თქვენს წერილს დავბეჭდავდით, გოგებაშვილსაც მიეცემოდა უფლება ცხარე კრიტიკაზედ ცხარეკეთ პასუხი დაეწერა. და ამგვარი პოლემიკა არ მოუხდებოდა ახლანდელს დროს, როდესაც იანოვსკიმ სასტიკი ომი გამოუცხადა ქართველთა შორის განათლების საქმეს და თავის უკანასკნელ ცირკულიარში წ. კ. საზოგადოების გამგეობის წევრთა უწოდა „Неразумные педагоги". მაინც და მაინც თუ ისოუბენთ თქვენის წერილი დაბეჭდვას, უკანე გვიბოძეთ, მაშინვე დავბეჭდავთ". ამის პასუხად დიმიტრი სწერს: „ჩხუბში მე თქვენი მხარე უნდა დავიჭირო და ჯერ-ჯერობით მაინც ისეთი არარა დაგბეჭდვინოთ რა, რომ კვერის დაკვრას ეგვანებოდეს მტრისას. მაგრამ გთხოვთ ეს გადასცეთ ბ. იაკობს, რომ თუ მეხუთედ დაბეჭდილს წიგნშიაც ამნაირი საბრალო ჩვენი ენის გაუპატურება ვნახე, მაშინ კი, ნურას უკაცრაოდ, რომ ალარც ჩხუბს მივჰხედო, ალარცა არავის ხათრი შევუნახო და მოურიდებლად ვსთქვა ჩემი სათქმელი..."

ასეთი საზოგადოებრივი ატმოსფერო მომზადდა ოთხმოცი წლების დასაწყისში და დიმიტრის წინასწარმეტყველება, რომ ყოველივე ეს სიკეთემდე არ მიგვიყვანსო, მალე გამართლდა საუბედუროდ.

XII

რაკი შევეხეთ დიმიტრი ყიფიანის მოღვაწეობის იმ ხანას, როდესაც გართულებულმა ცხოვრებამ კალამი აიღებინა ხელში ეროვნულ-კულტურული ინტერესების დასაცავად, საჭიროა ვიცოდეთ, რომ კულტურულ მუშაობისადმი მიდრეკილება ყოველთვის ჰქონდა ჩვენს მოღვაწეს, მაშინაც კი, როდესაც სამსახურით იყო დატვირთული. მთავრმართებლის გოლოვინის დროს, ორმოციან წლების დასაწყისში, როდესაც კანცელარიის გამგედ იყო დიმიტრი ყიფიანი, მისის თაოსნობით და მეცადინეობით არსდება ტფილისში „ტფილისის კერძო სამკითხველო", რომელსაც მთავრობისაგან დამტკიცებული წესდება ჰქონდა და რომელიც დიმიტრი ყიფიანის ბინაზედ იმყოფებოდა. ამ წიგნთასაცავის დაარსებაში დიმიტრის ეხმარებოდნენ შემდეგი პირნი: თ. ზაქ. ერისთავი, თ. ვახტანგ ორბელიანი, თ. ელიზბარ ერისთავი, თ. ზაქარია ორბელიანი, თ. კოსტ. დადიანი, თ. ლევან მელიქიშვილი, თ. ნიკოლოზ (ტატა) ბარათაშვილი (პოეტი), თ. მიხ. თუმანიშვილი, თ. დიმ. ჭორჭაძე, თ. ბარ. ორბელიანი და სხვანი. ბიბლიოთეკა 1848 წლამდე, როგორცა ვსთქვით, დიმ. ყიფიანს ებარა, ბიბლიოთეკარიც ის იყო. როდესაც დაარსდა სანამესტნიკო, საბჭოს კანცელარიასთან დაიფუძნეს ბიბლიოთეკაც. ამ ხანაში დიმიტრის ბიბლიოთეკის დამაარსებელნი აქეთ-იქით გაიფანტნენ და დიმ. ყიფიანს ძალიან ეძნელებოდა ბიბლიოთეკის შენახვა და გაძღოლა. ამიტომ მან განიზრახა ამ ბიბლიოთეკის მიბარება კანცელარიის ბიბლიოთეკაში იმ პირობით კი, რომ დიმ. ყიფიანს უკანვე შეეძლო წიგნების წაღება, ვინიცობაა ამ წიგნებს მისცემოდა რაიმე სხვა დანიშნულება. როგორც სჩანს დიმ. ყიფიანის მიწერ-მოწერიდან კანცელარიის დირეტორთან საფოსტოთან, მთავრობამ შეიწყნარა სავსებით დიმ. ყიფიანის თხოვნა და ბიბლიოთეკაც გადაიტანეს კანცელარიაში. მაგრამ 1854 წელს დანიშნეს ახალი ბიბლიოთეკარი უყურადღებოდ ექცევა დ. ყიფიანს. წიგნების გატანაზე უარს ეუბნება. ასე რომ, დიმიტრიმ მოინდომა თავის წიგნების უკან წაღება, მაგრამ ამაოდ. წიგნები ალარ დაუბრუნეს. დიმიტრი არ ცხრება. 1857 წ. საჩივარი შეაქვს კრუზენშტერნთან. ორი წლის განმავლობაში პასუხს არ აძლევდნენ. ბოლოს, როგორც იყო, 1859 წელს. მორიგებით გაუთავეს საქმე და მისცეს წიგნების ფასად 1000 მანეთი. „რადგან ვიცოდიო, — ამბობს თავის მოგონებებში დიმიტრი, რომ «нельзя против рожна прати», მეც გავჩუმდი და დავკმაყოფილდი იმითი, რაც მომეცეს, თუმცა წიგნები ერთი ორად მეტი დაგვიჯდაო". ასე ჩაიყლაპა საზოგადოებრივი ხასიათის საქმე, რომლის მოთავეებად იმ დროს ცნობილი ქართველი მოღვაწენი იყვნენ. ეს ბიბლიოთეკა რომ დღეს „ქართული მუზეუმის" კუთვნილება ყოფილიყო, ვითომ ვის რას დაუშავებდა? მაგრამ რა! ცოტა რამ დაგვეკარგა, რომ ამაზედ ვინაღვლოთ? და ჩვენც განვაგრძოთ საუბარი დიმიტრი ყიფიანის კულტურული მოღვაწეობის შესახებ.

უნდა ვსთქვათ, რომ ტფილისში არ დაარსებულა არც ერთი სამეცნიერო თუ საკულტურო საზოგადოება, რომ დიმიტრი ყიფიანი არ ყოფილიყო ამორჩეული ამ საზოგადოებათა წევრად. კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, საეკონომო საზოგადოება, კავკასიის გეოგრაფიული საზოგადოებისა, კავკასიის საკეთილმოქმედო საზოგადოება — ყველა ამ საზოგადოებაში იყო დიმიტრი ან ნამდვილი, ან საპატიო, ან «член-соревнователь"-ი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დიმიტრი დიდი მოყვარულები იყო მწიგნობრობისაც. ქართული უურნალ-გაზეთების დაარსებიდანვე იღებს მო-

ნაწილეობის მაჭარ-ქართველის ფსეუდონიმით. „ცისკარში“ კერესელიძის დროს დაიბეჭდა დიმიტრის თარგმანები, ფრანგულიდან გადმოთარგმნილი: „ზეიმი“, „ღარიბი კაცის რომანი“, „ოქროვ ფუფლისი“ მოლიერის, „ცოლის შერთვინება“; ინგლისურიდან: „რომეო და ჯულიეტა“, „ორი ვერონელი“, „საჭართველოს მოამბენი“ დაიბეჭდა მისი „თურქმენელი ქალი“ და მიტჩელის „ასტრონომიის“ რამდენიმე თავი, შემდეგშიაც, როგორც უკვე ვიცით, წერილთათვის ხელი არ დაუნებებია. 1866 წელს, „დროება“ რომ დაარსდა, დიმიტრის თავის შვილ კოტეხაგან მოუვიდა წერილი, საცა, სხვათა შორის, ეკითხულობთ: „ნიკო ღოღობერიძემ მოგიკითხა და გთხოვს რაიმე წერილი გამოუგზავნო გაზეთისათვის, იმიტომაო, შენ ცნობილი მოღვაწე ხარ. შენი წერილი პირველ ნომერს მოუხდებაო. აი, თუნდ პარიზის შესახებ რაიმე ბრაშურარო — ძალიანაც გთხოვს“.

თავისუფალ დროს კითხვას ანდომებდა დიმიტრი. თვალ-ყურს ადევნებდა ფრანგულ უურნალებსაც. თავის ცოლსა სწერს: „მესაჭიროება „Rosue des deux Mondes“ 1858 წლისა. მინდა წავიკითხო ცნობილი ეკონომისტის, ვოლოვსკის წერილი „ბატონ-ყმობა რუსეთში“. რადგან Les beau èsprits se reneontrent, იხე გამოდის, რომ ერთი აზრისა ვყოფილვართ ამ საგანზე. ამიტომ ძალიან მინდა წავიკითხო მისი წერილები“. მეორე წერილში სწერს თავის ცოლს: „ჩემი შრომა, რომელიც შენს სახელწოდების დღეს დავიწყე მოციქულთა სწორის, საქართველოს განმანათლებელ ნინოს სახელის სადიდებლად და რომელსაც დღემდე განუწყვეტლივ ვამუშავებდი, თითქმის დამთავრებული მაქვს, შაგად მაინც ახლა მის შესწორება-გაშალაშინებას ვცდილობ“.

დიმიტრი ყიფიანს დიდი სიყვარული ჰქონდა თეატრისა, განსაკუთრებით უყვარდა შექსპირის თეატრი. როდესაც პეტერბურგში უხდებოდა ყოფნა, უცბოელ ტრაგიკოსებს ბეჯითად ადევნებდა თვალ-ყურს. ცნობილ იტალიელ არტისტ ქალის რისტორის შესახებ იგი სწერს თავის ცოლს: „რისტორი ლედი მაკბეტის როლს ისე ბოთამაშობდა, რომ მოლად ამიშალა ნერვები. ნერვები კი მაგარი მაქვს. უკანასკნელ მოქმედებაში საშინელი რამ იყო“. მომდერალი ტამბერლინკითაც აღფრთოვანებული იყო დიმიტრი. საგულისხმო ცნობას გვაძლევს „თემში“ ბ. კოტე ყიფიანი „მეფე ლირის“ შესახებ. ეს იყო 1879 წ. ლირის როლს ასრულება შესთავაზა ილია ჭავჭავაძემ დიმიტრი ყიფიანს. ამის გამო დიმიტრი ყიფიანი სწერს ილიას: „უძვირფასესო ჩემო collega, კნ. ილია გიორგის ძეს! თქვენ რომ ლირის როლი შემომიკვეთეთ, მე მოგახსენებთ, გადავიკითხავ და მაშინ გეტყვით, ვიკისრებ თუ ვერა მეთქი. გადავიკითხე, მაგრამ როგორ? წინ გადავიშალე ექვსი წიგნი: 1. ნამდვილი შექსპირი, ტაუხნიცის გამოცემული 1868 წ. 2. ნამდვილი შექსპირი, ხაუტლეჯერის გამოცემული ბეგრით ადრე. 3. ბენჯამენ ლაროშის ნათარგმნი ფრანგულად 1852 წ. 4. ფრანსუა ვიქტორ ჰიუგოს ნათარგმნი ფრანგულად 1861 წ. 5. თქვენი ნათარგმნი ქართულად 1877 წ. და 6. სადგერის ლექსიკონი ინგლისურ-ფრანგული და ფრანგულ-ინგლისური. შემოვიწყე ეს წიგნები და მოვუჯექ თქვენს თარგმანს, კვალში ჩავუჯექ მედგრად, დაუდალავად. 28-ს ვიწყე და წიგნები გუშინ დავკეცე, რათა? ვისიც პატივისცემა მაქვს ჩანერგილი გულში და არა მარტო ენაზე, და, მაშასადამე, ვინც მიყვარს, მინდა, რომ იმას წუნი არა ჰქონდეს და თუ მე ვიპოვე რამე, პირდაპირ უნდა უთხრა ცალკე, საშინაოდ, მეგობრულად. მაგრამ თქვენმა თარგმანმა სასიკადულოდ გადიკვლო თავს. ამგვარი კრიტიკა, კრიტიკა მიუკარებელი, შეუბრალებელი... შრომა გაგიწევიათ დიდი, ნიჭი გიხმარიათ შესანიშნავი, ერთი შეცდომაა მხოლოდ, ერთადერთი: კილო — შექსპირის თხზულებაში, რომელიც კარგა ძველია, ლექსიც ბევრი იქნება დაძველებული, რომელსაც დიდი ხანია ალარ ხმარობენ, მაგრამ კილო არის სასაუბრო კილო, რომლითაც საპატიო ყრილობაში ლაპარაკობენ და ლაპარაკობენ... თქვენ უფრო სამწიგნობრო კილოზე გადადიხართ. მშვენიერება არის თქვენი თარგმანი, ეს ყოველად უეჭველია, მაგრამ ამ კილოზე არსად ულაპარაკნიათ, არც სადმე ლაპარაკობენ. სათქმელი თუ არის რამე თქვენს თარგმანზე, ეს არის, სხვა სრულებით არაფერი... ახლა მე... გთხოვთ: თუ გნებავთ, რომ ლირი მე წარმოვადგინო, ნება მომეცით რომ ეს როლი თითონ მე ვსთარგმნო, ჩემებურად, მარტო როლი... აგრე იყოსო თუ მეტყვით, საქმეს შეუდგები.

30 ოქტ. 1879 წ.

ილიამ და ვ. მაჩაბელმა ამაზე დიმიტრის უარი შემოუთვალეს. ვგონებ ამ საკითხში შემცდარი იყო დიმიტრი, რადგან შექსპირის ენა მდაბიური, სასაუბრო არ არის და ჭავჭავაძე-მაჩაბლის თარგმანი ძლიერ უახლოვდება ტექსტის ენას. მაგრამ ჩვენთვის საინტერესო აქ ის არის, თუ რა გულმოდგინებით ეკიდებოდა დიმიტრი შექსპირის თეატრს.

დიმიტრი კარგი მცოდნე იყო ქართული ენისა. ძველი და ახალი მწერლობა ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი. შესწავლილი ჰქონდა აგრეთვე ქართული გრამატიკული ლიტერატურა. თუმცა სპეციალური ლინგვისტური ცოდნა არ ჰქონდა, მაგრამ საგრამატიკო ლიტერატურის ცოდნამ გაბედვინა და ქართული გრამატიკა დაეწერინა. ამ გრამატიკის მეცნიერული განხილვაში აქ, რა თქმა უნდა, ვერ შევალთ. მკითხველისათვის კი საინტერესო უნდა იყოს ამ გრამატიკის წინასიტყვაობაში ჩართული ზოგიერთი მოსაზრებანი. წიგნს უძ-

ღვნის პროფ. ჩუბინაშვილს. 1881 წელს იგი სწერს პროფესორს: „თქვენი გრამატიკა რომ ადარ იშოვებოდა, და ადარც სხვებისა, საქმე ისე გაგვიძნელდა, რომ დედაენის სწავლებას ვეღარ ვახერხებდით. მეტი ღონე ადარ იყო, ჩემი შვილებისათვის მევე უნდა შემედგინა გრამატიკა, როგორც მომეხერხებოდა და აი, სტამბაში ვგზავნი კიდეც დასაბეჭდად". დიმიტრი ყიფიანი თითქოს თავს იბოდიშებს პროფესორთან, გავბედე და გრამატიკა დავწერეო. ნამდვილად კი, როგორც უკვე ვიცით, დიმიტრის არ მოსწონდა ზოგიერთი ფორმები ჩუბინაშვილის გრამატიკისა. და თავის გრამატიკაში ცდილობს გამოარკვიოს ქართულ კანკელედობის კანონები. გრამატიკის ტექსტში ყოველი ახალი წინადადება ხუცურის ასომთავრულით არის დაბეჭდილი. „ძალიან ვსწუხდი, — ამბობს დიმიტრი, — რომ წერაში და ბეჭდვაში ასომთავრულით ხმარება გადავარდნილიყო. სხვა არა იყოს რა თვალთათვის მაინც დიდად სამძიმო არის სტრიქონების ასეთი ერთნაირი გამმა, რომ შესასვენებელი ადარც სად წერტილი ჩნდეს და არას სად მომსახო ასო, წვნიანი ასოებისაგან განსარჩევი". ქართულ გრამატიკის და ენის შესახებ ჯეითხულობთ წინასიტყვაობაში: „როგი და სამართალი მოითხოვდა სწავლას ისე დავიწყებდეთ ხოლმე, რომ ადვილიდამ ძნელამდინ გაუპირვებლ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბეჭდა ქალაქის თავად 9 აპრ. 1879 წლამდე) საბჭოში მოხდა ერთი საყურადღებო ინციდენტი.

ნ. ყიფიანი თავის მამის ბიოგრაფიაში ასე გადმოგვცემს ამბავს, რომელიც გაგონილი ჰქონდა მამისაგან. „ერთი ახალი ხმოსანი (გრიგოლ ბაბნიეული) უნდა დაეფიცებინათ... ფიცი უნდა მომხდარიყო საბჭოს სხდომაში. ქალაქის თავის თანდასწრებით — დასაფიცებელი ხმოსანი იყო სომეხი, სომეხთა მღვდელს უნდა დაეფიცებინა. დაიწყო ხმოსანმა ფიცის თქმა სომხურად. დიმიტრი ყიფიანმა, რომელისაგანაც მაქვს გაგონილი ეს ამბავი, გააჩერა და უთხრა: რადგანაც კანონის ძალით მე უნდა დავესწრო თქვენს ფიცის თქმასა და რადგანაც მე სომხური არ მესმისო, ამიტომ გთხოვთ ან რუსულად თქვათ ფიცი, რადგანაც ქალაქის საბჭოში ყველანი რუსულ ენას ვხმარობთო, ან ქართულად, რადგანაც ეს ქალაქი საქართველოს დედა-ქალაქიაო... სომეხმა მღვდელმა ძალიან გაცხარებული და ამაღლებული ხმით უპასუხა დიმ. ყიფიანს, რომ ნებას არ მივცემ ამ ყმაწვილს რუსულად ან „თქვენს ქართულს ენაზედ" დაიფიცოს და არ დავანებებ სამოხვევლად არც სახარებას, არც ჯვარსაო. დიმიტრი ყიფიანმა, რომელსაც ამის შემდეგ სულით და გულით სანანებელი გაუხდა ეს ამბავი, მაგრამ მაშინ მღვდლის გაცხარებულმა პასუხმა აიჩქარა ესეცა — უთხრა: მეც არ მივცემ ნებას ფიცი იმ ენაზე თქვას, რომელიც მე არ მესმისო, სომეხი მღვდელი ადგა და გავიდა კარში. დასაფიცებელი ყმაწვილი კაცი თან გაჰყვა. წამოდგნენ ხმოსანი სომეხნი... და ყაყანით გავიდნენ კარში..."

მკითხველი გაიკვირვებს ამ ამბავს. იტყვის, როგორ მოხდა, რომ დიმ. ყიფიანი, რომელიც ასე მედგრად იცავდა თავის სამშობლო ენას, ასე უსამართლოდ მოეპყრო სომხურ ენასო. ნუთუ შოვინისტური გრძნობა გამოიჩინა და განზრახ არ შეიწყნარა ფიცი სომხურ ენაზე? ამაზე გადაჭრით შეიძლება იმის თქმა, რომ ამ შემთხვევაში ამ ხასიათის გრძნობას ადგილი არა ჰქონდა. ეს იყო ქართველ მოღვაწის მოუზადებლობა ახალ მოვლენის წინაშე. ბევრ ქართველისათვის ეს იყო ეროვნული მოძრაობა, რომელიც იმ ხანებში სწარმოებდა სომეხთა ინტელიგენტურ წრეებში. მეორე მხრივ, თვით სომხებშიც ეროვნული მოძრაობა. ყველას არ ეკარებოდა. ჯერ კიდევ იყვნენ სომეხები ქართული საზოგადოებრივის საქმეებით დაინტერესებულნი, იყვნენ სომეხნი ქართული საქმის მედგარი მოსარჩლენი. დიმ. ყიფიანსაც სულ იმგვარი სომეხები ჰყავდა მეგობრებად, რომელნიც მშვენივრად ლაპარაკობდნენ ქართულად და სომხური არ იცოდნენ. ერთი სიტყვით, ტფილისელ სომეხების ეროვნულ ნიადაგზე დგომა ჯერ კიდევ ბეგრისთვის უცილობელი და უტყუარი არ იყო. და დიმიტრი ყიფიანის ინციდენტი სწორედ ამ კატეგორიის მოვლენაა, როდესაც თითქოს მოულოდნელად წარმოსდგა ისეთი რამ, რაც არა სჩანდა, და რის მოლოდინიც არავის ჰქონდა. დიმიტრი რომ ფიცი არ ყოფილიყო, სხვანაირად დაატრიალებდა საქმეს, მაგრამ საუბედურად თავი ვერ შეიმაგრა. და რაკი ერთხელ ვერ შეიმაგრა, ბოლომდე უნდა მისულიყო. ასედაც მოხდა. და ეს გაკვეთილი თითქოს იმას გვეუბნება, რომ ნამდვილი ეროვნული შემეცნება მხოლოდ იქ იწყება, სადაც ადამიანი სხვასაც სცემს პატივს ისე, როგორც თავის თავს. იმ ხანაში ამ სიმწიფემდე ჯერ კიდევ მისულნი არ ვიყავით.

ახლა წ. კ. საზოგადოების დაარსების ამბავს მივაქციოთ ყურადღება. ბატონ-ყმობის განთავსუფლების შემდეგ, როდესაც სამოქმედოდ ახლად გამოსული ინტელიგენცია შეუდგა ქართული საზოგადო საქმეების პატრონობას და როდესაც რუსეთის ლიტერატურის ზეგავლენით, ხალხისნური მიმართულება მყარდებოდა ჩვენშიაც, ბუნებრივად უნდა დაბადებულიყო აზრი ხალხში განათლების შეტანისა. და დაიბადა კიდეკაც ამისთანა აზრი ჩვენს ინტელიგენციაში. მესამოციანებში ტფილისში იყო რამდენიმე ოჯახი, სადაც იკრიბებოდნენ ახალგაზრდა ყმაწვილები და ბაასობდნენ. საგირბოროტო საქმეებზე. ერთი ამგვარი ოჯახთაგანი იოსეფ მამაცაშვილის ოჯახი იყო. აქ იკრიბებოდნენ დიმიტრი ბაქრაძე, დიმ. მუსხელიშვილი, კონს. მამაცაშვილი, ეკიმი მაღალაშვილი, ვახტანგ თელავშვილი, ანტ. ფურცელაძე და სხვანი. შემდეგში მათ მიემატნენ იაკ. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე და გ. იოსელიანი. კრებებს ესწრებოდა ავრეთვე ანნა ბესარიონის ასული მუსხელიშვილისა, და ნიკ. ღოღობერიძისა, როდესაც იგი დროებით ჩამოვიდოდა ხოლმე ახალციხიდამ ტფილისში. ამ წრეებში დაიბადა აზრი წ. კ. საზოგადოების დაარსებისა. აი, როგორ აგვიწერს ამ ამბავს იაკობ გოგებაშვილი „განთლებაში" დაბეჭდილ მოგონებაში: „სულ თავდაპირველად ამ საზოგადოებას ჰქონდა კერძო წრის ხასიათი. ყოველ წეკრს ამ წრისას კასაში შეჰქონდა განსაზღვრული ფული, რომლითაც უნდა დაარსებულიყვნენ კერძო სკოლები სოფლად. პირველი კერძო სკოლა დავარსეთ სოფ. ზოვლეში, იოსეფ მამაცაშვილის ასულის მარიამის სახელობაზე... მაგრამ პირველს ნაბიჯზედვე წინ გადაგვეღობა დაბრკოლება... ჩვენ ვითხოვეთ... ოთხი წლის კურსი და სწავლება ქართულს ენაზე ყველა საგნებისა ოთხივ წლის განმავლობაში. მთავრობამ ნება დაგვრთო დედა-ენაზე სწავლებისა მხოლოდ სამი წლის განმავლობაში და მეოთხე წელს კი მოითხოვა რუსულის ენის ხმარება საგნების სწავლის დროს. არაფრად გვეპიტნავა, გავხსენით სკოლა, გავამწესეთ მასწავლებელი და გავიჩალეთ სწავლა". მაგრამ საქმეს ფრთები ვერ გაშლია. სხვა სკოლა აღარ გახსნილა. ირკვეოდა

საჭიროება დიდ საზოგადოების დაარსებისა, რომელიც იკისრებდა ამ საქმის გაძღოლას. ბოლო ვახტანგ თულაშვილმა რუსეთიდამ წესდება რომ დაიბარა წ. კ. საზოგადოებისა, ამ დროს გოგებაშვილი ავად გახდა. და ერთი წლის შემდეგ თულაშვილ რომ შეეკითხა წესდების შესახებ, თულაშვილმა უპასუხა, წესდება რათახანია მომიგია, ხოლო საქმის დამწყები არავინ არისო. „ამოვალენინე წესდება, — მოგვითხრობს იაკობი, — წავიდე თან და ნიკო ცხვედაძესთან ერთად საქმის განხორციელებას შეუდექით. პირველი ჩვენი გადაწყვეტილება ასეთი იყო: ამ საქმის სათავეში უნდა მოვაქციოთ ისეთი გვამი, რომელსაც დიდი სახელი და პატივი აქვს ქართულს საზოგადოებაშიაც და მთავრობის წრეებშიაც. აღებ-დაღების შემდეგ ჩვენ ამისთანა გვამად ვსცანით დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი, რომელსაც მამაცაშვილის წრესთან არავითარი სიახლოვე არა ჰქონდა. და ერთის მშვენიერ საღამოს ვეახელითო და თან მოვიტანეთ ნორმალური წესდება წ. კ. საზოგადოებისა, როცა ჩვენი წინადადება მოისმინა, მხურვალე თანაგრძნობით მიგვება ჩვენი ძვირფასი მასპინძელი და ხანგრძლივის მოლაპარაკების შემდეგ გადაწყვეტეთ: ყოველ შაბათს შეკრებილიყავით მასთან და შეგვიშუშავებინა წესდება წ. კ. საზოგადოებისა ქართველთა შორის. გაჩაღდა „შაბათის კრებები“. იაკობი ისევ ავად ხდება. ნ. ცხვედაძე გაორკეცებულის ენერგიით განაგრძობდა მეშაობას. „ყოველ შაბათს საღამოს დაიარებოდა დიმიტრი ივანეს ძესთან. და მხოლოდ ეს ორი ქართველი ადგენდა წესდებულებასა ახალის ქართულის საზოგადოებისას“ იაკობის გადმოცემით, წესდების შედგენის დროს, აღმოჩნდა ყოყმანი თავად მუზლის შესახებ — ყველა საგნების დედა-ენის საშუალებით სწავლება. დიმიტრი ყიფიანს ეშინოდა, ვაი თუ წესდება არ დაგვიმტკიცონ, თუ ამ ხასიათის განსაკუთრებული მუზლი შევიტანეთო. და პირველად არც შეეტანათ ეს მუზლი. მაგრამ იაკობ გოგებაშვილის ბეჯით გამოსარჩლების ძალით შეიტანეს განსაკუთრებული მუზლი, რომელშიაც ნათქვამი იყო: «Общество достигаетъ своей просветитъльной цъли посредствомъ организацій всего начального обученія на радномъ, понятномъ дътямъ языкъ и способствуетъ обученію русскому языку». წესდება აჩვენეს ბესარიონ ღოღობერიძეს, რომელიც იმ დროს ტფილისის სახალხო სკოლების დირექტორად იყო. ღოღობერიძე დარწმუნებული იყო, რომ ამ ჩამატებულ მუზლის გამო წესდებას არ დაამტკიცებდნენ. მაგრამ საქმე ისე მოაწყეს, რომ წესდებას ხელი მოაწერინეს ცნობილ დიდკაცობას და მათის სახელით უნდოდათ წარედგინათ დასამტკიცებლად. საჭირო იყო დამფუძნებელ წევრთა რიცხვის გამრავლება და მიზნის მისაღწევად ცალკე ბარათებს უგზავნიდნენ ცნობილ პირებს. ეს ბარათი ყიფიანის და ილია ჭავჭავაძის მიერ ხელმოწერილი ერთი ამგვარი ბარათი, რომელიც გაუგზავნეს, სხვათა შორის, გიორგი ნიკოლოზის ძეს ყაზბეგს. „რადგან ყველანი იმ აზრისანი არიან, რომ ხელი უნდა შეუწყოთ მთავრობას ხალხში განათლების შეტანის საქმეში, არსდება ქართველთა შორის წ. კ. საზოგადოება კავკასიის სანამესტნიკოში... ამ საზოგადოებას აქვს აზრად: უკვე არსებულ სკოლების დახმარება და ახალ სკოლების გახსნა, ხოლო ყველა საგნების სწავლა ამ სკოლებში უნდა სწარმოებდეს სამშობლო, ბავშვებისათვის გასაგებ ენაზე. რუსულ ენის შეთვისებისათვის იქნება გამონახული საჭირო ზომები. საზოგადოების დამაარსებელთა სათავეში დგანან თ. გრ. ორბელიანი, თ. ლევ. მელიქიშვილი, თ. გიორგი ერისთავი, თ. გრიგ. დადიანი და მათ გვერდით ადგილობრივი ინტელიგენციის თითქმის ყველა წარმომადგენელი. ამათ დაგვავალეს თქვენც მოგმართოთ და შეგეკითხოთ, ხომ არ ისურვებთ საზოგადოების დამფუძნებელ წევრთა შორის ირიცხებოდეთ? თუ თანხმობას გამოაცხადებთ, გთხოვთ ხელი მოაწეროთ განცხადებას, რომელსაც ბეჭედავნით და დაგვიბრუნეთ უკანვე, რათა ეს განცხადება წესდების პროექტს დამატების სახით სხვაგვარ განცხადებებთან ერთად მიუმატოთ“. 1879 წ. წესდება დამტკიცებინეს და 15 მაისს 1879 მოხდა პირველი კრება ახლად დაარსებულ საზოგადოებისა. ამ კრებაზე მოწვევის ბარათში სწერია: „მოწყალეო ხელმწიფე! ჩვენ მინდობილი გვქონდა სხვათა შორის წარგვედგინა მთავრობისათვის წესდებულება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა ქართველთა შორის და გვეთხოვნა მისი დამტკიცება. ეხლა ეს წესდებულება დამტკიცებულია და ერთი დაბეჭდილი ეგზემპლარი ამასთანავე მოგვირთმევია თქვენთვის, როგორც საზოგადოების დაწესებულ წევრისათვის. რადგანაც ეხლა საჭიროა, რომ ამ საზოგადოების საქმე დაწყობილ იქმნას, ამისათვის გთხოვთ მოპრძანდეთ საზოგადო კრებაში 15 მაისს დილით 11 საათზედ თავად-აზნაურთა ბანკის სადგურში და წარმოადგინეთ სია იმ თქვენ ნაცნობ სანდო პირთა, რომელნიც ისურვებენ ჩვენი საზოგადოების წევრად გახდომასა“. ხელს აწერენ: დიმიტრი ყიფიანი და ილია ჭავჭავაძე. ბაბამეშის თაბაჯდლოგარად არჩეული იყო დიმიტრი ყიფიანი. მის ამხანაგად ილია ჭავჭავაძე. მდივნად იყო იონა მეუნარგია, მერე ალ. სარაჯიშვილი, ფევრალად — ნიკ. ცხვედაძე, იაკ. გოგებაშვილი, ვაჩ. თულაშვილი და სხვანი — 6 კაცი. შემდეგში კიდევ 6 მიუმატეს. ფრიად საგულისხმოა საზოგადოების მოკმედების პირველი ხანა დ. ყიფიანის ხელმძღვანელობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ის უკვე კარგად ვიცით, რომ ყოველ ნაკლსრ მოვალეობას დიმ. ყიფიანი თითქმის რომ პედანტურის გულმოდგინებით ასრულებდა. ამგვარსავე გულმოდგინებას იჩენს ამ ახალ საქმეშიაც დიმიტრი ყიფიანი. ხანგრძლივი სამსახურით გაწყრთნილი, წესრიგის დაცვას მოითხოვდა საზოგადოების გამგეობისაგან. იაკო გოგებაშვილს, მაგალითად, ერთი წინადადება შეუტანია საზოგადოების გამგეობაში, თავმჯდომარეს კი ამის შესახებ არა იცოდა რა. ეს დიმიტრი აცხადებს უკმაყოფილებას: „ყოველი ამგვარი ანბანი, წევრისაგან მმართველობაში შესატანი, პირველად თავმჯდომარეს უნდა მოახსენდეს ბოლმე. გუშინდლამდე ამისი არა მცოდნია რა და არცა არაფერი ეტყობა, რომ ჩემ ამხანაგს მოეახსენებოდეს ამაგე თვის მ-დის, როდესაც უფალს წევრს პირდაპირ შეეტანია სხდომაში. ჯერ რომ მე მენახა, მე პირდაპირ ვეტყოდი იაკობ სვიმონის: წევრს ყოველთვის აქვს ნება, რომ სხდომას, ამრიგად, თავისი საკუთარი. ან თავისი წინადადება მოახსენოს (და არა წინ დაუდოს — ეს არ ითქმის) განსახილველად და არა სისრულეში მოსაყვანად. ეს უკანასკნელი გამოთქმა ბრძანებითია და არა მოხსენებითია“ და სხვა. „ამგვარი დიდაქტიკური ხასიათი აქვს დიმიტრის ყველა წერილებს და მოხსენებებს გამგეობის მოქმედების შესახებ. წერა ბევრი უხდებოდა, რადგან საქმეების გამო ქუთაისში იმყოფებოდა. საქმეებს ჯერ ოთხა მეუნარგია, მერე ალ. სარაჯიშვილი იქ უგზავნიდნენ და იქიდამ ჰგზავნიდა თავის რეზოლუციებს.

ეს, რამდენიმე ნიმუში დიმიტრის შენიშვნებისა: საზოგადოებამ გამოსცა წიგნაკი „წიოელი ფანარი“ ამის შესახებ დიმიტრი იწერებოდა: „ჩვენი სასოფლო სკოლებისათვის საზოგადოების ხარჯით დაბეჭდილი წიგნი და ისიც პირველი წიგნი, ამისთანა უნდა იყოს? მმართველობის გადაწყვეტილებას მე პატივი უნდა ვსცეს, ეკუთვნის პატივი თუ არა, ამის განუკითხავად, და ჩემის მხრით ხელი მოვუმართო აღსრულებაში, რაც უნდა ეს აღსრულება საზარალო იყოს საქმისათვის. ბოლით ვიტანჯები, რომ ასე მკვავე ლაპარაკი მიხდება ჩვენს მმართველობასთან და მმართველობის წევრნი კი უფრო და უფრო განზე იწევენ. მაინც და მაინც თუ არ მოიშლით — დაიბეჭდნეთ, მაგრამ უკანასკნელი კორექტურა ჩემი იყოს და აქ მეგზავნეთ ბოლის ფურცლები, რომ შეუსაბამო რამ ლექსი ან არეულ-დარეული მართლწერა არ შემოგვეპაროს. ახალ მოსწავლეთათვის საკითხავ წიგნში შეცდომა არა უნდა იყოს რა“. წარდგენილ ანგარიშის შესახებ დიმიტრი აღნიშნავს: „მმართველობაში არის 12 და არა 13 წევრი. პირველად იყვნენ ამორჩეულნი 6 და არა 7. ანგარიშის რედაქციას უთუოდ თავმჯდომარეც წევრად მიაჩნია. ეს ჩვენი წესდებულების 128-ის სიტყვით. შეცდომაა. აგრეთვე შეცდომაა 19 ⅆ-ის მუხლის მიხედვით საზოგადოების სეკრეტრად წევრ[illegible] მმართველობის სეკრეტარისა... სხვა ამგვარსავე სასასუხო ქალალდში ვამოვებინ უფრო სასტიკ შენიშვნებს“... „ᲐᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘᲡ ᲝᲡᲐᲚᲘ ᲐᲠᲘᲠᲘᲐ. ᲞᲠᲝᲢᲝᲙᲝᲚᲘ. ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ Ი ᲐᲐᲠᲘᲚᲘᲡᲐᲡ ᲓᲐ ᲘᲜᲐᲓᲘᲠᲘᲡᲐᲡ: ᲘᲐ ᲛᲐᲠᲢᲘᲡᲐᲡ ᲐᲬᲔᲠᲘᲡ ᲛᲣᲚᲘ, ᲐᲠᲪᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲛ ᲮᲐᲡᲔᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜᲘᲡ ᲐᲠ ᲒᲘᲪᲣᲚᲘᲡᲐᲠ. ᲐᲛᲘᲗᲝᲛ ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐᲠᲐ ᲞᲠᲝᲢᲝᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲡᲗᲐᲜᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔᲚᲘ ᲒᲘᲛᲔᲠᲔᲑᲐ ᲘᲛ ᲥᲐᲚᲐᲚᲓᲔᲑᲘᲡ. ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔᲚᲘ ᲒᲘᲛᲔᲠᲔᲑᲐ ᲠᲐᲪ ᲠᲐᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲡᲬᲘᲚᲘ ᲛᲝᲛᲡᲬᲘᲚᲔᲑᲐ. ᲜᲐᲚᲐᲪᲐᲮᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲬᲐᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜᲘᲡ. ᲘᲛᲘᲡ ᲗᲥᲕᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲙᲘ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲡ ᲠᲐᲛᲔ. ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔᲚᲘ ᲒᲘᲛᲔᲠᲔᲑᲐ ᲘᲛ ᲥᲐᲚᲐᲚᲓᲔᲑᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲘᲪᲔᲜᲘᲗᲘᲐ ᲒᲘᲡᲘᲗᲘᲐ ᲠᲐᲛᲔ, ᲐᲜ ᲨᲔᲣᲜᲐᲑᲔᲑᲘᲡ“. ᲬᲘᲗᲚᲘᲗ ᲒᲐᲛᲔᲒᲠᲔᲑᲘᲗ ᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘ ᲬᲔᲠᲓᲐ ᲛᲘᲡᲬᲔᲠᲓᲐ ᲛᲐᲒᲘᲡᲗᲐᲜᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔᲚᲘ ᲒᲘᲛᲔᲠᲔᲑᲐ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲡ ᲠᲐᲛᲔ, ᲐᲜ ᲨᲔᲣᲜᲐᲑᲔᲑᲘᲡ“. ᲬᲘᲗᲚᲘᲗ ᲒᲐᲛᲔᲒᲠᲔᲑᲘᲗ ᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘᲡ ᲬᲔᲠᲓᲐ ᲛᲘᲡᲬᲔᲠᲓᲐ ᲛᲐᲒᲘᲡᲗᲐᲜᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔᲚᲘ ᲒᲘᲛᲔᲠᲔᲑᲐ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲡ ᲠᲐᲛᲔ. ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔᲚᲘ ᲒᲘᲛᲔᲠᲔᲑᲐ ᲘᲛ ᲥᲐᲚᲐᲚᲓᲔᲑᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲘᲪᲔᲜᲘᲗᲘᲐ ᲒᲘᲡᲘᲗᲘᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თორმეტიოდე მოწაფენი ისევ თავისს ადგილას ისხდნენ დაკეტილში. უფ. მასწავლებელმა აგვიხსნა: გვიან მოვიდნენ და ცოტა ხნით დავამწუვდეთო! ეს ხომ გულის წყრომა არის, — ვიზედ? შვიდისა და რვა წლის ბავშვებზედ?! ეს გულის წყრომა რას უნდა მიეწერებოდეს არ ვიცი. პედაგოგის მოთხოვნილება რა და რა არის, არ ვიცით, თუ ისევ ჩვენს ძველებურ ანდაზას ვადგიგვართ „შიში შეიქმს სიყვარულსაო...“

მკითხველს იქნება გაუკვირდეს, გაეცნობა რა ამ სტილის მიწერ-მოწერას. კილო მართლაც მკვახეა. მაგრამ სრულად შესაფერი დიმიტრის ბრძანებლობითი ხასიათისა. ხოლო საქმე ის არის რომ ყოველი ჩვენი საზოგადო საქმე რაფაც უთავბოლო და შეუსაბამოა ხოლმე. საქმიანობა არ ემარჯვებოდა ქართველ ინტელიგენტს, რომელსაც ენაც კი დავიწყებული აქვს და რიგიანად თავისი აზრის გამოსახვა არ შეუძლიან. გარდა ამისა წ. კ. საზოგადოების საქმე, დღიდამ დაარსებისა, მკვიდრ ნიადაგზე არ იყო დაფუძნებული. ფართო გეგმა ჰქონდა, ბევრის გაკეთება სწადდათ, საშუალება და საღსარი კი მცირე იყო. პირველ ხანში ილია ჭავჭავაძის მეცადინეობით ტფილისის ბანქმა მისცა 18 000 მანეთი, ქუთაისის ბანქმაც 3 000 მანეთი. ეს ფულიც მალე დაიხარჯა და მარტოოდენ საწვრო გადასახადით ხარჯებს ვერ აუდიოდნენ, ასე იყო წინად, ითქმის ახლაც საქმე დღესაც. ეხლანდელი გამგეობის თავმჯდომარე ბ. გიორგი ყაზბეგი თავის მოხსენებაში ბრძანებს: „ძირითადი ნაკლი და შეცდომა წ. კ. საზოგადოების პირველის ნაბიჯისა ტარადიციულ ავადმყოფობად გადაექცა ამ საზოგადოებას. და ამ ავადმყოფობასთან ბრძოლაში განვლო ოცდაათი წელიწადი მისი სიცოცხლისა. საქმე რთულდებოდა იმითი, რომ ჩვენს სურვილებსა და ოცნებას არ შეუთანასწორებდით ხოლმე მატერიალურ სახსრებსო“.

ეს იქნებ ასეა, მაგრამ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრების მსვლელობას სხვა გზა არ ჰქონდა, ხშირად შეცდომის და ნაკლულევანების დანახვა ასწორებს საქმეს. უშეცდომოდ კი ჩვენისთანა საზოგადოებაში, ისიც იმ ხანაში, არა საქმე არ გაკეთდებოდა, თუ სურვილი უსწრებს ჩვენს ობიექტურ ძალას და შეძლებულებას, ეს კიდევ დიდი საფრთხე არ არის. პირიქით, მეტი უბედურება იჭნდოდა, საღსარი რომ გვქონოდა, ხოლო სურვილი და ოცნება არა. სურვილი შეჩქმნის საღსარს. ეს იმედი ჰქონდა თვით დიმიტრი ყიფიანსაც, რომელიც ასე ხშირად ცივ წყალს გადაასხამდა ხოლმე ჯერ კიდევ საქმეებში გამოუცდელ თავის თანამშრომლებს. დიმიტრი ყიფიანს ღრმა რწმენა ჰქონდა, რომ სწავლა-განათლება გამოაბრუნებს ჩვენს საქმეს და რომ სწავლა ის ღერძია, რომლითაც შეიძლება ცხოვრების ძირითადი განახლება. ხენაკის სკოლის გახსნის დღეს დიმიტრი ამბობდა სხვათა შორის: „ის ხერხია მეცნიერება, რომლითაც კაცი განუზომელს ჰზომავს, განუვალს — განვლის, ზღვის ღელვა-ფურთოვნას არაფრად აგდებს, მზის სინათლეს იგდებს ხელში და თავის ნებისად ამუშავებს“. აი, ასეთი იმედებით იყო გამსჭვალული წ. კ. ქ. შ. გამგრცელებელ საზოგადოების პირველი თავმჯდომარე. ესევე აზრი აღფრთოვანებდა ამ საზოგადოების დანარჩენ მოღვაწეთ, რომელთაც გულმხურვალე თავმჯდომარე ასე ხშირად და ასე მკვახედ ჰკიცხავდა ათასგვარ ფორმალურ ხასიათის შეცდომათა ჩადენისათვის. წესიერ საქმიანობის დამყარებისათვის იქნებ ესეც დიდად საჭირო იყო იმ ხანებში.

დასასრული იქნება.

თეიმურაზ ნეცუბიძე

პოეზიით შემჭიდროება

„მომქმედი ყოველთვის ეკინდისოა. ინდივიდი აქვს მხოლოდ მაყურებელს“

გოეთე

თუ ყველაფერი არა, უმეტესობა მაინც იწერება ორიგინალურობის ცნობიერი თუ არაცნობიერი რეფლექსის წყალობით. მაშასადამე, რაციონალური თუ ინტუიტური, ანუ გონებრივი თუ ემოციური ბიძგის შედეგად. ერთ შემთხვევაში ორიგინალურობა არის საწყისი, მეორეგან შედეგი, — ანუ ორიგინალურობა აღძრავს და ორიგინალური გამოდის. ორივე შემთხვევაში ქმნადობის აჟეში დევს ორიგინალურობის ჭეშმარიტი იდეა, როგორც პოტენციური მიზანი. სხვაგვარად, დამეთანხმებით, არაფერი არ იქმნება, არც მატერიალურად, არც სულიერად.

ჩვენში რომ პოეზიას და პოეზიაზე წერას გაცილებით შორეული ტრადიციები აქვს, ეს, მგონი, აღმოჩენა არ არის. მიზეზები უფრო ერის ხასიათსა, ტემპერამენტსა და სულიერ თვისებებშია საძებარი, ვინაიდან სათქმელის გადმოცემის რიგორობა, საკუთრივ ფორმა ესთეტიკურ არჩევანს ააშკარავებს, რაც ამა თუ იმ ხალხს ოვითგამოხატვისათვის იდეალურად შესაფერ ტონად მიუჩნევია. სათქმელის რაობა განაპირობებს თქმის როგორობას, მაგრამ ეს ფორმაც, როგორობაც, თავის მხრივ, სათქმელის არსს ახორციელებს, ასხეულებს. დღევანდელ ლიტერატურაში შეიმჩნევა არა მხოლოდ პოეზიის დომინანტი პროზის წინაშე, არამედ თვითონ პოეზიის ფერის შიგნითაც ლირიკული საწყისის აღმატებულობა ეპიკასთან შედარებით (ამას რომ ვამბობთ რაოდენობრივ-მოცულობით მხარეს კი არა, განწყობითა-ფლერადობით პლანს ვგულისხმობთ ლეკნისას). ეს ფაქტი, თავის მხრივ, წინასწარ განსაზღვრავს ჩემი დაკვირვების როგორც მიმართულებას, ასევე მისი განფენის საკარაუდო საზღვრებს. — „ლირიკა მთელი მისი დიდი წარსულით“, — როგორც გალაკტიონი შეგვახსენებდა ხოლმე, იყო პოეზიის ფარდი ცნება და „ერის შემჭიდროება“ მატერიალური ყოფის თუ სულიერი აზროვნების ყველა, მეტნაკლებად მნიშვნელოვან პერიოდში და სასიცოცხლო უბანზე; „მის სასიცოცხლო ძალთა-ძალა და საზრდოება“ და ყველაზე მძიმერად მაშინ, როცა „მარად, ყოველმხრივ შემორტყმული უთვალავ მტერით“, იგი ეძებდა გადარჩენის და განახლების ერთადერთ ფალტერნატივი, ფენიქსისებრ ალსადგენად სასწაულებრივ გზებს. ან „სიმართლისთვის მებრძოლ“ ლირიკასთან სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლაში — „უძლური იყო ცეცხლი ასული ცამდე, ათასი ჩანგი. მაამადზანი და ოემურლანგი“; იგი, ეს პოეზია, „სმენად და ჭვრეტად“ გადაქცეულ ყველა ჭალათს და მოსისხარს „ძიზის ზარს სცემდა <...> უფრორე მეტად, ვინემ ფერმკრთალი შეიკმეულება აჯანყებისთვის“. არა მგონია, რომელიმე ერის ისტორიული ბედი მის პოეზიასთან ასე განუყრელად იყოს დაკავშირებული, მეტიც, — ერთი მეორეს მექანიკურადვე გატოლებოდეს, როგორც ეს იყო „უძველეს ხნიდან დაწყებული რუსთაველამდე“ რუსთაველიდან ჩვენს დრომდე“ და ასე, განუწყვეტლივ, საქართველოში. პოეტი, პრეისტორიული ხანიდან მოყოლებული ბოლომდე ბელადის, მაგის (გალაკტიონის სიტყვით „მოგვის“) და ერის წინამძღოლის დანაშნულებას ასრულებდა და მისი სინონიმი იყო. პოეტს კლავდნენ, როგორც მაშასს და გელაზს რეალურადაც („წიწამურთან რომ მოკლეს ილია“ ისე) და შამანების რიტუალების იდუმალ მასკარადშიც, რადგან სჯეროდათ, რომ ვაზივით და ვაზთან ერთად იგი ერის უკვდავ ძალებთან ზილნაყარობის შუამავალი და სიმბოლო იყო. იქნებ ზოგადი ფრაზებია, მაგრამ ჰყა-

ვდა კი განა რომელმე ქვეყანას ამდენი გვირგვინოსანი პოეტი (პოეტი-მეფე თუ მეფე-პოეტი). როგორც ივერიას? მარტო ეს მაგალითიც ბევრის მთქმელია ამ „სიმწრის ფიალის ვერმაცდენი" ხალხის მიერ „შემოსილთათვის. დამპყრობელთა წინაშე ძალის" ამაყი ქედის მოუხრელობისა. რადგან პოეზია საქართველოში უფრო საკრალური, საიდუმლო, ხელოვნება იყო, ვიდრე ოსტატობის თუ ხელოსნის დაუფლების ტექნიკური, თუნდაც ესთეტიკური პროცესი; ამიტომ განადგენია, რომ ჩვენი პოეზიის ამ წინათმგრძნობი არსის, დანიშნულების და მიზნების შესახებ ტრადიციის და დღევანდელობის უცნაურად შინაგანი კავშირების გამოსავლინებულ ნაფიქრალში ძალზე ფრაგმენტულად, მაგრამ მაინც უნდა მივანიშნო ალნიშნული მოვლენის ამხსნელ თუ გამოსაცნობ რიგ თეორიულად საეტაპო შემთხვევაზე, ვცადო მისი არსის გენეტიკური და ტიპოლოგიურ ევოლუციაზე თვალის გადევნება.

●

შუა საუკუნეების ქართულ ესთეტიკურ აზროვნებას, „კლასიკურ" პოეტიკას ჰქონდა რელიგიური, ნორმატიული ელფერი. აზროვნების და კერძოდ. მისი მზატვრული სფეროს განვითარება ემყარებოდა ქრისტიანული რელიგიის უმთავრეს დოგმატს — სამყაროს სტრუქტურის ღვთაებრიობის, კეთილი მიზეზისაგან წარმოშობის (ყაზალიზმის) ხმაშეუფრიზენელ თეზისს. საღვთაოს წარმოშობას და მის მოაზრებას, მის შეცნობ ცოდნას ჰქონდა არსისეული, სუბსტანტური საწუთი და იგი პიროვნულ ლენინოგრაფ — სანების ერთარსებობაში მდგომარეობდა. ხელოვნება იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას. ამ არაცნობიერად ქნნადი, შემოქმედებითი ღვთიური აქტის („სასწაულის") არაცნობიერი გამოცხადება. ღვთის მადლის გადმოსვლა შოაძავალზე, მეგალეუმზე. რომლის „პირით" და „ენით" გამოცხადდებოდა სულიწმინდისაგან ძალსწავლებული უდიდესი და შეუწყვიტელი სიტყვა. „ენა" ამისთა დაწერილი სულისა წმინდისა მიერ" არის ზოგადი დებულება, თანაბრად სავალდებულო და საპოეტიკო ხელოვნების რაობა-როგორობის წვდომისათვის. ხელოვნების ბმიერთ ასეთი პოზიცია ჯერ კიდევ „იოანში" იღებს სათავეს: „რასაც ამბობ ხელოვნებისა და ცოდნის კი არა, ღვთიური სიშმაგისა და ზეშთაგონების წყალობით ამბობ <..> შენ ხელოვნება კი არა, ღვთიური ზეშთაგონება გზნის ჭეშმარიტ მეხოტბედ ქომეროსისა"; პლატონის მიერ შემოქმედების ასეთი დედოუქციური. ზოგადიდან კონკრეტულისაკენ მიმავალი გაგება ქრისტიანულ შუა საუკუნეებში ბევრ რეგიონში, მათ შორის ქართულ სინამდვილეშიც, ეფუძნება პიროვნული, ინდივიდუალური დემიურგის მიერ მადლით გამოცხადებული სასწაულის პოეტისაგან არაცნობიერად გამეფდავნებლ თეზისს. ხელოვნება აკ მოლიანად თეოლოგიზებულია და იგი ღვთიური არსის, სიკეთის სიტყვიერ-საზროვნო გამოვლენის ერთ კონკრეტულ და ყოფიერების იმავდროულ. თანაც ტულ. კორელატურ. ეკვივალენტურ უბანს წარმოადგენს. კლასიკური პოეტიკა იძლევა სამყაროს მატერიალური და სულიერი მთლიანობის სურათს. ცნობილია, ქრისტიანობის აღმოსავლურ ფრთას დასავლურ-კათოლიციტურისაგან განსხვავებით, რომელმაც აქცენტი ადამიანზე გააკეთა, ყოველთვის ინტერესებდა ღმერთი. ამიტომ ამ მთლიანობის სურათის იგი ახლა მოწუმენტალიზმის და ტრაგიკული დრამატიზმის დიდ განზომილებაში გვაძლევს. ქრისტიანული ოპტიმიზმი — ხსნის და გაგოსვიდვის იდეა, „ყომედია", „კეთილი ბოლოს" სინონიმური ცნება (ასე ესმის „ყომედია". მაგალითად. დანტეს თავისი პოემის სათაურში) კომპოზიურ კატასტროფებთან ჭიდილსა და იდეის გამარკვევის გზით მიზნის მიღწევაშია. იდეის გამარკვევა შესაძლებელია გმირის დაღუპვის ფასად ანდა ამ გმირისაგან სიკვდილის რიტუალური დაძლევის — ინიციაციების გავლის შემდეგ (როგორც მაგალითად, „ვეფხისტყაოსანში") დაგვირგვინდეს („ჭრისტეს ენებათა" სიმბოლო). მაგრამ შედეგი, სიკეთის ყოფითი და სულიერი ერთადერთობა („ბოროტსა სძლია კეთილმან"). წინასწარვე ზეიმისთვის გამზადებული ნამდვილობაა. შემოხვევა, როგორც უარსო ბოჭვნენებ, შეიძლება გარკვეულ ფიზიკურ დრო-სივრცეში არსებობდეს, მაგრამ იგი სასრულია, წარმავალია და ეს წარმავალი მხოლოდ მსგავსებით, სამეკოოს მიზეზთან, მის არსთან მსგავსებით იძენს თავის რეალობას. სხვა სიტყვებით. ბოროტება როგორც საწყისისეული, არსისეული სიდიდე არ არსებობს. ამდენადვე. ხელოვნება თავისი სპეციფიკური, მხატვრული ფორმით იძლევა ყოფიერების ზოგადი სურათის შესატყვის დადებით. „წართქმით". ინფორმაციას, რომლის მთავარი ნიშანი სინათლეა, სიკეთის ესთეტიკური ატრიბუტი („რაცა ოდენ ოქვან ნათელად"); გვაძლევს „ჰოსაც" და „აოსაც". ანუ ხატავს ყარგსაც და ცუდსაც. იგი აგებულია აქსიომატურ პრინციპებზე და წანამძღვართა ერთგვაროვნებიდან არაორაზროვანი, ერთადერთი დანასკვნი გამოპყავს. ბარემ აქვე აღვნიშნავთ, რომ ქართული აზროვნებას ამ ამსოლუტური ერთგანზომილების ააზროვნო მოდელში კორეკტივის შეტანის წყარო ჰქონდა ალმოსავლური. არაქრისტიანული. ინდურ-სპარსული კულტურული ატავის ორგანული შესისხლხორცებით, სადაც შესაძლებელი იყო სხვადასხვაგვარი წანამძღვრების შეფარდებითი კომბინაციიდან გაკეთებულიყო ДОМИНАНТЕБИ, ალმატებული თვისების და ნიშნის მიერ განსაზღვრული დანასკვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ნერილის შემოსაზღვრული ფუნქციის გამო განზე დარჩება რიგი ისტორიულ-თეორიული მატერიალურ-ცნობიერი ეპოქა, რამაც შეკვნა ამ მართლმადიდებლურ ნორმატივში დაშვებების საბაბი (რელიგიურ-მხატვრულ-ფილოსოფიურ-პოლიტიკური რეფორმაცია) და პირდაპირ განსული საკუთნის. ბოლო ათწლეულიდან დაპრული დიდი, საყოველთაო მოდერნიზაცია, საყოველთაო განახლების **ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠ ᲛᲝᲜᲣᲚᲘ ᲨᲔᲫᲔᲑᲘᲗᲘ**. კლასიკური პოეტიკა იყო **ᲔᲠᲔᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ**, დადებითად განსაზღვრული მიმართულება, რომელიც ესთეტიზმის, შეგნიერების საბოლოო მიზნის გზებს, მიუხედავად ამ საბოლოო მიზნის მისთვის არაცნობიერად არსებობისა, ეძებდა და პოულობდა. თქმულს შეგნიერად ახასიათებს ლ. ტოლსტოის ერთი დაკვირვება: „ადამიანისთვის მიუწვდომელია მისი ცხოვრების მიზანი, მან შეიძლება **ᲘᲪᲝᲓᲔ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ** ცხოვრების მიზანთან მიმყვანებელი **ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐᲡ**". (ხაზგასმა აქაც და ყველგან ქვემოთ ჩემია — თ. ნ.) აი, ამ გზის, პროცესის მიმართულების ცოდნა, რომელიც ცხოვრების მიზანს მიგაახლოებს, და მისი ჩვენების ფორმა იყო კლასიკური პოეტიკის დადებითი ტენდენციის უმთავრესი განზომილება.

მოდერნიზაციის უპირველესი განსხვავება კლასიკური ეპოქისაგან იმაშია, რომ მან ყოფიერების სფეროში დაუშვა არსის გვერდით და მის თანაბროუფლად მოვლენის საწყისისეულობა და მოგვცა **ᲝᲠᲒᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲠᲘᲡ ᲓᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘ** — ყოფიერების პოლარული ორგვარობა; მაშასადამე, ასახვის, აზროვნების თეორიაში შესაძლებელი და. დასაშვები გახდა მშვენიერებისაგან განსხვავებული ესთეტიკური იდეალი: — სიმახინჯე და ნაკლულოვნება. კლასიკური პოეტიკის ესთეტიკური მიზნის ასეთი მოდიფიკაციის პირველი საფეხური ორგანულ და არაორგანულ (მექანიკურ) სამყაროთა პარალელიზმის და თანაბარსაწყისიანობის აღიარება იყო. გავიხსენოთ, როგორ აღწერს თომას მანი „დოქტორ ფაუსტუსში" ადრიან ლევერკიუნის მამის, ინოანთანის „თეორიას" ყინულის მოკვარაყებულ კრისტალებზე: მან „ვერასგზით ვერ შესძლო ინასთან შეგუება, რომ ისინი თავიანთი „ყინულოვანი შესაძლებლობებით" ცდილობენ ორგანულ სამყაროში დილეტანტობას და ფანჯრებზე მიხატული არშიების ცქერისას ხანგრძლივად აქცევდა თავს — გაკვიცხავად და იმავე ‍ᲓᲠᲝᲡ აღტაცებით. ეს შანტასმაგორიები ᲧᲘᲜ ᲣᲨᲠᲔᲑᲓᲜᲔᲜ თუ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲛᲔᲝᲠᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲛᲪᲝᲜᲐᲠᲔᲣᲚ ᲤᲝᲠᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ? — აი, როგორ იდგა საკითხი. „არც ერთი და არც მეორე, — ბოლოსდაბოლოს პასუხობდა იგი თავის თავს; — ეს **ᲞᲐᲠᲐᲚᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲒᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲐ**. ბუნება გამომგონებელია. უამიდან უამად მისი ნათხზნი მეორდება. თუკი აქ შეიძლება გამეორებაზე ლაპარაკი, მაშინ მხოლოდ ორმხრივზე. უნდა კი იმის გამო, რომ მათ ორგანული, სილრმისეული არსებობა გააჩნიათ. მინდვრის ყვავილები ᲐᲠᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐᲓ ᲩᲐᲒᲕᲘᲗᲚᲝᲗ. ᲑᲝᲚᲝᲛ ᲧᲘᲜᲣᲚᲘᲡ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘ — ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲘᲠᲐᲭᲐᲕᲐᲓ? მაგრამ ეს მირაჟიც ᲩᲛᲘ მატერიის არანაკლებ რთული შეხამების შედეგია, ვიდრე ისინი. რომლებსაც მცენარეულ სამყაროში ვხვდებით". იგი **ᲑᲐᲜᲔᲨᲘᲕᲔᲥᲢᲐᲚᲐᲓ ᲘᲧᲝ ᲨᲔᲠᲬᲧᲝᲚᲘᲡ ᲪᲝᲪᲮᲚᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲪᲝᲪᲮᲚᲐᲚᲘ ᲒᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲐᲮᲠᲘᲗ**; მისი ფიქრით, ჩვენ ამ უკანასკნელის მიმართ ცოდვაში ჩავცვივდით, ორივე ერთმანეთისაგან ძალზე მკაცრად რომ გავმიჯნეთ, მაშინ, როცა **ᲔᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲠᲘ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔᲗᲘ ᲐᲠᲪ ᲘᲡᲘ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘᲡ ᲒᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲚᲘ ᲫᲚᲝᲑᲐᲡ** და რომელსაც **ᲑᲘᲝᲚᲝᲒᲘᲐ ᲛᲘᲙᲕᲚᲐᲠ ᲒᲣᲜᲔᲑᲐᲖᲔ ᲓᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲐᲚᲐᲛᲐᲮᲘᲜᲔᲑᲡ**".

ამ ლანდშაფტის ცქერა მოხუც ებრაელს ნაკლულოვნების შეგრძნებით გამოწვეული ღრმა სევდით ავსებს, იმ სევდით, რაც მოდერნისტულმა ესთეტიკამ იმეჩვიდრა და რითაც იგი დაუპირისპირდა კლასიკური ეპოქის ჯანსაღ, ოპტიმისტურ, პოზიტიურ ტენდენციას.

ზემოთქმული ეხება მოდერნისტული ავანგარდიზმის „ბავშვობის ხანას". თუ აქ არაორგანული ფანტასმაგორიების და მირაჟების, ბუნების ამ „ნახელოვნებარი" ფორმების არსისეულობა და მათი ორგანულ მატერიასთან პარალელურობაა აღიარებული, თუ ისინი არც მოასწავებენ (ესე იგი, არც წინ უსწრებენ, პროტოტიპები არ არიან) და არც იმეორებენ (ესე იგი მხოლოდ მოვლენები როდია) ბუნებრივ ფორმებს — რეალურ საგნებს, არამედ ურთიერთპარალელური მოვლენებია, უკვე უფრო მოგვიანებით. ამ საუკუნის ნახევრის ბოლოსათვის, კლასიკური აზროვნებისადმი ასეთი კრიტიკული დამოკიდებულება ტრადიციული ესთეტიკური ტენდენციის სრული იგნორირებით სრულდება და ერთადერთ საწყისად, ყოველ შემთხვევაში, ხელოვნების უბიწზე, სატანური, ბოროტი სუბსტანცია ჰიპერტროფირდება. მოხუცი ინოანთის ჰარმონისტული, ზომიერი მოდერნიზმი ახლა უკვე მისი ვაჟის — შეშლილი ბოროტი გენიოსის, ადრიანის „სატანის აპოლოგიაში" გადადის, სადაც არაორგანული მოჩვენებითი ფორმა არათუ ორგანული მატერიის წინასწარ, პარადიგმულ პირველსახედ გამოდის, არამედ იგი საერთოდ ერთადერთია და მისი ერთადერთობით ითრგუნება დადებითი საწყისის ნამდვილობა („მეცხრე სიმფონიის" წართმევის განზრახვა ადრიანის მიერ). ბოროტების აპოლოგია მის მონიზმში ჰპოვებს დასასრულს, თუ შუა საუკუნეების დადებით ტენდენციას ხელოვნების გვა-

ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲜᲣᲪᲣᲑᲘᲫᲔ
ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲘ ᲕᲔᲛᲒᲘᲫᲔᲠᲘᲝᲒᲐ

რთა და ეანრთა ურთიერთმიმართებების სისტემა ღვთაების სხეულის ნაწილების სააზროვნო შესაფუვნისად, მის მორფოლოგად მიიჩნევა, ახალი დროის, უკიდურესი ავანგარდიზმი უკვე მარტოოდენ სატანის სხეულის ეროდირი რეალიზებას ხედავს აზროვნების ესთეტიკურ ფორმირებაში:

„<...> ქრისტეს „მისტიური სხეულის" მსგავსად არსებობს „სატანის მისტიური სხეული" რომელიც კაცობრობის და ჯოჯოხეთის ყველა ბორტებას აერთიანებს" („ნაუკა ი რელიგია" № 11, 1976, გვ. 85). ცბოვრების, ყოფითი სინამდვილის უბანზე თუკი ჯერ კიდევ შეიძლება დუალიზმი მაინც არსებობდეს და კეთილი საწყისი ახე თუ ისე ამტკიცებდეს თავის ძალმოსილებას, აზროვნების ყველი (და, განსაკუთრებით, ესთეტიკურ-მხატვრულ) ფორმაში მხოლოდ ირაციონალური, არაცნობიერი, ბნელი ძალები წარმართავენ ქმნადობის პროცესს; ცოდნა კი არა — არცოდნა, მოქმედება კი არა — უმოქმედობა, სინათლე კი არა — სიბნელე. — აი დევიზი და დირექტივა, ასე მკაფიოდ ჩამოყალიბებული ახალი კულტურის დიდ კანონმდებლებთან: სალუსტრაციოდ მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი.

„შემოქმედება, — ეს ტბილი, საუცხო ჯილდოა, მაგრამ რისთვის? ამ ღამეს ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ეს ჯილდოა ეშმაკის სამსახურისათვის. ეს ბნელ ძალებთან დაშვებაა, ეს გამოთავისუფლებაა თავიანთ ბუნებრივ მდგომარეობაში შებოჭილი სულებისა, ეს საეჭვო ალერსია და ყველაფერი დანარჩენი, რაც ეშვება, ალეგება ფსკერზე და რაც მაღლა არ ჩანს, როცა მზის შუქზე სწერ შენს ისტორიებს. იქნება სხვაგვარი შემოქმედებაც არსებობს, მე მხოლოდ ასეთი ვიცი. ღამით, როცა შიში არ მაძინებს, მე მხოლოდ ეს ვიცი. საგანურსაც ძალზე ნათლად ვხედავ შიგ. ეს ამოება და ავბორცობაა, რომლებიც განუწყვეტლივ ტრიალებენ საკუთარი თუ უცხო ხატის გარშემო და ტკბებიან ამით — მოძრაობანი ბევრდებიან. ეს უკვე მთელი მზის სისტემაა ამოებისა" — აღნიშნავდა ფრანც კაფკა.

თომას მანი „სატანური მოდერნიზმის" დიდი მოციქულის, ლევერკიუნის პირით ასე გვმოძღვრავს: „სიკმაოდ ნათლად გავიგე: ჩვენს დროში ვერ იცლი მართალი გზითა და მორჩილი სიბრძნით, ხელოვნება კი საერთოდ შეუძლებელია ეშმაკზე მინებების გარეშე, ქვაბს ქვემოთ შენთებული გეჰენის ცეცხლის გარეშე", რაც სრული ანტითეზა კლასიკური ხელოვნების ერთ-ერთი უდიდესი სისტემატიზატორის მიერ გამოყოფილი ჩნერი სიბრძნის სიტყვებისა: „ადამიანის შენება პირდაპირია. თუ ეს შენებრივი პირდაპირობა აცოცხლებს მანძილზე დაიკარგება, იმ შემთხვევაში ადამიანი არ შეიძლება გედნიერი იყოს". (ლ. ტოლსტოი). ვირჯინია ვულფი კი ყინულოვანი უვნებობით ჩურჩულებს: „ცხოვრება [illegible] არაა სისტემატური თანმიმდევრობით დადგენილი მოკაშკაშე რკალური ნათურების წყება, არამედ სინათლის შუქის გაფანტული გამოსხივება, შეღწევადი გარსი, რომელიც ჩვენი ცნობიერების გალვიძების მომენტიდან გეფარება და შემდეგ პირამდე გებურავს. ამ ცვალებადის, უმდგრადის, გამოუთქმელის გადმოცემა ხომ არ წარმოადგენს რომანისტის ამოცანას?.."

მოტანილი არასრული ციტატების ზერელედ თვალის გადაელვებითაც კი აშკარაა უზარმაზარი უფსკრული და შეგნებული განდგომა კლასიკური პოეტიკის არსებითი მხარიდან — მისი დადებითობიდან ირაციონალურ, მინუსნიშნიან, „სატანურ" საწყისებზე ამოზრდილი ესთეტიკური პოსტულატებისაკენ: — ის, რაც ნორმატიულ ხელოვნების თეორიაში თავისთავად არსებული და, ამდენად, ნათელი იყო და, რაც ადრეული ავანგარდიზმის პერიოდში აღმოსაჩენი შეიქმნა (ირონათნის პოზიციიდან), — ორგანული და არაორგანული სამყაროს პარალელურობის და ერთიანობის, ერთი შინაარსის ორ ფორმად ინტერპრეტაციის თეზა, უკვე 30-იანი და 40-იანი წლებიდან მთლიანად უთმობს ადგილს მხოლოდ და მხოლოდ სატანურ სუბსტანტურობას, ხელოვნების მხოლოდ ბოროტი საწყისიდან ამოზრდილ მოდუსს. სისტემატიზაციის ნაცვლად — გაფანტულობა და შემთხვევითობა („უმსგავსო და შორი შორი") ვ. ვულფთან, ღამე და სიბნელე — ფრანც კაფკასთან, უსიბრძნო და უგეშმარიტებო ხელოვნება — თომას მანის გმირის მიხედვით, არსებულის აღმოჩენის მაგიერ გამოგონება, არარსებული, მოვლენისეული, მოჩვენებითი, მირაჟული და ფანტასტიური ირეალურობის კანონიზაცია (ქართულ სიმბოლოზმში დოკტრინად ქცეული) — აი, ახალი ხელოვნების თეორიის და პრაქტიკის „სახარება". ბოროტების არსისეული გაყოფიერება და, შესაბამისად, სიმახინჯის, ტკივილის და პათოლოგიზმის ესთეტიკა ახლა ამსოლუტიზირებულია, ირაციონალური საწყისის ძალმოსილება ერთადერთი ხდება. თუ „ადრე სიმახინჯის და ტკივილის მომენტები (მაგალითად უალდთან) თანაგრძნობის და განწმენდის ესთეტიკის სფეროს წარმოადგენს, უკვე საუკუნის პირველი მეოთხედის ბოლოდან ისინი თვითმიზნურ და დამოუკიდებელ არსისეულ ბაზად იქცევიან, რომელზედაც მხატვრული ფორმა აკეთებს აქცენტს. ყალიბდება ახალი პოეტიკა მთელი თავისი მანამდე უცნობი, უარყოფითი გამომსახველობითი კალიდოსკოპით. ეს სიმრავლე, ეს არასტერეოტიპული სიჭრელე, ეს „მოძრაობათა გამრავლება" (ფ. კაფკას წერილიდან), როგორც სატანური სხეულის განფეკნის ატრიბუტი, განსხვავებულობის მანია, დაცალ-

კვლება-გაუცხოვება თანაბრად კვლავს ყველა თეორიულ და პრაქტიკულ უბანს აზროვნების მთელ სისტემაში: ფილოსოფიაში, ეთიკაში, ესთეტიკაში და თვით სახელმწიფოებრივ ისტორიულ, პოლიტიკურ მოძღვრებებშიც* კი. ცოდნის მაგიერ არცოდნა, მოკმედების ნაცვლად უძრაობა, ასეთია ქმნადობის არაცნობიერი მომართულობის მთელი ინსტრუმენტი. თუ დღეს ასტრონომები ასე ბევრს ლაპარაკობენ ანტისამყაროებზე, ფიზიკოსები ანტისხეულებზე, ქიმიკოსები ანტინეიტრონებზე, ესთეტიკაც ამას თავისი ფორმის შესაბამისად უღებნის უარყოფით აბსტრაქტულ-თეორიულ საყრდენს. იგი კლასიკურ პოეტიკასთან მიმართებაში ანტინომიურობას აღიქვამს. ხდება ტრადიციული ფორმა-შინაარსის მთლიანობის დეპერიოზიცია-დეჰუმანიზაცია, ანუ ყოველივე წინამავალის აბსოლუტური უარყოფა, ტოტალური გადაფასება და მისი საპირისპირო გადააზრება—რეინტერპრეტაცია. ეს არის არა დაპირისპირება, როგორც დიალექტიკური მთლიანობა, არამედ წინააღმდეგობა — „ბოროტების მეტაფიზიკის" ინტუიტური ფორმის ერთადერთობა. ბოროტების განსხეულება იცვლება ბოროტების მონიზაციით, მისი ერთადერთობის აღიარებით. ახალი ხელოვნება გადაჭარბებული სენსუალისტური ყურადღებით არის მიმართული მატერიალური სიმახინჯისადმი. შუა საუკუნეების მონუმენტალიზმი და ტრაგიზმი თავისი ოპტიმისტური ფინალით — „კომედიით", ადრეული ავანგარდიზმისათვის დამახასიათებელი „ბატარა ადამიანის" გარდამავალი მელოდრამატიზმით იცვლება, მიზნისკენ ღვთაებრივი წინასწარმოსწავებით სავსე კომიკურ და თანდათან პაროდიულ, სარკასტულ-ციკლურ მინიატიურიზმად იქცევა, სადაც იდეა იღუპება, რათა გადარჩეს პატარა და უსაწყისო, უმიზნო ადამიანი თავისი სასაცილო არარაობის ბოლომდე საცქერლად და ჩასაწვდომად. ეს მინიატიურიზმი, ეს უარყოფითი კუთხით დანაბული ოპტიმიზმი, „გმირის" ეს არასაპირო გადარჩენა იწვევს პოეტიკური სახეების დესემანტიზაციას: ადრეული ნეგატიური ცნებები: — „სატანა", „იუდა", „ღამე", „სიბნელე", „სიმახინჯე", „თვითმკვლელობა" და ა. შ. ინტერთეზიან სხვა შინაარსით. სიკვდილის და ბოროტების „ესთეტიკა" რეაბილიტირდება და სამეგობრო ტონალობას იძენს. რაციონალიზმის ადგილს იჭერს ინტუიტივიზმი, მაგრამ არა სინთეტური, მთლიანი შთაბეჭდილების რეტროსპექტულად მწვდომი ინტუიტივიზმი, არამედ ნეგატიური, დამშლელი, დისკურსიული ინტუიცია. იგი მიგვანიშნებს თავისი ინტერესების საგანზე ამ ფორმით, რაც ეს საგანი არ არის. სიკეთის ჩვენების მაგიერ წარმოჩენილია ის, რაც არ არის სიკეთე და, ამასთან, მას არც „ბოროტება" ჰქვია, რადგან ასეთი განსაზღვრება, თავისთავად, მაინც სიკეთის, ტრადიციული პოეტიკის, ხელოვნების თეორიის პოზიციაა (მაგალითად შუა საუკუნეებში ნეოპლატონურ-არეოპაგიტული ესთეტიკა): — ახლა სიმპათია გადატანილია ირაციონალურ-აბსტრაქტულ ესთეტიკაზე, — „სიკვდილის ესთეტიკაზე", რომელიც ფიგურიზმის ბოროტების და სიმახინჯის პოეტიკური აქსესუარით.

ვცადოთ და თვალი ვადევნოთ ქართულ პოზიციით XX საუკუნის დასაწყისიდან გამოხატულ იმ ძვრებს, სადაც კლასიკური მხატვრული პოზიციიდან გადახვევა აყალიბებს „ახალი ესთეტიკის" საფუძვლებს.

●

ცხოვრებას და აზროვნებას განვითარების ერთი, უნივერსალური კანონზომიერება ახასიათებს: ეს მატერიის და ცნობიერების სამსაფეხურიანი, ტრიადული სქემის კანონიზებაა. ის, რაც მოცემულია და არსებულია, აზროვნებაში თეზისს, დადებითად განსაზღვრულ ოდენობას წარმოადგენს. არსებულისაგან რომ ახალი სინამდვილე, — მისგან განსხვავებული — წარმოიქმნება, საჭიროა პირველადადიდან გამოსვლა, მისდამი დაპირისპირება, რაც ანტითეზისს იძლევა. ეს ისეთი მოხსნაა, რომელიც, თავის მხრივ, ამ უარყოფაში, ანუ განსხვავებაში ატარებს პირველარსებულს „ჰოს", „პლუსს" თავის წუაროს. ბოლოს ხდება კვლავ უკან დაბრუნება, პირველარსებულის მთლიანობის მიღწევა, ოღონდ ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე — სინთეზისი, დაპირისპირებულობათა ერთიანობის დიალექტიკური მიზანი.

„ვეფხისტყაოსნის" უმთავრესი რენესანსული მონაპოვარია არსის და მოვლენის, ღვთიური

* ს. ავერინცევს (იხ. ს. ს. ავერინცევი, ორი ათასი წელიწადი ვერგილიუსთან, „ინოსტრანნაია ლიტერატურა", № 8, 1982, გვ. 193-201). მოაქვს ავსტრიელი მწერლის გერმან ბროხის 1945 წელს დაწერილი რომანის „ვერგილიუსის სიკვდილის" ერთი პასაჟი: „მაშ შენ დაგიჭინია, — მრისხანედ უმეორებს იმპერატორი, — რომ სახელმწიფო, მის ახლანდელ სახეში, მხოლოდ ცრუ მსგავსებაა?

— ნამდვილი მსგავსება — ედავება პოეტი.

— კარგი, ნამდვილი მსგავსება, მაგრამ შენ დაგიჩემებია, რომ სინამდვილეს იგი მხოლოდ მომავალში მიიღებს?

— ეს კი ასეა, კეისარო..." და იქვე უმატებს: „სიტყვა „მსგავსება", „გლეიხსნის" — ეს გოეთესეული, ბიბლიური სიტყვა აქ სწორედ რომ თავის ადგილზეა".

შენიშვნაში კი ნათქვამია: „არ შეიძლება არ მოვიგონოთ ცნობილი გამოთქმა „ფაუსტის" დასასრულს: „ყოველივე წარმავალი — მხოლოდ მსგავსებაა" („ალლეს ფერგენგლიხე ისტ ნურ ეინ გლეიხნის") იგივე სიტყვა აღნიშნავს გერმანულად ბიბლიის იგავთ", (გვ. 199).

სამყაროს და ადამიანური ქვეყნის, ანუ ამბოლუტური სიკეთის და სატანურობაშეპირპირული ამქვეყნიურობის ონტოლოგიური და გნოსეოლოგიური ურთიერთშეთანაზომება. იგი ამ ორივე ნახევარსფეროს, მართალია, მეტნაკლები იერარქიული გამართლებულობით, დასაშვებობას, მოსათმენობას აღიარებს. ღმერთი — „სავსება ყოველთა“ და მისეული, მიღმური სინამდვილე, ითმენს, უშვებს საწუთოროს სუბსტანტურობას, „ბაძვის“ გზით ღვთაებრივში მის წილნაყაოობას. ამნაირი „ბაძვა“ ხორციელდება როგორც მატერიალურ სინამდვილეში, „კაცთათვის მიცემულ“ ქვეყანაში („მართ მასვე ბაძვენ, თუ ოდენ არ სიძვენ, შორით ბნდებიან“), ისევე სააზრიანო ანსტრაქტულ-თეორიულ პლანშიც — შემოქმედებაშიც („საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი, მსგენელთათვის დიდი მარგი, კვლა აქაცა ეამების“). „მარგის“ და „საამოს“ ეს სინთეზი, ზენა სამყაროს, „სასარგებლოს“ (თეზისი) და საწუთოროს, როგორც ესთეტიკურად გამართლებულის „საამოს“ (ანტითეზისი) შეთანაზომება, მათი რენესანსული მთლიანობის საკიროებაა: „რად ემდურვინ საწუთოროსა? რა უქნია უარაკო?!“ — არის ძირითადი ფორმულა. იგივე აზრი სხვაგანაც მეორდება: „რად ემდურვი ანუ ღმერთსა, ანუ ბედსა“, სადაც „ღმერთი“ და „ბედი“ არსისეული და მოვლენისეულ სფეროთა შესაბამეობაა. ასეთია კლასიკური ესთეტიკის პოეტური თეზისი.

„აღორძინების ხანის“ პოეზიის ყველაზე მკაფიო ფიგურა — დ. გურამიშვილი პრობლემას მთლიანად მოუხსნის მაღალ, ღვთიურ იარუსს, წმინდა არსისეულ სფეროს და ამ საწუთროსეულ დულალზმს, დაპირისპირებულ საწყისთა ბრძოლას ყოფიერების და აზროვნების ონტური გაყოფის გამტანჭველ, ტრაგიკულ, დრამატულ კონფლიქტად წარმოადგენს. ამქვეყნიურ სფეროში, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, მას რუსთველიც აჩჩენვდა დილემის სახით, მაგრამ მაინც ამართლებდა („ღმერთმა ერთი ვით აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს“). ეს სიმპტომატური გაგებაა, დამახასიათებელი მთელი აღორძინების ხანისათვის, სადაც კაცის და საწუთოროს გაბაასება ასე დომინანტობს, მაგრამ იგი კლასიკური ჰარმონიულობის დაშლის მაუწყებელია, რადგან ბაძვის ზედა მხარე ტრანსცენდენტალურ-ღვთიური, არსისეული სფერო გატანილია ადამიანის ყოფიერება-ცნობიერების მიღმა, მისდამი არაიმანენტურია და ამიტომ რჩება შაშველი დულალზი ამქვეყნიური გადაუწყვეტელ კონფლიქტით. დ. გურამიშვილი სწორედ ქვეყნიურ სფეროში გამეფებულ საწყისთა ბრძოლას მიაპყრობს მზერას და მის მონისტურად გადაწყვეტას ცდილობს: „თუ ხარ ღვიძილი, რაღა არს ძილი? თუ ხარ სიმაძღრე, რა არს სიმშილი? თუ ხარ სიცოცხლე, რა არს სიკვდილი? იყავ ერთ-ერთი, იწამე ღმერთი!“ აი ეს „ერთ-ერთად ყოფნა“ უკვე ქვეყნიურს, საწუთოროს მოუგვარებელ და შეუთანხმებელ კონფლიქტს ეხება. რუსთაველის კლასიკური სქემა ღმერთი — ქვეყანა — ადამიანი, სადაც „ადამიანი“ არის რენესანსულად გამთლიანებული ღმერთ-ქვეყნის ობოზნიცა. ამ უკანასკნელში, ისევე როგორც ადამიანში, სატანაც მოქმედებს, მაგრამ ადამიანის „ბაძვით“ ხდება მისი დაძლევა, სატანისგან „განმსაგვსება“ და „ღმრთის ხატად“ ყოფნა; დ. გურამიშვილთან სხვა მოდელია: ქვეყანა — ადამიანი — სატანა, სადაც ადამიანი გაბმულია ორაზროვნების მაცთურ ბადეში; დ. გურამიშვილი ამის იქით ვერ მიდის თავისი აღმსარებლობის და ეპოქის ცენზურის პირობებში. ფაქტიურად იქვე რჩება ნ. ბარათაშვილის ბიერ ქრისტანული მსოფლმხედველობით დაპირისპირებული „ზეცით მოსული, მაღალი მშვენიერება“ — სულის ესთეტიკა და „მხოლოდ ხორცელების ნიკი“ — სილამაზე, მატერიის ასევე ესთეტიკური, თუმცა პირველთან შედარებით ნაკლულოვანი პოტენცია. როგორც დ. გურამიშვილთან, ისევე ნ. ბარათაშვილთან ნაბიჯია გადადგმული კლასიკური პოეტიკის ჰარმონიის სხვანაირი, „მოდერნისტული“ გადაწყვეტისაკენ, ძველის დანგრევისაკენ და ეს იმაში მდგომარეობს, რომ ესთეტიკური ცენტრად აღებულია ქვეყანა თავისი დულალზმით და ამ დულალზმში აღიარებულია საწყისთა, თუმცა ჯერ კიდევ არა ამსოლუტური, არამედ რელატიური, შეფარდებითი თავისთავადობა. ღვთიური და სატანური პარალელური მოვლენებია ამქვეყნიური ყოფიერების და მისი გააზრების უბნისათვის. ასეთია „აღორძინების ხანის“ ანტითეზნი კლასიკური ესთეტიკის ნორმატივიზმზე. ირაციონალური საწყისის ამგვარი შეფარდებითი ონტოლოგიზაცია, გაყოფიერება, უკვე მთლიანად ახალი, მოდერნისტული ხელოვნების ზუსტად ანალოგიურ განფენილობას იღებს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, რაც ემთხვევა მე-19 საუკ. ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისის ევროპული აზროვნების ძვრებს ამ მიმართულებით და მის ზუსტ ტიპოლოგიურ ეკვივალენტს წარმოადგენს. ვაჟასთან ბუნება და სოციუმი, ანუ უგიჟო-ინსტინქტური („ქაოსი“) და კანონზომიერ-რაციონალური („წესრიგი“, „კოსმოსი“) სფეროები თანაბრად საწყისისეული და უმეტესწილად პარალელურია: „ბუნება მბრძანებელია, იგივ მონაა თავისა, ზოგჯერ სიკეთეს იბეკვავს, ზოგჯერ მკნელია ავისა, ერთფერად მტკიოროველი არის საქმის თეთრის და შავისა; საცა პირიმზეს ახარეს, იქვე მთხრელია ზვავისა... მაინც კი ლამაზი არის, მაინც სიტურფოთ ბჟვავისა!..“ ეს, ერთის მხრივ, ბუნების შესახებ; მეორეს მხრივ კი: — „სიკვდილსა გლოვა უხდება, მკვდარ ძმას — ტირილი დისაო, ტყესა ხარ-ირმის ნაფრენი, ზოგ დროს — ყმოელი მგლისაო, ვაჟკაცსა — ომში სიკვდილი, ხელში

— ნატეხი ბმლისაო, ომს — ლბინი გამარჯვებულთა და დამარცხება მტრისაო". — საზოგადოების ცხოვრების მიმართ, ვაჟა სოციუმს „ეაცთა ქვეყანას". ორგანულ, ზოგად კანონზომიერებას, უგონო-მატერიის ინსტინქტური მექანიკური თვითმართვის („მბრძანებელი და თავისი თავის მონა") ზუსტ პარალელად აცხადებს. თუ დ. გურამიშვილთან და ნ. ბარათაშვილთან ეს დაპირისპირება კონტრასტების დონეზე მიმდინარეობს და ამიტომ ერთი მეორეზე მაღალია, თუმცა კი საწყისისეულად პარალელური მოვლენებია. ვაჟასთან, პირიქით, წინა ავტორთა მეტაფიზიკური გაგების ნაცვლად ისინი ანტინომიური ანუ დიალექტიკური მოვლენებია და, ამდენად, მათ შორის სრული იგივეობის ნიშანი ისმის, ურთიერთშემავსები და გამამაღლიანებელი. ტრაგიზმივანი მიდგესებია. — ეს ერთი, მეორეს მხრივ კი ვაჟასთან მონაბულია ამ ორმაგობაში დამანგრეველი, სატანური წევრის გამამართლებელი საბუთი — „სილამაზე" („მაინც კი ლამაზი არის") ბუნებისათვის და „შესაფერისობა" („ფუდები"), მიზანშეწონილობა" — სოციალური ურთიერთობათა სფეროსათვის. რა თქმა უნდა, ვაჟა ამ თეზისშიც მთლიანად ქრისტიანული მსოფლმხედველობის კანონიკურ ფარგლებში რჩება და მასში არავითარი პანთეისტური-წარმართულ-ერეტიკული ნიუანსი რაა, ისიც კი არ ჭაჭანებს. აქ ვაჟა იძლევა დაპირისპირებათა ახალ გამთლიანებას — ესთეტიკურ სინთეზისს. ასეთი ესთეტიკური თეოდიცეა. ღვთივგამამართლება საუკუნეთა მიჯნის მოდერნიზმისათვის სრულიად ბუნებრივია (გავიხსენოთ დოსტოევსკის „სილამაზე იხსნის ქვეყანასს"). ეს ზარი არსებითად ამოსავალი წერტილია მეოცე საუკუნის პირველი მეოთხედის იმ დიდი პოეტური ავანგარდიზმისათვის, რომლის თეორიულ-პრაქტიკულმა ძიებებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს თანამედროვე ქართული პოეზიის მიერ კლასიკური ტრადიციისადმი დაპირისპირების საქმეში.

●

და აბა, „წიწამურში რომ მოკლეს ილია", მაშინ, როცა „ეპოქა გათავდა დიდი", ქართული პოეზიის მიჯნაზე ვაჟასეული მსოფლმხედველობითი გამთლიანების ემბლემა, ესთეტიკური ჰერალდიკური ნიშანი ჯერ კიდევ ეკიდა, მაგრამ მოდერნიზაციის ახალი მიმართულება სხვა გზების ძიებას მოითხოვდა. ალბათ, იმავე ლექსში, გალაკტიონი დიად დანაკარგებს რომ იგონებდა, გულწრფელად აღნიშნავდა: — „მაგრამ მწუხარედ მათზე კი არა, სხვებზე იტირებს მარტირილოგი, იმ მრისხანე წელს პოეტი მეფე გარდაიცალა ალექსანდრ ბლოკი". დიდი ეპოქის დამთავრება, ილილის „ფანტასტიური ხიდების" მოჩვენებითი მთლიანობის ჩამტვრევა და კვლავ ილიასდროინდელ „ხიდჩატეხილობასთან" დადგომა უკვე ახალ, რეალურ გამთლიანებას მოითხოვდა და აქ პოზიტიური, ნაცვლად ... კლასიკური გზები, ღვთიური სიკეთით და „ნათლით გაბრწყინებული იმედები მიზანს ვერ მიაღწევდა — ეს იმოდენივე ცხობილი იყო. ალექსანდრ ბლოკის მოხსენიება კი ათვლის სხვა წერტილისა და ხელოვნების სხვა საერდენის ძიებების ხორცშესხმის ახალი სიმბოლო უნდა გამხდარიყო. ეს მართლაც ასე მოხდა — „ლექსი ქართული გაიმართა ორპირის ბაზაზე" (ტ. ტაბიძე) და მან ბოლომდე მიიყვანა ის გასხვავებული ტენდენცია, უფრო სწორად, ანტიტენდენცია, რამაც დიდი ზნით განსაზღვრა ქართული პოეზიის ახალი მაგისტრალი.

ახლა ბევრს ლაპარაკობენ და წერენ გალაკტიონის სინთეტურ ფენომენზე, კიდევ მეეს — მის ქართული კლასიკური ესთეტიკისა (თეორია) და პოეტიკის (პრაქტიკის) უშინაგანეს ძირებთან მიმართებაზე. მიჰყავთ საპრაგრამო ადგილი „მთაწმინდის მთვარიდან", სადაც იგი თავის სულიერ წინამორბედებს — აკაკის და ბარათაშვილს იხსენიებს და ა. შ., მაგრამ ქართული პოეზიის ეროვნულთან კავშირის ავტოფეკლარაცია („შვიდი პოეტის სიმბოლიკა") ნაოლოდ გვიანდელი, ხანდაზმულობის ეკმის აღსარებაა, სადაც იგი, „ძე შეცოდმილივით" ინანიებს ახალგაზრდული მოდერნისტიკული ნგრევის, სატანური დამშლელობის რეციდივს („ნგრევას, ო, ნგრევას, დაუნდობელ ნგრევას ძველისას"), ხოლო აკაკის და ბარათაშვილის აჩრდილები წარსულის („ვიყო უმშვიდეს წარსულის მტერი") გარდასულის და მკვიდრის, სამუდამოდ დასრულებულის სინონიმია, რაზედაც ახალი პოეზია უნდა ამოიზარდოს („რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვდები". „სიკვდილის გზა არრა არის ვარდისფერ გზის გარდა"); ქვეყნის განახლების სიმღერის მოტანა, — ახალი სოციალური ყოფის ესთეტიკური შესატყვისის ძიება წინასწარვე გამორიცხავდა ტრადიციის რაიმე ცხოველმყოფლობას „სისხლიანი ანგელოსის" აბორგებული ტემპერამენტის („ახლა ზღვაა, ახლა სისხლის დროა") ძალმოსილების გვერდით, რომელიც ბოლოსდაბოლოს სატანის და სატანურის პპოკალიფტური აღნაბეჭდით იქნა დაღდასმული და აღსრულებული (ამიტომაა საეჭვო დაღალული ატმის რტოს გადარჩენა: — „თუ გადარჩი, ხომ გადარჩი, კარგი").

გალაკტიონთან პირველად დადგა ახალი ეთნოგენეტიკური საწყისების ძიების, ეროვნული წარმომავლობის ძირების ხელახალი პრობლემა, რომლის გარკვევა ახალი პოეზიის ნიშნის და მიმართულებასაც გაარკვევდა, რადგან ყოფა-აზროვნებას შორის იგივეობის ნიშნი კარგა ხანია დასმული იყო და მოდერნიზმის ახალი ტალღის არსს ამ იგივეობის ერთ-ერთის სახარგებლოდ („იყავ ერთ-ერთი, იწამე ღმერთი!")

ხაბოლოოდ და ურაეეკად გადაწყვეტა შეადგენდა. თანაფარდობას და ჰარმონიას ვერ შეეგუებოდა სხვაგვარი, ყალიზე შემდგარი, ირაციონალური. ბერწული მოცული მომავლის ინტიუტენტად და ინსტინქტურად. არასაცნაურად მიძიებული გონება. ლასალლარმა კულტურამ. როგორც ზეზმო ვნახეთ, ეს საკითხი უარყოფითი. ბორიტი საწყისის გაბმულიტურებით და. შეესაბამისად. სიმბოლიკის ესთეტიკით. ბორატების პოეტური ამოლოგიით, „სიკვდილის ოეორიით" გადაწყვეტა. თუ რუსთველისთვის ქვეყანა ღმერთისგან იყო კაცთათვის მიცემული და მიპაკანე იყო „ყოველი ხელმწიფე", ქვეყნის გული ეი მისი ოვისების განმსაზღვრელი: თუ დ. ბურაძიშვილისათვის საქართველოს ძნელბედობის ეამს იყო სატანურისაკენ გადაზვევები, მაგრამ ამ დღეში ჩვენ ოვითონ ჩავვარდით და ეს თავგასამართლებად კი არა — ხასაკეკდეოოდ იქნა გალეკსილი: თუ ვაეასთან, ყოველეეეს მიუხედავად, ქვეეანაში, მის ორგანულ და სოციალურ სფეროებში მაინც ღვთიური ნაპერწკალი — სილამაზე კიაფობდა, თუ ილიასთვის „ხიძულვილში არსებული სიყვარული" (ეს სტრიქონები ყველაზე ახლოა შემდგომ დამკვიდრებულ ანტიტენდენციასთან, „არაში", „ჰოს" დანაბეასთან!) ამარილებდა დროებით ზიზღს ქვეყნისადმი როგორც ზოგადად („განა მისთვის, რომ ადამიანმა შეაჩვენოს და აიღოს ხელი?"), ისევე კოსკრიტულად — საკუთარი მამულისადმი („ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?"; თუ აკაკისათვის, ჩაადაევის მიერ ოოსეთის ხელახლა აღმოსაჩენად მისი უარყოფის მსგავსად, საქართველოსათვის სიმართლის პირში მიხლის ტკივილიანი სიამოვნება დატორტმანდა — „ფურთხის ღირსი ხარ. შენ საქართველოო!"; — გალაკტიონის ფენომენი იქ იძენს ცნობიერებას, როცა „მეფეთა წუეება გაკრა ვით ლანდი", როცა „სხვა ხალხის ისმის აქ ეერიამეული", როცა „არც ვარდის რტოთა არის რტოობა", როცა გაუგონარი „მარტოობა" და სიკბაუის მოგონებად ჩარჩენილი ქარის ზუზუნი ლუკა ედემს ავიწეუებს ყმაწვილურ სულს და მისთვის უკვე „ალარ არის არარაიმე" ბედისგან ულვთო წვალების გარდა. ამ პირობებში, ამ მსოფლმხედველობით და თვითგანცდით სიმარტოვეში, ამ „ღამეში" დგას ახალი პოეზიის მესიანისთვის ეროვნული წარმომავლობის ძირების ხელახალი გადასინჯვის პრობლემა და მისი სამშობლოს საწყისისეულო განსაზღვრა, ერთ-ერთ უსუსტანციასთან მისი ენენაკარობის წედმის ამოცანა... და ეი პასუხიც, რომელიც შემზადებულია რამდენიმე საუკუნოვანი ტრაგედიით: „წვიმა და ოოველი... რა მხარეები გიცდის სიბერის? ჩვენ გვესიზმრება ჩვენი სამშობლო, სამშობლო შავი ლიუციფერის. სამშობლო ძველი... გზა დათოვლილი მსხვერპლთან, ცხედრებით და სისხლით სველი. გზა, სასიკვდილო გადათეთრებით, სამშობლო შავი ლიუციფერის. ჩვენ მწუხარებამ დაგვიმბობილი ღამის ტუე-ველი. არასდროს ჩვენთანა. იქ, არ ყოფილა ნაზარეველი".

ლეონტი მროველის და „ქართლის მოქცევის" მატიანეებში ძველი სამშობლო — არიული პრასამშობლო სადღაც მზიური ჰპოის ოაზისებშია, გალაკტიონი კი მას მარადიული ღამის და ყინულეთის საუფლოში, სატანურ ჯოჯოხეთში იაზრებს: ეს ძველი, ცხედრებით, წვიმით და თოვლით, შავი, ღამეული, სასიკვდილო გადათეთრებით მწუხარე და „მწუხარების" მხარეა, არაცნობიერი. დასიზრდებული, ირაციონალური. უდაბნოს მირაჟი („უდაბნოს" და „ყინულეთის" სემანტიკა ახევე ეკვივალენტურია ამ სამშობლოსი გალაკტიონის პოეზიაში: „ჩემს სამშობლოში მე მოვკვდ მხოლოდ, უდაბნო ლუჩაკად ნახავენდები" — „ინგარს მომძედ არ ვეძნელები") რომელიც საბედისწერო ცოთმილებით შემოდის ეზოოვნებაში. ეს არის ის „ეოსმიური სიცივე", რომელზედაც ასე შეძრწუნებული გოდებს პოეტი: „მოდის სიცივე, ეოსმიური სიცივე მოდის". სიცივე კი სატანური ბაწუსის ერთ-ერთი მატერიალური ჰიპოსტასია, მისი ატრიბუტია. ჰქედნ გასაგებია, რომ ამ ეოფიერების წვდომა, მისი ესთეტიკური, მხატვრული უკუფეენა, კლასიკური, დადებითი პრედიკატებით დატვირთული ფრაზეოლოგიით, მსოფლმხედველობით და ფორმით ვერ მოხერხდება; მისი შემომწერი ინფორმაცია — არაკომუნიკაბელურია. იგი მთლიანად ირაციონალურია, „სატანურია" როგორც შინაარსის და ფორმის დიალექტიკური მთლიანობა: — „წვიმი ვედრებიანი, ალოცება სატანის". სწორედ „შავი წვიმი", სატანური ევანგელე თუ განაცხადებს მას და „სული წმიდის" არაცნობიერ კარნახს, ძველ ჰიმნოოგიოებს რომ შეაჟაკნენდნა, უკვე სატანა-ჭიკა ცვლის ძრიჭვლის როლში თავისი ცბიერი, ირონიული ჭიკჭილით: „ჩემი სამწერალო მაგიდის ფეზზე მიბმული ჭიკა სტრის: რად გინდა, რად გინდა ლეკნი და ლალის ჭიკ? რად გინდა ბროლის რიტი, მუსიკა? სიკვდილი გელის! წრიალებს ჭიკა, ბპაურობს ჭიკა და მწარედ მწყეალის". ყველაფერი ნათელია: რჩება სიმპოზიკის ესთეტიკა, ბორატების ამოლოგია და სიკვდილის თეორია, როგორც სატანური ჰიპოსტატის სამი გამოვლენა აზროვნების სამ სფეროში: მხატვრულში, ფილოსოფიურში და ეთიკურში (ამასვე დეკლარაციულ ხასიათს მისცემს სიმბოლისტური თეორია ვალ. ვაფრინდაშვილის ცნობილ საპოეტო ტრაქტატში). გალაკტიონთან, „ეეეზნისტყაოსნისგან" განსხვავებით უკვე საკუთარი საპირისპირო ამოცანა დგას: სატანურ ქვეყანაში და სატანურ ხელოვნებაში სწორედ სიკვდილ-თვითმკვლელობა არის ამ მისტიკური მარადიულობის შეწვდომის, მისი განცდადების ერთადერ-

თი საშუალება: „შენი ცხოვრება არვის ახარებს, შენი სიკვდილი ახარებს ყველას". ეს ბრი უნდა გავიგოთ ასე: რომ მზეები არ თმობს თავის ხელობას, და გალაკტიონ ტაბიძეს ურჩევს წერტილს ტკვილასა. — რას? — თვითმკვლელობას". ასეთი სულიერი მარტოობა („ვინა თქვა შენი მიუსაფრობა? არა, შენ ჰპოვე თავშესაფარი"), ნიშანდობლივია, თუნდაც, ტიციან ტაბიძისთვისაც. „მუზრანის ხიდზე დასახრჩობად კიდევ დავდგებით, საქართველოში ცხოვრება ხომ — თვითმკვლელობაა. ამიტომ გვიყვარს საქართველო ჩვენ თავდადებით... ძველი ორდენი თავის მკლელთან: ილო, ზენონი, ჩვენი ორდენი პოეტების შუბამის ყანწებით", ან: „ეს არის ჩემი მგოსნობის ფასი და თვითმკვლელობის ინვანტარი". აქაც პოეზია და თვითმკვლელობა ერთიერთგამიმწყვეტი, დეტერმინირებული ცნებებია. ასე გადაეჯაჭვა სტოიკური „ბედისწერის სიყვარული" („ამორ ფატი!") და სოკრატესეული მოვალეობის, ზნეობრობის გამო სიკვდილი (სხვათა შორის, ეს სტოიკურ-სოკრატული მოტივების საბოლოო პროდირება ტ. პენტურიასთან უკვე ირონიულ ელფერს იძენს: „რომელის უფრო მეტად გწამთ ქვეყნად: ღმერთის? ეშმაკის? ეშმაკის? ღმერთის?. — შესძლებთ დალიოთ როგორც სოკრატემ თასი სიკვდილით სავსე პირთამდის?") უსამშობლობას და უბინაობას, სატანურად სახეცვლილ ღვთაების მისტერიას: „ჰპრკუა მას ეესუ: მელთა ხერელი უნს და მფრინველთა ცისათა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს სადა თავი მიიდრიკოს" (მათე, 8,20). ღმერთის და კაცის მარტოობა სატანის მარტოობა — უსამშობლობამდე მივიდა, ხოლო მაცხოვრის გოლგოთის მისტერია კაცობრიობის ხსნის და გამოსყიდვისათვის, სატანის თვითმკვლელობაში მოდიფიცირდა.

გალაკტიონის ლირიკაში ადგილი აქვს ტრადიციული ილუზიების ძველ შინაარსისგან დაცლას. მასთან, მაგალითად „ღამე" და „დაბურდული ბაღი" სამოთხის მარადიული ნათლოვანების და ედემის ბაღის საპირისპირო, კონკრასტული სახეებია: „ხელუხლებელი როგორც მზის სხივი, მიუწვდომელი როგორც ედემი" — მხოლოდ ოცნებაა, სინამდვილე კი შემზარავია: „შენ მართალი ხარ! ლურჯი ედემი ქარმა დაბურდა, მაისი გაჰკრა და ბაღი ჩემი გაუდაბურდა". „მაის"-„იანვრის" კონკრასტული მონაცვლეობაც ზაფხულ-ზამთრი სიცივის მონაცვლეობის ჩვენებას ემსახურება. „იქვე ნორჩი და გამბედავი როგორც მაისი... დადაფნულ გზაზე მიდიოდი ვით ელისარი. შენს მოვლენაში კრთოდა ცეცხლი უზენაესი" — „ქრისტეს იერუსალემად" სვლის მეტაფორაა, ხოლო — „მე მივდიოდი და ვეცემოდი, მაინც ვდგებოდი და მივდიოდი", გოლგოთაზე მაცხოვრის გზის სიმბოლიზებაა. ანდა: „ჩემს სამშობლოში მე მოვალე მხოლოდ უდაბნო ლუნარ". „ხალვრად ნახავენდები" — „ხალვრიდებზე დაცემულ ჩრდილნი" მსგავსად, — სიცოცხლის და მზის შეცვლაა ჩრდილოეთნებით და სიკვდილის სუნთქვით. (გავიხსენოთ ჯ. ვალერი, როცა ევროპული სულის კრიზისზე წერდა: „მართალია, უველაფერი არ დაღუპულა, მაგრამ ველაფერმა შეიგრძნო სიკვდილის ცივი სუნთქვა. უჩვეულო ურუანტელმა დაფარა ევროპის ტანს". გალაკტიონის ხაზი აქაც ევროპული თვითანალიზის ტიპოლოგიურია.

რაც შეეხება ამ უდაბნოს მკვიდრის ვინაობას, იგი ზოგადობიდან ბიბლიერ ცოდვილებამდე ჩამოდის; ეს კაენია („შეგებვარლება თვითონ კაენიც, რადგან პოეტის გქვია სახელი!) და საბოლოო სახეში — იუდა, მაცხოვრის სრული ნეგაცია და „უნაზარეველი" ქეყენის ერთადერთი მცხოვრები. არ არის ინტერესმოკლებული, გალაკტიონის ცნობიერებაში ალუზიურად დაკრისტალებულ ამ სახის შერეულ წყაროზეც მიეთითითოს: სახარებისეულ მოთხრობაში, როცა სერობაზე იესომ საყვარელი მოწაფის კითხვაზე — თუ ვინ გასცემდა მას, „დაწმენდილი პური" მისცა იუდას და მასში შევიდა ეშმაკი (იოანე, 13, 26-27), ასეთი რამ იკითხება: „ხოლო მან მიიღო პური იგი და მეფსეულად განვიდა. და იყო ღამე" (იოანე 13, 30). იცი საუკუნის წინ ევანგელისტმა აქ დასვა წერტილი. იცი საუკუნის შემდეგ სატანური ყოფის ბნელ ღამეში მზიარალმა გალაკტიონის თვალებმა ზუსტად აქედან გააგრძელა ევანგელური მოთხრობის დასასრულის პოეტური ხილვა: „ამ ბნელი ღამით ვიღაც დადის საქართველოში, ვიღაცა კვნესის. ვახსენოთ ჩვენ ის უკანასკნელ სადღეგრძელოში, უკანასკნელად ვახსენოთ ჩვენ ის <...> ის კი კვლავ კვნესის ამ ბნელი ღამით". აი, სწორედ ცისკრისაგან დაირისებული შორი მთების („დაბინდულ ქლიავის ფერი" მთების — ბინდიდან სიბნელისაკენ მიმავალი გრადაციით) ფონზე მკვნესარი იუდა არის გალაკტიონის ლირიკული გმირი. სათაურშივე გამოტანილი პოეტის და ღამის განუყრელობა („ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე, მე და ღამე, მე და ღამე"!) კაენის და იუდას ამპლუაში თვითწარმოდგენის სატანური აქტია — პოეტის „მოგვობის", კლასიკური ღვთიერობის საპირისპიროდ, — ახალი ტენდენციებიდან მომდინარე თვითგამოხატვაა („უსამშობლობა" — „აგასფერი" — „მხეცი", „იუდა", — „მარადიული ფრია"), ერის და ინდივიდის თვითგამორკვევის საფეხურებია. მართალია, სანამ აქამდე მივიდოდა იგი, იყო ტრადიციაც: „მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არის, ის არის მხოლოდ სავალალო და სამწუხარო, რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არი, რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო!". ილიას ამ სიტყვებს, როცა გა-

პარტახებულ, გაუკაცურებულ, გაუდაბნოებულ მამულში მარტოსულ პოეტს ხედავდა. ვიდრე გალაკტიონისეულ პოეტ-კაენამდე და იუდამდე, ისევ გალაკტიონთან ჰქონდა აზრობრივი (და არამაინცდამაინც ქრონოლოგიური) შუამავალი; „ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გაიარე, რაა მამული. წინაპართაგან წაგიდა ყველა. სხვა ხალხის ისმის აკ ენიანმეტი". აი, სწორედ ეს „სხვა ხალხი", ეს ო. შპენგლერისეული „ფელახიზმის" შემოტევა, რომლებიც ეგვიპტეში დადიან და არც სფინქსის, არც რამზესის და ტუტანხამონის, არც ნეფერტიტის შესახებ არაფერი იციან, ქმნის ამ გაუდაბნოების დეკორს, რაზეც იკვეთება იუდას ფიგურა, — უკანასკნელი კაცი წარღვნის წინა დღეს დედამიწაზე. აქედან კი ბოლო ნაბიჯია სახარების ღამიდან ლიუციფერის სამშობლოს გზებზე მოხეტიალე იუდასაკენ.

გალაკტიონი საბოლოოდ წარიკვეთს სასოების ყოველგვარ ციმციმს: „მაგრამ სამშობლოს ძველი გზებით ვეღარ მოვაგენ და არ მახსოვდა მჭოხდა იგი თუ მომგაწინდა". ეს „ქონება-მოგონება" უშუალო კონტექსტთან, მართალია, სამშობლოს ეკუთვნის, მაგრამ იგი იმ გზებსაც ეხება, რომლითაც ვერ მიაგნო მას მისმა მკვიდრმა („ძველი გზები" — „სამშობლო ძველი" ნიუანსურ კავშირშია) და აბორიგენმა. ეს გზები ირიბია („მე მოვდიოდი სამშობლოსკენ გზებით ირიბით") და არ ჩაივლის უდაბნოს ერთადერთ წყაროსთვალთან თუ ოაზისთან („ცრემლიც არ არსებობს, ყველა, ყველაფერი მიდის უდაბნოში" — „წყაროო ჩანს და წყალი არსად არის"). აქედანვე იძენს აზრს „დალანდის" ანაბრამატული ფუნქცია. გემის სახელთან ასოცირებულია „გემი და ლანდი", სადაც „ლანდურობა" პოეტის არსებობის გამომხატველია და მის ირეალურ-ირაციონალურ ყოფას ეთანაბრება ქართულ სიმბოლიზმში „ლანდურობის" ასე აქტუალიზებული ესთეტიკის მსგავსად.

ამ „უგზობის" ტრაგედიას ილიაც გრძნობდა, როგორც ესთეტიკურ ფენომენს, როგორც ყოფის ტრაგიკულობის მხატვრულ სიღიადეს, მის შესატკივნისობას: „ხსნა ყველგან არის, მაგრამ გზა ხსნისა ესეი მერგო მე უბედურსა" („გზა ყველგან არის, ხსნა კი არსაით" — იტყვის ეროი ჩემი ოთობის პოეტი — ი. ლეკვეიშვილი). ეს ნიშნავს, რომ გზების ეს სიმრავლე, კაფკას „ამოიების მოძრაობათა ქოტაური სიმრავლის" დარად, მხოლოდ მოჩვენებითია, ეფემერულია (გალაკტიონის „ეფემერათა" ასეთი სიმრავლეც სიმბოლიტურია), საიდანაც ისმის რეკვიემივით მომხიბლავი იდუმალი: — „განწირულია გზა მოხეტვეს, ღამეა, ღამე, მიეშველენით". ბნელში, ღამეში და უგზოობაში დაბნეული იუდა მარტოა დარჩენილი ბეღის შეგნებასთან — ტრაგიკული და შესაბრალისი — სიზიფესავით, მაგრამ მას სიზიფეს სტოიციზმი აკლია, რითაც იგი, სიზიფე, „ზეცის" ზე ძლიერია (ა. კამიუ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის კი გამოსავალი რაიმე პოზიტიურ ქმედებაში, რაიმეს კეთებაში? თუ რუსთველისთვის ქმნა-ცოდნა აუცილებელი ერთობლობაა, რასაც სახარებაში უდევს საწყისი — „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა", — შემდგომში კლასიკური პოეტიკის, ხელოვნების თეორიის ეს აქსიომა, სპარისპირად მობრუნდება: „რამდენი რამის არცოდნაა საჭირო ომისთვის, რომ ომოკმედო" (პ. ვალერი); ფრანც კაფკა სიბრძნეს პირდაპირ უმოქმედობის ეკვივალენტად აცხადებს და მით ზომავს პირველის ბარისხს: „მე ვიყავი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ბრძენი, რადგან მზად ვიყავი ნებისმიერ წუთს სიკვდილისათვის, მაგრამ არა იმიტომ, რომ აღვასრულე ყველაფერი, რაც ვალად მაწვა, არამედ იმიტომ, რომ არაფერი არ გამიკეთებია და თვით რწმუნებაც კი რამეს კეთების უნარისა, არ შემეძლო" (შდრ. ელიოტის ერთ ლექსში, სადაც ბავშვების კითხვაზე — რა გსურს? — კუმის სიბილა ბოთლიდან პასუხობს აღმოსავლური ზღაპრების ჯინივით, — სიკვდილია).

გალაკტიონიც იმავე პოლუსზე რჩება: მისთვის, სიმბოლისტებივით, გამოოქმა, აზრი, სიბრძნე და მოკმედება, როგორც სიცოცხლის, ეროსის რეფლექსი ზედმეტი და არასაჭიროა. მაგრამ თუ სიმბოლისტებისათვის ეს აზრისა და სიტყვის, არსისა და აღნიშვნის მარადიული შეუთანაზომობის, სიტყვის სიცრუის და უკმარისობის მიზეზით არის გამოწვეული, გალაკტიონთან იგი ონტოლოგიური ყოფიერების უაზრობის, უგზოობის, უბინაობის და უსამშობლობის ხატია (უბინაობა-უსამშობლობის ეს პროპორციონალური შეთანაზომება ქართულ პოეზიაში შემდეგშიც გრძელდება მაგ., მ. ქვლევიძესთან: „როცა ოჯახში არ გაქვს სამშობლო და სამშობლოში არ გაქვს ოჯახი", რაც ისე გსურს, „ვით უბინაოს ყოფნა ბინაში" — სამშობლოს მოწყურებაა სამშობლოში): ესაა „მწარე გათიშვა გათიშვა ოცნებას და სინამდვილეს შორის". ამ იდეალური უმოქმედობის, ესთეტიკური აპათიის მდგომარეობას იდეალურად შეესაბამება თვლემა, ოცნება, სიზმარი, ძილი, ჰიპნოტური ყოფა, მიახლოებული სრულ არარსებობასთან — სიკვდილთან (გავიხსენთ თანაბლოსის და ჰიპნოზის ძმობა ანტიკურ მითოლოგიაში. ამავე მოტივის ანარეკლი იგრძნობა, მაგალითად, ბაირონის „სიზმარში", ფილოსოფიური გაგებარტება მოცემულია ს. კირკეგორის შრომაში). გალაკტიონი აქაც აგრძელებს „ახალი ესოტერიკის" ამ იდუმალების ლაბირინთში წვდომის სიზმარეულ გზას: „მე მძინარე ვარ... ვწევარ და მძინავს, დაე, მძინავდეს. ხედავ ჩემს შუბლზე ღიმილს დამცინავს, როდესაც მეცნიერ

ნანა ძიძების. — ბევრს ეშინოდეს ჩემი სასტიკი, ულმობელი გამოლაქიდების. ვით გთენებებას, მე ვხედავ სიზმრებს არათვალნებლობის''. ეს სიზმრები ძველი სამშობლოს, ლიუციფერის ,,შავი მზარის'' დასიზმრებაა მისთვის, ერთადერთისათვის (,,ვიცი ერთადერთი ვარ'') ცნობილი, ხოლო გათენება-დაირისებური მთების ფონზე იუდას მდუმარე ღამეული ჰირდილის გიგანტური ანფასი. ეს უდაბნოს მდუმარებაა და მარტოსული ადამიანის დამუნჯება. პოეტის მიერ ყოველგვარ კომუნიკაციაზე უარის თქმა. იგი პოეზიას მსხვრევით ემუქრება (,,და გამარჯვება, უდაბნოვ. შენი მე მართმეს ენას''). ახალი კულტურაქმნადობის ზაუმუორობა, მისი ირაციონალიზაცია — ეს ის საფრთხეა, რაც, ერთი მხრივ, თვითონ ახალი ესთეტიკის ანტიტენდენციის უკიდურესი აბსურდიზმისაკენ მიდრეკილებით იკვებება, მეორე მხრივ კი — ეპოკის ისტორიული ყოფიერებისაგან გამოწვეულ გაუცხოვების და კომუნიკაციათა გაცვლის, ,,მარტოობის'' საბედისწერო სიმპტომია. არ არსებობს ქვეყანაზე სიტყვა ამხატავი, ,,ცული შემგარძნობელი და ,,ბრი შემეწყობელი სიმაღლისა, ნათებისა, სიდიადისა (,,ვარსკვლავია'') და ეს ,,ყველაფერი განგებ, შეგნებულად თვალის დახუჭვის (,,მან დაიბრმავა ის თვალი განგებ და ანნაირად ვახდა ცბიერი'' — სახარებისეული მაცთუნებელი თვალის მოთხრის საპირისპირო ანტითეზა), გასაოცარი სიბეცის და სიცბიერის გამო: ,,ხომ სულ უბრალოა ერთი გაფიქრება, ის, რომ შენ ნანიდ და ის, რომ ანათებ და რომ ვერვინ გხედავს, გასაოცარია.,, ო, რა მიზეზია ნეტა გაცოდინა ასე დაბრმავების'': და თუ გარკვეული შეღავათია იმაში — ,,მხოლოდ და მხოლოდ რომ მაღალია, ისევ და ისევ ტკედება ჩინარი. როგორც ჩინარი, ისე პოეტიც, მისთვის სიმაღლე არის წამება'', ,,ყველაფერს მაინც უფრო კონკრეტული, უფრო ყოფიერი ახსნა ჰქვს: — გამოსახველობათა არსებულის ერთბაშად მსხვრევა: ,,რა სასწაულით, რა სასწაულით პოეტი უნდა შეიქნას მოგვი, როს მუხლები აქვს გადატეკული ბატონებია წინ მიწაზე ჩოქვით'', ეს კი ითხოვს უფრო სახიფათოა, ვიდრე ,,ყველა ესთეტიკის ერთბაშად განადგურება, რადგან ,,ვერვის ,,ენ-ენ-ენ''ების ორთა უფალთა მონებად: ანუ ერთი იგი მოიძულოს და სხვაკ იგი შეიყვაროს, ანუ ერთისაკ მის. თავს — იდვას და ,,ერთი იგი შეურაცხ-ყოს, ვერ ,,ენ-ენ-ენ''ების დმრთისა მონებად და მამონადსა'' (მათე, 6.24).

ასე სრულდება ახალი, კლასიკური დაპირისპირებული ტენდენციის (ანტიტენდენციის), დამპაგრეველი ,,ენ-ენ-ენ''ების განვითარება გალაკტიონის მხატვრულ-თეორიულ პრაქტიკაში, რომელიც სისხლიან სამოსელს და ,,ბავ ნიბრძნეს შემოახვევს სატანის ტანის შემზარავ სიშიშვლეს. ეს ანტიტენდენცია საპირისპირო კლასიკური სინთეზისა: იგი ლაპარაკობს სიმახინჯის და ბოროტების, სატანური პოეტიკის ენით ,,ბრმა ,,ენ-ენ-ენ''ების სახებ, რაც არ უნდა იყოს, მაგრამ არის (რა თქმა უნდა, ეს გალაკტიონის ლექსის მნიშვნელობით პლანს ეხება, თორემ ფორმის თვალსაზრისით იგი უაღრესად რაფინირებულია და მისი სინთალით ყოველგვარ მისტიკას გამორიცხავს); და თუ ბოროტება, როგორც ტკივილი, ,,ბეგელისთვის ,,გამოწვეულია ,,შეუსაბამობით მათ შორის, რაც არის (დას ,,ზენ) და რაც უნდა იყოს (დას ,,ზოლენ)'', ხოლო ,,ბუდარ ბუნებაში ბოროტება არ არსებობს, იგი თავს ცხოვრებაში იჩენს, რადგან მხოლოდ ცხოვრებაში ვხედავთ იმის წყურვილს, რაც უნდა იყოს, მაგრამ არ არის'', მაშინ გასაგებია, გალაკტიონთან კლასიკური ესთეტიკის სრულ ნეგაციაში იმაზე მეტია მოცემული, ვიდრე ტოტალური უარყოფაკ, უბრალოდ, ორი კულტურა სხვადასხვა ენით და ფორმით ერთსა და იმავეს ლაპარაკობს. პირველი აჩვენებს იმას, რაც არის და, დადებითის ფონზე — პოტენციურად — რაც არ უნდა იყოს. მოდერნისტული ესთეტიკა, ,,სატანური ხელოვნების'' პრინციპებიდან, ბატავს კლასიკურისათვის არარსებულს, ახლა უკვე განხორციელებულ და გასაწყისებულ ბოროტებას, რაც არ უნდა იყოს, მაგრამ არის და აქედან გვიტოვებს მასში პოზიტიურის, დადებითის, რაც უნდა იყოს იმის ამოკითხვის საშუალებას ,,არაში'', ,,ჰოს'' შესაძლებლობას და საჭიროებას. ლოგიკის ისტორიაში ეს კარგად ცნობილი სიტყაპო ამბებია და აზროვნებას უუკარს პერიოდული თვითგანმეორებანი სხვადასხვა უბნების ერთმანეთში შეჭრით. მოდერნიზმი ესთეტიკის სფეროში იმეორებს ,,ნეგატიური დიალექტიკის'' უდიდეს სააზროვნო მონაპოვრებს, რომელიც თვისობრივად ცვლის კლასიკური კულტურის ფორმას, მაგრამ შინაარსში, იმავდროულად, ,,სატანური მსოფლმხედველობის'' ლაბირინთს იქით კვლავ სიკეთის და სინათლის ერთადერთი მხატვრული მიზნის ნამდვილობას დაკონკრეტებს. ამიტომაც არის გალაკტიონთან ,,ტკივილი'' და ,,სიბრალული'' (ხელოვნება კი, მ. ცვეტაევას სიტყვით, ,,თანამონაწილეობა'' და ,,თანალმობაა'') მარადიული თანმხლები ატრიბუტები სატანის სხეულად განფენილი სამყაროს ყოფიერი და ესთეტიკური მრავალფეროვნებისა. ამიტომ არ გადადის იგი ცივ სარკაზმში, გამეინავ უგულობაში და მასში ყოველთვის რჩება მზიური ქვეყნის ძალუმად მფეთქავი ძარღვის სითბო, რაც განსხვავებული პრინციპების მიხედვით აგებულ ესთეტიზმს ახალ სინთეზში აერთიანებს და ამოლიანებს. ის სატანურად სახეცვლილ ტრადიციულ ბმერის აგსოლუტიზაციისაგან იცავს, მას განზოგადებას, ნიმუშოვნას მოცალეებულად ,,ოვიაზრებს და რიგით საუფაურზე ტოვებს, მის აკოლოგიას გაურბის, რაც ქართული მოდერნიზმის ძირი-

თად თავისებურებად უნდა ჩაითვალოს, ესაა სამყაროს ესთეტიკური გამოცდილების, სინთეზისის მუდმივი პოტენციალ, რასაც ძირები ქართული კლასიკური პოეტიკის რენესანსულ მსოფლმხედველობაში აქვს და რასაც გალაკტიონის მაგალითზე აქვე მოკლედ შევეხები. „სატანის ხელოვნების“ და „სიკვდილის თეორიის“ ირაციონალურირეები ბოლოს გალღვებიან ესთეტიკური ხედვის უმაღლეს ჰარმონიაში და ქვეყნის ორმაგობის, დუალიზმის ონტოლოგიურ გამოცილებას აღწევენ.

გალაკტიონი ისევე თვალნათლივ ხედავს მთლიანობის მეორე პოლუსს, სიკეთის და მშვენიერების კლასიკურ იდეალს, როგორც უარმყოფელ და დამაწვრეველ ძალთა ერთობლიობის მასზე აღმატებას. „მან დაიბრძოლა ის თვალი განგებ“ და „ბაუკუნე მეფისტოფელი“ სახარებისეული შეგონების — ამოთხარეთ მაცთუნებელი თვალი და თუნდაც ცალთვალა შედი ზეციერ ხასოფიელეში, ვიდრე მთლიანი და გეენაშო — კოტტოროვნაზა, ვინაიდან აქ „განგებ“ სწორედ მართლაღმხედველი თვალია დაბნელებული. ასე იღენს ლიუციფერ-ეაენ-იუდა ახალ, მეფისტოფელურ, სიბრძნის უარმყოფელ, „ჯადოქრულ“ გააზრებას. „ბოდის სიცივე, კოსმიური სიცივე მოდის“, — ღვთიური მოკლებული — „მზის შუქის ვერ მკვრეტელი“ ქვეყნის ბუნებაა. მაგრამ ეს მთლიანობის მედალიონის მაინც ერთი მხარეა. მეორე მხარეს დგას სიკეთის და სინათლის მკვრეტელი თვალი და შემმეცნებელი გული და მათ შორის ბაირონისებური შეურიგებელი ბრძოლა გრძელდება. პირველ რიგში, იგი სიყვარულის, სიცოცხლის და ლექსის (ოქროს ღვთიური „რუნების“ სიბრძნის) პოტენციურ მთლიანობად არის შენიფვიეზული. „პოეტი-მოგვის“ მოწამებრივი ზარავანდედი აქ პირველქმნილი უბიწოებით ბრწყინავს. სიცოცხლე-სიყვარული უპირისპირდება სიცივეს, კოსმიურს და უნაყოფოს, როგორც მზე და სითბო. აკი თომანს მანიც ამასვე სწერს, როცა „არყოფნის სული“ კომპოზიტორს სიყვარულს უკრძალავს: „სიყვარული შენ გეკრძალება, რამდენადაც იგი განათობს. შენი სიცოცხლე უნდა იყოს ცივი, ხოლო ამიტომ — ნუკინ გიყვარან!“ რა უსარცხვილო ირონიზებით არის მოხმობილი სახარებისეული დოქტრინა „ნუკინ გიყვარან!“ ამ კონტექსტში?! გალაკტიონი სწორედ მზის და სითბოს ატეხილობით („მზეების“ სიმბოლიკა მრავალმნიშვნელოვანია) სიკეთის და სიყვარულის, ცხოვრების არსის გადასარჩენად დგას ამ განუწყვეტელ ბრძოლაში: „ის სიცოცხლისთვის იბრძოლებს ისე, როგორც არავის არ უბრძოლია“ ან „ცეცხლის ამური და ტყდომა ღერის თავისუფლების ნაზი ფერია, მღეროდა მასზე და ახლაც მღერის, როგორც არავის არ უმღერია“ — და ეს თავისუფლება, ამური და სიცოცხლე აქ განუყოფლადაა დაკავშირებული. რითაც იკვრება „ბაბილონის ალმოსავლურ და დასავლურ ოიკუმენეებად გაყოფის“ დაშორიშორების ძველთაძველესი ლემა, რ. კიპლინგის მიერ ხმა უნუგეშოდ დაცალკევებული, ახალ, უშინაგანეს მთლიანობაში: „ალმოსავლეთით და დასავლეთით ისმის ლოზუნგი: „ომი ომს!“. ეს არნახული, ახალი, სატანურ-კოსმიურ გამყინვარებას გადარჩენილი და მაისის, გაზაფხულის მზით, სიცოცხლით და სიყვარულით აბდღვრიალებული თავისუფლება იძლევა უკვე განწმენდილ და წარღვნაგამოვლილ ძველი სამშობლოს, ლიუციფერის სიზბარეულ სამშობლოს ნაცვლად ახალ, განახლებული (ვერგილიუსის პასუხის არ იყოს) მოამავლის საჭარეველოს. „საჭარეველო! ან რა არის შემოქმედება“, სადაც ქვეყანა, განახლებული ყოფიერება, ამავე დროს, არის ესთეტიკური ფასეულობა — სოციალურის თანაფარდი და პარალელური ცნება. ამ მთლიანობის ფონზე „გინახავს შენ ფერი დაბინდულ ქლიავის? ეს ჩემი სამშობლოს მთებია!“ თუ მაინც აღძრავს ნისლოვანების, ღამეულობის („ბინდიფერია სოფლის“ ალუზიით) შორეულ ასოციაციას, თუ ამას რადაცა ხარისხით ეხმიანება — „ჩემო იარალი, ის დრო წავიდა!“, როგორც კლასიკური პოეტიკის სევდიანი მოდიფიკაცია, სხვა სტრიქონებში: — „ჩემი ცხოვრება უანკარეს ღვინის ფერია, იგი ელვარებს...“ უკვე გაზაფხულის ღაფაღაფა ტონები და მგრგვინვი აპოთეოზით მთავრდება: „ჩე არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინია“.

აქ არც იუდასთვის, არც ბნელეთის ქვეყნის სხვა რომელიმე მცხოვრებისათვის ადგილი არ რჩება ან, უფრო სწორად, მხოლოდ მისთვის არ არის მიცემული „ქვეყანა ესე“. იუდა-ეაენი მარტოოდენ შებრალების, თანაგრძნობის, თანალმობის, პოეტური პოზის კუთხით არის დომინირებული („შეგებრალება თვითონ ეაენიც“ — „ვიღაცა ეკნესის“). იგი საბრალოა, როგორც მტერი, როგორც ცოდვილი („და მებრალება მე ჩემი მტრები. არ ვიცი მტრობა“), სადაც ბოროტებისადმი ქრისტიანულად კეთილად მიზღვის და მტერთა სიყვარულის მიღმა პოეტური სიმაღლე („სიმაღლე ზამბახთა“) იზმორება, როგორც ჩინარი („ეფემერაში“) უფსკრულის თავზე: „შენ სამარემდე მიხვალ ცხელჩრდილთ სინასლი იძახის: მკვლელი, იუდა! სისხლი არასდროს არ დაწყნარდება“ ეს უკვე არ არის მონუმენტაზებულად ტრაგიკული იუდა, არც უარყოფითი ესთეტიკის ორთოდოქსალური კატეგორიისი. აქ არის თანაგრძნობა წარმავალის, ცოდვილის, უბედნისადმი, მაგრამ განმსჯელი, გამკიცხველი. ამ სიბრალულს კი ცრემლი იწვევს — ბავშვური და ანკარა ცრემლი: — „ბოგენბატრება ბავშვური ცრემლი, ეცდები, მაგრამ ვერ ატირდები“. თუ კლასიკური პოეზიის ესთეტიკისათვის „უსარგებლო ცრემლთა დენა“ და

„სიმძიმილი“ „არას მარგებელი იყო. გალაკტიონის მოდერნისტულ მსოფლგანცდაში იგი „საამო“, განმწმენდი პანაცეაა, რითაც საბოლოოდ ხდება „მარგ-საამოს“ ერთიანობის დაშლა ხელოვნების და ცხოვრების დამოუკიდებელ მოდუსებად. ამის მერე ნათელია, რომ „ეს მოგონება ისე ნაზია, როგორც მოტივი ძველი არიის, სადაც ქართული ჩანს გიმნაზია და ვაკეები სერმინარიის“ და ეს მოგონება უკვე „გემი დალაშდის“ მირაუულ მოგონებას რიდი ჰგავს — იგი ისტორიზებული საქართველოა, ნამდვილი ისტორიაა, რომელსაც დაპნალთის და პოეტსაც არ ასვენებს „სირიის ნელსაცხებელივით თავს დაფარკვეული ღვთისმშობლის მზერა, სავსე ქართული პატიოსნებით“: — თითქოსდა ჩვენს თვალწინ ხდება ღვთისმშობლის წილხვდომილობის ეროვნული მესიანისტური კონცეფციის განაბლება — ცრემლებთ ნაწვიმარ სილაში სილაუეკარდად — ვარდის ხასხასა სიწმინდით რომ ელანდება პოეტის მზერას და აღუვსებს სეგანტინის „ავე-მარიას“ ბადალ „დედაო ღვთისა, მზეო მარიამის“ საუკუნეების მიღმიდან ინფერა-ბგერებით დაკერილ მისტერ საგალობელს.

ქაოსი, როგორც გაუფორმებელი („უწესრიგო“) მატერიალური პოტენცია, მოითხოვს ღვთიური სინათლის, — ფორმის შეტანას მის მისაღებად მზადყოფ მიმართულობაში. გალაკტიონის გალაკტიონის, შეიძლება თქვას, გენტიკური ინტელექტი, რომელიც სამყაროს მატერიალური ნახევრის დასაბამს პრეველელემენტების ქაოტური გაუუყოფლობის ერთიანობაში სწვდება. მისი ვიზიონი გამბურღავია და ყოვლის გამსჭვალავი. „ეხლა ზღვაა, ეხლა სისხლის დროა“ — ამბობს იგი ანოკალიფტური, შეუუვდომელი ქეშმარიტებით და „ზღვა“ და „სისხლი“. შესაქმისეული კონტექსტით იტვირთება. ეს ზღვა შესაქმედელი ქაოსია, თხევადი ურთიერთშექცევა და ბორგვა მატერიის პოტენციისა: — „სული ღმერთისა იქცეოდა წყალთა ზედა“, როგორც „დაბადების“ პირველსავე ლექსებშია ნათქვამი, როცა ქვეყანა იყო ჯერ კიდევ „უფილავ და მოუწყობელი“. რაც შეეხება „სისხლს“, იგი პირველსისხლია, ყაენის მიერ დაღვრილი, უცოდველი სისხლი, რომლის გამორტრებას პოეტი სხვადასხვა ვარიაციებით, თითქმის პერმანენტულად, ეკლავ და ეკლავ უბრუნდება („სისხლი, იძახის მკვლელი, იუდას სისხლი არასდროს არ დაწყნარდება“); ყაენის სახესიმბოლო კი „შავ მაგისტრთან“ — „მოპირკეთში“, ეკუბიტების მომბაგ სატანის არქეტიპთან აღწევს. ამიტომ, თუ ატმის რტოს გადარჩენა ერთგან ეკვის ქვეშ არის დამდგარი, („თუ გადარჩი, ხომ გადარჩი კარგი“), პოეტი სხვაგან უკვე მეხ და ჭარიშხალგადავლილ, განაბზარ „იმ ვარდისფერი ატმის“ („მაგრამ ეწვია ატმის ხეს ქარი და ფრთა მედგარი შემოახვია, ეხლაც ატკვია ხეს განაბზარი“) მაინც სიცოცხლისკენ მობრუნებულს და მზეზე აფერადებულს, თუმცა ჭერაც თოვლიანს უცქერს. „ეს განაბზარობაც“ იგივეა, რაც ცრემლთა შურისძიებით სავსე, ოღონ ესდაც „ცვრებით და იებით მფეთქავი“ ბავშვის თვალები. „ბაბმის ხის“ ისტორია პოეტური ანგოგიზიმარავიაა, ხოლო თვითონ „ბაბამი“ — კოდი სულის პოეტური პროექციისა. შემდეგ ამას უფრო მაფორფლი, თუმცა „ძველ მოგონებებთან“ დიალექტიკურად გადაჯაჭვული ბერეოიკა ეხმიანება: „წამების ცეცხლში განახლდა გული, ფერი ვიცვალე, ფერი ვიცვალე, ბაბ დამიცალე, შავო ბურუსო, წყეულო ღამეე, გზა დამიცალე“; მაგრამ ეს არ არის თვისობრივი, რეკონსტიტუციური მიტოვება ყოველივე ძველისა, მასთან ერთიანშად კავშირის გაწყვეტა. ეს რაოდენობრივი, თანდათანობითი გარდაქმნაა, „განადგურების განადგურებით განადგურების“ მეფისტოფელური თეზისი, „სიკეთილის სიკეთილით დთრგუნვის“ სახარებისეული გარკვეულობის ინდივიდუალური კორექტივი. „ფერისცვალების“ (სამოსელის და სახის თოვლის და მზის ფერად გაცისკროვნების) გზით ლიუციფერის ყინულეთიდან „მზის ქვეყანაში“, ნაზარეველის სამკვიდრებელში შესვლის („გადარჩენის“, „ხსნის“) იმედი; „ასრეა, ასთითო, უფერებო და ფერქიდ ცხეარის“ სიმბოლური კრავით შენაცვლება. ეს ყველაფერი შორეული გამოძახილია ნგრევა-შენების განუყოფელი ერთიანობისა. „ნგრევას, ო, ნგრევას, დაუნდობელ ნგრევას ძველისას“, რომელსაც იგი შეუბრალებლად გვიხატავთოვნებს, აქვს შორეული პერიფრაზი: „მიეფგო იესუ და პრქუა: დაპკესნეთ ტაძარი ესე, და მესამეს დღესა აღვადგინო ეგე. ჰრქუეს მას ჰურიათა. ორმეოც და ექუსსა წელსა აღეშენა ტაძარი ესე, და შენ სამსა დღესა აღადგინო იგი? ხოლო იგი იტყოდა ტაძრისათჳს გუამისა თჳისსა“ (იოანე: 2,19-22). განა ქართული ჰიმნი — „ბრავალუამიერი“ პირველაირ არ პასუხობს წყაროების ამ ძიებას — „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებიაო“? „ახლის“ პეროიკული პათოსი („წამების ცეცხლში განახლდა გული“ — „ვაშა ამ ახალ საქართველოს, ვაშა შენებას“), მტრობისგან ნგრევის და სიყვარულის მიერ შენების ხალხური ფაზის გაქვლილ მიდის მაცხოვრის დაფვლა-აღდგომის გზით მისტერიულ თეოთგანახლების სასწაულთან: „...არაფერ ღენოი ახალი თხეერთა ახალთა შოაასხან“ (მარკ: 2,21-22). „ახალ“-„ძველის“ ოპოზიცია და „ღვინის“ სიმბოლიკის მრავალპლანიანობა გალაკტიონის შინგანი მდგომარეობის მეტისმეტად ფაქიზი ხაზომია, ფიქსატორია, რასაც გადატანითი, მინიშნებითი, ფარული ანბრი ამაღლებს ყოფით-მატერიალურ, რეალურ მნიშვნელობაზე. ამიტომაც გასაგებია ის ცრემლი, ის თანაგრძნობა, რომელიც პოეტის მსოფლგანცდაში ლიუციფერ-კაენ-იუდა-ბგასფერის, „მარადიული ურიის“ ტა-

ნჯული ლანდები ლივლივებენ („შეგებრალება თვითონ კაენიც"; „ვახსენოთ ჩვენ ის უკანასკნელ სადღეგრძელოში). „მტერიც" კი შინაგანი მიღების საგნად არის ქცეული: „გესმა, რამეთუ თქმულ არს: შეიყუარო მოყუასი შენი და მოიძულო მტერი შენი. ხოლო მე გეტყუ თქუენ: გიყუარდედ მტერნი თქუენნი და აკურთხეედით მაწყეველთა თქუენთა და კეთილსა უყოფედით მოძულეთა თქუენთა..." (მთ., 5, 43-44). გალაკტიონი სახარების ამ თეზისიდან აგრძელებს, ოღონდ ესთეტიკური კეთარსისი „სიბრალულიდან" იღებს სათავეს", „და მებრალება მე ჩემი მტრები. არ ვიცი მტრობა. საყურადღებოა გალაკტიონ-აქტეონის გაიგივებაც. მასში თავს იჩენს მისგან გაზრდილ მწევართა მიერ დაგლეჯილი სხეულის ორფიკული თვითშეგრძნება. ასე მიდის პოეტი სამყაროს გამოლანიების იმ სინთეზურ პოეტურ კრედომდე, რაც ჯერ კიდევ რენესანსულ პოეზიაში ახმიანდა — კლასიკური ფორმულირებით: „თუ არ უყვარს, რად არა სძულს, რად აყივნებს რაცა სძულსა?".

გალაკტიონი არის არა კრონოლოგიური, არამედ სააზროვნო ეტაპი კლასიკური პოეტიკის ტენდენციის მოდერნისტულად გააზრების დიალექტიკური (მიღება-უარყოფა) დაძლევისა, რასაც პოეტის შემოქმედებაშივე მოჰყვა ახალი, უფრო მაღალი სინთეზი დადებითში არსებული უარყოფითი (პირველი საფეხური) და უარყოფითში არსებული დადებითი (მეორე საფეხური) იდეის განუწყვეტელობის მიგნება-აღმოჩენისა სიცოცხლისა და აზროვნების მიმართ.

პოეტური მისია, უპირველეს ყოვლისა, თვითგამართლებაა: შეიძლება აქ ჰ. გროსის სტატიების გახსენებაც: „მე ვიცავდი არა იდეალებს, და არა რწმენას მათში. მე საკუთარ თავს ვიცავდი, რწმენა? ჰა-ჰა! მე, უკიდურეს შემთხვევაშიც მყოფნოდა სითამამე გამომეთქვა ის, რასაც უმრავლესობა ფიქრობდა <...> ყველაფერი, რაც შემიძლია ვთქვა ამის შესახებ, უკვე ჩემი ნახატებით არის ნათქვამი".

გალაკტიონი, ჰ. გროსისგან განსხვავებით, თავის თავთან ერთად, თანაბრად იცავს იმ ესთეტიკურ და ეთიკურ იდეალებს, ურომლისოდაც არსებობა ქიმერულ მირაჟებს დაემგვანებოდა, შეიძლება მომხიბვლელს და შორს, მაგრამ ხელშეუხებს და უსაგნოს. გალაკტიონი ამ მირაჟების ქვეყნის შექმნით ამსხვრევს სწორედ მირაჟების ქვეყანას და, რაც უფრო საკვირველია, მარადიულად რჩება ძვირფას ნანგრევთა შორის („გახსენება ძვირფასი მკვდარის"), რათა უფრო უცთომლად უყუროს რეალურ და საგნობრივ, ოდნავ უხეშ, ნაცრისფერ უწარსულობას („სინამდვილეს არ ვემდური, არ ყოფილა თითქმის"), თუმცა ამ მზერაში უფრო მეტია ძველი აღთქმის მრისხანე ღმერთის სისასტიკე, ვიდრე დიადი პანის სიკვდილის საგალობელი, ტიბერიუსის ხანის ბერძნებს ერთი უდაბური კუნძულიდან რომ შემოესმათ, მაგრამ იგი მაინც შემოდგომის მზით არის გამთბარი, და, ამიტომაც, სევდიანად მოალერსეა...

როგორ იმემკვიდრა ქართული პოეზიის შემდგომდროინდელმა ძარღვმა ეს თვისობრივად ახალი ესთეტიკა. ამის წარმოჩენას მომავალში შევეცდები...

ნინო ქუთათელაძე

ფიქრები ფრთების გაშლისას...

ადამიანი არსებითად თავისუფლებისათვის მოდის ამქვეყნად. მერე მას ათასი მოვალეობა, ათასი დარდი, ათასი საზრუნავი ბოჭავს და თავისკენ მიაკრავს მაგრამ ხელოვანი იმით განსხვავდება სხვათაგან, რომ დღემუდამ აღმაფრენის ფრთებს ელოლიავება და უცდის, რომ სადმე გაშალოს...

ფრთების გაშლას ჰგავდა იმდღეევანდელი საღამოც, რომელიც ტერენტი გრანელის პოეზიას მიეძღვნა. სცენაზე ორი ფერი იკვეთებოდა — სიმარილის, სიწმინდის, უმანკოების პირველყოფილი ფერი და მეორე — სისხლის, ტანჯვის, სიცოცხლისათვის ბრძოლის.. თეთრი გზა სიმაღლისაკენ მიემართებოდა, სიმაღლისაკენ მისწრაფოდა წყალსაცდენილი ნავიც და ნავსაცდენილი ნიჩბებიც:

მე ხომ მინდოდა გასვლა მიწიდან,
მე ხომ მინდოდა გაფრენა ცისკენ...

კითხულობდა მსახიობი თეთრ სამოსში და თეთრ გზაზე წითელი სინათლის წვეთები იღვრებოდა. უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენდა კობა გურულის სცენოგრაფია.

ამქვეყნად შემთხვევით არაფერი არ ხდება, მითუმეტეს ისეთი ჩუმი და უარტენზიო ადამიანები, როგორიც თამილა ლასხიშვილია (გაწნრაპ არ ვამბობთ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი იმიტომ, რომ მსახიობის შეფასებისას მის რეგალიებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს). იოლად არ შლიან თუ ვერ შლიან ფრთებს, არც ტერენტი გრანელთან შეხვედრა იყო შემთხვევითი. საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტების ნუნუ ჭელიძისა და მაია მშვილდაძის კონცერტის მოსმენისას, როცა ისინი ოლივიე მესიანის სახარების თემაზე შექმნილ ნაწარმოებს ასრულებდნენ, დაიბადა ტერენტი გრანელის კითხვის იდეაც.

არც ის არის შემთხვევითი, რომ ტერენტი გრანელის ლექსი ასეთი სიმართლით და არსის წვდომით აღღერდა სცენაზე. გრანელამდე დიდი გზა იყო, სიმარტოვის და სიჩუმის გზა... ასპაზია პაპაკანასიუს გვერდით ნათამაშები ისმენეს მერე, თითქმის საყვარელი საქმის გარეშე პირად ტრაგედიასთან მარტო დარჩენილი მსახიობი საკუთარი თავის გადარჩენისათვის ძლივს ახერხებდა ბრძოლას. გადარჩენა რომ მხოლოდ ფიზიკური არსებობას არ ნიშნავს, ეს კარგად ვიცით მეცა და თქვენც.

და მოვიდა ლიტერატურაში ჩაღრმავების, წვრილმანების ამოცნობის, ადამიანისა და ცხოვრების მისტიური განჭვრეტის დრო, გურამიშვილის, ილიას, ტიციანის, გალაკტიონის ლექსების გვერდით მის სამყაროში დასახლდნენ: ანა კალანდაძის, მედეა კახიძის, ოთარ ჭილაძის, რეზო ჭეიშვილის, რეზო ამაშუკელის, თამაზ ბიბილურის და სხვათა ლირიკული თუ რომანული გმირები. მსახიობი ერთი თვალის გადავლებით იმახსოვრებს ყველაფერს, რაც ახლობელია მისთვის; შემდეგ კითხულობს რადიოში, იშვიათად ტელევიზიაში. დანარჩენ დროს კი სდუმს, რადგან იცის, რომ „უდიდესი გრძნობის ნიშანი არის დუმილი და გარინდება".

ლიტერატურასთან სიახლოვის გარეშე რაგინდ ნიჭიერიც არ უნდა იყოს მსახიობი, მისი პროფესიონალიზმი ზედაპირულია და უღონო. ჩვენი მსახიობები ზოგჯერ ყოველდღიურობაში ხშირად ქართულად მეტყველებას თაკილობენ და სცენაზე ჩნდება არაქართული მახვილები, არაქართული სინტაქსით გამართული ე. წ. „გათავისებული" დიალოგები...

ამიტომ არის რომ თამილა ლასხიშვილი თავის სტუდენტებს ქართული ლიტერატურისადმი სიყვარულს, ცალკეული სიტყვისადმი თუ ბგერისადმი თაყვანისცემას უღვივებს. ლიტერატურა, მხატვრული სიტყვა და ბგერა მსახი-

ობისათვის ისევე, როგორც მწერლისა და პოეტისათვის, საკუთარი მეობისა და ეროვნულობის შეცნობის საწყისად უნდა იქცეს.

მსახიობი კი სცენაზე უცნაურად ელოლიავება ბგერას:

შუაღამის ვედრება სამრეკლოსთან
ბერდება,
მოგონება ფითრდება სინანულის
ფარდებში,
სურნელება ვილესი დაეცემა სილაზე,
როგორც ლურჯი სინაზე, დაიკივლებს
ვარდებში.

ყველას აქვს თანდაყოლილი პროსოდია. მახსენდება გალაკტიონი, ხმოვანთა როგორი წაგრძელებით, ხან კი ვნებათაღელვისაგან დაღლილი როგორი, მოწყვეტით და მოკლე ხმოვნებით კითხულობდა ლექსს. მსახიობს კი ყველაზე მეტად ეკალება იმუშაოს ბგერაზე, გამოწყვრთნას თითოეული ხმოვანი და ლექსის არქიტექტონიკას ზუსტად მიუსადაგოს. აბა, ვინ უნდა იცოდეს ეს უკეთ, თუ არა თამილა ლასხიშვილმა, რომელსაც ასე ახლოს უხილავს პაპატანასიუ. მისი გასტროლების მომსწრენი დღესაც გაოცებულნი არიან, თუ როგორი გულმოდგინებით დღე და ღამე ვარჯიშობდა ცნობილი მსახიობი ქალი პროსოდიაზე.

მახსენდება შარშანწინდელი საღამო შ. რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში, სადაც სტუდენტებმა წარმოადგინეს თამაზ ბიბილურის რომანის „შვილ ხმისა და ტოროლასათვის" ფრაგმენტი. გოგონები სხვადასხვა ხასიათში კითხულობდნენ რომანის მონაკვეთებს. ესეც უდაოდ მათი პედაგოგის, თამილა ლასხიშვილის დამსახურება იყო, რომ თითოეული საკუთარ დამოკიდებულებას გამოხატავდა გმირისადმი, არ დაკარგულა მათი ინდივიდუალობა, თუმცა მე სხვა რამემ გამაოცა. ეს იყო ნაწარმოების სწორი გააზრება, ქართული ბუნების გაცნობიერებული წარმოსახვა:

მსურს წამოვიდეს დილა მტრედისფერი,
და მივყვებოდე ქარში გასვენებას.
შუაღამეა, რაღაც ვერ ვისვენებ,
და ახლა მინდა იყოს გთენება.

მსახიობი დილას, გათენებას ესწრაფვის, რადგან პოეტს სწორედ ასე სურს, სწორედ ასე ესმის. უმძიმესი და ბნელი მოცული მხოლოდ გარდასვლის მომენტია, თორემ სიკვდილი, ისევე როგორც სიცოცხლე, ახსოლუტური გარკვეულობაა. ამ დროს ერთბაშად ცხადი ხდება, ვინ არის შენთან და ვინ დარჩა უშენოდ.

თამილას ესეც კარგად ესმის, რადგან მრავალნი თუ მის გვერდით არიან, მრავალნიც სადღაც სხვაგან დარჩნენ, მაგრამ ნამდვილად დარჩნენ. ის ისე ჩვეულებრივად ახსენებს ხოლმე გარდასულთ, თითქოს ხვალ ქუჩაში შეხვდება და მოიკითხავს. მათ შორის არიან? სერგო ზაქარიაძე, აკაკი ვასაძე, ვასო გოძიაშვილი, დიმიტრი ალექსიძე და შეიძლება კი ყველას ჩამოთვლა, ვიზეც დიდი სიყვარულით საუბრობს ხოლმე თამილა. მისი მასწავლებლები, პედაგოგები დღესაც მის მასწავლებლად რჩებიან და სხვაგვარად უნათებენ წარსულსაც, აწმყოსაც და მომავალსაც.

ტერენტი გრანელისადმი მიძღვნილი საღამო კი დასასრულს უახლოვდება:

შენ დედამიწავ, უფრო მაშინებ,
როცა ოცნებით ზეცას მოვიარ,
წმინდაო ღმერთო, რად გამაჩინე,
მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია.

არა, აქ არ იყო წუწუნის არც ერთი ნოტა, აქ იყო შეტევა, სიცოცხლის გარდასახვის ენი, ტერენტი გრანელი თავისი უკიდეგანო, ზღვასავით მოქცევადი და უკუქცევადი განწყობილებებით და ოლივიე მესიანის ადამავალი მუსიკა. პოეტი რაც უფრო შორდებოდა თავის აწმყოს, მით უფრო მაღლდებოდა და სუფთავდებოდა. გრანელი შესანშნავად გრძნობდა საკუთარ სიმაღლეს და მისი არსებობის ორსახეობა — ცხოვრება — ჩამოძენძილი, მშიერ-მწყურვალი, უბინაო, მიუსაფარი და შემოქმედება — მაღალი, ყოველდღიური წვრილმანებისაკენ შორიდან გამომზირალი, საკუთარ თავში ჩაღრმავებული, — ჩვეულებრივი გამხდარიყო მისთვისაც და გარშემო მყოფთათვისაც. აი, ასეთი ტერენტი გრანელის წარმოდგენა სურდათ რეჟისორს თეიმურაზ კვირკველიას და მსახიობს თამილა ლასხიშვილს. განა თვითონ არ წერდა პოეტი: „ხელოვნების ცხოველმა შუქმა უნდა გაანათოს ჩვენი ცხოვრების ბნელი კუნჭულები, აამოძრაოს ადამიანის შემოქმედება და თვალწინ გადაუშალოს საუცხოო სურათები სილამაზისა, სიმშვენიერისა და ჭეშმარიტებისა, უნდა მძლავრად ამეტყველდეს ჭეშმარიტი ხელოვნება, თორემ ლამის ადამიანი მხეცად იქცეს უმაღლეს განცდათ მოკლებული და ბოროტების მორევში სავსებით გადავარდნილი".

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ბუნინი თითქმის აღარ აწარმოებდა დღიურს, მეგობრებთან და გამომცემლებთან მიმოწერაც ნაკლებინტენსიური ხდება. ამიტომაც განსაკუთრებით საინტერესოა თანამედროვეთა მოგონებანი.

ჟურნალ „პოდიომის" 1988 წლის პირველ ნომერში ვ. ლავროვი მოგვითხრობს ცნობილი პოეტის ი. ვ. ოდოევცევის მემუარების შესახებ. ბუნინს პოეტი ქალი 1926 წლიდან იცნობდა. მისივე ხელნაწერი „ბუნინის შესახებ" ავტორს ს. ა. მაკაშინმა წარუდგინა.

1948 წლის იანვრის შუა რიცხვებში ბუნინი მეუღლესთან ერთად ზღვას ეწვია ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად. კარჩაკეტილი იყო, ჩანს შეუძლოდ ყოფნა ძლიერ თრგუნავდა. ზოგჯერ სასეირნოდ ირინა ოდოევცევას მიიპატიჟებდა. რომელიც თავის მეუღლესთან, პოეტ გიორგი ივანოვთან ერთად ისვენებდა იმავე „რუსულ სახლში".

ივან ალექსეევიჩთან — მოგვითხრობს ოდოევცევა — „შეუძლებელი იყო მოწყენა, მე, ყოველ შემთხვევაში, არ შემეძლო, მას, როგორც არავის, შეეძლო აეძულებინა მსმენელი გამსჭვალულიყო მისი გრძნობებითა და აზრებით, ეცქირა მისივე თვალებით და ყური მიგდო სამყაროსათვის ბუნინისათვის დამახასიათებელი სმენით. იგი მათ საკუთარ სიბრაზესა და მწუხარებას უყოფდა, თავისი ცხოვრების თანაზიარს ხდიდა, იმდენად ჩართავდა თავის განცდებში, რომ მსმენელს ხშირად ეჩვენებოდა, რომ ლაპარაკი ბუნინზე კი არა, თვით მასზე იყო. საზღვარი მსმენელსა და ბუნინს შორის თითქოს იშლებოდა".

ბუნინს რამდენიმე ხნის წინ „ბნელი ხეივნები" გამოეცა და აღშფოთებული იყო ნაწარმოების სათანადო შეუფასებლობითა და თამამი კილვით.

— „ბნელი ხეივნები" ყველაზე საუკეთესოდ მიმაჩნია ჩემს ნაწერებში, — განაცხადა აპოპლექსებულმა — ის იდიოტები კი თვლიან, რომ ამით ჩემი ჯაღარა შეურაცხვყავი, რო ეს პორნოგრაფიაა, ამასთან კიდევ ბებრული, უძღური ვნება. ფარისევლებს არ ესმით, რომ ეს ახალი სიტყვა. ახალი მიდგომაა ცხოვრებისადმი!"

სხვათაშორის, ბუნინს სიცოცხლის ბოლომდე მოუხდა თავისი საყვარელი წიგნის დაცვა „ფარისევლობისაგან".

როგორღაც ოდოევცევამ საკუთარი შეხედულება გამოთქვა „ბნელ ხეივნებზე": არის მასში „სიყვარულის რაღაც ყმაწვილური, ზედმეტად რომანტიული გაგება".

— „აი, თურმე რა? ე. ი. არასოდეს გაუკარებიათ ნამდვილად, — უთხრა პუნინმა, — სიყვარულისა თქვენ არ გესმით. ნუთუ ჯერ კიდევ არ იცით, რომ სიყვარული და სიკვდილი განუყოფელია? ნუთუ არ იცით, რომ ჩვიდმეტისა და სამოცდათი წლისას ერთნაირად უყვართ? ყოველთვის როცა გამიჯნურებული ვიყავ, ეს კი საკმაოდ ხშირად ხდებოდა ჩემს ცხოვრებაში, უფრო მეტიც, თითქმის ყოველი სიყვარული კატასტროფა იყო, მე თვითმკვლელობამდე მივდიოდი. მაშინაც კი, როცა არავითარი საშინელება არ ხდებოდა, უბრალოდ ეს მორიგი განხეთქილება ან განშორება იყო. ვარ ვარ პაშჩენკოსათვის თავს ვიკლავდი, ასევე ანიასათვის, ჩემი პირველი ცოლისათვის, თუმცა ნამდვილად არასოდეს მიყვარდა. მაგრამ როცა მომატოვა, მე ჭკუიდან ვიშლებოდი. თვეობით დღისითა და ღამით სიკვდილზე ვფიქრობდი ვერა ნიკოლაევნასთანაც კი..."

ოდოევცევა გვიამბობს გალინა კუზნეცოვასას და ბუნინის რთულ ურთიერთობებზე. მოყვანილია თვით ი. ოდოევცევას წერილი, დათარიღებული 1969 წლის 30 სექტემბრით, მწერალ ნ. ა. სმირნოვისადმი, რომელშიც ავტორი ხსნის ამ ურთიერთობათა ისტორიას ასე ნაკლებად გაშუქებულს ლიტერატურაში.

„არსებითად, მე ძალიან უბედური ვიყავი. განსაკუთრებით სიჯაბუკეში — ეუბნებოდა ბუნინი ოდოევცევას — თუმცა, იშვიათად თუ ვინმეა ბედნიერების მოსურნე, როგორც მე. თითქოსდა რად არ უნდა ვყოფილიყავ ბედნიერი? მაგრამ როგორი ურთიერთსაწინააღმდეგო ვნებანი მტანჯავდნენ და მგლეჯდნენ ნაკუწებად. ამას დაუმატეთ სიღარიბეც. ხასიათიც მძიმე მაქვს. ხშირად მიძნელდება საკუთარ თავთან გამკლავება... მართალია მალარმე": „პოეტი უბედური უნდა იყოს..."

„აი, მე ტრაფარეტის მიხედვით ვლაპარაკობ — პოეტი უბედური უნდა იყოს. სისულელეა, სულაც არაა საჭიროებული. პირიქითაც, ბედნიერებასაც ძალუძს მიგვიყვანოს პოეზიამდე. და სიწმინდემდე. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. ვნაობ, რომ არასოდეს ვყოფილვარ ბანგრძლივად ბედნიერი. მხოლოდ წამიერად, წუთობით. გოეთე ამბობდა, რომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში მხოლოდ შვიდი წუთი იყო ბედნიერი. მე კი, მაინც შევძერე ბანეგარი საათის ბედნიერებას. — ბავშვობიდან თუ მოვთვლით. მე ხომ ძალიან მიყვარდა დედა".

ოდოევცევა თავის მემუარებში ხაზს უსვამს ბუნების ბუნინისეულ აღქმას: „დიახ, საოცარია, მაგრამ ბუნინი მუდამ ტაბებოდა ბუნებასთან ყოველი, თუნდაც წამიერი ურთიერთობით

და სულ აღნიშნავდა: ჭარის ყოველი დაკროლვა, ჭიქა-ჭუხილის მომასწავებელი ბაერის გამჭვირვალება, სინათლის ცვალებადობა — ყოველივე ეს წამიერად აღიქმებოდა, აღელვებდა და ახარებდა".

„მხედველობა, სმენა და ყნოსვა — წერს ოდოევცევა — შეუდარებლად ძლიერ ჭქონდა განვითარებული, ვიდრე ჩვეულებრივ ადამიანებს...

კაფეში ფრანგ ახალგაზრდობას უკვირდებოდა და ი. ოდოევცევას ეტყოდა:

— ხშირად მინდოდა აი, ასეთ ფრანგ ბებუკებზე დამეწერა. მაგრამ მე კარგად ვერ შევიგრძნობ, არ მესმის მათი. ჩვენსა, რუსებსა და მათ შორის უფსკრულია. ჩვენ უფრო სხვა ვართ, ვიდრე ისინი. გაუგებარნი ჩვენთვის. კათოლიკებს სრულიად სხვა მსოფლშეგრძნება აქვთ, ვიდრე მართლმადიდებლებს... ჩვენი ხატი ეს ფანჯარაა სამოთხეში. კათოლიკებთან კი საშინლად რეალური და მგრძნობიარეა ყველაფერი. მათი „გარდამოხსნის" ცქერა შეძრწუნების გარეშე შეუძლებელია...

ურწმუნო ფრანგს მხოლოდ ეჩვენება, რომ იგი ათეისტია, სული კი უკიდურესად რელიგიური, ამასთან კათოლიკური, მერკანტილური, ანგარიშიანი, მხიარული და მგრძნობიარე. ჩვენი მართლმადიდებლური სული კი ლირიული, ასკეტური, პირქუში და გიუმაუა. ტუუილად ბგონიათ ფრანგი თავქარიანი, ჩვენ გაცილებით თავქარიანნი ვართ"..

მეუღლის, ვერა ნიკოლაევნას შესახებ იტყოდა:

„—...მიყვარს კი იგი? მიყვარს ჩემი ხელი ან ფეხი? შეიძლება შევამჩნიო ბაერი, რომლითაც სუნთქავ? ხელ-ფეხს მომჭრი თუ სუნთქვას ამიკრძალავ — სისხლისგან დავიცლები, დავიხრჩვები — მოვკვდები.

უმისოდ სიცოცხლეს ვერც შევძლებდი, მაგრამ იმის თქმა, რომ მე იგი მიყვარს... იგი დაბნეული შლის ხელებს. — არა, ანდა, უფრო სწორად მიყვარს როგორც საკუთარი თავი და ამას ვერც ვამჩნევ... — ცოტა ხნის დუმილის შემდეგ. ამთავრებს. — ღმერთს მადლობას ვწირავ, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მადლიერი ვიქნები იმისათვის, რომ მან ვერა ნიკოლაევნა გამომიგზავნა..."

ჩ ვ ე ნ ი მ ი ს ა მ ა რ თ ი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.
ტ ე ლ ე ფ ო ნ ე ბ ი: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32. პასუხისმგებელი მდივანი 72-43-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35 პროზის — 72-26-30, „ცისარის" დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-47-62.

გადაეცა ასაწყობად 13. 05. 88 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 14. 07. 88 წ., ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ. სგ. თაბახი 15,85. შეკვეთა 1295 უე 01429 ტირაჟი 70.800.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ფასი 60 კაპ.

ინდექსი 76880

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ